

ბ ი ო რ ზ ი ნ ა ნ ე ი შ ვ ი ლ ი

ს ა მ ა რ თ ღ ი ს ფ ი ღ ო ს ო ფ ი ი ს
ს ა კ ი თ ხ ე ბ ი



თ ბ ი ლ ი ს ო უ ნ ი ვ ე რ ს ი ტ ა ტ ი ს ბ ა მ ო მ ც ე მ ლ ო ბ ა
თ ბ ი ლ ი ს ი 1992

გ. ნანეიშვილის „სამართლის ფილოსოფიის საკითხები“, ერთი მონოგრაფიისა და რამდენიმე წერილის სახით, ღარზა იმ 36 შრომიდან, რომლებიც ავტორის რეპრესიის შედეგად დაიკარგა.

წიგნში შევიდა გ. ნანეიშვილის შრომებზე რეცენზიები და გამოხმაურებანი, ასევე გ. ნანეიშვილის გამოსვლები დისკუსიაზე, რომელიც სოციოლოგიის კათედრამ გამართა 1930 წელს. გ. ნანეიშვილის შრომები მეტად ღირებულია თანამედროვე თვალსაზრისითაც და ქართული საზოგადოებრივი აზრის ისტორიის გასაგებადაც. იგი საინტერესო იქნება სამართლისმცოდნეთა, სოციოლოგთა, ფილოსოფოსთა, ისტორიკოსთა და საერთოდ ფართო საზოგადოებისათვის.

რედაქტორი ე. კოღუა

რეცენზენტები: ზ. კაკაბაძე

ი. სურგულაძე

© თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1992

120301C000

H

6C8(C6)—92

ISBN 5—511—00477—4

სამართლის ფილოსოფიის და სოციოლოგიის პროგნოზები გიორგი ნანეიშვილის ნააზრევში

გიორგი (ზოზო) ალექსანდრეს ძე ნანეიშვილი დაიბადა 1894 წლის 16 აგვისტოს ქუთაისში, პუბლიცისტ ალექსანდრე ნანეიშვილის ოჯახში, რომელიც პრესაში იბეჭდებოდა „ნალის“ ფსევდონიმით. ეს ოჯახი წარმოშობით აზნაურთა წრეს ეკუთვნოდა. ამ დროისათვის ქართველი თავადაზნაურობა გაკოტრების გზას ადგა და მათი მიწა-წყალი არაქართული წარმოშობის ბურჟუაზიის ხელში გადადიოდა. საქართველოს ეროვნული მოძრაობის თავკაცები მძიმედ განიცდიდნენ ამ ვითარებას და ამ პროცესის შეჩერების მიზნით სათავადაზნაურო ბანკიც დააარსეს, მაგრამ თვით თავადაზნაურთა წრეშიც გაცნობიერებულნი იყო, რომ ისინი ვერ შეინარჩუნებდნენ მდგომარეობას და ეძებდნენ ცხოვრების სხვა გზებს, რომელთაგან ერთ-ერთი მნიშვნელოვანი იყო განათლება. გიორგიმ და მისმა ოჯახმა მიზნად დაისახეს მკვიდრი საგანმანათლებლო ცენტრის მოპოვება. იგი ბავშვობიდანვე დაეწაფა ლიტერატურას, უცხო ენებს, საუკეთესოდ დაეუფლა ფრანგულ და გერმანულ ენებს, შედარებით სუსტად — ინგლისურს. მშობლიური ფრანგულად, სსრკ ხალხთა ენებიდან კარგად ფლობდა რუსულს. როგორც მის მოკლე ავტობიოგრაფიაშია აღნიშნული, გიორგის დაუმთავრებია ქუთაისის რეალური სასწავლებელი 1911 წელს, 1912 წელს კი შევიდა პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე. აქ იგი ჩაება მრავალმხრივ სამეცნიერო-საზოგადოებრივ საქმიანობაში, 1916 წელს არჩეულ იქნა სამართლის ფილოსოფიაში სტუდენტთა სამეცნიერო წრის თავმჯდომარედ, რომლის მეცნიერი ხელმძღვანელი იყო პეტრაუიციკი. აქვე წაუყითხავეს სამეცნიერო მოხსენებები, რომლებიც ასახულია პეტერბურგის უნივერსიტეტის 1915—1917 წლების ანგარიშში. სამართლის ფილოსოფიის წრის თავმჯდომარედ არჩევა და ყოველივე აღნიშნული იმის მაჩვენებელი იყო, რომ სწორედ სამართლის ფილოსოფია იზიდავდა და ამ დარგში ჰქონდა საგრძნობი წარმატებები. ამავე დროს, ის აქტიურად მონაწილეობდა ივანე ჯავახიშვილის მიერ პეტერბურგის უნივერსიტეტთან დაარსებულ საქართველოს ისტორიის პრობლემათა შემსწავლელ სამეცნიერო წრეში. ამ წრეს დიდი ტრადიციები გააჩნდა. მასთან თანამშრომლობდნენ ქართველი

ინტელიგენციის სახელოვანი წარმომადგენლები (ცნობილია ივანე ჯავახიშვილის წერილი არჩილ ჭორჭაძისადმი, რომელშიც იგი სთავაზობს ქართულ პრესაში თანამშრომლობას). წრე განიხილავდა საქართველოსთვის მნიშვნელოვან ყველა მოვლენას. პეტერბურგის უნივერსიტეტში განაწილებილი იმენდა მ. ი. ტუგან-ბარანოვსკის, ლ. ი. პეტრუცის და სხვა ცნობილ მეცნიერთა ლექცია-სემინარებს. მათივე ხელმძღვანელობით ეწეოდა სამეცნიერო მუშაობას. 1917 წელს უნივერსიტეტის ხელმძღვანელობამ გამოიტანა დადგენილება ნანეიშვილის საპროფესოროდ მოსამზადებლად დატოვების შესახებ. ამის თაობაზე პეტერბურგის უნივერსიტეტის რექტორის, გრიმის მიერ გაცემულ მოწმობაში წერია:

«Предъявитель сего, Георгий Александрович Нанеишвили, постановлением совета Петроградского университета в заседании 16 октября 1917 года, согласно представлению юридического факультета Петроградского университета оставлен при сем университете для приготовления к профессорской и преподавательской деятельности, с 12 октября 1917 года до 1-го октября 1918 года. В удостоверение сего выдану Г. А. Нанеишвили сие свидетельство для свободного проживания в гор. Петрограде и его окрестностях в течение указанного выше срока» (მოწმობა ინახება გ. ნანეიშვილის პირად საქმეში, რომელიც დაცულია უნივერსიტეტის არქივში, გვ. 1). მაგრამ გ. ნანეიშვილი არ დარჩა პეტროგრადში და ჩამოვიდა თბილისის უნივერსიტეტში, სადაც ის 1918 წელს დატოვებულ იქნა საპროფესოროდ მოსამზადებლად. იმავე წლის დეკემბერში ნანეიშვილი წერს განცხადებას სწავლის გასაგრძელებლად გერმანიაში მივლინების შესახებ. არქივში ინახება რექტორის მოადგილის ივანე ჯავახიშვილის ხელმოწერილი ცნობა, დათარიღებული 1919 წლის 23 დეკემბრით, რომელშიც წერია: „ამის წარმომადგენი გიორგი ალექსანდრეს ძე ნანეიშვილი დატოვებულია ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში საპროფესოროდ მოსამზადებლად სამართლის ფილოსოფიის კათედრის დასაქვრად. ამჟამად გ. ნანეიშვილი ევროპაში იგზავნება იქაური სპეციალისტების ხელმძღვანელობით სამუშაოდ“. იმავე არქივში ინახება ნანეიშვილის და ვლადიმერ ემხვარის თხოვნის საფუძველზე უნივერსიტეტის გამგეობის 1918 წლის 10 დეკემბრის სხდომის ოქმი, რომელშიც აღნიშნულია: „დაკმაყოფილდეს უნივერსიტეტში დატოვებულთა ლ. ემხვარისა და გ. ნანეიშვილის თხოვნა. მიეცეთ მათ უცხოეთში გამგზავრების გამო წინდაწინ რამდენიმე თვის სტიპენდია, კერძოდ, 4 თვის სტიპენდია და გზის ფული 1200 მანეთი თითოეულს“ (იხ. ნანეიშვილის პირადი საქმე), როგორც ავტობიოგრაფიაში აღნიშნავს, 1920 წლის დასაწყისში მიემგზავრება გერმანიაში და 1921 წლამდე ფრაიბურგში ისმენს ჰუსერლის ლექციებს. 1921—1923 წლამდე ბერლინის უნივერსიტეტში ისმენდა რუდოლფ

შტამლერის ლექციებს, ამავე დროს, უსმენდა სხვა ცნობილ იურისტებსა და ფილოსოფოსებს; შემდეგ გადავიდა დრესდენში. 1923 წლიდან ტოვებს გერმანიას და მიემგზავრება საფრანგეთში. პარიზში ვანაგრძობს მეცნიერულ მუშაობას.

უცხოეთში მყოფ ქართველ ახალგაზრდებს უჭირდათ იმ სულაერი ტრავმის გადატანა, რაც დაკავშირებული იყო სამშობლოსა და ახლობლებთან განშორებასთან. მათთვის ძნელი იყო უცხო გარემოში ყოფნა და ეს იწვევდა მათ სასოწარკვეთილებას. ამას ემატებოდა მატერიალური სიდუხჭირე. ამ პერიოდის ევროპა ინფლაციისა და კრიზისული სულისკვეთების ბატონობის არენაა. ეს უფრო აუტანელს სდიდა სასწავლებლად წარგზავნილთა ხვედრს. მათი გაჭირვებისა და სულაერი ტრავმის შესახებ ერთ-ერთი ასეთი წერილი გიორგი ნანეიშვილს გაუგზავნია ივანე ჯავახიშვილისათვის. ეს წერილი გამოგზავნილია პერიონიდან. სამეცნიერო მუშაობის გასაგრძელებლად პარიზში გადასვლის შემდეგ, წერილი დაახლოებით 1923 წლის ბოლოსაა დაწერილი. გ. ნანეიშვილი პარიზში 1923 წლის ზაფხულს გადავიდა. ივანეს წერილი კი, როგორც ჩანს, შემოდგომაზე გამოუგზავნა. საპასუხოდ ჯავახიშვილი სულიერად გამამხნეველ და დამამძღვრებელ წერილს სწერს ნანეიშვილს. მიუხედავად იმისა, რომ ჯავახიშვილი ძალზე დაკავებული იყო მის მიერ შექმნილი უნივერსიტეტის საქმიანობით და სამეცნიერო მუშაობით, ის ყურადღებას არ აკლდება რუსეთში თუ უცხოეთში მოსწავლე თუ მოღვაწე ქართველობას. ნანეიშვილისადმი წერილში ივანე წერს:

„დიდად პატივცემულო ბატონო გიორგი,

თქვენი წერილი მივიღე და მღელვარებით გადავიკითხე თქვენი გულწრფელი სულისკვეთებითა და დარდით გამსკვალული სტრიქონები. გარწმუნებთ, რომ ჩვენი უცხოეთის უნივერსიტეტებში მყოფ მოსწავლეს ახალგაზრდობისა და მით უმეტეს თქვენი, ჩვენ უნივერსიტეტთან დატოვებულ და წარგზავნილ პირთა, გაჭირვებული მდგომარეობა გაწუხებს და მოსვენებას არ მძლევს. ჩვენ კარგად ვიცით, რომ ის, რის გამოგზავნაც თქვენთვის ყოველთვიურად ჩვენ შეგვიძლიან, მანდ საცხოვრებლად სრულებით სამყოფი არ არის, მაგრამ ამიერკავკასიის ბონების ფასი ისე საშინლად ეცემა, რომ ინგლისურ ფულად სულ უფრო და უფრო ნაკლები ოდენობა ღებდა თქვენი თვითური სარგოს დახურდავების დროს. სათანადო ორგანოების წინაშე ჩვენ აღძვართი შუამდგომლობა, რომ თქვენი თვითური სარგო გადიდებული იყოს და იმედი მაქვს, რომ თქვენი ქონებრივი მდგომარეობის ცოტად მაინც გამოკეთებას მოვახერხებთ.

მე გთხოვთ ყოველგვარ გაჭირვებისდა მიუხედავად, გული არ გა-

იტეხოთ და მხნედ განაგრძეთ თქვენი სამეცნიერო მოღვაწეობისათვის სამზადისი...

იყავით ჭანმრთელად, გულგაუტეხლად...

გისურვებთ ყოველგვარ სიკეთეს. თქვენი წარმატების და ბედნიერების მოსურნე თვანე ჭავჭავაძევილი“.

საპასუხო წერილში გიორგი ნანეიშვილი წერს:

„ღრმად პატივცემულო ბ-ნო ივანე.

25 დეკემბერს მივიღე თქვენი ბარათი. თქვენ დაახლოებითაც კი ვერ წარმოიდგენთ, თუ რა სიხარული მოჰფინა თქვენმა წერილმა ჩემს გულს. 25 დეკემბერი ნამდვილი დღესასწაული იყო ჩემთვის. დიდი, სულ დიდი ხანია ამ რიგათ არაფერს გავუხარებდევარ. მიიღეთ ჩემი უღრმესი გულითადი მადლობა ყურადღებისათვის.

მე დარწმუნებული ვიყავი, რომ პირველმა ჩემმა წერილმა თქვენამდ ვერ მოაღწია, და ამიტომაც სამი კვირის წინათ მეორე დაზღვეული წერილი გამოგიგზავნეთ, რომელშიაც დაახლოებით იმავეს გწერდით. რასაც პირველ წერილში. იყავით ბ-ნო ივანე ღრმად დარწმუნებული იმაში, რომ მე ისე კარგად მაქვს შეგნებული ჩემი მოვალეობა, და იმდენათ ძლიერაა ჩემში სურვილი თქვენი ნდობის გამართლებისა, რომ ვფიქრობ, ვერაფერი ვერ შეასუსტებს ჩემს ენერგიას. მხოლოდ ის მიკლავდა გულს, რომ ხანდისხან ზედმეტად მიმაჩნდა ჩემი თავი, და თქვენი წერილის შემდეგ ისევ ვიგრძენი ნიადაგი ფეხქვეშ, ისევ აღიძრა ჩემში იმედები, ისევ გადამეშალა თვალწინ პერსპექტივა. განა წარმოვიდგენდი, რომ ერთი წერილი შეძლებდა ჩემი სულიერი სიმშვიდის აღდგენას!“

შემდგომ ნანეიშვილს ცხოვრებამ კიდევ ერთი მძიმე გამოცდა მოუწყო — გარდაეცვალა დედა, რომლის დასატირებლად და უკანასკნელ გზაზე გასაცილებლად შვილი ვერ ჩამოვიდა პარიზიდან. ამან კიდევ უფრო დაამძიმა ახალგაზრდა მეცნიერის სულიერი ვითარება, შატერიალურ გაჭირვებას კი ისედაც ზღვარი არ უჩანდა. დედა მას შატერიალურად ვერაფრით ეხმარებოდა, მაგრამ თავისებური სულიერი საყრდენი იყო შვილისთვის. მძიმე მატერიალური მდგომარეობის გამო ზოზო იძულებული გახდა, საავტომობილო ფირმა „სიტროენის“ ერთ-ერთ ქარხანაში დაეწყო მუშაობა. როგორც მისი პარიზელი მეგობრები იგონებენ, მას უმუშავია მანქანების მრეცხავად. ამ ვითარებას არ შეიძლებოდა დალი არ დაესვა მისი მეცნიერული მუშაობისთვისაც. დედის გარდაცვალებამ მეცნიერებაში მუშაობის ტემპი და ხალისი დაუკარგა, ამას დამატა მუშაობის გამო დროის უქონლობაც. მისი ცხოვრების ამ მძიმე ვითარებას ზოზო ისევ ივანეს უზიარებს, თანაც აცნობს თავის სამეცნიერო მუშაობას, ემზადება საქართველოში დასაბრუნებლად.

„ღრმად პატივცემულო ბ-ნო ივანე!

აგერ ერთ წელიწადზე მეტაა, ვცდილობ გამეცნო თქვენთვის ჩემი მდგომარეობა. ვის არ ვსთხოვე, ვის არ დავაბარე, მაგრამ როგორც ჩანს, არავის არ ჩჩებოდა დრო ჩემი თხოვნის შესასრულებლად. ვადაწყვიტე. პირადად თქვენ მოგმართოთ, იმედი მაქვს. ყურადღებით მოისმინეთ ჩემს თხოვნას, და პირველ შემთხვევისთანავე ამა თუ იმ პასუხს გამცემთ.

უკანასკნელად თქვენი წერილი მივიღე 1 იანვარს 1924 წ. ამ წერილიდან ჩანდა, რომ ჩემთვისაც მოინახებოდა სამუშაო ქართულ უნივერსიტეტში. ამ თქვენი წერილის შემდეგ მე გადავდგი ნაბიჯები ვიზის საშოვნად. ახლობელ პირთ მივმართე თხოვნით — მოეგვარებინათ ეს საქმე. რამდენადაც მე ვიცი, ზოგიერთი ზომა მანდ კიდევ იყო მიღებული. მაგრამ კავშირი ამ ხალხთან უეცრად შეწყდა და ჩემი დაბრუნების საკითხი გაყინულ წერტილზე შედგა. ყველაფრის ამის შემდეგ, განვლო ორმა წელიწადმა, პირადად ჩემს ცხოვრებაში ბევრი რამ შეიცვალა ამ ხნის განმავლობაში. მანდ დავეკარგე ადამიანი, დედაჩემი, რომელიც ჩემთვის არასფრის დამხმარებელი არ იყო და სწორედ ამ ადამიანის სიკვდილის შემდეგ მაქ აღარ მეგულებოდა, და ეხლაც არ მეგულება ადამიანი, რომელიც გულმოდგინედ იზრუნებდა სამშობლოში ჩემი დაბრუნების შესახებ. ეს მდგომარეობა მაიძულებს, პირადად თქვენ მოგმართოთ, რადგან ვიცი, თუ როგორ ახლოს გულთან ლეზულობთ თქვენ ყველა მათ მდგომარეობას, ვისი სურვილი ყოველთვის, მხოლოდ, იმაში მდგომარეობდა რომ სამშობლო მეცნიერებისათვის საჭირო გამხდარიყო. ჩემი ერთადერთი სურვილი იყო საქართველოს უნივერსიტეტში მუშაობა. ეს იყო სწორედ ის, რაც ჩემს ცხოვრებას მიზანს და შინაარსს ანიჭებდა. ასეთ სურვილს ჰქონდა შეფარებული თავისებური გეგმა მისი განხორციელებისა. მას შემდეგ, რაც მექნებოდა პასუხი უნივერსიტეტისა იმის შესახებ, რომ სამშობლო მეცნიერებისათვის მეც ზედმეტი არ ვიქნებოდი, აქ შევუდგებოდი დაბრუნების საკითხის მოგვარებას.

მე არ მინდა ვილაპარაკო იმ მდგომარეობაზე, რომელშიდაც ამჟამად ვიმყოფები. დაახლოებით მაინც გეცოდინებათ. გეცოდინებათ აგრეთვე ისიც, რომ ასეთ პირობებში ფიქრიც ზედმეტია სისტემატიური მეცნიერული მუშაობის შესახებ. თუ მე ყოველთვის მქონდა გადაწყვეტილი დაბრუნება, ეხლა პირდაპირ მოუთმენლად მოველი დღეს სამშობლოში გამობრუნებისას.

დამაჯვალეთ, კიდევ ერთხელ და უკანასკნელად და შემატყობინეთ, რა დანხარების გაწევა ამ საქმეში შეუძლია უნივერსიტეტს. წამოსასვლელად მესაჭიროება ვიზა და გზის ფული. პასპორტს აქ ავიღებ, თუ ვიზის და გზის ფულის საკითხი უნივერსიტეტისათვის ადვილად მოსა-

გვარებელია, მაშინ გთხოვთ აქონიოთ მხედველობაში ისიც, რომ მე მაქვს შექმნილი კარგი ბიბლიოთეკაც, რომლის გადმოსაგზავნათაც ერთგვარი თანხა არის საჭირო.

მე მინდა იცოდეთ, ღრმად პატივცემულო ბ-ნო ივანე, რომ მთელი იმ ხნის განმავლობაში, რომელიც მე ევროპაში ვარ, პოლიტიკურ ცხოვრებაში არავითარი მონაწილეობა არ მიმიღია. მთელი ჩემი ინტერესები მხოლოდ ჩემი საგნის გარშემო ტრიალებდნენ. ამასთან ერთად მე ერთი წუთითაც არ მიგრძენია კავშირის დაკარგვა უნივერსიტეტთან, რაც ცოტათ თუ ბევრად მიაღვილებდა ამ ჩემი მდგომარეობის ატანას. მიუხედავად იმისა, რომ მატერიალური ჩემი მდგომარეობა მეტის მეტი ცუდი იყო, მე მაინც არ გავწყვიტე კავშირი მეცნიერებასთან. რაღაცას მაინც ვაკეთებდი ამ უკახსკნელი წლინახევრის განმავლობაში და თუ დროზე მეღირსა დაბრუნება, ამ დროსაც დაკარგულად ვერ ჩავსთვლი. მხოლოდ ასეთი ტეირთი — ქარხანაში მუშაობაც და ბიბლიოთეკებშიც, ვგრძნობ მომავალში ჩემთვის აუტანელი იქნება, და ამიტომაც გთხოვთ დამეხმაროთ გამოვიდე ამ მდგომარეობიდან, რათა სხვებთან ერთად შევძლო სამშობლო მეცნიერებისათვის სამსახური“.

ნანეიშვილის პიროვნების დასახასიათებლად ნიშანდობლივია ის ფაქტიც, რომ ვერც მატერიალურმა სიდუხჭირემ და ვერც სულიერმა ტრავმებმა ვერ გატეხეს ახალგაზრდა კაცი. მას ერთხელაც არ დაუთმია თავისი იდეალი და არ დახარბებია მდგომარეობის გამოსწორებას. მას ერთი მიზანი ამოძრავებდა — რაც შეიძლება მტკიცედ დაუფლებოდა მეცნიერების საფუძვლებს და მალე დაბრუნებულიყო სამშობლოში, რათა გაეწია ის სამსახური, რომელიც შეილისაგან ეკუთვნის მშობელს. ზოზო ნანეიშვილს აინტერესებს, ცოდნის იმ სფეროებიდან, რასაც ის დაუფულა უცხოეთში, რომელი შეიძლება გამოადგეს სამშობლოში, რით შეუძლია ემსახუროს აღორძინებულ ქართულ მეცნიერებას და უმაღლესი განათლების კერას. ფიქრობს, რომ მისი სპეციალობა სამართლის ფილოსოფია, მაგრამ შეუძლია მუშაობა საერთაშორისო სამართლის, სამართლის ზოგადი თეორიის და სამართლის სოციოლოგიის სფეროშიც. მას პარიზში უკვე მზად ჰქონდა რამდენიმე მეცნიერული ნაშრომი, მაგრამ უფულობის გამო ისინი ვერ გამოსცა და დიდ იმედებს ამყარებდა თბილისის უნივერსიტეტზე, თუ საერთოდ საქართველოს საგამომცემლო ბაზებზე. ნანეიშვილის ქვემოთ მოტანილი წერილი ვრცელია, მაგრამ კარგად ახასიათებს მისი მე-ს და მეცნიერული პროფილის ჩამოყალიბებას.

„ღრმად პატივცემულო ბატონო ივანე!

ამა თვის 15-ს მივიღე თქვენი დაზღვეული წერილი. ვერ აღვიწერთ, რა მღელვარებით მოველოდი მას. ამ 6 წლის განმავლობაში სულ რა-

მოდენიზე ბედნიერი წუთები მასსოვს და ეს უქანასკნელუბი უმთავრესად თქვენი წერილებით ყოფილა გამოწვეული.

რაც შეეხება იმ მონათესავე საგანს, რომლის შესახებ თქვენ მეკითხებით, ძნელია. -- სანამ არ ვიცი, თუ რა საგნები არ არის ამოშლილი სოციალურ-ეკონომიური საგნების სიიდან, -- რაიმე გარკვეული პასუხის შემოთვლა. ამ წერილთან ერთად ვუგზავნი ბარათს ბ. შალვა ნუცუბიძეს. რომელსაც ესთხოვ საჭირო ცნობების შემოთვლას. თუ მისგან პასუხი მივიღე, მაშინ მეც მოვახერხებ გარკვეული პასუხის შემოთვლას. საერთოდ კი უნდა აღვნიშნო, რომ ჩემი საგანი, რომელიც სამართლის წმინდა ფილოსოფიისაგან და სოციალურ-პოლიტიკური დოქტრინების ისტორიისაგან შედგება, ორგანულად გადაბმულია სახელმწიფოს სამართალთან და საერთაშორისო სამართლის საერთო თეორიულ ნაწილთან.

მას შემდეგ, რაც იურისპრუდენცია და ფილოსოფია ხანგრძლივად გაყრის შემდეგ კვლავ დაუახლოვდნენ ერთმანეთს, შეუძლებელია, იმან, ვინც ერთ რომელიმეს ამ საგანთა შორის ძირითად საგნად აირჩევს. იმავე გაღრმავებულ ყურადღებით, რომლითაც ის მიპყრობილი თავის ძირითად საგანზე, არ მოეპყრას ორ დანარჩენს. შემთხვევითი როდია, რომ საუკეთესო, ახალი მონოგრაფიები საერთაშორისო სამართლის ბუნების შესახებ სამართლის ფილოსოფოსებს ეკუთვნის.

პირადათ მე ამ 6 წლის განმავლობაში ვმუშაობდი ამ სამ საგანზე. საერთაშორისო სამართლიდან დაშლევებული მაქვს ფრიად მნიშვნელოვანი საკითხი საერთაშორისო სამართლის Primal-ის შესახებ რომელსაც როგორც კი ამოვძვრები ამ მდგომარეობიდან, რომელშიდაც ამეამად ვიმყოფები, აუცილებლად გამოვეყვ. ჩემ საციალურ დარგიდან კი დაწერილი მაქვს რიგი წერილებისა, და აგრეთვე ერთი დიდი შრომა ეროვნული საკითხის შესახებ, რომლის გამოცემა ბ-ნ ზურაბის წინასიტყვაობით კიდევ შარშან ვაპირებდი, მაგრამ უფულობამ აქაც განზრახვაზე ხელი ამაღებინა. დარწმუნებული ვარ, რომ მანდ სულ სხვა პირობებში ვიქნები, და ბევრ ჩემს გულისწადილს უფრო ადვილად განვახორციელებ.

ჭერჭერობით, ღრმად პატივცემულო ბ-ნო ივანე, მხოლოდ შემდეგი პასუხის გაცემა შემიძლია. რა თქმა უნდა, თუ რამ საშუალება მომიცემოდა ჩემს დარგში, ესე იგი სამართლის წმინდა ფილოსოფიის და სოციალურ-პოლიტიკური დოქტრინების სფეროში მუშაობა ყველაფერს ემჭობინებოდა. მაგრამ თუ, როგორც ბრძანებთ, ეს საგანი ამოშლილია სოციალურ-ეკონომიური საგნების სიიდან, მაშინ სიამოვნებით და გაბედულად ვიჭისრებდი მუშაობას ამ ზემო დასახლებულ საგნებში (თუ, რა თქმა უნდა, ეს საგნებიც ამოშლილი არ არის).

რას თქმა უნდა, სხვა პირობებში რომ ვიყო, შეიძლებოდა დაცდა, სანამ ჩემს საგანს დაადგენდნენ. მაგრამ ჩემს მდგომარეობაში დაცდა მხოლოდ გაცდენას ნიშნავს. პირველ წერილში გწერდით, ისეთ მდგომარეობაში ვიმყოფები, რომ ძნელია, თითქმის შეუძლებელია ფიქრიც კი სისტემატიურ მეცნიერულ მუშაობის შესახებ. ბევრი რამ საყურადღებო რამის გადათავალიერება ნაციონალურ ბიბლიოთეკაში მესაჭიროება, მაგრამ ვერ ვპოულობ თავისუფალ დროს იქ შესარბენად.

მე სრულებითაც არ მინდა, თქვენ იფიქროთ. რომ მხოლოდ გაჭირვებამ და უკიდურესმა მდგომარეობამ. მამრუნებინა პირი სამშობლო უნივერსიტეტისაკენ. ჩემი პირი და გული ყოველთვის მისკენ იყო მიმართული და გრძნობა იმისა, რომ როდესმე მეც თქვენთან ვიქნებოდი, ბევრი რამის ატანას მიაღვილებდა. ბევრ რამეზედ, რაც ჩემ შატუ-რიალურ მდგომარეობას საგრძნობლად გამოაკეთებდა, მითქვამს უარი, მხოლოდ იმისათვის, რომ არ დამეკარგა უფლება სამშობლოში დაბრუნებისა და მანდ კი სამშობლოს უნივერსიტეტში მოღვაწეობისა. მე მინდა, რომ თქვენ, განსაკუთრებით თქვენ, ღრმად პატივცემულა ბნო ივანე, ამ ჩემ გულწრფელობაში და ჩემ პატიოსნურად მოვალეობის შეგნებაში არავითარი ეჭვი არ ექონდეთ.“

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ივანე ჯავახიშვილი ზრუნავდა ყველა ქართველზე, რომლებიც უცხოეთში თუ რუსეთს იყვნენ წასული უმაღლესი განათლების მისაღებად. დიდ ივანეს ეს ჯერ კიდევ უნივერსიტეტის შექმნამდე ახასიათებდა. ამის საბუთია მის მიერ შედგენილი ანკეტები და სოციოლოგიური გამოკითხვა ქართველთა სათვისტომოებს შორის. როცა უნივერსიტეტი ჩამოყალიბდა, ივანემ იზრუნა უნივერსიტეტის კადრების აღზრდაზე და თვალყურს ადევნებდა სასწავლებლად თუ სამეცნიერო მუშაობისათვის გაგზავნილთა საქმიანობას. ამავე დროს, იგი დიდად მომთხოვნი და ობიექტური იყო ყველას მიმართ. ამას ადასტურებს გ. ნანეიშვილის ისტორიაც. ივანემ, როცა დარწმუნდა, რომ ზოზო ნანეიშვილი არ აგზავნიდა ანგარიშებს უცხოეთში თავისი სამეცნიერო მუშაობის შესახებ, მიუხედავად მისდამი დიდი თანაგრძნობისა, წამოაყენა წინადადება, ნანეიშვილისათვის სტიპენდიის შეწყვეტის შესახებ. 1925 წელს თბილისის უნივერსიტეტმა ნანეიშვილს და ემხვარს შეუწყვიტა სტიპენდიის მიცემა იმის გამო, რომ მათი საქმიანობის შესახებ ანგარიში არ გამოუგზავნიათ. 1925 წლის 26 მარტს თსუ გამგეობის სხდომაზე უნივერსიტეტის რექტორმა შეიტანა წინადადება — ამორიცხულ იქნეს უნივერსიტეტში დატოვებულთა სიიდან ევროპაში მყოფი გ. ნანეიშვილი, რომელიც არავითარ ცნობებს არ იძლევა და ვ. ემხვარი ხანგრძლივი დროის ანგარიშის წარმოდგენლობის გამო. ეს წინადადება მიღებულ იქნა და დაადგინეს, გადაწყვეტილება ეცნობოს აღნიშნულ პირებს (იხ. არქივი).

1926 წლის სექტემბერში ნანეიშვილი დაბრუნდა საქართველოში. 1926 წლიდან ის იწყებს თბილისის უნივერსიტეტში ბურჟუაზიულ სახელმწიფოთა წყობილების კურსის კითხვას, 1928 წელს კი დაეკისრა სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილის კითხვაც (curriculum vitae). ამავე წლებში ის შეთავსებით მუშაობს საქართველოს სახკომსაბჭოთა იურისკონსულტად. ნანეიშვილის პირველი გამოქვეყნებული შრომა თარიღდება 1918 წლით. იგი ეხებოდა აღმინისტრაციული მართვის საკითხებს. ფაქტობრივად მისი სამეცნიერო მოღვაწეობა გაიშალა 1926 წლიდან, როცა დაბრუნდა საქართველოში.

1929 წელს გამოქვეყნდა ნაშრომი „სამართლის სუბიექტის შესახებ“, მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი იყო, ალბათ, სადოქტორო დისერტაციად წარმოდგენილი „სამართლის ნამდვილობა და ნორმატიული ფაქტები“, რომელიც 1930 წ. გამოვიდა. იმავე წელს იცავს გ. ნანეიშვილი სადოქტორო დისერტაცია. თბილისის უნივერსიტეტის სოციალურ-ეკონომიური ფაკულტეტის 1930 წლის 11 აპრილის საჯარო სხდომას ოქმში წერია: „სოციალურ-ეკონომიური ფაკულტეტის საბჭოს სხდომამ მოისმინა საჯარო პაექრობა გ. ა. ნანეიშვილის დისერტაციის გამო — „სამართლის ნამდვილობა და ნორმატიული ფაქტების დასაბუთების ცდა“, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს: დოც. ირაიდონ სურგულაძემ, დოც. ლუარსაბ ანდრონიკაშვილმა, პროფ. შ. ნუცუბიძემ და სტუდენტმა არველაძემ და ერთხმად დაადგინეს — დისერტაციის დაცვა ჩაითვალოს დამაკმაყოფილებლად და გ. ნანეიშვილს მიენიჭოს სამართლის დოქტორის ხარისხი“. ოქმს ხელს აწერენ: ფაკულტეტის დეკანი ა. ერქომაიშვილი, ლუარსაბ ანდრონიკაშვილი, ი. სურგულაძე, შ. ნუცუბიძე, ფ. გოგიჩაიშვილი, ლ. ასათიანი ბ. რამიშვილი, დ. უზნაძე, შ. შურლაია, ა. ინწყირველი. ორი წლის შემდეგ გ. ნანეიშვილს მიენიჭა პროფესორის წოდება. სამეცნიერო წოდებას და ხარისხებსაც მაშინ ანიჭებდა რესპუბლიკის განათლების სახალხო კომისარიატის საკვალიფიკაციო კომისია, განსხვავებით შემდგომისაგან, როდესაც ყველაფერი წოდების და ხარისხის მინიჭების უფლება კონცენტრირებული იქნა საკავშირო უმაღლეს საატესტაციო კომისიის ხელში. ვფიქრობ, ეს იყო უკან გადადგმული ნაბიჯი იმ უფლებებთან შედარებით, რაც სსრკ-ის შექმნის პირველ წლებში ჰქონდა მინიჭებული რესპუბლიკებს. ის, რაც წლების მანძილზე რესპუბლიკების კომპეტენციაში შედიოდა და წარმატებითაც წყდებოდა, გადაეცა საკავშირო ორგანოებს, ხან უმაღლესი განათლების სამინისტროს, ხან მინისტრთა საბჭოს, მაგრამ უკეთესი შედეგები არ ჩანდა. მას შემდეგ, რაც რესპუბლიკებს წაართვეს სამეცნიერო კვალიფიკაციის მინიჭების უფლება, სანუგეშოდ ის დარჩათ, რომ შეეძლოთ დისერტაციები მშობლიურ ენაზე დაეწერათ და მხოლოდ რეფერატები მზადდებოდა რუ-

სულ ენაზე. ბოლო დროს ესეც დაიკარგა, დისერტაცია აუცილებლად რუსულ ენაზე უნდა ყოფილიყო დაწერილი. მართალია, ამ საქმესთან დაკავშირებულ ხარჯებს სახელმწიფო თავის თავზე იღებდა, მაგრამ ეს არაა არც პიროვნების და არც რესპუბლიკის უფლებების გაფართოება და არც ამ დარგში მოკავშირე რესპუბლიკებისათვის წართმეული უფლებების საზღაური. შეიქმნა კურორტული ვითარება: რესპუბლიკაში ძირითადი ეთნოკულტურის მშობლიური ენა განისაზღვრებოდა სახელმწიფო ენად. ამავე დროს, დისერტანტი იძულებული იყო დისერტაცია და ყველა საბუთი გაემზადებინა რუსულად და გაეგზავნა მოსკოვში. როგორ მოხდა, რომ რევოლუციიდან 70 წლის გასვლის შემდეგ უფლებები, რომლებიც რევოლუციის 10 წლისთავზე ჰქონდა რესპუბლიკებს, გადაეცა ცენტრს. აქამად ვითარება გამოსწორდა.

გ. ნაწიშვილის სადოქტორო დისერტაციაზე რეცენზიები დაწერეს ლ. ანდრონიკაშვილმა და შ. ნუცუბიძემ. ორივე ავტორი ზედმეწიფებით კარგად იცნობს ნაწიშვილის ნააზრევს და საფუძვლიანად იხილავს მას. ჩვენთვის განსაკუთრებული მნიშვნელობისაა ნუცუბიძის რეცენზია, რადგან სწორედ ამ გზით ხდება გასაგები ნაწიშვილის ნაშრომში დაყენებული პრობლემების ფილოსოფიური მნიშვნელობა. 1926 წლიდან 1936 წლამდე ნაწიშვილმა 30 შრომა შექმნა. მათგან, აღნიშნულის გარდა, განსაკუთრებული მნიშვნელობის იყო „ერთი წიგნის მეთოდოლოგიასათვის“ — 1931 წ., „ფსიქოლოგიური თეორიის ემოციონალურ-აპრიორული საფუძვლები“ (ეს და ყველა სხვა ქვემოთ ჩამოთვლილი შრომა უნივერსიტეტის გამოცემლობაში უნდა დაბეჭდილიყო). „ხალხის ცნება ბურჟუაზიულ სამართლის ფილოსოფიაში“, „სახელმწიფოს ადენტობის და რევოლუციის პრობლემა ნეოკანტიანურ ფილოსოფიაში“, „მოსამართლეთა თავისუფალუფლებრივი შემოქმედების პრობლემა ბურჟუაზიულ სამართლის ფილოსოფიაში“, „ბურჟუაზიული სამოქალაქო სამართლის აპრიორული საფუძვლები“ (რეანხის სამართლის ფილოსოფიასთან დაკავშირებით). მათგან ყველა დაიკარგა ერთის გარდა, რომელიც შემთხვევით გადაჩრა. ეს ის წერილია, რომელიც პაატა გუგუშვილის წერილთან ერთად იბეჭდებოდა უნივერსიტეტის შრომებში და გუგუშვილს თავის შრომების კორექტურასთან ერთად გამოჰყვამ. ის მან შეინახა და ნაწიშვილის რეაბილიტაციის შემდეგ გამოაქვეყნა. აღნიშნულის გარდა ნაწიშვილს ხელნაწერის სახით მზად ჰქონდა „ბურჟუაზიული სამართლის ფილოსოფიის საფუძვლები“ (ბურჟუაზიულ სახელმწიფოთა სამართლის ეთიკური გამართლების ხერხები). შრომა კათედრას წარუდგინა საკონკურსოდ. მასზე უარყოფითი რეცენზია დაბეჭდა ასპირანტმა ი. ფანცხავამ ყურნალ „მნათობის“ 1929 წლის მეათე ნომერში. რეცენზია უვიცი ავტორის დაწერილი იყო და ნაწიშვილმა ის საფუძვლიანად გააკრიტი-

კა. მან ფეკულტეტს მოსთხოვა, იმუანდგომლოს ჟურნალის რედაქციაში პასუხის დაბეჭდვის შესახებ. 1930—1936 წლებში ნანეიშვილი წერს მრავალრიცხოვან წერილებს კონსტიტუციის შესახებ, მცირე მოცულობის შრომებს ქართული ენციკლოპედიისათვის. ამ პერიოდის მისი მოღვაწეობიდან ერთ-ერთი მნიშვნელოვანი იყო პოლემიკა იროდიონ სურგულაძესთან. ქართულ აზროვნებაში პოლემიკა იშვიათი მოვლენა. არ ყოფილა ფილოსოფოსებისა და ხელოვნების მუშაკთა წრეებში. თითქოს არც სამართლის თეორიის დარგის მუშაკები იყვნენ ხელმოკარულნი. მაგრამ ამ დონის პოლემიკა სამართლის თეორეტიკოსებს შორის არ ყოფილა არც მანამდე და არც მას შემდეგ. ნანეიშვილის მოღვაწეობა დაემთხვა საბჭოთა სამართლის ჩამოყალიბებას. როგორც რეისნერი აღნიშნავს, ეს იყო საბჭოთა სამართლის ჩამოყალიბება და „ახალი საბჭოთა იურისპრუდენციის გაფურჩქვნა“¹.

რეისნერის მტკიცებით, აქ ისეთსავე სასწაულთან გვეკონდა საქმე, როგორც ბიბლიურ წინასწარმეტყველთან, რომელმაც მკვდარი ძვლების მთელი ველიდან აღადგინა ადამიანები — „შეიარაღებულნი ადამიანის სულის და სხეულის ყველა თვისებით. სწორედ რაღაც მსგავსი შეიძლება დავაფიქსიროთ ჩვენი იურისპრუდენციის სფეროში — სამართლებრივი იდეოლოგია მკვდრებით აღდგა“. ამ მკვდრებით აღმდგარი სამართლებრივი იდეოლოგიის ერთ-ერთი ფორმა იყო ნანეიშვილის შრომები, მაგრამ, სამწუხაროდ, ბოროტმა სძლია კეთილს და სამართლის იდეოლოგია, სამართალიც და მისი წარმომადგენლებიც ერთად იქნენ დამარხული.

ნანეიშვილს ფართო სამოღვაწეო ასპარეზი ჰქონდა და გარშემორტყმული იყო მეგობართა დიდი წრით, რომელშიც შედიოდნენ ფილოსოფოსები, ისტორიკოსები, ხელოვნების მუშაკები, იმდროინდელი ქართველი ინტელიგენციის თითქმის ყველა სახელოვანი წარმომადგენელი, მაგრამ, როცა დადგა საქართველოში განუკითხაობის ხანა, ის მსხვერპლი გახდა იმ უაზრო რეპრესიათა ფართო ტალღის, რომელმაც განადგურა ქართველი ინტელიგენცია. ნანეიშვილის წიგნის რუსული გამოცემის წინასიტყვაობაში წერია, რომ ის მოკვდა. 43 წლის ასაკში 1937 წელს. სინანდვილეში ნანეიშვილი კი არ მოკვდა, — მოკლეს და ამ ორ სიტყვას შორის, თუმცა მათ საერთო ძირი აქვთ დიდი განსხვავება. როცა ადამიანი თავისი სიკვდილით კვდება, არავინაა დამნაშავე, მაგრამ როცა მას კლავენ, დანაშაულს ჩადიან და სირცხვილია, რომ ამ დანაშაულის ჩადენიდან ნახევარი საუკუნის შემდეგაც კი ვმაღავთ ამ დანაშაულს, „ნამუსს“ ვუნახავთ მკვლელებს და ამას აკეთებენ სამართლის დარგის მეცნიერები თუ მუშაკები. ეს შეი-

¹ Рейснер, Право, Ленинград, 1925, стр. 5.

ძლება ნიშნავდეს იმას, რომ ისინი ისევ მოელაჩნ განვლილ ტრადიციულ სიტუაციას, კიდევ ცდილობენ შეალამაზონ ის, რისი შელამაზებაც შეუძლებელია იმათ წინაშე, ვინც მოაკლდა ოჯახს, ხალხს, საზოგადოებას. დღეს ჩვენ მოვითხოვთ უდანაშაულო მსხვერპლთათვის ძეგლების აგებას, მათს სახელზე ღია საფლავის გაკეთებას. ეს ყველაფერი უნდა გაკეთდეს არა იმიტომ, რომ მათ ეს სჭირდებათ, არამედ იმისთვის, რომ მათ ძეგლებს თუ საფლავს თვალი ვერ გაუსწორონ იმათ, ვინც ისინი გაწირა და იმათაც, ვისაც მსგავსი პოტენცია გააჩნია.

განვიხილოთ გ. ნანეიშვილის სამართლის ფილოსოფიური ნააზრევის ის ნაწილი, რომელიც შემოგვჩა და მოსაზრებანი, რომელიც გამოითქვა მაშინდელ მეცნიერთა წრეში.

საქართველოში დარგობრივი სოციოლოგიური კვლევის სათავეებთან დგანან: არჩილ ჯორჯაძე, რომელმაც გააგრძელა ილია ჭავჭავაძის ტრადიციები და პრესის სოციოლოგიის საკითხები იმ დონეზე დაამუშავა, რა დონეზედაც ეს გააკეთა პრესის სოციოლოგიის ფუძემდებელმა მაქს ვებერმა XX საუკუნის დასაწყისში; კონსტანტინე კაპანელი, რომელიც ლიტერატურის სოციოლოგიის პრობლემებს ევროპელთა პარალელურად ამუშავებდა, განსაკუთრებით ფრიჩეს ხელოვნების სოციოლოგიის პარალელურად და წინ გასწრებითაც კი დაამუშავა ისინი; კიტა მეგრელიძე, რომელმაც ცნობიერებისა და შემეცნების სოციოლოგიის პრობლემების დასმასა და გადაწყვეტაში თავის ეპოქას გაუსწრო და რომლის შრომა დღევანდელი ეპოქის მოთხოვნებს უპასუხებს; გიორგი ნანეიშვილი, რომელმაც შეძლო სამართლის, ფილოსოფიის და სოციოლოგიის პრობლემათიკის პიონერი გამხდარიყო საქართველოში და ეს პრობლემათიკა დაეყენებინა ევროპული აზროვნების დონეზე. სამართლის ფილოსოფიი კლასიკურ მეცნიერებათა რიგს მიეკუთვნება. რაც შეეხება სამართლის სოციოლოგიას, იგი ჩვენი საუკუნის 20-იან წლებში ჩაისახა ევროპაში და მხოლოდ 50-იან წლებში ამერიკელ მოაზროვნეთა შრომებში გამოიყო ცალკე დარგად; მას შემდეგ, რაც სამართლის სოციოლოგიამ ძირითადად ემპირული განზომილება მიიღო, სამართლის თეორიული განხილვის ნაცვლად დაამკვიდრა სამართლის ცხოვრებაში ფუნქციობას შემეცნება. მანამდე სამართლის სოციოლოგია არ იყო გამოყოფილი სამართლის ზოგადი თეორიისა და სამართლის ფილოსოფიის პრობლემებისაგან. ჩვენში ეს პრობლემათიკა დღესაც ერთი განზომილების მქონედ არის მიჩნეული. როგორც ზიკოვი და ტუმანოვი წერენ — „სამართლისადმი მარქსისტული მიდგომა მონისტურად აერთიანებს თავისში მის ფილოსოფიურ, სოციოლოგიურ და საკუთრივ იურიდიულ ანალიზს. ის მოიცავს კონკრეტულ-სოციოლოგიურ მეთოდთა ფართო გამოყენებასაც, განსა-

კეთრებით ისეთი პრობლემების შესწავლისას, როგორცაა დანაშაულის მიზეზები და სხვა სამართალდარღვევათა თუ იურიდიულ დავათა სფეროება; საზოგადოებრივი აზრი და სამართალი, მართლშეგნება და მართლმსაჯულება და სხვა. მეთოდოლოგიური პრობლემების დამუშავება, რომლებიც დაკავშირებულია სამართალში კონკრეტულ-სოციოლოგიურ მეთოდთა გამოყენებასთან, ხორციელდება როგორც სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი თეორიის ფარგლებში (ამ ნაწილში მას ზოგჯერ უწოდებენ სამართლის სოციოლოგიასაც), ასევე მარქსისტულ სოციოლოგიაში¹.

არ არის ალბათ გასაკვირი, რომ 20-იანი წლების ბოლოს ამ საკითხებზე მომუშავე ნაწიში თავს თელის სამართლის ფილოსოფიის წარმომადგენლად (იხ. ნაწიში წერილი ჯავახიშვილისადმი), ასევე სახელმწიფოს და სამართლის თეორიის სპეციალისტად და არაფერს ამბობს სამართლის სოციოლოგიაზე. როგორც აღვნიშნეთ, ეს უკანასკნელი მაშინ ევროპაში, როგორც ცალკე დარგი, არც არსებობდა. დღესაც არ არის სამართლის ფილოსოფია, სამართლის თეორია და სამართლის სოციოლოგია ერთმანეთისაგან გამოყოფილი და რა გასაკვირია, თუ მაშინ ნაწიში არ თვლიდა თავის თავს სამართლის სოციოლოგიის წარმომადგენლად. სამწუხაროდ, ჩვენში, როგორც ზემოთაც ვნახეთ, ამჟამადც არ დგას პრობლემა ცოდნის ამ სფეროთა შორის მიმართების გარკვევის და მისი არსებობის უფლების დასაბუთებისა. ყოველ შემთხვევაში, ერთი რამ ფაქტია, — ნაწიში შრომაში ერთნაირადაა წარმოდგენილი სამართლის ზოგადი თეორიის, სამართლის ფილოსოფიის და სოციოლოგიის პრობლემები. აქვე უნდა შევნიშნოთ, მარქსიზმში დღესაც არ არის გამოყოფილი არა მარტო სამართლის სოციოლოგია, არამედ სამართლის ფილოსოფია და სამართლის ზოგადი თეორია. სამართლის ფილოსოფიის შესახებ ენციკლოპედიის წერილში ტუმანოვი ამტკიცებს: „სამართლის მარქსისტული ზოგადი თეორია გამოდის როგორც სამართლის ფილოსოფია“. ამის დასასაბუთებლად მას ის მოტივი მოყავს, რომ სამართლის თეორიული საკითხების გადაწყვეტა ხდება მარქსისტული ფილოსოფიის საფუძველზე. თუმცა ზოგიერთი ავტორი მოითხოვს სამართლის თეორიის და სამართლის ფილოსოფიის გამოყოფას, ძირითადი ტენდენცია დღეს ჩვენს ქვეყანაში ისეთია, რომ ეს გამოყოფა არ ხდება. არაა გასაკვირი, რომ ამ სფეროსადმი დიფერენცირებული მიდგომა არ პქონდა 20-იანი წლების ავტორს. სამაგიეროდ, ის განიხილავდა პრობლემებს, რომლებიც მაშინ და შემდეგაც კარგა ხნის განმავლობაში, საერთოდ არ იყო მიჩნეული მარქსისტულად — ესაა აქსიოლოგიის პრობლემატიკა. ღი-

¹ Философская энциклопедия, т. 5. Москва, 1979, стр. 102.

რებულებისა და ხორმის მიმართების, ნორმატიულისა და ფაქტობრივის დამოკიდებულების, სამართლის ღირებულების შუქზე განხილვის და სხვა. ეს პრობლემატიკა, მაშინდელ გერმანიაში ხომ აქტიურად ვითარდებოდა და სწორედ მისი მასწავლებლების — ჰუსერლის, ჰაიდეგერის, რაინახის, შტამლერის და სხვათა მიერ; ნანეიშვილმა მათგან მიიღო და გადმოიტანა ქართულ ნიადაგზე. ამავე დროს, კიტა მეგრელიძის მსგავსად, ნანეიშვილიც ფენომენოლოგიურად უდგება შესაბამის სფეროს, სამართლის მოვლენებს და ფენომენოლოგიურ მეთოდს იყენებს სამართლის შემეცნებობათვის, მისი იდეალური პირველსაფუძვლების დასადგენად. შემთხვევითი არ არის ის გარემოება, რამ გ. ნანეიშვილი, კ. ბაქრაძე, კ. მეგრელიძე უსმენდნენ ჰუსერლს და ნანეიშვილი განსაკუთრებით დაინტერესდა ექსისტენციალიზმით. ამ მიმართულების დამფუძნებელ ჰაიდეგერის შრომამ — „ყოფიერება და დრო“ — მიიქცია მისი განსაკუთრებული ყურადღება. საინტერესოა, რომ გერმანიაში ნამყოფი ქართველი ფილოსოფოსებიდან ყველას არა, მაგრამ ზოგიერთს ნანეიშვილის გარდა, ეს წიგნი ჰქონდათ პირად ბიბლიოთეკაში, მაგრამ მასზე დიდი ყურადღება არ შეუჩერებიათ. დღეს ამ წიგნის ნანეიშვილისეული ეგზემპლარი თსუ ბიბლიოთეკის საკუთრებაა. ამ წიგნის გვერდები ისეა აჭრელებული ნანეიშვილის შენიშვნებით, რომ მასზე და მის საფუძველზე მთელი შრომის დაწერა შეიძლება. როგორც ამბობენ, ნანეიშვილი კალმით ხელში კითხულობდა ამ წიგნს და ყველა ფუნდამენტური მოსაზრების მიმართ თანხმობას ან უთანხმოებას გამოთქვამდა. ის ფაქტიც, რომ მან სამართლის პრობლემები ფენომენოლოგიური მეთოდით განიხილა, გარკვეულწილად ამ წიგნის გავლენითაც არის გამოწვეული, რადგან სწორედ ამ წიგნშია ნაჩვენები, რომ ექსისტენციალური პრობლემები ფენომენოლოგიური მეთოდით უნდა იყოს განხილული. ნანეიშვილის პრობლემებიც ხომ არსებობის ფორმებს ეხებოდა. და არსებობის ექსისტენციალური ფენომენოლოგია როგორც სამართლის, ისე ფაქტების მიმართ, ნანეიშვილმა ერთადერთ მეთოდოლოგიურ გზად აირჩია. რასაკვირველია, ძირითადი გავლენა მაინც ჰუსერლიდან მოდის. ეს მეთოდი ხომ ჰუსერლისაა. აზროვნების მიმართულებაც ჰუსერლის გავლენას განიცდის. ჰუსერლმა ლოგიკის ნორმატივისტული ინტერპრეტაციის კრიტიკა შეავსო სამართლის ნორმატივისტული თეორიების კრიტიკით. მან უარყო ფსიქოლოგობში შემეცნების თეორიაში, ლოგიკაში და სამართალში, რომელმაც ფენომენოლოგიური ანალიზის მეთოდის შექმნით საფუძველი მოუშადა სამართლის ექსისტენციალისტურ ფილოსოფიას. მისი იდეები განავითარეს რაინახმა, ჰაიდეგერმა და სხვა ექსისტენციალისტებმა თუ ფენომენოლოგისტებმა და ამ გზაზე მოძრაობს ნანეი-

შვილის აზროვნება, რომელიც უკუაგდებთ სამართლის ფსიქოლოგისტურ, ნორმატივისტულ, რელატივისტურ კონცეფციებს. ნანეიშვილი მიზნად ისახავს ფაქტისა და ნორმის ანალიზს. განსაკუთრებით აინტერესებს ფაქტისა და ფაქტობრივის საკითხი. თავის პროგრამას ამ დარგში ის შემდეგნაირად გვამცნობს: „ფაქტიურის საკითხი ყოველთვის იდგა ფილოსოფიურ სისტემათა ცენტრში. თანამედროვე ფილოსოფიის საკითხთა შორისაც მას ერთ-ერთი მთავარი ადგილი უჭირავს, ხოლო განსაკუთრებულ ყურადღებას მას ფენომენოლოგიური მიმართულების წარმომადგენელი აქცევენ. მართო ეს გარემოებაც კმარა იმის გასაგებად, რომ ჩვენი საკითხი უაღრესად მნიშვნელოვანი და აქტუალურია. ავიტომ სამართლის მეცნიერებასაც, რომელსაც ფაქტების ნორმატიული ძალის პრობლემასთან უშუალო კავშირი აქვს, არ შეუძლია აღნიშნული საკითხი უყურადღებოდ დატოვოს“¹. საკითხის მნიშვნელობის გაანალიზების შემდეგ ავტორი გადადის პრობლემასთან დაკავშირებული სიძნელეების გააზრებაზე. იმ ამოცანის გადაწყვეტაზე, რაც წინ უდგას ფაქტის ამხსნელს. პრობლემა ძირითადად არსებობის ბუნებას ეხება. არსებობა მიეწერება მხოლოდ ფაქტს, თუ ნორმაც არსებობს. თუ გავიხსენებთ ექსისტენციალური მსჯელობის ჰაიდეგერი-სეულ ანალიზს — დებულება იმის შესახებ, რომ ფაქტი არის, ან ნორმა არის, ნიშნავს თუ არა ყოველთვის იმის მტკიცებას, რომ ფაქტი, არსებობს და ნორმა არსებობს, თუ „არის“ — ის პრედიკატი ყოველთვის არ არის არსებობის მაჩვენებელი.

საინტერესოა, რომ ამ საკითხის ანალიზი ჰაიდეგერამდე იმავე ევროპული აზროვნების მასალასა და დონეზე გაკეთებული აქვს დიმიტრი უზნაძესაც. ამ ტრადიციას აგრძელებს ნანეიშვილიც. მაშასადამე, საკითხი დგას ფაქტისა და ნორმის არსებობის შესახებ. ისინი ერთი და იმავე წესით არსებობენ, თუ არსებობის განსხვავებული წესები გარჩნათ? იქნებ, არსებობა მიეწერება მხოლოდ ფაქტს. ყოველ შემთხვევაში, აუცილებლად უნდა დადგინდეს, რას ემყარება სამართლებრივი ნორმის ძალა ფაქტის მიმართ. არის თუ არა ეს ნორმა ის, რასაც ჩვენ ღირებულებას ვუწოდებთ, თუ ნორმა განსხვავებულია ღირებულებებისაგან? იქნებ ღირებულება ისაა, რაც ნორმიდან გამომდინარეობს, მაგრამ ნორმას არ წარმოადგენს? ყველა შემთხვევაში უნდა გაეცეს პასუხი კითხვას — რატომ? რატომ და რის საფუძველზე შეიძლება ნორმის და ღირებულების განსხვავება ან გათვითქმევა. რა არის ის, რაც ღირებულებასა და ნორმას ხდის იმად, რაც არის და რა აკავშირებს მას ფაქტთან. არის თუ არა ღირებულება და ნორმა ისეთივე ბუნებრივი

¹ გ. ნანეიშვილი, „სამართლის ნამდვილობა და ნორმატიული ფაქტების დასაბუთების ცდა“, იხ. წინამდებარე წიგნის გვ. 46.

მოცემულობა, როგორც ფაქტი? თუ ის სოციალიზაციის, სოციალურ ერთობათა წარმოქმნის და ამ სოციალურ ერთობებში ინდივიდების როლისა და ფუნქციის, საერთოდ მათ ქცევასთან დაკავშირებულობის შედეგია? იქნებ ისინი არაბუნებრივი, მაგრამ საზოგადოებისათვის აუცილებელი და მისი არსებობის განმაპირობებელია, როგორც ამა თუ იმ ეპოქაში, ამა თუ იმ ტერიტორიაზე თუ სახელმწიფოში ნორმათა ერთობლიობის, საშარტლის მიმართება სამართლის იდეალთან, რომელმაც შესაძლებელი გახადა ამა თუ იმ სამართლის არსებობა? იდეალი ადამიანისთვის აუცილებელია, თუკი მას უნდა იყოს ადამიანი. მაგრამ ამ აუცილებლობის ბაზაზე შექმნილი კონკრეტული სამართლის ფორმა შეიძლება თუ არა იყოს ისეთივე ხასიათის, როგორც იდეალია, როგორც სამართლის საზრისი, რამდენად რთულია ეს საკითხი და მის გადაწყვეტაში ორიენტირება, ამაჲ მოწიპობს თუნდაც ის ფაქტი, რომ ამ საკითხის ნაწიეშვილისეული გადაწყვეტა ნაწიეშვილის წიგნის წინასიტყვაობაში მონათლულია როგორც იდეალიზმი¹. სინამდვილეში არავითარი იდეალიზმი არაა იმის აღიარება, რომ სამართლის საზრისი, იდეალი, არის აუცილებელი, მარადიული, ხოლო მისი განხორციელების ესა თუ ის ფორმა — შემთხვევითი და დროებითი. ფაქტობრივად, ეს არის არსებისა და მოვლენის მიმართება და ყველა ვითარებაში არსება სიმყარით, მუდმივობით. აუცილებლობით ხასიათდება, მოვლენა — შემთხვევითობით, მომენტურობით, არაარსებითობით, მაგრამ, ამავე დროს, არსებისა და მოვლენის მიმართება ისეთია, რომ მოვლენა გამოავლენს არსებას, ხოლო შემთხვევითობა აუცილებლობის გამოვლენის ფორმა და მისი დამატებაა. ადამიანის არსებისთვის სრულიად შემთხვევითია პეტრეს თუ პავლეს არსებობა. პლატონის შეცდომა ის კი არ არის, რომ არსებას ნამდვილ სინამდვილედ მიიჩნევს, ხოლო მოვლენას სინამდვილას აჩრდილად, არამედ ის, რომ მან ვერ შეძლო აუცილებლისა და შემთხვევითის, ზოგადის და ერთეულის, არსებისა და მოვლენის კავშირის გამონახვა კიდევ მეტა, ისინი ერთმანეთს დაუპირისპირა და ერთმანეთს მოსწყვიტა, როგორც იდეალური და მატერიალური, როგორც არარსებული (იქნებ მნიშვნელადი) და არსებული, რომელთა დაკავშირების ყოველი ცდა მესამე სინამდვილეს მოითხოვდა; ამიტომ სავსებით მართებული იყო არისტოტელეს მიერ დაპირისპირებულთა გაერთიანება ზოგადის და ერთეულის, აუცილებლისა და შემთხვევითის, არსებისა და მოვლენის და ა. შ. ეს არის სწორედ ნა-

¹ Б. В. Саванелии о труде Г. А. Наненшвили «Действительность права и опыт обоснования нормативных фактов», Г. А. Наненшвили. Действительность права и опыт обоснования нормативных фактов, 1986, стр. 8, 10.

მდვილი ობიექტურობის გზა და ამ გზაზე იდგა ნანეიშვილიც. როგორც მისი შრომების ანალიზიც გვიჩვენებს. ნანეიშვილის დამსახურება არ მარტო ის, რომ მან ფაქტობრივ სამართალს და მის წორმებს რეალობის პრედიკატი, არსებობის ნიშანი მიაწერა და არსებობის სპეციფიკური ფორმაც მონახა ამ მიზნით, არამედ ისიც, რომ ეძებს აბსოლუტურ კრიტერიუმს. რომლადანაც შეიძლება სამართლის გამოყვანა და რომელიც არასოდეს ამოიწურება სამართლის ამა თუ იმ ფორმაში. ის ეძებდა ადამიანთა სამყაროსათვის აბსოლუტურს და ამ მხრავ, როგორც მისი შრომის რეცენზენტები აღნიშნავენ, ის გვერდით უდგას კაცობრიობის მორალისტებს, მისი იდეალების დამსახველთა და დამფუძნებელთა. ამ გზაზე ის გამგრძელებელია გერმანული, ქართული და საერთოდ საკაცობრიო აზროვნების ტრადიციებისა.

„ბატონი გიორგის საოცრად ღრმა და საინტერესო გამოკვლევების გაცნობისას, პირველ ყოვლისა, ყურადღებას იპყრობს ასეთი ფაქტი: ამ შრომაში თავისებურად გამოვლინდა ის ტენდენცია, რომელიც წამყვანი და გაბატონებული იყო ქართული ფილოსოფიური აზრის განვითარების უკლებლივ ყველა საფეხურზე.

ქართული ფილოსოფიური აზროვნების მდიდარი ისტორია მრავალ ერთმანეთისაგან განსხვავებულ ნაკადს შეიცავს, მაგრამ. ვფიქრობთ, ამ რთულსა და მრავალმხრივ პროცესში ადვილად ამოიკნობა ერთი ძირეული. გაბატონებული ხაზი: ესაა — ბრძოლა რელატივიზმთან, სკეპტიციზმთან, პოზიტივისტურ-ემპირისტულ მსოფლმხედველობასთან ფილოსოფიის ყველა სფეროში — ონტოლოგია იქნება ეს თუ გნოსეოლოგია, ეთიკა თუ ესთეტიკა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, — ესაა ბრძოლა აბსოლუტურისათვის. ქართულმა ფილოსოფიურმა აზროვნებამ ნათლად გააცნობიერა ის ფაქტი, რომ უარის თქმა აბსოლუტურზე, ზოგადსაკაცობრიო ღირებულებათა აბსოლუტური, მარადიული, უამრავი ძირების აღიარებაზე ნიშნავს ყოველგვარი ორიენტირების დაკარგვას აზროვნებაშიც, ზნეობრივ სფეროშიც და მხატვრულ შემოქმედებაშიც. აბსოლუტურის დამკვიდრების შესანიშნავ მაგალითებს გვაძლევენ პეტრე იბერი, ათონელები, ეფრემ მცირე, პეტრიწი, რუსთაველი, გურამიშვილი, სულხან-საბა, სოლომონ დოდაშვილი, გაბრიელ ქიქოძე, ბარათაშვილი, ილია, ვაჟა და განა ჩვენს დროში ამ ტენდენციის ძალზე ცხადი გამოვლენა არ იყო შალვა ნუცუბიძის „ალეთოლოგიური რეალიზმი“, დ. უზნაძის, ს. დანელიას, მ. გოგიბერიძის, კ. ბაქრაძის, ა. ბოჭორიშვილის, ს. წერეთლის, ლ. გუგუიელის და სხვათა ბრძოლა სუბიექტივიზმის, რელატივიზმის, ცალმხრივი ემპირიზმის, ფსიქოლოგიზმის წინააღმდეგ, აბსოლუტურის დაფუძნებისათვის ფილოსოფიის სხვადასხვა დარგში.

გ. ნანეიშვილს წიგნი შესანიშნავად აგრძელებს აბსოლუტური-

სათვის ბრძოლის ამ ხაზს, თანაც იმ სფეროში, რომელიც მანამდე არ იყო დამუშავებული ქართული ფილოსოფიური აზრის მიერ სამართლის ფილოსოფიის სფეროში¹.

თუ დავაკვირდებით, ნანეიშვილის შრომაში სინამდვილის სამი შრეა განხილული — ფაქტი თუ ფაქტობრივი, სამართალი პოზიტიური სამართლის სახით და საქართლოს იდეა, სამართლის საზრისი ანუ აბსოლუტური ღირებულება. ის, რაც ფაქტია, ერთ შემთხვევაში შეიძლება ნიშნავდეს იმას, რაც მოცემულია და რის მიმართაც ჩვენ ვიყენებთ სამართალს, ის ნორმის საპირისპიროა, ნორმის გამოყენების სფეროა, მაგრამ თვითონ არაა ნორმა; მეორე შემთხვევაში ეს არის სწორედ ნორმა, როგორც პოზიტიური სამართალი, რომელიც არეგულირებს სოციალურ სისტემას და მისი თვითრეგულირების თუ თვითმართვის განხორციელების ფორმაა; მესამე შემთხვევაში ისაა, რაც საფუძვლად უდევს ამ პოზიტიურ სამართალს, ის, რაც სამართლის საზრისია, მისი იდეალია, აბსოლუტური ღირებულება, რომლის პოზიტიურ სამართალში გამოვლენილი ყოველი ფორმა იდეალური სამართლის მხოლოდ ერთ მხარეს გამოხატავს, მაგრამ იდეალური სამართალი უნაშთოდ და მთლიანად პოზიტიურ სამართალში არასდროს გამოვლინდება. ნანეიშვილი ამტკიცებს, რომ ფაქტისა და ნორმის დაპირისპირებას აქვს საფუძველი, რომ შეუძლებელია ფაქტობრივიც ნორმატიული გავხადოთ და რომ „სამართალი რაღაც მნიშვნელობით უნდა დაუპირისპირდეს ფაქტობრივს. წინააღმდეგ შემთხვევაში ხელიდან გამოგვეცლება ის საფუძველი, რომელზედაც დამყარებულია ნორმატიული ფაქტების პრობლემის არსებობა“ (იქვე).

მას შემდეგ, რაც ვალიარებთ ფაქტობრივის და ნორმატიულის დაპირისპირებას, წინ დაგვიდგება კითხვათა მთელი რიგი.

„რა მხრით და რამდენად ღრმადაა გავლებული ეს სამართლებრივის და ფაქტობრივის გამმიჯნელი ხაზი? არის თუ არა ის იგივე ხაზი, რომელიც ერთმანეთისაგან ყოფს რეალურსა და იდეალურს, არსებულსა და არარსებულს, აპრიორულსა და მატერიალურს, აზრსა და ფაქტს“ (იქვე). რიკერტს თუ გავიხსენებთ, მასთან დაპირისპირება ღირებულებასა და სინამდვილეს შორის იყო არარსებულის არსებულთან დაპირისპირება. ნანეიშვილისათვის ეს გზა გამორიცხულია. მისთვის ფაქტობრივსაც და ნორმატიულსაც საერთო ნიშანი ახასიათებს — არსებობა, მაგრამ ეს არ ნიშნავს ამ არსებობის წესთა გაიგივებას. ისინი სხვადასხვა წესით თუ ფორმით არსებობენ. ავტორს განსაკუთრებული ყურადღება გაუმახვილებია ნორმისა და სოციალური სინამდვილის,

¹ „ლიტერატურული საქართველო“, 16 დეკემბერი, 1987 (ნიკო ქავჭავაძე, თამაზ ბუაჩიძე, სტატია — „კვითილი საქმის მათწყებელი“).

ნორმისა და ღირებულების მიმართებაზე. შ. ნუცუბიძე სამართლიანად აღნიშნავს, რომ ეს საკითხი ძირითადია ნანეიშვილთან.¹ ნანეიშვილი უარყოფს იმათ თვალსაზრისს, ვინც საზოგადოებას, სოციალურს მხოლოდ ნორმატიულის განზომილებაში განიხილავს. ნანეიშვილი უჩვენებს, რომ სოციალურშიც არის განსხვავება ფაქტსა და ნორმას შორის. ფაქტობრივი არ არის ნორმატიული, თუმცა ნორმა ფაქტობრივს მოაქცევს მისი მნიშვნელობის სფეროში, თავის ძალას ავრცელებს ფაქტობრივზე, მაგრამ ამის გამო ისინი არ გაიგივდებიან. ნორმები სოციალური სინამდვილის გარკვეული ელემენტებია, რომლებიც გამოხატავენ იმ ჭერარსობას, რაც ადამიანის ბუნებიდან გამომდინარე უნდა იყოს საზოგადოებაში. ამ ჭერარსობას დამოუკიდებელი ყოფიერება არ გააჩნია. საერთოდ, ჭერარსობა შეუძლებელია იყოს დამოუკიდებელი, მაგრამ მას აქვს ობიექტური საფუძველი, კერძოდ, ადამიანის ბუნებაში, მის არსებაში ნორმა სწორედ ამ არსების ინტერპრეტაციის საფუძველზე დგება. ამ არსებაშია ჩადებული სამართლის საზრისის იდეა, ის, რაც მარადიულია და რომლის გამოვლენა შემთხვევით ფორმებს წარმოადგენს კონკრეტული სამართლებრივი სისტემები და ნორმები. ამ საკითხთან დაკავშირებით ნანეიშვილი უსამართლოდ იქნა გაკრიტიკებული. მხედველობაში გვაქვს ასპირანტ ი. ფანცხავას რეცენზია ნანეიშვილის ჭერ კიდევ გამოუქვეყნებელ, კათედრის მიერ პრემიაზე წარდგენილ შრომაზე.

1929 წლის 2 ნოემბერს ნანეიშვილი წერილით მიმართავს სოციალურ-ეკონომიკური ფაქულტეტის დეკანატს, როდესაც გამოქვეყნდა პასუხი მის განცხადებაზე ფანცხავას რეცენზიებთან დაკავშირებით, ითხოვს უშუამდგომლონ, გამოქვეყნდეს მისი პასუხიც. ფანცხავამ ვერ გაიგო, როგორ შეიძლება სამართლის იდეა, სამართლის საზრისი გამოაცხადონ აუცილებლად, ხოლო არსებული პოზიტიური სამართალი — შემთხვევითად. ფანცხავას აზრით, ეს მარქსიზმის საწინააღმდეგოა, რადგან სამართლის ისტორიულობას უარყოფს. ფანცხავას მოაქვს ნანეიშვილის წიგნიდან ამონაწერი, რომ პოზიტიური სამართალი ყოველთვის შემთხვევითია და ამტკიცებს — „ძნელია, ადამიანმა სამართალს მისცეს უფრო არაისტორიული დაბასიათება, როგორც ამ სიტყვებშია მოცემული. ნუთუ ავტორს არ ესმის, რომ ისტორიულობა შემთხვევითობას არ ნიშნავს, არამედ იმას, რომ ესა თუ ის მოვლენა ისტორიულ კანონზომიერებაშია ჩაქსოვილი“. ნანეიშვილი წუხს იმის გამო, რომ ბუნებამ „ისეთი კრიტიკოსი არ გუნა, რომელმაც მარქსიზმის ძირითადი ტენდენციებიც კი არ იცის... ცოტა, თუნდაც გარკვეული მარქსისტისათვისაც ნათელია, რომ რეცენზიის ავტორს

¹ იხ. შ. ნუცუბიძის რეცენზია, ამავე წიგნში, გვ. 266.

უფრო კარგად რომ ჰქონდეს შეთვისებული მეცნიერული მარქსიზმი, არ იტყოდა იმას, რასაც ამ ციტატაში ამბობს“. ნანეიშვილი უსაბუთოდს რეცენზენტს, რომ შემთხვევითობა არაა სუბიექტური და არც უმიზნობაა ნიშნავს; რომ შემთხვევითობას ონტოლოგიური სტატუსი გააჩნია. ამით არის ის აუცილებლობასთან მიმართებაში, მისი გამოვლენა და დამატება. იმოწმებს მარქსის დებულებას, რომ „შემთხვევითობანი შედინან განვითარების საერთო მსვლელობაში, როგორც შემადგენელი ნაწილი და გაწონასწორდებიან სხვა შემთხვევითობებით“. თუ დავუშვებთ იმას, რომ ესა თუ ის სამართალი შემთხვევითია, მხოლოდ მაშინ შეიძლება ვაპტიცოთ, რომ ის ისტორიულია. თუ პოზიტიური სამართალი მუდმივია, ერთი და იგივეა ყველა რეგიონისა და ეპოქისათვის, მისი ისტორიულობაც და შემთხვევითობაც გამორიცხული იქნება. საქმე ისაა, რომ შემთხვევითი სამართალი რეალურად არსებობს, ობიექტურიცაა და მიზეზის მქონეც. სწორედ ეს მიზეზობრივი განპირობებულობა იწვევს მის ცვალებადობას, რაც მისი ისტორიულობის ნიშანია.

საინტერესოა. რომ შემთხვევითობისა და აუცილებლობის მიმართების საკითხის ახსნაში ნანეიშვილი არა მარტო 20-იანი წლების მექანიკებზე მალა დგას, არამედ 50-იანი წლების მარქსისტებზეც — რანონტისა და სხვათა სახით. ფანცხავასთვის. შემთხვევითობის დაშვება ისტორიული კანონზომიერების უარყოფაა. ნანეიშვილი აჩვენებს, რომ იმას. „რასაც ფანცხავა შემთხვევითობასა და ისტორიულ კანონზომიერებაზე მოგვიხსრობს, არაფერი არა აქვს საერთო მეცნიერულ მარქსიზმთან“. ფანცხავას და მათ მსგავსთა მიმართ, ნანეიშვილის აზრით, მარქსიზმს შეუძლია გაიმეოროს რომელთა ნათქვამი: — „გვაშორეთ თქვენისთანა მეგობრები, მტრებს თვითონაც გაეუსწორდებით“. ნანეიშვილი საფუძვლიანად ასაბუთებს, რომ შემთხვევითობის გამორიცხვა დაგვაკარგვინებს ისტორიულ კანონზომიერებას და ფატალიზმის ტყვეობაში აღმოგჩნდებოდით. შემთხვევითობა ასაზრისიანებს ისტორიული კანონზომიერების, როგორც მოვლენათა მსვლელობის პროცესში გაბატონებული ტენდენციის, არსებობას. ფანცხავას ჰგონია, რომ პოზიტიური სამართლის შემთხვევითი ხასიათის აღიარება უარყოფს მარქსის მოძღვრებას სამართლის ზედნაშენობაზე. ნანეიშვილი საპირისპიროს ასაბუთებს — სამართლის განპირობებულობა ობიექტური ვითარებით. მათ შორის ბაზისური პროცესებით, მხოლოდ იმ შემთხვევაშია რეალური, თუ ვაღიარებთ, რომ პირობათა ცვლილებისას სამართალიც იცვლება. ყოველი მოქმედი სამართლის მიმართ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ის არის არა ერთადერთი, არამედ ერთ-ერთი ფორმა მრავალ შესაძლოთა შორის, რომელიც სამართალს შეუძლია მიიღოს. ნანეიშვილი მოიშველიებს შესაძლებლობის და სი-

ნამდვილის კატეგორიებსაც და უჩვენებს, რომ საქართლის მრავალ შესაძლო ფორმათაგან ყოველ ეპოქაში მხოლოდ ერთი ხორციელდება, სხვები კი შესაძლებლობის ფორმით არსებობენ.

ფანცხავამ ყველა ზომა მიიღო იმისთვის, რომ, რაც შეიძლება ინფორმაციის საშუალებათა მეტი არხით, მიეწოდებინა თავისი მოსახრებანი საზოგადოებისათვის. იგივე წერილი, რაც „მნათობში“ გამოქვეყნდა მცირეოდენი შესწორებებით, დაბეჭდილი იყო გაზეთ „კომუნისტის“ 1929 წლის 8 ოქტომბრის ნომერში სათაურით: „სოციალისტური უფლებრივი შეგნება და ლექტორ გიორგი ნანეიშვილის ნაშრომი“, „მნათობში“ კი ეს წერილი გამოქვეყნდა სათაურით: „მარქსისტული მსოფლმხედველობა, თუ ლექტ. გ. ნანეიშვილის იდეალისტური აბდაუბდა“. როგორი იქნებოდა წერილის შინაარსი, ამას სათაურიდანაც ვხედავთ. არაა არცერთი პუნქტი თუ დებულება, რომელიც ნანეიშვილის წიგნში ფანცხავას აკმაყოფილებდეს. საშაგიეროდ, წერილები აღსავსეა ბრალდებებით. აი, ზოგიერთი მათგანი: „ხეხებულ შრომაში ავტორს გვერდი აუხვევია მარქსისტული მსოფლმხედველობისათვის და გამოდევნებია ბურჟუაზიულ მშრალ დოგმატიკას“... „პროლეტარული დიქტატურის მე-12 წელს შეუძლებელია იდეალისტური მსოფლმხედველობის აშკარა და ნიღაბაუფარებელი დაცვა და ისიც ნაშრომში. რომელიც საბჭოთა უნივერსიტეტში საქართლის დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად არის წარმოდგენილი... ამიტომ ავტორი გაუბრძის გარკვეულობას და თავის შეხედულებებს გაუგებარი ფრაზოლოგიის ბურჟუსში ახვევს“¹. ამ ხელოვნური ბურჟუსის „მიუხედავად, — წერს ფანცხავა, — ცხადია, რომ სხვადასხვა ადგილების შედარების გზით შესაძლებელია ჩვენი ავტორის იდეალისტური ფიზიონომიის გამოაშკარავება“. ამ „იდეალისტურ ფიზიონომიას“ ის ხედავს საქართლის საზრისის შესახებ ნანეიშვილის მოძღვრებაში. „საქართლის იდეალისტური კონცეფცია, რომელსაც ავტორი იძლევა, თავისთავად მოითხოვდა სხვა „აბსოლუტების“ გვერდით საქართლის აბსოლუტური ღირებულების გამოცხადებას. ზედმეტი და უნაყოფო იქნებოდა ამ იდეალისტურ აბდაუბდაზე ვრცლად შეჩერება“². ფანცხავას გაგების არეში ვერ ეტეოდა ის გარემოება, რომ საქართლის საზრისის დამკვიდრებით ამ აბსოლუტური ღირებულების გზით, ნანეიშვილი ცდილობდა დაემკვიდრებინა ადამიანის ადამიანობა განსხვავებით იმათგან, ვინც ადამიანში მხოლოდ „ტალახის ჭუჭყიან ნიაღვარს“ ხედავდა, მას უნდოდა აღემალლებინა ვიწრო ინტერესებით შემოფარგლუ-

¹ „მნათობი“, 1929, №10, გვ. 216.

² იქვე, გვ. 224.

ლი ადამიანთა საზოგადოება საერთო საკაცობრიო ღირებულებათა მოთხოვნის დონემდე. კლასობრივ ღირებულებათა გააბსოლუტურებით და საკაცობრიო ღირებულებათა უარყოფით ფანცხავას მსგავსი „იდეოლოგება“ „პროლეტარული კულტურის“ და ჰუნევიზინობის იდეებს ავრცელებდნენ, ნანეიშვილი კი საკაცობრიო ღირებულებებს და ადამიანის ადამიანურობას ქადაგებდა.

ფანცხავა ცდილობს, ნანეიშვილის ნაშრომი ყოველმხრივ გაანადგუროს. მისი აზრით, შრომა აბდაუბდაა მეცნიერულად, იდეოლოგიურად და სტილის მხრივაც. ფანცხავას მტკიცებით, „ნანეიშვილს შეუძლია განაცხადოს, რომ ყოველ „ფილოსოფიურ შრომას“ თავი-ი-ქანრი, სტილი, ენა და ტერმინოლოგია აქვს, და მას ხომ არ შეეძლო მის მიერ „ლაღად ყოველი ჰეშმარიტების“ გადმოცემა, როგორც იწერება დასურათხატებული წიგნაკები მცირეწლოვანთათვის... დაე, ჩვენმა მკითხველმა იცოდეს, რომ ენა, სტილი, ქანრი და ტერმინოლოგია სარეცენზიო ნაშრომისა სწორედ იმ მცირეწლოვანს შეეფერება, რომელსაც კალამი ხელთ მხოლოდ ახლა აუღია. ქართული იურიდიული ტერმინოლოგია ავტორს სრულიად დაუმახინჯებია. რაც შეხება ენას და სტილს, იგი მრავალი ნაკლით არის მოცული, ხოლო წერის ტექნიკა ავტორისათვის უცნობი ამბავი ყოფილა“¹. ჰეშმარიტად ისეთი ვთარებაა, როცა შეიძლება რეცენზენტის მისამართით ითქვას, რომ მისი თავხედობა მხოლოდ მისივე უეციკობით თუ გაიზომება. ფანცხავა განსაკუთრებული სიმძაფრით იესხმის თავს სამართლებრივი სახელმწიფოს ნანეიშვილისეულ იდეას. აკრიტიკებს ნანეიშვილის მტკიცებას, რომ ხელისუფლება ძალადობა არაა, რომ მოძალადე ხელისუფლება არაა ხელისუფლება. ნანეიშვილს ის უპირისპირდება მტკიცებით, რომ პროლეტარიატის დიქტატურა არის სწორედ ძალადობა. ცდილობს მოიშველიოს ლენინის შეხედულება პროლეტარიატის დიქტატურის, როგორც კანონით შეუზღუდველ და ძალადობაზე დამყარებული სახელმწიფოს შესახებ. ძალადობის კულტი ფანცხავას და მის მსგავსთ სპირდებოდათ: ნანეიშვილის გასანადგურებლად.

ფანცხავას რეცენზია ერთ-ერთი პირველი ნაბიჯი იყო საქართველოში სამართლის ფილოსოფიის და სამართლებრივი აზრის განქიქების იმ გზაზე. რომელმაც შემდგომი განვითარება პოვა 1930 წელს ჩატარებული დისკუსიის მსვლელობისას. 1930 წლის ნოემბრის თვეში თბილისში არსებული ამიერკავკასიის კომუნისტური უნივერსიტეტის სოციოლოგიის კათედრის და ცაკთან არსებული საბჭოთა მშენებლობის და სამართლის ინსტიტუტის ერთობლივი ძალებით მოეწყო დისკუსია, ფაქტობრივად კი ანგარიშსწორება სამართლის ფილოსოფიის

¹ „მნათობი“, 1929, № 10, გვ. 226.

და თეორიის დარგში მომუშავე პროფესორებთან. ასპირანტი ფანცხა-
ვა შეცვალეს და გააფართოვეს ისეთმა გვარებმა, როგორებიც იყვნენ:
გეგენავა, ტალახაძე, შარია, ბარიგიანი, ბოლოტნიკოვი, ლისოვსკი და
სხვები. მათ ნანეიშვილი აქციეს კრიტიკის ერთ-ერთ ობიექტად და მას
გვერდით ამოუყენეს სურგულაძე, ვაჩიიშვილი და ჭაფარიძე. ესენი
იყვნენ უცხოეთში განათლებამიღებული პროფესორები, რომლებმაც
20-იან წლებში გამოაქვეყნეს სახელმძღვანელოები და მონოგრაფი-
ები. მათი კრიტიკოსები კი ან ასპირანტები იყვნენ, ან დამწყები პრაქ-
ტიკოსი იურისტები, ან წითელპროფესურა დამთავრებული და ამბი-
ციებით აღვსილი თავიანთ თავს მარქსისტებად რომ თვლიდნენ და
საკუთარი ცოდნით ზომავდნენ ცნობილი მეცნიერების ნააზრევს. ამ
დისკუსიაზე ღირს შეჩერება. იგი მაჩვენებელია დონისა, რომელიც
არსებობდა ქართულ აზროვნებაში სამართლის ფილოსოფიის და სო-
ციოლოგიის სფეროში და რომლის გაგრძელება ჩაოდენ ღირებულ
იქნებოდა... დღეს ჩვენ აშკარად ვხედავთ, რა ზარალი განიცადა ჩვენმა
მეცნიერებამ იმ თაობის მოაზროვნეთა დაკარგვით და როგორ დაიკარ-
გა პერსპექტივა. ამავე დროს, დღევანდელი ვითარებიდან ნათლად
ჩანს, ვინ იყვნენ ეს მარქსიზმის სახელით მოლაპარაკე თეორეტიკოსე-
ბი, ვინც ყველას იდეალისტის იარღიყს აწებებდა და რა შეძლეს თვი-
თონ, შესაბამის დარგებში გაუქოვებინათ მას შემდეგ, რაც ჩვეუფრცა
გაანადგურეს ისინი, ვინც კვშმარტ საქმეს აკეთებდა.

საქართველოში იმ პერიოდში სხვა სახის დისკუსიებიც მიმდინარე-
ობდა — დისკუსია დანელიასა და უზნაძეს, დანელიასა და ნუცუბი-
ძეს, ნანეიშვილსა და სურგულაძეს შორის. ამ დისკუსიებს მეცნიერე-
ლი ღირებულება დღესაც არ დაუკარგავთ, ხოლო გეგენავას, ტალახა-
ძის, ბოლოტნიკოვის, ფანცხავას, შარიას, ლისოვსკის და სხვათა და-
სხვათა მიერ მოწყობილი დისკუსიები მხოლოდ ერთ მიზანს ისახავდა
— იდეურად უზრუნველყოთ და მოემზადებინათ კიდევ რეალურად
ის დიდი ტერორი ინტელექტუალთა მიმართ, რომლის ფაქტობრივი
განმახორციელებელიც გახდა შემდეგ ზოგიერთი მათგანი. ტალახაძე
ბრალმდებლის როლში გამოდიოდა, როდესაც ის სამეცნიერო დისკუ-
სიის დროს აპტიკებდა, რომ ნანეიშვილი, სურგულაძე, ვაჩიიშვილი
ანტიმარქსისტები არიან და მოითხოვდა, მათ, როგორც მარქსიზმის
მტრებს, ელიარებინათ თავიანთი დანაშაული და განიარაღებულიყვნენ,
და ეს ფუნქცია არ შეუძლია მაშინაც, როცა მოგვიანებით ის უკვე
პროკურორი გახდა და უხვად, ზეგემურად ურიგებდა ყველას სასი-
კვდილო განაჩენს; პროკურორის საბრალმდებლო დასკვნებს ტალახა-
ძისთან წინ უსწრებდა სამეცნიერო დისკუსიაზე გამოსული ტალახაძის
საბრალმდებლო დასკვნები. მოვიტან მხოლოდ ერთ ფაქტს დისკუსიი-
დან: ტალახაძე და გეგენავა ნანეიშვილს, სურგულაძეს, ვაჩიიშვილს

ბრალს დებდნენ არა იმისათვის, რომ მარქსისტები არ იყვნენ, არამედ იმისათვის, რომ ანტიმარქსისტები — იყვნენ.

ბრალდებულთაგან ნანეიშვილი ერთადერთი იყო, რომელმაც აღიარა — არა ვარ მარქსისტიო. დისკუსიის დამთავრების შემდეგ კი, როცა მიიღეს რეზოლუცია ამ პროფესორების უმალღესი სასწავლებლიდან გაქვეების შესახებ, სურგულაძემ და ვაჩიშვილმაც აღიარეს, რომ მათი შრომები არათუ არამარქსისტული, არამედ ანტიმარქსისტული იყო; მათ აღიარებას ისეთივე ხასიათი ჰქონდა. როგორც უფრო მოგვიანებით სასამართლო პროცესზე აღიარებდნენ ხოლმე, რომ ისინი იყვნენ იმპერიალიზმის აგენტები, რაც კინოსურათ „მონანიებაში“ ბრწყინვალედაა ნაჩვენები. სინამდვილეში ეს დისკუსია იყო ლ. გუდიაშვილის სურათის იდეით გამოთქმული „ტენის ჭყლეტა“. ნანეიშვილს აღიარება, რომ ის არაა მარქსისტი, არ აკმაყოფილებს ტალახაძეს და გამოდის დისკუსიაზე რიგგარეშე, იმის დასასაბუთებლად, რომ ნანეიშვილი ანტიმარქსისტია. ეს არ იყო შემთხვევითი — არამარქსისტი არ ნიშნავს მარქსიზმის მოწინააღმდეგეს. ანტიმარქსისტი კი მარქსიზმის მტერია და მის მიმართ იგივე ზომები უნდა იქნეს მიღებული, რაც საერთოდ მტრების მიმართ. დისკუსიაზე გამოვლინდა, რას წარმოადგენდა ის მხარე, რომელიც მოითხოვდა რომ მისი შეხედულებები ყოფილიყო საზომი — რა და როგორი უნდა იყოს მეცნიერება. ავიღოთ მხოლოდ ერთი ფაქტი: დისკუსიაზე განიხილებოდა იროდიონ სურგულაძის ნაშრომი „Gewalt und Recht“. მომხსენებელი და კამათში გამომსვლელები — გეგენავა, ტალახაძე, ბარიგანი მწვავედ აკრიტიკებდნენ ამ შრომას. იროდიონ სურგულაძემ დასვა საკითხი, — რას ემყარებიან ეს კრიტიკოსები, რა წყაროთი სარგებლობდნენ ისინი, როცა წრომა გერმანულ ენაზეა და არცერთმა მათგანმა გერმანული არ იცის. აღმოჩნდა, რომ არც ერთ მათგანს არ ჰქონდა შრომა წაკითხული, და არც შეეძლოთ წაკითხული ჰქონოდათ.

სურგულაძის პასუხი გეგენავას მიმართ:

„გეგენავა ბრალს მდებს, რომ იდეალიზმი ჩემი შრომის გამოსვლით იწყება. მაგრამ იქვე უწერია, სურგულაძის შრომის გამოსვლით „სამართლებრივი აზრი საქართველოში უფრო გადაკრით აბრუნებს ზურგს მარქსიზმს და ლენინიზმს“¹. რადგან ვაჩიშვილის შრომა უფრო ადრე გამოვიდა, გეგენავას უნდა ეთქვა, რომ სურგულაძე კი არაა იდეალიზმის დამწყები, არამედ ვაჩიშვილი. ჯარდა ამისა, სურგულაძე შენიშნავს: გეგენავა ბოდიშს იხდის, რომ მან გერმანული არ იცის, გერმანულ ენაზე დაწერილ წიგნს კი აკრიტიკებს, მაგრამ მიაჩნია, რომ

¹ Против идеализма в правовой мысли Советской Грузии. Под редакцией А. А. Болотникова. Тифлис, 1931, стр. 26.

მხოლოდ ზოგიერთი ადგილი მოიტანა წიგნდან და ისიც შეიძლება სწორი არ იყოს. სურგულაძე ამ თავაზიანობის მიუხედავად კრიტიკულად უდგება გეგენავას და ამბობს — „მე ვფიქრობ, რომ მომხსენებელს მთელი შრომა არ წაუკითხავს. ამის დასაბუთებას შევეცდები იმ დებულებათა შეჭერებით, რომლებიც ჩემი წიგნიდან წარმოადგინა მომხსენებელმა. ისე გამოდის, რომ მთელი სურათი დევანაკუწოთ ცალკეულ ნაწილებად. თქვენ სელთ გკონდათ თვალი ან ყური და ამის საფუძველზე ფიქრობთ აღადგინოთ მთელი სურათი. ამ სულისკვეთებით მეცნიერული შრომის კრიტიკა არ შეიძლება. აუცილებელია გვკონდეს მოთიინება და შესაძლებლობა, წიგნები წავიკითხოთ თავიდან ბოლომდე და მერე შევეუდგეთ მათ შეფასებას¹. შემდეგ აჩვენებს, საიდან ჩანს, რომ კრიტიკოსს შრომა არ წაუკითხავს და როგორ მიაწერს აზრებს, რომლებიც მას არ უწერია.

აღმოჩნდა, რომ ქართულ ენაზე გამოსული შრომებიც არ ჰქონდათ ბოლომდე წაკითხული. მაშინ როგორ უპასუხეს კრიტიკოსებმა ამ არაგუმენტს? აი, ერთ-ერთი მათგანის — ბოლოტნიკოვის პასუხი: გასაკრიტიკებელი წიგნის ბოლომდე წაკითხვის მოთხოვნა ნიშნავს. იმას, რომ „პატივცემული პროფესორები ჩვენგან მოითხოვენ, რომ დავდგეთ მათ პოზიციაზე. რომ მათ ვაკრიტიკებდეთ მათი საკუთარი თეორიული პლატფორმიდან. ჩვენ გადაჭრით უკუვაგდებთ მსგავს მოთხოვნებს, რომელნიც მიზანშეწონილი იქნებოდა ძველი ბურჟუაზიული უნივერსიტეტათათვის... ჩვენ ამ დისკუსიას ვუდგებით სრულიად სხვაგვარად“. თურმე კრიტიკოსებმა მიზანია, „გაემიჯნონ აღნიშნულ პროფესორებს, ხოლო გამიჯნისათვის სრულიად არაა სავალდებულო მთელი წიგნის ცოდნა. საკმარისია 150—200 გვერდიანი წიგნიდან წავიკითხოთ 30—50 გვერდი. გადავხედოთ დანარჩენ პარაგრაფებს და გამიჯნისაუვის კრიტერიუმში მზადაა. მე არ წამიკითხავს სურგულაძის წიგნი ბოლომდე. ამისი არც დრო მქონდა და არც სურვილი, მაგრამ იქიდან, რაც წავიკითხე. საესებით დავრწმუნდი, რომ პროფესორ სურგულაძის პოზიცია უცილობლად ანტიმარქსისტულია“.²

კრიტიკოსების ერთმა ნაწილმა აღნიშნა, რომ ისინი იცნობენ ნაწი-ნიშვილის მიერ სურგულაძის კრიტიკას და მასზე დაყრდნობით აკრიტიკებენ სურგულაძეს. რადგან ნაწი-ნიშვილმა გერმანული კარგად იცის, მათთვისაც უნდა ჩაეთვალათ, რომ საქმის ცოდნით აკრიტიკებენ. ბოლოტნიკოვი და ლისოვსკი, რომლებიც ეხმარებოდნენ კრიტიკოსებს სურგულაძის არგუმენტების დაძლევაში, თვითონაც სხვა კრიტიკოსუ-

¹ იქვე, გვ. 26, 27.

² იქვე, გვ. 112.

ბის მდგომარეობაში ჩავარდნენ, როცა საკითხი დაისვა ქართულ ენაზე გამოსული შრომების შესახებ რის საფუძველზე მსჯელობდნენ ისინი, რადგან ქართული არ იცოდნენ. ბოლოტნიკოვის პასუხი ასეთი იყო: ის ესაუბრა გეგენავას და ტალახაძეს. მათთან საუბრით გაიგო, რა წერია ამ შრომებში და ეს გამოიყენა კრიტიკის საფუძველად. როგორი იყო თვით კრიტიკის ხასიათი, იქნებ კრიტიკის ობიექტები უცნობი იყო მათთვის, მაგრამ კრიტიკა იყო დელიკატური? სამწუხაროდ, არც ეს იყო. რა „არგუმენტებით“ აკრიტიკებდნენ ტალახაძე და გეგენავა და რა იარაღებს აწებებდნენ გასაკრიტიკებელი წიგნების ავტორებს, ამის საჩვენებლად რამდენიმე ადგილს მოვიტან მათი გამოსვლებიდან. ტალახაძე: „მე დავასაბუთე, რომ პროფესორ სურგულაძის თხზულებაში არის მრავალი ადგილი არამარქსისტული, ანტიმარქსისტული, არსებითადაც და მეთოდოლოგიის მხრივაც“. მას მოაქვს სურგულაძის შრომიდან ადგილი და კითხვას სვამს — „რა არის ეს — მარქსიზმი? ეს იდეალიზმია, წმინდა წყლის იდეალიზმი. ყველაფერი ეს აღებულია ჰუსერლიდან“. რადგან კრიტიკოსები ამ პროფესორებს მტრად თვლიდნენ. მათ უნდა ეზრუნათ მტრის კონცეფციის გაცნობისათვის. რადგან ლენინის სახელათ გამოდიოდნენ, უნდა ეყვლებოდნენ ლენინის დებულებით: „მტერი რომ გაიცნო, მტრის ქვეყანაში უნდა წახვიდე“. ამ კრიტიკოსებმა ამისათვის არ შეიწყუბეს თავი. დავუშვათ, გერმანული არ იცოდნენ და ვერ წაიკითხეს, დამყარდნენ ნანეიშვილის მიერ სურგულაძის კრიტიკას. მაგრამ ამ კრიტიკაზე სურგულაძემ ქართულ ენაზე დაწერა პასუხი, რომელიც ისევ უცნობი აღმოჩნდა კრიტიკოსებისათვის. ტალახაძის განცხადებაზე, რომ მას სურგულაძის შრომა არ წაუკითხავს, მაგრამ ხელმძღვანელობს სურგულაძის ნანეიშვილისეული კრიტიკით, სურგულაძე აძლევს რეპლიკას: „წაიკითხეთ თქვენ ჩემი პასუხი?; ტალახაძე — „არ წამიკითხავს, მაგრამ... როგორც ვხედავთ, კრიტიკოსებს უბრალოდ კრიტიკის სურვილი ჰქონდათ და ყოველგვარ მეცნიერულ ეთიკაზე უარი თქვეს. იქნებ იმიტომ უარყოფდნენ არსებულ კონცეფციებს, რომ საკუთარი კონცეფციის დამკვიდრება უნდოდათ? სამწუხაროდ, არც ეს იყო. კრიტიკოსების ნაწილი საერთოდ არ იყო სამართლის სპეციალისტი, ნაწილი კი მხოლოდ იწყებდა სპეციალობის დაუფლებას. ასეთები იყვნენ ფანცხავეა და ბარიგანი. ისინი ასპირანტები იყვნენ სხვა სპეციალობაში და არა სამართალში. სპეციალისტებად ითვლებოდნენ, უფრო სწორად, იწყებდნენ ამ სპეციალობით მუშაობას გეგენავა და ტალახაძე. მათ მხოლოდ ჰუნვერბინური მეთოდები გააჩნდათ. ეს კარგადაა ასახული ფილმში „ჩვენ ვუნდერკინდები ვართ“, რაც დაადასტურა არა მარტო შემდგომმა მოვლენებმა, არამედ დისკუსიაზე მათმა გამოსვლებმაც — განსახილველ ცნებათა აპარატიდან სერიოზულად მათ

არცერთი არ გაუანალიზებიათ. ისინი გამოდიოდნენ კოლექტიურად, პიროვნული მე-ს მქონე მეცნიერი მკვლევარების წინააღმდეგ ლოზუნგით: *Смирение добродетель, а гордыня — порок, и что «мы» от бога, а «я» — от дьявола»* ევგენი ზამიატინის რომანის „ჩვენ“ გმირის ეს სიტყვები კარგად გამოხატავს ზემოთ დასახელებულ კრიტიკოსთა პოზიციას მათი მსხვერპლის მიმართ. ზამიატინი აჩვენებს, აგრეთვე, როგორ გარდაისახებოდა „ჩვენ“-ის გრანდიოზულობა „მე“-ს მიმართ სამართლის სფეროში გამოყენებისას და აღწერილი აქვს სწორედ ის სურათი, რაც დისკუსიაზე იყო, სადაც „პირადი ცნობიერება“ დაავადებად იყო მონათლული და „ჩვენ სამართალში ასეთ სახეს იღებდა: «Так вот если капнут на «права». Даже у древних — ии более взрослые знали: источник права — сила, право—функция от силы. И вот две чашки весов! На одной — грамм, на другой — тонна, на одной — «я», на другой — «мы». Единое государство, не ясно ли: допускать, что у «я» могут быть какие-то «права» по отношению к Государству, и допускать, что грамм может уравнивать тонну, это совершенно одно и то же. Отсюда распределение: тонне — права, грамму — обязанности: и естественный путь ничтожества к величию: забыть, что ты грамм и почувствовать себя миллионной долей тонны»¹.

კოლექტიური ცნობიერების ბატონობა დიქტატურა მე-ს ცნობუ რებაზე, პიროვნების პათოლოგიურად გამოცხადება, მოთხოვნა „მე-მ“ უარყოს თავისი თავი „ჩვენის“ სასარგებლოდ. ეს იყო ის სულისკვეთება, რაც განსაზღვრავდა დისკუსიის პათოსს. იქნებ თანამედროვე ევროპული ფილოსოფიისადმი აქვთ კრიტიკოსებს განსწავებულა დამოკიდებულება? სამწუხაროდ, აქაც მათი პოზიცია ჰუნვეიბინური. აი, როგორ ახასიათებს ბოლოტნიკოვი ჰუსერლის მეტად მნიშვნელოვან შრომას: „ლოგიკური გამოკვლევები“, რომელმაც ფსიქოლოგიის წინააღმდეგ გადამწყვეტი სიტყვა თქვა. „ყოველთვის არაა საჭირო მთელი წიგნის დახუთხვა, განსაკუთრებით ისეთის, რომელიც კვადრატში ან კუბში აყვანილი, საშუალო საუკუნეების სქოლასტიკაა, რასაც წარმოადგენს ჩემთვის, მაგალითად, ჰუსერლის თხზულებანი“² და შემდეგ, „იმის ნაცვლად, რომ დავიზუთხოთ „ლოგიკური გამოკვლევები“, ეს კაბალისტიკა, რომელსაც აბსოლუტურად არავითარი მეცნიერული ღირებულება არა აქვს, უკეთესია ხელი მოვკიდოთ კონკრეტულ ბუნებისმეტყველებას.“ ერთ-ერთი ბრალდება, რომელსაც სურგულაძეს უყენებს გეგენავა, ისაა, რომ სურგულაძე ჰუსერლიანელია, რადგან ჰუსერლიდან მოაქვს ციტატა. ჰუსერლს თავის შრომაში უწე-

¹ Е. Замятин, *Мы*. Знамя № 5, 1988, стр. 105.

² Против идеализма в правовой мысли Советской Грузии. Под редакцией А. А. Болотникова, Тифлис, 1931, стр. 112.

რია: ორჯერ ორი არის ოთხი. შეიძლება ამ დებულებაზე უარის თქმა? ვნახოთ, რა ადგილი დაიმოწმა სურგულაძემ ჰუსერლიდან. ჰუსერლმა წერს: თუ ერთი მეცნიერების საგნად გამხდარი კანონზომიერება ემთხვევა მეორე მეცნიერების საგანს, მაშინ ორი მეცნიერება არ შეიძლება არსებობდეს, რადგან თითოეულ მეცნიერებას თავისი საგანი უნდა ჰქონდეს. ეს დებულება ისეთივე მარტივი ჭეშმარიტებაა, როგორც ორჯერ ორი — ოთხია. ჰუსერლის შრომაში ორივე დებულება გვხვდება, მაგრამ მათი გამეორების გამო ადამიანი არ გახდება ჰუსერლიანელი. საბოლოოდ, სურგულაძე კრიტიკოსებს შემდეგნაირად უპასუხებს — „ჩემი შრომა იწერებოდა 23—24 წლებში, როცა მარქსისტული ლიტერატურა არ იყო და მასში ალბათ, შეცდომებაც იქნება და სადავო საკითხებიც. მაგრამ მათ მე უფრო კარგად გავასწორებ, ვიდრე ის, ვისაც არ წაუციტხავს ჩემი შრომა“.¹

სურგულაძის წიგნის მე-20 გვერდზე მოცემულია სოციოლოგიის საგნის განსაზღვრება. „სოციოლოგია... მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება თავისი დამოუკიდებლობის დასაბუთებას, თუ ის შეისწავლის სოციალურ მოვლენათა არა შინაარსს, არამედ მათ მთავარ ფორმებს, რომლებშიც ხდება ადამიანთა შორის ურთიერთქმედება მათი შინაარსისაგან აბსტრაქციით“. სოციოლოგიის ამ ჩვეულებრივ, ზომილადან მომდინარე განსაზღვრებას ბოლოტნიკოვი ასე აკრიტიკებს: „ყველა სათვის ცხადია, რომ ასეთ განმარტებაში მარქსიზმის ნასახიც არაა. ენსავსებით ანტიდიალექტიკური განსაზღვრებაა, რომელიც ერთმანეთისაგან წყვეტს სოციალურ მოვლენათა ფორმასა და შინაარსს“ (იქვე). ბოლოტნიკოვი აკრიტიკებს კიდევ ერთ დებულებას. უმარტავესი სოციალური მოვლენის სახით გამოდის ორ პიროვნებას შორის მიმართება. თუმცა დღეს ეს დებულება ყველასთვის მისაღებია. ბოლოტნიკოვს კიდევ სხვა ადგილები მოაქვს სურგულაძის წიგნიდან და აღნიშნავს: „რა არის აქ მარქსიზმთან საერთო, ექოც კი გიპასუხებთ — არაფერი!“ როდესაც სწავლულებს არ გაუვიდათ მტკიცება, რომ ისინი მეცნიერებას ემსახურებიან და არა პროპაგანდას, რომ რასაც აკეთებენ, ეს არ ეწინააღმდეგება მარქსიზმს, მაშინ ნანეიშვილმა განაცხადა, რომ ის არ არის მარქსისტი და არც აქვს ყველა კითხვაზე პასუხი. „ყველა კითხვაზე პასუხი ეძიეთ თქვენს უნივერსალურ მაღაზიაში, რომელსაც მარქსიზმი ეწოდება“. ნანეიშვილი ფიქრობდა; რომ ამით მოიხსნა მის წინააღმდეგ წაყენებულ ბრალდებებს. კრიტიკოსებმა ის შეაქვს გულახდილობისათვის, მაგრამ არ დაუჭერეს, რომ ის უბრალოდ არამარქსისტია, რადგან ის ანტიმარქსისტია. ნანეიშვილმა თავისი დებულებით — რომ ყველა კითხვაზე პასუხი მხოლოდ უნა-

¹ იქვე, გვ. 32.

ვერსლურ თეორიაში შეიძლება არსებობდეს, გააკრიტიკა დოგმატიკოსები, რომლებიც ფიქრობენ, რომ მარქსიზმში ყველა საკითხი გადაკრილია.

თუ გავითვალისწინებთ, რომ დისკუსია მიმდინარეობდა არა მეცნიერული პაექრობის, არამედ პოლიტიკური დაწოლის ვითარებაში, კრიტიკოსების დამოკიდებულება მათ მსხვერპლთა მიმართ გვაგონებს მონადირეთაგან ნადირას ურთ კუთხეში მომწყვდევეს ამოხოცვის წინ. მიიჩნევენ რა ცნობილი მეცნიერები ანტიმარქსიზმის ბანაკში, დისკუსიის რეზოლუციებში დაადგინეს, რომ ისინი გაძევებულ იქნენ სასწავლებლიდან და მანამ არ დააბრუნონ, სანამ არ უარყოფენ თავიანთ შეხედულებებს და არ გახდებიან მარქსისტები. საკუთარი აზრის თუ შეხედულებათა ქონებისათვის ადამიანის დასჯა, მისთვის საზოგადოებრივი საქმიანობის უფლების წართმევა და საზოგადოებიდან მოკვეთა შესასუქუნეობრივი საეკლესიო შერისხვათა ტრადიციის გაგრძელებაა. ამას თანამედროვე სამყაროში ფაშისტები მიმართავდნენ. სამწუხაროდ, ჩვენთანაც გამოჩნდნენ ასეთი ექსტრემისტები. დისკუსიის შემდგომი პერიოდი კიდევ უფრო ძლიერი დაწოლით ხასიათდებოდა. ანტიმარქსისტებად მონათლულთა მიმართ, მეორე საბოლოო იარაღის — „ხალხის მტრების“ მიკერება არც თუ ისე ძნელი იყო, მით უმეტეს. მოვლენება სწრაფად ვითარდებოდა, მზადდებოდა 1937 წლის ტრაგედია. ამ ვითარებაში ნანეიშვილს მოუხდა პრინციპებზე ხელის აღება, იძულებული გახდა თვითგვემაზე გადასულიყო. მის პირად არქივში შემონახულია ხუთგვერდიანი „საკუთარი ცოდვების აღიარება“, რომელსაც ეწოდება „ჩემი შრომების კრიტიკული ანალიზი“ დაწერილი 1936 წელს, დაქვარამდე ცოტა ხნით ადრე და წარმოადგენს იმის ნიმუშს, როგორ აიძულებდნენ ადამიანს, წლების განმავლობაში ტანჯვით მოპოვებულ მრწამსზე, მსოფლმხედველობრივ და მეცნიერულ პრინციპებზე უარი ეთქვა სიკვდილის შიშით. თუ დისკუსიის დროს თავს იცავდა და მის მიერ შემუშავებულ ყველა პრინციპს ამართლებდა, ტალახამტეს ეუბნებოდა, რომ, რაც არ უნდა მომაწერო რევოლუციის წინააღმდეგ, „მე ეს ვერ დამამონებსო“, „თქვენ ჩემი წიგნი წაიკითხეთ, მაგრამ „ვერ გაიგეთო“, „თუ ჩვენი გაგდება გინდათ ინსტიტუტიდან, წავალთო“, 1936 წელს დაწერილ „აღიარებაში“ ვკითხულობთ: „ჩემი შრომები... დაწერილია გარკვეული იდეალისტური მსოფლმხედველობის ზეგავლენით... რეაქციული და პროლეტარიატის მავნებელი თეორიაა მათში“ (ნანეიშვილი, ჩემი შრომების კრიტიკული ანალიზი) და შემდეგ, „რადგანაც ჩვენ გამოვდიოდით ჰუსერლის იდეალისტური ფილოსოფიის საფუძვლებიდან, რაც ლაიბნიცის ფილოსოფიის თავისებური რესტავრაციაა, იძულებული ვიყავით, გვეხელმძღვანელა სინამდვილის, აუცილებლობის და შესაძლებლობის ჰუსერლი-

ანური გავებით. ვალიარებდით სამართლის სუვერენიტეტის იმ კონცეფციას, რომელსაც დღეს იცავენ პარტმანი, კრაბე. კელზენი და სხვები და რომელსაც ლოგიკურად მიეყავართ უფლებრივი სახელმწიფოთა დოგმის რესტავრაციამდე... სამართლის სუვერენიტეტის კონცეფცია მტრულადაა განწყობილი რევოლუციური პროლეტარიატისადმი¹; სამართლის სუბიექტზე შრომაში: „ნორმატიული ფაქტების თეორიას საფუძვლად უდევს პიროვნების ის ცნება, რომელიც მიღებულია ჰუსერლის, შელერის, ჰილდებრანტის ფილოსოფიაში, რაც უექველად იდეალისტური ფილოსოფიის ყველაზე რეაქციულ შტოდ უნდა იქნეს აღიარებული... ჩვენ ვუშვებთ ეთიკური სუბიექტის იგივეობას, ამდენად, ჩვენ სინამდვილეში ობიექტურად გადმოგვქონდა პროლეტარიატისათვის მანვე და მიუღებელი თეორია“² და ბოლოს, „როგორც ვხედავთ, არც ერთი იმ დებულებათა შორის, საიდანაც ჩვენ ამოვდიოდით, არ შეიძლება მიღებულ იქნას, იმის მიხედვით, რაც ითქვა, ნათელია, რომ ბურჟუაზიული მეცნიერების ფილოსოფიის საფუძველზე შეიძლება შექმნილ იქნას პროლეტარიატისათვის მანვე, ხოლო ბურჟუაზიისათვის ხელსაყრელი თეორიები“³. სამწუხაროდ, ჰკეთი აღიარება ნანეიშვილის კრიტიკოსებს სჭირდებოდათ არა იმისათვის, რომ ნანეიშვილის კათარზისით დამტკბარიყვნენ, არამედ მხოლოდ იმისათვის, რომ კედელზე მიყენებული ადამიანისათვის ტყვიის სროლის უფლება მოეპოვებინათ და კიდევაც აისრულეს წადილი. ასე დიკაზრგა ქართული აზროვნების კიდევ ერთი ნაყოფი — ევროპის კულტურულ ცენტრებში განსწავლული ადამიანი. ამბობენ, რუსეთმა აღიდგინაო ინტელექტის ის დანაკარგი, რაც განიცადა რეპრესიების პერიოდში. იქნებ, 100 მილიონიანმა რუსეთმა მართლაც შეძლო ამის გაკეთება, მაგრამ იმასვე ვერ ვიტყვით პატარა ერების შესახებ. რეპრესიების შედეგად ინტელიგენციის გარეშე დარჩენილი მცირე ჯგუფები დღესაც ინტელექტის დიდ დეფიციტს განიცდიან და ეს არცაა გასაკვირი, თუ გავითვალისწინებთ, მისი განახლების ცენტრები პატარა ერებს არ გააჩნია. წარსულის ინტელექტი მათ გამოწრთეს ევროპის ცენტრებში; რეპრესიების და შემდგომ პერიოდშიც ეს გამორიცხული იყო, ხოლო რესპუბლიკების საკუთარი სამეცნიერო ცენტრები არ აღმოჩნდა ინტელექტის კლავწარმოებისათვის საკმარისი.

ნანეიშვილი გრძნობს და ხედავს, რომ ფანცხავას მსგავსი ყრბრიკოსები მიმართავენ ძალდატანებას იქ, სადაც ის აკრძალულია, — მეცნიერებასა და აზროვნებაში; ნანეიშვილს კარგად აქვს გაცნობიერე-

¹ იქვე, გვ. 4.

² იქვე, გვ. 4.

³ იქვე, გვ. 5.

ბული. რომ ხელისუფლება და სახელმწიფო არ არსებობს ძალადობის ვარეშე, მაგრამ ის წინააღმდეგია ლოგიკის გამომრიცხველი ძალადობის, რომლის უფლება არ მიგვიცა სახელმწიფოსათვის, როცა მან, როგორც ხელისუფლების ორგანოს, ვქმნიდით. ნანეიშვილი 20-იანი წლების ბოლოს თითქოს გრძნობდა. რა მოხდებოდა 30-იან წლებში და განმარტავდა, რომ ძალადობა არ უნდა იყოს შეუზღუდველი და უკანონო; რომ „ხელისუფლება ძალადობს, მაგრამ მხოლოდ მაშინ. როდესაც ვინმე მის მიერვე შექმნილი სამართლის ნორმას არ ასრულებს“. თავისთავად ნათელია. რომ ჩვენი დებულება — „ხელისუფლება გვაიძულებს იმის შესრულებას, რაც ლოგიკურად ჩვენ მიერ აღიარებულია, მხოლოდ ჭერ კიდევ ჩვენი სურვილების საგანს არ წარმოადგენს“ — ნიშნავს იმას, რომ ხელისუფლება უნდა ძალადობდეს მხოლოდ სამართლის განხორციელების მიზნით. აი, ამიტომაც, სახელმწიფო ძალმომრეობა კი არ არის, არამედ მოწესრიგებელი, სამართლისათვის მსახური ძალაა, ე. ი. ის ხელისუფლებაა. თუ ჩვენ ძალის მაგიერ ხელისუფლება ვიხმარებთ, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენი ხელისუფლება პლატონურად განწყობილი იყოს, სრულებითაც არა“. ნანეიშვილისათვის ხელისუფლება ძალის ვარეშე არაა, მაგრამ ხელისუფლება უნდა იყოს მოწესრიგებელი ძალა. რა განსხვავებაა მოწესრიგებულ და მოუწესრიგებელ ძალადობას შორის? — სვამს კითხვას ნანეიშვილი და პასუხობს: მოუწესრიგებელი ძალადობა კანონის დამოუკიდებლად ძალადობს, მოწესრიგებული კი — წესის და კანონის შესაბამისად მოქმედებს. ეს მოთხოვნა არავინ დაიცვა და არც ამ ანალიზს მიაქცია ყურადღება. მოხდა საპირისპირო, რისიც ნანეიშვილს ეშინოდა, — ძალაუფლების გაიგივება მოუწესრიგებელ ძალადობასთან და კანონით მოწესრიგებულობის გამორიცხვა ყოფიერების წესიდან. აღმინისტრაციულ სადამსჯელო სოციალიზმის შესწავლებმა ყურად არ იღეს სამართლის თეორეტიკოსის შეგონებანი და დარჩა ძალადობა კანონით შეუზღუდველი, სისხლით უძღები გამპირის მსგავსად.

ერთ-ერთი ძირითადი საკითხი ნანეიშვილმა ნახარვეში არის ნორმისა და ღირებულების პრობლემა. ეს ყველა დროის სამართლის ფილოსოფიის და სოციოლოგიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემაა. მისი ერთნიშნა გადაწყვეტა დღესაც არ არსებობს. მოაზროვნეთა ნაწილი ნორმას და ღირებულებას აიგივებს იმის საფუძველზე, რომ ღირებულება შეფასებაა და ნორმა არ არსებობს შეფასების ვარეშე. ამიტომ ნორმატიულ ანუ ღირებულებით მსჯელობას უპირისპირებენ ფაქტის ანუ რეალობის მსჯელობას. ზოგიერთი არ იზიარებს ამ თვალსაზრისს და განასხვავებს ნორმასა და ღირებულებას, რომელთაგან ერთი მიაჩნია საფუძველმდებლად, მეორე საფუძველდებულად. ფაქტობრივად, რომ ნორმა უნდა გამოვიყვანოთ ღირებულებიდან, ღირებულებ-

ბა კი თვითონ არაა ნორმა. ნორმისა და ღირებულების განსხვავება ფრანგული სამართლის სოციოლოგიის წარმომადგენლებს პენტოსა და გრავიეს ადამიანის ქცევასთან მიმართებაში ასე აქვთ ნაჩვენები: „საზოგადოებაში ადამიანთა ქცევა აუცილებლად გულისხმობს ღირებულებათა და ნორმათა არსებობას, რომელნიც განაპირობებენ და განსაზღვრავენ ამ ქცევას... გამწვლელი ენმარება მოწყალების მთხოვნელ ბრბოს. ამ ქცევის მამოტივირებელი ღირებულებანი დაკავშირებულია ქველმოქმედებასთან, სოლიდარობის გრძნობასთან. ამ ქცევაში იმპუნქტურად გამოსახული ნორმა შეიძლება ასე დაფიქსირდეს — აუცილებლობის შემთხვევაში მოეხმარე შენს ახლობელს... ამრიგად ღირებულებანი არსებობენ ქცევისაგან დამოუკიდებლად, მაგრამ ისინი სოციალური სინამდვილის შემადგენელი ნაწილებია. არ შეიძლება ღირებულების ქცევისადმი დაპირისპირება, მეორეა მიკუთვნება არსისადმი და პირუელისა ჭერარსისადმი“¹.

როგორია ამ საკითხში ნანეიშვილის პოზიცია და რით უპირისპირდება მას კრიტიკოსი ი. ფანცხავა? ეს საინტერესოა არა მარტო იმით, რომ ნანეიშვილის ნააზრევის ერთ-ერთი სფეროა, არამედ იმ მხრივაც, რომ შ. ნუტუბიძემ სწორედ ისე გაიგო პრობლემა, როგორც ნანეიშვილს ესმოდა. ნანეიშვილის მიხედვით ნორმა არ უდრის ღირებულებას, მაგრამ ის ღირებულების მომენტის შემცველია. შეუძლებელია ნორმად დაეწესოს ისეთი რამე, რომლის სასურველობა თუ არასასურველობა არ იქნებოდა განპირობებული, ჩვენი პოზიციით, ეს კი ღირებულების განმსაზღვრელი მომენტია. ამიტომ სავსებით ბუნებრივი იყო იმის მტკიცება, რომ ნორმა არ დაიყვანება ღირებულებაზე. თუმცა ის ღირებულებით მომენტს შეიცავს. კიდევ მეტი, ეს მტკიცება შეიძლებოდა ჩათვლილიყო სამართლის ფილოსოფიის და სოციოლოგიის პრობლემატიკის ნანეიშვილისეული გააზრების ერთ-ერთ ფუნდამენტურ მონაპოვრად. სწორედ ამას მიუთითებს შალვა ნუტუბიძე თავის რეცენზიაში: „ავტორი ისახავს მიზნად, გაარკვიოს ნორმატიული ფაქტების ბუნება. აქედან ადვილი დასანახია, საით მიდის ავტორის ინტერესი: მან უნდა გაარკვიოს ერთის მხრივ ფაქტების სამყარო და შეაჩიოს მათში ის ჯგუფი, რომელიც ფაქტის ნორმატიულად გახდომის ანუ დახასიათების მაჩვენებელია, ხოლო მეორე მხრივ უნდა შეიჭრას ნორმატიულს სფეროში და მისი ფაქტთან დაკავშირების ის სპეციფიკაცია აღმოაჩინოს, რომელიც ნორმათა ერთ ნაკადს გამოყოფს და ასეთი შეერთებისათვის განამზადებს. შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, რომ ამით საკითხი ჩვეულებრივ პრობლემას ემსახურებოდეს -- ნორმისა და ფაქტის შეერთების შესახებ. პრობლემა ნორმატიული ფაქტ-

¹ Пенто Гравиц, Методы социальных наук, М., 1872, стр. 34—35.

ნორმისა და ფაქტის დაახლოების ნიადაგზე კი არაა წამოკრალი, არაჰედ ასრთა იმ კონტექსტში, სადაც „ნორმატიულობა ზოგიერთი ფაქტის ობიექტურ თვისებად უნდა იქნას აღიარებელი“.

მართალია, ავტორს ესაუბრება სამართლის ნამდვილობის გარკვევა მაგრამ ამას მხოლოდ სამახურებრივი დანიშნულება აქვს მთავარი მიზნის — ნორმატიული ფაქტების ბუნებზე ნათელსაყოფად. კიდევ მეტი — ავტორი ეძებს სამართლის იდეის ადგილს და პოზიტიური სამართლის პრობლემას ამ იდეის გააზრებაში ან სამართალშემოქმედების ჩაჩით ამ იდეის მოქმედ სამართალში შექმოსვლას იკვლევს. რათა მივიდეს ნორმის განსორციელების ამოცანის წამოკრამდე. აქ მას ნამდვილობის სახეობებად გაშლა აინტერესებს, რომელთაგან ერთი მზნეზშედგებობრივ რიგად გაიშლება და შედეგი ვალდებულები არ იქნება მიზეზის აზრის განსახიერებას წარმოადგენდეს, ხოლო მეორე რიგი აუცილებლად თავიდან შეთვისებული აზრის განსორციელების შესაძლებლობის შანსების პრობლემას დააყენებს. ამრიგად, სამართლის იდეისა (სამართლებრივი აზრის) და მისი გარეაღიზების პრობლემა — ეს დიდი და კარდინალური საკითხი დოგმატურ-ფორმალისტური იურისპრუდენციისა ერთი სხვათა შორის მოცემული პრობლემა მთელს ნაშრომში და, როგორც ითქვა, ემსახურება მხოლოდ ერთი კომპონენტთაგანის დადგენას სამართლის ნამდვილობისას, ანუ პოზიტიური სამართლის ნაირობისას.

ავტორის მიზნებისათვის — გარკვევის ნორმატიული ფაქტების ბუნება და ისიც იმ ნიშნით, რომ ისინი, როგორც ობიექტურა, თვითარსი, სამართლის წყაროსაგან დამოუკიდებელი და გარეშე შესაძლებელი ნორმატიული ფაქტებისა წარმოიდგინოს, არა აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა, თუ როგორ გადაწყდება მისთვის საკითხები სამართლის აზრის გარეაღიზების ანუ, „სამართლის ნამდვილობის შესახებ“. ეს რომ ასეა, თუნდაც იქიდან ჩანს, რომ არც სამართლის და არც ფაქტის ნამდვილობა ნორმატიული ფაქტის პრობლემის დაყენების არეს არ არკვევს. მთელი 30—35 გვერდის მანძილზე წარმოებული დისტინქციები და განმარტებანი ძალიან საინტერესო და საგულისხმოა არა მართო იურისპრუდენციისათვის, არამედ საერთო ფილოსოფიური თვალსაზრისითაც, მაგრამ ავტორის პრობლემატიკა მას არ საჭიროებს.

ნაწიშივილი განასხვავებს არა მართო ფაქტსა და ნორმას, არამედ სამართალსა და ნორმასაც, თუმცა ფაქტშიც და სამართალშიც გარკვეულ ნორმებს პოულობს და მაინც სამართლის ნამდვილობა განსხვავდება ფაქტის ნამდვილობისაგან. ყველა შემთხვევაში ავტორს

სპირდება ნამდვილის ცნების გარკვეული გაგება, რომელიც გახდება ამოსავალი მის მიერ დაყენებული პრობლემების გადასაწყვეტად. ის განიხილავს და კრიტიკულად აანალიზებს ნამდვილობის ჰეგელისეულ გაგებას. ჰეგელისთვის ფაქტიც და სამართლებრივი ღირებულებაც ყოფიერების ზოგად კატეგორიაში შედის, მაგრამ ყოველივე, რაც ყოფიერია, ჰეგელისათვის არაა ნამდვილი. აქ ავტორს მხედველობაში აქვს ჰეგელის სამართლის ფილოსოფიის ის პრინციპი, რომლის მიხედვით, ყოველივე, რაც ნამდვილია, გონიერია და ყოველივე, რაც გონიერია — ნამდვილია. როგორც ანალიზმა უჩვენა, ჰეგელი ამ დებულებით არ აიგივებს ნამდვილსა და ყოფიერს, რადგან ნამდვილობა მიეწერება მხოლოდ იმ ყოფიერს, რომელიც აუცილებლობით არსებობს. შემთხვევით არსებული კი არ არის ნამდვილი. ნანეიშვილის აზრით, ჰეგელისათვის არაა რაც არსებობს როგორც ფაქტი, მაგრამ ის არაა ნამდვილი. აქედან გამომდინარე, ნანეიშვილის აზრით, „ნამდვილობითია ყოველივე, რაც მოცემულია, როგორც განსაზღვრული. მნიშვნელობა და რაც იმავე დროს მოქმედებს“. სამართლის და ფაქტის ნამდვილობა არაა სადავო და მაინც მათ შორის განსხვავება თვით ნამდვილობის ბუნებაშია. „სამართალში ნამდვილობა არის ის, რაც არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ფაქტის ნამდვილობად ჩაითვალოს“, ფაქტის ნამდვილობა ყოველთვის ხდომილებისეულია, მომხდარია, განხორციელებულია. ფაქტი მიზეზობრივია და ინდივიდუალური, შესაბამისად — ისტორიულიც.

ნანეიშვილი აკრიტიკებს არა მარტო სინამდვილის ჰეგელისეულ კონცეფციას, არამედ შეღერისეულსაც, რომელსაც ფაქტი და ფაქტობრივი ესმის ვიწროდ, დაყავს უშუალოდ მოცემულობაზე და უპირისპირდება იმას, რაც უშუალოდ არ შეიცნობა. ფაქტი შეღერთან ირაციონალურია. თუ ფაქტს ასე გავიგებთ, მის რიგებს აკლდება ლოგიკური კანონი, მათემატიკური აქსიომა, რამდენადაც უშუალოდ ჰერკეტის საგანს არ წარმოადგენენ. თუ მათ ასეთად მივიღებთ, ფაქტი იქნება მოქმედი სამართალიც, რომელიც სამართლის იდეის გამოხატულებაა. გუმოდის, რომ სამართლის ნორმაც უშუალოდ ჰერკეტის საგანია. ფაქტისა და ირაციონალურის გაიგივება, ნანეიშვილის აზრით, ყველაზე უკეთ იჩენს თავს ფეიჰინგერთან, სადაც გათიშულია ფაქტობრივად უშუალოდ მოცემული და მისი საპირისპირო ირაციონალური სამყარო ცნებათა თუ იდეათა, რომელთაც ფიქციების მნიშვნელობა აქვთ და მათ შორისაა სამართალიც. ნანეიშვილის აზრით, ფაქტის ბუნების გასაგებად არ გამოგვადგება ფაქტზე ყოველდღიური ცოცხალი ადამიანური განსჯის თვალსაზრისი, რომლის მიხედვით ფაქტია ყოველივე, რაც მოხდა, რადგან გამოდის, რომ სამართალიც, ფაქტი იქნება თუ ხდომილება, გულგრილია დროის და სივრცის მიმართ. ნანეიშვილი ითვალის-

წინებს იმათ არგუმენტაციას, ვინც შეეცდება ნორმა ფაქტად გამოაცხადოს იმის საფუძველზე, რომ პოზიტიური სამართალი არანაკლები რეალობით ხაზითდება, ვიდრე მცენარე, ქვა, სახლი და სხვა. „ნორმა ხომ მოქმედებს, გავლენას ახდენს და საზღვრავს კიდევაც. ვის მოუვა აზრად, უარყოს, რომ ნორმას ფაქტის ხასიათი აქვს“. ნანეიშვილის მტკიცებით, ერთი შეხედვით ეს ცხადი ანალიზი, ფაქტობრივად არც ცხადია და არც ქეშმარიტი. ის, რომ ნორმა მნიშვნელობს პოზიტიური სამართლის აზრით, არაა იმის მაჩვენებელი რომ სამართლის იდეაც, მისი საზრისი იმავე კანონზომიერებას ექვემდებარება, რასაც ფიზიკურ-ფსიქიკური მოვლენები. რიცხვები, ფიგურები და სხვა იდეალური ყოფიერების ფორმებიც გარკვეული წესით არიან, მაგრამ ეს ყოფიერება არაა ისეთივე ხასიათის, როგორც ფიქციური სხეულთა ყოფიერებაა. რიცხვები, ფიგურები და სხვა არსებობენ, მაგრამ არა ფაქტის სახით. სამართლის იდეა არაა არც ფიზიკური და არც ფიქციური მოცემულობა, მაგრამ ის არსებობს ისეთივე წესით, როგორც არსებობს ზოგადი. აქ ავტორი ემყარება პუსერლის მიერ განსხვავებული ნამდვილისა და არანამდვილის, ყოფიერებისა და არსებობის ცნებებს. მიუთითებს, რომ ის, რაც პირველის ან მეორის, ე. ი. ფსიქიკურისა და ფიზიკურის გარეშეა, არსებობს, მაგრამ სხვა წესით. ის არაა ფაქტი და შეიძლება — არც მოცემულობა. ორჯერ ორი რომ ოთხია, ეს ფაქტი კი არ არის, კი არ მოხდა, თუმცა მოცემულობა კია. მასთანადამე. ეყვლაფერი, რაც მოცემულობაა — არაა ფაქტი. ამიტომ სამართლის იდეა, მისი საზრისი მაშინაც, როდესაც ის რეალობდება პოზიტიურ სამართალში, არ იქცევა რეალურ ფაქტად; როცა სამართლის იდეას იგივეებზე ფაქტთან, მაშინ, ნანეიშვილის აზრით, მეორდება ხანგრძლივ ისტორიულ პერიოდში გაბატონებული შეხედულება, რომლის მიხედვითაც ქეშმარიტება და სინამდვილე ერთი და იგივეა. თუ ვამტკიცებთ, რომ მაგიდა ნამდვილად არსებობს, მიგვაჩნია, რომ მაგიდის არსებობა ქეშმარიტებაა, რადგან ის ნამდვილია, მაგრამ ეს ორი სრულიად სხვა რიგის ცნებებია. საინტერესოა, რომ ამ პრობლემას ქართულ ფილოსოფიაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უკავია;

სერჯი დანელია მოითხოვდა გაგვემიჯნა ნამდვილი და ქეშმარიტა, რადგან ნამდვილი დროულსივრცული სინამდვილეა, ქეშმარიტება კი არც დროულია და არც სივრცული. დანელიას მონოგრაფიაში ნათქვამია, რომ დემოკრიტემ დააყენა საკითხი გრძნობადი წარმოდგენაა ორ პრობლემად დაყოფის შესახებ: „გრძნობადი წარმოდგენის საგნის რეალობისა და გრძნობადი წარმოდგენის ქეშმარიტების პრობლემად“. აქ საფუძველი ეყრება ლოგიკურის და რეალურის გამიჯვნას, მაგრამ ეს საკითხი ატომიზმის საფუძველზე ვერ გადაწყდა, რადგან გრძნობადი წარმოდგენის ქეშმარიტების უარყოფასთან ერთად, უარყოფილ

იქნა მისი რეალობაც. საერთოდ, რეალურისა და ქეშმარიტის გამიჯვნას უფრო გვიანდელ ეპოქაშიც ვერ ახერხებდნენ. უკვე ის ფაქტი, რომ არისტოტელე ლოგიკურ საფუძველს მიზნებს უწოდებდა, „იმაზე მეტყველებს, რა ცუდად იყო გამიჯნული ქეშმარიტაა და ნამდვილის ცნება დიდი სტაგირელის ცნობიერებაში“. დანელიას აზრით, კრიტიკული ფილოსოფიის ერთ-ერთი უდიდესი დამსახურებაა რეალობისა და ღირებულების ცნებათა გამიჯვნა. ღირებულებას კი ქეშმარიტებაც ეკუთვნის¹.

დანელია აანალიზებს ლოგიკურისა და რეალურის განსხვავებას მიზნისა და საფუძვლის განზომილებაშიც. მიუთითებს, რომ მიზნები რეალურის, ხოლო საფუძველი — ლოგიკურის დამახასიათებელია. დანელიას ნააზრევს ერთ-ერთი ძირითადი პრინციპია ნამდვილისა და ქეშმარიტის ლოგიკურ-გნოსეოლოგიურ ასპექტში გამიჯვნა. შემდეგ კოტე ბაქრაძე რუბინშტეინის დამოწმებით დასაბუთებს, რომ ქეშმარიტება განსხვავებულია ფსიქიკურისაგან, რადგან ფსიქიკური დროული პროცესია. ქეშმარიტება კი ფსიქიკურის იდეალური შინაარსია. ამ გამიჯვნას ფსიქიკურსა და იდეალურს შორის საფუძველი დაუდო ჰუსერლმა, შემდეგ აღიარა რიკერტმა და ქართულმა ფილოსოფიურმა აზროვნებამაც. ნანეიშვილი ამ გამიჯვნას იყენებს პოზიტიური სამართლისა და სამართლის საზრისის მიმართ, მაგრამ სხვა განზომილებით. სამართლის საზრისი, როგორც განსაკუთრებული სინამდვილე, მისთვის „ზოგადია“, არსების, აუცილებლობის იგივეობრივია. რატომღაც ნანეიშვილის რეცენზენტებს წარსულშიც (ფანცხავა, გეგენავა. ტალახაძე და სხვანი) და ამჟამადაც (სავანელი და სურგულაძე) მიაჩნიათ, რომ ეს მომენტი მისი ნააზრევს იდეალისტური მხარეა. სინამდვილეში სწორედ ესაა ნანეიშვილის ერთ-ერთი ძირითადი დამსახურება. სახელდობრ: მან შეძლო ის, რაც ანტიკურობიდან აწუხებდა ადამიანს გნოსეოლოგიის და ლოგიკის სფეროში, თუ საერთოდ რეალობის პრობლემის განხილვისას, სიცხადე შეეტანა სამართლისა და სინამდვილის მიმართების სფეროში. ამ საკითხს ჩვენ ისევ დავუბრუნდებით. აქ კი მხოლოდ აღვნიშნავთ, — ჯერ კიდევ პლატონმა აჩვენა, რომ ფაქტობრივ მატერიალურ მოვლენათა სამყარო ცვალებადია, წარმავალია, მოჩვენებითია, მაგრამ არის უცვლელი და მარადიული იდეა, რომელსაც არც არაფერი აკლდება და არც არაფერი ემატება, მაშინაც, როდესაც მის გამომხატველ რეალობას რაღაც ემატება ან აკლდება, ანუ იცვლება. ნანეიშვილმა გამოიყენა ეს გზა, მაგრამ ისევ სხვა კუთხით. იგი ამტკიცებს, რომ საერთოდ კანონი, როგორც გარკვეული ჭერარსობა, არ არის დამოკიდებული იმაზე, აღიარებს თუ არა ვინმე მას. ამ კა-

¹ იხ. С. И. Дanelija. Философские исследования. Тбилиси. 1977. стр. 100.

ნონს თავისი ჯერარსობა მაინც აქვს, მხოლოდ როგორც შესაძლებლობა და არა როგორც რეალობა. აქ საკითხი ეხება ღირებულებისა და ნორმის დამოკიდებულებას მათ შეფასებასთან, აღიარებას, ან უარყოფასთან. ნაწიშივილი სამართლიანად ამტკიცებს, რომ ნორმა თუ ღირებულება არაა დამოკიდებული ჩემს აღიარებასა და ან არაღიარებაზე. ის მაინც მნიშვნელობს. მართალია, აღიარება-არაღიარებაში უნდა კოვოს მან რეალიზაცია, მაგრამ ეს მის შინაარსს არც არაფერს კმატება და არც აკლებს. „პოზიტიური სამართლის ნორმის მოცემულობა — ეს კვშმარიტებაა თავისთავად. მის კვშმარიტებას განსაკუთრებული სიცხადით და სისრულით შევიგნებთ განსაზღვრულ სუბიექტურ აქტებში. ფსიქიური აღიარების, ან ფსიქიური უარყოფის აქტებში... ცხადია, რომ აღიარების ან უარყოფის ეს აქტი სრულიად არ ახდენს ვაე-ლენას იმ შინაარსზე, რომლითაც სამართალი მოქმედებს“. მართლაც, ყველა რომ ასრულებდეს სამართლის ნორმას, სამართალი არც იქნებოდა საჭირო. სამართლის ნორმებისადმი ყოველთვისაა მოსალოდნელი დადებითი და უარყოფითი პოზიცია, მაგრამ ამით სამართალს არაფერი აკლებდა. ისე როგორც რომელიმე კონკრეტული სამართლის ფორმის მიერ ძალის დაკარგვა და ახალი სამართალით შეცვლა არ იწვევს სამართლის იდეის, მისი საზრისის შეცვლას. ყოველი სამართალი არის სამართლის იდეის რეალიზაცია. ასე რომ, „დროში წარმოშობილი მოქმედი ყოველი სამართალი სხვა არა არის რა, თუ არა გასაგნებული სამართლის აზრი“. ნაწიშივილი აქ გარკვეულ პარალელს აკლებს ესთეტიკასთან. ესთეტიკური იდეა და მისი რეალიზაცია შემოქმედებით პროცესში ანალოგიურია სამართლის იდეის რეალიზებისა მის შემოქმედებით პროცესში. თუ იქ ამას ხელოვანი აკეთებს, აქ — სამართლის შემოქმედი ქმნის. ისე, როგორც ესთეტიკური იდეა განხორციელდება გასაგნებული თუ რეალიზებული ესთეტიკური შემოქმედების შედეგში, ასევეა სამართლის იდეაც — ის ხორციელდება პოზიტიურ სამართალში. პოზიტიური სამართალი „ხდება“ გარკვეულ დროსა და სივრცეში, სამართლის იდეა კი მოკლებულია დროულ-სივრცულ განსაზღვრულობას და ამდენად ხდომილებასაც. აქ რეალურის და ლოგიკურის დაპირისპირებაა, უფრო სწორად — სამართლისა და მისი იდეის დაპირისპირება ერთ-ერთი სახეა რეალურის და მნიშვნელობის მქონის დაპირისპირების. ის ზოგჯერ ლოგიკურიცაა. მთავარია, რომ ის არ არის დროულ-სივრცული და, მამსადადმე, ხდომილების ხასიათის.

ნაწიშივილი თითქმის ყველა სამართლებრივ კატეგორიას ფილოსოფიურ კრილში და ზოგად ფილოსოფიურ პრობლემებთან შესაბამილობაში განიხილავს. ასეთია მაგ., სუბიექტის, ობიექტის, ღირებულუ-

ბის და ნორმის მიმართების საკითხი — ის, რაც აქსიოლოგიასა და გნო-
სეოლოგიაში დგას, როგორც შემეცნების და შეფასების განსხვავება,
როგორც შემეცნების სუბიექტის და ობიექტის აუცილებლობა რო-
გორც შეფასების, ისე შემეცნებისათვის, ის, რაც ნორმატიულია ჯა
ობიექტის დაპირისპირებაა ფილოსოფიის თვალსაზრისით, ნანეიშვილ-
თან ყველაფერი ეს აისახება სამართლის განხილვისას. მისი მტკიცე-
ბით. აუცილებელია საკითხი -- ეკუთვნის თუ არა სუბიექტი, ობიექტ-
ტი, ღირებულება და ნორმა ხდომილებათა სტეროს და რაპლენად
არიან ისინი. აუცილებელი თუ შემთხვევითი. ეს მომენტები სამართ-
ლისეულია, „წარმოდგენელია სამართლის ნორმა ღირებულებითი
მომენტის გარეშე, წარმოდგენელია იგი ობიექტის ჭერარსობრივი
ხასიათის გარეშე“. სამართლის ნორმა სხვა რამეს კი არ გამოხატავს,
არამედ ჭერარსობას: მის მიმართ არ ითქმის, რომ ასე მოხდა და შეიძ-
ლებოდა სხვაგვარად მომხდარიყო, რაე როგორც ორჯერ ორი რომ ოთ-
ხია, ამის მიმართ არ შეიძლება ვთქვათ, რომ მოხდა ისე, რომ ორჯერ
ორი ოთხის ტოლია. ჭერარსობის გარეშე არაა ნორმა და თუ საერთოდ
აღნიშნული მომენტები არ არსებობს, მათ გარეშე არც ნორმა იქნება.

ავტორი განიხილავს ბაზისის და ზედნაშენის მიმართებას და სა-
მართლის ადგილს ამ კატეგორიათა სისტემაში. ის ამოდის თეზიდან,
რომ სამართალი ზედნაშენური კატეგორიაა, მაგრამ ეს არ ნიშნავს,
თათქოს სამართლის სტრუქტურა ემთხვეოდეს რეალობას და სამა-
რთალი ერთმნიშვნელოვნად იყოს განსაზღვრული იკონომიკით. სა-
მართალს, ისე, როგორც ცნობიერების ყველა სხვა ფორმას, შედარე-
ბითი დამოუკიდებლობა გააჩნია და ეს უკვე იქიდანაც ჩანს. რომ ეკო-
ნომიკა და სამართალი სხვადასხვა განზომილების რეალობებია. ეკო-
ნომიკური პრობლემები კითხვას სვამს — რა შეიძლება გაკეთდეს, სა-
მართალი კითხულობს — რითაა უზრუნველყოფილი ის, რაც უნდა გა-
კეთდეს?“ ნანეიშვილი საყსებით რეალურად. ანალიზებს ნორმის ჭერ-
არსობის გამო მის ფაქტად არყოფნას. აზრი არ ექნებოდა ნორმას და
ჭერარსს, თუ რასაც ჭერარსი მოითხოვს — ფაქტი იქნებოდა. თუ ქურ-
დობა გამორიცხულია, არ მოიპარო — უაზრო ცნებაა, თუ ზნეობრივი
ნორმები განსორციელებულია, ისინი ძალას კარგავენ. მათ საზრისი
აქვთ მხოლოდ იმიტომ, რომ ფაქტი არაა ის სინამდვილე. რასაც ისინი
მოითხოვენ: ამავე დროს, ნორმაში მოთხოვნილი შესაძლებელია და
ამითაც აქვს საზრისი. თუ შეუძლებელი იქნებოდა, მაშინაც გამოი-
რიცხებოდა მისი საზრისიანობა, ისე როგორც რეალიზების შემთხვე-
ვაში. ძირითადი საკითხი, რაც ნანეიშვილის ნააზრევის ფილოსოფიე-
რი მზარეა, მდგომარეობს არსებობის, ნამდვილობის სხვადასხვა ფორ-
მათა განსხვავებაში. ეს ის საკითხია, რაც ტრადიციულად ფილოსო-
ფიის კატეგორიოლოგიურ ნაწილში განიხილებოდა, როგორც ზოგა-

დის და ერთეულის, არსების და მოვლენის, აუცილებლის და შემთხვევითის. შესაძლებლობის და სინამდვილის მიმართების და მათი არსებობის ფორმის საკითხი. უნდა აღვნიშნოთ, რომ ნანეიშვილის კრიტიკოსებიდან ვერცერთმა ვერ გაიგო ნანეიშვილთან დაყენებული პრობლემის იგივეობა აღნიშნულ კატეგორიებში გამოსახულ პრობლემასთან პეტრე შარიას გარდა. სწორედ მან ერთადერთმა მიუთითა, თუ სადაა ნანეიშვილის ფილოსოფიურ ძიებათა საფუძველი. მაგრამ არა იმისთვის, რომ სწორად გაეგო პრობლემის ნანეიშვილისეული დაყენება და გადაწყვეტა, არამედ მის უარსაყოფად.

როგორც აღინიშნა, საკითხი ეხება სინამდვილის ორი სახის არსებობის წესს. ერთეული, ცალკეული რომ არსებობს, ეს დასტურდება გრძნობადი მონაცემებით. ჩვენ შეგვიძლია, მას შევეხოთ, აღვიქვათ და ა. შ., მაგრამ ამ ერთეულის ზოგადი არც შეხებადი, არც აღქმადი და არც რაიმე გრძნობად-მატერიალური სახით მოცმული არ არის და მაინც უნდა ვაღიაროთ მისი არსებობა, თუ სამყაროს არ დავიყვანთ ერთეულებზე. და თუ, როგორც სწორად აღნიშნავენ, ხეებს დავინახავთ და ტყეს — არა. პეტრე, პავლე, ივანე რომ არსებობს, ეს არაა სადავო. მაგრამ არსებობს თუ არა ადამიანი, საზოგადოდ ადამიანობა. თუ ის მხოლოდ ფიქციაა ან შემოკლებული ჩაწერა იმისა რასაც პეტრე, პავლე, ივანე და ა. შ. წარმოადგენენ. ნომინალიზმისა და რეალიზმის ეს ტრადიციული პრობლემა ხშირად წყდებოდა ნომინალიზმის სასარგებლოდ არა მარტო კლასიკურ, არამედ თანამედროვე ფილოსოფიაშიც, ნომინალიტ ჩეიზ-ის მტკიცებით, არსებობენ ცალკეული ადამიანები. მაგრამ არ არსებობს კაცობრიობა როგორც ასეთი. რეალიზმის შეცდომას ხედავენ იმაში, რომ ცალკეულია გარდა, რეალიზმი აღიარებს ზოგადი რეალობების არსებობას, მაგრამ ნომინალიტები არ უწყვენ ანგარიშს იმ გარემოებას, რომ რეალიზმი ორი სახისაა. რეალიზმი ის სახეობა, რომელსაც პლატონმა დაუღო საფუძველი. ზოგად რეალობას ცალკეულისაგან მოწყვეტა ლად წარმოადგენს, მაგრამ არა რეალიზმის მეორე სახეობა — არისტოტელესეული რეალიზმი. მისთვის ზოგადი არსებობა ერთეულში და ერთეულის გზით. ნანეიშვილი დგას სწორედ ამ უკანასკნელი რეალიზმის პოზიციებზე. მისთვის ზოგადის გამოვლენის ფორმაა ერთეული. აუცილებლობის გამოვლენის ფორმაა შემთხვევითობა და შესაძლებლობისა — ნამდვილი. მაგრამ ეს გამოვლენანი ვერ იარსებებდნენ, რომ არ არსებობდეს ის, რისი გამოვლენაც ისინი არიან. ეს უკანასკნელი კი ვერ იარსებებდა იმ წესით, რა წესითაც მისი გამოვლინებანი არსებობენ, რამდენადაც ყოველი ცალკეული, თუ მასში ზოგადობა ისეთივეა, როგორც ცალკეულის არსებობა, როგორც გარდამავალი მასთან ერთად ცალკეულად ვაძლი და ზოგადსაც. მაშინ, როდესაც ცალკეული წარმოიშობა და ისობა,

ზოგადი კი იგივე რჩება. ის არ ისპობა და არ წარმოაშობა ცალკეულ-თან ერთად. პოზიტიური სამართლის მრავალი ისტორიული ფორმა არსებობდა. ყოველმა მათგანმა დაკარგა ძალა, ისტორიული გახდა წარსულისადმი კუთვნილების აზრით, იმ აზრით, რომ დღეს მას არსებობა არა აქვს, მაგრამ სამართალი როგორც ასეთი, არაა წარსულის კუთვნილება, ის დღესაც ისევე რეალურია, როგორც წარსულში იყო. ნანეიშვილი ეძებს სწორედ ასეთი სამართლის რეალობის ფორმას, რა სახე მიიღო სამართალმა ჰამურაბის, სოლონის ან ნაპოლეონის კანონებში — ეს შემთხვევითობა და შედეგია, მაგრამ ყოველ მათგანში გამოვლინდა ის აუცილებლობა, რომლის მოდიფიკაციებს ისინი წარმოადგენენ. თვით აუცილებლობა არ მოდიფიცირდება და არ იცვლება დროსა და ეპოქასთან ერთად. როდესაც ნანეიშვილი სამართლის იდეალს, როგორც შესაძლებლობას, უპირისპირებს განხორციელებულ სამართალს როგორც ფაქტს, აქაც რეალიზმის პოზიციაზე დგას. როგორ შეიძლება შესაძლებლობა გავაიგივოთ ფაქტთან, სამართლის იდეალი თუ საზრისი კონკრეტულ სამარლებრივ ფორმასთან: სხვა კონკრეტული ფორმებიც ხომ ამ იდეალის განხორციელება იყო და იქნება მომავალში. მათი რიცხვი მრავალია, იდეალი ერთია, მაგრამ მრავალ შესაძლებლობას შეიცავს და აქ კვლავ მივდივართ პრობლემამდე — როგორაა ეს ერთი მრავლის განმსაზღვრელი, როგორ ეტევა ამ ერთში მრავალფეროვნება ისე, რომ ყოველი მათგანი მისი წიაღიდან გამოდიოდეს და, ამავე დროს, არცერთი არ ამოწურავდეს მას. დაბოლოს, როგორია ამ ერთეულის იდეალის, საზრისის, ზოგადის, არსების, აუცილებლის, შესაძლებლის არსებობის წესი, თუკი ის საერთოდ არსებობს; თუ არ არსებობს და მხოლოდ მნიშვნელობს, როგორც ზოგიერთი ამტიკებდა, მაშინ საკითხი დგება, როგორ უკავშირდება არარსებული არსებულს, როგორაა არსებული არარსებულის გამოვლენის ფორმა. სწორედ ეს სიძნელე დადგა რიკერტის წინაშე, როდესაც მან განიზრახა არსებული სინამდვილე და არარსებული, მაგრამ არსებულის მიმართ მნიშვნელობის მქონე ღირებულება, ერთმანეთთან დაეკავშირებინა. მან ვერ გადალახა ეს სიძნელე, რადგან მათ დასაკავშირებლად მესამე შემოიტანა საზრისის. სახით, რომელიც ერთ შემთხვევაში იმანენტურია, — მეორეში — ტრანსცენდენტური. სიძნელემ ახალი ფორმით იჩინა თავი. დაისვა კითხვა: როგორ უკავშირდება ეს მაკავშირებელი საზრისი ღირებულებას და სინამდვილეს და რა არის ის, რაც იმანენტურ საზრისს დაკავშირებს ტრანსცენდენტურთან. ერთ-ერთი ძირითადი საკითხი თვით ღირებულების ყოფიერების პრობლემას შეეხებოდა. რას ნიშნავს, რომ ღირებულება არ არსებობს და მნიშვნელობს, როგორ მნიშვნელობს არარსებული, რას ემყარება მისი მნიშვნელობა? მოკლედ. სამყაროს გათიშვით არსებულის და მნიშვნელობის, მაგრამ არარ-

სებულის. სინამდვილის და ღირებულების სდეროვებად რიკერტმა გზა ჩაიკეტა სამყაროს ერთიანობისაკენ და დუალიზმში ჩავარდა.

ნაწიშილი ზედავს ამ გზის ნაკლოვანებებს. მისთვის ცხადია, რომ ღირებულება, სამართლის იდეალი, არ შეიძლება გავრტანოთ არსებობის გარეთ. მაგრამ ისიც ესმის, რომ მისი არსებობა არ უიგივდება პოზიტიური სამართლის არსებობის ფორმას და საკითხი კლავ დგას — როგორია სამართლის საზრისის არსებობის ფორმა და როგორ უკავშირდება ის გრძნობად სინამდვილეს? ბუნებრივია, ეს უფრო ადვილი გადასაწყვეტი იქნება, თუკი მათ შორის არსებობის სახით საერთო მომენტი აღმოჩნდება. მაგრამ სწორედ არსებობის ის ფორმაა გამოსანახი, რომელიც ერთეულის, ცალკეულის არსებობისაგან განსხვავებულია და ამავე დროს ცალკეულის გარეშე არ არსებობს, თუმცა ყველა ცალკეულის არსებობაზეც არ დაიყვანება. როგორც ვხედავთ, ნაწიშილმა დაინახა რეალური პრობლემა და მისი გადაწყვეტის მცდელობანი. მარქსმა დაადასტურა არისტოტელეს დებულება, რომ ზოგადი არსებობს მხოლოდ ცალკეულში და ცალკეულის მეშვეობით. მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ზოგადის არსებობის დადებითი დახასიათება არაა მოცემული არც მარქსიზმში და არც სხვა რომელიმე თეორიაში. გაეისენოთ მარქსას მიერ ღირებულების დახასიათება უარყოფითი პრედკატებით. ეს მოწმობს, რომ სიძნელე სიძნელედ რჩება, კერძოდ, იმის შემეცნება, რა წესით არსებობს ზოგადი. ეს სიძნელე კი შეეხება შემეცნებისათვის ყველაზე არსებითს. შემეცნება ხომ მიზნად ისახავს ზოგადის, კანონის, აუცილებლობის, არსების წვდომას. მაშასადამე, ესენი უნდა არსებობდეს. მიზიდულობის კანონი არსებობს. სხვაგვარად როგორ იარსებებდა მისი გამოვლენის ფორმები, მაგრამ დაიყვანება ეს კანონი მის გამოვლენათა ფორმებზე? რასაკერძოვლა — არა. არცერთი კანონი, არცერთი არსება არ დაიყვანება მისი გამოვლენის არც ცალკეულ და არც მრავალ ფორმებზე. მაგრამ ამის გამო მათ არსებობას ვერ უარყოფთ. საქმე ისაა, როგორ უნდა დახასიათდეს ეს არსებობა. ნაწიშილიც აღიარებს ორ არსებობას: სამართლის იდეალს თუ საზრისს და პოზიტიურ სამართალს. მეორე პირველის გამოვლენაა. ნაწიშილისათვის სამართლის საზრისი ეკუთვნის ერთ შემთხვევაში — იდეალს, რომელსაც ვესწრაფვით, თუმცა ვერასდროს ვაღწევთ იმეთ იდეალს, როგორიცაა აბსოლუტური სიკეთე, ჰუმანიზმი, ზნეობრიობა თუ სხვა. ასეთივე იდეალია აბსოლუტური ჰუმანიზმი. მთელი შემეცნება ესწრაფვის მას და მაინც ვერასდროს ვერ აღწევს, თუმცა ყოველი ჰუმანიზმი რადიკალურად გეახლოებს მასთან. ერთი მხრივ, ასეთი იდეალის ფორმა აქვს სამართლის საზრისს. ყოველი აბსოლუტური სამართალი მისდამი მიახლოების მცდელობაა, უნდა გახდეს მისი ადეკვატური, მაგრამ ვერასდროს ვერ ხდება ასეთა,

რადგან ყოველი მათგანი განსაზღვრულია სოციალურით, ეპოქით და საერთოდ ამქვეყნიურით, ადამიანურით, მაშინ. როდესაც ყოველგვარ ეპოქასა და სოციალურ ძალებზე მალა დგას. მეორე შემთხვევაში სამართლის საზრისს, იდეალს მიეწერება ობიექტური არსებობა, როგორც განხორციელებულ რეალობას, რომელიც ამ რეალობაზე არაა დამოკიდებული და მასზე მალა დგას. მისი არსებობა მათემატიკური სინამდვილის მსგავსია. მათემატიკური პროპორციები თუ გეომეტრიული ფიგურები არიან იმისდა მიუხედავად, არის თუ არა სინამდვილე, რომელსაც ისინი გამოხატავენ. ორჯერ ორი ოთხია, იმისდა მიუხედავად, არის თუ არა რეალურად მატერიალური სიდიდეები. რამდენაა ნამრავლი ოთხს მოგვემდა. სამართლის იდეალისა და ფაქტობრივი სამართლის მიმართება შეიძლება გავიგოთ როგორც კანონზომიერების და მისი განხორციელების ფორმების მიმართება. ყოველი ჩამოვარდნილი სხეული მიზიდულობის კანონის ძალით ვარდება, თუმცა ეს კანონი არ დაიყვანება მათზე, როგორც მისი გამოვლენის ფორმებზე.

ერთ-ერთი მომენტი, რის გამოც შეგვიძლია ვთქვათ, რომ ნანეიშვილის ნაწარვეში არაა არავითარი იდეალიზმი, შემდეგია: ნანეიშვილი აღიარებს, რომ სამართალი ობიექტივიზებული ნებელობაა, პიროვნების თუ სოციალური ერთობის ნებელობა, რომელიც განსაზღვრავს ყველა სხვას და თავისთავსაც მისი ობიექტივიზების გზით. იდეალურა სამართალი ანუ სამართლის საზრისი ისეთივე ობიექტივიზებული ადამიანურობაა, რომელიც ადამიანთა ქმედებას განსაზღვრავს და მათში ვლინდება, მათ ვარემ არაა, მაშასადამე, ის არაა მოწყვეტილი ცალკეულთა სინამდვილეს არც პოზიტიური სამართლის და არც ადამიანთა ქცევის ფორმათა განსაზღვრის აზრით. ჰუსერლის თუ პლატონის იდეალიზმის განმეორება იქნებოდა, რომ მოეწყვიტათ პოზიტიურა სამართლისაგან სამართლის საზრისი და ცალკე ყოფიერებად გამოეცხადებინათ. მაგრამ ნანეიშვილი არა თუ არ აშორებს ერთმანეთს სამართლის საზრისს და პოზიტიურ სამართალს, არამედ ერთის გამოვლენად აცხადებს მეორეს და როგორ შეიძლება ის, რაც რეალისტური მოძღვრებებს ერთ-ერთი ძირითადი პრინციპია — ზოგადისა და ერთეულის, აუცილებლისა და შემთხვევითის, შესაძლებლისა და სინამდვილის კავშირი და ურთიერთგაპირობებულობა გამოავაცხადოთ რეალიზმის საპირისპიროდ, ანტირეალიზმად, როგორც ნანეიშვილის კრიტიკოსები აკეთებენ. ერთადერთი, რაც ნანეიშვილის თეორიაში არ არის გარკვეული, ეს არის სამართლის საზრისის, ზოგადის არსების კანონის აუცილებლობის არსებობის ფორმა. განსხვავებული ყოფიერება რომ ახსიათებს, ეს მართალია, მაგრამ როგორია ეს არსებობა არ აქვს გაანალიზებული. მაგრამ ვერ დაასაძლებ მოაზროვნეს მარქსიზმის კლასიკოსების ჩათვლით, რომ ეჩვენებანთ არსებობის ამ ფორმის ნიშნები.

იდეალოზმში გადავარდნის გარეშე. არც ნანეიშვილს უჩვენებია. კითხვა ისმის — განა მას მოეთხოვებოდა იმის გაკეთება, რაც კაცობრიობის აზროვნების ისტორიის მანძილზე არ გაკეთებულა? ნანეიშვილისათვის და, ალბათ, მისი მკითხველებისათვის საკმარისი უნდა ყოფილიყო იმის ჩვენება, რომ ცალკეული, ერთეული სამართლის ფორმა შემთხვევითი და არააუცილებელია, მაგრამ, ამავე დროს, ის არის სამართლის არსების, მისი საზრისის გამოვლენის ფორმა.

ედუარდ კოლუა

სამართლის ნამდვილობა და ცდა ნორმატიული ფაქტების დასაბუთებისა

§ 1. ფაქტი და სამართალი

სამართლის მეცნიერების პრობლემათა შორის არის ერთი საკითხი; რომელიც, შეიძლება ითქვას, ყველაზე ნაკლებად არის დამუშავებული, მეთოდოლოგიურად გამართული და თეორიულად დასაბუთებული. ეს არის „ფაქტიურის ნორმატიული ძალის“ პრობლემა. ბევრს კი ლაპარაკობენ ამ პრობლემაზე და კიდევ უფრო მეტად მისი დახმარებით სურთ ხოლმე ახსნან ყველაფერი, რაც ფორმალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით ძნელი ასახსნელია. შეიძლება საკითხის სწორად დაყენებას ხელს უშლის ფაქტის ბუნების შესახებ არსებული აზრთა სხვადასხვაობა. მაგრამ განა საჭიროა ფაქტის არსის გამორკვევა? განა ფაქტი ცხადად არ ლაპარაკობს თავის თავზე? ეს ხომ დროისა და ენერგიის უაზრო დაკარგვა იქნებოდა თავისთავად ცხადი და ნათელი ქვეშარტების გამოსარკვევად? ნუთუ შესაძლებელია ფაქტის მიმართ ორი თვალსაზრისი არსებობდეს, როდესაც ეს ფაქტი სრულიად გარკვეული სახით დგას ყველას წინაშე, ვისაც აქვს თვალი, რომ იხილოს; ყური, რომ ისმინოს: გრძნობა, რომ იგრძნოს.

მაგრამ ასე მსჯელობა შეუძლია იმას, ვინც საკითხის იქით პრობლემის მთელ სიღრმეს ვერ ხედავს. ნამდვილად კი „ფაქტიურის“ საკითხი ყოველთვის ფილოსოფიურ სისტემათა ცენტრში იდგა. თანამედროვე ფილოსოფიის საკითხთა შორისაც მას ერთ-ერთი მთავარი ადგილი უჭირავს, ხოლო განსაკუთრებულ ყურადღებას მას ფენომენოლოგიური მიმართულების წარმომადგენელნი აქცევენ, მართო ეს გარემოებაც კმარა იმის გასაგებად, რომ ჩვენი საკითხი უაღრესად მნიშვნელოვანი და აქტუალურია. ამიტომ სამართლის მეცნიერებასაც, რომელსაც ფაქტების ნორმატიული ძალის პრობლემასთან უშუალო კავშირი აქვს, არ შეუძლია აღნიშნული საკითხი უყურადღებოდ დატოვოს. რასაკვირველია, ჩვენ აზრად არა გვაქვს შევჩერდეთ ყველა იმ თვალსაზრისზე, რაც მეცნიერებაში ფაქტისა და ფაქტიურის შესახებ არსებობს — ეს მეტად შორს წაგვიყვანდა. დაეკამყოფილდებით მხოლოდ ზოგიერთი დასკვნით, ჩვენი საკითხის დასაყენებლად ეს სრულიად საკმარისი იქნება.

საჭირო არ არის შევჩერდეთ იმ საკითხზე, რომ ფაქტიურის, ნორმატიული ძალის ყველა თეორიას თავის გამოსავალ წერტილად სამარ-

სლისა და ფაქტის დაპირისპირების თეორიული შესაძლებლობა აქვს. ფაქტის ნორმატიულობა ხომ ბოლოს და ბოლოს იმის ნორმატიულობაა, რაც სამართალს არ წარმოადგენს. ხოლო აქედან. ყოველგვ. რაც სამართალი არ არის, სამართალს უპირისპირდება; ასეთი დაპირისპირება რომ არ იყოს, მაშინ ფაქტების ნორმატიული ძალის თეორიის არსებობაც წარმოუდგენელი იქნებოდა. და არა მარტო ნორმატივისტები, რომელთა თეორიებშიც სამართლისა და ფაქტის დაპირისპირება გამოსავალ წერტილს წარმოადგენს, არამედ ისინიც, ვინც სამართალს სოციალური კატეგორიის მოვლენად აღიარებენ და ამავე დროს ნორმატიული ფაქტების არსებობის შესაძლებლობას არ უარყოფენ, იძულებული არიან ყოველი ფაქტიური, არასამართლებრივი, რაღაც თავისებური მნიშვნელობით სამართალს დაუპირისპირონ. რა მხრით და რაშედეგად ღრმად არის გავლებული ეს ხაზი სამართლებრივისა და ფაქტიურის გამიჯვნელი. არის თუ არა იგი ის ხაზი, რომელიც ერთმანეთსაგან ყოფს რეალურსა და იდეალურს, არსებულსა და არარსებულს, აპრიორულსა და მატერიალურს, აზრსა და ფაქტს. ე. ი. როგორ და რა მხრით უპირისპირდება სამართალი ფაქტს — ამ საკითხებს ჩვენ ამჟამად არ ვეხებით; აღვნიშნავთ, მხოლოდ, რომ სამართალი რაღაც მნიშვნელობით უნდა დაუპირისპირდეს ფაქტიურს, წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ ხელიდან გამოგვეცლება ის საფუძველი, რომელზედაც დამყარებულია ნორმატიული ფაქტების პრობლემის არსებობა.

მეორე მხრით, უცნაური იქნება ვალიაროთ მოქმედი სამართლის არანამდვილობა, ვინაიდან ყოველივე: რაც მოცემულია და მოქმედებს, არის ნამდვილობა; ამიტომ, თუ ჩვენ ნამდვილობით სამართალს ფაქტების ქვეყანას ვუპირისპირებთ, თავისთავად ცხადია, რომ ერთი, მხრით, ფაქტების ცნებას უნდა მიუღდგეთ ერთგვარი ვიწრო სპეციფიკური მნიშვნელობით, და, მეორე მხრით, უნდა განემარტოთ — რაში მდგომარეობს სამართლის ნამდვილობა და რაში ფაქტისა: როგორც ვხედავთ, სამართალსა და ფაქტს ჩვენ ვუპირისპირებთ ერთმანეთს არა როგორც არსებულსა და არარსებულს. არამედ რაღაც სხვა მნიშვნელობით.

მაშ რაში მდგომარეობს სამართლის ნამდვილობა და რაში ფაქტისა, რომელიც ჩვენ ამა თუ იმ მნიშვნელობით უნდა დაუპირისპიროთ სამართალს, რომ ამით შევქმნათ თეორიული შესაძლებლობა ნორმატიული ფაქტების საკითხის დაყენებისა? მართლაც, თუ ნამდვილობას, ავიღებთ ფაქტთან სრული იგივეობის აზრით, და არ აღვნიშნავთ, რას ეხება სამართლის ნამდვილობა, რა თქმა უნდა, შეუძლებელი იქნება სამართალი დაუპირისპიროთ ფაქტს იმ მნიშვნელობით, როგორც ეს საჭიროა ნორმატიული ფაქტების პრობლემის შესაძლებლობის დასაბუთებისათვის. ამგვარად, ნამდვილობითია ყოველივე, რაც მოცე-

მულია როგორც განსაზღვრული მნიშვნელობა და რაც, ამავე დროს, მოქმედებს; მაშასადამე, არც სამართალსა და არც ფაქტს არა აქვს არა ნამდვილობის ხასიათი, მაგრამ რაკი ფაქტიურა მანაც ეუპირისპირებო სამართალს, თავისთავად ცხადი ხდება, რომ სამართალში ნამდვილობა არის ის, რაც არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ფაქტის ნამდვილობად ჩაითვალოს. თუ რაში მდგომარეობს სამართლის ნამდვილობა, ამაზე ლაპარაკი ქვემოთ გვექნება. ხოლო ფაქტის ნამდვილობა მდგომარეობს სწორედ იმაში, რომ წარმოადგენს რა ყოველთვის რაღაც მომხდარს. მას სრულიად სხვა ქმედება და ტენდენცია აქვს, ვიდრე ნამდვილ სამართალს. ფაქტი მიზეზობრივად გამოწვეულია და იგი ყოველთვის თვით იწვევს რაღაცას, რაც არსებითად სხვა არის, ვიდრე თვით გამოწვევი ფაქტი. ამიტომ ამ შემთხვევაში ის, რაც მომხდარია, როგორც აბსოლუტურად რეალიზებული, სავსებით და მთლიანად ინდივიდუალურია და, მაშასადამე, ისტორიულიცაა. ქვემოთ ჩვენ სწორედ ამ აზრით და მნიშვნელობით ვიხმართ ფაქტის ცნებას.

ფაქტიური რომ ავიღოთ ყოფიერების მნიშვნელობით, როგორც ეს ჰეგელს ესმის, მაშინ საეჭვოა დაიბადოს აზრი ფაქტიურის ნორმატიული ძალის თეორიის შესაძლებლობის შესახებ. თუ მაგალითისათვის ჰეგელს ავიღებთ, მისი შეხედულებით არაა არსებობს — თუნდაც როგორც აზრი, ის, რასაც ჩვენ ჩვეულებრივად ფაქტს ვუწოდებთ და ყოველივე ის, რასაც სამართლებრივ ღირებულებათა სფეროს ვაკუთვნებთ, ჰეგელის თანახმად, ყოფიერების საერთო კატეგორიაში ექცევა. მაგრამ ჰეგელის აზრით, რაც ხდება, ყველაფერი არ შეიძლება ნამდვილობად ჩაითვალოს. ყოფიერება მხოლოდ ერთი თავისი ნაწილით არის მოვლენა და მხოლოდ ერთი ნაწილით არის ნამდვილობა. მოვლენაში ჰეგელი გულისხმობს გარდამავალ, მნიშვნელობას მოკლებულ ყოფიერებას, გარეგან შემთხვევას, უაზრო შეხედულებას, იმას, რაც არ არის ქეშმარიტება, ან რაც შეცდომა და ბოროტებაა, მისთვის მოვლენათა ქვეყანა მოჩვენებათა ქვეყანაა, რომელიც არა ღირს იმად, რომ ნამდვილობის სახელი ეწოდოს.

თუ ამ აზრს განვაავითარებთ, უნდა მივიღეთ იმ დასკვნამდე, რომ სინამდვილის ცნება იგივეა, რაც გონიერი არსებობა. მაგრამ არსებობის ცნებას ვერ ფარავს სინამდვილის ცნება, რადგანაც არსებობა შემთხვევასაც აქვს, ხოლო იგი სინამდვილეს არ წარმოადგენს. ჩვენ აი ფაქტიურს არ ვიღებთ ყოფიერების აღნიშნული მნიშვნელობით. ფაქტიური, რომლის შესახებაც ჩვენ ვლაპარაკობთ, არის მხოლოდ განსაკუთრებული სახე სინამდვილისა და მას, როგორც ასეთს, ეუპირისპირებთ ნამდვილობით სამართალს და მართლაც, თუ ნორმატიული ფაქტების პრარბლემი დამყარებულია სამართლის და ფაქტის დაპირის-

პირებაზე. ექვს გარეშეა, რომ ეს დაპირისპირება შეიძლება მხოლოდ ამ სახით წარმოებდეს.

ფაქტისა და ფაქტიურის ცნების ერთგვარი შევიწროება ასახი-თებს იმ მიმართულების წარმომადგენლებს, რომელნიც ფაქტსა და ფაქტიურს უყურებენ როგორც ისეთ რამეს, რაც უშუალოდ მოცემუ-ლია. აქ ფაქტის იდეა იგივეა, რაც ირაციონალურის ცნება და, რა-გორც ასეთი, ფაქტი, წარმოდგენს რა უშუალო კერეტის საგანს (შელე-რი). უპირისპირდება ყოველივე იმას, რაც მოგონილია, რაც ხელოვ-ნურად აგებულია, რაც შეიცნობა არა უშუალოდ, არამედ ნიშნებისა და სიმბოლოების საშუალებით¹. ვიმეორებთ, ფაქტი ამ შემთხვევაში სრუ-ლიად იფარება ირაციონალურის ცნებით, და ამიტომ იგი შეიძლება დაუპირისპირდეს რაციონალურს, როგორც რალაც ლოგიკურს, ზო-გადს, ხელოვნურად აგებულს.

ძნელი არ არის შევნიშნოთ, რომ თუ ფაქტსა და უშუალო კერეტის საგანს შორის იგივეობა სუფევს, მაშინ ფაქტად უნდა ვღიაროთ ყო-ველივე, რაც უშუალოდ კერეტის საგანია, ზომ ცხადია, რომ ლოგი-კური კანონი, მათემატიკური აქსიომა, რიცხვი ირაციონალურია იმ-დენად, რამდენადაც ისინი მოცემული არიან ჩვენგან დამოუკიდებელ საერთო თვისებებში და შეფარდებაში (Hartmann Grundzüge einer Meta-physik der Eridenntnis)², ზოლო ამ თვალსაზრისით, მოქმედი სამართალიც რამდენადაც იგი დროის გარეშე მოცემული სამართლის აზრის დროები, თი გამოხატულებაა, ფაქტად უნდა ვცნოთ, მართლაც, სამართლის რა-ნორმაც უნდა ავიღოთ, მასში ყოველთვის ვხედავთ იმ აზრთა განსა-ზღვრულ წყობას, რომელნიც მოცემული არიან ჩვენგან დამოუკიდებე-ლი საერთო თვისებებით, და ამ მნიშვნელობით სამართლის ნორმაც შეიძლება უშუალო კერეტის საგანი იყოს.

ფაქტი, როგორც ირაციონალური რამ, ამ შემთხვევაში ისეთი ფა-რთო მნიშვნელობით არის აღებული, რომ ჩვენ აღარ გვაქვს საშუალე-ბა დაუპირისპიროთ სამართალი ფაქტს და ამასთან ერთად გვეყარება ფაქტიურის ნორმატიული ძალის პრობლემის საფუძველიც. ზემოაღ-ნიშნულ ავტორთაგან შეიძლება არც ერთს არა აქვს ისეთი აღდეკვატურა იგივეობა ფაქტის იდეასა და ირაციონალურის ცნებას შორის, როგორც ფაიბინგერს. უკანასკნელის ფილოსოფიის თანახმად, რეალურია და,

¹ ნათქვამიდან ცხადია, რომ, რაც ჩვენთვის აპრიორულად მოცემულია საზო-გადოდ, აგრეთვე „ცდას ემყარება“ როგორც ყოველივე და ყველაფერი, რაც ჩვენ-თვის დაკვირვების ან ინდუქციის მნიშვნელობით, „ცდის“ საშუალებით არის მო-ცემული, ვინც ამას კვლავ ემპირიზმს უწოდებს, დეე უწოდებდეს. ამ მნიშვნელობით ფენომენოლოგიაზე დამყარებული ფილოსოფია არის „ემპირიზმი“, მხოლოდ ფაქტე-ზი და ფაქტები და არა კონსტრუქციები“. Scyeler „Formalismus“. S 46.

² А л е к с е е в. Очерки философии права.

მაშასადამე, ფაქტიურა ყოველივე, რაც მოცემულია როგორც უშუალო განცდისა და ჰერეტის საგანი და ამ ნამდვილ სამყაროს, ელემენტარულ აღქმათა სამყაროს უპირისპირდება სამყარო ირაციონალური ცნებებისა, ფიქციებისა, ზოგადი ცნებებისა და სტილიზებული სამართლისა, სამყარო სიმბოლოებისა და ნიშნებისა, რომელიც ნამდვილისა და ფაქტიურის დამახიწვებას წარმოადგენს.

მეორე მხრით, თუ ნორმატიული ფაქტების პრობლემის დასაბუთებისათვის გამოსავალ წერტილად მივიღეთ ჩვეულებრივი და გავრცელებული წარმოდგენა ფაქტიურის შესახებ, ამ შემთხვევაშიც იძულებული ვიქნებით ვაღიაროთ, რომ ყოველგვარი ცდა ამ მხრივ უნაყოფოდ ჩაივლის. თუ ფაქტიურში ვიგულისხმეთ, როგორც ეს ჩვეულებრივ ხდება, ყოველივე ის, რაც არსებობს და მოქმედებს, ან ყოველივე ის, რაც მოცემულია, მიუხედავად იმისა — სად, რა და როგორ არის მოცემული, მაშინ სამართალიც ისეთივე ფაქტი აქნება, როგორც არის ყოველივე ინდივიდუალურად განსაზღვრული, ისტორიული რამ, რომლის შესახებაც ჩვენ ჩვეულებრივ ვამბობთ: „მოხდა“. როგორც ზემოაღნიშნულ შემთხვევებში, ისე ამ შემთხვევაშიც შეუძლებელია ლაპარაკი ნორმატიული ფაქტების პრობლემის შესახებ.

იმისათვის, ვინც მიეჩვია, რომ ფაქტი „მოცემულობის“ ცნებასთან გაიგივებული მნიშვნელობით აღოს, სამართალი, რომელიც უსათუოდ არსებობს, ისეთივე ფაქტია, როგორც არის, მაგალითად, ფიზიკურ-ფსიქიკური კატეგორიის ყოველი მოვლენა, რღს შესახებაც ჩვენ მიუეჩვიეთ ვთქვათ: „მოხდა“. მერე რა შეცდომა არის ამაში? შეგვეკითხებიან ჩვენ. ნუთუ სადავოა ის, რომ სამართალი ისევე ფაქტიურია, როგორც ყოველი მოვლენა ფიზიკურ-ფსიქიკური სამყაროსი? განა პოზიტიური სამართლის ესა თუ ის ნორმა ნაკლები რეალობით და ნაკლები სიცხადით არსებობს, ვიდრე მაგალითად, რაიმე მცენარე, ქვა, სახლი, ვარსკვლავი, სიყვარული, სიძულელი, თანაგრძნობა ან კიდევ სხვა რამ? ვის შეუძლია ექვი შეიტანოს ნორმის არსებობის „ფაქტში“, ამ ნორმის, რომლის წნევესაც განვიცდით დღითი დღე, ყოველ წამს! ვის შეუძლია უარყოს არსებობა ამა თუ იმ კონკრეტული ნორმისა და საერთოდ პოზიტიური სამართლის მთელი სისტემისა, რომელიც მოქმედებს ჩვენზე ანალოგიურად და მხოლოდ ანალოგიურად ფიზიკური აუცილებლობისა? ხოლო რაყი ნორმა მოქმედებს, გავლენას ახდენს და ბოლოს კიდევ საზღვრავს, ვის მოუვა აზრად, უარყოს, რომ ნორმას ფაქტის ხასიათი აქვს.

პირველი შეხედვით ასეთი მსჯელობა საკმაოდ ნათელიც არის, მარტივიც და იმდენად დამაჯერებელიც, რომ იგი თითქოს არავითარ ეჭვს არ იწვევს. აქ თითქოს ყველაფერი სწორი და ლოგიკურია. არსებობს, მოქმედებს, — მაშასადამე, ფაქტია, თითქოს არც შეიძლება წარმოვი-

დგინოთ ამაზე უფრო სწორი დებულება, მაგრამ თუ სამართალსა სწორად ვხედავს ინტერესებს, თუ მას აქვს ტენდენცია წარმართოს და გამოიწვიოს შედეგები ისეთ სფეროში, რომელთანაც იგი მტკიცედ დაკავშირებული არ არის და რომლისადმიც მას მხოლოდ მიმართება აქვს, განა აქედან გამომდინარეობს ის დასკვნა, რომ სამართალში მოცემული აზრი, ან, უფრო სწორად, სამართალში გარეაღიზებელი აზრი ემპირიკურად სწორედ იმ კანონზომიერებას, რასაც, ვთქვათ, ფიზიკურ-ფსიქიკური მოვლენები ემორჩილებიან?

გეომეტრიული ფიგურები, რიცხვი, მათემატიკური აქსიომები მოცემული არიან როგორც განსაზღვრული აზრი; მათ ნაკლები სიცხადე არა აქვთ, ვიდრე ჩვენს სხეულს და მის გარემოს. მაგრამ განა ვისძე შეუძლია თქვას რომ ისინი არსებობენ, მოცემული არიან ისე, როგორც მოცემულია და როგორც არსებობს ფიზიკურ-ფსიქიკური სამყაროს მოვლენები? თანასწორი სიცხადე არ წარმოადგენს იმის საბუთს, რომ არსებობის ხასიათი ერთნაირი იყოს, რომ სამართალში გარეაღიზებელი აზრი, რიცხვი, აქსიომა ფაქტს წარმოადგენდეს, მათ შესახებ, ისე როგორც ფიზიკურ-ფსიქიკური სფეროს ზოგიერთი მოვლენის შესახებ, შეგვეძლო გვეთქვა — „მოხდა“, ე. ი. ამავე დროს, შეგვეძლო გაგვეცხადებინა, რომ ისინი შეიძლება არ მომხდარიყვნენ, ე. ი. მათ შეეძლოთ ყოფილიყვნენ სხვა რამედ, ვიდრე იმად, რაც არიან (პუსერლი). მაგალითად, განა შეგვიძლია ვთქვათ: მოხდა ისე, რომ 2×2 იქცა ოთხად, მოხდა ისე, რომ უმოკლეს მანძილს ორ წერტილს შორის სწორი წირი წარმოადგენს? უკვე აქედანაც ცხადია, რომ ყველაფერი, რაც მოცემულია, ყველაფერი, რაც არსებობს, როგორც განსაზღვრული მოცემულობა, ფაქტი არ არის. და თუ სამართლის აზრი გარეაღიზებელია თითოეულ უფლებრივ ნორმაში. ეს სრულიადაც იმას არ ნიშნავს, რომ სამართალი და ფსიქიკური რამ მოვლენა, როგორც ისეთი მოვლენა, რომელიც მოხდა და რომელიც ყოველთვის რაღაც ისტორიულია, წარმოადგენენ ერთი რიგის მოცემულობას და ერთსა და იმავე კანონზომიერობას. შეუძლებელია იმის უარყოფა, რომ დროში ცვალებად ყოველ უფლებრივ ნორმაში არის ისეთი აზრის ნამდვილობა, რომელსაც სრულიად არ მიუდგება ყოველივე ის, რაც მიუდგება ფაქტსა და ფიზიკურ-ფსიქიკური სამყაროს ნამდვილობას. ყველა ზემოხსენებული დებულებით მტკიცდება ფაქტიურობა არა თვით სამართლის აზრისა, არამედ სულ სხვა რამ, მართლაც, რა სურთ თქვან ფორმულით: „ნორმა არსებობს“ ან „ნორმის არსებობა ფაქტია“, ან და „ფაქტია ისიც, რომ სამართლის ნორმა მოქმედებს“. ძნელი არ არის დავარწმუნდეთ, რომ ყველა ამ ფორმულით თვით ნორმის ფაქტიური ხასიათი კი არ მტკიცდება; ფაქტი აქ აღებულია ჭეშმარიტების აზრით (თითქოს

ქვემარტება მხოლოდ ის იყოს, რაც ფაქტიურია) და აღნიშნულია, ერთი მხრით თვით ნორმის არსებობის ქვემარტება და, მეორე მხრით, ის, რომ სათანადო წესით გამოცემული ნორმა ნამდვილად მოქმედებს (შესრულების აზრით). მაგრამ განა ამის მიხედვით შეიძლება დამტკიცდეს თვით ნორმის ფაქტობრიობა? არასოდეს. აღვნიშნავთ რა ნორმის წარმოშობის და მისი განხორციელების ფაქტს, ჩვენ, არსებითად რომ ვთქვათ. არავითარ შემთხვევაში არ ვეხებით იმ შინაარსს, რაც სამართალში ნამდვილობად იქცა და, მაშასადამე, მის მიხედვით, ვერც სამართალს ფაქტიურობას დავამტკიცებთ.

ვიკითხოთ კიდევ — რა გამოიხატება ფორმულით — „რაკი ნორმა მოქმედებს და ხორციელდება. ის ფაქტია?“ მხოლოდ ერთი რამ, სახელდობრ ის, რომ სამართლის ესა თუ ის ნორმა ნამდვილად მოქმედ ნორმას წარმოადგენს, ე. ი. რომ სამართლის ნორმა ნამდვილად განსაზღვრული ყოფაქცევის პრინციპია. როგორც ვხედავთ, ფაქტის ცნება ამ შემთხვევაში აღებულია სხვა მნიშვნელობით — სამართლის პოზიტიურობის მნიშვნელობით: ამასთანავე, სამართლის პოზიტიურობა გაიგივებულია ნორმის აღსრულებლობასთან — თითქოს სხვადასხვა გარემოების ძალით შეუსრულებელი ნორმა პოზიტიურობის ხაზითს კარგავდეს. უკვე ზემოთქმულიდანაც ცხადია, რომ, როდესაც ლაბარაკობენ ნორმაზე, როგორც ფაქტზე, ნამდვილად ეხებიან არა ფენომენოლოგიურ სტრუქტურას სამართლისას და იმ შინაარსისას, რომელიც ფენომენოლოგიური ქვერეტას საგანია, არამედ იხილავენ ამ ნორმას ან იმ მხრით, თუ როგორ ხორციელდებოდა იგი, ე. ი. თავისთვის შეუმჩნეველად იწყებენ უფლებრივი ცხოვრების ისტორიის საკითხების რკვევას, ანდა მსჭვალობენ ნორმაზე ფსიქიკურ-სოციალური გარემოს თვალსაზრისით, სადაც მისთვის (ნორმისათვის) უზრუნველყოფილია შესრულების შანსი. ასე, რომ, არსებითად, როდესაც ჩვენ იმ დებულების საფუძველზე, რომ სამართლის ნორმა სრულდება — თითქოს აღვნიშნავთ თვით ნორმის ფაქტიურობას, ნამდვილად ვამტკიცებთ ყველაფრის ფაქტიურობას, მაგრამ ნორმის ფაქტიურობას კი არა. აქ ლაბარაკობენ მხოლოდ ფიზიკურ-ფსიქიკურ, სოციალურ პირობებზე, რომელიც უზრუნველყოფდა, უზრუნველყოფს ან შეუძლია უზრუნველყოს ნორმის შესრულება, ე. ი. ეხებიან სამართლის გარეშე მოცემულ შესაძლებლობას და პირობებს, მაგრამ სრულიად არაფერი მტკიცდება იმის შესახებ — თვით სამართალი თავისთავად ფაქტს წარმოადგენს თუ არა. ამგვარად, როდესაც ლაბარაკობენ ნორმის ფაქტიურობაზე ნორმის შესრულების აზრით, ხშირად თავისთვის შეუმჩნეველად მხოლოდ მოცემულ სოციალურ გარემოს აფასებენ იმ მხრით — გამოსადევნა იგი თუ არა ამა თუ იმ კონკრეტული უფლებრივი ნორმის განსაზღვრულებლად. როგორც ვხედავთ, სიმძიმის ცენტრი აქ ნორმის

ბუნებრივად გაღატანილია სულ სხვა სფეროში, — სოციალურ-ტექნიკურ შესაძლებლობათა სფეროში, რასაც არაფერი საერთო არა აქვს იმ სფეროსთან, რომელიც სამართლის აზრის ქვეშ დგას. აი რატომ ხდება, რომ როდესაც ნორმის შესრულების მიხედვით, ე. ი. ნორმის შესრულების ფაქტის მიხედვით სურთ ფაქტის ხასიათი თვით ნორმის მიაკუთვნონ, მიზანს ვერ აღწევენ, რადგანაც მათ მიხედვებში აქვთ არა უფლებრივი ნორმის აზრი (Sinn), არა სამართლის ელემენტების ურთიერთობის თვისება და წყობა, — არამედ სულ სხვა რამ. სასჯელდობრ, სოციალური გარემო, ნორმის განხორციელების განსაზღვრულ შესაძლებლობათა (ან შანსების) სფერო.

მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ განხორციელების შანსი ან ვიქვით, ფსიქიკური აღიარება, რაც ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა ნორმის შესრულების შანსის შესაქმნელად და საერთოდ — ფსიქიკურ-სოციალური სფეროს ყველა გარემოება და პირობა, რომელშიც ნორმის განხორციელების შესაძლებლობას ქმნიან, სულ სხვა რამ არის, ვიდრე ის აზრთა მთლიანობა, რაც მოცემულია ნორმაში და რითაც ეს უკანასკნელი მოქმედებს. აი რატომ გვგონია, რომ ნორმის ფაქტიურობა ზემოაღნიშნული აზრით უნდა ნიშნავდეს მხოლოდ ნორმის განხორციელების შესაძლებლობას ან შანსს, მაგრამ განხორციელებას შანსი ან ის პირობები, რაც ნორმის განხორციელებას უზრუნველყოფს, თვით გულისხმობს იმ მოცემულობას, რაც უნდა განხორციელდეს. და თუ ნორმის შესრულება ყოველთვის მოცემულია როგორც შესაძლებლობა, ხოლო განხორციელება როგორც ისტორია (ე. ი. როგორც ფაქტი) — ცხადია, რომ არც ერთი მათგანი არსებითად სამართლის შემადგენელ ნაწილს არ წარმოადგენს. ამის მიხედვით ყოველთვის. როცა ნორმის ფაქტიურობას ვიღებთ ნორმის განხორციელების შესაძლებლობის აზრით, ჩვენ სრულიად არ ვეხებით თვით ნორმის ბუნებას, არამედ ფაქტიურობის ხასიათს ვაკუთვნებთ მხოლოდ იმ პირობებს, რომელთაც სამართლის ბუნებასთან არავითარი კავშირი არა აქვთ. ასე, მაგალითად, ნორმის ფსიქიკური აღიარება, ან ნორმის განხორციელების სურვილი ქმნის მხოლოდ ინტიმური კავშირის იმ საფეხურს სამართლის ნორმაში გამკლავებულ ღირებულებასთან, რომელიც ამ ღირებულებების რეალიზაციის შესაძლებლობას უზრუნველყოფს. მაგრამ რა იქნება, რომ სამართალში გამკლავებული ღირებულებებითი მომენტი ჩვენ არ ვაღიაროთ (ფსიქიკურად) და არ მოვისურვოთ მისი განხორციელება? განა ამით შეიცვლება ის ღირებულება, რომელიც როგორც განსაზღვრული მომენტი, ყოველთვის იმალება ნორმის სტრუქტურაში? ან შეიძლება იმის გამო, რომ ჩვენ არა გვსურს შევასრულოთ სამართლის განსაზღვრული ნორმა, თვით ეს ნორმა კარგავს იმ სავალდებულო ძალას, რომელიც ნორმის ობიექტის ჭერარსობრივი ხასიათის

შედგება? ან, ბოლოს, შეიძლება იმის გამო, რომ სამართლის ესა თუ ის ნორმა არ ასახულებს და განსაზღვრულ სოციალურ წრეში არასათანადოდ უზრუნველყოფს რეალური ეფექტის შესაძლებლობას, — ეს ნორმა, მისი მნიშვნელობა ამით კარგავს რასმე? არასოდეს.

არ შეიძლება იმის უარყოფა, რომ რაც უფრო გეწადია ნორმის დარღვევა, ე. ი. რაც უფრო დაშორებული ვართ ფსიქიკურად მისი შესაძლებლობისაგან, მით უფრო მეტად ვგრძნობთ იმ აუცილებლობის მოქმედების ძალას, რომელიც ნორმაში მარხია და, მაშასადამე, უფრო ნათლადაც ვხედავთ ამ ნორმის მოცემულობას: პოზიტიური სამართლის ნორმის მოცემულობა — ეს ჭეშმარიტებაა თავის თავად, მაგრამ მის ჭეშმარიტებას ჩვენ განსაკუთრებული სიცხადით და სისრულით შევიგრძნობთ განსაზღვრულ სუბიექტურ აქტებში, ფსიქიკური აღიარების ან ფსიქიკური უარყოფის აქტებში, რადგანაც აღიარების ან არაღიარების აქტში რაღაც თავისთავად მოცემული აღიარებულია ან არაღიარებული. ცხადია, რომ ეს აქტი აღიარებისა ან უარყოფისა სრულიად არ ახდენს გავლენას იმ შინაარსზე, რომლითაც სამართალი მოქმედებს და მაშასადამე მისი დამახასიათებელი შინაარსიც მოცემულ უნდა იქნეს, რათა შეგვეძლოს ლაპარაკი აღიარების თუ უარყოფის შესახებ, ნორმის ფსიქიკური აღიარება — ეს თუ გნებავთ შედეგია იმ ინტიმური კავშირისა, რომელიც მყარდება სუბიექტსა (როგორც შესაძლებელი ღირებულებითი აქტების მატარებელი) და ობიექტური, ლოგიკურად აღიარებული ნორმის ღირებულებას შორის¹. აქტი, ლოგიკურად აღიარებული, ნორმის ფსიქიკური აღიარებისა მხოლოდ იმ ფაქტს გამოხატავს, რომ ჩვენი ნებისყოფა მიმართულია იმისაკენ, რასაც ნორმა ეწოდება, მაგრამ არსებითად რომ ვთქვათ, სამართლის ამოცანა და ნამდვილობა იმაში კი არ მდგომარეობს, რომ ის განხორციელებულ იქნეს იქ, სადაც მისი განხორციელების ნება არსებობს, რომ ისტორიული გამოცდილება გვარწმუნებდეს იმაში, რომ საზოგადოების წევრები შეუგნებლად, ემოციონალურად, ინსტინქტურად ან ჩვეულების თუ მიდრეკილების გამო ყოველთვის და ყოველგვარ პირობებში ასრულებენ იმას, რასაც სამართალი აწესებს, მაშინ, ვინ იცის, სამართლის არსებობა შეიძლება სრულებითაც საჭირო არ ყოფილიყო. რა თქმა უნდა, ამ მხრივ შეგვიძლია ვილაპარაკოთ სამართლის ნორმის აღიარების ან არაღიარების ფაქტზე, მაგალითად, შეგვიძლია ვთქვათ:

¹ ნორმას ლოგიკურად ვაღიარებთ ხოლმე მისი გაზრების აქტში, რადგანაც ამ აქტით ჩვენ ვსწვდებით ნორმის აზრსა და შინაარსს. ამიტომ მიუხედავად იმისა — ვაღიარებთ თუ არა ფსიქიკურად ნორმას, იგი დგას ჩვენი შეგნების წინაშე როგორც აუცილებლობა. ყოველი ფსიქიკური აღიარებისა თუ უარყოფის დროს: ის (ნორმა) ლოგიკურად აღიარებულ ნორმად რჩება.

მონდა ისე, რომ სამართლის ნორმა არ განხორციელდა, რადგანაც იგი ფსიქიურად აღიარებული არ იყო და საზოგადოების წევრთა ნება მართული იყო არა ნორმის ობიექტზე, არამედ სულ სხვა რამეზე. მაგრამ მხოლოდ იმიტომ, რომ აღიარებისა და არაღიარების აქტი ყოველთვის გულსხმობს ისეთი რამის მოცემულობას, რაც აღიარებისა და არაღიარების აქტით აღიარებულია ან უარყოფილია, ჩვენ სრული საფუძველი გვაქვს ვთქვათ, რომ აღიარების და არაღიარების ფაქტი ვერაუთარ შემთხვევაში და ვერც ერთის მხრით ნორმის ნამდვილობას ვერ დაახასიათებს და მართლაც, რომ კარგად ჩაუფიქრდეთ ბირლინგის აღიარების თეორიას, დაინახავთ, რომ ერთ-ერთი საშუალება, რომლითაც ობიექტურად მოცემული ნორმა ნების ან სურვილის საგნად იქცევა, მიღებულია როგორც პოზიტიური ნორმის ძირითადი ნიშანი.

ხედმატი არ იქნება აღნიშნოთ, თუ რას ნიშნავს ობიექტურად მოცემული ნორმის გადაქცევა ნების თუ სურვილის საგნად? რომ პოზიტიური სამართლის ესა თუ ის ნორმა მოცემულია როგორც განსაზღვრული რამ, ამაზე ორი აზრი შეუძლებელია. მაგრამ ძირითადი კავშირი, რომელიც კი შეიძლება ნორმასთან გვექონდეს. — ეს სხვა არა არის რა, თუ არა მისი ლოგიკური აღიარება ზემოხსენებული მნიშვნელობით, რა ფსიქიურ დამოკიდებულებაც უნდა გვექონდეს ნორმასთან, ლოგიკური აღიარების ლოგიკური შედეგი აუცილებელი რჩება. ხოლო ფსიქიურ დამოკიდებულებას ამ ნორმასთან სხვადასხვა საფეხური აქვს. მე ვიტყვოდი, რომ უდაბლესი (თვისებით) საფეხური ამ დამოკიდებულებისა შელავნდება ნორმის დარღვევის სურვილში ან ნებაში, ხოლო უმაღლეს საფეხურს წარმოადგენს ის მდგომარეობა, როდესაც ჩვენ თავდავიწყებამდე მივსდევთ ნორმის ღირებულებას. ნორმის დარღვევის ნება ჩვენ ავიღეთ უდაბლეს საფეხურად სუბიექტის ნორმისაგან დამოკიდებულებისა, რადგანაც ამის იქით ჩვენ წარმოდგენილი გვაქვს მხოლოდ სრული (როგორც ლოგიკური, ისე ფსიქიური) დამოუკიდებლობა სამართლის ნორმისაგან. ნორმის მოთხოვნათა დარღვევის სურვილში კი ჩვენ გვაქვს განსაზღვრული (რასაკვირველია, არა ფსიქიურ სფეროს) ინტიმური კავშირი სუბიექტისა, — როგორც ნორმის ლოგიკურად მღიარებლისა, იმ ნორმის ღირებულებით მომენტთან, რომლის დარღვევაც ჩვენ გვინდა. უამროდ შეუძლებელი იქნებოდა ლაპარაკი სამართლის დარღვევის შესახებ.

მაგრამ როგორ შეიძლება ვილაპარაკოთ სუბიექტის დამოკიდებულებაზე. ნორმასთან, როდესაც ვთქვათ მაგალითისათვის, ნორმის დარღვევა ჩვენს წმინდა მოვალეობად მიგვაჩნია? რა კავშირი უნდა ჰქონდეს სუბიექტს ნორმასთან, როდესაც იგი (სუბიექტი) ამ ნორმას

ფსიქიურად არ აღიარებს? ეს რომ გავიგოთ, საჭიროა მხედველობაში ვიქონიოთ, რომ ფსიქიური აღიარების ან არაღიარების აქტში და დარღვევის ნებაში ლოგიკურად აღიარებული ნორმა ყოველთვის აღიარებულია ან უარყოფილი. მართლაც, ნორმა რომ მოცემული არ იყოს, ე. ი. ნორმა რომ ჩვენს მიერ ლოგიკურად აღიარებული არ იყოს, მაშინ, რასაკვირველია, ადგილი არ ექნებოდა არც ფსიქიური აღიარების აქტს და არც უარყოფის აქტს და, ბოლოს, სამართლის დარღვევის ნებაც არ წარმოიშობოდა. თუ სუბიექტი განსაზღვრული ღირებულებითა მომენტების მატარებელია, ეს სრულიადაც იმას არ ნიშნავს, რომ ყველა ეს ღირებულება სუბიექტური და რელატიური იყოს, თითოეული ნორმა, რამდენადაც მას სუბიექტი შეეგნება, ლოგიკურად აღიარებულია, ხოლო დადებითი თუ უარყოფითი დამოკიდებულება სუბიექტისა, უკვე არა როგორც იდეალურ ღირებულებათა მატარებლისა, არამედ როგორც განსაზღვრულ შესაძლებლობათა, ამ შემთხვევაში ფსიქიური აღიარების ან უარყოფის შესაძლებლობათა მატარებლისა, ყოველთვის ლოგიკურად აღიარებულ ნორმას გულისხმობს. თავისთავად მოცემული ნორმის ლოგიკურ აღიარებაში აღინიშნება სუბიექტისათვის ნამდვილი, ობიექტური შინაარსი, რომელიც სწორედ ამ თავისი შინაარსით იწყებს მოქმედებას.

მაგრამ, როგორც ვთქვით, ამ ლოგიკურად აღიარებული ნორმის მიმართ ჩვენ შეგვიძლია განვიცადოთ სხვადასხვა საფეხურის ფსიქიური დამოკიდებულება, რადგანაც ფსიქიური აღიარება ან არაღიარება სწორედ იმას ნიშნავს, რომ ლოგიკურად უკვე აღიარებული ნორმა აღიარებულია, ან უარყოფილი; ჩვენ ვაშბობთ, რომ ორავე შემთხვევაში სუბიექტი ნორმისაგან არის დამოკიდებული, ფსიქიური აღიარების დროს ჩვენ თავდავიწყებამდე ვიძირებით ჩვენშივე მოცემულ (ე. ი. ლოგიკურად აღიარებულ) ნორმაში და ამიტომ ვერ ვამჩნევთ კონფლიქტს ნორმის მოთხოვნასა და სუბიექტის ნებას შორის; მეორე შემთხვევაში კი ჩვენ ფსიქიურად დაშორებული ვართ ლოგიკურად აღიარებული ნორმისაგან, აქ ვგრძნობთ დისტანციას და ამიტომ სულ ხშირად ნორმის წნევას განვიცდით როგორც წმინდა მექანიკურ წნევას (თუმცა სინამდვილეში ეს ასე არ არის), ექვს გარეშეა, რომ ამ უკანასკნელ შემთხვევაში ჩვენ განსაკუთრებული სიციხადით უნდა განვიცადოთ, როგორც განსაზღვრულ, სამართლის შეუსაბამო სურვილებისა და ნების სუბიექტის მოცემულობა, ისე ობიექტური ნორმის მოცემულობაც, ე. ი. ნორმა და ნების თუ სურვილების სუბიექტს შორის არსებულ კონფლიქტში ბევრად უფრო ნათლად და გარკვევით უნდა განვიცადოთ ნორმაში მოცემული აუცილებლობის წნევა, რაც თავის მსრავ შესაძლებელია მხოლოდ ნორმის ლოგიკურად აღიარების პირობებში.

ზემოაღნიშნულს მიხედვით ძნელი არ არის შევნიშნოთ, რომ ჩვენი ფსიქიურა სიანლოვე ნორმასთან, როდესაც მას ფსიქიურად ვაღიარებთ, და აგრეთვე ჩვენი ფსიქიური სიმორე მისგან, როდესაც მას ფსიქიურად უარყოფთ, არაფერს ამბობს არც თვით ნორმაზე და არც იმ კავშირზე, რომელიც თავისთავად მოცემული ნორმის შინაარსსა და ამ ნორმის ლოგიკურად მაღიარებელ სუბიექტს შორის მყარდება. ამიტომ არის, რომ ყველას ვინც კი მოკმედ ნორმას ფსიქიური აღიარების ფაქტის გამო უყურებს, როგორც ფაქტს, მხედველობაში აქვს არა თვით ნორმა და მამასადამე მისი ნამდვილობის ხასიათი, არამედ ის საფუძვური სუბიექტის ისტორიული ფსიქიური კავშირისა ობიექტურად მოცემულ ნორმასთან. რომელნიც მხოლოდ ხორმის განხორციელების შესაძლებლობას უზრუნველყოფს, ამიტომ, ჩვენ გვგონია, რომ არც ბერლინგის აღიარების თეორია და არც შაიერის თეორია (რომელიც აღიარებას თეორიის თავისებური მოდიფიკაციაა) არსებითად არ არის სამართლის თეორია, ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით. არამედ იგი უკვე მოცემული ნორმების განხორციელების შანსების თეორიას წარმოადგენს. და ყველა, ვისაც ნორმის განხორციელების ფაქტის მიხედვით სურს ნორმასაც ფაქტის ხასიათი მიაკუთვნოს, ფაქტიურობას, თავისთავის შეუძენველად, ნორმას კი არ აწერს, არამედ აღიარების ან უარყოფის აქტს, რაც სხვა არის, ვიდრე სამართალი, რადგანაც წინააღმდეგ შემთხვევაში აღიარების აქტით სამართალი აღიარებულად ვერ იქნებოდა.

ზემოთ აღნიშნული დებულებას მიხედვით, ჩვენ სრული უფლება გვაქვს ვთქვათ, რომ ისინიც, ვინც (როგორც მაგ., Redsh, Mecher Ansycz, Lehning, Trippel და ნაწილობრივ Gierke) ხელისუფლებას ან ბატონობას ნორმატიულობის აღიარებაზე ამყარებენ, არააბიძგულნი არიან აღიარების საშუალებით ხელისუფლების უფლებრივი ბუნების დადგენას, არამედ გულისხმობენ აღიარების საშუალებით განსაზღვრული უფლებრივი სისტემის განხორციელების შესაძლებლობის ან შანსების შექმნას. თუ აღიარების თეორიას თანმიმდევრობით ვანვივითარებთ, ჩვენ უნდა მივიღოთ ან ზემოაღნიშნული დებულებანი ან ვაღიაროთ, როგორც სამართლიანად აღნიშნავს რადბრუხი, რომ აღიარების თეორია ბოლოს და ბოლოს „უნდა აღიარებულ იქნეს“ ან ვმყარება (ესე იგი ნორმას)¹.

ფაქტის უმეტესად ვიწრო განმარტება, რომელიც პირველად შეხედვით თითქმის შესაძლებლად ხდის ნორმატიული ფაქტების პრობლემის არსებობას, ჩვენ გვხვდება იმათ შორის, ვინც ფაქტად მხოლოდ იმას თვლის, რაც დროში მოხდება ან წარმოიშობა. რა თქმა უნდა, შე-

¹ Radbruch, „Grundzüge der Rechtsphilosophie.“

გვეძლო გაგვეზიარებინა ფაქტიურის ასეთი გაგება. მაგრამ მთელი მისი უხერხულობა მდგომარეობს იმაში, რომ, ჯერ ერთი ფაქტად აღიარებულია არა მარტო კონკრეტული სამართალი, რომელიც დროში წარმოიშობა, მოქმედებს და დროშივე წყვეტს თავის არსებობას, არამედ სამართლის ის აზრაც, რაც ყოველ კონკრეტულ ნორმაშია რეალიზებული, ხოლო, მეორეს მხრით, თითქოს არავითარი განსხვავება არ არსებობს პოზიტიური სამართლით მომხდარსა და იმ სამართლის აზრს შორის, რომელიც პოზიტიურ სამართლისგან დამოუკიდებლად არსებობს. ვინ უარყოფს, რომ სამართალი დროში წარმოიშობა და მოქმედებს. მაგრამ ამასთან ერთად იმ აზრის შესახებ, რომელიც ყოველ კონკრეტულ ნორმაშია მოცემული, შეუძლებელია ვთქვათ ის, რასაც დროში მომხდარი ამა თუ იმ მოვლენის შესახებ ვაძბობთ.

არ უარყოფთ, შეიძლება ითქვას: მოხდა ისე, რომ სამართლის აზრი რეალიზებულია სამართლის კონკრეტულ ნორმაში, მაგრამ იმ აზრის (Sinn) შესახებ, რომელიც მოქმედ სამართლად იქცა, ჩვენ ვერ ვიტყვი, რომ იგი მოხდა. ასე რომ, თუ პოზიტიური სამართლის შესახებ შეიძლება ითქვას: „მოხდა“, ჩვენ მაინც არ შეგვიძლია იგი ფაქტად ვაღაზროთ, რადგან სამართალში მოხდა ის, რაც არასოდეს ფაქტს არ წარმოადგენს.

სწორედ ისე, როგორც ამა თუ იმ ქვეშარიტების ან ლოგიკური კანონის შესახებ არ შეგვიძლია ვთქვათ, რომ იგი შემთხვევითია და, ჰუსერლის სიტყვები რომ გავიმჯროთ, „sind zufällig sie könnten ebensogut nicht sein sie könnten anders sein“¹ სწორედ ასევე სამართალში მოცემული აზრის შუახებაც არ შეგვიძლია ვთქვათ, რომ იგი მოხდა, ან რომ იგი შეიძლება არც ყოფილიყო ან შეიძლება სხვანაირი ყოფილიყო. დიახ, ხშირად ვაძბობთ, მოხდა ისე, რომ ჩვენ ვცანით ქვეშარიტება, მოხდა ისე, რომ სამართლის აზრი ჩვენთვის ნათელი გახდა, მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს მხოლოდ იმ დროსთან, როდესაც ჩვენ მივსწვდით ქვეშარიტებას ან სამართლის აზრს და არა ამ ქვეშარიტების თუ აზრის წარმოშობის დროსთან. ამგვარად, თუნდაც რომ ფაქტის (როგორც ისეთი რამის, რაც დროში წარმოიშობა) ზემოაღნიშნული შეზღუდვითი განმარტების თანახმად, ჩვენ შეგვეძლოს სამართლის კონკრეტული ნორმა მომხდარ მოვლენად ჩავთვალოთ, თვით სამართლის აზრს ასეთ ხასიათს მაინც ვერ მივაწერდით, ამიტომ ჩვენ ყოველთვის უნდა განვასხვავოთ ერთმანეთისაგან სამართლის შემოქმედება და ის, რაც ამ შემოქმედებით რეალიზებულია, სწორედ ისე როგორც ესთეტიკურ იდეას ვასხვავებთ იმ მოქმედებისაგან, რომლითაც ეს იდეა რამეში გარეალიზებულია. სხვაფრივ ვერ შევხედავთ სა-

¹ Husserl, „Logische Untersuchungen“, გვ. 122.

კითხს, რადგან, ჩვენი აზრით, დროში წარმოშობილი და მოქმედი ყოველი „სამართალი სხვა არა არის-რა“, თუ არ გასაგნებული სამართლის აზრი (აზრი აღნიშნავს საზრისს. რედ.).

ამ თვალსაზრისით, რასაკვირველია, პოზიტიური სამართლის შესახებაც შეგვეძლო გვეთქვა, რომ იგი რაღაც მომხდარია. და რომ ფაქტის შინაარსი მხოლოდ ამით ამოიწურებოდეს, იძულებული ვიქნებოდით, სამართალიც ფაქტად ჩაგვეთვა, ე. ი. თუ მართო ამ გარემოებას დავემყარებოდით. ჩვენ ვერ მოვახერხებდით სამართალსა და ფაქტს შორის გამმიჯნელი ხაზი გაგვევლო.

მაგრამ კითხვა ჩვენ სხვანაირად უნდა დავსვათ: სახელდობრ, რა მოხდა სამართლით? ამ კითხვაზე მხოლოდ ერთი პასუხი გვაქვს: ის მოხდა, რომ სამართლის აზრი იქცა ნამდვილ. მოქმედ აზრად, სწორედ ისე, როგორც ყოველ ხელოვნურ შემოქმედებაში გარეაღიხებულა ესთეტიკური იდეა. ამიტომ თუ სამართალზე (მოქმედზე), — როგორც სამართლის აზრის განსაზღვრებაზე, ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ იგი მოხდა, — ამავე აზრს ვერ გავიშვებდით სამართალში რეაღიხებულა აზრის შესახებ. არ შეიძლება ნორმაში გამყლავებული სამართლის აზრის შესახებ ვალიდროთ: მოხდა ისე, რომ აი, სწორედ ეს აზრი, და არა სხვა რომელიმე, გახდა ნორმისათვის დამახასიათებელი საერთოდ. ნორმაში, როგორც განსაზღვრულ მსჯელობაში ჭერარსზე, ჩვენ გვაქვს ერთგვარი კანონშეზომილობა და ამ მხრით ვერ ვიტყვი: მოხდა ისე, რომ სამართლის ნორმის ახასიათებს სწორედ ეს კანონშეზომილება და არა სხვა რომელიმე. მაგალითად, ჩვენ ვიცით, რომ ნორმის ფენომენოლოგიურ მომენტებს წარმოადგენს სუბიექტი, ობიექტი და ღირებულებითი მომენტი. ეს მომენტები მოცემული არიან განსაზღვრულ ლოგიკურ ურთიერთობაში და სწორი არ იქნება მათ შესახებ ითქვას, რომ ისინი მოხდნენ; მაგალითად, მოხდა ისე, რომ ღირებულებითი მომენტი გაჩნდა ნორმაში, მოხდა ისე, რომ სუბიექტი და ობიექტი ნორმის ბუნების არსებით მომენტებად იქცნენ¹, რომ ჩვენ შეგვეძლოს თუნდაც ერთის წუთით დავეშვათ ყოველივე ამის შესაძლებლობა, ე. ი. დავეშვათ-თითქოს მოხდა ისე, რომ სუბიექტი, ობიექტი, ღირებულებითი მომენტი და ობიექტის ჭერარსობა ნორმაში გაჩნდა, უდავოა, რომ ნორმის ყველა აღნიშნული მომენტიცა და თვისების შესახებ ჩვენ შეგვეძლო გვეთქვა: დიახ, ისინი წარმოადგენენ ნორმის დამახასიათებელ მომენტებს, მაგრამ ისიც შესაძლებელია, რომ ასეთ მომენტებად ისინი არ ყოფილიყვნენ.

ყველა ეს მომენტი საერთოდ სამართლის მუდმივი, აბსოლუტური და შეუნიაცვლებელი მომენტებია, რადგან წარმოუდგენელია სამართლის

¹ Алексеев, Очерки философии права, 174.

ნორმა ლირებულეებითი მომენტის გარეშე, წარმოუდგენელია იგი ობიექტის ჭერარსობრივი ხასიათის გარეშე, აგრეთვე გაუგებარი იქნებოდა — როგორ შეუძლია სამართლის ნორმას სხვა რამ გამოხატოს, თუ არ ჭერარსობა და რამდენადაც ეს მომენტები ნორმატიული მსჯელობის ძირითად და პირველად მომენტებს წარმოადგენენ, ჩვენ არ შეგვიძლია ვთქვათ — მოხდა ან ხდება ისე, რომ ამ მომენტების თავისებურმა შეგვლულებამ ნორმის ბუნების დახასიათება იწყოს.

ჩვენ ხომ არასოდეს არ ვამბობთ: მოხდა ისე, რომ 2X2 ოთხად იქცა, ან რომ უმოკლეს მანძილად ორ წერტილს შორის სწორი წირი გახდა; სწორედ ამგვარადვე არ შეიძლება ითქვას: ხდება ისე, რომ სამართალი რაღაც ჭერარსობის გამოხატვას იწყებს, ზემოაღნიშნული მომენტები ან არსებობს, ან არ არსებობს; თუ არსებობს გვაქვს ნორმა, თუ არ არსებობს, ნორმაც არ არის.

თქმა იმისა, რომ რაღაც ხდება, გულისხმობს ამ რაღაცის დასაწყისს. მაგრამ თუ ხსენებული მომენტები ძირითადი და პირველადი მომენტებია, ურომლისოდაც სამართალს ვერ წარმოვიდგენთ, საღი გონება გვიკარნახებს. რომ ამ შექთხვევაში დასაწყისზე ლაპარაკი შეუძლებელია; ხოლო რაკი ასეა, ამ მომენტების შესახებაც, რომელნიც თვით ნორმის ბუნებას ქმნიან, არ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ისინი მოხდნენ, წარმოიშვნენ. ამავერად, ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ პოზიტიური სამართლის ესა თუ ის ნორმა წარმოიშვა (მაშასადამე, შესაძლებელია არც წარმოშობილყო), მაგრამ თვით სამართლის აზრზე, რომელიც კონკრეტულ მოქმედ ნორმაშია გასაგნებული და რეალიზებული, არ შეგვიძლია ვთქვათ, მოხდა, გაჩნდა.

მართლაც, ჩვენ ხშირად ვამბობთ, რომ ეკონომიკური პირობები და საწარმოო ძალა, ურთიერთობის ხასიათი საზღვრავს კონკრეტული ნორმის შინაარსს (ობიექტს). ეს, რა თქმა უნდა, უდავო ფაქტია, ჩვენ არ შეგვიძლია დავასახელოთ სამართლის ისეთი სისტემა, რომელიც აბსოლუტურად თავისუფალი დასრულიად აეტონომიური ნების შედეგი იყოს. ბედნიერებაა, რომ ასეა, რადგან შეუზღუდველი ნების მოქმედებით წარმოშობილი სისტემა ნორმებისა იძუნენად დამორებული იქნებოდა რეალური ცხოვრების პირობებს, რომ სამართლის ნორმის განხორციელება სამართლის თავისუფალი მიღების (ფსიქიკური მნიშვნელობით) შედეგი კი არ იქნებოდა, არამედ ტლანქი მექანიკური წნევის შედეგი. სინამდვილეში არ არის და არც ყოფილა ისეთი მართლწესრიგი, რომლის არსებობაც დამოკიდებული არ იყოს ადგილისა, სოციალური წრისა, დროისა და გარემო პირობებზე. მაგრამ ადგილის, გარემოს და სოციალური წრის პირობები არ შეადგენენ იმ გარემოებას, რომელსაც ჩვენ მხოლოდ ლოგიკურად ვწვდებით; ისინი წარმო-

ადგენენ ემოციურად განცდილ ღირებულებებს, რომელნიც ქმნიან იმ სასაბუნებისლო ეთოსს, რაც უზრუნველყოფს სამართლის ნებაყოფლობით შესრულების შესაძლებლობას, და ამიტომ ჩვენ გვგონია, რომ გარემოების ძალით ნაკარნახევი ნორმები სამართლისა არა თუ უფრო უახლოვდებიან ცხოვრებას, არამედ უფრო ადვილად იქცევიან ცხოველი განწყობილების შინაარსად, ხოლო ეს გარემოება წარმოადგენს საფუძველს სამართლის იმ თავისუფალი მიღებისათვის, რასუ-დაც ჩვენ ზემოთ მოგახსენებდით. მარქსისტული ფორმულა, რომ „სამართალი ზედნაშენია“, შეიცავს ღრმა კეშმარტებას: ამ დებულებას ამართლებს ყველა დროისა და ყველა ხალხის უფლებრივი ცხოვრების ისტორია, მაგრამ როდესაც ვამბობთ, რომ სამართალი ისტორიის, კულტურული განვითარების პროდუქტია, რომ სამართალი კონონმდებლის თავიდან არ გამოდის, როგორც მინერვა იუპიტერის თავიდან, განა ამით იმას ვამტკიცებთ, რომ ისტორიულ გარემოებათა ძალით შექმნილ სამართლის ნორმას აქვს იგივე სტრუქტურა და კონონზომილობა, რასაც ჩვენ ნამდვილ, რეალურ, ემპირიულად შეცნობილ სამყაროში ვამჩნევთ? ეკონომიკური პირობები, როგორც სამართლიანად აღნიშნავს ნატორპი¹, კითხულობს: რა შეიძლება გაკეთებულ იქნეს? სამართალი კითხულობს: რით არის უზრუნველყოფილი ის, რაც გაკეთებულ უნდა იქნეს. ეს სრულიად საკმარისია, რათა დავინახოთ ის ღრმა განსხვავება, რომელიც არსებობს სამართლის წარმოშობის გამომწვევ ეკონომიკურ პირობებასა და ამ პირობებზე დაყრდნობულ სამართალს შორის.

ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ, რომ პოზიტიური სამართლის თითოეულ ნორმაში, რამდენადაც მასში ყოველთვის არის ჯერარსობრივი ობიექტი, მოცემულია სინამდვილის პრეტენზია (პარტმანი). მართლაც, თუ ნორმის ობიექტი, ე. ი. ის, რაც უნდა იყოს, არ არსებობს (როგორც ფაქტი), მაშინ თვითღირებულებითი მნიშვნელობა ამ ობიექტისა აშკარაა გავსარციელების პრეტენზიას.

თუ ჩვენ დაეუშვებთ, რომ ნორმის ობიექტი არსებობს, ე. ი. დაეუშვებთ, რომ ის, რაც უნდა იყოს, უკვე არის, მაშინ ნორმაც, როგორც ასეთი, უაზრობად უნდა ჩაეთვალოს. სამართლიანად აღნიშნავს პარტმანი: „ჯერადი მყოფადის საწინააღმდეგოა — თეორიული საგანი მყოფადია, ეთიკური „მხოლოდ ჯერადმყოფადი“. პირველი არსებულა, მეორე აშკარად არარსებულა. ჯერადმყოფადი არც შეიძლება არსებულა იყოს, მისი არსებობა სწორედ გააუქმებდა მათ შორის ჯერადს, უკეთეს ადამიანი არსებით ის არის, როგორც იგი ეთიკურად უნდა იყოს, მაშინ აღარც ჯერ არს ისეთი იყოს, მაშინ იგი უბრალოდ „არის“, აქ

¹ Natorp, „Praktische Philosophie“, 454.

ჩნდება ეთიკის მოძალობის პრობლემა. მისი საგანი არარსებულია. ყოფადის საფეხურად იგი თეორიულ საგანზე დაბლა დგას და მიუხედავად ამისა მას ერთგვარი ყოფადობის ღირებულება აქვს, სინამდვილის ერთგვარი პრეტენზია¹.

აქედანაც ნათლად ჩანს, თუ რა დიდი განსხვავებაა იმას შორის, რასაც ჩვენ ფაქტად ვთვლით და იმას, რასაც ჩვეულებრივი სემპარლის ნორმას ვუწოდებთ, რაც არის-არა. როგორც რაღაც უკვე კონკრეტულ-ინდივიდუალური, როგორც უკვე მომხდარი რამ, და ამ მნიშვნელობით შესაძლებლობაც და აუცილებლობაც სინამდვილის ან ფაქტის უკან დგანან. ამ შემთხვევაში აუცილებლობა და შესაძლებლობა მიგვიითიებს მხოლოდ თვით ფაქტის შესაძლებლობაზე ან აუცილებლობაზე და ფაქტი როგორც ზოგადი ცნება ყოველივე იმის, რაც დროშია მომხდარი, ან შესაძლებელი უნდა ყოფილიყო ან აუცილებელი, რადგანაც ფაქტი ან ფაქტიური უკვე თვითონვე სპობს, როგორც თავის არა შესაძლებლობას, ისე თავის არა აუცილებლობას (ჰარტმანი); ხოლო რაკი ფაქტის შეუძლებლობა მოსპობილია, იგი შესაძლებელია და რამდენადაც ფაქტის არანამდვილობა უარყოფილია, იმდენად იგი აუცილებელია. ამ მხრით აუცილებლობა და შესაძლებლობა თითქოს ფაქტით არის დაფარული: ფაქტი აქ მოცემულია განსაზღვრულ დამოკიდებულებაში შესაძლებლობისა და აუცილებლობისაღმძი. ფაქტი, ან ნამდვილი რამ შესაძლებლობასა და აუცილებლობას შორის კი არ დგას, როგორც კანტი ფიქრობდა (ნატორპი), არამედ მათ მადლა, ფაქტიური, ყოველ შემთხვევაში, შესაძლებელი მაინც უნდა ყოფილიყო (ჰარტმანი); ნორმაში მოცემული აუცილებლობა კი უსათუოდ სპობს იმის ფაქტიურობას, რაც უნდა იყოს, ამიტომ შეუძლებელია, რომ ის ფაქტი იყოს, „როგორ შეიძლება რაიმე მოვლენა ყოფილიყო აუცილებელი, რომ ის ერთხელ მაინც შესაძლებელი არ ყოფილიყო“, — კითხულობს ჰარტმანი. მაგრამ აქ მხედველობაში აქვთ ნამდვილობა. უკვე განხორციელებულის მნიშვნელობით, და არა აუცილებლობა და მართლაც. თუ ნორმის შინაარსს ავიღებთ, როგორც ასეთს, ავიღებთ უბრალოდ, როგორც განსაზღვრულ შინაარსს, რომელიც გამოსახულია, როგორც ჭერარსი, მაშინ შესაძლებლობა ან აუცილებლობის შესრულებისა, ისე როგორც შეუძლებლობა ჭერარსის განხორციელებისა, გამომჟღავნდება ისტორიულად, ე. ი. ჭერ ნორმა და მის მიერ გამოხატული ჭერარსობა და შემდეგ შესაძლებლობა ან შეუძლებლობა მისი შესრულებისა. მაგრამ განა წარმოსადგენია, რომ ის, რაც ჭერარსად არის აღიარებული, ერთხელ მაინც არ იყოს შესაძლებელი? მაგრამ თვით ეს მსჯელობა: „ერთხელ მაინც არ იყოს

¹ Hartmann. Logische und ontologische Wirklichkeit. Kantstudien. Bd. XX.

შესაძლებელი“ — გულისხმობს უკვე მომხდარს. ამიტომ ის ვინც საკითხს ასე აყენებს, აუცილებელზე და აუცილებლობაზე კი არ ფიქრობს, არამედ ფაქტზე, რაც თვითონ სპობს თავის შესაძლებლობას ან თავის არააუცილებლობას (პარტმანი).

ამ მცირე შენიშვნებიდან ჩანს, რომ პოზიტიური-სამართალი არაა ნამდვილობა იმ უფლებრივი აზრის, რომლის შესახებაც არასოდეს არ შეგვიძლია ვთქვათ, რომ იგი მოხდა. რა ფორმით, რა წესით არის მოცემული ეს აზრი დროში წარმოშობაზე ან თუ იმ ნორმაში, ჩვენ უკვე აღვნიშნეთ. ამგვარად, დროის მიხედვით ცვალებად უფლებრივ ნორმაში ნამდვილობის მატარებელია მხოლოდ განსაზღვრული უფლებრივი აზრი, ისე როგორც ყოველი ესთეტიკური თხზულება არის ნამდვილობა ესთეტიკური იდეისა, ე. ი. სამართლის ნამდვილობა (პოზიტივობა) არის თვით სამართლის აზრის ნამდვილობა, რაც, თავის მხრით, ნიშნავს მხოლოდ აზრის ქმედებას. აი, ფაქტა და სამართალს. შორის არსებულ ამ განსხვავებაზეა დამყარებული მთელი განსხვავებაც სამართლისა და ფაქტის ქმედებათა შორის.

როდესაც ჩვენ სოციალურ-ფსიქიკურ ფაქტებზე ვლაპარაკობთ. ეს ფაქტები, როგორც გარეალიზებული აუცილებლობა ან შესაძლებლობა, ყოველთვის ინდივიდუალური არიან და ამიტომ მათ არ შეიძლება ჰქონდეს რაიმე პრეტენზია განხორციელებისა, რადგან უკვე განხორციელებული არიან. ამის გამო ყოველ ფაქტს აქვს, ან შეიძლება ჰქონდეს, კაკ-შირი რაღაცასთან, რაც არსებითად სხვა რამ არის, ვიდრე თვით ეს კონკრეტული ფაქტია. მაგალითად, თუ სამართალს აქვს ტენდენცია, გახდეს ისტორიის შინაარსად, ასეთ ტენდენციას ფაქტში ვერ ვხედავთ. ფაქტს არ შეუძლია შექმნას შესაძლებლობა ან აუცილებლობა თავიანთი განხორციელებისა, რადგანაც ფაქტი უკვე არის. და ყველაფერი, რასაც ჩვენ, როგორც ფაქტს, ვუპირისპირებთ სამართალს, სწორედ ამით ხასიათდება. ხოლო სამართლის მოქმედება, როგორც ქვემოთ დავინახავთ, სულ სხვა რამ არის, ასე რომ, თუ ჩვენ ნამდვილობის ხასიათს ფაქტთან ერთად სამართალსაც ვაკუთვნებთ, ეს ორი ნამდვილობა — ფაქტი და სამართალი იმით განსხვავდება ერთმანეთისაგან, რომ, ჯერ ერთი, ის, რაც რეალიზებულია სამართალში, სხვა რამ არის, ვიდრე ის, რაც შეიძლება რეალიზებულ იქნეს ფაქტით, ხოლო მეორე მხრით, ის, რაც რეალიზებულია სამართალში, ატარებს სხვა ტენდენციას და მოქმედებას, ვიდრე ის, რაც ფაქტია. და ჩვენ გვგონია, მხოლოდ იმიტომ, რომ სამართალს, როგორც უფლებრივი აზრის ნამდვილობას, წინააღმდეგ ფაქტებისა, — აქვს განხორციელების პრეტენზია, ყოველი მართლწესრიგი, იმდენად, რამდენადაც იგი უკვე განხორციელებული სამართალია, წარმოადგენს ისტორიას, ხო-

ლო რამდენადაც იგი განხორციელებლობაა, ყოველთვის წარმოადგენს იმის განხორციელების შანსსაც, რაც საქართველოს მიერ გამოხატულია როგორც ჭერარსი. ამგვარად, სამართლის პოზიტივობა მღვიმარეობს სამართლის აზრის ნამდვილობაში. სწორედ ამით ამოიწურება პოზიტიური სამართლის ცნების დედააზრი. ასე რომ, თუ იმ შემთხვევაში, როდესაც ჩვენ ფაქტზე ვლაპარაკობთ, იგულისხმება, რომ შეაძლებლობა და აუცილებლობა აბსოლუტურად ამოწურულია თუ-ნამდვილობით, მეორე შემთხვევაში, ე. ი. როდესაც ჩვენ სამართალზე ვლაპარაკობთ, იგულისხმება, ნამდვილობა აზრისა, რომელშიც ყველაფერი მოცემულია, როგორც ჭერარსი. ამიტომ თუ, მაგალითად, ნორმის შესრულების ფაქტები ჩვენ შეგვეძლო პოზიტიური სამართლის ნორმის განხორციელებად ჩაგვეთვალა, სამართლის შესახებ შეგვეძლო გვეთქვა მხოლოდ, რომ ის არის აზრის ნამდვილობა.

ამგვარად, ჩვენ ვხედავთ, რომ სამართლის აზრი, რომელიც არსებითად არ არის მოქმედი სამართალი, ე. ი. ნამდვილი სამართალი, არ წარმოიშობა, არ ჩნდება და არ ხდება. ხდება მხოლოდ ის, რაც იბადება, სახელდობრ, პოზიტიური სამართლის ნორმები, რომლებშიც ყოველთვის მოჩანს სამართლის აზრი. ჩვენ ვერ ვნახავთ პოზიტიური სამართლის ისეთ ნორმას, რომლიდანაც განდევნილი იყოს სამართლის აზრი, რადგანაც ჩვენ არ ვიცით, რა არის, რას წარმოადგენს სამართლის ნორმა, რომელშიც სამართლის შინაარსი არ მოიპოვება.

რა დასკვნა შეგვიძლია გამოვიტანოთ აქედან, თუ არა ის, რომ წარმოშობა ნამდვილი, მოქმედი სამართლისა (და მხოლოდ ეს არის სამართალი) არის არა სამართლის აზრის წარმოშობა, არამედ დასაწყისი უფლებრივი აზრის ნამდვილობისა. აი, მხოლოდ ამ მნიშვნელობით შეიძლება პოზიტიური სამართლის წარმოშობაზე ვლაპარაკო, მხოლოდ ამ მნიშვნელობით შეიძლება ვთქვათ: მოხდა ისე, რომ სამართლის აზრი იქცა ნამდვილ, მოქმედ შინაარსად, და აი, რატომ აქვს ყოველ ნორმას მიმართება სამართლის იდეისადმი. ხოლო რაკი ეს ასეა, თავისთავად ცხადია, რომ პოზიტიური სამართლის წარმოშობა უნდა ნიშნავდეს მხოლოდ ერთს, სახელდობრ იმას, რომ სამართლის აზრი იქცა მოქმედ უფლებრივ შინაარსად, იმე როგორც ყოველ ჭურათში — ეს თეტიკური იდეა პოულობს თავის ნამდვილობას. ამგვარად, სამართალი, რომელიც წარმოიშვის, ე. ი. ნამდვილი პოზიტიური სამართალი არის უფლებრივი აზრის ნამდვილობა, ან სხვანაირად, რომ ვთქვათ, სამართლის არამოქმედი აზრი სამართალში (პოზიტიურში) ნამდვილ ე. ი. მოქმედ შინაარსად იქცევა¹. ამიტომ პოზიტიური სამართალი არის ის, რაც სამართლის აზრს ასაგნობრივებს.

¹ K. Larenz. Die Wirklichkeit des Rechts (Logos—Bd. XVI).

ამეყარად, თუ სამართლის შინაარსი, მისი დედაზრი არ ჩნდება, ე. ი. არ ხდება. საბაგიეროდ, ის, რაც ნამდვილად ჩნდება, ე. ი. პოზიტიური სამართალი — წარმოუდგენელია უდასაწყისოდ, ე. ი. სამართლის წყაროს გარეშე. და როგორც ესთეტიკური იდეა პოულობს თავის განხორციელებას სურათში, ესთეტიკური შემოქმედების საშუალებით, სწორედ ისევე სამართლის არამოქმედი აზრის ნამდვილ (ქმედით) შინაარსად ქცევა შეიძლება მხოლოდ სამართლის შემოქმედების აქტ-ს საშუალებით. ამიტომ-თუ სამართლის აზრს წინ არ უსწრებთ რაივე აქტი, რომელიც ამ აზრს ქმნის, უფლებრივი აზრის პოზიტიურობა უსათუოდ განსაზღვრულ აქტს გულისხმობს. ამ აქტის (წყაროს) გარეშე არ არის პოზიტიური სამართალი, ე. ი. არ არის ნამდვილი მოქმედი სამართალი.

ჩვენ აღვნიშნეთ, რომ სამართლზე პოზიტიურობა არის რაღაც მომხდარი; ეს ცხადია, რადგანაც პოზიტიური სამართლის ყოველი ნორმის შესახებ ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ: იგი არის, მაგრამ შეიძლება არც ყოფილიყო, ე. ი. პოზიტიური სამართლის ყოველი ნორმა, ან ნორმების სისტემა, შეგვიძლია ჩავთვალოთ შესაძლებელ უფლებათა სპეციფიურ შემთხვევად. მაშასადამე, ჩვენ წარმოდგენილი უნდა გვქონდეს რაღაც მეტად იურიდიული გარემოება, რომელსაც შეუძლია გამოიწვიოს ეს პოზიტიურობა.

მაგრამ, როგორ ხდება ეს გარდაქმნა? რას ემყარება პოზიტიური სამართლის შემთხვევითი ხასიათი, ან რა იძლევა სამართლის იდეას, აზრს ისეთი მსგელობის სახით, რომელშიც მეღავენდება ნამდვილობა, ე. ი. ქმედობა ამ აზრისა? (მხოლოდ უფლებრივი შემოქმედება) და ისე, როგორც ესთეტიკური შემოქმედება, ესთეტიკური იდეის ნამდვილობა (ქმედობას) ამა თუ იმ სურათში ან ქანდაკებაში ღებულობს, სწორედ აგრეთვე უფლებრივი შემოქმედება სამართლის აზრის ნამდვილობას (ქმედობას) პოზიტიურ სამართალში ამეღავენებს¹. და მხოლოდ მაშინ, როდესაც სამართლის აზრს პოზიტიურ სამართალში მოპოვებული აქვს თავისი ნამდვილობა, ის უკვე მოქმედი სამართლის აზრია და როგორც ასეთს, მას ახასიათებს მისწრაფება განხორციელებისაკენ, ე. ი. მისწრაფება იმისაკენ, რომ გახდეს ისტორიის შინაარსად.

ამ ღებულებიდან გამოვდიოდით ჩვენს წერილში იურიდიული სუბიექტების შესახებ, და აღვნიშნავდით, რომ პოზიტიური სამართლის ბუნება სწორედ ისეთია, რომ მას შეიძლება ჰქონდეს მიმართება მხოლოდ იმისადმი, ვისაც თავისი ობიექტური თვისებების მთლიანობით შეუძლია პოზიტიური სამართლის ნორმის ნამდვილი განმახორციელებელი იყოს, ჩვენ ვამბობდით აღნიშნულ წერილში, რომ კანონმდ-

¹ Kroner Geschichte und Philosophie. Logos Bd. XII

ბელს შეუძლია სუბიექტად აღიაროს ყველა, არა მარტო გონიერი, არამედ არაგონიერი არსებაც. მაგრამ ვინც უნდა აღიაროს კანონმდებლობამ სამართლის სუბიექტად. სულ ერთია, პოზიტიურა სამართლის ნორმის მიმართება არ შეიცვლება, რადგან ნორმის ობიექტის ჭეარარსობრივი ხასიათი თვითონ იძლევა თავის მიმართებას იმისაკენ, ვისაც ნამდვილად შეუძლია ჰქონდეს უფლება, ე. ი. ნამდვილად შეუძლიან შეიგნოს, რომ აქვს უფლება: მართლაც, მაქვს უფლება—ნიშნავს იმას, რომ გამეგება უფლება; უფლების გაგება კი, როგორც აღვნიშნეთ, შესაძლებელია მხოლოდ სამართლის ნორმის ლოგიკურად აღიარების ნიადაგზე. მეორეს მხრით, სწორედ ლოგიკურად აღიარებულ ნორმაში ვითვისებთ ობიექტის ჭეარარსობრივ ხასიათს, ხოლო ამ შემთხვევაში ჩვენ შეგვიძლია ვიდგეთ სამართლის წინაშე, მხოლოდ როგორც ნამდვილი განმახორციელებელი ჭეარარსობრივი ობიექტისა. ასე რომ, ვინც უნდა ჩათვალოს კანონმდებელმა სამართლის სუბიექტად, ნამდვილი სუბიექტი შეიძლება იყოს მხოლოდ პიროვნება, როგორც შესაძლებელი ღირებულებათი აქტების მატარებელი; ყოველივე დანარჩენი, რასაც კანონმდებელი სამართლის სუბიექტად აღიარებს, არსებითად შეიძლება წარმოადგენდეს მარტოოდენ ცენტრს, რომლის მიმართაც სწორედ სამართლის განმახორციელებელი, ე. ი. სამართლის ნამდვილი სუბიექტი ახორციელებს სამართლის ნორმას.

ჩვენს წერილში, პოზიტიური სამართლის ნორმის ობიექტის ჭეარარსობრივი ხასიათიდან გამოგვეყავდა ის დასკვნა, რომ სამართლის სუბიექტი შეიძლება იყოს ქმედებაუნარიანი (უფლებრივი მნიშვნელობით) სუბიექტი. წერილში ჩვენ ვამბობდით: „ქმედებაუნარიანობა -- ერთ-ერთი მთავარი მომენტია პიროვნებისა. ეს ქმედებაუნარიანობა არის შესაძლებლობა ნორმის განხორციელებისა, რადგანაც ნორმისათვის ამ შემთხვევაში ლოგიკურად განმახორციელებელი შეიძლება მისი შინაარსის განმახორციელებელი იყოს. და თუ ქმედებაუნარიანობაში ტრადიციული იურისპრუდენციის მომხრენი გულისხმობენ „ნებისყოფის სიმწიფეს“, „პასუხისმგებლობას“ — „მომწიფებულ აზროვნებას“ და, მეორე მხრით, ქმედებაუნარიანობა ამ თვისებათაგან არის დამოკიდებული, ლოგიკურად მათ სხვა არაფერი რჩებათ, გარდა იმისა, აღიარონ, რომ ნებისყოფის „სიმწიფე“, „უფლებრივი აღიარების უნარიანობა“ სამართლის ნორმის ქმნილებაა; და თუ ზემოაღნიშნულ მომენტებს სამართლის ნორმის ქმნილებად ვერ აღიარებენ, მაშინ იმეც უნდა ითქვას, რომ ქმედებაუნარიანობა თავიდანვე იგულისხმება იქ, სადაც არის „მომწიფებული ნებისყოფა“, „შესაძლებლობა იურიდიული წმინდა აღიარებისა“, „ლოგიკური ცნობისა“ და სხვ. თუ საკითხს ასე მივუდგებით და მასთან ერთად მივიღებთ მხედველობაში,

რომ ყველა ეს შესაძლებლობა არის პიროვნების დამახასიათებელი მოქმედებები, მაშინ იქ. სადაც პირი ნაგულისხმევია სამართლის მიერ, ნაგულისხმევია აგრეთვე პირისათვის დამახასიათებელი მოქმედებები და, მათ შორის, განხორციელების შესაძლებლობაც, ანუ ქმედებაუნარიანობა. აქ არ შეიძლება იმ ტრადიციული მოსაზრების მოყვანა, რომ იურიდიულ ქმედებაუნარიანობასა და ფიზიკურ-ფსიქოლოგიურ ქმედებაუნარიანობას შორის საერთო არაფერია. ამ ტრადიციულ შესუდულებას ყველა იცნობს. ლოგიკურად სამართლის ნორმაში, მსჯელობაში „უნდა იყოს“ არ შეიძლება იქნეს მოცემული მიმართება ფსიქოლოგიურ-ფიზიოლოგიურ-ემოციურ შესაძლებლობისაკენ. სამართლის ნორმაში შეიძლება იყოს მიმართება მხოლოდ იმ შესაძლებლობისაკენ, რომლითაც თვით ნორმა უნდა განხორციელდეს. თუ ჩვენ ნორმის შინაარსს მიზნად ვაღიარებთ, მაშინ განმანხორციელებლის შესაძლებლობა მხოლოდ საშუალებად იქნება აღიარებული, ვინაიდან განხორციელების იდეა ყოველთვის საშუალების ცნებაშია მოცემული და საშუალებას კი ყოველთვის მიხნის ბეჭედი აზის. თვით მიზანში არის მოცემული ეიდეტური მიმართება რაღაცისაკენ, როგორც საშუალებისაკენ, შესაძლებლობისაკენ. ამიტომაც უფლებრივი ნორმის მიერ ნაგულისხმევი განმანხორციელებელი, ანუ განხორციელებლობის შესაძლებლობა, არის მხოლოდ და მხოლოდ შესაძლებლობა ნორმის შინაარსის განხორციელებისა. ასე რომ, იმდენად, რამდენადაც სუბიექტი ჩვენ სწორედ ნორმის განსახორციელებლად გვეყავს წარმოდგენილი და სამართლის სუბიექტის სუბსტრატი ყოველთვის პირია, იურიდიული ნორმის მიერ ნაგულისხმევ სუბიექტზე ყოველთვის ნაგულისხმევია ქმედებაუნარიანობა ნამდვილი იურიდიული მნიშვნელობით¹.

ამიტომ სამართლის ნორმის წინაშე ყოველთვის დგას სუბიექტიც მხოლოდ როგორც შესაძლებელი ღირებულებითი აქტების მატარებელი. არა ხელოვნურ წიშანთა სამყარო, არამედ სამყარო მოქმედი სუბიექტებისა, სამყარო, რომელიც შესაძლებელ ღირებულებითი აქტების ცოცხალ მატარებელთაგან შედგება, არის ის ერთადერთი სფერო, რომლისკენაც მიილტვის სამართლის ნორმა, ან უფრო სწორად, ჭერარსობრივი ობიექტი სამართლის ნორმისა. ჩვენ ვლაპარაკობთ სუბიექტზე, როგორც მხოლოდ ღირებულებითი აქტების შესაძლებლობათა მატარებელზე, რადგანაც სუბიექტებს ამ მნიშვნელობით ვერ შექმნის სამართალი, ვინაიდან სამართალი არ ქმნის სიცოცხლეს. ეს სუბიექტები იქმნებიან სხვა კანონშეზომილებაში, ვიდრე სამართალია. სწორედ ამიტომ ისინი შესაძლებელნი არიან მხოლოდ, როგორც ღი-

¹ გ. ნანეიშვილი, იურიდიული სუბიექტი, ტფ., სახ. უნივერსიტეტის მოამბე, VIII.

რებულეებითი აქტების შესაძლებლობათა მატარებელი. აი, ეს სუბიექტები წარმოადგენენ არქიმედეს იმ პუნქტს, რომლის საშუალებითაც სამართლის ნორმას შეუძლია რეალური სამყარო აამოქრაოს. ეს სუბიექტები წარმოადგენენ იმას, რაც უფლებრივი ცხოვრების ისტორიას ქმნის.

მაგრამ, რაკი ჩვენ ასე გავყარეთ სამართლის სამყარო ამ შესაძლებლობათა სამყაროსაგან, თავისთავად ცხადია, რომ იბადება საკითხი ნორმის შესრულებას უზრუნველყოფის შესახებ. ჩვენ დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ თითოეული კონკრეტული სისტემა, რამელიც თავისთავად უნდა სრულდებოდეს, ფაქტიურად შესრულდება, ე. ი. უფლებრივი ცხოვრება საჭიროებს შესრულების შინსს, ნორმათა სისტემას თვით სოციალურ წრეში უნდა ჰქონდეს შესრულების შანსი. უამისოდ უცნაურ სურათს მივიღებდით. ერთის მხრით, ჩვენ გვეჩნებოდა შესასრულებლად დანიშნულ ნორმათა სისტემა და, მეორე მხრით, ყოველთვის გვეჩნებოდა ნორმის კონკრეტული განხორციელებლობა ან განუხორციელებლობა. ე. ი. ისტორია, რაც სრულიად საკმარისი არ იქნებოდა იმისათვის, რომ შექმნილიყო რწმენა მომავალი შესრულებისა. რადგანაც იმ ისტორიის მიხედვით, სადაც არ ვიცით, რასკარბობს, — რიცხვი უფლებრივი აქტებისა, თუ უფლებების დარღვევისა, — შეუძლებელია ასეთი რწმენის დაბადება.

როგორც ვხედავთ, არ კმარა, რომ თითოეული იდგეს სამართლის წინაშე, როგორც სუბიექტი შესაძლებელი ღირებულებითი აქტებისა, უფლებრივი ცხოვრებისათვის საჭიროა, რომ ეს სუბიექტები, რომელნიც სამართლის მიმართ ყოველთვის შესაძლებელი ღირებულებითი აქტების მატარებელი არიან, არსებობდნენ ერთმანეთისათვის რაღაც სხვა მნიშვნელობითაც.

მაშ, როგორღა უნდა იყვნენ ერთმანეთისათვის მოცემული სუბიექტები, რომ უფლებრივი ცხოვრება (ე. ი. ნორმათა სისტემის შესრულება) შესაძლებელი გახდეს? თუ სუბიექტი, როგორც ნორმის განხორციელების შესაძლებლობის მატარებელი, მოცემულია სხვა კანონშეზღომილობაში, ვიდრე სამართალი, თუ სამართლის განხორციელების უნარი სამართალზე არ არის დამოკიდებული და, მეორე მხრით კი, იმისათვის, რომ მე ვიყო სამართლის განმანხორციელებელი, დიდი მნიშვნელობა აქვს იმასაც — მეორეც არის თუ არა მისი განმანხორციელებელი, თავისთავად ცხადია, რომ ეს მეორე ჩემთვის მოცემული უნდა იყოს არა მარტო როგორც ნორმის ლოგიკურად მალიარებელი, არამედ როგორც შანსიც ამ ნორმის ნამდვილი შესრულებისა. ამგვარად, ჩვენ ვხედავთ, რომ ნორმის ინდივიდუალური განხორციელებლობისათვის ძირითადი მნიშვნელობა აქვს მეორე სუბიექტის სამართლის განხორციელების შესაძლებლობაში მოცემულობის საკითხს.

სწორედ ასე უნდა იდგეს საკითხი თითოეულის წინაშე, ვინც აღიარებს რა, რომ სამართლის განხორციელებლობა თვით სამართლისათვის დამახასიათებელი არ არის, იმავე დროს აღიარებს იმასაც, რომ სამართლის განხორციელების უნარი არ შეიძლება სამართლის ქმნილებად ჩაითვალოს. და მართლაც, ძნელი არ არის დავარწმუნდეთ იმაზე, რომ თუ სამართლის განხორციელების უნარს მიზეზობრივად დავუკავშირებთ სამართალს, ე. ი. თუ მათ ერთ კანონშესაბამილობაში მოვათავსებთ (როგორც ამას ჩადიან, მაგალითად, იმ მიმართულების მომხრენი, რომლის მიხედვითაც, სამართლის პირველადი სფერო ადამიანის ფსიქიკაა), მაშინ, ჩვენი აზრით, არც შეიძლება იმაზე ლაპარაკი, რომ პოზიტიური სამართლის ნორმის შეუსრულებლობა სუბიექტისათვის ბრალად ჩაგვეთვალო, რადგანაც შეუსრულებლობა აქ ყოველთვის შეიძლება წარმოვიდგინოთ როგორც შემთხვევითი მოვლენა, სუბიექტის გარეშე მდებარე გარემოებით გამოწვეული. აი რატომ ვეგონია, რომ აღნიშნული თეორიების საფუძველზე შეუძლებელია სინამდის სამართლის სისტემის აგება.

აღნიშნულის მიხედვით, ის თვისებები, რაც სუბიექტს აქცევს იმ ღირებულებად, რომლისადმიც სამართლის ნორმას შეუძლია მიმართება ჰქონდეს, სრულიად საკმარისი არ არის, რომ ჩვენ ამ სუბიექტთან განსაზღვრული უფლებრივი ურთიერთობა დავიჭიროთ. ეს თვისებები ჩვენთვის მოცემული უნდა იყოს სხვა გარდატეხით, მეორე სუბიექტი ჩვენ მართლ იმ მხრით კი არ უნდა გვეყავდეს წარმოდგენილი, რომ ის უფლებრივი ნორმის შესრულების შესაძლებლობის მატარებელია, არამედ იგი, ვიდრე მასთან უფლებრივ ურთიერთობას დავიჭერდეთ, უნდა შევითვისოთ, უნდა განვიცადოთ როგორც ერთადერთი შესაძლებლობა ნორმის შესრულებისა, ე. ი. იგი, ვიდრე მასთან რაიმე უფლებრივ კავშირს დავდებდე, მოცემული უნდა იყოს ჩემთვის როგორც ნორმის შესრულების შანსი. როცა მეორეს ჩვენ განვიცადოთ როგორც შანსს, იგი ჩვენთვის განმტკიცებულია ერთ თვისებაში, ერთ უნარში — ნორმის შესრულების უნარში, რაც ისტორიულად შეიძლება არც კი გამართლდეს.

მაგრამ რა ქმნის ამ შანსს? მთელი რიგი გარემოებათა, რომელთაგან ჩვენ შეგვიძლია დავასახელოთ მხოლოდ რამდენიმე: ხელისუფლება, იძულება, ფსიქიკური აღიარება, რომლის ერთ-ერთი ფორმა ჩვენ გვაქვს პოლიტიკური მითების სახით და სხვ. პოლიტიკური მითები, როგორც არის ხალხის ნების უცოდველობა. მონარქიული ხელისუფლების ღვთაებისაგან წარმოშობა და მრავალი სხვა, — იყო ის გარემოებანი, რომელთა ძალითაც ყველანი განიცდიდნენ ერთმანეთს, როგორც შესაძლო განმახორციელებლებს განსაზღვრული უფლებრივი სისტემისა. ამ პოლიტიკური მითების წყალობით ნორმების ფსიქი-

ური აღიარებაც აუცილებელი იყო: მათი მეოხებით უფლებრივი ღირებულებანიც სანუქვარ ღირებულებებად იქცეოდნენ, და ბოლოს, მათი გავლენით, ყველა წევრი ერთი და იმავე საზოგადოებისა განცდილი იყო თითოეული წევრის მიერ როგორც მატარებელი ერთი შესაძლებლობისა, — სამართლის კონკრეტული სისტემის განხორციელებლობის შესაძლებლობისა. რამდენჯერმე მომხდარა კაცობრიობის ისტორიაში, რომ ძალაგამოღებულ და მერყევ ხელსუფლებას მოუმართავს პოლიტიკური მითების შექმნისათვის, რათა ამათ სამართლის განსაზღვრული სისტემის განხორციელების შესაძლებლობა უზრუნველყო. როცა რომის იმპერია იშლებოდა, როცა დაირღვა ის ტრადიცია, რომელიც რომის სახელმწიფოებრივ-უფლებრივი ორგანიზაციის ქვაკუთხედს წარმოადგენდა, აღმოსავლურ მითრიაზმს მიმართეს და იქ ეძებდნენ ხსნას. თავდაპირველად სუსტი დემოკრატია მტკიცდებოდა და ძლიერდებოდა იმ მხრით, რომ ხალხის საერთო ნება უცოდველი და მუშუდარია. რომის კათოლიკური უფლებრივი ორგანიზაციის ძლიერება ნაწილობრივ შედგება მრავალი მითებისა და ლეგენდებისა, რომელთაგან ყველაზე მნიშვნელოვანი კათოლიკური ეკლესიის მეფის უცოდველობა იყო. არისტოკრატიული რეჟიმის დასაყრდნობ ფუძეს ის ფიქცია შეადგენდა, რომ ერთი ჯგუფი თავისი თვისებებით და ღირსებით მეორეზე მაღლა დგას, რამდენი რამ იყო ჯერ დამოუკიდებელი და შემდეგ შექმნილიც ე. ე. რუსოს საზოგადოებრივ ხელშეკრულების უდიდესი ლეგენდით და ლეგენდით არარსებული „Vollständige allgemeine“-ის ნამდვილობის შესახებ. თუ ამ მითებს არ ეთანაბრებოდა სოციალური ნამდვილობა, ისინი წარმოადგენდნენ ფსიქიკურ ს-მართლეს. საზოგადოების წევრები, რომელნიც ემონებოდნენ ამ პოლიტიკურ მითებს, რაც ყველას იძულებდა, სამართლის წყარო (სამართლისაგან დამოუკიდებლად) ღირებულებად ჩაეთვალოს, — განიცდიდნენ თითოეულ წევრს როგორც ამ წყაროდან წარმოშობილი ნორმების განხორციელების შანსს. პოლიტიკური მითებს გავლენით საზოგადოების წევრთა შორის იბადება რწმენა, რომ ესა თუ ის ნორმა ყოველი წევრის მიერ იქნება გაგებული და შეთვისებული და რომ ეს შეთვისებული ნორმა ნამდვილად შესრულდება.

მეორე საშუალება, რომელიც თითქოს არაპირდაპირ ქმნის შესაძლებლობას, რომ საზოგადოების თითოეული წევრი მიღებულ იქნეს როგორც შანსი ნორმის შესრულებისა, არის იძულება. სამართალში იძულების მომენტის არსებობა ყველაზე უფრო მკაფიოდ და ხაზვას-მით გვიჩვენებს იმას, რომ სამართლისა და მისი განხორციელების შესაძლებლობას შორის მიზეზობრივი კავშირი არ სუფევს. ჩვენ ვიტყვით, რომ იძულების გამოსავალ მომენტს წარმოადგენს მოსაზრება იმ-ს შესახებ, რომ სამართლის კანონშეზომილობა დამოუკიდე-

ბელია იმ შესაძლებლობათა კანონშეზომილობისაგან, რითაც ეს სამართალი შეიძლება განხორციელებულ იქნეს. და მხოლოდ იმიტომ შეიძლება ლაპარაკი იძულების გონიერებაზე, რომ სამართლის სამყარო და სამართლის ღირებულებათა განმხორციელებელი სამყარო მიზეზობრივად კი არ არიან ერთმანეთთან დაკავშირებული, არამედ მხოლოდ ლპირისპირდებიან ერთიმეორეს. სწორედ ამ დაპირისპირებაში მდგომარეობს მათი სიახლოვე, რადგანაც სამართალი შეუძლებელია სხვა რამისაგან იყოს მიმართული, თუ არა თავისი განხორციელების შესაძლებლობისაგან. თუ სამართლის ნორმას აქვს ტენდენცია განხორციელებისადმი, იძულებას ახასიათებს ტენდენცია, ამ განხორციელების უზრუნველყოფისადმი. ამ მნიშვნელობით. იძულება, როგორც სამართლიანად აღნიშნავს ილინი, არის სამართლის სამყაროვან გადასვლა სხვა სამყაროში, ჩვენი აზრით, სამართლის განხორციელების შესაძლებლობათა სამყაროში. იძულების ერთადერთი დანიშნულება ის არის, რომ სუბიექტი, როცა მას სამართლის დარღვევის ტენდენცია აქვს, დატოვოს მისი შესრულების შესაძლებლობაში ან იძულებით შეასრულებინოს მას ის, რის შესრულებაც არ სურს. ამგვარად, იძულება ყოველთვის „რამისათვის“ არის ე. ი. საშუალება. მაგრამ ხასიათი მისი, როგორც საშუალებისა, განისაზღვრება სამართლისა და მისი განხორციელების შესაძლებლობის დაპირისპირებით. წარმოადგენს რა სამართლის განხორციელების უზრუნველყოფის საშუალებას იმ სფეროში, რომელიც სამართალთან მიზეზობრივად დაკავშირებული არ არის, იძულება შეუძლებელია არ იქნეს განცდილი საზოგადოების წევრთა მიერ როგორც შანსი იმისა, რომ სამართლის ამა თუ იმ ნორმას წევრები განახორციელებენ, ამის გამო ყოველი სუბიექტი მეორე სუბიექტისათვის მოცემულია როგორც ნამდვილი შახსი სამართლის განხორციელებისა. და ჩვენ გვგონია, იძულების სოციალური როლი სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ იძულების საშუალებით ყოველი წევრი საზოგადოებისა განსაზღვრულია, უფრო არა თავის თავისა და ნორმის მიმართ, არამედ მეორე სუბიექტის მიმართ. — როგორც ერთადერთი შანსი იმისა, რომ ამ წევრის მიერ სამართლის ნორმა ნამდვილად შესრულებული იქნება. ეს უკვე უფლებრივი ურთიერთობის წარმოშობის დასაწყისია, ე. ი. დასაწყისი ნამდვილი სამართლის ფაქტიურ სინამდვილედ, ისტორიის შინაარსად გადაქცევისა.

ხელისუფლება კი ერთგული მაკლერვიით დგას სამართლის სფეროსა და ამ სფეროს შორის, რომელშიც სამართლის განხორციელების შესაძლებლობა არის მოცემული. ეს ხელისუფლება წარმოადგენს ძალას, რომელიც ნორმის შესრულების დანიშნულებით ამოიწურება და იმიტომ იგი ყოველთვის დგას ჩვენ წინაშე როგორც ნორმის შეს-

რულების აბსოლუტური შანსი, ამგვარად, ხელისუფლება არის ძალა, რომელიც ჩვენ მიერ შეცნობილია როგორც შანსი იმისა, რომ ყოველ საზოგადოებაში სამართალი, რა წინააღმდეგობასაც უნდა ხედებოდეს იგი, იქნება შესრულებული, ხელისუფლების დანიშნულება ამში მდგომარეობს, და რომ მას სხვა რამ დანიშნულება მივაწეროთ — ეს ხელიდან გამოგვაცლიდა იმ კრიტერიუმს, რომლის საშუალებითაც ხელისუფლებას ძალადობისაგან განვასხვავებთ¹. ძალადობა ძალას შეუძლია, ხოლო მოძალადე „ხელისუფლება“ უკვე ხელისუფლება აღარ არის. ჩვენ აღარ გვეცოდინება, რა არის იგი, თუნდაც მარტო იმიტომ, რომ ჩვენ მას ვეღარ მოვთავსებთ იმ ატმოსფეროში, რომელიც გავლენილია უფლებრივი შინაარსით და რომელშიაც ყოველივე წარმოკვადგება მხოლოდ როგორც სამართალი და სამართლის განხორციელება. ამიტომ თუ ხელისუფლება სამართლის ადეკვატური მოვლენა არ არის, იგი შეიძლება იყოს მხოლოდ შესაძლებლობა. შანსი სამართლის განხორციელებისა. მხოლოდ ამ თვისებით ცოცხლობს ხელისუფლება სახელმწიფოს ფარგლებში. სწორედ ამიტომ ხელისუფლებას, როგორც სახელმწიფოს ელემენტს, ჩვენ არ განვიცდით, არ ვგრძნობთ როგორც რაღაც ძალადობას, ე. ი. როგორც ძალის მოქმედებას; ცხადია, რომ ძალის მოქმედების განცდაში ყოველთვის არის მომენტი იმის ლოგიკურად უარყოფისა, რასაც ძალა გვაიძულებს, მაშინ როდესაც ხელისუფლების მოქმედების განცდაში ეს მომენტი არ გვაქვს, ვინაიდან ხელისუფლება მხოლოდ სამართლის სახელით და სამართლისათვის მოქმედი ძალაა და იგი გვაიძულებს იმაზე, რაც ყოველთვის ლოგიკურად აღიარებულია. ხელისუფლება გვაიძულებს შევესრულოთ სამართალი, ე. ი. შევესრულოთ ისეთი რამ; რაც ლოგიკურად აღიარებულია, მაგრამ რაც ჭერ კიდევ ჩვენი ფსიქიური ნების შინაარსს არ წარმოადგენს.

აი ამაში მდგომარეობს ხელისუფლების დანიშნულება: არის რა სამართლის შესრულების ნება, — მას ყოველთვის აქვს მიმართება იმ ნებისაყენ, რომელიც ნორმას ფსიქიკურად არ აღიარებს, არ სცნობს. არ არის ხელისუფლება მბრძანებლობის გარეშე და მბრძანებლობა მორჩილების გარეშე. მბრძანებლობა და მორჩილება — ეს, ერთი და იმავე შინაარსის ორი გამოხატულება, ორი ფორმაა. მბრძანებლობა არის ძალა, რომელიც გვაიძულებს შევესრულოთ ნორმა, ხოლო დამორჩილება ან ნორმის შესრულებაა მაშინ, როცა ჩვენში მისი არსესრულების ნება მოქმედებს. უამისოდ წარმოუდგენელია მბრძანებლობა და დამორჩილება. მბრძანებლობა და დამორჩილება ნებათა იგივეობას კი არ ნიშნავს, არამედ სულ წინააღმდეგს. ამ ნებათა იგივეობის დროს

¹ M. Verdross. Die Einheit des rechtlichen Weltbildes.

შეუძლებელია ერთი სუბიექტი მეორეს უპირისპირდებოდეს, მაშასადამე. აღარც დამორჩილებაზე შეიძლება ლაპარაკი. მაგრამ თუ მბრძანებლობა ყოველთვის არის ნება ნორმის შესრულებისა, დამორჩილება ყოველთვის გულისხმობს ისეთ სუბიექტს, რომელიც ნორმის შესრულებლობის ნებას მატარებელია. მხოლოდ ამ მხრით ვსვდებით ჩვენ ხელისუფლებას; მხოლოდ ამ შემთხვევაში განვიციდით ხელისუფლების მოცემულობას. ამგვარად, ხელისუფლება არის შესაძლებლობა ნორმის შესრულებისა იმ ნებას მეშვეობით, რომელიც ამა თუ იმ ლოგიკურად აღიარებულ ნორმას უარყოფს. თავისთავად ცხადია, რომ ხელისუფლების წყალობით, რომელიც ახორციელებს სამართალს სხვების მეშვეობით, რომელთა ნებაც შესაძლოა არ იყოს მიმართული სამართლის შესრულებისაკენ, — ამ ხელისუფლების წყალობით საზოგადოების წევრები დგანან ერთმანეთის წინაშე როგორც შანსები ნორმის შესრულებისა.

მაგრამ, ვიმეორებთ. ყოველივე ამას აქვს მნიშვნელობა სამართლის განხორციელებლობისათვის და არა თვით პოზიტიური სამართლის ნორმისათვის. სრულდება თუ არა ნორმა, ამარცხებს თუ არა სანდოილეში ერთი კანონშეზომილობა მეორეს, გვაქვს თუ არა ჩვენ მიდრეკილება, — კონკრეტული პირობების გამო შექმნილი განწყობილებით, — შევასრულოთ ან არ შევასრულოთ სამართლის მოთხოვნა, — ყოველივე ამას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს იმისათვის, რაც შესრულებულ უნდა იქნეს. ნორმა უნდა შესრულდეს და სწორედ ამ შეგნებით „ნორმა უნდა შესრულდეს“ — ჩვენ, როგორც სუბიექტები, ვდგავართ სამართლის წინაშე. ამ შეგნებაშია მოცემული ის სრული განსაზღვრულობა, რომლითაც ჩვენ შეგვიძლია დავუპირისპირდეთ სამართალს, ხოლო ამ დაპირისპირებით შეგვიძლია წარმოვიდგინოთ ჩვენი თავი როგორც ცენტრები, რომელთა მეშვეობითაც ნამდვილმა სამართალმა უნდა შექმნას ფაქტიური სინამდვილე. ე. ი. ისტორია, და სწორედ ამაში მდგომარეობს სამართლის ნორმატიული ძალა.

სამართლის სავალდებულო ძალა იმ აზრით კი არ უნდა გავგოთ, რომ სამართალი ყოველთვის იწვევს იმ ეფექტს, რომელიც მის მიერ გათვალისწინებულია; სამართლის სავალდებულო ძალა სწორედ ამ ეფექტის აუცილებლობის განცდაში მდგომარეობს, რაც ჯერარსია, უნდა მოხდეს, რაც აუცილებელია, განცდილ უნდა იქნეს როგორც აუცილებლობა. და სწორედ იმაში, რომ ჩვენ რაღაცას განვიცდით, როგორც ჯერარსის — მაშინაც, როცა ის გვინდა და მაშინაც, როცა არ გვინდა, სწორედ ამაშია სამართლის ნორმატიული ძალა, გარემოებათა ძალით მოქმედი ჩვენი განწყობილება ჩვენ უნდა დავუმორჩილოთ ნორმას მისი (განწყობილების) შინაარსის შეუცვლელად. ნორმის უარ-

ყოფისაკენ მიმართული ნება ჩვენ უნდა ვაიძულოთ, შეასრულოს ეს ნორმა. ხორციელდება თუ არა ყოველივე ეს სინამდვილეში, — ეს სხვა საკითხია, და იმისათვის, რაც უნდა შესრულდეს, — ამას მნიშვნელობა არა აქვს. მთავარი ის არის, რომ ჩვენ განვიციდით აუცილებლობას. რასაც ჩვენვე უარყოფთ (ფსიქიკურად); მთავარი ის არის, რომ განვიციდით, რასაც ვერ ვახორციელებთ, რასაც ვერ ვახერხებთ. უნდა განვახორციელოთ, უნდა მოვახერხოთ, ამაშია სამართლის ნამდვილი — ობიექტური ძალა.

რა თქმა უნდა, ის ვინც ფიქრობს, რომ ნორმის მოტივაციური ძალა არის ისეთი ძალა რომელსაც შეუძლია რეალურად ხელ-ფეხი შეგვიკრას და ფიზიკურად გვაიძულებს გავაკეთოთ ის, რასაც ნორმა აწუხებს. არ გაიზიარებს სამართლის ნორმატიული ძალის ასეთ განმარტებას. ყველაფერი, რაც ჩვენ ვთქვით, მისთვის არ იქნება დამაჩვენებელი, საკმაოდ რეალური და საკმაოდ დასაბუთებული. მაგრამ სინამდვილეში, -- თუ ჩვენ თავს დავანებებთ ამ მეტად ტლანქ წარმოდგენას სამართლის მოტივაციური ძალის შესახებ, — თავისთავად ცხადია, ჩვენ მოგვიხდება ვალაჩოთ, რომ სამართლის მოტივაციური ძალა არას მხოლოდ სამართლის აზრის ქმედება.

ვიკითხოთ — რა და რა გარემოებას შეუძლია მოახდინოს ჩვენზე უფრო მეტი გავლენა, ვიდრე ახდენს ჭეშმარიტება, ან რაიმე იდეოლოგია, ანდა, ბოლოს, ნორმაში მოცემული აუცილებლობა? რამდენჯერ მომხდარა, რომ პირადი მდგომარეობის, კეთილდღეობისა და პირადი სარგებლობის ინტერესს მოუთხოვია ამა თუ იმ ჭეშმარიტების, ნორმის, თუ იდეოლოგიის დარღვევა და, ამავე დროს, იგი (ინტერესი) სწორედ ამ ნორმისა და იდეოლოგიისათვის დაგვიმორჩილებია! მერე, საიდან აქვს ასეთი ძალა ყველა ამ ჭეშმარიტებას, პრინციპს, იდეოლოგიას? რა თქმა უნდა, ეს ძალა ის არის, რომ ყველაფერი, რაც მოცემულია ჭეშმარიტებაში, პრინციპში, თუ იდეოლოგიაში, ჩვენ მიერ განცდილია როგორც აუცილებლობა, მაგრამ თუ ამის გვერდით არის შეგნებული სიყალბე, პრინციპების დამობაც და უფლების შეგნებული დარღვევა. — ყოველივე ეს სრულიად არ ცვლის იმას, რაც უნდა იყოს. რა გინდ დიდ სარგებლობას გვიქადდეს ეს შეგნებული სიყალბე და შეგნებული დარღვევა, მათ ჩვენ ყოველთვის განვიციდით, როგორც რაღაც უარყოფითს, ვინაიდან დარღვევის ჩადენის დროს ჩვენ კარგად ვგრძნობთ იმასაც, რომ ის აუცილებელი არ არის. ასე რომ, მაშინაც კი, როცა ამა თუ იმ ნორმას ვარღვევთ, ჩვენ განვიციდით მის მოტივაციურ ძალას.

ამგვარად: 1. სამართალი შეიძლება დაუპირისპირდეს ფაქტურს არა იმ აზრით, რომ ერთი არის ნამდვილობა და მეორე კი ნამდვილო-

ბას არ წარმოადგენს, არამედ იმ აზრით, რომ სამართალი — წინააღმდეგ ყოველივე ფაქტიურისა — უფლებრივი აზრის ნამდვილობაა;

2. სამართალი, როგორც განსაკუთრებული სახის ნამდვილობა, წინააღმდეგ ფაქტებისა. ქმედების განსაკუთრებული უნარით ხასიათდება, სახელდობრ, მას აქვს მხოლოდ შუდმივი პრეტენზია განხორციელებისა, და ამავე დროს იგი მიზეზობრივად დაკავშირებული არ არის იმ შესაძლებლობასთან, რომლითაც ის ხორციელდება;

3. ხასიათდება რა ასეთი კანონშეზომილობით, რომელიც ფაქტების კანონშეზომილობისაგან განსხვავდება, სამართალი თავის მხრივ გარეაღმდეგებული უნდა იქნეს იქ, სადაც მისი გარეაღმდეგება შეიძლება არ ხდებოდეს. ამიტომ სამართლის განხორციელებლობა, ისე როგორც განუხორციელებლობა, ყოველთვის შემთხვევითია, ე. ი. იგი ყოველთვის არის ფაქტი სპეციფიკური მნიშვნელობით;

4. შემთხვევითია მოქმედი სამართალიც, როგორც ნამდვილობა სამართლის აზრისა; ყოველი მოქმედი სამართლის ადგილას ჩვენ შეგვიძლია წარმოვიდგინოთ მეორე სამართალიც. პოზიტიური სამართალი არის ის, რაც ასაგნობრივებს სამართლის იდეას;

5. არის რა სამართალი ნამდვილი (მოქმედი) უფლებრივი აზრი, მას აქვს მიმართება სამართლის არანამდვილობითი აზრისაღმძი, ე. ი. სამართლის იდეისაღმძი;

6. სამართალი არის ნამდვილობა უფლებრივი იდეისა, ეს ნამდვილობა კი მდგომარეობს სამართლის აზრის მოქმედებაში;

7. აქედან უფლებრივი ცხოვრების (როგორც ფაქტის) ნამდვილი სფეროც ჩვენ შეგვიძლია წარმოვიდგინოთ მხოლოდ როგორც განხორციელებლობა ნამდვილობითი უფლებრივი აზრისა;

8. უფლებრივი სამყარო ჩვენ შეგვიძლია გავიგოთ მხოლოდ ისე, რომ იგი შედგება სამართლის არანამდვილობით აზრისა (სამართლის იდეისა), სამართლის ნამდვილობითი აზრისა, ე. ი. მოქმედი სამართლისა და ბოლოს, ამ ნამდვილობითი შინაარსის განხორციელებლობისაგან (ვიწინადან ამაში ისევე სამართალი ხორციელდება);

9. სამართლის ნამდვილობითს აზრს, ე. ი. სამართლის მოქმედ აზრს, რაც არაფრით არ უკავშირდება სხვა კატეგორიების ნამდვილობას, რომელთაც ჩვენ, წინააღმდეგ ნამდვილობითი სამართლისა, ფაქტურის სახელწოდება მივეცით, — ამ შინაარსს აქვს მხოლოდ მიმართება სუბიექტისაღმძი, როგორც შესაძლო ღირებულებითი აქტების მატარებლისაღმძი.

§ 2. სამართლის ნორმატივისული თეორიის კრიტიკა

ჩვენ სრულიად სამართლიანად შეიძლება გვიფხრან — თუ ყოველივე ეს მართალია, ე. ი. თუ მართალია, რომ ყოველი პოზიტიური სამარ-

თალი არის მხილად ნამდვილობა (ქმედება) სამართლის აზრისა, მაშინ რათ უნდა აეცნათ პოზიტიური სამართლის ნორმების მრავალსახეობა? მაგრამ აქ არ უნდა დავივიწყოთ ერთი რამ, სახელდობრ ის, რომ ჩვენ ამ შემთხვევაში ვლაპარაკობთ მხოლოდ და მხოლოდ იმაზე, ოუ რაში მდგომარეობს ნამდვილობა ან პოზიტიობა სამართლის ნორმისა, და ის კი, თუ რა ქმნის პოზიტიური სამართლის მრავალსახეობას, სულ სხვა საკითხია. ყოველი ხელოვნური შემოქმედება, ბოლოს და ბოლოს, ხომ მოქმედებს, მაგრამ რა მოქმედებს მასში, თუ არ თვით ესთეტიკური იდეა? აუცილებლად მხოლოდ ის, და ამიტომაც ესთეტიკური შემოქმედების ნაყოფი ჩვენ მიგვაჩნია ესთეტიკური იდეის ნამდვილობად. მაგრამ თუ რა ქმნის ესთეტიკური შემოქმედების მრავალსახეობას, რით არის გამოწვეული, რომ ეს ესთეტიკური იდეა ზოგჯერ ერთ შემოქმედებაში, ზოგჯერ კი — მეორეში პოულობს თავის ნამდვილობას (ქმედებას), ეს სხვა საკითხია. საკითხი ესთეტიკური შემოქმედების მრავალსახეობის შესახებ სხვაა, ვიდრე საკითხი ესთეტიკური იდეის ნამდვილობის შესახებ. სწორედ ამავე მოსაზრებით საკითხი სამართლის აზრის ნამდვილობისა უნდა იქნეს აღებული დამოუკიდებლად სამართლის მრავალსახეობისაგან.

ჩვენ თავის დროზე აღვნიშნეთ, რომ ნამდვილობა სამართლის აზრისა მდგომარეობს ამ აზრის ქმედებაში, ეს უკანასკნელი კი გამოიხატება იმაში, რომ მოქმედი სამართლის აზრი ლოგიკურად მალიარბეულ სუბიექტში მისწრაფებულია იმისაკენ, რომ გახდეს ისტორიის მინაარსად. მაგრამ როგორ ხდება ეს? აი კითხვა, რომელსაც ჩვენ არ შეგვიძლიან გვერდი აუღვივით. თუ სამართლის ნორმა მოქმედებს იმ მნიშვნელობით, რომ იქნეს განხორციელებული, ეს კადევ იმას არ ნიშნავს, რომ ყოველი კონკრეტული, სამართლის ნორმა უნდა ზორციელდებოდეს ყველას მიერ, იმისათვის, რომ ნორმა განხორციელებულ იქნეს, ჩვენ უნდა განვიხილოთ ერთგვარი მნიშვნელობით. და აი სწორედ აქ ყოველი უფლებრივი ნორმა აღნიშნავს ერთგვარ პირობებს, რომელშიაც ისახება ის ჩვენი მნიშვნელობა, რომელიც გვხდის ჩვენ კონკრეტულ ნორმის კონკრეტულ შესაძლო განმხორციელებლად. აი ეს პირობები, ეს გარემოებანი, რომლებიც აღნიშნული არიან ნორმების მიერ და რომლებიც ჩვენ გვნიშნავენ კონკრეტული ნორმის განმხორციელებლად, არის ის, რაც ქმნის პოზიტიური სამართლის ნორმების მრავალსახეობას. მაგრამ როგორი არის პირობები და გარემოებანი, ვინ ასრულებს მათ? ეს პირობები რეალური პირობებია, ეს გარემოებანი ფაქტიური გარემოებანია და მათი ასახვა იმ სამართლის წყაროზეა დამოკიდებული, რომელიც თავიდან ბოლომდე ეკონომიუ-

რი ფაქტური ურთიერთობის გავლენის ქვეშ იმყოფება. აი ამიტომაც სამართალში არც ერთი გარემოება შემთხვევით მოხსენებული არ არის, აი ამიტომ ყოველ სამართალს უდევს საფუძვლად ესა თუ ის ფაქტური ურთიერთობა, ვინაიდან მხოლოდ დამსოლოდ ამ ფაქტურ ურთიერთობაში და ფაქტურ გარემოებათა სამყაროში ისახება ის ჩვენი მნიშვნელობა, რომელიც გვხდის ჩვენ იმ ცენტრად, რომელსაც შეუძლია სამართლის მოქმედი აზრი ისტორიის შინაარსად აქციოს, აი ამ მხრე ჩვენი შეხედულება სავსებით განსხვავდება ფორმალური ურთიერთობის მიმართულების წარმომადგენლების შეხედულებისაგან. სწორედ იმიტომ, რომ ისინი არ აყენებენ საკითხს არც სამართლის წყაროს და არც სამართლის მრავალსახეობის შესახებ, ისინი უძლურა არიან დავეკისაბუთონ, თუ რატომ ეს გარემოება, და არა სხვა რომელიმე. არის ნახსენები პოზიტიურ სამართალში.

ამ მიმართულების მომხრეთათვის არსებობს მხოლოდ ერთი სამყარო, სამყარო პოზიტიური სამართლისა; ისინი ჩაკეტილი არიან ამ სამყაროში და შეუძლებლად მიაჩნიათ არსებობდეს ისეთი ფაქტები და გარემოებანი, რომელნიც თავისი ობიექტური თვისებებით დანიშნული იყვნენ იმ როლისათვის, რასაც ისინი პოზიტიური სამართლის სფეროში ნაძლიად ასრულებენ. საკითხის ასე დაყენების დროს სამართლის ყოველი კავშირი ამა თუ იმ მოვლენასთან შეიძლება იყოს წმინდა შემთხვევითი ხასიათის, რადგანაც ამ თვალსაზრისით ამთავითვე მოსპობილია შესაძლებლობა ისეთი ცენტრების არსებობისა, რომელთა ობიექტური თვისებები ქმნიდეს მათ უფლებრივ თვისებათა მიკუთვნების აუცილებელ პუნქტებად.

ამასთან დაკავშირებით კი, რა თქმა უნდა, სამართლის მეცნიერებაში უნდა მოხსნილიყო პრობლემათა მთელი რიგი. მაგალითად, პირის შესახებ, სახელმწიფოთა ურთიერთობის და შემავალ სახელმწიფოთა და კავშირის ურთიერთობის შესახებ, ვინაიდან ეს საკითხები ასეთ მეთოდოლოგიურ ჩარჩოში უბრალო Rechtsrelations პრობლემად უნდა შეცვლილიყო.

მართლაც, ასე მოეპყრენ ამ პრობლემას სამართლის ერთი ყველაზე მეტად ელემენტური თეორიის წარმომადგენელი; ჩვენ მხედველობაში გვაქვს იურისტთა ნეოკანტიანური სკოლა, რომელსაც ამჟამად მეთაურობს ვენის იურისტების სკოლის ბელადი — კელზენი. კანტის დუალიზმი კელზენმა, მისთვის დამახასიათებელი თანამიმდევრობით, ლოგიკურ საზღვრამდე მიიყვანა. გადამეტებული არ იქნება თუ ვიტყვით, რომ ყველაფერი, რაც კელზენმა სამართლის მეცნიერებაში გააკეთა, საუკეთესო ნიმუშია კანტის ფილოსოფიის გამოყენებისა იმ მატერიის სფეროში, რომელსაც სამართალი ეწოდება.

ჯერ კიდევ კანტის ისე მკვეთრად ჰქონდა გამოსახული განსხვავება თეორიულსა და პრაქტიკულ გონებას შორის, რომ ისინი ერთგვარი მნიშვნელობით უნდა ყოფილიყვნენ წარმოდგენილი როგორც ორი სრულიად დამოუკიდებელი და ერთმანეთისაგან განსხვავებული შესაძლებლობა ჩვენი გონებისა. ასეთ გამოჩვენას ებრძოდა ფიხტე, ზელინგი, ჰეგელი და ბევრი სხვა; მაგრამ მას შემდეგ, რაც ჩიხში მოქცეულმა ფილოსოფიურმა აზრმა იწყო გზის ძებნა ამ ჩიხიდან გამოსასვლელად, დაუბრუნდნენ კანტის იმ დუალიზმსაც, რომლის დამხობა ხსენებული ფილოსოფოსების მთავარ მიზანს შეადგენდა. და იურისპრუდენციამ, რომელიც დიდი ხნის განშორების შემდეგ კვლავ მიუახლოვდა ფილოსოფიას, რა თქმა უნდა, ამ ახალი ფილოსოფიისაგან (რომელიც კანტის გავლენას განიცდიდა) კანტის დუალიზმიც მიიღო.

ექვსს გარეშეა, რომ რაკი ჩვენი გონების თეორიული და პრაქტიკული შესაძლებლობანი ერთმანეთს გაეყარნენ, თვით სამყაროც უნდა გაყოფილიყო ორ, ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებულ სამყაროდ — არსებულისა და ჯერარსის სამყაროდ. ის მართლაც გაიყო, და ამ ორ სამყაროს შორის ყოველგვარი კავშირი გაწყდა. ამიტომ ფაქტი, როგორც არსებული, და რაღაც, როგორც მეტაფიზიკური ეთიკური ღირებულება, აზროვნება, როგორც ნამდვილობა, და აზროვნება, როგორც ლოგიკური ნორმატიული ღირებულება, — უნდა წარმოდგენილიყო როგორც ორი სრულიად განსხვავებული შესაძლებლობა ჩვენი გონებისა. სამართლიანად აღნიშნავს შპანი: „ცდენის ელემენტები, როგორც არსებული, ყოფადი, და ცდენის ელემენტები, როგორც ჯერადი, როგორც ღირებულებანი, ჩვენი სულის სრულიად სხვადასხვა სფეროსაკენ სხვადასხვა მხრით არიან მიმართულნი.“ (Zeitschrift für öffentliches Recht, Bd. II).

და ამიტომ, თუ ვაღიარებთ, რომ ნორმატივისტების გამოსავალი წერტილი სწორია, მაშინ არსებულის სფეროში რისამე ძებნა ჯერარსობრივის აზრის გასაგებად და გასაშუქებლად, ერთი მათგანის შინაარსში ისეთი ელემენტების შეტანა, რომელიც მეორის აზრსა და შინაარსს ახასიათებს, და საერთოდ სამართლის საკითხების არსებულზე დაყრდნობა, — ეს ნეოკანტიანელთა თვალსაზრისით იქნებოდა ტლანქი გაუგებრობა, უქმი მსჯელობა, რომელიც კანტის ფილოსოფიის ელემენტარული საფუძვლების უცოდინარობას დაადასტურებდა.

და კელზენის აზრით, არსებულის სამყაროს და ჯერარსის სამყაროს შორის უფსკრულია. თითოეული მათგანი წარმოდგენს კარჩაკეტილ სფეროს; ამიტომ ისინი მტრულად კი არ უპირისპირდებიან ერთმეორეს; კიდევ მეტი: ისინი ერთმანეთისადმი სრულიად ინდიფერენტულად არიან განწყობილი. როგორც შპანი აღნიშნავს, „ყოფადის და ჯერარსის ეს განკერძოება, როგორც უკანასკნელი მოსაზრება გვიჩვენ-

ნებს, მყისვე ონტოლოგიურ დასკვნას მოითხოვს, რომლის გამოტანა-
ნეოკანტიანელთა სკოლას არ დაუგვიანებია. ყოფადი, კაუზალურის
აზრით, და ჭერარსი, რომელიმე ნორმის აღნაგობის აზრით, (იქნება ეს
ზნეობრივი, ლოგიკური, თუ ესთეტიკური), წარმოსადგენია მხოლოდ
როგორც შეუთავსებელი ონტოლოგიური ოდენობანი და მარად გან-
კერძოებული უნდა დარჩენ. ჭერარსი და მიზეზობრივად განპირობებუ-
ლი არსებითად ორი სხვადასხვა სამყაროა“ (Z. f. w. R. Bd. II).

დაპირისპირება ჭერარსისა და არსებულისა, როგორც ორი სხვადა-
სხვა კატეგორიის ორი მოცემულობისა, წარმოადგენს ნორმატიულ და
ექსპლიკატიურ მეცნიერებათა განსხვავების საფუძველს ან, — ჰუსერ-
ლის ტერმინოლოგია რომ ვიხმართ, — ამ დაპირისპირებაზეა დამყ-
არებული განსხვავება რეალურ და იდეალურ მეცნიერებათა შორის.
ხოლო რაკი ეს ასეა, სამართალიც, როგორც ჭერარსის ერთ-ერთი გა-
მოხატულება, მოცემულია როგორც სრულიად დამოუკიდებელი საგა-
ნი: ამიტომ იურიდიულ აზროვნებას თავის საგნად, — ე. ი. იმ საგნად,
რომელსაც იურიდიული აზროვნებით ვითვისებთ, — შეუძლია მხო-
ლოდ სამართლის ნორმა ჩათვალოს. ეს უკანასკნელი იურიდიული მე-
თვისების ინტენციონალური საგანია. ამ თვალსაზრისით აშკარა
უაზრობა იქნებოდა აღიარება სხვა შესაძლებლობისა, სახელდობრ,
იურიდიული აზროვნებით სხვა რისამე, შეთვისების შესაძლებლობისა.
ნორმატივისტებმა იციან მხოლოდ ერთი სტიქია: მათთვის მისაწვდო-
შია მხოლოდ ერთი სამყარო, — სამართლის ფენომენების სამყარო,
და ყველაფერი, რაც ზოგიერთისათვის ხშირად სამართლის მეცნიერე-
ბის ისეთ საგანს წარმოადგენს, რომელიც მხოლოდ ერთი თავისი ნა-
წილით არის უფლებრივი, — ნორმატივისტებისათვის იგი მთლიანად
უფლებრივი მსჯელობის მატერიაა. აი რატომ უსაყვედურებს კელზენ-
ი ყველას, ვისაც სურს უფლებრივი ფენომენების სფეროში კაუზალ-
ური მეთოდი გამოეყენოს. აი რატომ გამოდის კელზენი ყველა იმის
წინააღმდეგ, ვინც ფიქრობს სახელმწიფოებრივი ნება ჩათვალოს რეა-
ლურ ფსიქოლოგიურ ნებად, რომელიც კელზენისათვის მხოლოდ მე-
რაცხების წმინდა მათემატიკური პუნქტია (Zurechnungspunkt). სა-
სახელმწიფო, საზოგადოება, იურიდიული და ფიზიკური პირი და საე-
რთოდ ყველაფერი, რაც შეიძლება იყოს და ნამდვილადაც არის საგანი
სამართლის მეცნიერებისა, ე. ი. საგანი იურიდიული აზროვნებისა, —
ყოველივე ეს ნორმატივისტებისათვის მხოლოდ უფლებრივი ფენო-
მენების ზოგადი ნიშნები და სიმბოლოებია. თავისი მეთოდის მიხედ-
ვით, კელზენს სახელმწიფოებრივი ნებაც მარტოდენ ლოგიკურ პუნქტად
უნდა ელიარებინა, ხოლო იურიდიული პირი — პერსონიფიკაციაქმ-
ნილ ნორმების სისტემად. იდენტურია არა მარტო სახელმწიფო და

სამართალი, არამედ, როგორც სანდერი აღნიშნავს, კელზენის, თანხმად „საზოგადოება“, „ხელმწიფება“, „სახელმწიფო“ და „სამართალი“ იდეტურად არის დასახელო და ამგვარად „საზოგადოების“, „ხელმწიფების“, „სახელმწიფოს“ და „სამართლის“ მეცნიერულ ცნებათა შორის ფარდობის თვით ტოლფასობაც მტკიცდება“ (Archiv des St. Rechts).

ყოველსავე ამას ჩვენ სხვანაირად ვიტყვით, სწორედ იმიტომ, რომ ფორმალურ იურიდიული მეთოდის წარმომადგენლების მიერ პრაქტიკური სამართალი არ შეიძლება განხილულ იქნეს როგორც შესაძლო სამართლის ერთ-ერთი სპეციფიკური შემთხვევა. ამიტომაც მათ სისტემაში აუცილებლად ყველაფერი გაიგივებულ უნდა იქნეს სამართლის წმინდა ცნებასთან.

მაგრამ სამართლისა და სახელმწიფოს გაიგივება არ უნდა გავიგოთ იმ მნიშვნელობით, თითქმის კელზენი საერთოდ უარყოფდეს სოციალურ კავშირთა ფაქტიურობას; ეს უნდა გავიგოთ იმ აზრით, რომ აღნიშნულ სოციალურ კავშირთა არსი ყოველთვის ნორმატიულია და ამიტომ ყველა პრობლემა, რომელიც ისტორიულად სახელმწიფო სამართლის მეცნიერების პრობლემად ითვლება, არსებითად მხოლოდ ნორმატიულ პრობლემას წარმოადგენს. აი სოციალურ კავშირთა ეს ნორმატიულობა კელზენს უნდა ეჩვენებინა თავის მონოგრაფიაში *Soziologische und juristische Staatsbegriffe*.

ამ მეთოდის განხილვაზე ჩვენ არსებითად არ შევჩერდებით. სამართლის მეცნიერებაში უკვე ბევრი რამ გაკეთებულა იმისათვის, რომ ამ ფორმალური მიმართულების სუსტი მხარეები გამოქვავებულიყო. სრულიად ზედმეტი იქნება აღვნიშნოთ აქ ყოველივე ის, რაც თანამედროვე სამართლის მეცნიერებას ამ მიმდინარეობის წინააღმდეგ მიუმატავს. ცნობილია შრომები სანდერის, კაუფმანის, ზომლოსი,¹ და კიდევ ბევრი სხვისა, მაგრამ, ჩვენ გვგონია, რომ ყველაზე მძლავრი მოსაზრებანი ხსენებული მიმართულების წინააღმდეგ ეკლთენის ოტო გირკეს, რომელმაც ეს მოსაზრებანი ლაბანდის სკოლის კრიტიკაში ჩამოაყალიბა. მართალია, ლაბანდთან და მის სკოლასთან შედარებით კელზენი იურიდიული დოგმატიზმის უმალესს პუნქტს წარმოადგენს, მაგრამ გირკეს და აგრეთვე ნელსონის (რომელიც შესანიშნავი მონოგრაფიის *Rechtswissenschaft ohne Recht*-ის ავტორია) კრიტიკის

¹ Sander. Das Recht als Sollen und das Recht als Sein; Archiv für Rechts und Wirtschaftsphilosophie; Staat und Recht, Bd. II; der Begriff der Rechtsverfahung; Logos Bd. XI, 1922, Erich Kaufman, Kritik der Neukantianischen-Rechtsphilosophie 1921; Somlo. Juristische Gmndlehre; Baumgarten. Die Wissenschaft vom Recht, Bd. II.

ბაჩო მახვილი კელზენის თეორიასაც მძლავრად სწევდება, მაგრამ ვი-
მეოვებით, ჩვენ ზედმეტად ბიგვაჩხია ამ ვრცელი ლიტერატურის გან-
ხილვა. გვინდა მხოლოდ აღვნიშნოთ. თუ რა დასკვნამდე მიგვყავანს
ფორმალურ-ნორმატიული მეთოდის ზოგიერთი ძირითადი დებულებ-
ის ლოგიკური განვითარება. ჩვენ დავინახავთ, რომ ამ მეთოდის სა-
ღიო აქტუალური ვიქნებით ვაღიაროთ, რომ შემთხვევითა სასიათი
აქვს ყოველივე იმის მოხსენიებას, რაც პოზიტიური სამართლის სეს-
ტემშია მოხსენებული.

მაგრამ საჭიროა წინასწარ ერთ მოვლენას მივაქციოთ ყურადღე-
ბა. ჩვენის აზრით, არის ერთი ფარული მომენტი, რომელიც ხელს უშ-
ლის ფორმალურ დოგმატური მეთოდის ზოგიერთ თვალსაჩინო მიმ-
დევნას. აღიაროს, რომ უფლებრივ ურთიერთობათა წარმოშობის გა-
მომწვევი გარემოება მართლ სამართლის ნორმა არ არის. ეს მომენტი,
ჩვენს ღრმა რწმენით, არის ის, რომ ფორმალურ-დოგმატური მეთოდის
მომხრენი, თავისთვის შეუძენელად, სამართლის სახელმწიფო თეო-
რიის საფუძვლებიდან გამოდიან. თუმცა ოფიციალურად სამართლის
წარმოშობის საკითხი ინტერეს მოკლებულია და მათთან დაკავშირე-
ბით ფორმალურ-იურიდიული მეთოდის წარმომადგენლები იძულებულ-
ნი არიან სამართლის პოზიტივიზმის საკითხი თვით ნორმათა სისტემის
მთლიანობაში (Einheit) გადაწყვიტონ. მაგრამ როგორ უნდა მოხერხ-
დეს ეს. თუ აღნიშნულ ნორმათა სისტემა ნორმათა მრავალსახეობაში
არ უნდა გაშლილი? ვფიქრობთ, რომ ეს შეუძლებელია, ვინაიდან თუ
ფორმალური იურისპრუდენციის წარმომადგენლებმა ეს მრავალსახე-
ობა თვით ნორმათა სისტემაში არ იგულისხმეს. მათთვის შეუძლებელი
გაადგება ნორმათა სისტემის მთლიანობაში სამართლის პოზიტივიზმის
პრობლემის გადაჭრა. მართლაც, თუ ეს პრობლემა ნორმათა სისტემა-
ში უნდა გადაიჭრას, თავისთავად ნათელია, რომ თვით ამ ნორმათა
სისტემაში უნდა იგულისხმებოდეს ცენტრი. რომელიც ყოველ თავი-
სებურ ნორმათა რიგისათვის ითამაშებს პოზიტივიზმის პირველადი წყ-
არის როლს. და ასეთ ცენტრად, ასეთ პირველად წყაროდ მერკლის
და კელზენის თეორიებში წარმოდგენილია „კონსტიტუცია“ და
Ursprungsnorm, რომელნიც, არიან რა სახელმწიფოებრივი მთლიან-
ობის (Einheit), სამართლებრივი მნიშვნელობით კრიტერიუმები.
ამავე დროს მათ გარშემო კონცენტრულად ეწყობა სხვადასხვა სასიის
ნორმები, მაგალითად კანონი, განკარგულება¹. ჩვენ აქ საჭიროდ არ
მიგვჩნია ამ თეორიის შინაარსის თუნდაც მოკლედ განხილვა. ვიმი-

¹ Merkl. Die Lehre von der Rechtskraft der Einheit des österreichischen
Staates (Arch. für of. Recht. 1913). Kelsen. Das Problem der Souveränität,
Sander. Alte und neue Staatsrechtslehre (Z. f. o. Recht, Bd. II).

ორებზე მხოლოდ, რომ ყველა, ვინც კი შეეცდება სამართლის პოზიტიობის პრობლემის ნორმათა სისტემის მთლიანობაში გადაჭრას. იქნებულ იქნება ეს ნორმათა სისტემა ნორმათა მრავალსახეობაში იგულისხმოს, ვინაიდან უდავოდ მიგვაჩნია ის, რომ შეუძლებელია ნორმათა სისტემის მთლიანობაში სამართლის პოზიტიობის პრობლემის დაყენება, თუ თვით ამ სისტემაში არ იქნა ნაგულისხმევი ნორმათა თავისებური ნაკვეთები (კონსტიტუცია, კანონი, განკარგულება და სხვა). უამისოდ შეუძლებელია ის საფუძვლიანობა, რომელზედაც კელზენ-მერკლი ლაპარაკობენ. უამისოდ შეუძლებელია ერთი ნორმის ბუნებრივიდან მეორე ნორმის პოზიტიობის გამოყვანა. მოკლედ რომ ვთქვათ. კელზენ-მერკლისათვის შეუძლებელია სამართლის პოზიტიობის პრობლემის დაყენებაც კი, თუ მათ სამართლის სისტემაში არ იგულისხმეს ერთგვარი *Stufenfolge*, რაც, თავის მხრივ, გასაგებია მხოლოდ და მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გარკვეულ ნორმათა სისტემა ნორმათა მრავალსახეობაში იქნება გაშლილი.

მაგრამ განა ჰქონდათ მერკლს და კელზენს უფლება, თუნდაც ერთ წუთით დაეშვათ ნორმათა მრავალსახეობა აღნიშნული მნიშვნელობით? არავითარ შემთხვევაში, თუ, რა თქმა უნდა, ისინი საკუთარ ძირითად დებულებას არ უღალატებდნენ.

მერკლმა და კელზენმა, უეჭველია, ერთი რამ დაივიწყეს. დაივიწყეს ის, რომ თუ სამართლის სისტემა წარმოდგენილი იქნებოდა როგორც ნორმათა მრავალსახეობა, მაშინ თვით ეს ნორმათა სისტემა მათ შესაძლო სამართლის ერთ-ერთ სპეციფიკურ შემთხვევად უნდა წარმოედგინათ. ამასთან დაკავშირებით პოზიტიური სამართალიც სამართლის იდეას გაემიჯნებოდა, და ის *Ursprungsnorm*-ი, რომელზედაც კელზენი და მერკლი ლაპარაკობენ, თავისთავად დაისახებოდა როგორც შესაძლო სამართლის ერთ-ერთი სპეციფიკური შემთხვევა. განა შეიძლებოდა, აქ არ წამოჭრილიყო საკითხი იმის შესახებ, თუ რა აპირობებს ამ შემთხვევას? განა შესაძლებელი იქნებოდა, აქ არ წამოჭრილიყო საკითხი იმის შესახებ, თუ რას ემყარება თვით ამ ძირითადი ნორმის პოზიტიობა? უდავოდ მიგვაჩნია, რომ თუ კონსტიტუცია, ძირითადი ნორმა, რომლიდანაც კელზენს და მერკლს სხვა ნორმების პოზიტიობა გამოყავთ, ნაგულისხმევი იქნებოდა როგორც შესაძლო სამართლის სპეციფიკური შემთხვევა, მაშინ აუცილებლად საჭირო გახდებოდა რაღაც ისეთი ცენტრის არსებობა, რომელზედაც შესაძლებელი იქნებოდა აღნიშნული *Ursprungsnorm*-ის პოზიტიობის დაყრდნობა. თუ ჩვენ ამ დებულებას ლოგიკურად განვახილავთ, ადვილად დავრწმუნ-

დებით, რომ კელზენ-მერკლის Stufentheorie-ის გამოსავალ წერტილად ისევ სახელმწიფო ნება, სახელმწიფოებრივი აქტი იგულისხმება¹.

მართლაც. რას შეუძლია შექმნას ნორმათა სისტემაში ის მრავალსასეობა, რომელიც, როგორც აღვნიშნეთ, დასაყრდნობი წერტილია კელზენ-მერკლის Stufentheorie-სათვის? ანდა რას შეუძლია თვით ნორმათა სისტემაში ეს საფეხურიანობა (კონსტიტუცია, კანონი, განკარგულება, რეგლამენტი და სხვ.) ჩამოაყალიბოს? რა თქმა უნდა, მხოლოდ სახელმწიფოს! ესე იგი თვით ის განკარგულებანი, კანონები, კონსტიტუცია, რომელნიც ერთ ნორმათა სისტემაში მრავალსახეობას ამკვიდრებენ, სახელმწიფოებრივ აქტს გულისხმობენ. სხვანაირად თვით ამ მრავალსახეობას ვერ გავიგებდით. ამგვარად, Stufentheorie-ს საფუძველი და დასაყრდენი წერტილი ისევ სახელმწიფო აქტია, რომელიც თავის მხრივ სახელმწიფოებრივ ნებას გულისხმობს.

მოკლედ: ის Stufentheorie, რომელიც მერკლ-კელზენის მიერ გამოყენებულია სამართლის პოზიტიობის დასაბუთებისათვის, იძულებულია, ნორმათა სისტემაში იგულისხმოს თავისებური, ერთმანეთისაგან განსხვავებული, ნორმათა სისტემის ნაკვეთები — და ეს კი შესაძლებელია მხოლოდ სახელმწიფო აქტის იდეის საფუძველზე.

როგორც დავინახეთ ამ მოკლე ანალოზიდან, Stufentheorie-ის ვამოსავალ წერტილად უეჭველად ნორმათა მრავალსახეობა უნდა ჩითვალოს, მაგრამ ისიც ხომ უდავოა, რომ ამ დებულების აღიარება გულისხმობს იმას, რომ სამართლის იდეა და პოზიტიური სამართალი ერთმანეთისაგან გამიჯნული, გაყრილი არიან იმ მნიშვნელობით, რომ სამართლის იდეას უპირისპირდება პოზიტიური სამართალი, როგორც შესაძლო სამართლის ერთ-ერთი სპეციფიკური შემთხვევა. და ჩვენც იმდენად, რამდენადაც პოზიტიურ სამართალს ასეთად ვღიარებთ, თავისთავად ცხადია, სამართლის აღნიშნულ სპეციფიკურობას ვერ გამოვიყვანთ სამართლის იდეიდან. აი გარემოება, რომელიც ფორმალურ-იურიდიული მეცნიერების წარმომადგენლებს სამართლის პოზიტიობის დასაბუთების დროს აიძულებდა ფარულად დაყრდნობოდნენ სახელმწიფოებრივი აქტის იდეას. ფორმალურ-იურიდიული მეცნიერების წარმომადგენლებისათვის სხვა გამოსავალი არ არსებობს. მათ ან უნდა განამხილონ ის, რასაც ფარულად გულისხმობენ, ანდა სამართლის პოზიტიობის წყარო სამართლის იდეაში ეძიონ, ხოლო ამ შემთხვევაში სრულიად გაუგებარი დარჩება ის ნორმათა მრავალსახეობა, რომელსაც ეყრდნობა კელზენ-მერკლის Stufentheorie. ან ერთი ან მეორე. ვიმეორებთ: ან სახელმწიფოებრივი აქტის იდეა, და მაშინ ბეკ-

¹ W. Heinrich, Zur Theorie der Rechtskraft; Arch. für öf. Recht. Bd. 7. 1924.

რა რამ უნდა შეიცვალოს თვით კელზენის სისტემაში; ანდა სამართლის ფილოსოფია, და მაშინ შეუძლებელი იქნება პოზიტიური სამართალი განხილულ იქნეს როგორც შესაძლო სამართლის ერთ-ერთი სპეციფიკური შემთხვევა, ვინაიდან სამართლის ფილოსოფიის ერთადერთი საგანი სამართლის იდეაა. ცხადია, ამ სფეროში ჩვენ ხელთ შეგვიჩება მხოლოდ სამართლის წმინდა იდეა, ესე იგი ნელსონის სიტყვებით რომ ვთქვათ, *Rechtswissenschaft, ohne Recht*.

პართალია, კელზენ-მერკლმა ამ ორივე ბრალდების თავიდან ასცილებლად *Stufentheorie* წამოაყენეს, მაგრამ, როგორც აღვნიშნეთ, სწორედ ამ თეორიის წამოყენებაში მდგომარეობს ის უმნიშვნელოვანესი და მთავარი ღალატი. რაც მერკლ-კელზენმა ჩაიდინეს თავის იმ ძირითად დებულებათა მიმართ, რომელთა თანახმადაც მთელი სამართლის მეცნიერების სისტემა აგებული უნდა ყოფილიყო ნორმის წმინდა ფორმალურ ცნებაზე. დიახ, ეს იყო აშკარა ღალატი, ვინაიდან, თუ ისინი ნორმის წმინდა ფორმალურ ცნებას დაეყრდნობოდნენ, მაშინ მთელი იურიდიული პრობლემები სამართლის ფორმალურ ცნებასთან უნდა გაიგივებულიყო, და ამასთან დაკავშირებით, სავსებით და საბოლოოდ უკუგდებული უნდა ყოფილიყო აზრი იმის შესახებ, რომ რაიმე იურიდიული პრობლემის დაყრდნობა შეიძლება ნორმათა მრავალსაჩეობაზე. დიახ, *Stufentheorie* იყო და არის მერკლ-კელზენის ღალატი საკუთარი ძირითადი დებულებების მიმართ, ვინაიდან აღნიშნული თეორიის გამოსავალ წერტილს წარმოადგენს ის, რომ მათი პოზიტიური სამართალი არის შესაძლო სამართლის ერთ-ერთი სპეციფიკური შემთხვევა. და ეს კი უკვე იმის მახევენებელია, რომ პრობლემა სამართლის პოზიტიობის შესახებ უკვე მოწყვეტილია სამართლის იმ წმინდა ცნებას, სამართლის იმ იდეას, რომელიც სამართლის ფილოსოფიის ერთადერთ საგნად შეიძლება იქნეს აღიარებული. მაშასადამე, რეულისხმებდნენ რა პოზიტიურ სამართალს, როგორც ნორმათა მრავალსაჩეობას, მერკლსა და კელზენს. ეს პოზიტიური სამართალი აუცილებლად უნდა წარმოედგინათ როგორც შესაძლო სამართლის ერთ-ერთი სპეციფიკური შემთხვევა, — და ასეთ პირობებში კი პრობლემა სამართლის პოზიტიობის შესახებ მათ მიერ თავიდანვე უნდა ყოფილიყო ნაგულისხმევი განდევნილად იმ სამართლის ფილოსოფიის ფარგლებიდან, რომლიდანაც უნდა გადაჭრილიყო ყველა იურიდიული პრობლემა. ესე იგი, აღნიშნული ავტორების მიერ თავიდანვე უნდა ყოფილიყო ნაგულისხმევი ის, რომ პრობლემა სამართლის პოზიტიურობის შესახებ თავსებით დამოუკიდებელია სამართლის წმინდა ცნებისაგან.

უდავოდ მიგვაჩნია, რომ სამართლის ფილოსოფიას, იმდენად რამდენადაც მის საგანს სამართლის იდეა წარმოადგენს, არ შეუძლია ბო-

ზიტიური სამართლის სისტემაში რაიმე საფეხურიანობა ჩამოაყალიბოს (მაგალითად, კონსტიტუცია, კანონი, რეგლამენტი, განკარგულება და სხვ.). ის სავაებით გამოუსადეგარია იმისათვის, რომ მისი ნაშუალებით ნორმათა ერთ რომელსაზე მთლიანობაში ამა თუ იმ ნაკვეთის თავისებურება დავასაბუთოთ. უდავოა, რომ სამართლის ფილოსოფიისათვის მიუწევდომელია პოზიტიური სამართალი, როგორც შესაძლო სამართლის ერთ-ერთი სპეციფიკური შემთხვევა, და. მაშასადამე, იმას, ვინც სამართლის წმინდა ცნებას ყველაფრის გამოსავალ წერტილად აღიარებს, არ ძალუძს (თუ. რა თქმა უნდა, საკუთარ ძირითად დებულებას არ უღალატებს) დაასაბუთოს არც ნორმათა მრავალსახეობა და. ამასთან დაკავშირებით, არც საფეხურიანობა თვით ნორმათა მთლიანობაში. მეტსაც ვტყვობთ. და ეს არ იქნება პარადოქსი: სამართლის ფილოსოფია იმდენად, რამდენადაც მის საგანს სამართლის იდეა წარმოადგენს. ვერავითარ შემთხვევაში ვერ შეირიგებს იმ Studien-theorie-ს, რომელიც, როგორც არაერთხელ აღვნიშნეთ, ნორმათა მრავალსახეობას ეყრდნობა.

თუ ყველაფერი, რაც აქ ითქვა, სწორია, თავისთავად იბადება კითხვა, რა ქმნის სამართლის ნორმათა იმ მრავალსახეობას, რომელსაც, როგორც მერკლასათვის, ისე, კელზენისათვის, წარმოადგენს იმ დებულებას, რომელზეც დამყარებულ უნდა იქნეს სამართლის პოზიტიუზმის პრობლემა? რა ქმნის იმ საფეხურიანობას რომელიც ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ? ყოველ შემთხვევაში, არა იურიდიული გნოსეოლოგია, ვინაიდან, როგორც უკვე აღვნიშნეთ, შეუძლებელია იურიდიული ფილოსოფიის საგნიდან გამოვიყვანოთ ისეთი რამ, რაც, თუნდაც სულ მცირედ, განსხვავდება ამ გნოსეოლოგიის საგნისაგან. მაშ, რა აძლევს ამ განსაზღვრულობას ცალკე იურიდიული დისციპლინებს საგანს? რა ჰყოფს პოზიტიური სამართლის სისტემას იმ საფეხურებად, რომელნიც ქმნიან შესაძლებლობას, რომ იურიდიული გნოსეოლოგიის გარდა სხვა იურიდიული დისციპლინებაც არსებობდეს? უსათუოდ რაღაც სახელმწიფოებრივი აქტი მატერიალური მნიშვნელობით; და სახელმწიფოებრივი აქტის გარეშე, რაც არსებითად სახელმწიფოებრივ ნებასაც გულისხმობს, ჩვენ ვერავითარ შემთხვევაში ვერ შევძლებთ დავუშვათ ის საფეხურიანობა პოზიტიური სამართლის სისტემაში, რომელიც ფორმალურ-ნორმატიული მეთოდის მომხრეებს საშუალებას აძლევს, შეურიგდნენ ნორმათა მრავალსახეობის არსებობას. ამგვარად, ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს, ვინც აღიარებს ფორმალური ნორმატიული მეთოდის აუცილებლობას და ამავე დროს შესაძლებლად მიაჩნია იურიდიული დისციპლინების არსებობაც, იძულებული უნდა იყოს თვით პოზიტიური სამართლის სისტემაში იგულისხმოს საფეხურიანობა (Merpkli); ხოლო ეს საფეხურიანობა, რო-

გორც აღვნიშნეთ, შეიძლება მხოლოდ სახელმწიფოებრივი აქტის იდეას ეყრდნობოდეს. სახელმწიფოებრივი იდეის გარეშე შეუძლებელია პოზიტიური სამართლის სისტემაში საფეხურიანობა წარმოვიღგინოთ. ამიტომაც იმდენად, რამდენადაც ფორმალურ-იურიდიული მეთოდის მომხრეთათვის საფეხურიანობა სამართალში ერთადერთი საშუალებაა სამართლის პოზიტიუზის დასაბუთებისათვის, ისინი უეჭველად, ფარულად გამოდიან სამართლის სახელმწიფოებრივი თეორიის ძირითადი დებულებებიდან (მაგალითად, როგორც ლაბანდი და მისი სკოლა).

ეს დებულება შეიძლება დასაბუთებულ იქნეს სხვა მოსაზრებითაც. ქვემოთ ჩვენ ვნახავთ, რომ სამართალში მოხსენიება, ნორმატივისტების თანახმად, არ არის დამოკიდებული მოსახსენებელის ობიექტურ პირობებზე. აქედან უნდა დავაკენათ, რომ უფლებრივ მიმართებას რაიმე მეტაიურიდიულსაყენ წმინდა შემთხვევითი ხასიათი უნდა ჰქონდეს. მაგრამ რას შეუძლია გამოიწვიოს მიმართების ეს შემთხვევითი ხასიათი, თუ არა სახელმწიფოებრივ აქტს?

ამგვარად, ჩვენ გვგონია, რომ არა მარტო ძველი დოგმატური პოზიტივიზმის მიმდევარნი (ლაბანდი და მისი სკოლა), არამედ კელზენიც, ეს ბრწყინვალე წარმომადგენელი დოგმატური პოზიტივიზმისა, თითქოს ზურგს აქცევს ყველაფერს, რაც შეეხება პოზიტიური სამართლის წარმოშობის საკითხს, როგორც წმინდა მეტაიურიდიულ პრობლემას, მაგრამ არსებითად თვითონ გამოდის იმ თეორიიდან, რომელიც სამართლის წარმოშობის ერთ-ერთ თეორიას წარმოადგენს. და თუ ყოველივე ეს, რაც ჩამოყალიბებულია კელზენის სისტემაში, კანტის ფილოსოფიას ეთანხმება, სამაგიეროდ, როგორც ვნახეთ, ფესვები ამ სისტემისა მიდის დოგმატური პოზიტივიზმის იმ წარმომადგენლებამდე, რომელნიც სამართლის წყაროდ სახელმწიფოებრივ ნებას აღიარებენ, ხოლო მათი მეწვეობით თვით ჰეგელამდე, რომელიც არსებითად სამართლის სახელმწიფოებრივი თეორიის ყველაზე მძლავრ წარმომადგენლად უნდა ჩაითვალოს.

ინტერესს მოკლებული არ იქნება აღვნიშნოთ, თუ როგორ გადააქვს სამართლის საკითხი მეტაიურიდიულ ნეოკანტიანელთა მეორე წარმომადგენელს — ფაიხნგერს, Philosophie Als-Ob-ის ავტორს, რომელმაც მოგვცა ფრიად ორიგინალური დაპირისპირება ჭერარდისა და არსებულისა და რომელმაც განსაკუთრებული თანმიმდევრობით გაშალა სამართლის ხელოვნური ხასიათი.

რას ნიშნავს სამართლის ხელოვნური ხასიათი? აი როგორ მსჯელობენ ამ დებულების მომხრენი, რომ სამართალი არის რაღაც მიზანშეწონილობის მოტივებზე დამყარებული რამ, რომ სამართალი „გონიერების“ პროდუქციაა, — ეს საკმაოდ ძველი დებულებაა. სამართალი

აუკლებელია, რადგანაც მის შექმნას საზოგადოებრივი ცხოვრების რაციონალური ორგანიზაციის ინტერესი მოითხოვს. სამართლის გარეშე საზოგადოებაში არის რღვევა, გახრწნა, ანარქია და მუდმივი ომი, რომელსაც ყველა აწარმოებს ყველას წინააღმდეგ. ინსტინქტი, ემოცია — ეს ნგრევისა და დაშლის ცენტრებია, ისინი ყოველგვარ გონიერებას მოკლებულნი არიან. საჭიროა ეს ცენტრები დაეუმორჩილოთ ზოგად პრინციპებს, რათა ამ გზით ანარქიას თავი დაეაღწიოთ, რომ დაეძლიათ უფონობა. გონება წესრიგს მოითხოვს, რომ დავიკვათ მშვიდობიანობა, სამოქალაქო პრუნვა, ოჯახური კეთილდღეობა და სხვ., საჭიროა სამართალი. მიზანშეწონილობა მოითხოვს სამართალშემოქმედებას და გონებისაგან შექმნილი ნორმები სამყაროს ნამდვილი მპყრობელნი არიან. ის კანონშეზომილობა, რომელსაც ემორჩილება ემოციები, ინსტინქტები და მიდრეკილებანი, — ეს ნამდვილი მტრები ზოგადი პრინციპებისა და, მაშასადამე, ობიექტური ნორმისა, — უნდა მიუხსნათ ნორმის კანონშეზომილობით.

როგორც ვხედავთ, სამართლის ხელოვნური ხასიათი აქ მთელი თავისი მოცულობით გვევლინება. რაზე განსხვავდება ასეთი შეხედულება სამართალზე იმ თვალსაზრისისაგან, რომლის თანახმადაც სამართლის ფუნქციები გადგმულია ცხოვრების ეთოსის სიღრმეში, ან რომ სამართალი ეთოსის ერთი სახეა. რა ღრმა განსხვავებაა ამ შეხედულებასა და იმ პოზიციას შორის, რომელზედაც დგანან (სამართლის მიმართ) ისტორიული სკოლის წარმომადგენელნი და სრულიად უსამართლოდ დაიწყებული — სამართლის ფილოსოფოსი შტალი, რომლის მოძღვრების თანახმად ცხოვრების ცალკე ურთიერთობის სიღრმეში ჩაქსოვილია მსოფლიო წყობის იდეა, რაც მიისწრაფვის თავისი თავი მასში განახორციელოს.

არსებითად რომ ვთქვათ, ეს ორი თვალსაზრისი, რომელთაგან ერთი ახდენს სამართლის რაციონალიზაციას, ხოლო მეორეს მიყავს იგი (სამართალი) ჭერ კიდევ არასრულად შეთვისებულ და ღირებულებათა მატარებელ და გამომქვავებულ ემოციებამდე — ებრძოდა ერთმანეთს სამართლის აზრის განვითარების მთელი ისტორიის სიგრძეზე, და გამარჯვება ხან ერთს რჩებოდა, ხან მეორეს.

რამდენი პათოსი და ენერჯია დაიხარჯა იმისათვის, რომ ბუნებითი სამართლის დოქტრინის უკანასკნელი ცრხე-სიმაგრე დაქცეულიყო. და ყოველი ახალი უკანდახევა სამართლის ბუნებითი ხასიათის მაღიარებელი დოქტრინებისა, ქმნიდა ნიადაგს იმ დოქტრინების ზეიმისათვის, რომელნიც მიზნად ისახავდნენ სამართლის ბუნებითი მომენტებისაგან განთავისუფლებას. ხოლო როდესაც ბუნებითი სამართლის დოქტრინა სასიკვდილო მახვილით განიგმირა და ძველი მნიშვნელობით საბოლოოდ დაეცა, მის ნანგრევებზე ამაყად აღიმართა გო-

ნება და თავისი თავი სამართლის ერთადერთ წყაოოდ გამოაცხადა. ციკ-
ქა, ყოვლის შემძლე გონებამ, რომელიც ყოველთვის ეძებს განართ-
ლებას მიზნების საშუალებით. გონებამ, მისთვის დამახასიათებელი
კატეგორიებით, ხელთ იგდო სამართლის ფაბრიკაციის მონოპოლიტიური
უფლება. ამასთან ერთად, სამართლის ხელოვნური ხასიათი სრულ-
ლის თანამიმდევრობით ამკარავდებოდა. რა გამოც სამართალი შირ-
დებოდა ყოველსავე ფაქტიურს, ბუნებრივს, ბიოლოგიურს და ემოცი-
ონალურს. ამიტომ თუ ის თეორიები, რომელნიც აღიარებენ, რომ არის
სფერო ირაციონალურისა, არის სფერო შეუფენებელი ემოციებისა, რაც
ატარებს და ამჟღავნებს ღირებულებებს, თუ ეს თეორიები ასპირაცი-
ებდნენ განსაზღვრულ უფლებრივ-პოლიტიკურ რომანტიზმს, სავ-
გიეროდ, სამართლის ხელოვნური ხასიათის აღიარებასთან ერთად, გან-
საკუთრებული სიციხადით უნდა გამომჟღავნებულიყო ცხოვრება და
სამართლის ურთიერთობათა ანტაკონსტიტური ხასიათი. ცხადია, რომ
სამართალში ინტელექტუალური მომენტის შეტანით თვით სამართლის
ქვეყანაც უნდა წარმომდგარიყო როგორც შორეული, ფიქციათა ქვეყა-
ნა, როგორც ინტიმური კავშირისათვის მიუწვდომელი და, დასასრულდ,
თავისუფალი მიღებისათვის უუარგობი ქვეყანა. რატომ არის, რომ სამარ-
თლის ხელოვნური ხასიათის აღიარების დროს სამართლის სფეროს
სწორედ ასეთი სახე უნდა მიეღო? მხოლოდ იმიტომ, რომ სამართალი
ასეთი ვაგებით ბუნების მექანიკური დაძლევის ინსტრუმენტად, სა-
შუალებად იქცეოდა. რადგანაც სამართლის კანონშეზომილობა აღე-
ბული იყო ბუნების კანონშეზომილობისაგან დამოუკიდებლად. ე. ი.
ურთიერთობა, ერთი მხრით, სამართალსა და, მეორე მხრით, ცხოვრ-
ებასა და ბუნებას შორის ანტითეზის ფორმულაზე უნდა იგებულიყო.
ცხოვრების სინამდვილეს და სტიქიას, რომელიც მიმდინარეა, ცვა-
ლადი, თავსუფალი და ქაოსური, მაგრამ რომელიც სამაგიეროდ ერ-
თადერთი სინამდვილეა. უნდა დაპირისპირებოდა სხვა ქვეყანა, ქვეყა-
ნა ფიქტიური, ხელოვნურად აგებული, მაგრამ სამაგიეროდ შიგნი-
დან მოწესრიგებული, რომელსაც თავისი წნევით და ზეგავლენით მიე-
ყავართ განსაზღვრული გონიერი მიზნისაკენ. საჭირო იყო ქვეყანა,
რომელიც იქნებოდა გონების ემანაცია და შეძლებდა ბუნებისა და
ფაქტიურის დამორჩილებას.

ღიახ, ვიმეორებთ, რომ რაკი სამართალს გავათავისუფლებთ ყო-
ველგვარი ბუნებითი მომენტისაგან და მის კანონშეზომილობას ვაეუ-
პირისპირებთ ბუნებაში მოცემულ კანონშეზომილობას, — ჩვენ შე-
გვიძლია იმედი დავამყაროთ მხოლოდ აქტზე, რომელშიც ყოველთვის
ჩამარხულია აღიარება იმის უარყოფის შესაძლებლობისა, რაც იმჟ-
ღებით მტკიცდება. შეგვიძლია იმედი დავამყაროთ ისეთ აქტზე, რო-
მელსაც აქვს უნარი — ერთი კანონშეზომილობა დაიძლიოს მეორე. კა-

ნონშეზომილობით. და რომ სამართლის აღიარება, ე. ი. სამართლის თავისუფლად ფსიქიკური მიღების აქტი. შეიძლებოდა იმ თეორიებიდან გამოყვანულ დასკვნად ჩაითვალოს, რომელიც ადამიანის ფსიქიკას ცნობენ სფეროდ, სადაც სამართლის პირველადი მოცემულობა მკლავდება, მაშინ იმ თეორიებისათვის. რომელიც სამართლის წყაროდ გონებას აღიარებენ. იძულება უნდა იყოს ერთადერთი საშუალება, რაც ნორმის შესრულების შანსს უზრუნველყოფს.

აა რატომ არის, რომ იძულება, რომელიც ესოდენ აუცილებელია სამართლის ხელოვნური ხასიათის მ აღიარებელთათვის. სრულიად მიუღებელია იმ თეორიების თვალსაზრისით, რომელიც სამართალს ფსიქიკურ განცდათა ან თუ იმ სახეს უთანაბრებენ (პეტრაჟიკი, კრაპე, ისტორიული სკოლის წარმომადგენელი, ბირლენგი, შტუმიფი და სხვ.). ამ უკანასკნელი შეხედულების თანახმად. იძულებას არ შეუძლია გვიკარნახოს, რომ ჩვენ სამართლად განვიცადოთ ის. რაც თვით ფსიქიკაში არ განიცდება. იძულებას არ შეუძლია აგრეთვე უზრუნველყოს სამართლის ნორმის შესრულება. რადგანაც იძულების საშუალებით შესრულებულს ვერაფერს განიცდის ისე. თითქოს ეს სამართლის შესრულება იყოს. იძულების არც ერთ აქტს, თუნდაც იგი ნორმის შესრულების მიზნით ხდებოდეს, — არ შეუძლია გვაიძულოს, რომ შესრულებული განვიცადოთ, როგორც სამართალი, რადგანაც სამართალს წყარო და სამართლის განცდა მიზეზობრივად დამოკიდებული არ არიან იმ ცენტრისაგან, რომელიც ჩვენ გვაიძულებს. ამიტომ სამართლის თავისუფალი მიღება და ნორმის თავისუფალი შესრულება ამ თეორიებისათვის ძირითადი მომენტია. მაშინ. როდესაც Imperativtheorie-ს მომხრეთათვის იძულება წარმოდგენს ერთადერთ საშუალებას. რომლის შემწეობითაც ერთი კანონშეზომილობის მოთხოვნებს ჩვენ ვაგრძელებთ მეორე კანონშეზომილობაზე, — ეს იძულება, მავალითად. სამართლის ემოციონალიზმის ან ეკრეთოლოგიური აღიარების თეორიის მომხრეთათვის სრულიად ზედმეტი რამ არის. თუნდაც მარტო იმიტომ. რომ ლტოლვა შესრულებისადმი თვით განცდის აქტშია მოცემული. ეს შესრულება, არსებითად რომ ვთქვათ. მხოლოდ გარეგანი მოქმედებაა განცდის აქტში მოცემული კანონშეზომილობისა. ამგვარად, იძულების აუცილებლობა სამართლის ხელოვნური ხასიათის აღიარების ლოგიკური შედეგია. ხოლო იმის აღიარება, რომ სამართალს ხელოვნური ხასიათი აქვს, თავის მხრე. ლოგიკური შედეგია ორი კანონშეზომილობის — არსებულის და ჭეარასობრივის კანონშეზომილობის დაპირისპირებისა.

მართლაცდა, სხვა დასკვნის გამოტანა ამ ორი კანონშეზომილობის დაპირისპირებიდან ჩვენ შეუძლებლად მიგვაჩნია. რატომ? თუნდაც იმიტომ, რომ დებულება ორი კანონშეზომილობის არსებობის შესა-

ხებ ამ შემთხვევაში სპობს მათი მუდმივი თანამთხვევის შესაძლებლობას. ხოლო სამართლის თავისუფალი მიღების იდეა და აგრეთვე მისი თავისუფალი „ნებაყოფლობითი“ შესრულების აუცილებლობა წარმოადგენს იმ თეორიების საფუძველს, რომელნიც ამ დუალიზმს უარყოფენ. აღნიშნული დუალიზმის დაქლევა აქ ხდება იმის საშუალებით, რომ სპეციფიკურ ფსიქიურ განცდებს სამართლის წყაროდ აღიარებენ, ხოლო ამ უკანასკნელს კი შეუმჩნეველად აიგივებენ თვით სამართალთან. სამართლის წყაროს გაიგივება სამართალთან, — რასაკვირველია, მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც განსაზღვრული სახის განცდანი აღიარებულია სამართლის წყაროდ, — წარმოადგენს იმ გარემოებას, რომლისგანაც ლოგიკურად გამომდინარეობს როგორც სამართლის თავისუფალი მიღების აუცილებლობა, ისე ნორმის თავისუფალი „ნებაყოფლობითი“ შესრულების აუცილებლობაც. აი, რატომ გვგონია, რომ ყოველმა თეორიამ, რომელიც ამ ორი კანონშეზღოვლობის დაპირისპირებას ემყარება, სამართალი ყოველგვარი ემოციონალური მომენტებისა და Gefühlwert-ისაგან უნდა გაანთავისუფლოს. ამ გარემოებამ თავის მხრივ უნდა გამოიწვიოს იმის აღიარება, რომ სამართალს მახიულბელი ხელისუფლების ხასიათი აქვს. მაგრამ ისინი, ვინც სამართლის ხელოვნურ ხასიათს აღიარებენ, სხვანაირადაც ასაბუთებენ ამ დებულებას. მათი აზრით, თუ ვალაჩებთ, რომ აზროვნების ჩამოყალიბებას განსაზღვრული უნარი აქვს, თავისთავად ცხადი იქნება, რომ სამართლის სფეროს და არსებობის სფეროს დაპირისპირების დროს პირველი უნდა მოგვევლინოს როგორც წმინდა ფიქციების ქვეყანა, როგორც ქვეყანა მოგონილი, რაციონალური ნიშნებისა, რომელთა ღირებულებაც მათშივე კი არ არის მოცემული, არამედ ეძლევა მათ იმ სოციალური როლით, რომელსაც ისინი ასრულებენ. საკითხის ასე დაყენების დროს სამართალსა და ფაქტს შორის, როგორც ეხედეთ. საბოლოოდ წყდება ყოველგვარი კავშირი. ფაქტი და სამართალი აქ ერთმანეთს უპირისპირდება. ფაქტი არის ნამდვილობა, სამართალი — ფიქცია. ისინი არც შეიძლება საერთო პრინციპს დავუქვემდებაროთ. რადგანაც ის, რასაც ფაქტად ვაღიარებთ, შეუძლებელია ფიქცია იყოს, და იმას, რაც ფიქციაა, არ შეიძლება ეთანაბროდეს ნამდვილის რაიმე ნაკვეთი, ვინაიდან ფიქცია ყოველთვის უარყოფს იმის ნამდვილობას, რაც მასში (ფიქციაში) განმტკიცდება. ამგვარად, პოზიტიური სამართალიც, რამდენადაც იგი არსებულის სფეროს არ ეკუთვნის, — არის რაღაც ხელოვნური, გამოგონილი რამ და, მაშასადამე, ნამდვილობის მიმართ — ყოველთვის ფიქტიური, რადგანაც მხოლოდ ფიქტიურია ყოველთვის ირაციონალური, აზროვნებით განსახიერებული რამ კი მუდამ რაციონალური; ხოლო ირაციონალური

შეუქლებელია ფიქტიური არ იყოს, ვინაიდან იმ ფორმას და კანონშეზოძალობას, რომელშიც აზროვნება მიმდინარეობს, არაფერი აქვს საერთო იმ კანონშეზომილობასთან, რომელსაც ექვემდებარება არსებული, ე. ი. სფერო ფაქტიურისა ანუ ნამდვილობისა.

ამ მხრივ დიდ ინტერესს იწვევს უახლესი ნეოკანტიანობისა და ადვოკატური პოზიტივიზმის წარმომადგენელი, კანტის ცნობილი კომპეტატორი — ფ ა ი ჰ ი ნ გ ე რ ი, რომლის ფილოსოფიის მოკლე ანალიზი გვიჩვენებს, თუ როგორი უნდა იყოს ამ ფილოსოფიისა შეხედულება ჩვენს პრობლემაზე.

სქიძლება ითქვას, რომ ფაიჰინგერს ყველაზე მკაფიოდ აქვს ხანგასპული სამართლის ხელოვნური ხასიათი. ის ამბობს: „შეგრძნებათა ქაოსიდან თავს იჩენს გარკვეული ხედვა: ამ ქაოსში ჭერ არა ჩანს განსაკუთრებული საგნის სურათი, შემდეგ შეგრძნებათა ნოსლის ბუნდოვანი დიდი მასა თანდათანობით როტაციულ მოძრაობას იწყებს. და თანდათანობით ყალიბდება მთლიანის ცალკე ნაწილები“¹.

ამ ქაოსში არ არის და არც შეიძლება იყოს რაიმე წარმოდგენა საგნებზე. მხოლოდ თანდათან, ჩვენი აზროვნების მოქმედების საშუალებით. რომელიც მიმართულია იმისაკენ, რომ სინამდვილე სძლიოს, შეგრძნებათა ქაოსიდან იბადება სხვადასხვა წარმოდგენა, რომელიც არის რა ნათელი და გარკვეული, იმავე დროს სინამდვილის დამახინჯებას წარმოადგენს. ნამდვილი და ფაქტიური არის მხოლოდ ჩვენი შეგრძნება, ხოლო ყოველივე ის, რაც წარმოდგენაა, არის დამახინჯება იმასა, რასაც ეს წარმოდგენა შეეხება. როდესაც აზროვნება შეგრძნობილს განარკვევს და მას ლოგიკური ფუნქციების საშუალებით ჩამოაყალიბებს, ამ ოპერაციით შემეცნება შორდება სინამდვილეს.

შეცდომა იქნება ვიფიქროთ, რომ შეგრძნებანი ქმნიან შეგნებასა ისეთ კავშირს, რომელიც სინამდვილეში გვევლინება². ელემენტარული ლოგიკური „მოვლენებიც“ კი წარმოადგენენ გადახრას რეალობისგან. ის გარემოება, რომ აზროვნებას სურს რეალობა წარმოადგინოს, უკვე იმას გვეუბნება, რომ აზროვნების გზა სხვა არის. და რეალობის — კი სხვა. ეს გადახრა სინამდვილისაგან ან, უფრო სწორად, სინამდვილის ეს დამახინჯება შედეგია იმ მასალის ტრანსფორმაციისა, რომელსაც შეგრძნება გვაწვდის სუბიექტური კატეგორიების საშუალებით. და მხოლოდ იმიტომ, რომ აზროვნება სინამდვილის მიმართ პეტეროგენურ მოქმედებას წარმოადგენს, — მისი ფორმები სულ სხვანაირი უნდა იყოს, ვიდრე ყოფის ფორმები: ამიტომ შეგრძნების მონაცემი. რაც განსახიერდება აზროვნებისათვის დამახასიათებელ ფორმე-

¹ Faichinger. Philosophie „Als-Ob“, 46-47.

² Ibid., გვ. 267.

ბში და სუბიექტურ კატეგორიებში, მხოლოდ სინამდვილის დამზინ-
ჯებას უნდა წარმოადგენდეს. აღნიშნული გადახრა სინამდვილსაგან,
მატულობს კულტურული დონის ამაღლებასთან ერთად, და მანქნობა-
ლურ სიდიდეს აღწევს მაშინ, როცა იწყება მისი (გადახრის) ნათლად
შეგნება.

ასეთი გადახრის გარეშე აზროვნება თავის მიზანს ვერ მიაღწევს.
როგორ შეუძლია აზროვნებას იწყოს მასალის გადაშუშავება ასეთი
გადახრის გარეშე? და აი, Als-Ob-ის ფილოსოფიის თანახმად, ვიფი-
ლივე, რაც აზროვნების შედეგია, როგორც მაგალითად, ცნება, აქსიო-
მა და განმარტება, მხოლოდ ფიქციას წარმოადგენს. თუ მივიღებთ
მხედველობაში ასეთ დაპირისპირებას იმას შორის, რაც აზროვნებით
არის გამოწვეული, და არსებულს შორის, მაშინ სამართალიც, როგორც
განსაზღვრული მსჯელობა ჭეარასობრივზე, გადატანილ უნდა აღწეს
ფიქციასთან სფეროში. ე. ი. იდეალურის სფეროს უნდა მიეკუთვნოს.
ფაიქინგერის აზრით, არ არსებობს სხვა დარგი, მათემატიკის გარდა,
რომელშიაც ისე გარკვევით შედგენდებოდეს ცოდნის ფიქტიურობა,
როგორც სამართლის დარგში. ეს აახსნება ორივე დარგის პრინციპუ-
ლი ნათესაობით, რომელიც დღემდე ლოგიკოსებსაც ავიწყლებოდათ,
და მხოლოდ ის, ვინც იცნობს სამართლის მეცნიერებას. შეძლება გა-
ზომოს. თუ რამდენად დიდია ამ ფიქციასთან მნიშვნელობა.

ფიქციის სახელი. ფაიქინგერის აზრით, არსად არის ისე კარვად
ცნობილი, როგორც სამართლის მეცნიერებაში. ამ ფიქციების გამოყენ-
ების ფსიქოლოგიური მექანიზმიც იმაში გამოიხატება, რომ რომელ-
ღიმე ცალკე შემთხვევა შეეფარდება ისეთ წარმოდგენას. რომელიც
მისთვის თავისთავად განწესებული არ არის.

— ამიტომ წესწყობილება. როგორ სისტემა ნორმებისა, ზნეობ-
რივ ნორმათა სისტემაც და, საერთოდ, ზნეობრივი და იურიდიული
ცნებანი სხვა არა არის რა, თუ არ პრაქტიკული ფიქციების სახე-
ობააა“.

მაგრამ შეუძლიათ ვანა ფიქციონალიზმის მომხრეებს უარყონ საე-
რთოდ სამართლის რეალობა მისი ნამდვილობა? ეს კითხვა თითქმის
წინასწარ გადაწყვეტილია იმით, რაც ჩვენ ზემოთ ვილაპარაკეთ. მართ-
ლაც და, თუ სამართალი აზროვნების შედეგია, ხოლო აზროვნების შე-
შობა სინამდვილის მიმართ პეტეროგენურია, გამოდის, რომ ჩვენ სა-
ერთოდ უნდა უარყვით სამართლის რეალობა. მაგრამ ვანა ეს წი-
რია? როცა კითხვას ასე დავსვამთ, ჩვენ Als-Ob-ის ფილოსოფიის ეკე-
ლახე სუსტ მხარეს მივადგებით.

ეკვს გარეშეა, რომ ფაიქინგერის თითოეული ფიქცია გულისხმობს
რეალობის არსებობას, რომელიც თავისი კვშმარტებით უპირისპირ-
დება ყოველგვარ ფიქციას. თუ პოზიტიური სამართალი და საერთოდ

იურადიულ ცნებათა ყველა სახეობა ირაციონალურის სფეროს ეკუთვნის და ამიტომ ფიქტიურია, თავისთავად ცხადია, რომ ეს ფიქციები გულისხმობს რაღაც სფეროს, რომელშიც იშლება სამართლის პირვანდელი რეალური თვისებები. აქ ბევრი რამ საერთოა ფიქციონალიზმის მიმართებსა და ყველაზე მძლავრ ფსიქოლოგისტს — პეტრაეცკის შორის. როგორც პირველი ფარულად, ისე მეორე — სრულად გარკვეულად — გულისხმობენ ისეთი სფეროების არსებობას, რომელშიც სამართლის პირვანდელი თვისებები ამკარავდება. პროფ. პეტრაეცკისთვის ასეთ სფეროს წარმოადგენს სპეციფიკური ემოციების სფერო. ხოლო ფიქციონალიზმის მომხრეთათვის ეს უნდა იყოს შეგრძნებათ. სფერო. ამ სფეროების გარეშე, ყოველივე, რასაც სამართალი ჰქვია, სამართალი კი არ არის, არამედ მხოლოდ ფუნქცია და ფიქცია. ამიტომ პოზიტიური სამართალი, ფაიზინგერის ფილოსოფიის თანახმად, სტილიზაციაქმნილი სამართალია. მაშასადამე, ის ფიქტიურია.

...ქვეს გარეშეა, — ამბობს ფიქციონალიზმის ერთ-ერთი წარმომადგენელი. ფაიზინგერის მოწაფე — როლფ შალასოვი. — რომ სამართალი თავისუფალი იყო თავის დასაწყისში, როდესაც იგი ჯერ კიდევ უფლებრივ აზროვნებას არ წარმოადგენდა. არამედ მხოლოდ უფლებრივ ნებას და უფლებრივ მოქმედებას. არა, სამართლის ისტორიულ წარმოები ჩვენს ლოგიკურ ფიქციებში კი არ იყო, როგორც ევროპულ-წინადადებული გამოგონების თეორიები ფიქრობენ. არამედ ფიქციებისაგან თავისუფალ უფლებრივ მისწრაფებაში, ცხოვრების ცალკე მოვლენათა ფიქციებისაგან თავისუფალ სფეროში“¹.

...გვარად, აღნიშნული ფილოსოფიის თანახმად, უნდა ვაღიაროთ, რომ ერთი მხრით, არის შეგრძნებათა სფერო, ფიქციებისაგან თავისუფალი სფერო უფლებრივი მისწრაფებისა და ცალკე მოვლენებისა, რომლებშიც შედგენდება სამართალი პირვანდელი რეალური თვისებები და, მეორე მხრით, არის ქვეყანა სტილიზაციაქმნილი სამართლისა, ქვეყანა ფიქციებისა ანდა სფერო იდეალურია.

შეიძლება თუ არა ნორმატიული ფაქტების პრობლემის არსებობა ფიქციათა თეორიის თვალსაზრისით? ჩვენი აზრით, — არა. რომ ფიქცია არ შეიძლება იყოს ფაქტი და მაშასადამე, ნორმატიული ფაქტაც — ეს თავისთავად ცხადია. ხოლო რაც შეეხება იმ გრძნობას, რომელშიც სამართლის პირვანდელი მოცემულობა ამკარავდება. აქაც არ შეგვიძლია ნორმატიულ ფაქტებზე ვილაპარაკოთ. რადგანაც ნორმატიული ფაქტების პრობლემა სწორედ იმას გულისხმობს, რომ ნორმატიულად მოქმედი ფაქტი სამართალს არ წარმოადგენს, ხოლო ის შე-

¹ Malochow, Rechtserkenntnistheorie und Fiktionslehre, 1922, S.39.

გრძნება, რომელშიც სამართლის პირვანდელი მოცემულობა იშლება, თვითონ არის რეალური, ნამდვილი, ყოველგვარი ფიქციისაგან თავისუფალი სამართალი.

ცხადია, რომ ფიქციონალიზმის თეორიები ამ მხრივაც ძალზე უახლოვდება სამართლის ფსიქოლოგიურ თეორიებს. ეს საკითხიც ფრიად საინტერესოა, მაგრამ ჩვენ ამ მცირე შენიშვნებით უნდა დაგვიკმაყოფილდეთ, რომ ჩვენი ნაშრომის მთლიანობა არ დავარღვიოთ.

თუ ჩვენ არ ვაღიარებთ, რომ არის სხვა ღირებულებანი და თვისებანი, იმათ გარდა, რაც შექმნილია პოზიტიური სამართლისაგან, რასაკვირველია, სამართლის სფეროს გარეშე შეუძლებელია წარმოვიდგინოთ ისეთი ცენტრების არსებობა, რომელნიც თავისი ობიექტური თვისებებით დანიშნული არიან სწორედ იმ როლისათვის, რასაც ისინი პოზიტიური სამართლის სფეროში ნამდვილად ასრულებენ. ავიღებთ ჩვენ იურიდიულ, თუ ფიზიკურ პირს, სახელმწიფო ნებას, თუ ინდივიდუუმის ნებას, თუ ბოლოს, ავიღებთ მაგალითისათვის იმ ფაქტებს, რომელთაც ჩვეულებრივად იურიდიულ ფაქტებს უწოდებენ. — ვერც ერთი მათგანი, ე. ი. ვერც ირიუდიული, თუ ფიზიკური პირი, ვერც სახელმწიფო ნება, ვერც ინდივიდუუმის ნება და, ბოლოს, ვერც იურიდიული ფაქტი, რამდენადაც ისინი წარმოადგენენ იმ ცენტრებს, რომელთაც მიკუთვნებული აქვთ უფლებრივი თვისებები, — ვერაფრთა შემთხვევაში ვერ ჩაითვლება ისეთ გარემოებად, რომლის ობიექტური თვისება განამზადებდეს მას — იყოს იმად, რასაც იგი პოზიტიური სამართლის სფეროში ნამდვილად წარმოადგენს. ყველა ესენი, თუ ლოგიკური ვიქნებით, უნდა ვაღიაროთ მხოლოდ ხელოვნურად და შემთხვევით მონახულ ცენტრებად და მაშინ ისინი ამოიწურებიან ხელოვნური შინაარსის იმ მოცულობით, რომელსაც პოზიტიური სამართლისაგან ღებულობენ.

მაგრამ, თუ აღნიშნულ გარემოებათა შინაარსის მთელი მოცულობა იმ დახატობით ამოიწურება, რომელსაც მათ პოზიტიური სამართალი აძლევს, რა თქმა უნდა, სრულიად ლოგიკური იქნებოდა, — როგორც ამას ფორმალურ-ნორმატიული მეთოდის მომხრენი სჩადიან, ფიზიკური პირიც, იურიდიული პირიც და იურიდიული ფაქტებიც სამართლად ანდა სამართალთა სისტემად ჩაგვეთვალა.

თავისთავად ცხადია, რომ ამ მიმართულების მომხრეთათვის ფაქტები (იურიდიული) ან პოზიტიურ სამართალში მოხსენიებული სხვა რამ გარემოებანი, მაგალითად, ინდივიდუუმის სულიერი ყოფა, შეგნებული ნება და სხვ, ვერ ჩაითვლებიან იმ ობიექტური სამართლისაგან დამოუკიდებელი თვისებების ნაწილიანობად, რომლითაც ისინი წინასწარ განმზადებული არიან იმ დანიშნულებისათვის, რომელსაც სამარ-

თლის სფეროში აწარმოებენ. სუბიექტი, ფაქტი და სხვ. სწორედ სამართლისაგან ღებულობს განსაზღვრულ უფლებრივ დახასიათებას. ეს დახასიათება მათ სრულიადაც იმის გამო არ ეძლევათ — თითქოს იმნი იყვნენ მატარებელი ისეთი ობიექტური თვისებისა, რომელიც პოზიტიური სამართლისათვის ამგვარი უფლებრივი დახასიათების აუცილებლობას ქმნიდეს. მაგრამ ექვს გარეშეა, თუ მივიღებთ იმ ღებულებას, რომ პოზიტიური სამართლის მიერ რისამე ამა თუ იმ აზროთ მოხსენიება მოხსენებულის ობიექტურ თვისებებზე არ არის დამოკიდებული, — უნდა ვალიაოთ, რომ უფლებრივი თვისებების ყოველგვარი მიკუთვნება რაიმე მოვლენისათვის წმინდა შემთხვევით ხასიათს ატარებს, და მაშინ სრულიად ვერაფერს დავუპირისპირებდით ამ ცდას, რომ უფლებრივი თვისებები მიგვეკუთვნებინა არა იმ ცენტრებისათვის, რომელთაც ამ თვისებებს პოზიტიური სამართალი აკუთვნებს. რამდენიც უნდა ვეცადოთ, რამდენიც უნდა ვსინჯოთ იმ თვალსაზრისის შინაარსი, რომლის თანახმადაც სამართალში მოხსენიება არ არის დამოკიდებული მოხსენებულის ობიექტური თვისებებზე, ჩვენ ვერასოდეს ვერ გავრგებთ — რატომ არის, რომ პოზიტიური სამართალი უფლებრივ თვისებებს აკუთვნებს სწორედ იმ ცენტრებს, რომელნიც ამ თვისებებით ნამდვილად აღჭურვილი არიან; ჩვენ ვერ გავიგებთ — რატომ მაინცდამაინც აღამიანია ფიზიკური პირი, ვერ გავიგებთ — რატომ არის, რომ ესა თუ ის ფაქტი აღიარებულია იურიდიულ ფაქტად: ჩვენ ვერ ავხსნით — რატომ მაინცდამაინც სახელმწიფოებრივი ნება ან ინდივიდუუმის ნება არის ის რაღაც, რომლისკენაც სამართალი მიიმართება და, პოლოს, ჩვენთვის გაუგებარი იქნება, რატომ არის, რომ პოზიტიური სამართალი თავისი მიზნებისათვის იყენებს სწორედ იმ გარემოებათ, რომელთაც ის ნამდვილად იყენებს, და არა სხვა რაიმე გარემოებათ.

მაგრამ რა შეუძლია პოზიტიურ სამართალს გამოიყენოს, თუ ფორმალური თვალსაზრისის (სამართლის შესახებ) მომხრეთათვის არ არის და არც შეიძლება იყოს ისეთი რამ, რაც თავისი ობიექტური თვისებების მთლიანობით ქმნიდეს აუცილებლობას — იყოს იმად, რაც იგი არის პოზიტიური სამართლის სფეროში. სწორედ აქ იბადება უნებლიეთ, კითხვა: თუ ყოველივე ეს ასეა თუ მართლაც პოზიტიური სამართლის მიერ მოხსენიებული გარემოების ობიექტურ თვისებებზე სრულებით არ არის დამოკიდებული ამ გარემოების მოხსენიება, — მაშ რით აიხსნება, რომ განსაზღვრულ ურთიერთობათა წარმოშობისათვის პოზიტიური სამართალი იყენებს ხელშეკრულებას, შეთანხმებას, დაფუძნებითს აქტს, ე. ი. სწორედ იმ ფაქტებს, რომელთაც ჩვეულებრივად იყენებენ განსაზღვრული ურთიერთობის დასამყარებლად იმ სფერ-

როშიც, რომელიც პოზიტიურ სამართალს არ ექვემდებარება? რატომ გამოიყენა პოზიტიურმა სამართალმა სწორედ ის ფაქტები, როპელნიც ფორმალური მეთოდის მომხრეთა თვალსაზრისით არ არის მატარებელი იმგვარი ობიექტური, პოზიტიური სამართლისაგან დამოუკიდებელი თვისებებისა, რომელიც თავიდანვე განამზადება ამ ფაქტებს იმ როლისათვის, რაც პოზიტიური სამართლისაგან მათ აქვთ მიკუთვნებული და არ გამოიყენა სხვა რამ, რაც, მაგალითად, სამართლისაგან დამოუკიდებლად სანდკრავს უარყოფით დამოკიდებულებას თავის თავისადმი? და მართლაც, თუ ყოველივე ის, რაც სამართალში უფლებრივ სამოსს პოულობს, ამ სამოსის თვისებით ამოიწურება, თუ ის უფლებრივი სამოსი, რომელშიც ესა თუ ის გარემოება თავსდება, სრულიად არ არის დამოკიდებული ამ გარემოების ობიექტურ თვისებებზე და, ბოლოს, თუ აზრი და შინაარსი სამართალში ასახული ყოველი მოვლენისა ამოიწურება იმ უფლებრივი აზრით და შინაარსით, რომელსაც პოზიტიური სამართალი ამა თუ იმ გარემოებას შეუფარდებს, — მაშინ იძულებული ვიქნებით შივიდოთ მხოლოდ ერთი დასკვნა: სამართლის ყოველგვარ კავშირს რაიმე მოვლენასთან და უფლებრივი შედეგების მიკუთვნებას რაიმე მოვლენისათვის წმინდა შემთხვევითი ხასიათი აქვს. დიახ. ჩვენ გვგონია, რომ სხვა დასკვნის გამოტანა ზემონათქვამიდან შეუძლებელია. ამიტომ სრული უფლება გვაქვს ვიკითხოთ: რით აისსნება; რომ განსაზღვრული უფლებრივი ურთიერთობის წარმოშობასთვის პოზიტიურმა სამართალმა გამოიყენა სწორედ ის გარემოებანი, რომელთაც ის ნამდვილად იყენებს.

ძალიან ხშირად გვსმენია იურისტებისაგან, რომ მაგალითად, იურიდიული პირი არის მხოლოდ სამართლის მიერ შექმნილი თვისება ან რომ, მაგალითად, სამართალი არის სისტემა ადამიანთა შორის ურთიერთობის მომგვარებელი წესებისა. განა პირველი და მეორე ფორმულაც იმას არ გულისხმობს, რომ პირის ობიექტური თვისებებისაგან და იმ ადამიანთა სუბიექტური თვისებებისაგან, რომელთა ურთიერთობასაც სამართალი აწესრიგებს, — მომწესრიგებელი სამართალი დამოკიდებული არ არის? განა აქ აშკარა არ არის, რომ სამართლის სფეროდან განდევნილია ყველაფერი, რაც ცხოვრებას ეკუთვნის, განდევნილია ყოველივე ის, რაც ცხოვრების სინამდვილით სუნთქავს და რისკენაც სამართლის აზრს თავისი მიმართება აქვს? განა უდავო არ არის, რომ, თუ სამართალი არის რაღაც მომწესრიგებელი რამ, იგი გულისხმობს მოსაწესრიგებელსაც როგორც ობიექტურ თვისებებს მთლიანობას? რომ სამართალი თვითონ არ გულისხმობდეს, რომ სუბიექტები შესაძლო ღირებულებით აქტების მატარებელი არიან, ე. ი. რომ სამართალი პიროვნებას განსაზღვრულ ობიექტურ თვისებებს აი

აქუჯნებდეს, მაშინ შეუძლებელი იქნებოდა იმის უარყოფა, რომ სამართლის მიმართებას პიროვნებისაყენ წმინდა შემთხვევითი ხასიათი აქვს: და ამ შემთხვევაში შეგვეძლო გვეთქვა: დიახ, სამართალი, რომელიც მიზნად ისახავს მართლწესრიგი შექმნას, თუმცა მიმართულია პიროვნებისაყენ, მაგრამ იგი შეიძლება, ასევე თავისუფლად სხვა რამისაყენ ყოფილიყო მიმართული. საკითხის ასე დაყენების დროს, რასაკვირველია, არც პიროვნების, არც ფაქტების და არც ხელისუფლების პირობებმა აღარ არსებობს. როგორ შეიძლება, მაგალითად, სამართალში პიროვნების პრობლემაზე ლაპარაკი მაშინ, როდესაც ვაღიარებთ. რომ სამართალში პიროვნებად ყოფნა, პიროვნების ობიექტურ თვისებებზე კი არ არის დამოკიდებული, არამედ იმაზე, თუ ვის მიეკუთვნება კანონმდებლის შეხედულებით ის უფლებრივი თვისებები, რომელნიც პირველად ქმნიან პიროვნებას სამართალში. თუ სამართლისადმი დაპირისპირებულ სფეროში ჩვენ გვაქვს უთვალავი რიცხვი წერტილებისა, რომელთა ობიექტურ თვისებებზე სრულიადაც არ არის დამოკიდებული სამართლის დასაყრდნობ წერტილად ყოფნა, თავისთავად ცხადია, რომ აღარ შეიძლება არსებობდეს სამართლის დასაყრდნობ წერტილთა პრობლემა: გვჩება მხოლოდ პრობლემა დაყრდნობილი სამართლისა, რის გამოც აღარ არის არც ერთი სხვა პრობლემა, გარდა სამართლის პრობლემისა.

ჩვენ ვერ გავიზიარებთ ამ დებულებას. ჩვენ არ შეგვიძლია დავუშვათ. რომ სამართლის შიშობ. რომელიც განსაზღვრულ მიზანს ემსახურება, რაღაც მოვლენა თავისი ობიექტური თვისებების მთლიანობით არ იყოს დანიშნული სამართლის დასაყრდნობად. აგრეთვე წარმოუდგენელია, რომ სამართალს ჰქონდეს მიმართება სხვა რამისადმი, თუ არ ისეთი მოვლენისადმი. რაც თავისი ობიექტური თვისებების მთლიანობით თავიდანვე დანიშნულია იყოს სამართლის შემსრულებელი. პოზიტიური სამართლის ნორმა მიმართულია მხოლოდ იმისადმი, რაც განსაზღვრული შესაძლო ღირებულებითი აქტების მატარებლად იგულისხმება: ჩვენ ვერ მოვნახავთ ვერც ერთ შემთხვევას. რომ ეს ნორმა სხვა რამისაყენ იყოს მიმართული. ან შეიძლება დავვისახელონ ასეთი შემთხვევები უფლებრივი ცხოვრების ისტორიიდან; შეიძლება გვიხარან, რომ სამართლის ნორმა ზოგჯერ ყოფილა ხოლმე მიმართული არა მარტო პიროვნებისადმი, არამედ აგრეთვე ცხოველებისადმი, ზემუნებრივი არსებისადმი და სხვ. ასეთი მაგალითი ბევრია, მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ; თუ რა თვალსაზრისი იყო გაბატონებული ცხოველთა და ზემუნებრივ არსებათა შესახებ მაშინ, როცა შესაძლებლად მიჩნდებოდა, რომ სამართლის ნორმა მათადმიც ყოფილიყო მიმართული.

ამგვარად, პოზიტიური სამართლის ყოველი ნორმის შესახებ, ამელიც ამა თუ იმ ურთიერთობას აწესრიგებს, ჩვენ შეგვიძლია ვიცით თხოთ — რატომ არის, რომ პოზიტიური სამართლის ნორმა ნამდვილად მიმართულია იმისადმი, ვინც სამართლისაგან დამოუკიდებლად, ცხოვრების ამ ურთიერთობათა მხარეს ან ელემენტს წარმოადგენს. რატომ არის, მაგალითად, რომ მშობლებსა და შვილებს შორის ურთიერთობის მომწესრიგებელი ნორმები მიმართულია იმათკენ, ვისკენაც ისინი ნამდვილად მიმართული არიან, თუ იმ თვისებებზე, რომელნიც ერთს ქმნიან მშობლად და მეორეს — შვილად, არ არის დამოკიდებული ან მოვლენად ყოფნა, რა მოვლენასაც ისინი სამართალში წარმოადგენენ? არა, სამართალში შემთხვევით არაფერი იხსენიება. ისეთს ვერაფერს აღმოვაჩენთ სამართალში, რაც თავისი ობიექტური თვისებებით არ იყოს დანიშნული იმისათვის, რომ ის სამართალში არსებობდეს. და ჩვენ ვერ მოვნახავთ მასში სამართლის კავშირს ისეთ რამესთან, რასაც წმინდა შემთხვევითი ხასიათი ჰქონდეს, ვერ მოვნახავთ სამართლის სფეროში ისეთ რასმე, რომლის ობიექტური თვისებებითაც წინასწარვე არ იყოს მოცემული აუცილებლობა პოზიტიურ სამართალში მისი არსებობისა და შეცდომა არ იქნება, თუ ვიტყვი, რომ ყოველ პოზიტიურ სამართალს საფუძვლად უდევს ცხოვრების ესა თუ ის ურთიერთობა, რაიმე ობიექტური თვისება, თუ ხარისხი ან, დასასრულ, ღირებულებათა მომენტი. აი სწორედ ეს გარემოება სპობს იმის შესაძლებლობას, რომ უფლებრივი თვისებები შემთხვევით იყოს მიმაგრებული ამა თუ იმ ცენტრებზე. აი, სწორედ ეს ქმნის სამართლის სფეროში იმის არსებობის აუცილებლობას, რაც მასში ნამდვილად მოცემულია.

რა საჭიროა ყოველივე ეს? ზემოთქმულიდან ნათელია, რომ ეს საჭიროა, მხოლოდ იმისათვის, რომ ამ ფაქტიურ ურთიერთობაში იხსნება ის ჩვენი კონკრეტულ-ღირებულებათი, მნიშვნელობა, რომელნიც კონკრეტული ნორმის კონკრეტულ განმარტაცილებლად გვხვდის.

მაგრამ რას ნიშნავს ეს? ვანა იმას ნიშნავს, რომ სამართლის ნორმა ფაქტიური ურთიერთობის ასლია? სრულიადაც არა.

რომ ყოველი ნორმა შესაძლო ფაქტიურ ურთიერთობათა განსაზღვრულ ერთიანობას გულისხმობს, ეს სრულიად უდავოა. მაგრამ, მეორე მხრით, არც იმის უარყოფა შეიძლება, რომ მსჯელობა შესაძლო ფაქტიურ ურთიერთობათა შესახებ ბოლოს და ბოლოს არის გამოცხადებულია ჩვენი დამოკიდებულების აზრისა არა ნორმისადმი, არამედ თვით ფაქტისადმი. ამასთან დაკავშირებით, რასაკვირველია, უნდა დაიბადოს კითხვა: კარგი და, რაღა უნდა მიუმატოს ამ შემთხვევაში სამართალმა ფაქტიურს? იქნება იგი სრულიად ზედმეტია?

თუ საკითხს ასე დავაყენებთ. შეიძლება მართლა დაიბადოს ექვე-
მიწანშეწონილია თუ არა სამართლის არსებობა. მაგრამ საკმარისია
პრობლემის შინაარსს ცოტა ღრმად ჩავხედოთ, და ჩვენ დავრწმუნდებ-
ით: თუ რაოდენად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან ჩემი დგომა შე-
საძლო ფაქტიურ ურთიერთობათა წინაშე და ჩემივე დგომა ამავე ფა-
ქტიურ ურთიერთობათა წინაშე სამართლის უწყებულ ნორმაში მოცე-
მული ღირებულებითი მომენტის მხრით.

თუ რაში მდგომარეობს სამართლის პოზიტივობა და რა როლს თა-
მაშობს პოზიტიური სამართლის ნორმაში მოცემული ღირებულები-
თი მომენტი. — ამაზე ჩვენ ზემოთ ვილაპარაკეთ. აქ კი შევეცდებით
მხოლოდ სქემატურად აღვნიშნოთ, თუ რაში მდგომარეობს შინაარსი
იმ შესაძლო ფაქტიური ურთიერთობის შესაძლო უფლებრივი მოწეს-
რიგებისა, რომელიც ნაგულისხმევია პოზიტიური სამართლის ნორმაში.

არ შეიძლება იმის უარყოფა, რომ, მაგალითად, საოჯახო სამართ-
ლის ნორმები, სანივთო ან ვალდებულებითი სამართლის ნორმები და
ნორმები, რომლებიც საკუთრებას, მფლობელობას და სხვ. შეეხება,
მთლიანად ვერ ამოწურავენ იმ ურთიერთობათა თვისებებს, რომელ-
თაც ეს ნორმები აწესრიგებენ, რომ ასე იყოს, ექვს გარეშეა. საკუთრე-
ბის, მფლობელობის, ოჯახური ცხოვრების და სხვ. წარმოშობის მიჯ-
ნად პოზიტიური სამართლის ნორმა უნდა ჩაგვეთვალა. მაშინ ჩვენი
ქორწინება უნდა მომხდარიყო სამართლის გულისათვის, მაშინ მესა-
კუთრედ ჩვენ ვიქნებოდით მხოლოდ იმიტომ, რომ არსებობს ნორმა
საკუთრებაზე, მფლობელი ვიქნებოდით მხოლოდ სამართლისადმი პა-
ტივისციემის გამო და, დასასრულ, გვექნებოდა სურვილი სხვისი ჩვე-
ნად გვექცია და ჩვენი სხვისად — მხოლოდ იმიტომ. რომ არსებობს
თვითნებისად შექმნილი ნორმები, რომელნიც ყიდვა-გაყიდვას ითვ-
ლისწინებენ. მაგრამ ჩვენ ხომ სამართლის გულისათვის არ გვებადება
სურვილი ქორწინებისა, სამართლისადმი პატივისციემის გამო ხომ არ
წარმოიშობა ჩვენთვის აუცილებლობა, რომ ამა თუ იმ ნივთის მფლო-
ბელი ვიყოთ, სამართლის გულისათვის ხომ არ ჩნდება ჩვენში სიძუ-
რული და სიძულვილი და სამართლისათვის ხომ არ ვაწარმოებთ რისა-
მე გაცვლას, დაგირაგებას, გაყიდვას და სხვ. და სხვ.? არა, სრულია-
დაც არა, რომ ყველაფერი სამართლის გულისათვის ხდებოდეს, მაშინ
სამართალში განზოგადებული არაფერი იქნებოდა; მაშინ სამართალ-
ში ყველაფერი კონკრეტულად უნდა ყოფილიყო მოხსენიებული; მა-
შინ სამართალში კონკრეტულად უნდა იყოს ჩამოთვლილი ყველა ნივ-
თი, რაც ჩემი ფაქტიური ბატონობის სფეროშია და აგრეთვე ყოველი
პირისათვის უნდა იყოს აღნიშნული ვადა, როდესაც მას შეუძლია ესა-
ოუ ის კონკრეტული ნივთი გაყიდოს, დააგირაოს, იყიდოს, გადაცვა-
ლოს და სხვ. მაგრამ ეს ასე არ არის. თვით სიყვარულში, ჩვენი აზრით,

მოთავსებულია გეგმა ჩვენი დამოკიდებულებისა იმისადმი, რაც გვეყვარს. თვით გაკირვების განცდაში, განსაზღვრული ეკონომიური პირობების დროს. ისაბეა შინაარსი ჩვენი შესაძლო დამოკიდებულებასა იმ თბიქტებისადმი, რომლისკენაც გაკირვება გვეზიდება და ეს წარმოდგენა შესაძლო დამოკიდებულების შესახებ უსათუოდ არის განგრძობა, თუ შეიძლება ასე ითქვას, ჩემი ნაშდვილი ფაქტიური მდგომარეობისა: ეს რაიმე ფანტაზიისა და კაპრიზის ნაყოფი როდია, არამედ ეს იმ გარემოებათა ძალაა, რომელნიც ჩვენზე მალა დგანან.

რასაკვირველია, სამართალი ყველა ამ შესაძლო ურთიერთობას არ აწესრიგებს; რა თქმა უნდა, მთლად ის გეგმა, რომელიც ფაქტიურის სამყაროშია მოცემული, სამართლის კანონშეზომილობაში არ თავსდება. და ცხადია, ყველაფერი, რაც ფაქტიურ გარემოებათა ქალათ იქმნება, უფლებრივ სამოსს არ საკირვებს. მხოლოდ ზოგიერთი მათგანი, მხოლოდ ნაწილი საერთო მსოფლიო წყობისა, რომელიც იათოთუელ შემთხვევაში ფაქტიური, ე. ი. ისტორიული პირობების ჯამათ ისაზღვრება, პოულობს სამართალში თავის გამოხატულებას. ჩვენ ისე შევეჩვიეთ, ყველაფერი სამართლის სამოსში ვიგულისხმობთ და ყოველივეს სამართალში მიგუჩინოთ ადგილი, რომ გვეგონია — საკმარისია სამყაროა უფლებრივი სამოსი მოძერეს და იგი მაშინვე ქაოსისა და საშინელი არევე-ღარევის ბნელ მორეეში ჩაიფლობა: ჩვენ გვეგონია — საკმარისია ცხოვრება თავისი უფლებრივი გარსიდან ამოვადლოთ, და იგი „ბნელ ღამეში ზანგთა ბრძოლად“ გადაიქცევა. მაგრამ ეს სრულიადაც ასე არ არის. შესაძლებელია უფლებრივი კალაპოტიდან ამოვარდნილი ცხოვრება აღარ იქნეს ის ცხოვრება, რომელსაც ჩვენ ვიცნობთ, მაგრამ იგი არ იქნება ქაოსი, მასში იქნება ახალი წესრიგი, მასში თითოეული ჩვენი მოქმედება რამე მოვლენით იქნება განსაზღვრული.

მაგრამ რა შესაძლო ფაქტიური ურთიერთობანი შეიძლება იქნეს მოცემული უფლებრივ სამოსში, და ვინ კაზმავს მათ ამ სამოსში? ან თუ კაზმავს — რისთვის? ორ პირველ კითხვაზე შეგვიძლია მოკლედ ვუპასუხოთ — 1) ის, ვინც ისტორიის მიერ მოწოდებულია შესაძლო ფაქტიურ ურთიერთობათაგან აირჩიოს ღირებულებითი ურთიერთობანი; 2) ის, ვისაც ისტორიამ მისცა უფლება და ძალა თავისი რწმენას თანახმად მოახდინოს შესაძლო ფაქტიურ ურთიერთობათა შეფასება უდავოა, რომ კლასთა ბრძოლა ეკონომიური პირობების შედეგია, მაგრამ ორ კლასს შორის წარმოებული ბრძოლა განსაზღვრული ფაქტიური მდგომარეობაა. განა შეგვიძლია იმის უარყოფა, რომ თვით აღნიშნულ ფაქტიურ მდგომარეობაში მოთავსებულია, როგორც გეგმა ამ კლასების შესაძლო ურთიერთობისა, ისე გეგმა მათი დამოკიდებულებისა იმ ეკონომიური დოვლათის სამყაროსადმი, რომელიც ამ

კლასების ბრძოლას განსაზღვრავს? რა თქმა უნდა, არ შეგვიძლია. და აი ისტორიამ უნდა გადაწყვიტოს, ვის აქვს უფლება და ვის შეუძლია შესაძლო ფაქტიური ურთიერთობა უფლებრივ ურთიერთობად აქციოს. ისტორიამ უნდა გადაწყვიტოს — ვისი სამართალწმენა უნდა იყოს სუვერენი. და იგი მართლაც წყვეტს ამ საკითხს.

მაგრამ რას უნდა ემსახურებოდეს ამ შემთხვევაში სამართალი? რა უნდა მიუმატოს მან ცხოვრებას? რატომ არ შეგვიძლია ყველაფერი მოვლენათა მსვლელობას მივანებოთ? ზემონათქვამთან დაკავშირებით ეს კითხვები ბუნებრივად იბადება. მაგრამ პასუხი რომ მივიღოთ, საჭიროა გამოვარკვიოთ — როგორ არიან მოცემული ზემოაღნიშნული შესაძლო ფაქტიური ურთიერთობანი.

ექვს გარეშეა, რომ ფაქტიური ურთიერთობანი და მათგან წარმოშობილი წარმოდგენა შესაძლო ფაქტიურ ურთიერთობათა შესახებ დგანან ჩვენი შეგნების წინაშე როგორც რალაც Zufällig-ი, რომელიც არსებობს, მაგრამ რომელიც შეიძლება არც იყოს, ანდა შეიძლება იყოს სხვანაირი, ვიდრე არის. სხვანაირად რომ ვთქვათ. ურთიერთობის ყოველი კონკრეტული შესაძლებლობა, როგორც უნდა იყოს მისი ისტორიული მდგრადობა, მოცემულია აგრეთვე როგორც შანსი იმისა, რომ იგი შეიძლება არ გაგრძელდეს. აქ, როგორც ვხედავთ, შეუძლებელია გვქონდეს ის პერსპექტივა, რომელიც ესოდენ აუცილებელია გარკვეულობისა და მდგრადობისათვის. ხოლო პოზიტიური სამართლის ნორმის წყალობით განსაზღვრული ფაქტიური ურთიერთობის შესაძლებლობა ჩვენ მდგრად პერსპექტივაში გვაქვს. იმის გამო, რომ შესაძლო ფაქტიურ ურთიერთობას სამართლის ნორმაში ჩვენ განსაზღვრული ღირებულებითი მნიშვნელობით ვიღებთ, ხვალისათვის შესაძლებელი ჩვენ გვევლინება როგორც ხვალისათვის აუცილებელი, თუმცა ისტორიულად შეიძლება, რომ ის, რაც ხვალისათვის გათვალისწინებულია მხოლოდ როგორც შესაძლებელი, აღმოჩნდეს შეუძლებელი, ე. ი. აღმოჩნდეს, რომ აუცილებლობას სხვა ყოფა წარმოადგენდა. როგორც ვხედავთ, აქ ჩვენ თითქოს ვძლევთ იმის არარსებობის შესაძლებლობას, რასაც ფაქტიური ურთიერთობის თანახმად, შესაძლო ურთიერთობად ვთვლით, ვაღიარებთ, რა განსაზღვრულ შესაძლო ურთიერთობას უფლებრივ ურთიერთობად, ჩვენ ამით აღნიშნულ ურთიერთობის უიმედო ან ნაკლებად საიმედო პერსპექტივაში მოცემული ვართ ახალი განზომილებით. ჩვენ თითქოს გადავდივართ მასში უფლებრივი პერსპექტივით. აქ ფაქტიური ურთიერთობის პერსპექტივაში თითქოს უფრო მდგრადი ვართ. ჩვენ თითქოს დღესვე ვსპობთ „შეიძლება არ იყოს“ შესაძლებლობას, თუმცა ხვალ შეიძლება აღმოჩნდეს, რომ ეს ურთიერთობა ვერ დარჩებოდა იმ ურთიერთობად, რასაც იგი დღეს წარმოადგენს, მაგრამ ეს აღმოჩნდება ხვალ; ხოლო

მცვრადობა, გარკვეულობა, „შეიძლება სხვანაირი იყოს“-ის ფორმულასაგან განდგომა ჩვენ სწორედ დღეს გვეპირდება. ეს ჩვენთვის სწორედ ამ წამს არის საჭირო. ეს გარკვეულობა გვეპირდება ყოველთვის იქ, სადაც არის დასაწყისი დასასრულისა და დასაწყისი დასაწყისისა. ყოველივე ეს ჩვენთვის საჭიროა არა ისტორიის შემდეგ, როდესაც უკვე ყველაფერი გარკვეული და ცნობილია, არამედ მაშინ, როცა მომავალს შევეყურებით. ეს ჩვენთვის საჭიროა იმ საფეხურზე, სადაც განსაზღვრული ფაქტიური ურთიერთობა მოცემულია როგორც ისტორია, ხოლო მომავალი ამ უკვე არსებული ფაქტიური ურთიერთობა მოცემულია მხოლოდ როგორც შესაძლებლობა.

ვალდებულნი ვართ, რომ შესაძლო ფაქტიურ ურთიერთობას ღირებულებებით ურთიერთობად, მიუხედავად მისი ისტორიული ხვედრისა, ე. ი. მიუხედავად იმ ხვედრისა, რომელიც მხოლოდ ხვალ გამოირკვევა, ჩვენ ამ შესაძლო ურთიერთობას დღესვე ვათავისუფლებთ „შეიძლება სხვანაირი იყოს“-საგან, თუმცა, ვიმეორებთ, ხვალ იგი შეიძლება მართლა სხვანაირი აღმოჩნდეს.

მაგრამ რა ქმნის ამ გარკვეულ განგრძობადობას და მდგომარეობას მარად მიმავალ ისტორიულში? სამართალში ხომ მარადი სახე არ არის? ხომ ცხადია, რომ სამართალიც იცვლება? ხომ შეიძლება აღმოჩნდეს, რომ სამართალი ნაკლებ მდგრადია, ვიდრე ის ურთიერთობა, რომელსაც იგი აწესრიგებს, როგორღა შეუძლია მას ფაქტიურში სიმტკიცე და მდგრადობა შექმნას? როგორღა ხდება რომ სამართლის წყალობით შესაძლო ფაქტიური ურთიერთობა დღესვე მოცემულია ჩემთვის ისეთი პერსპექტივით და გარკვეულობით, რომ მის განსაზღვრულ ნამდვილ ისტორიულ ხვედრამდე, ე. ი. მანამდე, ვიდრე ნამდვილად გამოირკვეოდეს — ეს ურთიერთობა შესაძლებელი იყო, თუ აუცილებელი, — იგი დგას ჩვენ წინაშე როგორც ერთადერთი შესაძლებელი რამ. ე. ი. აუცილებელი რამ? და ჩვენ ვფიქრობთ: რომ მთელი სამყარო ამოვადრთ უფლებრივი ბუდიდან, რომ ცხოვრებას ამოვგლიჯოთ მთელი უფლებრივი შინაარსი. ამით ცხოვრება ქაოსად არ იქცევა.

აქ შეიძლება იყოს იმედი, მაგრამ არ შეიძლება ადგილი ექნეს მტკიცე რწმენას. აქ შეიძლება არსებობდეს შანსი, მაგრამ არ შეიძლება გვექნოდეს ის გარკვეულობა, რომელიც ესოდენ აუცილებელია ვიმყოფებით რა ფაქტიურ ურთიერთობაში, როგორც განმანათლებელი ნორმისა, რომელშიც ეს ურთიერთობა აღიარებულია ღირებულებებით. ურთიერთობად, ჩვენ აპირებთ საშუალება გვეძლევა, შესაძლო ფაქტიურ ურთიერთობაზე ვიმსჯელოთ, როგორც ხვალმათვისაც აუცილებელ ურთიერთობაზე. მაგრამ რა ქმნის ამ პერსპექტივას? მხოლოდ უფლება-მოვალეობა, ვინაიდან ამ უკანასკნელის საშუალებით, ჩვენ უწყებულ მომენტშივე ვიცილებთ თავიდან „შეიძლება სხვანაირ-

რაც იყოს“, ხოლო ეს უკვე ქმნის იმ სიმტკიცეს და მდგრადობას, რაზედაც ჩვენ ვლაპარაკობდით.

მაგრამ როგორია ეს ფაქტიური გარემოებები, რომელთაც აღნიშნული ღირებულებანი წყაროსთან უნდა მიიყვანონ? ამ კითხვაზე ჩვენ შეგვიძლია უბრალოდ ვუპასუხოთ: არ არის სამართალში ისეთი ღირებულება, რომელიც შესაძლო ფაქტიური ურთიერთობის ღირებულებას არ წარმოადგენდეს.

მაგრამ თუ ყველაფერი მართლაც ასეა, ცხადია, თუ რა მნიშვნელობით უნდა ამოიწურებოდეს ამ ფაქტიურის გარემოებათა დანიშნულება. თუ სამართლის ნორმა ერთგვარ ღირებულებითს პერსპექტივას გვაძლევს თვით ფაქტიურში. თავის თავად ნათელია, რომ სამართალში აღნიშნულ ფაქტიურ გარემოებათ შეიძლება მხოლოდ ის მნიშვნელობა ჰქონდეს, რომ ეს ფაქტიური გარემოებანი აპირობებენ ჩვენს დგომას ნორმის წინაშე.

როგორც ვხედავთ, ჩვენთვის სრულებით მიუღებელია ყველა ის თეორია, რომლებიც აღნიშნავენ, რომ პოზიტიური სამართალი თითქოს ამა თუ იმ ფაქტზე მიამაგრებს ხოლმე ამა თუ იმ განსაზღვრულ იურიდიულ შედეგებს. ასეთი რამ შეუძლებელია. პოზიტიურ სამართალს შეუძლია მხოლოდ აღნიშნოს ერთგვარი ფაქტიური მდგომარეობა. მხოლოდ ამ აღნიშვნას ის მნიშვნელობა აქვს, რომ ყოველი რეალობა, რომელიც ამ აღნიშნულს შეეფერება, გვქმნის ჩვენ მხოლოდ ნორმის განმარტაციელებლად, ესე იგი ქმნის იმ ჩვენს მნიშვნელობას, რომლითაც გაპირობებულია ჩვენი დგომა ნორმის წინაშე.

თავის დროზე ჩვენ აღვნიშნეთ, რომ ნორმათა ყოველი სისტემა შესაძლო განმარტაციელებლებს გულსახმობს. ვფიქრობთ, ეს დებულება იმ აზრით არ იქნება გაგებული, თითქოს თითოეული კონკრეტული ინდივიდუალში თავისი არსებობის ყოველ წამს არის, ან უნდა იყოს ყოველნაირი კონკრეტული ნორმის განმარტაციელებელი.

რომ კონკრეტული სუბიექტი კონკრეტული ნორმის განმარტაციელებელი გახდეს, თვითონ ეს სუბიექტი განსაზღვრული კონკრეტული მნიშვნელობით უნდა იყოს მოცემული. ჩვენ, მაგალითად, ლოგიკურად ვაღიარებთ, რომ სამართლის ნორმა, რომელიც ნასყიდობას ან სამხედრო სამსახურს შეეხება, განხორციელებულ უნდა იქნეს, მაგრამ ამით ხომ ჩვენ ჯერ კიდევ ნორმის განმარტაციელებელი არა ვართ.

იმისათვის, რომ ჩვენ კონკრეტული ნორმის კონკრეტული განმარტაციელებელი ვიყოთ. საჭიროა ამ ნორმის მედიუმად ვიქცეთ, ე. ი. უნდა განვისაზღვროთ ისეთი მნიშვნელობით (თავისთავად ან რისაზე მიმართ), რაც გამოიწვევს ჩვენს კონკრეტულ (როგორც განმარტაციელებლების) დგომას კონკრეტული ნორმის წინაშე. და ყველა იმ გარემოებას, რომლებზეც ვლაპარაკობდით, ის მნიშვნელობა აქვთ, რომ მ-

თი საშუალებით ისახლვრება ჩვენი დგომა ნორმის წინაშე როგორც განმახორციელებლებისა; მაგრამ ერთ შემთხვევაში ჩვენი ეს კონკრეტული დგომა ნორმის წინაშე გამოწვეულია ჩვენი კონკრეტული მნიშვნელობით, რაც ჩვენი სურვილებისაგან დამოუკიდებლად წარმოიშობა, ხოლო მეორე შემთხვევაში კანონმდებელი ცალკე პირს უტოლებს სრულ თავისუფლებას — განსაზღვროს თავისი ის მნიშვნელობა. რაც მას კონკრეტული ნორმის კონკრეტულ განმახორციელებლად ღლის. ეს არსებითად მიიღწევა იმით, რომ განსაზღვრული გარემოების ან ფაქტების საშუალებით, რომელთა გამოყენებაც ჩვენს შეხედულებებზე დამოკიდებულია, ჩვენ კონკრეტულად ვისახლვრებით ისეთი მნიშვნელობით, რომ უნებურად ვდგავართ პოზიტიური სამართლის განსაზღვრული ნორმების წინაშე.

აი ეს ორი საშუალება, ე. ი. როცა ჩვენი მნიშვნელობა, რომელიც იწვევს ჩვენს დგომას ნორმის წინაშე, ნორმით არის განსაზღვრული და როცა ეს დგომა ნორმის წინაშე განისაზღვრება ჩვენივე მნიშვნელობით, რაც ჩამოყალიბებულია ჩვენ მიერ და ამიტომ ჩვენ მიერვე შეიძლება შეცვლილ იქნეს (ამასთან დაკავშირებით შეიძლება მოისპოს ჩვენი დგომაც ნორმის წინაშე). — აი ეს ორი საშუალება ქმნის განსხვავებას სამართლებრივი მოწესრიგების ეგზეთორდებულ ცენტრალისტურ და დეცენტრალისტურ ხერხს შორის. სხვაგვარი მიდგომა ამ პრობლემისადმი შეუძლებელია.

რაკი ნორმათა სისტემას ჩვენ ერთსა და იმავე თვისებას, ერთსა და იმავე ბუნებას და კანონშეზომილობას ვემორჩილებით, რაკი ნორმათა სისტემას ჩვენ ვუყურებთ, როგორც რეალიზაციისათვის დანიშნულ ღირებულებათა სისტემას, თავის თავად ცხადია, რომ განსხვავებაც იმ უფლებრივ ურთიერთობათა შორის, რომელნიც პოზიტიური სამართლის სფეროში შეიძლება გათვალისწინებულ იქნენ, როგორც განხორციელებლობა განსაზღვრული ნორმებისა, უნდა ვეძიოთ პოზიტიური სამართლის ამა თუ იმ ნორმების წინაშე ჩვენი დგომის განსაზღვრის საშუალებაში.

ჩვენ ვიციით თეორიები, რომელნიც განსხვავებას საჭაროსა და კერძო სამართალს შორის სამართლებრივი მოწესრიგების საშუალებაში ხედავენ; იმას რაც ჩვეულებრივად საჭარო სამართლად ითვლება, ისინი აღიარებენ ცენტრალისტური სამართლებრივი მოწესრიგების ხერხად. ხოლო კერძო სამართალს — დეცენტრალისტური სამართლებრივი მოწესრიგების ხერხად¹. მაგრამ ყოველივე ეს უნდა გავიკოთ ჩვენ მიერ აღნიშნული აზრით.

¹ Покровский, Основные проблемы гражданского права, Петроградский. Теория права.

ცხადია, რომ ჩვენი თეზისი არსებითად განსხვავდება იმ შეხედულები-საგან, რომელსაც იცავენ ლიტერატურაში კერძო და საჯარო სამართლის შექაზებ. ამიტომ ინტერესს მოკლებული არ იქნებოდა, რომ ჩვენი ძირითადი დებულება გაგვეშუქებინა ზოგიერთ ავტორთა თეორიების მიხედვით. მაგრამ ამას თავს ვანებებთ, რადგანაც ჩვენი ამოცანის ფარგლებში ეს არ შედის.

ზემოთქმულიდან ცხადია, რომ ყოველ ნორმას აქვს აუცილებლად საჯარო სამართლის ხასიათი, ვინაიდან, როგორც არაერთხელ აღვნიშნავს, ნორმა ყოველთვის გულისხმობს განმახორციელებელ სუბიექტს, რომელიც შეიძლება არ იყოს განწყობილი ნორმის ასრულებისათვის. სწორედ იმიტომ, რომ ნორმა უნდა იქნეს განხორციელებული, მიუხედავად იმისა, გვსურს თუ არა მისი განხორციელება. ეს ნორმა ყოველთვის გვევლინება მისი ობიექტურა მნიშვნელობით და ძალით და აქ კი უკვე ისახება ნორმის ნამდვილი საჯარო სამართლის ხასიათი. როგორც აქედან ირკვევა, თვით ნორმათა სისტემაში ჩვენ არ შეგვიძლია განვასხვავოთ საჯარო სამართლისა და კერძო სამართლის ნორმები. ყოველი ნორმა ნორმაა, ხოლო ნორმათა შორის არის ისეთები, რომლებიც ჩვენ დგომას ნორმის წინაშე (განმახორციელების მნიშვნელობით), საზღვრავს იმ პირობებით, რომელთა წარმოშობა სავსებით ჩვენზეა დამოკიდებული და რომლებიც ჩვენი სურვილებს მიხედვით შეიძლება შეეცლილ იქნენ, და აგრეთვე ისეთებიც, რომლებიც ჩვენ კონკოეტულ დგომას ნორმის წინაშე (განმახორციელების მნიშვნელობით), საზღვრავენ მნიშვნელობით, რომელსაც ჩვენ, ჩვენი სურვილების დამოუკიდებლად, ვლებულობთ.

მაგრამ თუ საერთოდ ასეთია სამართლის ნორმის ბუნება, თუ ყოველი ნორმა ყოველთვის ერთნაირი ობიექტურა მნიშვნელობით გვევლინება, იმადა მიუხედავად, თუ რით არის გამოწვეული ჩვენი დგომა ნორმის წინაშე, თავისთავად ნათელია, რომ სამართალი, ნორმა თავისი ბუნებით თავიდანვე გულისხმობს ნორმის უზენაესობას ინდივიდუალის კერძო ნებაზე: და ამასთან დაკავშირებით კი შემცდარ შეხედულებად მიგვაჩნია ყველა ის შეხედულება, რომელნიც შესაძლებლად თვლიან ნორმათა კლასიფიკაციას ინდივიდუალისტური თუ კოლექტივისტური, პრინციპების მიხედვით, ვინაიდან როგორც ინდივიდუალისტური, ისე კოლექტივისტური მსოფლმხედველობა თუმცა სხვადასხვანაირად, მაგრამ ბოლოს და ბოლოს მაინც ინდივიდუალულის ღირებულებას ემყარება.

ჩვენი აზრით, საკითხის ასე დაყენება არ შეიძლება. ინდივიდუალუ-ზმი, რომელიც ჩვენ ამ შემთხვევაში გვესმის, როგორც თავისუფლება, შეუძლებელია ასახული იყოს რომელიმე პრინციპით და, მამსადამე,

ნორმოთაც. ვინაიდან, თუ ნორმა სუბიექტს დაეუპირისპირეთ, მაშინ ეს ნორმა თავისი ღრებულგებითი მომენტის ნორმატიული მნიშვნელობით დაძლევს აღნიშნულ თავისუფლებას. ამიტომაც ნორმა და ინდივიდუალიზმი ერთიმეორის უარყოფელი დებულებაა. ისე როგორც რუსოს *Volonte generale* თავიდანვე უარყოფს კერძო ხებისყოფას, სწორედ ასევე ყოველი ნორმა თავიდანვე უარყოფს კერძო ნებისყოფის სუვერენობას. კერძო ნებისყოფა და სამართალი — ეს, როგორც ვთქვით, ორი ერთმანეთის საწინააღმდეგო დებულებაა. და ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ: ან სამართალი, ან კერძო ნებისყოფა, *tertium non datur*. ამიტომაც არ იქნება გადაჭარბებული, თუ ვიტყვით, რომ ყველა თეორია ჰეგელიდან დაწყებული, რომლებიც სამართალს ნებისყოფის პრიმატზე ამყარებდნენ, ლოგიკურად თვით სამართლის უარყოფამდე უნდა მისულიყვნენ, და თუ ისინი ასეთ დასკვნამდე არ მიდიოდნენ. მხოლოდ იმიტომ, რომ საკუთარ ძირითად დებულებას დაღატობდნენ. ძნელი არ იქნებოდა გვეჩვენებინა, რომ, თუ მაგ. ჰეგელას შემდეგ ტრიპელის, ელინეის და სხვათა მრავალი თეორია, რომლებიც საერთოდ სამართალს და, კერძოდ საერთაშორისო სამართალს, ნებისყოფაზე ამყარებდნენ, არ მისულან თვით სამართლის უარყოფამდე. ეს აიხსნება იმ შინაგანი წინააღმდეგობით, რომელიც ამ თეორიებს ახასიათებს.

როგორც დავინახეთ, ერთ შემთხვევაში ჩვენი დგომა ნორმის წინაშე (განმახორციელებელის მნიშვნელობით) დამოკიდებულია ჩვენს სურვილებზე. მეორე შემთხვევაში კი იმ მნიშვნელობაზე, რომელსაც ჩვენ ჩვენგან დამოუკიდებლად ვღებულობთ: ხოლო ორივე შემთხვევაში ნორმები გვევლინებიან ერთნაირი ბუნებით და ობიექტური თვისებებით. ამასთან დაკავშირებით ცხადია, რომ ყოველ ნორმას საჭარო სამართლის ხასიათი უნდა მიეწეროს. მაგრამ ნორმათა შორის, რომლებიც ასეთი საერთო ბუნებით ხასიათდებიან, ჩვენ ვასხვავებთ ნორმებს. რომლებიც შეიძლება ჩემ შვირ მხოლოდ ჩემთვის ხორციელდებოდეს. იმ ნორმებისაგან, რომლებიც ჩემ მიერვე შეიძლება ყველასათვის ხორციელდებოდეს. „ყველა“ და „ყველასათვის“ ხომ არ შეიძლება გაიგივებულ იქნენ? შესაძლებელია ნორმები, რომლებიც ყველას გულისხმობენ, მაგრამ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ისინი შეიძლება მხოლოდ კონკრეტული ადამიანისათვის ხორციელდებოდეს. სამართლის ნორმები, რომლებიც აბსოლუტურ საკუთრებას შეეხება, გულისხმობს ყველას (შესაძლო განმახორციელებლის მნიშვნელობით). მაგრამ ამავე დროს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, როდესაც ვინმე ამ ნორმის რეალურ განმახორციელებლად ხდება, იგი მას მხოლოდ თავისთვის ახორციელებს. ესე იგი ერთნაირი ბუნების მქონე ნორმათა შორის ჩვენ ვასხვავებთ ნორმებს. რომლებიც შეიძლება მხო-

ლოდ ჩემთვის ხორციელდებოდა, იმ ნორმებისაგან, რომლებიც ჩემ მიუხედავად შეიძლება ყველასათვის ხორციელდებოდა. რით მიიღწევა ასეთი ეფექტი? ჩვენი აზრით, მხოლოდ იმით, რომ ზოგიერთ შემთხვევაში სამართლის ნორმა ჩვენს უფლებას რისამე მიმართ საზღვრავს იმას, ობიექტური ღირებულების თვისებებით, რის მიმართაც ეს უფლება ხორციელდება. იმდენად, რამდენადაც სამართლის ნორმა თვით ჩვენს უფლებას საზღვრავს ნების ან სხვა რისამე ობიექტურ ღირებულებებით მნიშვნელობით. ჩვენ გვაქვს ნორმები, რომლებიც ჩემ მიერ ყველასათვის ხორციელდება. მოკლედ რომ ვთქვათ, ნორმის განხორციელება „ყველასათვის“ დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად საზღვრავს სამართალი ჩემს უფლებას რისამე მიმართ ამ უკანასკნელი ობიექტური ღირებულებითი დანიშნულების მიხედვით.

§ 4. ნორმატიული ფაქტების პრობლემა

მაგრამ თუ ასეთი მნიშვნელობა აქვს ფაქტებს პოზიტიურად სამართლის სფეროში, ეს კიდევ სრულებითაც იმას არ ნიშნავს, რომ ამ ფაქტებს შორის არ არსებობდეს ისეთი ფაქტები, რომელთაც თავისი შინაგანი ბუნების მიხედვით შეუძლიათ შექმნან აზრთა განსაზღვრული კომპლექსი, რომელშიც „შე“ და „სხვა“ ვისახებით უფლებამოსილის და ვალდებულის მნიშვნელობით. ბევრს ჰგონია, რომ რამდენადაც პოზიტიურ სამართალს შეუძლია აღიაროს ან ბათილად გამოაცხადოს ყოველი ხელშეკრულება, დაპირება ან დაფუძნებითი აქტი. ამით თითქოს ის მტკიცდება, რომ ამ აქტებს, რომლებიც ჩვენ ფაქტობრივად მიგვაჩნია, არ შეუძლიათ თავისი შინაგანი ბუნების მიხედვით შექმნან იმ ურთიერთობის განცდა, რომელიც დამანასიათებელია უფლებრივი ურთიერთობისათვის.

მართლაც, ამოიწურება თუ არა საერთოდ მთელი სფერო უფლებრივი ცხოვრებისა, მთელი სყურო რეალურ უფლებრივ ურთიერთობათა იმ უფლებრივი ცხოვრებით, რომელიც პოზიტიური სამართლის განხორციელებას წარმოადგენს? ჩვენ ვგვგონია რომ არა, ვინაიდან უფლებრივი ცხოვრების სფერო საერთოდ გაცილებით ფართოა. ვიდრე ის სფერო, რომელსაც პოზიტიური სამართალი შეიცავს. მაგრამ რა იწვევს იმ უფლებრივი ცხოვრების წარმოშობას, რომელიც პოზიტიური სამართლის მოქმედებას არ ექვემდებარება? — ნორმატიული ფაქტები. ქვემოთ ჩვენ დავინახავთ, რომ მართლაც, როგორც რაინახმა აღნიშნა, არსებობს ფაქტები, რომელთაც აქვთ უნარა შექმნან აზრთა ისეთი კომპლექსი, რომ ლოგიკური დამოკიდებულება მასთან გვსაზღვრავს ჩვენ უფლებამოსილისა და ვალდებულის მნიშვნელობით.

რომ დავუშვათ ნორმატიული ფაქტების არსებობის შესაძლებლობა, როგორი უნდა იყოს მათში ამ ფაქტების დამოკიდებულება. რო-

გორც პოზიტიური სამართლისადმი, ისე იმ მეტაფიზიკური გარემოებისადმი, რომელიც პოზიტიური სამართლის წყაროა? თავისთავად ცხადია, რომ, თუ დავუშვებთ ნორმატიული ფაქტების არსებობის შესაძლებლობას, მაშინ: 1) ჩვენ უნდა ვეძიოთ ეს ფაქტები პოზიტიური სამართლის სფეროს გარეშე; 2) უნდა ავიღოთ მათი ნორმატიულობა პოზიტიური სამართლის წყაროსაგან დამოუკიდებლად; 3) რაღაც ნაწილი უფლებრივი ცხოვრებისა უნდა მივაკუთვნოთ ნორმატიულ ფაქტებს; 4) ნორმატიული ფაქტები არაერთაა შემთხვევაში არ შეიძლება პოზიტიური სამართლის წყაროდ ჩაითვალოს, ვინაიდან პოზიტიური სამართლის ნორმას თავისი წყარო აქვს.

თუ როგორ უნდა იდგეს საკითხი იმათთვის, ვისაც ნორმატიულ ფაქტებზე ლაპარაკი სურს. ნამდვილად კი ამ საკითხის შესახებ არსებული ლიტერატურაში ხშირად ფაქტების ნორმატიულობა, ფარულად ან სრულიად აშკარად, გამოაყენებენ იმ მეტაფიზიკური გარემოებიდან. რომელიც სამართლის წყაროს წარმოადგენს, და ვერ ამჩნევენ, რომ ასეთი ორიენტაცია ფაქტების ნორმატიულობისა სამართლის წყაროზე ნორმატიული ფაქტების პრობლემის შესაძლებლობას ძირშივე სპობს.

ცნობილია, რომ პირველი, ვინც ნორმატიული ფაქტების პრობლემა წამოაყენა — გეორგ ელინეკი იყო. რად სჭირდება ელინეკს ეს თეორია? ვფიქრობთ, მხოლოდ იმისთვის, რომ მას სურდა სახელმწიფოს უფლებრივი წარმოშობა დაესაბუთებინა. ელინეკს არ უნდოდა სახელმწიფოს უფლებრივი ბუნება უფლებრივ სიცარიელეზე დაემყარებინა და ამიტომ იგი შეუდგა ძებნას, და თავისებურად „იპოვა“ კიდევ ისეთი ფაქტები, რომელნიც თითონ სამართალს არ წარმოადგენენ, მაგრამ ნორმატიული ძალა თითქოს კი აქვთ.

ელინეკის თეორიის თავისებურება მდგომარეობს იმაში, რომ მან ვერ იპოვა ის, რაც ნაპოვნი ეგონა. როგორც დავინახავთ, ფაქტის ნორმატიულობა ელინეკს თვით ფაქტებიდან არ გამოყავს. ფაქტებს კი არა აქვს ნორმატიული მოქმედების თვისება, არამედ წინააღმდეგ — ფაქტის ნორმატიულობა მის გარეშე მდებარე ბუნებაზე დამყარებული. ელინეკი ამბობს: „საჭირო არ არის დაწვრილებით შევედგეთ მის მტკიცებას. თუ რა ძალა აქვს მოდას, სოციალურ ზნე-ჩვეულებას, ზრდილობის პრინციპებს. რაკი ესა თუ ის მოდა შემოდებულა, იგი მაშინვე აცხადებს თავის უფლებას მისი ნორმატიულად აღიარების შესახებ. თვით მორალურსაც ჩვენ ხშირად ვაფასებთ არა ზოგადი პრინციპების თვალსაზრისით, არამედ იმის თვალსაზრისით, რასაც ასეთად, ფაქტურად თვლის ესა თუ ის ხალხი ან განსაზღვრული საზოგადოებრივი წრე, როგორც ეს საკუთარი გამოცდილებით ყველამ ვერცხად იცის. ვისაც ოღნავ მაინც ჰქონია საქმე ნამდვილ ცხოვრებასთან

და თვალყური უდევნებია მასში გაბატონებული ღრმა ადგილობრივი, ნაციონალური და წოდებრივი სხვადასხვაობისათვის¹.

თუ რა განსხვავებაა ამ ორ შეხედულებას შორის, თავისთავად ნათელია. თუ პირველ შემთხვევაში ნორმატიულობა ფაქტის თვისებაა, ან უფრო სწორად რომ ვთქვათ, ნორმატიულობის განცდა განსაზღვრულ ფაქტებზეა დამოკიდებული, მეორე შემთხვევაში ნორმატიული მნიშვნელობა ხელოვნურია, ე. ი. ნორმატიული განცდა სრულიად არ არის დამოკიდებული იმ ფაქტის თვისებაზე, რომელსაც ნორმატიულობას ვაკუთვნებთ. არსებითად რომ ვთქვათ, ჩვენ ამ შემთხვევაში თვითონ ფაქტს კი არ ვაწერთ განსაზღვრულ თვისებებს, არამედ პირდაპირ განვიცდით განსაზღვრულ ნორმას, რომ ჩვენი აზრი ცარიელ სატყუად არავინ ჩამოგვართვას, შევეცდებით ეს დებულება მოკლედ განვავითაროთ.

ნართლაც და, თუ ნორმატიული ფაქტები არსებობს, ეს უნდა ნიშნავდეს იმას, რომ არის რაღაც (რა თქმა უნდა ფაქტიური), რასაც ყოველთვის და ყოველგვარ პირობებში შეუძლია გამოიწვიოს იმგვარი აზრის განცდა, რომლის ანალოგიური აზრიც ჩვენ გვაქვს სამართლის ნორმის განცდის დროს. მაგრამ თუ ასეთი ფაქტების არსებობის შესაძლებლობას ჩვენ უარვეყოფით და ნორმატიულობას ვაკუთვნებთ ფაქტს არა ამ ფაქტისათვის დამახასიათებელი თვისებების გამო, არამედ აღიარების განსაკუთრებული აქტის ძალით, — ძნელი არ არის შევნიშნოთ, რომ ამ შემთხვევაში ჩვენი პრობლემაც არ არსებობს. დიდ განმარტებას არ მოითხოვს ის დებულება, რომ თუ რასმე ნორმატიულობის ხასიათს ვაკუთვნებთ. — ნორმატიულობა შეიძლება მიეწეროს რასმე მხოლოდ იმ შინაარსით, რომელიც თვითონ ნორმატიულობით ხასიათდება. ე. ი. იმისათვის, რომ რასმე ნორმატიულობის ხასიათი შეეკუთვნოს. საჭიროა ნორმა, რომელიც ამ რასმე ნორმატიულობის ხასიათს აწერს. ამიტომ, თუ ვინმე აღიარების აქტს ან სხვა რამ აქტს თვლის აუცილებლად, რათა ამა თუ იმ ფაქტს ან გარემოებას ნორმატიული ძალა მიენიჭოს, ამისათვის საჭიროა, რომ თვით აღიარების აქტი სამართლად იქნეს ცნობილი.

ამ შემთხვევაში ჩვენ ვლაპარაკობთ მხოლოდ ფაქტისათვის ნორმატიულობის ხასიათის მიკუთვნების შესახებ, ხოლო თუ აღიარების აქტი სამართლად არ ჩაითვლება, იგი ვერ შეიძლება, ფაქტს მიაკუთვნოს ის თვისება, რომელიც მას არ ახასიათებს. თუ ასეთ თვისებას თვით აღიარების აქტს მივაწერთ, ეს თვისება უსათუოდ უნდა გამოიხატოს ამ აღიარების აქტის განსაზღვრულ შინაარსში ე. ი. ამ შემთხვევაში ჩვენ უბრალო აღიარების აქტი კი არ გვექნებოდა, არამედ სამართლის

¹ G. Jellinek, Allgemeine Staatslehre.

ნამდვილი განცდა: ხოლო არა იმ აზრით — თითქოს სამართლის განცდა აქ იქნებოდა განცდა ისეთი რამისა, რაც ამ განცდის გარეშე მოცემულია, არამედ. წინააღმდეგ. თვით ეს განცდა იქნებოდა სამართლის, თუნდაც ანალოგიურად პროფ. პეტრაუციუს უფლებრივი განცდებ-სა. ჩვენ გვგონია, რომ ან ეს დებულება უნდა მივიღოთ, ან უნდა ვთქვათ, რომ ფაქტის ნორმატიულობა არის თვისება, რომელიც ფაქტს მოეწვერება სამართლის საშუალებით. როგორც უნდა მივუდგეთ ამ საკითხს, სულ ერთია, ჩვენ ვერაფერს შივილებთ, გარდა წმინდა აღიარების აქტისა. რომელსაც არ შეუძლია ნორმას თუ აქტს რაიმე ახალი თვისება შესძინოს. ან გვაქვს ნორმატიული ფაქტები, ან ისინი საერთოდ არ არსებობენ. თუ არსებობენ, მაშინ შინაარსი და ბუნება, რაც ამ ფაქტებს ახასიათებს. არავითარ მოვლენაზე დამოკიდებული არ არის: ხოლო არც ერთი აზრი იმის შესახებ — თითქოს ფაქტს ჩვენ ვანიჭებთ უფლებრივ ბუნებას, არაფერს გვეუბნება იმ ფაქტების არსის შესახებ. რომელნიც ნორმატიულ ფაქტებად არიან აღიარებული. ამ შენიშვნაში, ჩვენ ფაქტის ნორმატიული ძალა კი არ გვაქვს, არამედ სამართლის ნორმატიული ძალა.

ერთი სიტყვით, იმისათვის, რომ ფაქტების ნორმატიულ ძალაზე ვილაპარაკოთ. საჭიროა ვაღიაროთ, რომ არსებობს ფაქტები, რომელთაც. თავისი ბუნება-ს თანახმად. „შეუძლიათ“ შექმნან აზრთა კავშირის ისეთი კომპლექსი, რომლისადმი ლოგიკური დამოკიდებულებაც „ძე“ და „სხვა“ გესაზღვრავს უფლებამოსილისა და ვალდებულის მნიშვნელობით. და აი, ჩვენ გვგონია, რომ ელინეკმა გვერდი აუხვია ყველა იმ აუორიულ პირობას, რაც ჩვენ აღვნიშნეთ. „რომ ფაქტიურის ნორმატიული ძალის საფუძველი მის შეგნებულ თუ შეუგნებელ ვონიერებაში ვეძიოთ, — ეს იქნება უკუღმართობა“, — ამბობს ელინეკი. „ფაქტიურია შეიძლება რაციონალიზებულ იქნეს შემდგომ, მაგრამ მისი ნორმატიული მნიშვნელობა შექმნილია ჩვენი ბუნების პირველადი თვისებებით, რომელთა ძალითაც ის, რაც ფიზიოლოგიურად და ფსიქოლოგიურად უკვე განცდილია, უფრო ადვილად შეითვისება, ვიდრე ახალი რამა“. ექვს გარეშეა, რომ აქ ნორმატიულობის თვისება არის არა ფაქტის პირველადი თვისება, არამედ თვისება, რომელიც ამ ფაქტში შექრილია უკვე სპეციფიკურ განცდათა საშუალებით. მართალია, იმის შეთვისება, რაც ფიზიოლოგიურად და ფსიქოლოგიურად უკვე განცდილია, უფრო ადვილი საქმეა, მაგრამ იმ დებულების დასამტკიცებლად, რომლის თანახმადაც ფაქტიურის ნორმატიული ძალა აქვს, ეს სრულიადაც საკმარისი არ არის იმის დასამტკიცებლად, რომ ფაქტი ნორმატიულობას იძენს ჩვენი ბუნებისაგან, რომლის ძალითაც ის, რაც ფიზიოლოგიურად

1 G. Jellinek, Allgemeine Staatslehre.

რად და ფსიქოლოგიურად უკვე განცდილია, უფრო ადვილად შეთვისება; აუცილებლად საჭირო იყო ეჩვენებინათ, რომ ფიზიოლოგიურად და ფსიქოლოგიურად განცდილში არის ნორმატიული თვისება. ან უნდა ელიარებინათ, რომ ფაქტის ნორმატიულობა განცდილის შესახებ არსებული წარმოდგენებიდან გამომდინარეობს. ამ შემთხვევაში კი თვითონ წარმოდგენა განცდილის შესახებ სამართლად იქცეოდა.

მაგრამ განა კონკრეტულად განცდილში მართლა არის რაიმე, თუნდაც ოდნავი კვალი ნორმატიულობისა? შეიცავს თუ არა „განცდილი“ რაიმე ჭერარსობას? ანდა შეიძლება თუ არა, რომ განცდილიდან (თუნდაც იგი ათჟაჭერ განცდილიც იყოს) რაიმე ჭერარსობა გამოვიყვანოთ? არასოდეს, იმისაგან, რაც ფიზიოლოგიურად და ფსიქოლოგიურად უკვე განცდილია, არ გამომდინარეობს, რომ იგი ხელახლად უნდა იქნეს განცდილი. ჩვენ არ მიგვაჩნია აუცილებლად, რომ ფიზიოლოგიური და ფსიქოლოგიური განცდა კვლავ განმეორდეს და რამდენადაც უნდა ვეცადოთ, ფიზიოლოგიურად და ფსიქოლოგიურად განცდილში ჩვენ ვერასოდეს ვერ აღმოვაჩინოთ იმ აზრის მოკვამულობას, რომელიც გვავალებს განვიცადოთ ის, რასაც ამა თუ ამ კონკრეტულ მომენტში განვიცდით. ამგვარად, ფიზიოლოგიურად განცდილი შეიძლება ყოველთვის ნიშნავდეს მხოლოდ ფიზიოლოგიურად

ფსიქოლოგიურად კონკრეტულად განცდილს, საერთოდ კი ფიზიოლოგიურად ან ფსიქოლოგიურად „განცდილი“ შეიძლება იყოს მხოლოდ წარმოდგენა იმ ფიზიოლოგიურ თუ ფსიქოლოგიურ განცდათა შესახებ. რასაც უკვე ადგილი ჰქონდა. თავისთავად ცხადია, რომ ვერც პირველი და ვერც მეორე, რამდენადაც პირველს არ ვალიარებთ უფლებრივ განცდად და მეორეს — ნორმატიულ მსჯელობად ან სამართლად, ნორმატიული თვისებით ვერ დახასიათდება და ვერც იმაზე ვილაპარაკებთ, რომ მათ შეეძლოთ რამეს ნორმატიული თვისება მიაწერონ. ხოლო თუ ვალიარებთ, რომ ამგვარი განცდანი გაიგივებულია სამართალთან, ან წარმოდგენა უკვე მიღებულ ფსიქიკურ თუ ფიზიოლოგიურ განცდათა შესახებ გაიგივებულია ნორმასთან, მაშინ იქნელებული ვიქნებით ვილაპარაკოთ არა ფაქტიურის, არამედ სამართლის ნორმატიულ ძალაზე. ეს კი სრულიად სპობს ნორმატიული ფაქტების პრობლემის არსებობის შესაძლებლობას.

ფაქტიურის ნორმატიული ძალის დასაბუთება სცადა ვალტერ ელნეკმა. უნდა განვაცხადოთ, რომ მან სწორად ჩამოაყალიბა ნორმატიული ფაქტების პრობლემის არსი, მაგრამ სამწუხაროდ, ეს პრობლემა ვერ გადაჭრა. აღნიშნა რა მთელი რიგი ფაქტებისა, რომელთა ნორმატიული ძალაც შექმნილია კანონით, ვალტერ ელნეკმა დაასახელა

ბევრი ისეთი ფაქტი, რომელსაც თითქოს აქვს ნორმატიული ძალა ყოველგვარი კანონისაგან დამოუკიდებლად. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ხსენებულ ავტორს ჩვენ ვერ ვუნახავთ ისეთ ფაქტებს. რომელნიც ნამდვილად ნორმატიული ძალის მატარებელი იყოს. ამოდ ჩაივლიდა ჩვენი ცდა, თუ ავტორს მოვთხოვდით — დაესახელებინა ისეთი ფაქტი, რომელსაც თავისი შინაგანი თვისების ძალით შეეძლოს ყოველთვის, და ამასთანავე ჩვენი განცდისაგან დამოუკიდებლად, შექმნას აზრთა ისეთი შედგენილობა. რომელშიც მე და სხვა დავუპირისპირდებით ერთმანეთს ზემოაღნიშნული აზრით და მნიშვნელობით. დიას, იქნებ ვალტერ ელინეკმა ნორმატიული ფაქტების პრობლემა სწორადაც ჩამოაყალიბა, მაგრამ მიუხედავად ამისა, ფაქტის ნორმატიულობის წყაროდ ბოლოს და ბოლოს ისიც სამართალს აღიარებს.

როგორც არაერთხელ აღვნიშნეთ, ფაქტის ნორმატიული ბუნების დამყარებას სამართალზე ან სამართლის წყაროზე მივყავართ ჩვენ არა ფაქტთან და მის თერაპეასთან, არამედ იმავე სამართალთან, ე. ი. ჩვენი თითქოს ფაქტის ნორმატიულ ძალაზე ვლაპარაკობთ და არსებითად კი საქმე გვაქვს თვით სამართლის ნორმატიულ ძალასთან. ამიტომ ვალტერ ელინეკს არ შეუძლია დაახასიათოს თუნდაც ერთი ფაქტი, რომელსაც ნამდვილად ნორმატიული ძალა აქვს.

რასაკვირველია, არ შეიძლება იმის უარყოფა, რომ არის მრავალი პირობა, რომელნიც ქმნიან სამართლის ვარგისობას. მაგრამ განა ეს იმას ნიშნავს, რომ ეს პირობები თვითონ არიან ნორმატიული მოქმედების თვისების მატარებელი? სრულიადაც არა, რომელიმე კუნძულის დაღუპვას შედეგად მოსდევს იმ უფლებრივი სისტემის დაშლა, რომელიც დაღუპულ ტერიტორიასთან იყო დაკავშირებული. ამა თუ იმ ხალხის მოსპობასაც შეიძლება ანალოგიური შედეგი მოჰყვეს. მაგალითი გარემოებათა ძალით სამართლის მოსპობისა ჩვენ ბევრი მკვიდრია დავასახელოთ. მაგრამ რაში მდგომარეობს ამ ფაქტების ნორმატიული ძალა? განა ამ ფაქტებში არის თუნდაც აჩრდილი ასეთი თვისებისა?

ფაქტიურის ნორმატიული ძალის პრობლემა არის არა პრობლემა წყაროსაგან წარმოშობილი სამართლის მოსპობის შესახებ, არამედ პრობლემა იმ ფაქტების შესახებ, რომელთაც თვითონ აქვთ ნორმატიული მოქმედების თვისება; ე. ი. ნორმატიული ფაქტების პრობლემა არის პრობლემა ფაქტების ისეთი თვისებების შესახებ, რომელთაც შეუძლიათ ყოველთვის, — სამართლის ნორმისაგან დამოუკიდებლად. — შექმნან აზრთა ის მთლიანი შედგენილობა, რომელზეც ზემოთვლაპარაკობდით. მაგრამ სწორედ ასეთ ფაქტებს ვერ გვაძლევს ელინეკი; ხოლო ის ფაქტები, რომელთაც ელინეკი ასახელებს, ნორმატიულ ფაქტებად ვერ ჩაითვლება, რადგანაც ისინი არსებითად ნორმატიული

ფაქტები კი არ არიან. არამედ ის გარემოებანი. რომელნიც სამართლის შესრულების შესაძლებლობას ქმნიან, რასაც ნორმატიული ფაქტების პრობლემასთან საერთო არაფერი აქვს.

ჩვენ აღვნიშნეთ, რომ ნორმატიული ფაქტების პრობლემა არ შეიძლება სამართალზე იქნეს დამყარებული. აქედან კი თავისთავად იგულისხმება, რომ ნორმატიული ფაქტების ბედიც ვერავითარ შემთხვევაში პოზიტიური სამართლის წყაროს ვერ დაუკავშირდება. ქვემოთ ჩვენ მართლაც დავინახავთ, რომ საკითხის ასე დაყენება, ე. ი. ნორმატიული ფაქტების სამართლის წყაროსთან დაკავშირება, სრულიად უარყოფს ნორმატიული ფაქტების არსებობის შესაძლებლობას.

სამართალია ფაქტების ნორმატიულობის დასაბუთება სამართლის წყაროს ძალის საშუალებით დავიწყოთ, და ჩვენ ვიგრძნობთ, რომ ამ შემთხვევაში მხედველობაში გვაქვს არა ნორმატიული ფაქტები. არამედ სამართლის ნორმა. მეტსაც ვიტყვი: თუ პოზიტიურ სამართალს ათასწაროდ აქვს, ნორმატიული ფაქტების პრობლემა გულისხმობს შესაძლებლობას, რომ არსებობს ათასპირველი ფაქტი, რომელიც არ არის არც სამართალი, არც ამ სამართლის წყარო. მაგრამ რომელსაც აქვს ზენაღნიშნული თვისებები. ვაღიარებთ ჩვენ სამართლის წყაროდ უფლებრივ რწმენას, უფლებრივ შეგნებას, უფლებრივ გრძნობებას, უფლებრივ ემოციებს, ნებას, თუ სხვა რამ განცდას, ნორმატიული ფაქტი (თუ, რასაკვირველია, მისი არსებობის შესაძლებლობას ვცნობთ) ვერ იქნება ვერც ეს უფლებრივი რწმენა ვერც უფლებრივი შეგნება და უფლებრივი აზროვნება, ვერც ეს უფლებრივი გრძნობები და ემოციები და, ბოლოს, ვერც ის განსაკუთრებული სახის განცდა. რომელიც ვისმე მიერ აღიარებულია სამართლის წყაროდ.

ასეღია შეეუფრადეთ ამ ღებულებას, თუ მტკიცედ არ შევითვისეთ ის აზრი, რომ ნორმატიული ფაქტების პრობლემა არსებითად შეიძლება ემყარებოდეს მხოლოდ იმ მოსაზრებას, რომ შესაძლებელია ერთნაირი შედეგის მიღება ორი ან რამდენიმე სხვადასხვა საფუძვლიდან. ვინც ეს აზრი მტკიცედ შეითვისა, მისთვის ნათელი იქნება, რომ ნორმატიული ფაქტი არ შეიძლება გამოყვანილ იქნეს სამართლის წყაროს თვისებიდან.

რასაკვირველია, როდესაც ჩვენ სამართლის წყაროებზე ვლაპარაკობთ, მხედველობაში არა გვაქვს ის თეორიები. რომელნიც სამართლის წყაროდ აღიარებენ ამა თუ იმ სახის პოზიტიურ სამართალს, ადაოს, კანონს, პრეცედენტს და სხვ.

ძნელი არ არის ამ თეორიათა უძღურების გამოამჟარაგება, მტკიცება სამართლის წყარო სამართალიაო, ნიშნავს, რომ ჩვენ უარს ვამბობთ დავასახელოთ სამართლის ნამდვილი წყარო.

სამართლის წყაროდ ყოფნა ნიშნავს, იმას, რომ ის, რაც სამართლის წყაროა, არ არის ის, რაც სამართალია. პროფ. პეტრაჟიციკი სამართლის ანდ აღნიშნავს, რომ „კანონის, ადათობრივი და სხვ. სამართლის შესახებ არსებული სათანადო მოძღვრების ყოველგვარი კლასიფიკაცია, როგორც სამართლის წყაროების მოძღვრებისა, ვერ უძლებს მეკანონულ კრიტიკას და ელემენტარული ლოგიკური თვალსაზრისით ავსუცნაურ და არანორმალურ მოვლენასაც წარმოადგენს. რომ ზოოლოგებმა თქვენ ძაღლი, კატა და სხვ. „ცხოველთა წყაროებია“, და ამის გამო დაიწყონ დავა — რა არის ცხოველთა წყაროები, რა დამოკიდებულება აქვს მათ ცხოველებთან, წარმოადგენენ თუ არა ისინი ცხოველთა წარმოშობის ფორმებს, ან მათი არსებობის საფუძვლებს, თუ მათი ცხოველური ბუნების ნიშნებს და სხვ., — ეს იქნებოდა ახლოს იმგვარივე გამოხატვა, როგორიც დღევანდელ სამართლის მეცნიერებაში, ეგრეთწოდებული, სამართლის წყაროების მოძღვრების სტეროშიმოგვეპოვება. კატა, ძაღლი და სხვ. არის არა ცხოველთა წყარო, არა ცხოველთა წარმოშობის ფორმა და სხვ., და საერთოდ, არა ცხოველთაგან განსხვავებული რამ, რასაც მათთან (ცხოველებთან) რაღაც საიდუმლო. ძნელად გასარკვევი დამოკიდებულება აქვს, არამედ ეს კატა, ძაღლი და სხვ. პირდაპირ ცხოველებია, ისინი სწორედ თვითონ არიან ცხოველები. ცხოველთა სახენი და სახეობანი. და სწორედ ასევე ეგრეთწოდებული, „სამართლის წყაროები“ — ადათობრივი სამართალი, კანონის სამართალი და სხვ., სხვა არა არის რა, თუ რა თვით სამართალი, პოზიტიური სამართლის სახე, სამართლის სახესხვაობა, და უცნაურია მათ ეწოდოთ „სამართლის წყაროები“ და ვპუბღეთ, თუ რა დამოკიდებულება აქვთ მათ სამართალთან“ (Петражицкий. Теория права, Т. 2, 518—522).

ამ ღრმა, მოსწრებულ აზრებს ჩვენ ვერაფერს მივუმატებთ. აქ ყველაფერი საქმარისად ცხადი და ნათელია. და არა გვგონია, ვისმე შეეძლოს სამართლის წყაროდ აღიაროს ის (ე. ი. სამართალი), რის წყაროდ უნდა მოინახოს.

ჩვენს მიზანს არ შეადგენს სამართლის ნამდვილი წყაროები მოუწინახოთ. ჩვენ შეგვიძლია დავეკმაყოფილოთ ზოგი განმარტებით, რომ სამართლის წყაროდ არ შეიძლება იყოს იაეთი რამ, რაც სამართალს წარმოადგენს. თვითონ პეტრაჟიციკიმ, რასაკვირველია, თავისი დებულებას სტილი ვერ გაამართლა: ბოლოს და ბოლოს სამართლის წყარო, უფლებრივი განცდანი მისთვის სხვა არა არის რა, თუ არ სამართალი. მაგრამ საქმე ეს როდია, არამედ ის რომ პეტრაჟიციკიმ პრობლემა სწორად ჩამოაყალიბა.

ღე. იყოს მოქმედი სამართლის წყაროდ ყველაფერი — უფლებრივი განცდაც, ემოციაც, გრძნობაც, ნებაც, ერთი სიტყვით ყველაფერი.

რაც სამართლის მეცნიერებაში ჩვეულებრივად სამართლის წყაროდ არის გამოცხადებული, მაგრამ უნდა ვიქონიოთ მხედველობაში, რომ თუ ეს წყაროები სამართლის უბრალო შემფასებელი ორგანოები კი არ არის, არამედ ის სფეროებია, სადაც სამართლის ღირებულებები მოქმედებენ აწკარავდება, მაშინ აღნიშნული წყაროები თვით სამართალია. აი, ამ თეზისიდან ჩვენ გამოვითვით რამდენსამე მნიშვნელოვან დასკვნას, ხოლო ეს დასკვნები, თავის მხრივ, გვიჩვენებს — თუ რა საბოლოო შედეგამდე უნდა მიგვიყვანოს იმ ცდამ, რომელიც მიზართულია იქითკენ, რომ ფაქტის ნორმატიული თვისებები განსაზღვრულ იქნეს სამართლის წყაროს თვისების საშუალებით და მისი გეგმობით.

განა საერთოდ საჭიროა იმის მტკიცება, რომ, თუ რაღაც აღიარებულია სამართლის წყაროდ, თვისებანი ამ რისიაც, როგორც სამართლის წყაროსი, მთლიანად და ადეკვატურად ამოიწურება სამართლს შექმნის უნარით? განა საჭიროა განსაკუთრებული საბუთები იმისათვის, რათა დავრწმუნდეთ, რომ თუ ჩვენ სამართლის წყაროდ მიგვაჩნია რაღაც ისეთი, რაც სამართალს არ წარმოადგენს. მაშინ ამ რაღაცის (როგორც წყაროს) თვისებებს ჩვენ მხოლოდ მის სამართალმომქმედებაში ვითვისებთ? ჩვენ გვგონია, რომ ყოველივე ეს მეტად ნათელია. ცხადია, რომ სამართლის წყაროს არ შეუძლია შექმნას სხვა რამ, თუ არა სამართალი. სამართალმომქმედებით ამოიწურება სტიქია, ძალა და დანიშნულება თვით სამართლის წყაროსი. და, რა თქმა უნდა, მას ვერ დაახასიათებს ვერც ერთი უნარი და ვერც ერთი თვისება გარდა იმ თვისებისა, რომელსაც სამართლის შექმნა შეუძლია, თვით სამართლის წყაროში მოცემული კანონშეზომილობის მოქმედება არის სამართალმომქმედება. ყოველგვარი მოქმედება სამართლის წყაროში მოცემული კანონშეზომილობისა ყოველთვის არის, შეიძლება იყოს და უნდა იყოს კიდევ ნამდვილი რეალური სამართალი. ამიტომ თავის თავისთავად ცხადია, რომ სამართლის წყაროს მოქმედებაც რიგამე მიმართ შეიძლება მხოლოდ სამართლის საშუალებით და მისი მეშვეობით. თუ, ვთქვათ მაგალითისათვის, სამართლის წყაროდ ჩვენ ვაღიარებთ უფლებრივ შეგნებას, უფლებრივ რწმენას, უფლებრივ ემოციებს ან კიდევ სხვა რასმე, ხოლო ფაქტების ნორმატიული მოქმედების თვისებას სამართლის ამ წყაროებს ვუკავშირებთ, — აქ ყველაფერი უნებლიე სამართლის საკითხად გადაიქცევა. ასე რომ, როდესაც ლაპარაკობენ, რომ ნორმატიულობის თვისებას ამა თუ იმ ფაქტებს სამართლის წყარო აძლევს, ნამდვილად, ჩვენ გვაქვს არა რაიმე ახალი თვისება ფაქტისა, არამედ ნორმა, რომელიც განსაზღვრულ ფაქტებს მხოლოდ პირობითად აკუთვნებს უწყებულ იურიდიულ შედეგებს.

სწორედ ეს არ წარმოადგენს ნორმატიული ფაქტების პრობლემს გადაწყვეტას.

მაგრამ ეს საკითხი რამდენადმე სხვა ხასიათს იღებს, როცა ნორმატიულობას აღიარებენ არა აბსტრაქტული ნორმის თვისებად, არამედ თვით სამართლის წყაროს (მაგ., უფლებრივი რწმენის, შეგნების, გრძნობების და ბოლოს უფლებრივი ემოციების) ბუნების თვისებად.

სრულიად მოკლე ანალიზი წმინდა ლოგიკური ხასიათისა, გვიჩვენებს, რომ ამ თეორიების შესახებაც უნდა გავიმეოროთ ყოველივე ის, რაც ზემოთ იყო ნათქვამი. ექვს გარეშეა, რომ იმ თეორიების თვალსაზრისით, რომელთაც ნორმატიულობის თვისება სამართლის სფეროდან სამართლის წყაროს ბუნებაში გადააქვთ, ერთადერთ ნორმატიულ ფაქტად თვით სამართლის წყარო უნდა გველიარებინა, მაგალითად უფლებრივი შეგნება, ან რწმენა, ან კიდევ უფლებრივი გრძნობები და სხვ. ე. ი. საერთოდ უარი უნდა გვეთქვა ნორმატიული ფაქტების საკითხის დაყენებაზე. ყოველგვარი ცდა სამართლის წყაროს ნორმატიულობიდან ფაქტების ნორმატიულობის მიღებისა, როგორც ამას პეტრეაეცის თეორიის განხილვის დროს დავინახავთ. ამჟამად მარცხით თავდება.

ჩვენ არ ვეხებით იმ საკითხს, თუ რამდენად წარმოადგენს ნორმატიულობა თვით სამართლის წყაროს თვისებას, აგრეთვე უყურაღობოდ ვტოვებთ იმ საკითხსაც. თუ რამდენად სწორია სამართლის ესა თუ ის თეორია, რომელიც უფლებრივ რწმენას, შეგნებას, თუ გრძნობას სამართლის ერთადერთ წყაროდ აღიარებს. საგულისხმოა მხილვად ერთი რამ. სახელდობრ ის, რომ, თუ უფლებრივი რწმენა, ან უფლებრივი შეგნება, ან კიდევ სხვა რამ სამართლის წყაროს წარმოადგენს. მაშინ იმ შემთხვევაშიც კი, თუ ნორმატიულობას სამართლის ამ წყაროების თვისებად ვალიარებთ, ეს უკანასკნელნი (წყაროები) უნდა წარმოადგენდნენ რაღაც სხვას, ვიდრე სამართალია; უამისოდ ამ წყაროების სამართლის წყაროებად აღიარება შეუძლებელი იქნება. ეს ერთი, მაგრამ, მეორე მხრით, თუ სამართლის წყარო არის რაღაც მუდამ განსხვავებული იმისაგან, რასაც ეს წყარო ქმნის, თავისთავად ცხადია იმისათვის, რომ ეს რაღაც სამართლის წყაროდ იქნეს აღიარებული, საჭიროა, რომ იგი ყოველთვის პოულობდეს თავის გამონატულებას სამართალშემოქმედებაში. სამართალშემოქმედება არის ის მოქმედება, რომლითაც სამართლის წყაროს მთელი არსი და მნიშვნელობა ამოწურება. ამიტომ თუ ნორმატიულობა თვით სამართლის წყაროს თვსებაა, თავისთავად ცხადია, რომ ამ ნორმატიულობის გამოხატვა შეიძლება სამართლის საშუალებით და მისი მეშვეობით. განა ამ შემთხვევაში შესაძლებელია ნორმატიული ფაქტების პრობლემის არსებობა? არა, რადგანაც ნორმატიული ფაქტების პრობლემა გულის-

სმობს სულ საწინააღმდეგო რასმეს, სახელდობრ არა ნორმატიულობას, რომელიც უშუალოდ სამართალში იშლება, არა სამართლის წყაროს ნორმატიულობას, რომელიც ყოველთვის მხოლოდ სამართლის საშუალებით და მისი მეშვეობით გამოიხატება, არამედ თვით ფაქტების ნორმატიულობას. აი ეს არის გამოსავალი წერტილი ნორმატიული ფაქტების მეცნიერებისათვის. ეს არის ის საფუძველი, რომლის გარეშეც ნორმატიული ფაქტების პრობლემის არსებობა წარმოუდგენელია.

ეს პირობები ვერ გაითვალისწინა ვერც პროფ. პეტრაჟიციმ, როცა ის ნორმატიული ფაქტების თეორიას აშენებდა. პეტრაჟიციის თეორიის ანალიზი გვიჩვენებს ჩვენი დებულების სისწორეს. მისი მოძღვრების განხილვა დაგვანახებს, თუ რა დასკვნების მიღება შეიძლება იმ თეორიებიდან, რომელთა თანახმადაც ნორმატიული ფაქტების საკითხი სამართლის წყაროს ნორმატიულ თვისებებს უნდა ემყარებოდეს.

მაგრამ იმისათვის, რომ ნათლად წარმოვიდგინოთ პეტრაჟიციის პოზიცია ნორმატიული ფაქტების პრობლემის მიჯრთ. ზედმეტად იქნება ვაკოდეთ, თუ როგორ უყურებს იგი სამართლის პირვანდელი მოცემულობის საკითხს. ჩვენ გვინდა აღვნიშნოთ აქ პეტრაჟიციის სამართლის თეორიის ერთი მეტად საინტერესო მხარე, რომელიც უკვე აღნიშნული იყო ალექსეევის ზემოდანახელებულ შრომაში. პეტრაჟიციის სამართლის ფილოსოფია უახლოესი დროის ფენომენოლოგისტებისას უახლოვდება. რა თქმა უნდა, მართალი არ იყვნენ ისინი. რომელნიც ამ ნათესაობას ფენომენოლოგიასთან ვერ ხედავდნენ. ეს უფლებრივი ემოციონალიზმის ყველა წარმომადგენელს და, მათ შორის, რასაკვირველია, პეტრაჟიციისაც უსაყვედურებდნენ იმას, რომ მათ თითქოს ვერ გაითვალისწინეს სამართლის აპრიორული ხასიათი და რომ ის უფლებრივი განცდანი, რაზედაც ისინი მოგვიბრუნებენ. ნამდვილად თითქოს უფლებრივი განცდანი კი არ არიან, არამედ განცდანი სამართლის გამო, ე. ი. განცდანი სამართლისა, რომელიც მოცემულია განმცდელი ფსიქიკის გარეშე. პროფ. ილინის შემდეგ ეს ბრალდება სხვებმაც გაიმეორეს. მაგრამ, როგორც დავინახავთ, აღნიშნული ბრალდება სრული გაუგებრობისა და ემოციონალური ეთიკის საფუძვლების უცოდინარობის ნაყოფი იყო.

მართლაც, არავის ისე ნათლად, როგორც პეტრაჟიციის, არ უჩვენებია, რომ უფლებრივი განცდანი არიან არა განცდანი სამართლის გამო, არამედ თვითონ ისინი წარმოადგენენ სამართალს, რომ თვით ამ განცდებში იშლება ღირებულებითი მოქმედებები, რომელთა ადეკვატური, ჩვენ ვიტყვოდით, ფენომენოლოგიური შეცნობა არის იმის შეცნობა, რასაც ჩვეულებრივად სამართალი ეწოდება. ამგვარად, აქ ნათლად იხა-

ტენსა ის აზრი, რომ ამ ემოციონალურ განცდებს აპრიორული მომენტი ახასიათებს.

უფლებრივი ემოციონალიზმის თვალაზრისით უფლებრივი გრძნობები და განცდები არის არა გრძნობები და განცდები სამართლის გამო და სამართლის შესახებ, არამედ ის აქტები, რომელშიც მოცემულია სამართლებრივი ღირებულებანი. ამ მხრივ უფლებრივი ემოციონალიზმის მომხრენი უფრო უახლოედებიან თანამედროვე ფენომენოლოგისტებს, ვიდრე ბევრი იმათგანი, ვინც, აღიარებდა რა, რომ აპრიორიზმი არ შეიძლება იყოს ემოციონალური განცდის მომენტი, უბრძოლა პეტრაჟიციუს თეორიას იმის გამო, რომ იგი თითქოს უყურადღებო ტოვებს სამართლის აპრიორულ ხასიათს. ჩვენ ვიტყვით, რომ თავისი ემოციონალური აპრიორიზმით პეტრაჟიციუს ბევრად უფრო უანლოვდება — პასკალს, მაქს შელერს. — ჰილდებრანდტის *Gefülls Apriorismus*-ს, ვიდრე სხვა ვინმე.

„ჩვენ, ამბობს მ. შელერი, კანტის წინააღმდეგ აქ გამოვყავით ემოციონალური აპრიორიზმი და მოვანდინეთ გაყრა ამ მცდარი მთლიანობისა. რომელიც დღემდე აპრიორიზმსა და რაციონალიზმს შორის არსებობდა. „ემოციონალური ეთიკა“, რაციონალური ეთიკისაგან განსხვავებო, აუცილებლად, უეჭველად „ემპირიზმი“ არ არის იმ ცდის მნიშვნელობით, რომელიც გვაწვდის ზნეობრივ ღირებულებათ დამკვირვებისა და ინდუქციის გზით. გრძნობას, სურვილს, სიყვარულსა და სიძულვილს საკუთარი აპრიორული შინაარსი აქვს, რომელიც ინდუქციური გამოცდილებისაგან, იმგვარადვე დამოუკიდებელია, როგორც წმინდა აზროვნების კანონები. და აქაც, როგორც იქ, მოცემულია განჭკვრეტა აქტებისა, მათი მასალის ფუნდირებისა და მათი ურთიერთობისა. აქაც, როგორც იქ, მოცემულია ფენომენოლოგიურ განსაზღვრათა „ვედიდენტობა“ და ზედმიწევნითი სისწორე“¹.

ჩვენ არ ვაპირებთ შევჩერდეთ იმ საკითხზე — მართალი არიან თუ არა ემოციონალური აპრიორიზმის მომხრენი. ჩვენ ხაზს ვუსვამთ მხოლოდ იმ გარემოებას, რომ პეტრაჟიციუს თეორიის კრიტიკოსებმა გვერდი აუხვიეს ამ ფრიად მნიშვნელოვან მომენტს და ვერ შენიშნეს, რომ პეტრაჟიციუს ემოციონალური აპრიორიზმის ნამდვილი დამცველია. რომ ხსენებულ კრიტიკოსებს ეს გარემოება არ გამოჰპარვოდათ. ისინი იძულებული იქნებოდნენ აღნიშნული თეორია სხვანაირად გაეშუქებინათ და ამასთან ერთად პეტრაჟიციუს წინააღმდეგ მიმართულ ზოგიერთ ბრალდებაზე უარი ეთქვათ.

პეტრაჟიციუს გაუგებარი დარჩა იმათთვის, ვინც მის თეორიას უფლებრივი აპრიორიზმის მხრივ აკრიტიკებდა, და თუნდაც რომ უყურად-

¹ M. Scheler, *Formalismus* 63.

ღებოდ დაეცოვით ის, რაც ზემოთ ითქვა, შეუძლებელია არ ვაღიაროთ ის, რომ პეტრაჟიციის სამართლის თეორია უაღრესად თავისებური და ამავე დროს თანამედროვე თეორიების მონათესავე ღირებულებათა ფილოსოფიაა. ჟერ კიდევ ლოტცე (პერბერტთან კამათში) აღნიშნავდა, რომ მარტო სიტყვიერი ფორმა არ ქმნის ღირებულებას მსჯელობაში. რომ ის არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება გონების კატეგორიად ჩაითვალოს; განავითარა რა ეს აზრი, ლოტცემ ბოლოს ღირებულებათა წყაროდ გრძნობები აღიარა, ხოლო თანამედროვე მოაზროვნეთა შორის კი შეღერი, რომელიც თავის მონოგრაფიებში არაერთხელ ეხებას ხაზს ემოციური აპრიორიზმის შესაძლებლობას, — აღნიშნავს მთელ რიგ განცდებს (სიყვარული, თანაგრძნობა და სხვ.)¹, რაშიც იშლება წმინდა ობიექტური აზრები, რომელნიც შეიძლება შეცნობილ იქნენ ფენომენოლოგიური გზით მათ მსგავსად. მაგრამ უსათუოდ მათგან დამოუკიდებლად. — პროფ. პეტრაჟიცი სეამს რა საკითხს უფლებრივ ღირებულებათა პირვანდელი მოცემულობის შესახებ, აღიარებს, რომ ამ ღირებულებათა სფერო, ე. ი. სფერო, რომელშიც იმთავითვე მეღვანდება უფლებრივ ღირებულებათა თვისებები, არის ემოციონალური განცდები. პეტრაჟიციის უფლებრივი ემოციება არსებითად არის, ვთქვათ მაგალითისათვის, არა სამართლის განმტკიცელი და შემფასებელი ორგანო, არამედ ის ძირითადი და პირვანდელი განცდანი, რომელნიც თვითონ ატარებენ და ამჟღავნებენ უფლებრივ ღირებულებებს. ამ მხრივ ბევრი რამ არის საერთო პეტრაჟიციის, კრაბეს და საერთოდ ისტორიული სკოლის მომხრეთა შორის. აი პეტრაჟიციის თეორიის ძირითადი დებულება. აი პეტრაჟიციის სამართლისა და ღირებულებათა ნამდვილი ფილოსოფია. ეს არის ის, რაც პეტრაჟიციის თეორიაში საგულისხმო, მნიშვნელოვანი. ორიგინალური და ახალია, და რითაც ეს თეორია ენათესავება ფენომენოლოგიის ბრწყინვალე წარმომადგენელთა მთელ რიგს და სწორედ ეს ძირითადი დებულება ვერ შენიშნეს პეტრაჟიციის სამართლის თეორიის კრიტიკოსებმა. ფსიქოლოგიზმის იქით მისმა კრიტიკოსებმა ვერ დაინახეს ყოველივე ის, რაც პეტრაჟიციის სამართლის ემოციონალურ თეორიაში ღირსშესანიშნავი, საინტერესო და თავისებურად ახალი იყო. და რომ ვინმემ მოახერხოს განათავისუფლოს ეს თეორია ყოველივე იმისაგან. რაც არ ეგუება ამ თეორიის ძირითად აზრს, ე. ი. ემოციონალურ აპრიორიზმს, ჩვენ თვითონ, პეტრაჟიციის სიტყვით რომ ვთქვათ, სამართლის უაღრესად ელევანტური ფენომენოლოგიური თეორია გვექნებოდა

¹ M. Scheler, *Moralia*. მისივე „Wesen und Formen der Sympathie.“

სწორია თუ არა ამ ფილოსოფოსის აზრი, — ეს სხვა საკითხია. ჩვენ მხოლოდ აღვნიშნავთ, თუ რა მხრით უნდა იქნეს შეფასებული ეს თეორია.

სამართლის პირვანდელი მოცემულობის საკითხის შესახებ პ.-ოფ. პეტრაჟიცი იძლევა შემდეგს, სრულიად ნათელსა და გარკვეულ პასუხს: „არსებობს ზოგიერთი დაუშლელი და პირვანდელი ემოციონალური აქტი, რომელიც საფუძველია ყოველივე იმისა, რასაც ადამიანის შეხედულება სამართალს უწოდებს. ასეთ დაუშლელ და პირვანდელ ემოციონალურ აქტებს წარმოადგენენ ატრიბუტულ-იმპერატიული განცდანი. ამგვარად, თვით სუბიექტში, როგორც განსაზღვრულ ემოციონალურ განცდათა ცენტრში, მელაენდება უფლებრივი ჭეშმარიტების თავისთავადი ღირებულება. „სიცრუე სამარცხვინოა“. „უნდა ვილაპარაკოთ სიმართლე“ და სხვ., — ამას მნიშვნელობა აქვს არა იმიტომ, რომ სიმართლის თქმა რაიმე სარგებლობას მოგვითანს, ანდა იმიტომ კი არა, რომ მისი ადრესატი და დესინატორი ადამიანია, არამედ იმის გამო, რომ მასში მოთავსებულია თავისთავადი თვისება ღირებულებისა“.

ამგვარად, განსაზღვრულ ემოციონალურ აქტებში მელაენდება უფლებრივ ღირებულებათა თავისთავადი თვისებები. ამ აზრით, რასაც ვიწვევით, იმპერატიულ-ატრიბუტული განცდა არის არა განცდა სამართლის შესახებ ან სამართლის გამო, არამედ, იგი თვითონ სამართალია. იგივე იმპერატიულ-ატრიბუტული განცდანი წარმოადგენენ ფაქტებს: და ამიტომ. რამდენადაც პეტრაჟიციის თეორიას აქვს მისწრაფება, დაასაბუთოს ნორმატიული ფაქტების არსებობის შესაძლებლობა, მას იმპერატიულ-ატრიბუტულ განცდებთან ერთად აუცილებლად უნდა ეღიარებინა ისეთი ფაქტების არსებობაც, რომელთაც, იმპერატიულ-ატრიბუტულ განცდებისაგან დამოუკიდებლად, ე. ი. სამართლისაგან დამოუკიდებლად, აქვთ უნარი აბსოლუტურად დამოუკიდებელი ნორმატიული მოქმედებისა.

საკვირო არ არის პროფ. პეტრაჟიციის ფსიქოლოგიურ თეორიას მაინცდამაინც ღრმა ანალიზი გავუკეთოთ, რათა დავრწმუნდეთ, რომ ამ თეორიის ძირითადი მომენტი სრულიად სპობს ნორმატიული ფაქტების რაიმე თეორიის არსებობის შესაძლებლობას. არ შეიძლება იმის უარყოფა, რომ პეტრაჟიციის თეორიის თანახმად ნამდვილობა, უფლებრივი აზრით, მხოლოდ უფლებრივ განცდებს ეკუთვნის. ამ განცდების გარეშე არის მხოლოდ სუსტი წარმოდგენანი, პროექციები და ფანტაზიები. სწორედ ამაში მდგომარეობს პროფ. პეტრაჟიციის სამართლის ფილოსოფიის უკიდურესი სოლიფისომი; ხოლო თუ პეტრაჟიცი არ უარყოფს არც ფაქტების ფაქტიურობას და არც სამართლის ობიექტურობას, ის ფარულად მაინც გულისხმობს, რომ ყოველივე ის,

რაც მოცემულია სამართლის ნამდვილობაში სხვა არა არის რა, თუ არ ფაქტები ჩვენი უფლებრივი განცდისა. ამ განცდების გარეშე არ არსებობს სამართალი. მათ გარეშე არ არის არაფერი, გარდა უფლებრივი სიტარიელისა; ცხადია, რომ ამისაგან დამოუკიდებლად ნორმატიული ფაქტების არსებობის წარმოდგენაც შეუძლებელია.

პეტრაჟიკი ამბობს: „ისეთი კატეგორიის ფაქტები, რომელნიც უფლებრივი ფსიქიკის სფეროში, ასე ვთქვათ, თავისი ბუნებით. სხვა პირობებისაგან დამოუკიდებლად, უსათუოდ ნორმატიულად მოქმედებენ, არ არიან და არც შეიძლება იყვნენ. ამისდა მიხედვით, ნორმატიულ ფაქტებად პოზიტიური სამართლის თეორიისა და მისი ცალკე სახეების სფეროში უნდა ვიგულისხმობთ არა განსაზღვრული კატეგორიის ფაქტები, რომელთაც აქვთ განსაზღვრული ობიექტური ნიშნები, მაგალითად, სათანადო ფორმით გამოცემული კანონი, უწყებელი სახის ადვოკატი, როგორც ასეთი. სასამართლო პრაქტიკა, როგორც ასეთი და სხვა, არამედ მხოლოდ (წარმოდგენილი) ამგვარი ფაქტები. რამდენადაც ისინი ფაქტიურად მოქმედებენ ნორმატიულად. ქმნიან სათანადო პოზიტიურ-უფლებრივ განცდებს. ამგვარად, კანონი, თუნდაც იგი გამოცემული იყოს ამა თუ იმ სახელმწიფოს კანონმდებლობის ყველა წესის თანახმად, ადვოკატი, სასამართლო პრაქტიკა და სხვა, თუნდაც მათ ჰქონდეთ ყველა ნიშანი, რაც საჭიროა ან რა:აც მოითხოვს სრულყოფილი მეცნიერება მათი იურიდიული ნამდვილობისათვის, — არ წარმოადგენენ თავისთავად, ჩვენი სამართლის თეორიის თვალსაზრისით არა თუ პოზიტიურ სამართალს, არამედ ნორმატიულ ფაქტებსაც. ისინი შეიძლება იყვნენ და არიან ხოლმე ჩვეულებრივად. ან ზოგჯერ, ნორმატიულ ფაქტებად, ზოგჯერ კი ისინი ასეთ ფაქტებადაც არ არიან¹.

როგორც ვხედავთ, აქ ყველაფერი ფსიქიკაზეა დამოკიდებული და ყველაფერს შედარებითი ხასიათი აქვს. ერთ პირობებში ფსიქიკას შეუძლია გამოაჩინოს ერთი ნორმატიული ფაქტები, მეორე პირობებში — მეორე ნორმატიული ფაქტები. „საქმე დამოკიდებულია სათანადო ინდივიდუულებების ან ხალხის მასის ფსიქიკურ მდგომარეობაზე, მათ ფსიქიკურ მიდრეკილებაზე, ფსიქიკურ ჩვეულებაზე და სხვადასხვაგვარ დისპოზიციასა და რწმენაზე“². ამგვარად, ნათლად ვხედავთ, რომ ჩვენ წინაშე გადაიშალა ფაქტების უსისტემო მრავალფეროვანი ქვეყანა, სადაც ჩვენ ვერ დავასახელებთ ვერც ერთ რეალობას, რომელიც, თავის ბუნებით და სხვა პირობებისაგან დამოუკიდებლად, ნორმატიულად მოქმედებდეს. ფაქტების ამ ქაოსში შეიძლება ზოგი რამ გახდეს ნორმატიულ ფაქტად, მაგრამ შეიძლება არც გახდეს. თავისთავად ცხადია,

¹ П е т р а ж и к и й, Теория права, т. II.

² Ibid.

რომ ასეთ პირობებში სრულიად ზედმეტია ჩმაზე ლაპარაკი, რომ ჩვენ შეგვეძლოს ნორმატიული ფაქტები რაიმე სისტემაში მოვიყვანოთ. აქ შეიძლება მხოლოდ იმის აღნიშვნა, თუ რა „ნორმატიული ფაქტები“ გვხვდება პრაქტიკაში, ხოლო ნორმატიული ფაქტების ნამდვილი თეორიის შექმნა. პეტრაჟიციუსის თეორიის თანახმად, შეუძლებელია. უნდა ვთქვათ. — და პეტრაჟიციუს ამის მაგალითს იძლევა, რომ ყოველგვარი ცდა ნორმატიული ფაქტების თეორიის შექმნისა, რამდენადაც ამ თეორიის გაშლისავალ წერტილად პეტრაჟიციუსის ფსიქოლოგიზმს მივიღებო, უნდა გათავდეს იმით, რომ ნორმატიული ფაქტების თეორიის ნაცვლად ჩვენ გვექნება ფაქტების უბრალო ჩამოთვლა. თუნდაც იმატომ, რომ პეტრაჟიციუსს მიერ ჩამოთვლილ ყველა ფაქტს შემთხვევითი ხასიათი აქვს. თითოეული მათგანი წარმოადგენს შესაძლო ნორმატიული ფაქტების ერთ სპეციფიკურ შემთხვევას და მართლაც. დასახელებული გარემოების გამო, პეტრაჟიციუსს შეუძლია მხოლოდ მექანიკურად ჩამოთვალოს კანონი, ადამი, სასამართლოს პრაქტიკა, სამართალი. იურისტთა მოძღვრება, ექსპერტიზა, საკანონმდებლო გამოთქმები, უფლებრივი მაგალითი, ხელშეკრულება. დაჩრება. პროგრამული მოქმედება, პრეცედენტი, აღიარება, იურიდიული ანდაზა, ჩვეულება და სხვ.

ზემოაღნიშნულის მიხედვით ცხადია. რომ ყველა ამ ფაქტს აქვს რაღაც შემთხვევითი ხასიათი, რომ მათი ნორმატიულობა დამოკიდებულია არა თვით ფაქტის ბუნებაზე, არამედ ადამიანის — ფსიქოლოგიის უბრალო კაპრიზზე. ფაქტის ნორმატიულობის ფსიქოლოგიასთან დაკავშირება ნიშნავს ამ ფაქტის ყოველგვარი ნორმატიული ძალის უარყოფას.

ყოველივე ამის მიზეზი პეტრაჟიციუსის თეორიის ფსიქოლოგიზმსა და რელატივიზმში მარხია¹. ჩვენ არ უარყყოფთ, რომ დადებითი სამართლის სახეობა მოძღვრების გაფართოების ცდას თავისთავად დიდი მნიშვნელობა აქვს. ამ მხრით პეტრაჟიციუსს ცდას იურიდიული ლიტერატურა სრულიად სამართლიანად მიესალმა. მაგრამ ექვს გარეშეა ისიც, რომ კთხვა. — თუ რა ფაქტებს შეუძლიათ უსათუოდ შესარულონ ნორმატიული ფაქტების როლი. — პეტრაჟიციუსის თეორიის მიხედვით რაიმე სწორ პასუხს ვერ მიიღებს. ხოლო თქმა იმისა, რომ ესა თუ ის ფაქტები შეიძლება იყოს, მაგრამ შეიძლება არც იყოს ნორმატიულ ფაქტებად, ნიშნავს იმას, რომ ჩვენ არ გვექნება შესაძლებლობა ნორ-

¹ პეტრაჟიციუსი ვერ ახერხებს დაძლიოს ეს აშკარა სუბიექტივიზმი „ფსიქიკური ტოლქმედი“-ს ცნებით. ფსიქოლოგიური ტოლქმედი ვერ ქმნის ინდივიდუალურზე ზევით მდგარ რანჟე. მისი საფუძველი ისევ და ისევ სუბიექტივიზმია. საინტერესოა აღინიშნოს. რომ ფსიქიკური ტოლქმედის თეორიით პეტრაჟიციუსის თეორია მეტად უნათესავდება დიუგის თეორიას, რომლის საფუძველსაც შეადგენს ეგრეთწოდებული სოციალური სოლიდარიზმი.

შატელი ფაქტების რაიმე სისტემა ან თეორია ავაგოთ. და სრული საუქმველი გვაქვს ვთქვათ, რომ პეტრაეიციის ფსიქოლოგიურ თეორიაში ჩვენ ამაოდ შევეუღებოდით ნორმატიული ფაქტების სწორი კლასიფიკაციის ძებნას, რადგანაც პეტრაეიციის ფსიქოლოგიაში ძირშივე სპონს ნორმატიული ფაქტების თეორიის შექმნის შესაძლებლობას და ახრატომ: როგორც დავინახეთ. სამართლის ერთადერთ წყაროდ პრიფ. პეტრაეიცი განსაკუთრებული სახის ემოციონალურ განცდებს აღიარებს. მაგრამ თუ სამართლის წყარო ეს ემოციონალური განცდებია, მაშინ მისი მოქმედება, აზრი, დანიშნულება და, საერთოდ, მთელი მისი ბუნება სამართალშემოქმედებით უნდა ამოიწურებოდეს. რაკაცია რისამე მიმართ, რისამე აღიარება თუ უარყოფა; რამდენადაც ეს რეაქცია, აღიარებაც და უარყოფაც აღნიშნულ განცდათა მოქმედებას და აქტიურობას ნიშნავს, — შეიძლება გამოიხატებოდეს მხოლოდ სამართლის საშუალებით და მისი მეშვეობით. ამიტომ ის ფაქტებაც, რომელთაც ჩვენ ვთვლით ნორმატიულ ფაქტებად, სამართლის წყაროს მეხებით, შეიძლება იყვნენ ნორმატიული მხოლოდ სამართლის წყალობით. მართლაც, თუ ნამდვილია ის, რომ სამართლის წყარო აქტიურობა და, საერთოდ, ყოველი მისი მოქმედება სამართალშემოქმედებაში გამოიხატება: მაშინ ნორმატიულობის თვისებაც სამართლის წყაროს მიერ შეიძლება მიეწეროს ამა თუ იმ ფაქტს არა უშუალოდ. არამედ მხოლოდ სამართლის საშუალებით.

მწელი არ არის შევნიშნოთ, რომ საკითხის ასე დაყენების დროს, ჯერ ერთი, პრიფ. პეტრაეიციის მიერ ჩამოთვლილ ფაქტებს თავისთავად არავითარი ნორმატიული ძალა არა აქვთ; მეორე, ფაქტებისათვის ნორმატიულობის თვისების მიკუთვნებას წმინდა შემთხვევითი ხასიათი აქვს და, მესამე, თვით ფაქტი სამართლის წყაროს საშუალებით ფაქტებისათვის ნორმატიული ძალის მიკუთვნებისა გულისხმობს სამართალს, რომელიც ფაქტს ახალ თვისებას კი არ აძლევს, არამედ განსაზღვრულ ფაქტებს მხოლოდ პირობითად უკავშირებს განსაზღვრულ შედეგებს.

მაგრამ, მეორე მხრივაც თუ პეტრაეიციის თეორიის ძირითად აზრს თანამიმდევრობით განვაფიქრებთ, უნდა ვთქვათ, რომ ამ თეორიის თანახმად არა თუ შეუძლებელია ნორმატიული ფაქტების რაიმე სწორი თეორიის აგება, არამედ წარმოუდგენელია თუნდაც დაახლოებით დავასახელოთ ის ფაქტები, რომელთაც ნორმატიული მოქმედების უნარი ექნებათ. მართლაც, თუ უფლებრივი ემოციები არის ის სფერო, რომელშიც პირველად მქდაენდება სამართლის მოცემულობა, და, როგორც ასეთნი, ისინი სამართლის წყაროს და, მაშასადამე, სამართლის დასაწყისს წარმოადგენენ, თავისთავად ცხადია, რომ ჩვენ

არ შეგვიძლია ლაპარაკი ისეთ წარმოდგენებზე ან მოვლენებზე, რომელნიც მიზეზობრივად იწვევენ ამ ემოციების ნორმატიულობას. ისე როგორც ღმერთი მორწმუნეთათვის ყოველივეს დასაწყისია და წარმოდგენელია ისეთი ძალა, რომელზეც მისი ნებისყოფა მიზეზობრივად დამოკიდებული იყოს, სწორედ ასე, — ემოციონალური ფსიქოლოგიის საფუძვლების თანახმად. — უფლებრივი ემოციები სამართლისათვის ერთადერთი დასაწყისია და მასში მოცემული კანონშეზომილობა არ შეიძლება მიზეზობრივად იყოს დამოკიდებული რაიმე სხვა კანონშეზომილობაზე. წინააღმდეგ შემთხვევაში, უფლებრივი ემოციები სამართლის წყარო აღარ იქნებოდა. რაკი ასეა ამ წყაროს გარეშე ჩვენ არა თუ შეგვიძლია დავასახელოთ ისეთი ფაქტები, რომელთა წარმოდგენაც აუცილებლად იწვევდეს უფლებრივ გრძნობათა მოქმედებას, არამედ არ დავასახელოთ ისეთი ფაქტებიც კი, რომელთა წარმოდგენასაც ჰქონდეს თუნდაც შანსი ამგვარი გავლენის მოხდენისა. ეს არის ერთადერთი დასკვნა, თუ, რააკვირველია, ვაღიარებთ, რომ ის კანონშეზომილობა, რომლითაც სამართლის წყარო (ამ შემთხვევაში უფლებრივი ემოციები) ხასიათდება, არაფერთან და არავისთან მიზეზობრივ დამოკიდებულებაში არ იმყოფება. თავისთავად ცხადია, რომ უფლებრივი ემოციონალიზმის მოპხრეთა ცდაც ნორმატიული ფაქტების მტკიცე სისტემის შექმნისა — უნდა გაშიზახატებოდეს მხოლოდ იმ ფაქტების მექანიკურ ჩამოთვლაში, რომელთა წარმოდგენაც შემთხვევით მოექცა ჩვენი ემოციონალური განცდების შედგენილობაში. განა ასეთ პირობებში შესაძლებელია ნორმატიული ფაქტების რაიმე თეორიის არსებობა? ვფიქრობთ, რომ არა.

პეტრაჟიციის თეორიის ანალიზი ნათლად გვიჩვენებს, რომ ფაქტის ნორმატიულობის სამართლის წყაროზე დამყარებას შედეგად უნდა მოჰყვეს ან ნორმატიული ფაქტების არსებობის უარყოფა ანდა ამ ნორმატიული ფაქტებისა და სამართლის გააგივება.

თუ ჩვენ ვაღიარებთ, რომ სამართლის ერთადერთი წყარო არის უფლებრივი ემოციები, რომელთა განცდაც წარმოადგენს არა განცდას სამართლის გამო, არამედ თვით სამართალს, მაშინ მივიღებთ, რომ, ჯერ ერთი, სამართლის წყარო, ე. ი. ფაქტი უფლებრივი ემოციების განცდისა. სხვა არა არის რა, თუ არა სამართალი და, მეორეც, რომ მაკ., პეტრაჟიციის მიერ აღნიშნული ნორმატიული ფაქტები არ არის ნორმატიული ფაქტები მათი ნამდვილი მნიშვნელობით, აი რატომ არის რომ პეტრაჟიციის თეორია არ შეიძლება ჩაითვალოს ისეთ თეორიად, რომელმაც სამართლის წყაროების ბაზა თითქოს სწორად და მოხერხებულად გაათაროვა.

რაც ითქვა პეტრაჟიციის თეორიის გამო, შეიძლება განმეორებული იქნეს ყველა სხვა თეორიის შესახებ, რომელიც სამართლის წყაროდ

ადარებს მაგ., ერთ რომელსამე ფსიქიურ ან სულიერ მდგომარეობას და იმავე დროს ცდილობს ფაქტების ნორმატიულობა სამართლის წყობაზე დაამყაროს. ეს თეორიები ვერ ამჩნევენ, რომ ფაქტების ნორმატიულობის ასეთი ორიენტაციის შედეგად ფაქტის ადგილს საესებით სამართალი იჭერს.

ნორმატიული ფაქტების თეორიის ფუძეს უნდა წარმოადგენდეს რწმენა ნორმატიული ფაქტების არსებობისა; ხოლო თუ ვაღიარებთ, რომ ფაქტების ნორმატიულობა არის არა დასაბამითი, არამედ შექმნილი თვისება, მაშინ ფაქტიური მოკლებული იქნება სწორედ იმ თვისებას. რომელსაც ნორმატიული ფაქტების თეორიის მნიშვნელობა უნდა ემყარებოდეს.

რაკი დაშვებულია ნორმატიული ფაქტების თეორიის არსებობის შესაძლებლობა, თავისთავად ცხადია, რომ ა) ნორმატიულობა თვით ფაქტის თვისებად უნდა იქნეს აღიარებულა და ბ) ერთი ფაქტის ნორმატიულობა არ შეიძლება მიღებულ იქნეს მეორე ფაქტის ნორმატიულობისაგან; ე. ი. სხვახაზირად რომ ვთქვათ, ნორმატიული ფაქტების თეორია გულისხმობს სხვადასხვაგვარი საფუძვლებისაგან ერთნაირი შედეგების მიღების შესაძლებლობას; ამიტომ ის, ვინც უფლებრივი ურთიერთობის ერთადერთ წყაროდ თვლის, მაგალითად უფლებრივ რწმენას, ნებას, უფლებრივ აზროვნებას. გრძნობებს ან ფსიქიურ-ემოციონალურ განცდათა რაიმე სპეციალურ სახეს. იმულებული იქნება. სამუდამოდ უარი თქვას ნორმატიული ფაქტების ყოველგვარი თეორიის შექმნაზე.

შედგებია დავასახელოთ აქ ის ავტორები. რომელთაც ყოველივე ეს ვერ გაითვალისწინეს. ასეთი ძალიან ბევრია, ჩვენ ვიძლევიტ ზოგად პრინციპს და სახელმძღვანელოს. კრიტიკიუმს. რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს ამა თუ იმ თეორიის განხილვის დროს.

არ ვფიქრობთ, შესაძლებელი იყოს ეჭვის შეტანა იმ დებულების სასწორეში, რომელსაც ჩვენ ვიცავთ. თუ არსებობს ერთი ცენტრი, სულ ერთია არის ეს უფლებრივი რწმენა, აზროვნება. უფლებრივი გრძნობები. ნება თუ ემოციები, ერთ-ერთი მათგანი. თუ ყველა ერთად. — მაშინ შეუძლებელია დავუშვათ არსებობა კიდევ სხვა ცენტრებისა, რომელთაც ექნებათ უნარი — შექმნან უფლებისა და ვალდებულების განცდა ამ ცენტრების გარეშე, ე. ი. უფლებრივი რწმენის, უფლებრივი გრძნობების გარეშე, ერთი სიტყვით, იმ სფეროს გარეშე, სადაც პირველად იშლება უფლებრივ ქვემარტივებათა მოცემულობა. არა მხოლოდ კონკრეტულად გარკვეული, მიზეზობრივად ერთმანეთის განმსაზღვრელ მოვლენათა ქვეყანა. მაგრამ ქვეყანა, რომელიც უფლებრივ სიცარიელეს წარმოადგენს ამ ცენტრების გარეშე არაა

მხოლოდ ფაქტების ქაოსი, რომელშიც არც ერთ ფაქტს არ შეუძლია უშუალოდ თავისი შინაგანი ბუნების თანახმად, უფლებრივი რწმენისაგან თუ გრძნობებისაგან დამოუკიდებლად იმოქმედოს, და ამასთანავე იმოქმედოს ისე. როგორც მოქმედებს სამართალი. ყველა ფაქტი აქ მხრივ ერთნაირია და არც ერთი მათგანი არავითარი ნორმატიული თვისებით არ ხასიათდება; ერთნაირია, რადგანაც არც ერთი მათგანი არ არის გამოყოფილი სხვებისაგან ასეთი მნიშვნელობით და ხასიათით. მათი დახასიათება როგორც ნორმატიული ფაქტებისა არ არის ნათი ბუნების დახასიათება. ეს არის დახასიათება ფაქტზე დამყარებული თვისებისა. ეს თვისება ისპობა იმის კაპრიზის მიხედვით. ვის ნივრაც იგი მინიჭებულა. და თუ ამ შემთხვევაში ჩვენ ამა თუ იმ ფაქტს მაინც ვაკუთვნებთ ნორმატიულ ძალას, ეს მხოლოდ მოჩვენებაა, ანარქულია ჩვენი შინაგანი, სპეციფიკური სახის განცდისა; ეს, თუ გნებავთ. ფაქტის ხელოვნური ზედნაშენია, რომლის ფუძეც თვით ფაქტში კი არ არის, არამედ საღდაც ამ ფაქტის გარეშე. ბოლოს, ეს არის თვისება: არა განსაზღვრული ფაქტის ბუნებიდან აღმოცენებული, არამედ თავსება ნაბოძები (სამართლის მიერ), ან, სხვანაირად რომ ვთქვათ, თვისება. რომელიც ყველასე ნაკლებად არის დამოკიდებული იმის ბუნებაზე. ვისაც იგი მიეკუთვნება. როგორც ვხედავთ, ინდივიდუუმს ვერაფერი დაუპირისპირდება თავისი ნორმატიული მნიშვნელობით. მასთანადმე, აქ ინდივიდუალური განცდა სუბიექტისათვის ერთადერთი კანონმდებელი ცენტრია. სწორედ ამიტომ პეტრაეიციკლის თეორიის დივიკურმა განვითარებამ ნამდვილ ანარქიზმამდე უნდა მიგვიყვანოს.

თუ დავუშვებთ. რომ ნორმატიული მოქმედების შესაძლებლობა ბოლოს და ბოლოს შემოაღნიშნულ განცდათა თვისებაა ამით ჩვენ მოკლებული ვიქნებით საშუალებას, ვილაპარაკოთ არა თუ ნორმატიულ ფაქტებზე, არამედ საერთოდ ისეთ ფაქტებზეც, რომელთაც უფლებრივმა რწმენამ შეიძლება ყოველთვის მიაწეროს ნორმატიული ხასიათი. საკითხის ასე დაყენების დროს ჩვენ შევძლებდით, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ჩამოგვეთვალა ისეთი ფაქტები, რომელთაც ნორმატიული თვისება მიენიჭა ან ენიჭება. და სწორედ ისე, როგორც ჩვენ არ შეგვიძლია შევექმნათ ისეთი ფაქტების სისტემა, რომელიც კირვეული გემოვნების ადამიანს დააკმაყოფილებს, ასევე ვერ შევძლებთ დავასახელოთ ისეთი ფაქტები, რომელთაც ნორმატიული თვისება ყოველთვის მიუწერება. ჩვენ გვგონია, რომ ეს დებულება რაიმე განსაკუთრებულ განმარტებას არ მოითხოვს. მართლაც, თუ მაგალიდოდ, უფლებრივი რწმენა ან შემოაღნიშნულ ფსიქიკურ ემოციონალურ განცდათა ერთ-ერთი სახე აღიარებულ იქნება უფლებრივი ცხოვრების ერთადერთ წყაროდ. მაშინ ვთქვამთ უფლებრივი რწმენა აღიარებულ უნდა იქნეს ამ უფლებრივი ცხოვრების დასაწყისად, მამასადამე, თვით

წყარო ანსოლუტურად ავტონომიურია. დაშვება იქნება, რომ წყარო არის თავის თვისებებში ხელოვნურად შექმნილი რამ, უნებურად დაუკარგავს მას წყაროს მნიშვნელობას. ასე რომ, თუ ჩვენ ვაღიარებდით, რომ არის ფაქტები, რომელთაც უფლებრივი რწმენა ყოველთვის უნდა აწერდეს ნორმატიულობის თვისებას, ეს იქნებოდა იმის ნიშანი, რომ თვით ფაქტებს აქვთ ისეთი თვისება, რაც უფლებრივი რწმენისათვის ქმნის აუცილებლობას — ამ ფაქტებს ნორმატიულობა შესძინოს; ე. ი. თვითონ წყარო მიზეზობრივად განპირობებულია და, მაშასადამე, იმის მიმართაც, რაც ამ განპირობებას ქმნის, ე. ი. ფაქტების მიმართ, იგი არ შეიძლება სამართლის წყაროდ ჩაითვალოს. ამგვარად, საკითხის ასეთი ორიენტაცია სრულიად მიუღებელია იმათთვის, ვინც უფლებრივ რწმენას (ისტორიული სკოლა), გრძნობებს (კრაბე) და ემოციებს (პეტრაჟიკვი) თვლიან არა, ვთქვათ, უბრალო ორგანოებად, რომლებშიც სამართალი განიცდება და დაფასდება, არამედ აღიარებენ იმ პირველად სფეროდ, სადაც მქალაქდება დასაბამითი მოცემულობა სამართლისა და, მაშასადამე, მისი დამახასიათებელი თვისებებისაც.

გავსინჯოთ ეს საკითხი მეორე მხრიდან. ვნახოთ რამდენად მისაღები იქნება ზემოაღნიშნულ მიმართულებათა მომხრეთათვის ის თვალსაზრისი, რომლის მიხედვითაც შესაძლებელია არსებობდეს ისეთი ფაქტები, რომელნიც თავისთავად ნორმატიული არ არის. მაგრამ აქვს უნარი აიძულონ უფლებრივი რწმენა, რომ შათ (ფაქტებს) ნორმატიული თვისება მიაკუთვნოს. თუ თანმიმდევრობას დავიცავთ. — მდებარეობდა, რომლის თანახმადაც უფლებრივი რწმენა არის ერთადერთი სფერო, სადაც ღირებულების უფლებრივი თვისება პირველად მდებარეობს, ამკარად გამომდინარეობს, როგორც არაერთხელ აღნიშნეთ, რომ უფლებრივი განცდა არ შეიძლება ჩაითვალოს ისეთ რისამე განცდად, რაც ამ განცდის გარეშეა მოცემული; ასე რომ აქ უკვე თვით განცდა არის სამართალი, რომ უფლებრივი განცდა იყოს განცდა რისამე შესახებ, ცხადია, რომ წყარო იმ რისდაც, რაც განცილია უფლებრივ ემოციებში, გრძნობებში და სხვა, უნდა ვიგულისხმოთ მოცემულად უფლებრივი ემოციების, რწმენის, გრძნობების გარეშე. ე. ი. ეს უკანასკნელნი არ იქნებოდნენ სამართლის წყაროდ. ამგვარად, იმ თეორიების თანახმად, რომელნიც აღნიშნულ აქტებს თვლიან იმ სფეროებად, სადაც სამართლის მოცემულობა პირველად მქალაქდება, თვით აქტ უფლებრივი რწმენისა. განცილისა და სხვ. არის სამართალი. მაგრამ რა დასკვნის მიღება შეიძლება აქედან? თუ ვაღიარებთ, რომ თვით ფაქტებს აქვთ თვისება, რომელიც ქმნის ამ განცდებს და, მაშასადამე, სამართალსაც, მაშინ აღმოჩნდება, რომ უფლებრივი რწმენა და გრძნობა კი არ იწვევს სამართლის წარმოშობას, არამედ ფაქტები, ე. ი. სამართლის წყაროს ფაქტები წარმოადგენენ და არა აღნიშნული განცილები. მაგრამ თუ ფა-

ქტებიც თავისთავად არ არიან ნორმატიული თვისებების მატარებელნი და აგრეთვე არ არიან მატარებელი ისეთი თვისებისა, რაც უფლებრივი რწმენისათვის ჰქმნიდეს აუცილებლობას — განსაზღვრულ ფაქტებს ნორმატივობის თვისებები მიანიჭოს. ამჟამად, რომ ზემოაღნიშნული თეორიების მიხედვით არა თუ შეუძლებელია ნორმატიული ფაქტების სისტემაზე ლაპარაკი. არამედ მოსპობილია ისეთი ფაქტების თეორიის შესაძლებლობაც, რომელთაც შეეძლოთ უფლებრივი რწმენისა, თუ გრძნობების წყალობით ნორმატიულ ფაქტებად იქცნენ. ხოლო, რაკი ეს ასეა, აქ ყველაფერი შეიძლება ამოიწუროს იმ ფაქტების უბრალო მიქანაიკური ჩამოთვლით, რომელთაც, შემთხვევითი გარემოებების ძალით, წარსულში თუ აწმყოში მიენიჭათ ან ენიჭებათ ნორმატიული ხასიათი. მაგრამ რას ნიშნავს ნორმატიული ხასიათის მინიჭება, ჩვენ ამაზე უკვე ვილაპარაკეთ.

ამ მხრით უსათუოდ მეტ თანმიმდევრობას იჩენს ჰოლანდიელი იურისტი კრაბე, რომელმაც აღიარა რა უფლებრივი რწმენა სამართლისა და ნორმატივების ერთადერთ წყაროდ, საბოლოოდ უარი თქვა, მიეკუთვნებინა ნორმატიული ხასიათი იმ ფაქტებისათვის, რომელთაც ჩვეულებრივად ასეთ ხასიათს აკუთვნებენ.

ამ შემთხვევაში ზემოხსენებულ თეორიებისაგან უნდა განვასხვავოთ ის თეორიები რომელნიც რაიმე ეპოციას ან ფსიქოლოგიურ განცდას მათ გარეშე არსებული სამართლის შეფასების ორგანოდ თვლიან.

კრაბე შენიშნავს: „ჩვენი მიზნისათვის საკმარისია მტკიცედ მივიღოთ, რომ სამართლის გრძნობა ზოგადად ადამიანური მიდრეკილებაა, რომელიც იწვევს გარკვეულ რეაქციას როგორც თვით ჩემს, ისე სხვა ადამიანთა ყოფაქცევაში. ამ რეაქციით წარმოშობილი ნორმები სამართლის ნორმებია და მათ ობიექტური ღირებულება აქვთ თვით იმ ინდივიდუუმის ნების მიმართ, რომლის სამართლის ცნობიერება საზომად იქნა გამოყენებული“¹.

კრაბეს შესანიშნავი მონოგრაფიიდან ამოღებული ეს ციტატა სავსებით ადასტურებს იმ დებულებას, რომელსაც ჩვენ ვიცავთ. აქ აღნიშნულია მთელი რიგი გარემოებათა, რაც გზას ხსნის იმ პოზიციისაკენ, რომელიც დავერდებოდეთ უნდა იქნეს იმათ მიერ, ვინც განსაზღვრული სახის ფსიქიკურ, თუ სულიერ განცდებს სამართლის ერთადერთ წყაროდ აღიარებს; მხოლოდ ფაქტების ნორმატიულობა კი ამ უკანასკნელიდან გამოყავს. უფლებრივი რწმენა, კრაბეს აზრით, ისევე პირველადი მოვლენაა, როგორც მშვენიერების გრძნობა.

¹ Krabe, Die moderne Staatsidee, pag. 46.

სრულ სიმართლეს ამბობს კრაბე: „ამ ბუნებრივ სულიერ ძალას ეყრდნობა ყოველგვარი სამართლის ღირებულება. არ არსებობს „სამართლის წყაროები“, როგორც ამას სახელმძღვანელოები გვაწვდიან. არსებობს მხოლოდ ერთი წყარო სამართლისა, სახელდობრ ადამიანში მოქარავი სამართლის გრძნობა ანუ სამართლის ცნობიერება, რომელსაც თავისი ადგილი აქვს განკუთვნილი ადამიანთა ცნობიერებას სამყაროში, მსგავსად ყველა სხვა ღირებულებათა დაძვენელი მიზრეკილებისა. აქ ყოველგვარ სამართალს აქვს თავისი საფუძველი, დაკანონებულ სამართალსაც, ადათობრივ სამართალსაც, დაუწერელ სამართალსაც. საზოგადოდ კანონი, რომელიც ამ საფუძველს არ ემყარება, არ არის სამართალი, ის უვარგისია, როგორც არ უნდა ემორჩილებოდნენ მას — ნებით თუ იძულებით“. „მაშინ მტკიცე უნდა იყოს აგრეთვე ნორმის სამართლებრივი თვისებაც. და ეს თვისება ერთადერთა წყაროდან გამომდინარეობს; ეს წყაროა სამართლის გრძნობა ანუ სამართლის ცნობიერება, რომელიც ბუნებისაგან ადამიანის ფსიქიკაშია ჩანერგილი“. „მაშასადამე, სამართლის ცნობიერება ფსიქოლოგიურია ფაქტია, მაგრამ ამავე დროს ეს ფაქტი განსაკუთრებული ბუნებისაა. ისევე როგორც მშვენიერების გრძნობა, ზნეობრივი ცნობიერება. ზემოხსენებულ ცნობიერება, რელიგიური გრძნობა, თუ რომელიც კატეორიული გამოგვადგება აქ, ცნობიერი თუ არაცნობიერი, და თითოეული ამ გრძნობათაგან ცხოვრების როზელ სფეროში ბატონობს. ამას ყოველთვის მათი მოვალეობითი თვისება მეტყველებს“. „სამართლის გრძნობა, ისევე როგორც რომელიმე სხვა გრძნობა, არ არის გარეწვეული ადამიანის ნების შემწეობით და თავისი მოქმედებითაც დამოუკიდებელია ამ ნებისაგან“.

ამ გრძელი ციტატიდან ნათელი უნდა იყოს, რომ ისტორიული სკოლა იურისტებისა. პეტრაჟიცი და ჰოლანდიელი იურისტი კრაბე ერთი ფლოსოფიური ტრადიციის წარმომადგენელი არიან. ასე რომ, კრაბეს აზრითაც ნორმატიული ძალა შეიძლება მხოლოდ თვით უფლებრივ რწმენას კქონდეს. ამგვარად, არის რა თვითონ ნორმატიული, უფლებრივ რწმენას შეუძლია შექმნას მხოლოდ ღირებულება ნორმატიული მნიშვნელობით. გამოდის, რომ სამართლის ნორმაც თავისი ნორმატიული ხასიათისათვის უფლებრივი რწმენის ნორმატიულ თვისებას უნდა უმადლოდეს. და იმავე შეხედულებას, რასაც ლაპსი ამტკიცებს ზნეობრივ მოთხოვნათა შესახებ, რომელთა მიმართაც ჩვენ უსათუოდ ვალდებულად ვგრძნობთ თავს და მხოლოდ ამის გამო ვართ იძულებული, ეს მოთხოვნები შევასრულოთ, — იმავე შეხედულებას იმეორებს კრაბე უფლებრივი გრძნობებისა და უფლებრივი რწმენის

1 Krabe, Die moderne Staatsidee. გვ. 47.

შესახებ, რასაც იგი სამართლის ერთადერთ წყაროდ აღიარებს. მაგრამ თუ უფლებრივი რწმენა ან უფლებრივი გრძნობა არის დასაბუთების საფუძველი და მხოლოდ ამ საფუძველზე შეიძლება ჩამოყალიბდეს ნორმატიული ძალის მქონე მსჯელობანი, განა კიდევ შეიძლება ლაპარაკი იმის შესახებ, რომ ეს გრძნობები სხვა რამ არის, ვიდრე სამართალი.

აქედან ცხადია, რომ თუ კრახეს თეორიის მიხედვით ვინმე მომადლომებდა ნორმატიული ფაქტების თეორიის შექმნას, მისი ცდა სწორედ იქვე მარცხით დამთავრდებოდა, როგორც მარცხი პროფ. პეტრაციუცის ნორმატიული ფაქტების თეორიის ეწია, მაგრამ კრახე წაყვიდა სხვა გზით, რომელიც მის თვალსაზრისს უფრო შეეფერებოდა. მისი უღალატა თავის ძირითად თემას, და იმ ფაქტების შესახებ, რომელთაც ჩვეულებრივად ნორმატიულ ფაქტებად აღიარებენ, წამოაყენა დებულება. რაც სრულიად შესაძლებლად ხდის ნორმატიული ფაქტების საკითხის დაყენებას. — შედგენილი ყველა ამ ფაქტის დასაბუთება. თათოვეული მათგანის მოხსენიების დროს ხორმატიულობა ამ ფაქტებისა უნებურად გამოიჩნდება არა თვით ფაქტის მეშვეობით. არამედ სამართლის მეშვეობით. მაგალითად, ეხება რა საერთაშორისო სამართალს, კრახე ამბობს: Jeder Vertrag enthält also ein Stück internationales Recht, welches seine Geltung, wie alles andere Recht, der Gemeinschaft der Rechtsüberzeugung verdankt, die den Inhalt der Verpflichtung bestimmt hat.

რასაკვირველია. ამის შემდეგ შეუძლებელია ლაპარაკი ხელშეკრულების ან სხვა რაიმე ფაქტის ნორმატიულ ძალაზე და, რომ პეტრაციუცის თვისი აზრი თანმიმდევრობით განევითარებინა, მას კრახეს მსგავსად. უარი უნდა ეთქვა ნორმატიული ფაქტების თეორიის აქტის შესაძლებლობაზე.

როგორც ამ კრიტიკული ნაწილიდან დავინახეთ, შეუძლებელია ფაქტის ნორმატიულობის დამყარება სამართლის ნორმაზე ან სამართლის წყაროზე, ვინაიდან ასეთი ოპერაციის საშუალებით ფაქტების ნორმატიულობა იმდენად რელატიურ ხასიათს ღებულობს, რომ შეუძლებელი ხდება ნორმატიული ფაქტების პრობლემის დაყენება. მაშასადამე, ის, ვისაც სურს ნორმატიული ფაქტების პრობლემის დაყენება, აუცილებლად უნდა გამოიმდინარეობდეს შემდეგი დებულებებიდან:

1) ნორმატიული ფაქტები არ, წარმოადგენენ შესაძლო ნორმატიული ფაქტების ერთ-ერთ სპეციფიკურ შემთხვევას, ვინაიდან ასეთი რამ აუცილებლად უკიდურეს რელატივიზმში გადავიყვანდა.

2) შესაძლებელია ანალოგიური მოვლენები — (უფლებრივი ერთიანობა) ორი ან მეტი საფუძველიდან.

† Krabe, *ibid*, 287.

3) ნორმატიული ფაქტების პრობლემის დაყენების დროს ნორმატიულ ფაქტებად არ შეგვიძლია ჩავთვალოთ ის ფაქტები, რომლებიც წარსულში სამართლის წყაროს „დემონსტრაციის საშუალებით“ ასეთ ფაქტებად მიაჩნდათ. მაგრამ არსებობს ასეთი ფაქტები? ვფიქრობთ, რომ კი. ამ ფაქტების არსებობა, ჩვენის აზრით, ნათელყო Reinach-მა თავის მონოგრაფიაში „Apriarische Grundlage des bürgerlichen Rechts“. ჩვენ აქ აღარ გავიმეორებთ ამ შრომის ძირითად დებულებას. ჩვენ მხოლოდ შევეცდებით; პრობლემას სწვა გზით მივმართოთ და ამასთანავე თავიდან ავიცილინოთ ზოგიერთი გაუგებრობა.

§ 5. ნორმატიულ ფაქტთა თეორიის დაფუძნება

უმთავრესი მოსაზრებანი, რაც კი შეიძლება მოკვანილ აქნეს ჩვენ მიერ აღნიშნული დებულების წინააღმდეგ, მდგომარეობს იმაში, რომ პოზიტიურ სამართალს შეუძლია ყოველ ფაქტს დაუკავშიროს ან არ დაუკავშიროს ესა თუ ის იურიდიული შედეგი და მანამდე. ფაქტსაც თავისთავად არ შეიძლება მიეწეროს ნორმატიული მნიშვნელობა. ჩვენ გვგონია, რომ ასეთი შეხედულება მცდარია შევეცდებით ეს და ვამტკიცოთ.

მართლაც, შეიძლება ვინმემ იფიქროს, რომ, ცნობს რა ამა თუ იმ ხელშეკრულებას ბათილად, პოზიტიური სამართალი ნამდვილად ცვლის აღნიშნული ფაქტების ბუნებას და კანონშეზომილობას და ამოუშუქდებლად ზღის იმ ინტიმურ განცდას (ლოგიკური მნიშვნელობით), რაც ამ აქტებთან უშუალოდ დაკავშირებულია. ეს სრულიადაც ასე არ არის. როდესაც ხელშეკრულება, შეთანხმება, თუ დაპირება ბათილად არის აღიარებული, ამით სრულიად არ ისპობა ის კანონშეზომილობა და ის ინტიმური კავშირი, რომელიც ამ აქტებთან გვაქვს. ეს გაბათილება ქმნის მხოლოდ შესაძლებლობას, არ შევასრულოთ ის, რის შესრულებასაც აღნიშნული აქტების კანონშეზომილობა გვიკარნახებს. დევნის რა ამა თუ იმ სახის ხელშეკრულებას, პოზიტიური სამართალე მხოლოდ ცდილობს გაამართლოს იმის არშესრულების შესაძლებლობა, რის შესრულებისადმი ამ აქტების კანონშეზომილობას Draug აქვს. და ჩვენ გვგონია, რომ პოზიტიური სამართლის ნორმების შემოქმედი გამოდის არა იმ დებულებიდან, თითქოს ხსენებული კანონშეზომილობის შეცვლა შესაძლებელი იყოს, არამედ პირიქით: ის უყრდნობა ამ კანონშეზომილობის შეცვლის შეუძლებლობას და შესაძლებლად თვლია იმის თავიდან აცილებას, რაც აღნიშნული აქტების კანონშეზომილობის თანახმად უნდა მოხდეს.

ჩვენ არაყრთხელ აღვნიშნეთ, რომ პოზიტიურ სამართალს შეუძლია არარად, ბათილად ჩათვალოს ისეთი ხელშეკრულება, რომელიც პო-

ზიტიური სამართლის მიერ აკრძალული ობიექტების შესახებ არის დადებული. სრულიად უდავოა, რომ პოზიტიურ სამართალს, როგორც უკვე ვთქვით, შეუძლია განათავისუფლოს მხარენი იმის შესრულებასაგან, რაც მათ უნდა შეესრულებინათ, რომ ხელშეკრულება პოზიტიური სამართლის მიერ გაუქმებული არ ყოფილიყო. ასეთი მაგალითი ბევრი შეგვიძლია დავასახელოთ თეორიიდანაც და საკანონმდებლო პრაქტიკიდანაც.

მაგრამ ვანა ეს ოდნავ მაინც შეარყევს ჩვენს დებულებას? ვანა მართლა დაირღვევა ჩვენი მოსაზრებანი იმით, რომ საკანონმდებლო პრაქტიკაში გვხვდება რამდენიმე მუხლო, რომელიც ცდილობს შეუძლებლად ვახადოს იმ შედეგის დადგომა, რაც უსათუოდ უნდა დამდგარიყო, თუ აღნიშნული ფაქტების კანონშეზომილობას წინ არაფერი გადაელობებოდა? ჩვენ გვგონია, რომ ეს სრულიადაც ვერ არღვევს ჩვენს მოსაზრებებს და რამდენადაც, უნდა გამრავლდეს რიცხვი იმ მაგალითებისა, რომელნიც თითქოს ჩვენს წინააღმდეგ ლაღაღებენ, ამით არაფერი დააკლდება იმ ძირითად პრინციპებს, რაზედაც ჩვენ ამ მოსაზრებათა აგება განვიზრახეთ.

ზექონათქვამის მიხედვით, ადვილად შეგვიძლია შევნიშნოთ, რომ ვერც ერთი ხსენებული ფაქტი სამართალს ვერ დაემყარება. არ შეიძლება ამ ფაქტების ნორმატიულობა რაიმე ნორმიდან გამოვიყვანოთ, რადგანაც ეს ნორმატიულობა თვით ფაქტის შინაგანი ბუნებიდან გამომდინარეობს და არა ნორმიდან. ხელშეკრულება, შეთანხმების თუ დაპირების აქტი და აგრეთვე დაფუძნებითი აქტი პოზიტიური სამართლისაგან დამოუკიდებლად ქმნიან უფლებამოსილებისა და ვალდებულების განწყობილებას. თვით ეს აქტები წარმოშობენ აზრთა ისეთ წყობას, რომელშიც მე და სხვა მოცემული ვართ როგორც აქტუალური მოქმედი აზრი უფლებამოსილებისა და ვალდებულებისა. ხოლო რაკი ეს ასეა, თავისთავად ცხადია, რომ აღნიშნული აქტების ნორმატიულ ძალასაც ჩვენ პოზიტიური სამართლისაგან დამოუკიდებლად უნდა განვიცდიდეთ.

მართლაცა, ვანა ცოტა არის ისეთი შემთხვევა, როდესაც ჩვენ ვდებთ ხელშეკრულებას ან ვაძლევთ ვისმე დაპირებას თუ თანხმობას ისე, რომ არ ვიცით, ითვალისწინებს თუ არა ამას პოზიტიური სამართალი? მაგრამ დაპირებას ჩვენ დაპირების გულისათვის კი არ ვიძლევივით და ხელშეკრულებას ხელშეკრულების გულისათვის როდი ვდებთ. ჩვენ ვდებთ ხელშეკრულებას იმ ერთადერთი სურვილით, რომ უზრუნველვყოთ რისამე შესრულება სწორედ მაშინ, როცა ჩვენ შეიძლება გვქონდეს სურვილი, ხელშეკრულება არ შევასრულოთ. კანონიერია ხელშეკრულება თუ უკანონო — ეს ბოლოს ირკვევა, ირკვევა მაშინ, როცა ჩვენ უკვე გვაქვს მთელი ისტორია იმის შესახებ, რომ მე და

სხვა გააზრიანებული ვართ როგორც უფლებამოსილი და ვალდებული. მერე, საიდან მივიღებთ ამას, თუ ჩვენ, პოზიტიური სამართლის ნორმისაგან დამოუკიდებლად, თვით ხელშეკრულების აქტის საფუძველზე, მოცემული არა ვართ ერთმანეთისათვის უფლებამოსილისა და ვალდებულის აზრის მნიშვნელობით? კანონიერია თუ არა ხელშეკრულება — ამას მოსამართლე გადაწყვეტს.

მაგრამ რას ნიშნავს ამ შემთხვევაში ხელშეკრულების საკითხის კანონიერების მიხედვით გადაწყვეტა? განა ეს ნიშნავს იმას, რომ რაკ ხელშეკრულების კანონიერების საკითხი ბოლოს და ბოლოს პოზიტიური სამართლის ნორმის მიხედვით წყდება, ამიტომ არ არსებობს ხელშეკრულება, რომელიც ამ ნორმისაგან დამოუკიდებლად გვაძულებს ჩვენ, ვიყოთ იმ აზრის გავლენის ქვეშ, რომელშიც მე და სხვა განვიცდებით, როგორც უფლებამოსილი და ვალდებული? არა. ეს აზრი არ გაათილდება იმით — კანონიერად იქნება ცნობილი ხელშეკრულება პოზიტიური სამართლის ნორმის მიხედვით, თუ უკანონოდ. შიშობა ვალდებულება, რომ ხელშეკრულება არ ეგუება ცენტრალისტურად მოწყობილ უფლებრივ სისტემას, შეიძლება ვალდებულება, რომ დადებული ხელშეკრულება კანონს ეწინააღმდეგება, მაგრამ ვერაინ აკრძალავს იმ განცდას, რომელიც უსათუოდ თან უნდა სდევდეს კანონსა და ხელშეკრულებას შორის აღმოჩენილ წინააღმდეგობის შეცნობას. ყველაფრისაგან დამოუკიდებლად, ყველგან და ყოველთვის ჩვენ შევიცნობთ „შეუსრულებლობას“, რაც არსებითად გულისხმობს იმის შესრულების მოთხოვნას, რაც „არ სრულდება“. აკრძალავს რა, სამართლის ნორმების თანახმად, ამა თუ იმ ხელშეკრულებას, ჩვენ შეგვიძლია მივიღოთ მხოლოდ მისი არშესრულება, ე. ი. მივიღოთ განწყობილება, რომელშიც განსაკუთრებული სიცხადით ჩაისახება ლოგიკური აუცილებლობა იმისა, რაც კანონის თანახმად შესრულებული არ უნდა იქნეს. და თუ ხშირად პოზიტიური სამართლის ნორმის საფუძველზე ჩვენ ვვიკრძალავენ შევასრულოთ თუნდაც ჩვენთვის არახელსაყრელი ხელშეკრულება, ეს სრულიადაც იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენ ვეღარ განვიცდით ღრმა შინაგან სინამდვილეს იმის არშესრულების შესახებ, რაც უნდა შესრულებულიყო. შესაძლებელია, ჩვენივე ინტერესისათვის გაგვათავისუფლონ იმ ხელშეკრულების შესრულებისაგან, რომელიც კანონს ეწინააღმდეგება, მაგრამ განა ამ შემთხვევაში ჩვენ ვიკრძნობდით იმ შინაგან კმაყოფილებას, რასაც განვიცდით მაშინ, როდესაც ჩვენი მოქმედება შეეფარდება იმ აზრს, რომელიც ქმნის ჩვენს (მრევლის, კრედიტორის, უფლებამოსილის, ვალდებულის და სხვ.) განსაზღვრულ კონკრეტულ მნიშვნელობას? მაგრამ საიდან დაიბადება ეს დაუკმაყოფილებლობა, თუ ამ შემთხვევაში პოზიტიური სამართლის ნორმა აკრძალავს იმ მოქმედებას (თუნდაც ხელსაყრელს, სასიამოვნოს),

რაც არ შეეფერება ჩვენს (უფლებამოსილის ან ვალდებულის) კონკრეტულ მნიშვნელობას, რომლითაც ჩვენ მოცემული ვართ თვით ხელშეკრულების მიერ შექმნილ აზრთა კავშირის მთლიანობაში? ეკვნივ გარეშეა, რომ ჩვენ არ გვექნებოდა დაუქმყოფილებლობის გრძნობა, რომ ხელშეკრულებით შექმნილ აზრთა მთლიანობაში არ ვწვდებოდეთ სიმართლეს უფლებამოსილისა და ვალდებულის ნამდვილი განწყობილების შესახებ. ამგვარად, ჩვენ ვამტკიცებთ, რომ პოზიტიური სიღებული ან როგორც დარღვეული; ამ „დარღვეულობის“, „შეუსრულებული“ შეიძლება არ შესრულდეს ის, რის შესრულებაც აუცილებლობად გვევლინება, მაგრამ არავის შეუძლია დაარღვიოს ის სიმართლე. რომელიც ხელშეკრულების აქტით შექმნილ აზრთა წყობაში გაშლილი და განმტკიცებულია.

მართლაც, თუ წარმოვიდგენთ იმ აქტებს, რომელზეც ზემოთ გქონდა ლაპარაკი, ჩვენთვის ნათელი იქნება, რომ ხელშეკრულების შესრულებაში, ხელშეკრულების შეუსრულებლობაში, ანდა დაპირების შეუსრულებლობაში, ყოველთვის რაღაც განიცდება როგორც შესრულებული ან როგორც დარღვეული; ამ „დარღვეულობის“ „შეუსრულებლობის“ განცდაში კი ყოველთვის აქვს ადგილი იმის განცდასაც, რაც უნდა შესრულებულიყო. ეს მეორე მომენტი ძირითადია. თუ ეს არა გვაქვს, მაშინ „დარღვეულობის“, „შეუსრულებლობის“ განცდალებული ან როგორც დარღვეული; ამ „დარღვეულობის“, „შეუსრულებული“ ბელა, თუ ამ აქტების განცდაში სრული ევიდენტობით არ განიცდება აუცილებლობა იმის განხორციელებისა, რაც ფაქტიურად. ამა თუ იმ სოციალურ-ფსიქოლოგიური პირობების გამო, არ განხორციელდება. ამიტომაც, ყოველთვის და ყველგან, როდესაც ხელშეკრულების „განხორციელებლობას“ და „შეუსრულებლობას“ განვიცდით, ამ განცდაში აუცილებლად იგულისხმება სავალდებულო ბუნება იმისა, რაც განხორციელებლობის აქტში ვერ ხორციელდება. რადგანაც საერთოდ შესაძლებელია ხელშეკრულების, დაპირების, თუ სხვა აქტის ყოველი პირობის მიუხედავად შესრულება ან არშესრულება, ამიტომ, როდესაც ვამბობთ, რომ ხელშეკრულება ან დაპირება ვერ სრულდება. ამას მხოლოდ იმიტომ ვამბობთ, რომ ის, რაც არ ხორციელდება, უნდა განხორციელებულიყო. ალბათ ამიტომაც არის, რომ რაც უფრო გვსურს, რომ ხელშეკრულება თუ დაპირება არ იქნეს შესრულებული, მით უფრო განვიცდით მის სავალდებულო ბუნებას. ხელშეკრულების სავალდებულო ბუნებას ჩვენ მართო მაშინ კი არ განვიცდით, როდესაც მისი შესრულება რაიმე ინტერესის გამო არა გვსურს, არამედ საერთოდ ყოველთვის, თუ რაიმე სხვა მიზეზების გამო მისი განხორციელება დაბრკოლებულია. ასეთ ერთ-ერთ მიზეზად ჩვენ ვთვლით

ამ შეთხვევასაც, როდესაც ამა თუ იმ ხელშეკრულების შეუსრულებლობა თვით კანონით არის ნაბრძანები, ხომ ცხადია, რომ თუ ზოგჯერ კანონის მიერ აკრძალულია ესა თუ ის ხელშეკრულება, ამით სრულადაც არ ისპობა თვით ხელშეკრულების სავალდებულო ბუნების განსჯა?

როგორც ვხედავთ, ჩვენ შესაძლებლად მიგვაჩნია ორი ერთმანეთსადმი მოწინააღმდეგე მოვალეობის განცდა, რომელთაგან ერთი კანონიდან გამომდინარეობს, მეორე კი — ხელშეკრულებიდან. ეს იგი შესაძლებლად მიგვაჩნია, რომ ხელშეკრულება გვავალდებს ეოა რასმე და სამართლის ნორმა კი — ამის საწინააღმდეგო მეორე რასმე. და, რა თქმა უნდა, თუ ნორმა ერთ რასმე მოითხოვს და ხელშეკრულება კი — მეორეს (რის შეუსრულებლობასაც განვიცდით როგორც ხელშეკრულების დარღვევას), — ეს კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ აჩრთა ის წაიბა, რომელსაც თვით ხელშეკრულების აქტი ქმნის, განიცდიდა რაიმე ცვლილებას თავის არსებობაში: მამ. თუ თვით შინაარსს, რომელსაც აცვლილებლად ხელშეკრულების აქტი ქმნის. და აგრეთვე თვით იმ განსჯას, რომელიც დაკავშირებულია ამ შინაარსის აღქმასთან. სამართლის ნორმა ვერაფერს აცნებს, მაშინ თავისთავად ცხადია, რომ სამართლის ნორმისა და ხელშეკრულების ერთმანეთისადმი დაპირისპირება სადღაც სხვა სფეროში უნდა იწვევდეს რეალურ შედეგებს. და ჩვენ გვგონია, რომ ეს დაპირისპირება რეალურ შედეგებს სწორედ იმ სფეროში იწვევს, რომელსაც თავისთავად არავითარი კავშირი არა აქვს იმ იდეათა და აჩრთა სფეროსთან. საღაც მოცემულია, როგორც სამართლის ნორმის ფუნდამენტური მომენტები, ისე ხელშეკრულების აქტის მიერ შექმნილი აჩრთა მთლიანობა. ბოლოს და ბოლოს ხომ სულ ერთი უნდა იყოს. თუ რა პირობები ან რა გარემოებანი (მაგალითად, სამართლის ნორმა თუ სხვა რამ) უშლის ხელს ხელშეკრულებას განხორციელებას. როგორც ერთ, ისე მეორე შემთხვევაში. სახელდობრ, მაშინაც, როდესაც პოზიტიური სამართალი მიუღებლად ცნობს ამა თუ იმ ხელშეკრულებას. ჩვენ ერთნაირი სიმტკიცით და სრულყოფილ ნათლად განვიცდათ ხელშეკრულების სავალდებულო ბუნებას.

პოზიტიურ სამართალს, როგორც ვნახეთ, შეუძლია შექმნას მხოლოდ შეუძლებლობა ხელშეკრულების განხორციელებას. მაგრამ მას არ შეუძლია ძირიან-ფესვიანად მოსპოს ის აჩრთა მთლიანობა, რომელიც ხელშეკრულების აქტთან დაკავშირებით განიცდება, ვიცით არაერთი მაგალითი, როდესაც კანონმდებლობა უწყებულ ხელშეკრულებას, რომელიც ამა თუ იმ პრინციპს ეწინააღმდეგება, ბათილად აცხადებს. მაგრამ უნდა ვიქონიოთ მხედველობაში, რომ აქ კანონმდებელი იმას ვერ ახერხებს, რომ ბათილად გახადოს ის აჩრთა მთლიანობა, რომელიც

დაკავშირებულია ამ აქტებთან; ამ აზრთა მთლიანობას ის ვერც არღვევს და ვერც გვავიწყებს. ხელშეკრულების ბათილად აღიარებდა კანონმდებელს შეუძლია მხოლოდ ერთ რასმე მიაღწიოს, სახელდობრ იმას, რომ ის, რაც აუცილებლად არის მიჩნეული, — თუნდაც იმის მიერ, ვისაც მისი შესრულება არ სურს, — არ იქნეს შესრულებული.

თუ ასეთი დაპირისპირება პოზიტიური სამართლისა ხელშეკრულების მიერ შექმნილი აუცილებლობისადმი ამ უკანასკნელს არ ცვლის, მაშინ თვით ნორმისა და ხელშეკრულების მიერ შექმნილ შინაარსს ჩვენ განვიცდით როგორც ორ პარალელურად მოქმედ მოტრეკაციურ ძალას; და იმისდა მიხედვით, თუ ამ ორ ძალას შორის რომელი უფრო მეტ გავლენას ახდენს ფსიქიკაზე, დამოკიდებულია ისიც, თუ რომელი შინაარსის განხორციელებისაკენ იქნება მიმართული ზემოაღნიშნული შესაძლებლობანი. მაშასადამე, თუ ვიკითხავთ, რომელი შინაარსის განხორციელებას უნდა მიეცეს უპირატესობა, ჩვენ უნდა ვუპასუხოთ, რომ ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად შეგრძნობილი გვაქვს ჩვენ ნორმაში თუ ხელშეკრულებაში მოცემული ღირებულებითი მომენტები. მაგრამ მოქმედებს თუ არა ეს გარეგნობა თვით იმ შინაარსის განცდაზე, რომელიც შექმნილია ხელშეკრულების აქტით? ვფიქრობთ, რომ არა, თუნდაც იმიტომ, რომ აზრთა მთლიანობისათვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს იმ გარემოებას, სრულდება ის რეალურად, თუ არა. ვასრულებთ თუ არ ვასრულებთ მას, იმისდა მიუხედავად, თუ რა რეალური მიზეზების გამო ვასრულებთ ან არ ვასრულებთ, ამ აზრთა მთლიანობაში „მე“ და „სხვა“ მაინც ვრჩებით ძველი მნიშვნელობით.

როგორ ხდება, რომ ლოგიკურად აღიარებული ღირებულება რეალურად არ ხორციელდება. ანდა როგორ არის შესაძლებელი, რომ ლოგიკურად აღიარებული რისამე შესრულება ხშირად არ გვსურს? ამაზე ჩვენ ზემოთ გვეკონდა ლაპარაკი; უფრო დაწვრილებით კი ეს საკითხი გაშუქებულია ჩვენს წერილში — „იურიდიული სუბიექტის შესახებ“¹.

ჩვენ ვამბობთ, რომ ხელშეკრულების სავალდებულო ბუნება თავიდანვე დამოუკიდებელია პოზიტიური სამართლის ნორმებისაგან. ასეთი რამ სრულ უაზრობად უნდა მოეჩვენოს ნეოკანტიანელების მიმდევრებს, მაგრამ საკმარისია განვთავისუფლოდეთ ამ ფილოსოფიის პიპოთეზიდან და ყველაფერი ეს აბსურდად არ მოგვეჩვენება. მართლაც და, რომ ხელშეკრულების აქტის მიერ შექმნილი ვალდებულება პოზიტიურ სამართალზე იყოს დამოკიდებული, მაშინ ხელშეკრულებისა და ნორმის დაპირისპირებისთანავე სავსებით უნდა ისპობოდეს აზრ-

¹ იხ. „იურიდიული სუბიექტი“, უნივერსიტეტის მოამბე, № VIII, 1928.

თა და მნიშვნელობათა ის ეიდეტური კომპლექსი, რომელიც ხელშეკრულებს აქტით იქმნება ხოლმე.

ჩვენ ვაღიარებთ, რომ ნორმატიულობა ზოგიერთი ფაქტების ობიექტური თვისებაა. ამით ჩვენი პრობლემის მეთოდოლოგიური სამოსარსებითად იცვლება. თავის დროზე ჩვენ აღვნიშნეთ, რომ პოზიტიური სამართალი, ანუ პოზიტივობა სამართლისა მდგომარეობს სამართლის არანამდვილობითი აზრის ნამდვილობაში. და, როგორც ასევე, იგი (პოზიტიური სამართალი, ან სამართლის პოზიტივობა) დროში მომხდარ მოვლენად ჩავთვალეთ. ამიტომ, თუ ჩვენ არაერთარ შემთხვევაში არ შეგვიძლია სამართლის იდეა ან სამართლის დამახასიათებელი კანონშეზომილობა სხვა რამით შევცვალოთ და მათ ადგილას ვიგულისხმოთ ისეთი რამ, რაც მათგან განსხვავდება, საპაგიროდ, ადვილად შეგვიძლიან ყოველი პოზიტიური სამართლის ადგილას წარმოვიდგინოთ სხვა, მისი ანალოგიური ან მისგან სრულიად განსხვავებული პოზიტიური სამართალი. პოზიტიური სამართლის ეს შემთხვევითი ხასიათი გამოიწვეულია იმით, რომ იგი წარმოიშობა იმ წყაროდან, რომელიც სოციალურ-ეკონომიური პირობების ზეგავლენით ქმნის მოქმედი სამართლის ნორმას. ამიტომ არ არსებობს ისეთი პოზიტიური სამართალი, რომელსაც, ერთი მხრით, არ ჰქონდეს მიმართება სამართლის იდეისადმი, და რომელიც, მეორე მხრით, თავისი არსებობით უშუალოდ არ იყოს დაკავშირებული განსაზღვრულ სოციალურ-ეკონომიურ პირობებთან, ყოველი პოზიტიური სამართალი სოციალურ-ეკონომიურ პირობებთან არის დაკავშირებული: ხოლო ამ სოციალურ-ეკონომიური პირობების შესახებ, თავის მხრივ. უნდა ითქვას, რომ ისინი შეიძლება სრულიადაც არ ყოფილიყვნენ. ანდა ყოფილიყვნენ სხვანაირი, ვიდრე ნამდვილად არიან. ამასთან დაკავშირებით სამართალწმენის შესახებაც შეგვიძლია ვთქვათ: მან შექმნა პოზიტიური სამართლის ესა თუ ის ნორმა. მაგრამ შეეძლო არც შექმნა, რომ სოციალურ-ეკონომიური პირობები არ ყოფილიყო ისეთი, როგორც იყო. ცხადია, ამის მიხედვით სრული საბუთი გვაქვს, ყოველი პოზიტიური სამართლის თაობაზე განვაცხადოთ: დიას, პოზიტიური სამართლის ნორმათა ეს სისტემა არსებობს ისე, როგორც არსებობს, მაგრამ იგი შეიძლება სხვა სახისაც ყოფილიყო. რადგანაც ჩვენ შეგვიძლია წარმოვიდგინოთ შესაძლებლობა, რომ ერთი პოზიტიური სამართლის ადგილას არსებობდეს მეორე სამართალი, რომელიც მოქმედი სამართლისაგან განსხვავდება. საჭიროა მხოლოდ დავუშვათ, რომ შეიძლება არსებობდეს სხვაგვარი პირობები, ვიდრე ის პირობები, რომელმაც მოქმედი სამართალი წარმოშვა, და ჩვენ ადვილად შევძლებთ უკანასკნელის ადგილას პოზიტიური სამართლის სხვა სისტემის არსებობა წარმოვიდგინოთ. ყოველი მოქმედი სამართალი ჩვენ შეგვიძლია წარმო-

დგენით სხვა სამართლით შეეცვალათ. როგორც ერთი სურათის მაგიერ შეგვიძლია სხვა სურათი წარმოვიდგინოთ. ისე ერთი პოზიტიური სამართლის მაგიერ შეგვიძლია სამართლის სხვა სისტემა წარმოვიდგინოთ. ამიტომ მოქმედი სამართალი ყოველთვის შემთხვევითია. ე. ი. იგი არის. მაგრამ შეიძლება სხვანაირიც ყოფილიყო, ანდა სულაც არ ყოფილიყო. მოქმედი სამოქალაქო სამართლის ან სისხლის სამართლის ყოველი ნორმის შესახებ შეიძლება ითქვას: რომ „ესა და ეს“ არ ყოფილიყო, არც ეს ნორმა იქნებოდა, ხოლო, რომ უწყებულები პირობების მაგიერ სხვა პირობები შექმნილიყო, სამართლის ნორმაც სხვანაირი იქნებოდა, ამიტომ ყოველ მოქმედ სამართალს შეგვიძლია შევხედოთ როგორც შესაძლო სამართალთა ერთ-ერთ სპეციალურ შემთხვევას. ე. ი. სხვანაირად რომ ვთქვათ, პოზიტიური სამართლის ნორმა შემთხვევითია.

მაგრამ შეგვიძლია თუ არა ასე დავხასიათოთ ნორმატიული ფაქტები? არასოდეს. რაკი ნორმატიული ფაქტები არსებობს. ჩვენ ისინი არ შეგვიძლია წარმოვიდგინოთ როგორც ერთ-ერთი შემთხვევა ნორმატიული ფაქტებისა. მაშასადამე, ვიმეორებთ, პოზიტიური სამართალი შემთხვევითია. ჩვენ გვგონია, რომ ამ ძირითადი პირობის გარეშე არ გვექნებოდა არა მარტო „სამართალშემოქმედება“, არამედ ლაპარაკიც შეუძლებელი იქნებოდა სამართლის შეცვლისა და ლაპარაკების შესახებ და მისი ანალოგიით გამოყენების შესახებაც კი. შესაძლებლობა პოზიტიურ სამართლის შეცვლისა, გაუმჯობესებისა ან, სხვანაირად რომ ვთქვათ, შესაძლებლობა სამართლის განვითარების ემყარება იმის აღიარებას, რომ პოზიტიურ სამართალს შემთხვევითი ხასიათი აქვს. ე. ი. იმის აღიარებას, რომ უწყებულები მოქმედი სამართალი მხოლოდ შესაძლო სამართალთა ერთ-ერთი სპეციალური შემთხვევაა. მაგრამ არა მარტო ეს, არამედ სამართლისათვის ბრძოლაც, რომელიც არსებითად სხვა არა არის რა, თუ არ სამართლის პროდუქციისათვის ბრძოლა, სრულიად წარმოუდგენელი იქნებოდა თავისი უმიზნობით, რომ არსებული მოქმედი სამართალი შესაძლო სამართალთა ერთ-ერთ შემთხვევად არ ჩაითვალოს. რასაკვირველია, ნორმატიული ფაქტების მიმართ შეუძლებელია ლაპარაკი რაიმე შემოქმედებითს აქტზე. შეუძლებელია ამაზე ლაპარაკი თუნდაც იმიტომ, რომ, რაკი ნორმატივობას ფაქტების ობიექტურ თვისებად ვაღიარებთ, ამით უკვე შეუძლებელი ხდება ფაქტების ნორმატივობა რისამე შედეგად ჩავთვალოთ. ამასთან დაკავშირებით, რა თქმა უნდა, არ შეიძლება ფაქტების ნორმატივობა მივიჩნიოთ იმ შემოქმედებითი აქტის შედეგად, რომლის იდეაზეც საერთოდ დამყარებულია სამართლის პროგრესი. ან რატომ არის, რომ თუ პოზიტიური სამართლის შეცვლა, შეცვლა და

გაცხოვრება შესაძლებელია. ნორმატიული ფაქტების შევსებას, პრეკლასა და გაუმჯობესებაზე ჩვენ სრულიად ვერ ვილაპარაკებთ.

ნორმატიული ფაქტები ყოველ წუთს დგანან ჩვენ წინაშე ისე, როგორც ისინი არსებობენ. ნორმატიული ფაქტი შემთხვევითს მოვლენას არ წარმოადგენს. რადგანაც იგი არავითარ გარემოებაზე დამოკიდებული არ არის. ჩვენ არ შეგვიძლია არსებული ნორმატიული ფაქტების სპეციალური შემთხვევად ჩავთვალოთ (როგორც ამას პეტრაეიკი აცხადებს). თუ ჩვენ ნორმატიურობას ზოგიერთი ფაქტების ობიექტურად დასაბუთებად ვაღიარებთ, ამით უკვე ვსვამთ იმ წყაროს არსებობის შესაძლებლობას. საიდანაც ნორმატიული ფაქტების ნორმატიურობა უნდა დასაბუთდეს. ამასთან დაკავშირებით, არავითარ შემთხვევაში არ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ნორმატიული ფაქტები მოცემული არიან იმ ხასიათით, როგორც არსებობენ, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ისინი შეაძლება სრულიადაც არ ყოფილიყვნენ ან სხვანაირი ყოფილიყვნენ. ამ დებულებაზე, როგორც დავინახეთ, აგებულია პეტრაეიკის მთელი თეორია. საკმარისია მხოლოდ ერთი წუთით ვაღიაროთ, რომ არსებული ნორმატიული ფაქტები სპეციალური შემთხვევაა. შესაძლო ნორმატიული ფაქტებისა, როგორც ამას პეტრაეიკი შეუქმნევლად შერჩება. და მაშინ ნორმატიურობა ამ ფაქტების ობიექტური თვისება აღარ იქნება. ეს თვისება მოსწყდება იმ ფაქტების ბუნებას, რომელთაზე ჩვენ ნორმატიულ ფაქტებად ვაღიარებთ, და მაშინ ნორმატიული ფაქტების პრობლემა, როგორც თავის დროზე აღვნიშნეთ, აღცილებელია პოზიტიური სამართლის განმარტების პრობლემად იქცევა. სოციალური ფაქტების ნორმატიურობის სამართლიდან გამოყვანა აძლევს ამ ფაქტებს იმ რელატიურ ხასიათს, რომელიც სპობს ნორმატიული ფაქტების (როგორც ასეთის) არსებობის ყოველგვარ შესაძლებლობას.

ამასთან ერთად, ყურადღება უნდა მივაქციოთ ერთ უაღრესად მნიშვნელოვან და იმავე დროს მეტად საინტერესო გარემოებას. რომელიც დასაშვებია პოზიტიური სამართლის სფეროში. მაგრამ სრულიად წარმოუდგენელია იმ ფაქტების მიმართ, რომელთაც ნორმატიულ ფაქტებად ვთვლით.

დებულება, რომლის თანახმადაც პოზიტიური სამართალი შესაძლო სამართალთა სპეციალური შემთხვევაა, შესაძლებლად ხდის აგრეთვე, ეგრეთწოდებულ, უფლებრივ შემოქმედებას. ნორმატიული ფაქტების მიმართ კი ასეთ რასმე ვერ ვიტყვი.

ან სრულიად უნდა უარყყოთ, როგორც არაერთხელ აღვნიშნეთ, ნორმატიული ფაქტების არსებობის შესაძლებლობა, ანდა უნდა ვაღიაროთ ეს შესაძლებლობა და მაშინ ამ ფაქტების ნორმატიურობას ვერავითარ მოვლენას ვერ დავუკავშირებთ. ხასიათებიან რა ნორმატიურობით, ნორმატიული ფაქტები შესაძლებელია ქმნიდნენ ისეთ მდგომარეობაში.

რეობას, რომ მათზე ბევრი რამ იყოს დამოკიდებული, მაგრამ თუკონ ეს ფაქტები არასოდეს არაფერზე დამოკიდებული არ არიან. ხოლო თუ ნორმატივობას ჩავთვლით ზოგიერთი ფაქტის ობიექტურ თვისებად, ჩვენ, რასაკვირველია, ვეღარ ვიტყვი, რომ ეს ნორმატივობა „მიხდება.“ მაგალითად, ვერ ვიტყვი: მოხდა ისე, რომ განსაზღვრული ფაქტების დამახასიათებელ თვისებად ნორმატივობა იქცა, მაგრამ რაკ ნორმატივობა ზოგიერთი ფაქტის ობიექტურ თვისებად უნდა იქნეს აღიარებული, თავისთავად ცხადია, არ შეგვიძლია ამ თვისების შესახებ, ან უფრო სწორად, ამ ფაქტების კანონმდებლობის შესახებ ვთქვათ, რომ იგი სადღაც იწყება. ამასთან დაკავშირებით კი უნდა შესაძლებლობა ნორმატიული ფაქტების შევსებისა, შეცვლისა და გაუმჯობესებისა.

სწორედ ამიტომ, თუ პონტიფიკალი სამართლის მეცნიერებან: ამენენ თავის გვერდით საკანონმდებლო ტექნიკის მეცნიერებასაც, ანუ სამართლის პოლიტიკას, — ამ უკანასკნელის ანალოგიური დისციპლინა, ვთქვათ, დისციპლინა ნორმატიული ფაქტების პოლიტიკის შესახებ სრულიად წარმრუდგენელი იქნება იმ დისციპლინის გვერდით, რომლის საგანსაც ნორმატიული ფაქტების შესწავლა შეადგენს: ენაიდან ამ დისციპლინას, ე. ი. სამართლის პოლიტიკას საფუძვლად უდევს თავი უფალი სამართალშემოქმედებრი იდეა. რომელიც თავის მხრივ ემყარება იმ რწმენას, რომ მოქმედი სამართალი მხოლოდ შესაძლო სამართალთა ერთ-ერთი სპეციფიკური შემთხვევაა. საკმარისია, თავისუფალი სამართალშემოქმედების შესაძლებლობა უკუევადოთ, საკმარისია დაუშვათ, რომ მოქმედი სამართალი შემთხვევით მოვლენას არ წარმოადგენს, ე. ი. არ არის დამოკიდებული იმ გარემოებებზე, რომელთა შესახებაც ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ: ისინი არიან, მაგრამ შეიძლება არ ყოფილაყვნენ, ანდა შეიძლება სხვანაირიც ყოფილიყვნენ, საკმარისია ეს დაუშვათ, და სამართლის პოლიტიკაზე ჩვენ ვეღარ ვლაპარაკებთ.

იმ დებულებიდან, რომ ფაქტების ნორმატივობა, რამდენადაც ნორმატივობას მათ ობიექტურ თვისებად ვაღიარებთ, არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება წარმოიშვას ან მოხდეს. — გამომდინარეობს არსებულ ნორმატიული ფაქტების შესაძლო ნორმატიული ფაქტებისადმი დაპირისპირების შეუძლებლობაც.

ამის მიხედვით უნდა მიგველო ისეთი დასკვნა, რომ ნორმატიული ფაქტები ყოველთვის უფრო პირველია, ვიდრე რომელიმე პოლიტიკური სამართალი და რომ ამის წყალობით ნორმატიული ფაქტები ან შეიძლება გამოყენებულ იქნეს პოლიტიკური სამართლის მიერ ან და უკანასკნელს შეუძლია შექმნას ხელოვნური დაბრკოლებანი იმ რეა-

ლუჩა ეფექტის მიღებისათვის, რომლისკენაც აქვს Drang თვით ნორმატიული ფაქტებში მოცემულ კანონშეზომილობას.

და მართლაც, რამდენადაც ნორმატივობას განსაზღვრული ფაქტების სპეციფიკური თვისებად ჩავთვლით, იმდენად, გარდა იმისა, რომ უნდა ვაღიაროთ ნორმატიული ფაქტების სრული დამოუკიდებლობა პოზიტიური სამართლისაგან, უნდა ვაღიაროთ ისიც, რომ ნორმატიული ფაქტები ყოველ პოზიტიურ სამართალთან შედარებით უფრო ადრინდელი და პირველადია; ვინაიდან, ექვს გარეშეა, რომ ნორმატივობა, როგორც თვისება, უფრო ადრინდელი უნდა იყოს, ვიდრე ის, რაც შესაძლო სამართალთა სპეციფიკური შემთხვევაა, ე. ი. ფაქტების ნორმატივობა უფრო ადრინდელი უნდა იყოს, ვიდრე ის, რაც თავისუფალი შემოქმედებითი აქტის (სამართალშემოქმედების) შედეგია, ამიტომ რა მხარეც უნდა მივუღებთ ნორმატიულ ფაქტებს, მათი პოზიტიურ სამართლისადმი დაპირისპირების დროს, ისინი იქნებიან უფრო პირველადი, ვიდრე თვით პოზიტიური სამართალი, ხოლო ამ გარემოებამ უნდა გვაძლავდეს უკუვადგოთ ის აზრი, რომ პოზიტიურ სამართალს შეუძლია შექმნას ფაქტების ნორმატივობა, ან რომ მას შეუძლია შეცვალოს რაიმე იმ ფაქტების ბუნებაში, რომელთაც ნორმატიული ფაქტები ეწოდება.

სეთია ნორმატიული ფაქტები, და სწორედ ასეთი უნდა იყვნენ ისინი, რაკი მათ ნორმატივობას ობიექტურ პირობად ვაღიარებთ: ამიტომ მათი ბედი სხვაგვარია, ვიდრე პოზიტიური სამართლისა. ყოველი პოზიტიური სამართლის შემოქმედების დროს ნორმატიული ფაქტები უნდა დარჩნენ იმ სახით, როგორც ისინი არსებობენ, ნორმატიული ფაქტების თვისებაში და საერთოდ მათ ბუნებაში მოქმედ სამართალს არსებითად არაფრის შეცვლა არ შეუძლია. პოზიტიურ სამართალს, როგორც შემოთ არაერთხელ აღვნიშნეთ, შეუძლია ან გამოიყენოს ნორმატიული ფაქტების ბუნება თავისი მიზნებისათვის ან ბუნებრივად შეუძლოს იმ ეფექტების წარმოშობას, რაც ნორმატიული ფაქტების მიერ შექმნილი აზრთა ნილიანობის თანახმად უნდა წარმოიშვას.

შემონათქვამიდან უნდა დავასკვნათ, რომ:

- 1) ფაქტის ნორმატივობა არ არის დამოკიდებული საერთოდ რაიმე სხვა თვისებასა და გარემოებაზე და, კერძოდ, პოზიტიურ სამართალსა და მის წყაროზე;
- 2) ნორმატიული ფაქტები დროში მოქმედი ყოველი სამართლის მიმართ ყოველთვის უფრო ადრინდელია;
- 3) ნორმატიული ფაქტები, როგორც ასეთი, ყოველთვის შეგვიძლია წარმოვიდგინოთ იმ საფეროშიც, რომელიც პოზიტიურ სამართალს არ ექვემდებარება;
- 4) ნორმატიული ფაქტების რიცხვს პოზიტიური სამართალი ვერც გააღატაკებს და ვერც შეამცირებს;

5) ნორმატიული ფაქტების პრობლემა სპობს თავისუფალი შებენ-მედებიანი აქტის იდეას;

6) წინააღმდეგ პოზიტიური სამართლისა, რომელიც ყოველთვის შეგვიძლია შესაძლო სამართალთა სპეციფიკურ შემთხვევად ჩავვალოთ. ნორმატიული ფაქტები არასოდეს არ შეიძლება განვიხილოთ როგორც სპეციალური შემთხვევა შესაძლო ნორმატიული ფაქტებისა;

7) ნორმატიული ფაქტები, როგორც უფრო პირველადი, ვიდრე სამართალი, შეიძლება მხოლოდ გამოყენებულ იქნეს პოზიტიური სამართლის მიერ თავისი მიზნებისათვის, ანდა ამ უკანასკნელს შეუძლია მხოლოდ შექმნას დაბრკოლება იმ რეალური შედეგის წარმოშობისთვის, რაც თანახმად ნორმატიულ ფაქტში მოცემული ღირებულებათი მომენტი, აუცილებლად უნდა დადგეს;

8) წინააღმდეგ პოზიტიური სამართლისა, რომელსაც თავის წყარო აქვს. ნორმატიული ფაქტები ასეთ წყაროს სრულიად მოკლებულია; ამიტომაც, თუ პოზიტიური ნორმის შესახებ ჩვენ ყოველთვის ვამბობთ: „მოხდა“ ნორმატიული ფაქტების შესახებ ამის თქმა არ შეგვიძლია;

9) ნორმატიული ფაქტები შესწავლილ უნდა იქნეს პოზიტიური სამართლისაგან დამოუკიდებლად.

მაგრამ შეიძლება ჩვენ ვცდებით? იქნებ უბრალო მოჩვენებას საგნის შენარჩუნად ვასაღებთ? იქნებ ამ შემთხვევაშიც ხოგიერთი გარემოების პროექციას განსაზღვრული აქტების ბუნებად ვთვლით? შეიძლება გვიფიქროს — ხელშეკრულების შესრულებას თვით ხელშეკრულების აქტის ბუნება კი არ გვიყარნახებს, არამედ სულ სხვა გარემოების მაგალითად, საზოგადო აზრები და შეხედულებანი.

მაგრამ ჭერ ხომ არავის გადაუწყვეტია საზოგადოების წევრთა შორის ხელშეკრულებათა შესრულების შესახებ საკითხი: ტრადიცია და შეხედულება იწვევს ამ ხელშეკრულებათა შესრულების აუცილებლობას, თუ, პირიქით, ხელშეკრულების ღირებულებითი მომენტი და ამისთან დაკავშირებული განცდა საზღვრავს საზოგადოების წევრთა საერთო აზრს, ტრადიციას და შეხედულებას? ძნელი სათქმელია. — სად არის სიპართლე. მაგრამ არ გვინდა ვაღიაროთ, რომ ტრადიცია და საერთო აზრი, რომელიც შეიცავს იმპერატივს ხელშეკრულების დაცვის აუცილებლობის შესახებ, კულტურული განვითარების დაბალ საფეხურზე და იმ პირობებში, სადაც ჩვენ ყოველ ნაბიჯზე გვხვდება ხელშეკრულებისა, დაპირებისა, შეთანხმებისა. თუ დაფუძნებითი აქტის საფუძველზე წარმოშობილი უფლებრივი ურთიერთობა, რომელიც (ამ საფეხურზე და ამ პირობებში) ეს ტრადიცია და საზოგადო აზრი შედეგად იქონიერებს დღევანდელი წესდებისა თეორიული აზროვნებისა ან, პოლოს, მიხანშეწონილობის მოსაზრებისა. მაგალითად, ყველა ჩვენ-

განს უყურებია ბავშვთა თამაშობიანათვის. უსათუოდ შეგვიჩინებდას, რომ ბავშვთა თამაში, რამდენადაც ყოველი თამაშობა მოთამაშე მძარეებს გულისხმობს, აგებულება არა შექმსვევით კომბინაციებზე. არა-შეკ ხელშეკრულებასზე, შეთანხმებაზე და დაპირებაზე. რასაკვირველია, ამ შემთხვევაში ძნელია წარმოვიდგინოთ, რომ აღნიშნულ ხელშეკრულებათა შესრულების აუცილებლობა შედეგი იყოს ბავშვთა ლოგიკის ან განყენებული მჭყელობისა საერთოდ ხელშეკრულების, შეთანხმების. თუ დაპირების შესრულების აუცილებლობის შესახებ.

ვიმეორებთ, ჩვენ არ ვიცით, საზოგადო აზრმა და რწმენამ დაბოდა ხელშეკრულებათა, დაპირებათა და შეთანხმებათა შესრულების აუცილებლობა, თუ შეუგნებელი შეგუებისა და ცხოვრების ეთოსის ღრმა შეთვისების პროცესში გაიშალა ჩვენ წინაშე ის ღირებულებანი, რომელთა გააზრიანებამ მოგვცა პრინციპი საერთოდ ხელშეკრულებათა, დაპირებათა და შეთანხმებათა დაცვის აუცილებლობის შესახებ.

რომ კონკრეტული ხელშეკრულების ძალა *Pacta servanda sunt*-ის პრინციპს ეწყარებოდეს, იმის შესაგვსად, როგორც ზოგიერთები სამართლის ნორმათა პოზიტურობას ბუნებითი სამართლის ნორმებსე აფუძნებდნენ. — მაშინ პოლოს და ბოლოს *Pacta servanda sunt*-ის პრინციპის ძალა კონკრეტული ხელშეკრულების მიმართ შეიძლება გაგვებათილებინა სხვა პრინციპების, — მაგალითად, გონიერების, მზანწეწონილობის, სამართლიანობის და სხვა ძალით. ამ პრინციპების საშუალებით ჩვენ ყოველთვის შევძლებდით კონკრეტულ ხელშეკრულებათა ბედ-იღბალი *Pacta servanda sunt*-ის პრინციპის კლანჭებრიდან გამოგვეგლიჯა. ამიტომ, თავისთავად ცხადია, რომ *Pacta servanda sunt*-ის პრინციპს შეუძლია სავალდებულო ხასიათი მისცეს არა ყველა ხელშეკრულებას საზოგადოდ, არამედ მხოლოდ ზოგიერთს. სხელდობრ, იმ ხელშეკრულებებს, რომელნიც, მაგალითად, სამართლიანობის იდეას ახორციელებენ. სხვაწაირად რომ ვთქვათ, არა ყოველი ხელშეკრულება, არამედ მხოლოდ ის ხელშეკრულება, რომელიც გონიერებისა და სამართლიანობის ან სხვა პრინციპის მოთხოვნას შედეკრება. შეიძლება დაცულ იქნეს *Pacta ves servanda*-ს პრინციპის მიერ, როგორც ვხედავთ, ამ პრინციპით თავისთავად არ შეიძლება დაცულ იქნეს ხელშეკრულება, ვინაიდან ჩვენ არავითარი საფუძველი არა გვაქვს იმისათვის, რომ ამ პრინციპს, სამართლის იდეასთან ან ა. — თუ იმ კონკრეტულ პრინციპთან შედარებით რაიმე უპირატესობა მივანიჭოთ.

რა თქმა უნდა. საკითხის ასე დაყენებას ვერ გაიზარებენ ისინი, ვინც იმთავითვე სპობს შესაძლებლობას, რომ ორი სხვადასხვა საფუძველიდან მიღებულ იქნეს ერთნაირი შედეგი, და ვინც ერთადერთ წყაროდ პოზიტუერ სამართალს აღიარებს. მაგრამ განა ასე? განა

ჩვენს თავს ვალდებულად მხოლოდ მაშინ ვგრძნობთ, როცა პოზიტიური სამართლის ნორმების შემსრულებელი ვართ? განა ვერ დავასახელებთ ისეთ შემთხვევებს, როცა ანალოგიური განწყობილება: სტია მიზეზების შედეგიც არის? განა ყოველ ჩვენგანს არ შეუძლია დადასტუროს, რომ არშესრულება ხელშეკრულებისა, რომელიც თუნდაც პოზიტიური სამართლის ნორმების წინააღმდეგ არის დადებული, ვერ ევალივსუფლებს არშესრულების განწყობილებისაგან, რომელიც ასეებითად რაიმე ფსიქიკურ განცდას კი არ წარმოადგენს, არამედ ლოგიკურ დამოკიდებულებას იმისადმი, რაც თავისთავის მიერ დანიშნულია შესასრულებლად? განა არ არსებობს ისეთი აქტები, რის შესრულებაც დამყარებულია არა ჩვეულებაზე, რომელშიც წმინდა ფსიქიკური აუცილებლობა სჭარბობს, ან, ვთქვათ, სხვა რაიმე განყენებულ პრინციპებზე, არამედ ამა თუ იმ აქტების ეიდეტურ შედგენილობაზე? და, დასასრულ, განა ჩვენ არ შეგვიძლია დავასახელოთ ისეთი აქტები, რომლის ეიდეტური, შედგენილობა, ქმნის აზრთა კავშირის ისეთ რიგს, რომელშიც „ჩვენ“, პოზიტიური სამართლისაგან დამოუკიდებლად, ემკლავნდებით აზრთა ურთიერთობის იმგვარ წყობაში (უფლებამოსილისა და ვალდებულისა), რომ ვიწყებთ განსაზღვრული მოქმედების შესრულების აუცილებლობის შეთვალვას?

აქ შედმეტრ არ იქნება, კვლავ მივაქციოთ ყურადღება იმ გარემოებას, რომელიც ერთხელ კიდევ დაგვიდასტურებს იმ აქტების მოცეპულობას, რომელთაც პოზიტიური სამართლის გარეშე და მისგან დამოუკიდებლად შეუძლიათ შექმნან აზრთა ის ერთიანობა, რაზედაც ჩვენ ახლა ვლაპარაკობდით.

რა გარემოებაშიც უნდა ვდებდეთ ხელშეკრულებას, თუ შეთანხმებას, სულ ერთია, თვით ამ აქტების მიმართ ჩვენ ვდგავართ მხოლოდ როგორც შემსრულებელი ან არშემსრულებელი მათი შინაარსისა. ყოველდღიური გამოცდილება გვიჩვენებს, რომ პოზიტიური სამართლის ნორმებით გაუთვალისწინებელ გარემოებათა გამო დადებულ ხელშეკრულება ვალდებულგვყოფს ჩვენ რაღაც განსაზღვრული მნიშვნელობით, ე. ი. იგი ჩვენშივე ქმნის იმის შესრულების მოთხოვნას. რაც ხელშეკრულების მიზანს შეადგენს, ჩვენ შეიძლება არ გვინდოდეს არც ხელშეკრულების შესრულება, ჩვენ შეგვიძლია ნათლად წარმოვიდგინოთ ყველა უხერხულობა, რასაც განსაზღვრული ხელშეკრულების შესრულება წარმოშობს, ჩვენ შეგვიძლია ვიგრძნოთ, თუ რამდენად ეწინააღმდეგება ამა თუ იმ ხელშეკრულების შესრულება ყველა ჩვენს ჩვეულებას და მიდრეკილებას, დასასრულ, შეგვიძლია ვიცოდეთ, რომ პოზიტიური სამართლის ამა თუ იმ ნორმით აკრძალულია განსაზღვრულ ხელშეკრულებათა შესრულება და მათ შორის ჩვენ

მეორე დადებული ხელშეკრულების შესრულებაც, მაგრამ რაც უფრო მეტად ვგრძნობთ შეურიგებლობას ხელშეკრულების შინაარსსა და ჩვენს სურვილებს, ჩვეულებებს, თუ პოზიტიური სამართლის ნორმებს შორის. მით უფრო ნათლად განვიცდით ამ ხელშეკრულების შესრულების აუცილებლობას, ვინაიდან, როდესაც ჩვენ ვგრძნობთ შესრულების დამაბრკოლებელ გარემოებათა წნევას, მაშინ განსაკუთრებული სიძნელეებით თვით შეუსრულებლობის აქტის შინაარსს.

მაგრამ განა ჩვენ შეგვიძლია ეს მდგომარეობა, რომელიც ხელშეკრულების შეუსრულებლობასთან არის დაკავშირებული, მდგომარეობა, რომელშიც ჩვენ ისევე აქტიური ვართ, როგორც მაგალითად ხარმის შესრულების აქტში, — რაიმე ფსიქიკურ მდგომარეობად ჩათვალოთ? არასოდეს, რადგანაც, ვიმეორებთ, რაც უფრო მეტად უარყოფით ფსიქიკურად ხელშეკრულების შესრულების აუცილებლობას. მით უფრო ცხადად ხდება შეუსრულებლობის ვანსრიალება. მაგრამ რისაზე შეუსრულებლობა ხომ გულისხმობს იმის არარსებობას, რაც წინასწარ დანიშნულია შეუსრულებლად? განა ჩვენ შეგვიძლია შესასრულებელის ფსიქიკურად უარყოფის დროს ვიგრძნოთ შეუსრულებლობა. თუ ის, რის მიმართაც ჩვენ ფსიქიკურად განწყობილი ვართ, რომ არ შევასრულოთ, — ლოგიკურად წინასწარ არ გვინშნაეს შესრულებისათვის? განა ჩვენ შეგვიძლია ფსიქიკურად განვიცადოთ რაიმე მდგომარეობა შეუსრულებლობისათვის მზად ყოფნისა, თუ ის, რის შესრულებაც ჩვენ არ გვსურს, თავის თავს შესასრულებლად არ ნიშნავს? არ შეგვიძლია. არა გვგონია. სადავო იყოს, რომ ჩვენ ვერ ვიქნებოდით იმ მდგომარეობაში, როცა მზადა ვართ ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის, რომ თვით შეუსრულებლობის აქტში არ ვააშკარაებდეთ სწორედ იმის უარყოფას, რის შესრულებაც დადგენილია.

აქ ხომ შეუსრულებლობაში შეიძლება უარყოფილ იქნეს ის, რაც უნდა შესრულდეს. ცხადია, რომ ამ შემთხვევაში შეუსრულებლობა რაიმე უბრალო ფსიქიკური მდგომარეობა კი არ არის, არამედ, როგორც აღექსევეი რაინახის სიტყვებით ამბობს, არის ის მდგომარეობა, რომელშიც მეღავენდება ლოგიკური დამოკიდებულება რაღაც ელემენტური აუცილებლობისადმი. ექვს გარეშეა, რომ აქ დამოკიდებულება არშესრულებისა დანაპირებისადმი ან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობისადმი სულიერი განწყობილების საკითხს არ წარმოადგენს, არამედ იგი არის თავისებური ლოგიკის საკითხი, ხოლო მისგან გამომდინარე ურთიერთობანი, თვისებანი, მათი მნიშვნელობა და აკრთეფე ის წყობა, რომელშიც ეს ურთიერთობა მოცემულია, არ არის დამოკიდებული ჩვენს განწყობილებაზე და მასთან დაკავშირებით არ შეიცვლება.

თუ ჩვენ ვისმე მივეციტ დაპირება ან თანხმობა, რომელიც გვაქვს-
 ნებს ისეთ მდგომარეობაში, რომ დაპირებულის არშესრულება (მა-
 ნაც კი, როცა დიდი სურვილი გვაქვს, იგი არ შევასრულოთ) ჩვენ მიერ
 შეთვალეს მხოლოდ როგორც არშესრულება ან დარღვევა უწყებულის
 პირებისა, თუ ხელშეკრულებისა, — რა დასკვნა უნდა გამოვიტანოთ
 აქედან, თუ არა ის, რომ ხელშეკრულების ან დაპირების დარღვევა ან
 არა რაიმე უბრალო ფსიქიური მდგომარეობა, არამედ რაღაც ლოგი-
 კური დამოკიდებულება თვით დაპირებულისადმი ან ხელშეკრულებით
 გათვალისწინებული პირობისადმი, არის განცდა და გააზრიანება მის
 დარღვევისა, რაც წინასწარ დანიშნულია შექმარებულად? და ჩვენ
 გვგონია, რომ თუ ვისმე რისამე გაკეთებას დავპირდით და ამასთან ვა-
 კავშირებით გვრძნობთ ჩვენ თავს ისეთ მდგომარეობაში, რომ დაპი-
 რებულის შეუსრულებლობას (მაშინაც კი, როდესაც არშესრულება
 ეთანხმება ჩვენს განწყობილებას და, ვთქვათ, პოზიტიური სამართლ-
 განსაზღვრული ნორმის მოთხოვნასაც) განვიცდით როგორც დარღვე-
 ვას: თავისთავად ცხადია, რომ მდგომარეობა, რომელშიც არშესრულე-
 ბა აზრიანდება, სხვა არა არის რა, თუ არა თავისებური ლოგიკური და-
 მოკიდებულება დაპირებულისადმი ან ხელშეკრულებით გათვალისწი-
 ნებული პირობისადმი. მაგრამ განა ეს იმას ამტკიცებს, რომ დაპირე-
 ბის, ხელშეკრულების, შეთანხმების, თუ დაფუძნებითი აქტის ვიდე-
 ტურა აუცილებლობა ქმნის აზრთა კავშირის ერთიანობას. სადაც
 მელავნდება ელემენტური აუცილებლობა, რაც არ არის დამოკიდებუ-
 ლი არც ჩვენს განწყობილებაზე, არც გრძნობებზე და არც სხვა ვიწ-
 რიულ პროცესებზე, რომელშიც ამ აქტების რეალიზაცია მიმდინარე-
 ობდა? განა ხელშეკრულების თუ დაპირების არშესრულება. — თუნ-
 დაც ეს ნორმის მოთხოვნას ეთანხმებოდეს, — ბოლოს და ბოლოს არ
 საზღვრავს ჩემს დამოკიდებულებას დაპირებულისადმი და არა ნორ-
 მისადმი? როცა ხელშეკრულებას ნორმის წყალობით ვარღვევთ. განა
 ჩვენ მაინც თავისებურ ლოგიკურ დამოკიდებულებაში არ ვიმყოფებით
 დაპირებულისადმი? განა აქაც სწორედ დარღვევის გააზრიანება არ
 ხდება? — უსათუოდ.

იმის მიხედვით, რაც ზემოთ ითქვა, უნებლიეთ უნდა დაიბალოს
 კითხვა: როგორ უნდა შევარიგოთ შესაძლებლობა ნორმატიული ფაქ-
 ტების არსებობისა იმ თეორიასთან, რომლის თანახმადაც სამართალს სა-
 ერთოდ ფაქტიური საზღვრავს, ან იმ თეორიებთან, რომელთა მიხედ-
 ვითაც სამართლის პოზიტიობა ნორმატიულ ფაქტებს ეყრდნობა?

პირველი შეხედვით შეიძლება ვისმე ეჩვენოს, რომ ჩვენც სამართ-
 ლის პოზიტიობის ნორმატიულ ფაქტებზე დამყარების მომხრე ვართ.
 ჩვენც ხომ განვაცხადეთ, რომ ყოველ სამართალს საფუძვლად ცხოვ-
 რების ესა თუ ის ურთიერთობა უდევს, როცა ფორმალურ-დოგმატურ-

ბი მეთოდს მომხრეებს ვეკამათებოდი. ჩვენ აღენიშნეთ, რომ სამართალში შემთხვევით არაფერი მოიხსენიება. განა აქედან ცხადი არ არის, რომ ჩვენ თითქოს ვემხრობით იმ თეორიებს, რომელნიც, როგორც ვთქვით, სამართლის პოზიტივობის საფუძველს ფაქტიურის ნორმატიულ ძალაში ეძებენ? მაგრამ როდესაც ჩვენ ვამბობდით, რომ ამა თუ იმ კონკრეტულ ნორმას საფუძველად უდევს ცხოვრების ესა თუ ის ურთიერთობა, ჩვენ ამით გვინდოდა მხოლოდ აღგვენიშნა, რომ განსაზღვრულ ფაქტიურ ურთიერთობათა შესაძლებლობა ნორმაში მოცემულია როგორც ღირებულებითი მომენტი, ხოლო ამის გამო სამართლის სისტემაც ჩვენ უნდა წარმოვიდგინოთ. როგორც ღირებულებათა არარეალიზებული სისტემა.

ხოლო თუ სამართლის ნორმატივობის წყაროდ ნორმატიულ ფაქტებს ჩავთვლით, თავისთავად ცხადია, რომ ნორმატიული ფაქტები იქნება იმდენი, რამდენი სახის პოზიტიური სამართალიც არსებობს. რა დასკვნა უნდა მივედლო აქედან? მხოლოდ ის, რომ პოზიტიური სამართალი კარგავს თავის პოზიტივობას. თავის მოტივაციურ, იდეალურად წარმმართველ ძალას. სამართალი ხომ ნორმატიულ ფაქტს ვერაფერს მიუმატებდა. განა სამართალი აქ ზედმეტი არ იქნებოდა? და ამასთან დაკავშირებით, რა თქმა უნდა, შეუძლებელი იქნებოდა როგორც ნორმის გაუქმებებზე, ისე მისი ანალოგიით გამოყენება.

ფაქტიური სინამდვილის ნაკვეთში, რომელიც სამართლის ქვეშ დგას, — სამართალი ვერაფერს შეცვლიდა: ვინაიდან, საქმარისა სამართალი დავუმორჩილოთ იმ სამყაროს კანონმდებლობას. რომელშიც იგი, რაღაც არქიმედის პუნქტის მეშვეობით, რეალობას უნდა ამოძრავებდეს, და დავინახავთ, რომ სამართალმა ყოველთვის უნდა მოსდის იმ ფაქტებს, რომელნიც, თავის მხრივ, გამოწვეულა არიან წინამორბედი ფაქტიური გარემოებებით; ხოლო აქედან, თავისთავად ცხადია, რომ სუბიექტი ყოველთვის უნდა იღვეს ფაქტების ნორმატივობის და არა სამართლის ნორმატივობის წინაშე, და პოზიტიური სამართლის განპარტება აქ უნებურად ფაქტების მიმართ უბრალო მეთვალყურეობად უნდა იქცეს.

ცხადია, რომ საკითხის ასე დაყენების დროს ფორმულა — „სამართალი სამართლად უნდა რჩებოდეს“, კარგავს ყოველგვარ აზრს, მნიშვნელობას და თავის ღრმა მიზნიდველობას. აი, ჩვენ გამოვდივართ აქედან და ვფიქრობთ, რომ ანალოგიურად იმისა, როგორც (ამას ქვეშ მოთ დავინახავთ) ნორმატიული ფაქტების დამყარება სამართალსა და მის წყაროზე ბოლოს და ბოლოს უარყოფს ნორმატიული ფაქტების არსებობის შესაძლებლობას, ისე სამართლის პოზიტივობის დამყარება ნორმატიულ ფაქტებზე უარყოფს პოზიტიური, მოქმედი სამართლის არსებობის შესაძლებლობას.

როგორღა შევარიგოთ ნორმატიული ფაქტების თეორია იმ ფილოსოფიურ მიმართულებასთან, რომლის მიხედვითაც ფაქტიურს მთლანად აქვს ნორმატიული ძალა და სამართალი მხოლოდ ფაქტიურის ანარეკლია? მაგრამ ჩვენ გვგონია, რომ ეს თემა ჩვენს დებულებას სრულიად არ ეწინააღმდეგება. რაკი ეს მიმართულება აღიარებს, როგორც თეორიულად, ისე პრაქტიკულად, სამართლის წყაროს არსებობის შესაძლებლობას (ვინაიდან ამ თეორიის თანახმად ხელისუფლებისათვის ბრძოლა ბოლოს და ბოლოს არის ბრძოლა სამართალშემოქმედების ორგანიზაციისათვის, ე. ი. სამართლის წყაროს ორგანიზაციისათვის), თავისთავად ცხადია, რომ აღნიშნული დოქტრინით თვითონ სამართლის წყაროს სხვა ფაქტებს შორის რაღაც განსაკუთრებული ადგილი უჭირავს.

სამართლის წყარო აქ არ ატარებს და თავის თავში არ ამქლავნებს არავითარ ღირებულებას (როგორც ფიქრობენ, მაგალითად, კრაზ, პეტრაჟიცი, კნაპი და მათთან ერთად იურისტთა მთელი ისტორიული სკოლა). სამართლის წყარო არის მხოლოდ მოწესრიგებული პროცესი იმ ღირებულებათა უფლებრივი მნიშვნელობით დამუშავებისა, რასაც ფაქტიური გარემოებანი ქმნიან. ეს იმიტომ, რომ, თუ ჩვენ ვაღიარებთ, რომ წყარო არის ისეთი რამ, რასაც თვითონ შეუძლიან უფლებრივი ღირებულება შექმნას, მაშინ მისი პირვანდელი მოცემულობის სფეროდ ჩვენ უნებლიეთ უნდა ვაღიაროთ რაღაც აბსოლუტურად ავტონომიური ან ყველაფრისაგან თავისუფალი სამართალწმენა, როგორც კრაზეს ესმის. ან ემოცია, პეტრაჟიციის მსგავსად, ანდა უშუალო უფლებრივი შეგრძნებანი იმ მნიშვნელობით, როგორც ეს ფიქციონისტებს ესმით.

ამევიარად, როგორც ესედავთ, დავა, რომელიც შეიძლება წარმოებდეს ამ მიმართულების წარმომადგენელთა დ იმათ შორის, რომელნიც სამართლის წყაროს უფლებრივ ღირებულებათა წყაროდაც თვლიან, ბოლოს და ბოლოს არის მხოლოდ დავა იმ ღირებულების პირვანდელი მოცემულობის შესახებ, რაც სამართალში წარმოდგენილია ჯერარსობრივი ობიექტის სახით. მაგრამ როგორღა შეიძლება ნორმატიული ფაქტების პრობლემაზე ლაპარაკი, თუ ყველა უფლებრივი ღირებულება მიზეზობრივად დამოკიდებულია ფაქტიურ გარემოებებზე? ჩვენ გვგონია, რომ აქ მხოლოდ ერთი პასუხი არსებობს: არის სფერო ფაქტებისა, რომელნიც ქმნიან სამართალს სამართლის წყაროს მეშვეობით, და არის ფაქტები, რომელთაც სამართლის წყაროსაგან დამოუკიდებლად, შეუძლიათ შექმნან აზრთა ისეთი წყობა, რომ მისდამი (წყობისადმი) ლოგიკური დამოკიდებულება გვსაზღვრავს ჩვენ იმავე

მნიშვნელობით, რა მნიშვნელობითაც გვსაზღვრავს ლოგიკური დამოკიდებულება პოზიტიური სამართლის ნორმისადმი.

მაგრამ რა ურთიერთობა არსებობს ნორმატიულ ფაქტებსა და საერთოდ ფაქტებს შორის? მხოლოდ ერთი ურთიერთობა, სახელდობრ: პირობები და გარემოებანი მხოლოდ იწვევენ განსაზღვრული აქტების წარმოშობას, მაგრამ ამ აქტებში მოცემული კანონშეზომილობა სრულიად არ არის დამოკიდებული იმ გარემოებაზე, რამაც ეს აქტები წარმოშვა. მაგალითად, თუ ხელშეკრულებას, როგორც აქტს, ნორმატიულ ფაქტად ვთვლით, გარემოებას შეუძლია ხელშეკრულება დაგადებინოს, მაგრამ ხელშეკრულების (როგორც ნორმატიული ფაქტის) ის თვისება, რითაც იგი ყოველთვის ქმნის აზრთა კავშირის განსაზღვრულ კომპლექსს, სრულიად არ არის დამოკიდებული იმ გარემოებებზე, რომლებმაც ხელშეკრულების წარმოშობა გამოიწვიეს და რომელთა წრეშიც ამ ხელშეკრულების შესრულება უნდა წარმოებდეს.

ვფიქრობთ, ამ მოკლე ექსკურსით ჩვენ ნათელვყავით ორი რამ:

1) თუ პოზიტიურ სამართალს შეუძლია უზრუნველყოს ამა თუ იმ ხელშეკრულების (ან სხვა აქტის) შეუსრულებლობა, ამით კიდევ სრულებითაც არ მტკიცდება ის, რომ ამ ხელშეკრულებას არ შეიძლება ჰქონდეს ნორმატიული ძალა (ჩვენი გაგებით). ეს გაუგებრობა საფუძვლად უდევს ყველა იმ თეორიას, რომელიც ცდილობს იპოვოს დამტკიცებას, რომ ფაქტის ნორმატიული ძალა ამა თუ იმ წესებს (მორალურს, სამართლებრივს და სხვ.) ეყრდნობა;

2) ნორმატიული ფაქტები, რომლებიც ჩვენ მხედველობაში გვაქვს, არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ჩაითვალოს შესაძლო ნორმატიული ფაქტების ერთ-ერთ სპეციფიკურ შემთხვევად, ვინაიდან ისეთი რამის დაშვება თვით საკითხს ნორმატიული პრობლემის შესახებ სამართლის წყაროს დაუკავშირებდა და ამასთან ერთად კი ნორმატიული ფაქტები იმდენად რელატიურ ხასიათს მიიღებდა, რომ ნორმატიული ფაქტების პრობლემის არსებობაც საერთოდ შეუძლებელი გახდებოდა.

ჩვენ ძალიან მოკლედ განვმარტეთ ჩვენი შეხედულება ნორმატიული ფაქტების პრობლემაზე. საჭიროდ არ ვცანით, შევდგომოდით ამ საგანზე არსებული ყველა თეორიის განხილვას, არ ვცანით საჭიროდ მხოლოდ იმ განსხვავებების გამო, რაც აქ მოყვანილ ძირითად დებულებათა და სხვა ავტორების შეხედულებათა შორის არსებობს. ჩვენი პრობლემის შესახებ არსებული ყველა თვალსაზრისის განხილვა ძალიან შორს წაგვიყვანდა; მათი ანალიზი და კრიტიკა გვაიძულებდა ამა თუ იმ თვალსაზრისის შესახებ გავუმეორებინა ის, რაც ჩვენ, რაიმე თვალსაზრისისაგან დამოუკიდებლად, მოკლედ გადმოვეცით.

ვინც ჩვენს აზრს გაიზიარებს, იგი შენიშნავს სხვა თეორიები: ნაკლს, ვინც სხვას დაეთანხმება, მას ეცოდინება რა გზით უარყოს ჩვენი დებულებანი.

მუშაობის პროცესში ჩვენ წინაშე წამოიჭრა მრავალი საკითხი. რომელიც თითქმის უპასუხოდ დავტოვეთ. თუ ჩვენს ძირითად თემა-გადაფუხვევდით, რასაკვირველია, შეგვეძლო ამ საკითხებისათვის მეტ-ყურადღება მიგვექცია. მაგრამ ვფიქრობდით, რომ ეს ჩვენი ძირითადი მიზნის განხორციელებას ხელს შეუშლიდა. ნორმატიული ფაქტების პრობლემის შესახებ ჩვენ მიერ წამოყენებულ დებულებებს რამდენადმე მაინც ბინდ-ბუნდში გახვევდა და მათ საჭირო სიტყვოვლად და რელიეფობას დაუკარგავდა. ამიტომ ძალიან ხშირად ამა თუ იმ საკითხის შესახებ ჩვენ მხოლოდ ზოგად დებულებებს ვიძლევეთ და არ ვეხებით იმ ლიტერატურას, რომელიც შეიძლება ჩვენს საწინააღმდეგოდ იქნეს გამოყენებული. ყველა იურისტმა იცის, რამდენად ვრცელი ლიტერატურა არსებობს თუნდაც, ვთქვათ, სამართლის პოზიტივიზმის საკითხის შესახებ, და, რომ, ჩვენ შევდგომოდით მთელი ამ ლიტერატურის განხილვას იმ დებულებების თვალსაზრისით, რასაც ჩვენ სამართლის პოზიტივიზმის საკითხის შესახებ ვიცით, -- ეს მეტრამეტად შორს წაგვიყვანდა და ამავე დროს საშუალებას არ მოგვცემდა ჩვენი ძირითადი თემა სათანადოდ გაგვეშუქებინა. ჩვენ ვცადეთ პრობლემა დამოუკიდებლად განგვევითარებინა, მთელი რიგი საკითხების შესახებ საკუთარი აზრი გამოგვეთქვა და, ვიმეორებთ, თუ ვინმე ჩვენს დებულებებს გაიზიარებს, მისთვის გასაგები იქნება, თუ რა შეუძლიან მას, ჩვენი თვალსაზრისის მიხედვით, დაუპირისპიროს ყველა სხვა შეხედულებას. რაც ამ საგანზე იურიდიულ ლიტერატურატურაში არსებობს.

დასასრულ, საჭიროდ მიგვაჩნია მოკლედ გავიმეოროთ ჩვენი ძირითადი დებულებანი:

1. ნორმატიული ფაქტების პრობლემის გამოსავალ წერტილს წარმოადგენს შესაძლებლობა სამართლის და ფაქტის დაპირისპირებისა;
2. ნამდვილობა ყველაფერი ის, რაც მოქმედებს. ამისდა მიხედვით, ფაქტი და სამართალი სინამდვილის ორი სახეა; ხოლო ფაქტის ნამდვილობას; ესე იგი მის ქმედებას ჩვენ მიზეზშედეგობის რიგში ვამკლავებთ, მაშინ, როდესაც სამართლის ნამდვილობა მხოლოდ ლოგიკური აღიარების აქტში აშკარავდება. ამასთან დაკავშირებით, ფაქტი ყოველთვის ინდივიდუალურია და როგორც ასეთი ისტორიული. ამიტომ ფაქტის მოქმედება მიმართულია იმის გამოწვევისაკენ. რაც შენაარსით ამ ფაქტისაგან განსხვავდება. ნამდვილობა სამართლისა. რომელიც ლოგიკური აღიარების სფეროში აშკარავდება, მდგომარ-

რობს იმაში, რომ აღნიშნულ აქტში სამართლის აზრი მოცემულია როგორც განხორციელების პრეტენზია:

3. რაკი პოზიტიური სამართალი ხდება, ჩვენ უნებლიეთ უნდა დავუშვათ, რომ არსებობს პოზიტიური სამართალი დასაწყისად, ე. ი. არსებობს ისეთი წყარო, რომლის მოქმედების პროცესშიც არანამდვილად არის აზრი სამართლისა მოქმედ სამართლებრივ აზრად იქცევა.

4. არის სამართლის აზრი, რომელიც თავის ნამდვილობას, რაც ამ აზრის ქმედებაში გამოიხატება, უფლებრივი შემოქმედების საშუალებით პოზიტიურ სამართალში პოულობს. ე. ი. პოზიტიური სამართალი არის ერთადერთი ფორმა, რომელშიც სამართლის აზრის ნამდვილობა იკვეთება. ნამდვილობა კი სამართლის აზრისა მდგომარეობს ამ აზრის ქმედებაში. ხოლო ეს უკანასკნელი — განხორციელების პრეტენზიაში. შეუძლებელია, ჩვენი აზრით, იმის მტკიცება, რომ სამართალში სხვა რამ მოქმედებს, თუ არა სამართლის აზრი: უდავოა, რომ ყოველ უფლებრივ შემოქმედებას წინ უსწრებს სამართლის აზრი და ამიტომაც თვით შემოქმედებაც ამ აზრის გარეაღიხებამი უსაზღვროდ მდგომარეობდეს:

5. იმის მიხედვით, რაც აქ ითქვა, ცხადია, რომ პოზიტიური სამართალი ხელოვნური ხასიათისაა. ის, ვინც აღიარებს სამართლის ხელოვნურ ხასიათს, უნდა ცნოს ისიც, რომ პოზიტიური სამართალი შემთხვევითა და ამასთან ერთად უნდა აღიაროს რაღაც მეტაფიზიკული აქტი, რომელიც სამართლის იდეას სამართლის მოქმედ აზრად აქცევს. მაშასადამე, ჩვენ ყოველთვის უნდა განვსხვავოთ სამართლის იდეისაგან სამართლებრივი შემოქმედება, ხოლო ეს უკანასკნელი პოზიტიური სამართლისაგან, რადგანაც სამართლებრივი შემოქმედება არის აქტი, რომლითაც სამართლის იდეა სამართლის მოქმედ აზრად გარდაიქმნება, თავისთავად ცხადია, რომ პოზიტიურ სამართალს აქვს შემთხვევითი ხასიათი, იმ გაგებით, რომ პოზიტიური სამართალი არის ერთ-ერთი სპეციფიკური სახე შესაძლო სამართლისა, ისე როგორც ყოველი ესთეტიკური შემოქმედების ნაყოფი. ერთ-ერთი შესაძლო სახეა ესთეტიკური იდეის რეალიზაციისა.

6. ვალიარებთ რა, რომ ნამდვილობა პოზიტიური სამართლისა მდგომარეობს სამართლის აზრის ქმედებაში, რომელიც ამკარავდება სამართლის ლოგიკური აღიარების აქტში და რომელიც განხორციელების მუდმივ პრეტენზიაში იხატება, თავისთავად ნათელი ხდება, რომ თვით სამართალში მოქმედი აზრი გულისხმობს სუბიექტს, როგორც ღირებულებითი აქტების შესაძლო სუბიექტს, ე. ი. ისეთ სუბიექტს, რომელსაც ახასიათებს უნარი ლოგიკურად აღიარებისა. ამ ღებულების ლოგიკურად განვითარებამ უნდა მიგვიყვანოს იმის აღიარებამდე, რომ ცხოვრებაც, რომელიც პოზიტიურ სამართალს ექვემ-

დებარება, არის ამ პოზიტიური სამართლის განხორციელება აღნიშნული სუბიექტების მიერ;

7. როგორც აღვნიშნეთ, ნამდვილობა სამართლის აზრისა ამ აზრის ქმედობაში მდგომარეობს, მაგრამ რამდენადაც ყოველი ნორმა განხორციელების მოთხოვნას შეიცავს, ეს ნორმა ლოგიკურად, მაღიარებელ სუბიექტთან ერთად, გულისხმობს სუბიექტს მეორე მნიშვნელობითაც (განმახორციელებელს). ამიტომაც, ნორმას შეიძლება ჩვენ ვუპირისპირდებოდეთ როგორც განმახორციელებელს, რაც თავის მხრივ ყოველთვის გულისხმობს სუბიექტს, როგორც ნორმის ლოგიკურად მაღიარებელს.

უდავოდ მიგვაჩნია, რომ იმისათვის, რათა ჩვენ დაუპირისპირდეთ ნორმას — როგორც განმახორციელებელი, ნორმის ლოგიკურად მაღიარებელი უნდა განისაზღვროს ახალი მნიშვნელობით. იმ პირობების აღნიშვნა კი, რომელიც საზღვრავს ამ მნიშვნელობას: ქმნის ნორმათა მრავალსახეობას;

8. ამგვარად, ჩვენ ყოველთვის უნდა განვასხვავოთ სუბიექტს, როგორც ნორმის ლოგიკური მაღიარებელი და სუბიექტი, როგორც განმახორციელებელი. მაგრამ ვინაიდან თვით უფლებრივი ცხოვრებისათვის, ე. ი. ნორმის განხორციელებისათვის, უაღრესად მნიშვნელოვანია იმის ცოდნა, არის თუ არა „სხვა“ ნამდვილი განმახორციელებელი, ცხადია, რომ ამ უფლებრივი ცხოვრებისათვის სრულდებით არ არის საკმარისი იმის ცოდნა, რომ სხვა შეიძლება იყოს ნორმის ლოგიკურად მაღიარებელი. ამიტომაც უფლებრივი ცხოვრებისათვის საჭიროა შანსი იმისა, რომ „სხვა“ არის და იქნება იყოს ნორმის განმახორციელებელი. ამ შანსს, როგორც აღვნიშნეთ, სხვა გარემოებათა შორის. ქმნის იძულება, ხელისუფლება და სხვა. ვინაიდან ყველფერი ეს მიმართულია სუბიექტისადმი, როგორც შესაძლო განმახორციელებელისადმი. ზემოთქმულიდან ცხადი უნდა იყოს, რომ სამართლის ფილოსოფიის საგანი მხოლოდ სამართლის იდეაა, სამართლის ისტორიისა ის, რაც სამართლის განხორციელებას წარმოადგენს, ხოლო სამართლის სოციოლოგიისა ის, რაც სამართლის განხორციელების შანსს შეადგენს;

9. მაგრამ უფლებრივი შემოქმედება ისე, როგორც ესთეტიკური შემოქმედება არის აქტი, რომელიც საეხსებით სოციალურ-ეკონომიკური პირობების გავლენის ქვეშ იმყოფება. ეს პირობები წარმოადგენენ იმ გარემოებებს, რომელნიც ქმნიან ინტერესს თვით უფლებრივი შემოქმედებისადმი და სწორედ ისე, როგორც პეიზაჟს ან ბუნების ერთ რომელსავე ნაკვეთს შეუძლია გამოიწვიოს ესთეტიკური შემოქმედება, რომლის ნაყოფში უკვე მოქმედებს მხოლოდ ესთეტიკური იდეა, სწორედ ასევე სოციალურ-ეკონომიკური ფაქტები იწვევენ იმ

უფლებრივ შემოქმედებას. რომლის ნაყოფში მოქმედებს მხოლოდ სამართლის აზრი, ამ მნიშვნელობით ყოველ პოზიტიურ სამართალს, როგორც რაღაც მომხდარს, საფუძვლად რაიმე ფაქტიური გარემოება უდევს;

10. როგორც აღვნიშნეთ, პოზიტიური სამართალი სხვა არა არის რა, თუ არ ნამდვილობა სამართლის აზრისა, ხოლო ამ სამართლის აზრის გარდაქმნა წარმოებს უფლებრივი შემოქმედების მეშვეობით, რომელიც ყოველთვის სოციალურ-ეკონომიკურ გარემოებათა გავლენის ქვეშ იმყოფება. აზრომაც, ყოველი პოზიტიური სამართალი არის რაღაც მომხდარი და, როგორც ასეთი, ის ყოველთვის სამართლის აზრის გარდაქმნის ერთ-ერთ სპეციფიკურ შემთხვევას წარმოადგენს;

11. რადგანაც ეს სოციალურ-ეკონომიური (ან საერთოდ ფაქტიური) პირობები უფლებრივი შემოქმედების საშუალებით აპრობებენ სამართლის აზრის სამართლის მოქმედ აზრად გარდაქმნას, ცხადია, რომ ამ გარემოებათა ანალოგიური პირობები იქცევა იმ გარემოებად. სადაც იკვეთება ის მნიშვნელობა, რომელიც ჩვენ გვხვს კონკრეტული ნორმის კონკრეტულ განმახორციელებლად: ე. ი. ამ ფაქტიურ გარემოებაში სუბიექტი, როგორც ნორმის ლოგიკური მალაჩებელი, გვევლინება უკვე, როგორც კონკრეტული ნორმის შესაძლო განმახორციელებელი;

12. სწორედ ეს სუბიექტები, როგორც მატარებელი შესაძლო ღირებულებითი აქტებისა, წარმოადგენენ იმ ცენტრებს, რომელთა მეშვეობითაც ფაქტიურის სფეროში ხორციელდება სამართლებრივი ღირებულებანი, რაც სამართლის ნორმაში მოცემულია, როგორც ჭრისობრივი ობიექტი. ამგვარად, თუ პოზიტიური სამართალი ბოლოს და ბოლოს სამართლის ნამდვილი მოქმედი აზრია, იგი ამავე დროს არაგანხორციელებულ ღირებულებათა სისტემასაც წარმოადგენს. უფლებრივი ცხოვრება კი, როგორც განსაზღვრულ ფაქტიურ გარემოებათა სისტემა, ამ თვალსაზრისით, მხოლოდ განხორციელებულ სამართლებრივ ღირებულებათა სისტემა უნდა იყოს. აქედან მართლწესრიგივ განხორციელებულ სამართლებრივ ღირებულებათა სისტემა. თავისთავად ცხადია, რომ, როცა ამ მნიშვნელობით სუბიექტს დაეუპირისპირებთ სამართალს. უფლებრივი ცხოვრება, როგორც ფაქტი, ყოველთვის უნდა იყოს მოცემული, როგორც უფლებრივი ცხოვრების ისტორია. ამგვარად, მართლწესრიგი ყოველთვის ისტორიულია, ხოლო ის, რაც ამ ისტორიასა და ნამდვილობით სამართალს შორის დგას, არის, ის, რომ ხელისუფლებისა და იძულების საშუალებით ერთი და იმავე საზოგადოების წევრები მოცემული არიან ერთმანეთისათვის, როგორც შანსები პოზიტიური სამართლის ნორმების შესრულებისა;

13. უფლებრივი ცხოვრებით, რაც წარმოადგენს განხორციელებულ სამართლებრივ ღირებულებათა სისტემას, ე. ი. პოზიტიური სამართლის სფეროში მოცემულ ღირებულებათა სისტემას, არ ამოიწურება მთელი სფერო იმ ცხოვრებითა, სადაც ჩვენ ვართ განსაზღვრულ მოქმედებათა შემსრულებელი იმ აზრთა გავლენით, რომლისაღმოსაფიქრებელი დამოკიდებულებაც გვსაზღვრავს, ჩვენ უფლებამოსილებას ვაღდებულის მნიშვნელობით. ან სხვანაირად რომ ვთქვათ, უფლებრივ ცხოვრებას საერთოდ არ ფარავს ის ცხოვრება, რომელიც განხორციელებულ პოზიტიურ სამართლებრივ ღირებულებათა სისტემას წარმოადგენს:

14. უფლებრივ ცხოვრებას, რომელიც განხორციელებულ პოზიტიურ სამართლებრივ ღირებულებათა სისტემას არ წარმოადგენს. ცხელია. სულ სხვა წყარო უნდა ჰქონდეს, ვიდრე პოზიტიურ სამართალს;

15. ზემოაღნიშნულის მიხედვით, ნორმატიული ფაქტების ბუნებრივ დაემყარება ვერც პოზიტიური სამართლის წყაროს და ვერც პოზიტიური სამართლის ნორმებს. ნორმატიული ფაქტების ანეთი ორიენტაცია შეუძლებლად გახდოდა პრობლემას ამ ფაქტების შესახებ და მთელი უფლებრივი ცხოვრება წარმოადგებოდა ჩვენ წინაშე როგორც სისტემა უკვე განხორციელებული პოზიტიური სამართლებრივი ღირებულებებისა.

16. ამის ანალოგიურად, სამართლის ნორმატიულობის დამყარება ფაქტების ნორმატიუობაზე შეუძლებლად ხდის სამართლის ნორმატიუობის პრობლემასაც. ეს გარემოება ვერ გაითვალისწინებს იმათ ვინც ცდილობდა სამართლის პოზიტიუობა ფაქტიურის ნორმატიუობაზე დაემყარებინა:

17. რადგანაც ნორმატიუობას ჩვენ ზოგიერთი ფაქტის თვისებები ვაღიარებთ, ამიტომაც ნორმატიული ფაქტები არ შეგვიძლია ჩავთვალოთ ერთ-ერთ სპეციფიკურ შემთხვევად შესაძლო ნორმატიული ფაქტებისა, როგორც ამას, მაგ., ფარულად პროფ. პეტრივიცი ვიღონს. იმის აღიარებამ, რომ ნორმატიული ფაქტები არის ერთ-ერთი სპეციფიკური შემთხვევა შესაძლო ნორმატიული ფაქტებისა, უნდა მიგვიყვანოს იმის აღიარებამდე, რომ ის, რაც ნორმატიულ ფაქტებად მიგვაჩნია, ხელოვნურ ხასიათს ატარებს.

18. ჩვენ უარყოფთ შეხედულებას, რომლის თანახმადაც ნორმატიუობა ხელშეკრულებისა, დაპირებისა ან სხვ. დამყარებულია რაიმე პრინციპზე. სამართალზე, ან სხვა რაიმე წესებზე. უმთავრესი შეცდომა ამ შეხედულებისა მდგომარეობს იმაში, რომ აქ ყურადღების ცენტრი გადატანილია ხელშეკრულების, დაპირების და სხვ. განხორციელებაზე და არა თვით იმ აზრთა მთლიანობაზე, რასაც ქმნიან აღნიშნული

აქტები და რასაც ჩვენ უშუალო ფენომენოლოგიური ცდის საშუალებით ვწვდებით. სამართლის ნორმას და სხვა რომელიმე წესებს. მართალია, შეუძლია გამოიწვიოს ამა თუ იმ ხელშეკრულების განუხორციელებლობა, მაგრამ ამით სრულებით არ მტკიცდება ის, თითქოს სამართლის ნორმებს ან სხვა რაიმე წესებს შეეძლოს აღნიშნულ ანაზღაურებად მთლიანობას დარღვევა. ხსენებული შედეგებს წარმოადგენს. რომელთა რიცხვი ძლიერ დიდია, მართალი იქნებოდნენ იმ შემთხვევაში, თუ ისინი შეძლებდნენ დაემტკიცებინათ, რომ კოლხიის დროს ნორმასა და ხელშეკრულებას შორის ნორმის შინაარსი საკმარისად სპობს იმ აზრთა წყობას, რომელიც აღნიშნული აქტებით შექმნილია:

19. ვალიარებთ რა, რომ არის ფაქტები, რომელთაც შეუძლიათ შექმნან აზრთა ისეთი ერთიანობა, რომლისადმი ლოგიკური დამოკიდებულებაც გვსაზღვრავს ჩვენ უფლებამოსილისა და ვალდებულის მიუხედავადობით, — ჩვენ აღვნიშნეთ, რომ ნორმატიული ფაქტების იდეა სრულიად სპობს ნორმატიული ფაქტების შექმნის შესაძლებლობას. ამიტომ ნორმატიული ფაქტები, წინააღმდეგ პოზიტიური სამართლისა არ შეიძლება შესაძლო ნორმატიული ფაქტების ერთ-ერთი სპეციფიკური შემთხვევად ჩაითვალოს.

იურიდიული სუბიექტი

იურიდიული სუბიექტის საკითხს უდიდესი მნიშვნელობა აქვს როგორც სამართლის ზოგადი თეორიისათვის, ისე სხვადასხვა სპეციალური იურიდიული დარგისათვის, იშვიათია საკითხი, რომლის შესახებაც ისეთი აზრთა სხვადასხვაობა იყოს, როგორც ამ საკითხის შესახებ. წარმოუდგენელია იურისტი, რომელიც იურიდიული სუბიექტის საკითხით ღრმად დაინტერესებული არ იყოს, ვერ დავსაძელებთ ისეთ იურისტ-თეორეტიკოსს, რომელსაც ამ საკითხისთვის უდიდესი ყურადღება არ მიექცია. რა თქმა უნდა, ჯაეთ პირობებში ფრიალ ძნელია რაიმე ანალი დებულების დაცვა. მაგრამ მიუხედავად ამისა, ჩვენ მაინც გაუბედავთ სამართლის სუბიექტის შესახებ ჩვენი საკუთარი აზრი ვამოვთქვით.

სამართლის თეორიის ელემენტარული კურსიდან ყველა იტყობს საეინისა, ვინდშაიდისა, Brinz-ისა, ლერინგისა და სხვა ბევრის შეხედულებას ამ საკითხზე. მათი ანალიზი და კრიტიკა შორს წაგვიყვანდა და ამასთანავე გვაიძულებდა, გავვემოკრებინა ის, რაც ყველა ჩვენგანს არაერთხელ გაუგონია: ჩვენ ვიტყვი იმას, რასაც ამ საკითხის შესახებ ვფიქრობთ და თუ ვინმე ჩვენს აზრს სწორად მიიჩნევს, მას უკვე ეცოდინება, თუ რომელი თეორიის სისწორეში შეიძლება ექვემდებარება. ჩვენ ამჟამად არც ის გვინტერესებს, თუ როგორ განმარტავს სამართლის სუბიექტის ცნებას ესა თუ ის კონკრეტული პოზიტიური სამართალი; ცხადია, რომ ეს სულ სხვა საკითხია. მას არაფერი აქვს საერთო ჩვენს საგანთან — სახელდობრ იმ საკითხთან, თუ როგორ და რა მნიშვნელობით უნდა გულისხმობდეს სამართლის იდეა სამართლის სუბიექტს. ამ საკითხის მნიშვნელობა რომ ნათლად წარმოვიდგინოთ, დროებით უნდა დავივიწყოთ ყველაფერი, რასაც ჩვენ ტრადიციულად პრაქტიკაში სამართლის სუბიექტის სახელს ვუწოდებთ.

სამართლის იდეასა და იქ მოცემულ აზრთა წესრიგში, Stufenstufe des Modis, უნდა ვეძიოთ პასუხი იმისა, თუ რა შეიძლება იურისტმა სამართლის სუბიექტად აღიაროს. იურისტს სხვანაირად არც შეუძლია მიუდგეს საკითხს, თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ საგანი იურიდიული აზროვნებისა შეიძლება მხოლოდ სამართალი იყოს.

ყოველი სამართლის ნორმა, როგორც უნდა იყოს მისი შინაარსი, ყოველთვის ერთ მნიშვნელობით არის მოცემული. ნორმის შინაარსი იცვლება. სრულიად ელემენტარული დებულებებია, რომ ყოველ ეპოქას თავისი სამართალი აქვს; ამ დებულების სისწორეში ექვიან შეტანა შეუძლებელია. მაგრამ ისიც უდავოა, რომ რა სამართლის ნორმაც უნდა ავიღოთ, მის შინაარსს ჩვენ ყოველთვის ერთისა და იმავე ლოგიკური სტრუქტურით ვითვისებთ. სამართლის ნორმაში მისი შინაარსი ყო-

¹ ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე. VIII, 1928.

ველავის და ყველგან მოცემულია, რაგორც მსჯელობა აუცილებლობის შესახებ. რამდენადაც საპარიალის ნორმაში ასეთი ჰომენტია, იდენად ის შეიცავს განხორციელების მოთხოვნას, ან ნ. კარტმანის ტერმინი რომ ვიხმაროთ, შეიცავს „Wirklichkeitsanspruch“-ს. ამ მომენტების ანალიზი დაგვანახებებს იმ ერთადერთ x-ს, რომლისკენაც თვითნორმატიულ მსჯელობას აქვს Blickrichtung, ე. ი. მიმართება. თუ ჩვენ მოუახერხებთ იმის აღმოჩენა, რომ ნორმატიულა შინაარსის მიმართება, ე. ი. ამ „Wirklichkeitsanspruch“-ის შემშვეცნების Blickrichtung შევალება მხოლოდ განსაკუთრებული შინაარსის x-ის მიმართ და ეს x-ი კი შესაძლო ღირებულებებითა აქტებს სუბიექტად აღმოჩნდა. პრობლემა სამართლის სუბიექტის შესახებ თავისთავად გადაწყვეტილი იქნება.

არის თუ არა ერთ-ერთი ელემენტი ნორმატიული მსჯელობისა ეგრეთწოდებული Wirklichkeitsanspruch, ან ტენდენცია განხორციელებისა. და თუ არის, ვისკენ და რისკენ შეიძლება პქონდეს ამ ტენდენციას თავისი მიმართება? აი ის კითხვები, რომელიც თავისთავად იბადება. თუ სამართლის ყოველი ნორმა შეიცავს მსჯელობას „Sollsein“ — „უნდა იყოს“, ცხადია, რომ ობიექტი ამ მსჯელობისა არ არსებობს. ის მხოლოდ მომავალშია მოსალოდნელი. ასე, რომ, თვით „Sollsein“-ის მსჯელობაში ის, რაც აუცილებელია, აუცილებლად უნდა განხორციელდეს. და თუ ეს ასეა, მაშინ თავისთავად ნათელია, რომ ამ მსჯელობაში არის მოცემული ერთგვარი Nötigung, იძულება. მოთხოვნა იმის განხორციელებისა, რაც აუცილებლად უნდა განხორციელდეს, უფრო სწორად რომ ვთქვათ, მაშინ მოცემულია Wirklichkeitsanspruch. ეს აზრი მშვენივრად აქვს გამოთქმულია პარტმანს: და ეს პარტმანზია უძლური სუოვილი კი არ არის, არამედ აქტიური. მოქრავა. მოქმედებითი პრინციპი. იგი არის ჭერარტის განხორციელება, თუ უშუალოდ სუბიექტის ნებისყოფაში არა, თვით ობიექტის ჭერარტის ნებისყოფაში. ხასიათში მაინც, რომელსაც შეუძლიან განსახდვროს ეს ნებისყოფა. მოკლედ რომ ვთქვათ. თვით ჭერარტში, როგორც ასეთში. არან განხორციელების ტენდენცია“¹.

რას ნიშნავს ეს განხორციელების ტენდენცია? რა თქმა უნდა. ამ განხორციელების ტენდენციას არაფერი აქვს საერთო ნორმის რეალურ განხორციელებასთან. ნორმა, რომელიც რაღაცას მოითხოვს, შე-

¹ Und diese Forderung ist kein machtloses Sehnen, sondern eine aktive Kraft, ein bewegendes, schaffendes Prinzip. Es besteht die Tendenz zur Wirklichwerdung des Seinsollenden — nicht direkt im Willen des Subjekts — so doch im Sollenscharakter des Objekts selbst, der diesen Willen bestimmen kann. Kurz es gibt am Seinsollenden als solchem immer schon die Tendenz der Verwirklichung N. Hartmann. Logische und ontologische Wirklichkeit. Kantstudien Bd. XX Heft 4.

იძლება ვერასდროს ვერ განხორციელდეს. სოციალურ-პოლიტიკურ-
მა და ფსიქოლოგიურმა პირობებმა შეიძლება მოსპოს ნორმის გან-
ხორციელების შესაძლებლობა, მაგრამ, მიუხედავად ამისა. რაც უფრო
შეუძლებლად ვთვლათ ფსიქიურად ნორმის განხორციელებას.
მით უფრო მეტად განვიციდით იმ აუცილებლობის ზეგავლენას, რომელიც
ნორმაშია მოცემული, რაც უფრო ინტენსიურადაა მიმართული
ჩებისყოფა ნორმის უარყოფისაკენ, მით უფრო განვიციდათ ამ უარ-
ყოფის აქტში იმის მოცემულობას, რის უარყოფაც ჩვენ გვსურს; ან
უფრო სამართლიანად, მიზანშეწონილად მიგვაჩნია რომელიმე მოქ-
მედი ნორმის უარყოფა, მით უფრო ვცდილობთ სამართლიანობის მი-
ზანშეწონილობის მიხედვით დავამტკიცოთ სავალდებულო ნორმის
უვარგისობა. რა აზრი ექნებოდა ბრძოლას სამართლის წინააღმდეგ,
თუ ეს სამართალი სავალდებულოდ არ მიგვაჩნია? ისე. როგორც ყო-
ველ აქტში აუცილებლად რაღაც უნდა იყოს მოცემული. სამართლის
ფსიქიურად უარყოფაშიც თავიდანვე არის მოცემული რაღაც, რაც
უარყოფილ უნდა იქნეს: სამართლის უარყოფაში (ფსიქიკურად) შეი-
ძლება უარყოფილ იქნეს მხოლოდ ნორმა, და სამართლის ნორმა კი,
როგორც ვიცით, არის მსჯელობა აუცილებლობის შესახებ, რომელსაც
თან სდევს განხორციელების ტენდენცია — Wirklichkeitsanspruch.
მამააღამე, რაც უფრო უარყოფთ (ფსიქიკურად) სამართლის ნორ-
მას, მით უფრო სრული ევიდენციით გვევლინება მისი სავალდებულო
ბუნება. შეიძლება არსად ისე ცხოვლად არ განვიციდიეთ ნორმის სა-
ვალდებულო ბუნებას, როგორც იმ შემთხვევაში, როცა ნორმის ას-
რულება არ გვინდა, არ გვსურს.

განხორციელების ტენდენციას ამ შემთხვევაში, როგორც ვა-
დავთ. არაფერი აქვს საერთო ნორმის რეალურად განხორციელებას-
თან. Wirklichkeitsanspruch, ძალდატანება, Nötigung, რასაც ჩვენზე
თვით ობიექტის სავალდებულო ხასიათი ახდენს, თვით ნორმატიული
მსჯელობის ელემენტთა დამოკიდებულებაში თავისთავად აშკარავდებ-
ა ასეთი ტენდენცია და მისწრაფება განხორციელებისაკენ. ის ვარ-
ხორციელება კი, რომელზეც ჩვეულებრივად ლაპარაკობენ, სულ სხვა
რამ არის. თუ პირველი, ე. ი. Wirklichkeitsanspruch დამახასიათებე-
ლია სამართლის ნორმისათვის, მსჯელობისათვის „Sollsein“ — რეა-
ლური განხორციელება, ფსიქიკური მისწრაფება განხორციელებისა-
კენ წარმოადგენს სულ სხვა თავისებურ მოვლენათა რიგს. ნორმა შეი-
ძლება ხორციელდებოდეს, ან არ ხორციელდებოდეს, მაგრამ ეს მო-
მენტი ნორმისათვის სრულიად არ არის დამახასიათებელი. ნორმის
განუხორციელებლობა სწორედ იმის შეუსრულებლობას ნიშნავს, რის
შესრულებაც სამართლის ნორმა აუცილებლად მიაჩნია, ე. ი. ნორმის
განუხორციელებლობა თვით სამართლის ნორმის არსებობას გულს-

ნმობს. აქედან კი ცხადია, რომ თუ რეალური განხორციელება ან განხორციელებლობა თვით ნორმას ვერცერთი მხრით ვერ ასახაობს, რეალური განხორციელებისა და განხორციელების იმ ტრენდებს, რომელიც ნორმატიულ მსჯელობაში აშკარავდება. არაფერა სეკონდურთანეთში არ შეიძლება ჰქონდეთ. განხორციელება ან განხორციელებლობა ნორმისა თვით ნორმას გულისხმობს. ჩვენ ვერ ვიტყვი ნორმის შესახებ „ვერ განხორციელდა“, თუ რომ ნორმა თავისთავად არ უნდა განხორციელებულიყო. განა შეიძლება ასეთი დაპირისპირება ჩვენს სურვილებს, ნებისყოფასა და ნორმის შინაარსს შორის, რომ ნორმის უარყოფისაყენ მიმართულ ნებისყოფას წინ არ ელიბებოდეს სეგავლენა ნორმატიულ მსჯელობაში მოცემული აუცილებლობისა? ეს ზეგავლენა ფიზიკურ-ფსიქიკურ ზეგავლენას კი არ წარმოადგენს. აამედ ეს არის მხოლოდ და მხოლოდ თვით აუცილებლობის მსჯელობაში მოცემული მისწრაფება, მიმართება იმისაყენ, რაც აუცილებელია.

თუ სამართლის ნორმას მართლაც ასეთი ბუნება ახასიათებს. სავთყენ შეუძლია გაგვიხსნას თვალთანედვის გეზი — Blickrichtung — ასეთმა ბუნებამ? ცხადია, რომ მხოლოდ და მხოლოდ განმანორციელებლისაყენ, ე. ი. იმისაყენ, ვისაც შეუძლია ნორმის ლოდიკურად აღიარება და ლოდიკურად აღიარებული ნორმა მისედვით მოქმედება (მიუხედავად იმისა, რეალურად ის შესძლებს თუ არა მის განხორციელებას). თუ ჩვენ ასე დავსვამთ საყითნა, ცხადი გახდება. რომ ეს განმანორციელებელი თვით ნორმატიული შინაარსით ნაგულისხმევია, როგორც რალაც საყსებით დამთავრებული განმანორციელებლობის ყველა დამახასიათებელი თვისებით აღჭურვილი. ასეთი ლოდიკური აღიარებისა და ლოდიკურად აღიარებულ ნორმასთან შეფარდებული ღირებულებითი აქტების შემძლე ან, მოკლედ, ნორმა განმანორციელებელია. მხოლოდ მოქმედი პიროვნება შეიძლება იყოს. და თუ სამართლის სუბიექტად შეიძლება მხოლოდ ის ჩაითვალოს, ვისაც შეუძლია „ჰქონდეს უფლება“, ცხადია, რომ ასეთი სუბიექტი სწორედ მოქმედი პიროვნება უნდა იყოს.

„უფლების მქონებლობა“, უპირველეს ყოვლისა. იმის შეცნობა უნდა ნიშნავდეს, რაც მე რისმე ან ვისმე მიმართ უფლებას მანიჭებს. მაშასადამე, აქ შეცნობა ნორმის შეცნობას გულისხმობს. მაგრამ, იცეამავე დროს იმასაც მივალდებთ მხედველობაში, რომ სამართლის ნორმის შეცნობა აუცილებლად ნორმის ლოდიკურად აღიარებას ნიშნავს. მაშინ თავისთავად ცხადი გახდება, რომ უფლების მქონე შეიძლება მხოლოდ ის იყოს, ვისაც ლოდიკური აღიარების უნარი აქვს და ლოდიკურად აღიარებული ნორმის მიხედვით შეუძლია მოქმედება. ეს ლოდიკურ აღიარებას, რომელზედაც ჩვენ ვლაპარაკობთ, საერთო არაფერი აქვს ბ ი რ ღ ი ნ გ ი ს მიერ წამოყენებულ აღიარების თეორი-

ასთან. რამდენადაც ნორმის შინაარსი ყოველთვის. ყველაფრისაგან დამოუკიდებლად თავისებური აგებულობით, ფენომენალური სტრუქტურით არის მოცემული. და ჩვენ ამ ნორმას ვითვისებთ. იმდენად, ვინაშნაც ლოლიკურად ვაღიარებთ, რადგანაც ნორმის შეთვისებაში ჩვენ ლოლიკურად ვიღებთ ნორმისთვის დამახასიათებელ ბუნებას. ამიტომაც, თუ ეგრეთწოდებულ ფსიქიკური აღიარების თეორიის წარმომადგენლების მოძღვრების მიხედვით გაუგებარი რჩება ის მომენტი, თუ როგორ ხდება, რომ სამართლის ნორმა მაშინაც სავალდებულოა, როცა მის წინააღმდეგ ამხედრებულია ნებისყოფა, ჩვენი დებულების მიხედვით ამ კითხვაზე სრულიად სწორი პასუხის გაცემა შეიძლება.

ეს მოკლე შესავალი ნათლად გვიჩვენებს, რომ ყოველი სამართლის ნორმა თავისთავად გულისხმობს პიროვნებას, როგორც ლოლიკური აღიარების, ისე შესაძლო ღირებულებითი აქტების სუბიექტს. ამიტომ ვერ დავეთანხმებით იმ იურიდიული მეთოდის წარმომადგენლებს, რომლებიც ფიქრობენ, რომ სამართლის სუბიექტი არის მხოლოდ პოზიტიური სამართლის ქმნილება, რომ ის უბრალო ხელოვნური კონსტრუქციაა. იურიდიული, სუბიექტი, უპირველეს ყოვლისა, აქტიური მოქმედი სუბიექტია; ის არის ლოლიკური აღიარებისა და შესაძლო ღირებულებითი აქტების სუბიექტი. მაშასადამე, სამართლის სუბიექტის ცნება გულისხმობს პიროვნებას, რომელიც სამართლისაგან დამოუკიდებლად იქმნება და ყალიბდება.

მართალია, იურიდიული მეთოდის, იურიდიზმის წარმომადგენელთა სისტემაში სუბიექტი ზოგჯერ ამა თუ იმ სახით ნაგულისხმევია როგორც მოქმედი, აქტიური პიროვნება, მაგალითად. როდესაც ლაპარაკობენ შეცდომაზე. დავიწყებაზე, მეორე პირის საშუალებით შეზღუდვის გამოცხადებაზე და სხვ. ყველა ამ შემთხვევაში სუბიექტს უყურებენ, როგორც სამართლის ნორმის შემმცენებელ და შესაძლო ღირებულებითი აქტების სუბიექტს. მაგრამ როგორც კი იურიდიული მეთოდის მომხრენი იწყებენ ლაპარაკს უფლებაუნარიანობაზე, ქმედობაუნარიანობაზე და იურიდიულ ურთიერთობაზე. სუბიექტი ზემოაღნიშნული მნიშვნელობით სრულიად იკარგება. თუ იურიდიული სუბიექტი არის ერთ-ერთი მომენტი ნორმატიული სისტემისა, თუ სამართლის სუბიექტობა არის უნარი, რომელიც პოზიტიური სამართლით შეიძლება მიენიჭოს ხან ერთს, ხან მეორეს, ცხადია, რომ სამართლის სუბიექტობა ყველაზე უფრო ნაკლებ დამოკიდებული ყოფილა იმ პირის თვისებებზე, ვინაც პოზიტიურა სამართალი სამართლის სუბიექტის თვისებასა და მნიშვნელობას აკუთვნებს. თუ ყველაფერი მხოლოდ პოზიტიური სამართლისაგან არის დამოკიდებული, მაშინ თვით იმ გარემოებას, რომ ვიღაცას სამართლის სუბიექტობა ენიჭება, წმინდა შემთხვევითი ხასიათი აქვს. ეს შემთხვევითი ხასიათი თავიდან

აცილებული იქნებოდა მხოლოდ მაშინ, თუ ვალიარებდით, რომ რეალური, აქტიური პიროვნება, რომელსაც სამართლის სუბიექტის თვისება ენიჭება, თვით არის ისეთი ღირებულებითი მომენტების მატარებელი, რაც აუცილებელია იმისათვის, რომ მას სამართლის სუბიექტის მნიშვნელობა მიეკუთვნოს. მართლაც, თუ სამართლის სუბიექტი, როგორც იურიდიული მეთოდის მომხრენი ფიქრობენ, ხელოვნური კონსტრუქციაა, მაშინ პიროვნების, როგორც წმინდა შემეცნებისა და შესაძლო ღირებულებითი აქტების სუბიექტის, მნიშვნელობა იმდენად მინიმალური ხდება, რომ გაუგებარია, რატომ მართო პიროვნებას აღიარებენ იურიდიული მეთოდის წარმომადგენელი სამართლის სუბიექტად. იურიდიული მეთოდისა და ნორმატიული მეთოდის მომხრეთა სისტემებში ცოცხალ ბუნებასა და ნორმატიულ რიგს შორის ისეთი უფსკრულია, რომ ამ ნორმატიულ რიგს სრულიად არ შეუძლია რაიმე კავშირი ჰქონდეს სინამდვილესთან, რეალობასთან. ამ მეთოდის წარმომადგენელთათვის სამართლის სუბიექტობა იმდენად სუსტად არის დამოკიდებული მოქმედი პიროვნებისაგან და იმდენად არის დამოკიდებული ნორმატიული რიგისაგან, რომელსაც რეალურად არსებულთან, ნორმატივისტების აზრით, არაფერი აქვს საერთო, რომ ნორმატივისტებისათვის და იურიდიული მეთოდის მომხრეებისათვის ბოლოს და ბოლოს სულ ერთი უნდა იყოს, რა იქნება აღიარებული სამართლის სუბიექტად — ადამიანი თუ სხვა რამ.

ნორმატიულ სისტემაში ყველაფერი ერთი კანონშეფარებულობით, ერთნაირი მნიშვნელობით, თვითაშკარაობითა და სრული დამთავრებულობით არის მოცემული. აქ ყველაფერი ერთიმეორით ისაზღვრება. ერთიმეორისაგან გამომდინარეობს. მოკლედ, ნორმატიული სისტემა, ან პოზიტიური სამართალი ის მთლიანი კოსმოსია, რომელსაც არავითარი დასაყრდნობი წერტილი სინამდვილეში არ მოეპოვება და დასაყრდნობ ცენტრს ის თვით ატარებს. საშუალო საუკუნის იურისტებიც დოგმატიკოსები იყვნენ, მაგრამ მათი სამართლის სისტემის დასაყრდნობი ფუძე თვით სამართლის სისტემის გარეშე იყო. ეს იყო რწმენა ღვთაებრივი ძალისა. ახალ იურიდიულ სისტემას ჰქონდა თავისი დასაყრდნობი ცენტრი — ხალხის ნებისყოფა. თანამედროვე ნორმატიულ სისტემას კი არავითარი დასაყრდნობი წერტილი არ მოეპოვება. ამიტომაც ამ სფეროდან შეუძლებელია მიმართება — *Blickrichtung* — რეალობისკენ. ნორმატივისტს არ შეუძლია რეალობაში იგულისხმობს ისეთი რამ, რის თვისებისგანაც დამოკიდებული იყოს იურიდიული თვისებების მიღება. სხვანაირად არც შეიძლება, თუ მხედველობაში მივიღებთ იმ განსხვავებას, რომელსაც ნორმატივისტები *Sein*-სა და *Sollsein*-ს შორის გულისხმობენ. ნორმატიული სისტემა —

ეს Sollsein-ის კატეგორიაა, და ამიტომაც ამ სისტემაში არსებულის (Sein) საშუალებით არაფერი შეიძლება იყოს განხილული. დასაბუთებული და გამართლებული. ამის გამო ის, რასაც ჩვეულებრივ სინამდვილესა და ფიქციას ვუწოდებთ, ნორმატივისტების მიერ ერთსა და იმავე ლოგიკური მნიშვნელობით იაზროვნება. თუ ეს Sollsein-ის კატეგორია ასე დაშორებულია არსებულისგან. თავისთავად ცხადია, რომ ნორმათა სისტემა განსაკუთრებული კვლევის საგანს უნდა წარმოადგენდეს. აქედან კი ერთადერთი დასკვნა გამომდინარეობს: თუ იურიპრუდენცია მეცნიერებაა სამართლის ნორმის შესახებ, და სამართლის სუბიექტი კი იურიდიული კვლევა-ძიების საგანია, ნორმატივისტებისთვის სამართლის სუბიექტი მხოლოდ ნორმას და ნორმათა სისტემას უნდა ნიშნავდეს. როგორც ვხედავთ, ასეთი სამართლის სუბიექტი არავითარ რეალურ სუბსტრატს არ შეიცავს. ის თავიდან ბოლომდე ხელოვნური კონსტრუქციაა, ის ბურათია, რომელსაც არც ერთი ნაწილი რეალური ქვეყნისა არ შეეფარდება. ამიტომაც ნორმატივისტების სამართლის სუბიექტს არც შეუძლია იგულისხმოს სუბიექტად რეალურად არსებული პარონება. როგორც სუბიექტი ნორმის აღიარებისა და სუბიექტი შესაძლო ღირებულებებითი აქტებისა.

ჩვენის აზრით კი ამ ნორმატიულ სფეროსა და რეალობას ან უფლებრივ სიცარიელეს შორის ძვეს თვით სამართლის წყარო, — ეს არის ადამიანის უფლებრივი შემეცნება, ეს არის დასაყრდნობი ცენტრი თვით ნორმატიული სისტემისა და ამიტომაც ნორმატიული სისტემიდან შეიძლება იყოს Blickrichtung რეალობისაკენ, სინამდვილისაკენ. სადაც ნორმატიული მსჯელობა იმთავითვე ჩამოყალიბებულია. იქ ნაგულისხმევია. რომ ამ ნორმატიული შინაარსის განმახორციელებელი მხოლოდ ის არის, ვისი უფლებრივი შემეცნებითაც თვით ეს ნორმა შეიძლება ლოგიკურად აღიარებულ იქნეს. და თუ ასეთი სუბიექტის არსებობა ყოველთვის წარმოსადგენია, ცხადია, რომ თვით Wirklichkeitsanspruch-ში ნაგულისხმევი Blickrichtung, მოცემულია არა მარტო იმის მიმართ, რაც უნდა განხორციელდეს, არამედ იმის მიმართაც, ვინც განმახორციელებლად შეიძლება ჩაითვალოს.

როგორც დავინახეთ, სუბიექტი იმ მნიშვნელობით, რა მნიშვნელობითაც ჩვენ მასზე ვმსჯელობთ, ყალიბდება პოზიტიური სამართლისაგან დამოუკიდებლად. თქმა იმისა, რომ პოზიტიურ სამართალს შეუძლია შექმნას შესაძლებლობა მოქმედებისა, ან შესაძლებლობა თავისი განხორციელებისა, ეს დაახლოებით იგივე იქნებოდა, რომ გვეთქვა: ამა თუ იმ ხალხისა, სახელმწიფოსა, კლასისა ან წოდების ყოფნა ისტორიული პროცესის სუბიექტად ამ ხალხის, სახელმწიფოსა, კლასისა ან წოდების კონსტიტუციონ შედეგად. სამართლის ნორმას არ შეუძლია სიცოცხლის ან რაიმე ახალი თვისების შექმ-

ნა. პიროვნება, როგორც შესაძლებლობა ლოლიკური აღიარებისა, უფლებრივი შემეცნებისა და შესაძლებლობა გარკვეული აქტების მოხდენისა, სამართლის ნორმების დამოუკიდებლად იქმნება. ამ სფეროში სამართლის ნორმას არ შეუძლია რაიმე ახალი შექმნას ან რისიკე ზრდა დააჩქაროს. ყველაფერი ამ სფეროში თავისებური რიტმით ხდება და ყალიბდება. ხანგრძლივობა გამოაშკარავებული შესაძლებლობისა არ არის დამოკიდებული სამართლის ნორმისაგან. ის, რაც ამ სფეროში უნდა შეიქმნეს, შეიქმნება სამართლის ნორმების ჩაურევლად. რომის სამართალი ერთ დროს მონას არ სცნობდა სამართლის სუბიექტად, და განა მაშინ, როდესაც რომის სამართალმა მონა ასეთ სუბიექტად აღიარა, მან შექმნა განსაკუთრებული თვისებანი? სრულიადაც არა. მონების სამართლის სუბიექტად აღიარებას წინ უსწრებდა აქტი მონის პიროვნებად (Person) ცნობა¹. მაგრამ რას ნიშნავს ის, რომ ჩვენ ვიღაც პიროვნებად ვცანით! სხვას არაფერს, თუ არა იმას, რომ ჩვენ ვაღიარეთ უკვე მოცემული შესაძლებლობა ღირებულებითი აქტების შესრულებისა.

სამართლის ნორმას შეუძლია სცნოს, ან არ სცნოს, აღიაროს, ან არ აღიაროს, იგულისხმოს, ან არ იგულისხმოს პიროვნება, მაგრამ სამართლის ნორმას არ შეუძლია შექმნას, ან არ შექმნას, წარმოშვას, ან გარდაქმნას ეს პიროვნება. როგორც შესაძლებლობა განსაკუთრებული ღირებულებითი აქტებისა. ასეთი მნიშვნელობით ყოველ სამართლის სუბიექტში ნაგულისხმევია პიროვნება, როგორც შესაძლებლობა ლოლიკური აღიარებისა და ნორმის განხორციელებისა. ეს არის ძირითადი მომენტი თვით სამართლის სუბიექტის ცნებისა და უახეთოდ სამართლის სუბიექტის იღვია არც შეიძლება შეიქმნას.

ასეთ პიროვნებად ყოფნა, როგორც ვთქვით, სამართლისაგან არ არის დამოკიდებული, მეორეს მხრივ პიროვნებად „რალაც“ თავიდანვე კი არ არსებობს, არამედ ის პიროვნებად ზდება და ყალიბდება. სამართლის ნორმას შეუძლია მხოლოდ ხელოვნურად აღიაროს მომენტია, როდესაც ის პირს უკვე ჩამოყალიბებულად გულისხმობს. სხვანაირად რომ ვთქვათ, გულისხმობს, რომ განსაზღვრული მომენტის შემდეგ, რალაც, როგორც პიროვნება, ე. ი. როგორც შესაძლებლობა

¹ ახალი კულტურის ერთ-ერთ დამახასიათებელ მომენტს წარმოადგენს ის, რომ ადამიანი და პიროვნება ერთსა და იმასვე ნიშნავს, მაგრამ ასე არ ყოფილა ყოველთვის, მაგალითად, არისტოტელის აზრით მონები თუმცა ადამიანებია იყვნენ, მაგრამ პიროვნებად არ ყოფილან ცნობილი. ამიტომაც თუ ჩვენ შეგვიპოვა მოვიყვანოთ მაგალითები იმისა, რომ ყოველი ადამიანი არ ყოფილა სამართლის სუბიექტი. ჩვენ ვერც ერთ შემთხვევას ვერ დაუასახელებთ, რომ ადამიანი პიროვნებად ნაგულისხმევი სამართლის სუბიექტი არ ყოფილიყო.

ლოლიკური აღიარებისა და შესაძლებლობა გარკვეული აქტებისა, თავისთავად ფაქტად იქცევა, თუნდაც ამ „ფაქტ“-ის ფაქტიურობის დამტკიცებას არავინ ცდილობდეს. როდესაც სამართლის ნორმა რაღაცას უკვე პიროვნებად გულისხმობს, ეს რაღაც ხდება სუბიექტი იურიდიული ღირებულებებითი აქტებისა, და ამ მომენტიდან არის აღიარებული შესაძლებლობად იურიდიული აქტებისა.

ნამდვილი პიროვნება (Person) შეიძლება ჩამოყალიბდეს იმ დროზე უფრო ადრე ან გვიან, ვიდრე ეს ნაგულისხმევია სამართლის ნორმით. ამ ვადამდე ვისმე შეუძლია იყოს სწორედ იმ აქტების სუბიექტი, რაც დამახასიათებელია ნამდვილი იურიდიული სუბიექტისათვის.

მოტივაციების შედეგების გარეგნული გამოსახულების მხრივ ისინი შეიძლება სავსებით იდენტური იყვნენ, მაგალითად, აქტები მორალური ვუნდერკინდებისა და პიროვნებად ნაგულისხმევი ადამიანისა. — მაგრამ ერთ შემთხვევაში სამართლის ნორმა ამ აქტებს სკვერეტს, როგორც მისთვის სავსებით ინდიფერენტულ მოვლენებს და, მეორეს მხრით, მათ იურიდიულ ღირებულებით აქტებად სცნობს. რამდენაღ სწორად იქერს სამართლის ნორმა იმ მომენტს, როდესაც ადამიანი პიროვნებად იქცევა, ეს სულ სხვა საკითხია.

ჩვენთვის მნიშვნელობა მხოლოდ იმ გარემოებას აქვს, რომ ყოველი ნორმა იმდენად, რამდენადაც ის განმახორციელებელზე მიგვითითებს, გულისხმობს პიროვნებას, ჩვენ მიერ აღებული მნიშვნელობით, ე. ი. პიროვნებას, როგორც შესაძლებლობას ნორმის აღიარებისა და ამავე დროს შესაძლებლობას ნორმისთან შეფარდებული აქტებისა. თუ ასეთი სუბსტრატი ყოველთვის მოცემულია სამართლის სუბიექტის ცნებაში, ჩვენ შეგვიძლია არ შევუშინდეთ პარადოქსს და ვთქვათ, რომ სამართლის ყოველ სუბიექტში თავიდანვე არის მოცემული ქმედობაუნარიანობის იდეა, ვინაიდან რას ნიშნავს შესაძლებლობა უფლებრივ ნორმისთან. შეთანხმებული მოქმედებისა, თუ არა ქმედობაუნარიანობას?

ადამიანის მართო ადამიანად ყოფნა, ე. ი. ანთროპოლოგიურ-ბიოლოგიურ მოვლენად ყოფნა, სრულებითაც არ არის საქმარისი იმისათვის, რომ ის სამართლის სუბიექტი იყოს. ადამიანი უნდა ამაღლდეს პიროვნებად. ადამიანი პიროვნებად უნდა გახდეს, რადგან პიროვნება, უპირველეს ყოვლისა, არის შესაძლებლობა ღირებულებებითი-ეთიკური და იურიდიული აქტებისა, რაც თავისთავად წმინდა ნებისყოფას, წმინდა აზროვნების „მე“-ს გულისხმობს. დღეს, რა თქმა უნდა, ჩვენ ვერ წარმოგვიდგენია ადამიანი, რომელიც პიროვნებად არ მიგვაჩნდება, მაგრამ ვიცით მთელი ეპოქები, როდესაც ადამიანი პიროვნებად არ ითვლებოდა. ძველ საბერძნეთსა და რომში მონები ადამიანებად მიიჩნდათ, მაგრამ პიროვნებად მათ არავინ სთვლიდა. აი, ამიტომ მონა იმ

პერიოდში არც სამართლის სუბიექტად იყო აღიარებული. მაშასადამე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ყოველი ადამიანი ისტორიულად არ ყოფილა სამართლის სუბიექტი. მაგრამ ჩვენ ვერ დავსაბუხებთ, რომ სამართლის სუბიექტად არ ყოფილიყოს აღიარებული ადამიანი, რომელიც კი პიროვნებად იგულისხმებოდა. თუ სამართალი პიროვნებას ახასიათებს, როგორც შესაძლებლობას ღირებულებათი იურიდიული აქტების მოხდენისას, თავისთავად ნათელია, რომ პიროვნებაში ყოველთვის ქმედობაუნარიანობაც იგულისხმება. რა სახით იგულისხმება აქ ქმედობაუნარიანობა? არის ეს წმინდა იურიდიული ქმედობაუნარიანობა. თუ ეს ვიტალური ქმედობაუნარიანობაა? ჩვენ ვფიქრობთ, რომ აქ სწორედ პირველი ბუნების ქმედობაუნარიანობა გვაქვს. სხვაგვარ ქმედობაუნარიანობაზე არც შეიძლება ლაპარაკი. ასეთი დებულება ბევრს შეიძლება დიდ პარადოქსალურ დებულებად მოეჩვენოს. ამიტომ საჭიროა სათანადო განმარტება. რა არის პიროვნება თავის თავად?

ჩვენ უკვე ვთქვით, რომ ეს არის X ღირებულებითი შეაძლო აქტებისა. რა უნდა ნიშნავდეს იურიდიული სუბიექტი, თუ არ ამ პიროვნების უკვე განსაზღვრულ შესაძლებლობას, სახელდობრ, იურიდიული ღირებულებითი აქტების მოხდენის შესაძლებლობას, რაც თავისთავად ნორმის ლოდიკურად აღიარებას გულისხმობს. და ის ქმედობაუნარიანობა, რომელიც პიროვნებას თავიდანვე ახასიათებს, არის არა ვიტალური, ბიოლოგიურ-ფიზიოლოგიური ქმედობაუნარიანობა, არამედ არის მხოლოდ შესაძლებლობა იმ ღირებულებითი აქტების განხორციელებისა, რაც მოცემულია იმ ნორმაში, რომელიც პიროვნების მიერ შეცნობილად იგულისხმება. როგორც ვხედავთ, ქმედობაუნარიანობა იმ მნიშვნელობით სუბიექტს ისტორიულად კი არ ემატება, არამედ ის ძირითადი მომენტია სამართლის სუბიექტის ცნებისა. თუ ნორმას მხოლოდ ასეთი პიროვნებისაკენ შეიძლება ჰქონდეს მიმართება, „უფლების მქონე“ მხოლოდ ასეთი პიროვნება შეიძლება იყოს. მაშასადამე, სამართლის ნორმა მართლმასთან შეფარდებულ აქტებს კა არ სცნობს ღირებულად, არამედ გულისხმობს პიროვნებას, როგორც სუბიექტს შესაძლო ღირებულებითი აქტებისას. ასე რომ, თვით ეს ღირებულება სუბიექტისა ყოველთვის უფრო ადრინდელია, ვიდრე მოსიკე ღირებულებითი აქტები. ამიტომ შეცდომაა, როდესაც აქტსა და პიროვნებას ორ სავსებით იდენტურ ღირებულებად აღიარებენ. ასეთი დებულების დასაბუთება შეუძლებელია, რადგანაც სუბიექტი და აქტი ნორმის მიერ იგულისხმება, როგორც ორი ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი ღირებულება. ნორმა ღირებულებად თვლის არა მხოლოდ აქტს, არამედ პიროვნებასაც, როგორც შეაძლო ღირებულებითი აქტების სუბიექტს.

თუ ღირებულების მატარებლად მხოლოდ აქტებს ჩავთვლით, მაშინ პიროვნება თავისთავად მოსწყდება ღირებულებათა იერარქიულ რიგს. ხოლო თუ, ამის საწინააღმდეგოდ, პიროვნებას ვაღიარებთ როგორც ღირებულებას, მაშინ ცხადი იქნება, რომ პიროვნება ღირებულებითი მოვლენაა, როგორც მოქმედი, აქტიური „მე“. აქედან ის დასკვნა გამოდინარეობს, რომ მოქმედი, წმინდა ნებისყოფის მქონე სუბიექტი არ შეიძლება იმ აქტების მიხედვით იქნეს დაფასებული, რომელიც ყოველთვის ისტორიანია, რადგან აქტი ყოველთვის განხორციელებას ნიშნავს. მაგრამ თუ პიროვნება სხვა რამეს ნიშნავს და არა აქტებს, რომელშიც ეს პიროვნება ისტორიულად აშკარავდება, ცხადია, რომ პიროვნების მუდმივი ღირებულება მდგომარეობს არა უკვე მომხდარი აქტების ღირებულებაში, არამედ იმაში, რომ ის ყოველთვის ნაგულისხმეია, როგორც სუბიექტი შესაძლო ღირებულებითი აქტებისა. ღირებულებითი აქტი არის შემდგომი მოვლენა. ასეთი აქტი აუცილებლად ნორმას გულისხმობს და პიროვნება კი, როგორც სუბიექტი შესაძლო ღირებულებითი აქტებისა, ყოველთვის იგულისხმება ნორმის მიერ. ესე იგი პიროვნება ღირებულებად ყოველთვის (ნორმის მიერ) აქტზე უფრო ადრე უნდა იქნეს მოცემული, რათა ნორმას ჰქონდეს მისკენ მიმართება. ნორმის მიერ პიროვნება ღირებულებად იგულისხმება — როგორც „მე“ შესაძლო ღირებულებითი აქტებისა, ე. ი. აქ ღირებულებად შესაძლებლობაა აღიარებული და ეს შესაძლებლობა კი, როგორც ვთქვით, არის შესაძლებლობა უფლებრივი აღიარებისა და შეაძლებლობა ღირებულებითი აქტების მოხდენისა. რა დასკვნა შეგვიძლია მივიღოთ აქედან, თუ არა ის, რომ პიროვნება ნორმის მიერ ღირებულებად აღიარებულია ღირებულებითი აქტების მოხდენამდე. ეს ღირებულებას ჩვენ ვპყრეტთ არა უკვე განხორციელებულ უფლებრივ ურთიერთობაში, არამედ ეს პიროვნება ნორმის მიერ კონკრეტულ განხორციელებამდე იგულისხმება იმ მნიშვნელობით, რაც ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ. ან აქტები მხოლოდ, ე. ი. უფლებრივი ურთიერთობა და მხოლოდ ამ აქტების დაფასება, — და მაშინ პიროვნება აღარსად ჩანს, ანდა, თუ სამართლისათვის საერთოდ არსებობს პრობლემა პიროვნების შესახებ, ამ პიროვნების მნიშვნელობა აღიარებულ უნდა იქნეს კონკრეტული ნორმის მიერ გათვალისწინებული აქტების დამოუკიდებლად. ე. ი. სუბიექტი აღიარებულ უნდა იქნეს არა ერთი რომელიმე კონკრეტული ნორმის, არამედ საერთოდ ყოველი ნორმის განხორციელების მუდმივ შესაძლებლობად. მხოლოდ ასეთი პიროვნებასადმი შეიძლება ჰქონდეს ნორმას მიმართება, ვინაიდან განხორციელების ტენდენციას, რომელიც ნორმის ფენომენოლოგიურ სტრუქტურაში აშკარავდება, არ შეუძლია ჰქონდეს მიმართება სხვა რამისადმი, თუ არა მისი განხორციელების შესაძლებლობისადმი. კ ე ლ ზ ე ნ ი აზ-

რით, მაგალითად, სუბიექტი არის ის, ვინც ვალდებულია. ჩვენი აზრით კი ვალდებული შეიძლება იყოს — მხოლოდ სუბიექტი.

ყველაზე უფრო ნათლად განსხვავებას აქტსა (მოქმედებას), და პიროვნებას შორის, როგორც ორ სხვადასხვა, ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ ღირებულებით მომენტს შორის ჩვენ ვხედავთ იმ ნორმატიულ მსჯელობაში, რომელშიც ერთგვარი მოქმედება, აქტი — ნეგატიურ ღირებულებად არის აღიარებული. ასეთ ნორმატიულ მსჯელობაში სუბიექტი ყოველთვის ცნობილია პოზიტიურ ღირებულებად, ხოლო აქტი ნორმის მიერ ნეგატიურ ღირებულებად ითვლება. მაგალითად, როდესაც იქმნება ნორმა რომელსაც გათვალისწინებული აქვს სასჯელი. ამ ნორმის მიერ პიროვნება აუცილებლად იგულისხმება, როგორც სუბიექტი შესაძლო ღირებულებითი აქტებისა, ვინაიდან სასჯელის განხორციელება თვით ნორმის განხორციელებას ნიშნავს. მაშასადამე. არა მარტო მაშინ, როდესაც ნორმა დადებით მომენტს შეიცავს, როდესაც ნორმა აქტს გმობს ე. ი. მას ნეგატიურ ღირებულებად აღიარებს, სუბიექტი ნორმის მიერ აუცილებლად იგულისხმება, როგორც ღირებულებითი მომენტი, ვინაიდან ამ შემთხვევაში ის გათვალისწინებულია ნორმის განმანორციელებელ სუბიექტად. ასე რომ, თუ სამართლის ნორმა გულისხმობს პიროვნებას, როგორც ღირებულებას — ეს მხოლოდ იმიტომ, რომ ამ პიროვნებისათვის დამახასიათებელ მომენტად იგი ყოველთვის ქმედებაუნარიანობას თვლის, რაც თავისთავად იურიდიული ღირებულებითი აქტების მოქმედების მოხდენის შესაძლებლობაა.

ქმედებაუნარიანობა ერთ-ერთი მთავარი მომენტია პიროვნებისა. ეს ქმედებაუნარიანობა არის შესაძლებლობა ნორმის განხორციელებისა, რადგანაც ნორმისათვის ამ შემთხვევაში ლოგიკურად განხორციელებული შეიძლება მისი შინაარსის განმანორციელებელი იყოს. და თუ ქმედებაუნარიანობაში ტრადიციული იურისპრუდენციის მომხრენი გულისხმობენ „ნებისყოფის სიმწიფეს“, „პაუზისამგებლობას“, — „მომწიფებულ აზროვნებას“ და, მეორეს მხრით, ქმედებაუნარიანობა თვისებათაგან არის დამოკიდებული, ლოგიკურად მათ სხვა არაფერი რჩებათ, გარდა იმისა, რომ აღიარონ, რომ „ნებისყოფის სიმწიფე“, „უფლებრივი აღიარების უნარიანობა“ სამართლის ნორმის ქმნილებაა და თუ ზემოაღნიშნულ მომენტებს სამართლის ნორმის ქმნილებად ვერ აღიარებენ, მაშინ ისიც უნდა ითქვას, რომ ქმედებაუნარიანობა თავიდანვე იგულისხმება იქ, სადაც არის „მომწიფებული ნებისყოფა“, „შესაძლებლობა იურიდიული წმინდა აღიარებისა“, „ლოგიკური ცნობისა“ და სხვ. თუ საკითხს ასე მიუდგებით და მართან ერთად მივიღებთ მხედველობაში, რომ ყველა ეს შესაძლებლობანი არის პი-

როვნების დამახასიათებელი მომენტები, მაშინ იქ, სადაც პირი ნაგულისხმევია სამართლის მიერ, ნაგულისხმევია აგრეთვე პირისათვის დამახასიათებელი მომენტები და. მათ შორის, განხორციელების შესაძლებლობაც ანუ ქმედებაუნარიანობა. აქ არ შეიძლება იმ ტრადიციული მოსაზრების მოყვანა, რომ იურიდიულ ქმედებაუნარიანობასა და ფიზიკურ-ფსიქოლოგიურ ქმედებაუნარიანობას შორის საერთო არაფერია. ამ ტრადიციულ შეხედულებას ყველა იცნობს, ლოგიკურად სამართლის ნორმაში, მსჯელობაში „უნდა იყოს“ არ შეიძლება იქნეს მოცემული მიმართება ფსიქოლოგიურ-ფიზიოლოგიურ-ემოციონალურ შესაძლებლობისაკენ. სამართლის ნორმაში შეიძლება იყოს მიმართება მხოლოდ იმ შესაძლებლობისაკენ, რომლითაც თვით ნორმა უნდა განხორციელდეს. თუ ჩვენ ნორმის შინაარსს მიზნად ვაღიარებთ, მაშინ განმახორციელებლის შესაძლებლობა მხოლოდ საშუალებად იქნება აღიარებული, ვინაიდან განხორციელების იდეა ყოველთვის საშუალების ცნებაშია მოცემული და საშუალებას კი ყოველთვის მიზნის ზეპედი აზის, თვით მიზანში არის მოცემული ეიდეტური მიმართება რაღაცისაკენ, როგორც საშუალებისაკენ, შესაძლებლობისაკენ. ამიტომაც უფლებრივი ნორმის მიერ ნაგულისხმევი განმახორციელებელი, ანუ განხორციელების შესაძლებლობა, არის მხოლოდ და მხოლოდ შესაძლებლობა ნორმის შინაარსის განხორციელებისა. ასე რომ, იმდენად, რამდენადაც სუბიექტი ჩვენ სწორედ ნორმის განმახორციელებლად გვყავს წარმოდგენილი და სამართლის სუბიექტის სუბსტრატი ყოველთვის პარია, იურიდიული ნორმის მიერ ნაგულისხმევი, სუბიექტში ყოველთვის ნაგულისხმევი ქმედებაუნარიანობა. ნამდვილი იურიდიული მნიშვნელობით.

ვინაიდან, ვიმეორებთ, იქ, სადაც ყალიბდება მსჯელობა სამართლის შესახებ, შეიძლება იქნეს ნააზროვნები მხოლოდ შესაძლებლობა ამ ნორმის შინაარსის განხორციელებისა. სხვაგვარ შესაძლებლობას ის ვერც იგულისხმებს. თვით ამ მსჯელობის სფეროში არც შეიძლება იქნეს მოცემული იდეა სხვა რაიმე შესაძლებლობისა, თუ არა იდეა თვით ნორმის შინაარსის განხორციელებისა და განმახორციელებლისა, ე. ი. იდეა ამ შინაარსის განხორციელების შესაძლებლობისა. ამოკრავდ, სამართალი სამართლის სუბიექტს გულისხმობს. ამ მნიშვნელობით არის სუბიექტი მოცემული ყოველი ნორმატიული ხასიათის მსჯელობაში. იდეა ასეთი სუბიექტისა სამართლის ნორმის ისტორიულად კი არ ებმის, არამედ ის ყოველთვის იგულისხმება ნორმის მიერ.

ჩვენ აღვნიშნეთ, რომ სუბიექტის იდეა პიროვნებას გულისხმობს, როგორც ვიცით, ნაყოფი ემბრიონალურ მდგომარეობაში, მცირეწლოვანი და სხვ., ჩვეულებრივად სამართლის სუბიექტებად ითვლებიან. როგორ შეუუთანხმოთ ეს დებულება ჩვენს შეხედულებას?

სამართლის ნორმაში, როგორც ვთქვით, ყოველთვის ნაგულისხმე-
ვა სუბიექტი განსაკუთრებული ღირებულებითი აქტებისა. მაგრამ
სწორედ იმიტომ, რომ სუბიექტი ასეთი ღირებულებითი აქტების სუ-
ბიექტად არის აღიარებული, ის იაზროვნება როგორც ღირებულება,
როგორც პოზიტიური ღირებულება, ამიტომ სამართლის სუბიექტში
ნაგულისხმევი პირი ყოველთვის მოცემულია, როგორც ღირებულება.
არარსებობა ასეთი პოზიტიური ღირებულებისა ნემგატიურ ღირებუ-
ლებად უნდა მივაჩინოთ, და თუ სამართლის სუბიექტი სწორედ იმი-
ტომ არაა ღირებულება რომ მასში ღირებულებითი აქტების x პიროვნე-
ბა გვყავს წარმოდგენილი, ცხადია, რომ თვით სამართლის იდეის
მიხედვით ჩვენ არ შეგვიძლია ღირებულებად არ ვაღიაროთ რაღაც,
რაც, ჩვენი აზრით, შესაძლებელ პიროვნებად უნდა გახდეს. თუ რაიმე
კავშირით იდეა პირისა სადმე ებმის ადამიანს, ადამიანი თავისი ევო-
ლუციის ყოველ საფეხურზე ღირებულებად უნდა იქნეს აღიარებული,
მართლაც, რას ნიშნავს შესაძლებლობა პიროვნებად გახდომისა? ყო-
ველთვის, როდესაც ჩვენ რაიმე მოვლენის შესაძლებლობაზე ვლაპ-
რაკობთ, თვით მსჯელობაში შესაძლებლობის შესახებ მოცემულია
იდეა-იშისა, რაც შესაძლებელია. მაგალითად, თუ ჩვენ შესაძლებლად
მიგვაჩნია რაიმე აქტის განხორციელება, თვით იდეა ამ აქტისა მოცე-
მულია მსჯელობაში შესაძლებლობის შესახებ. რაკი ვისმე ვაღიარებთ,
როგორც შესაძლებლობას პიროვნებად გახდომისას. ამ ვაჰმეში ყო-
ველთვის ვაღიარებთ იმ ღირებულებითი მოქმედების შესაძლებლო-
ბას, რაც დამახასიათებელია ჩამოყალიბებული პიროვნებათვის.
მცირეწლოვანი ბავშვი და ის, რომელიც ჯერ კიდევ ემბრიონალურ
მდგომარეობაშია ნორმის მიხედვით ლოგოკურად ღირებულებად არის
აღიარებული, მხოლოდ არა როგორც ნამდვილი სუბიექტი ღირებუ-
ლებითი აქტებისა, არამედ როგორც შესაძლებლობა პიროვნებად გა-
ხდომისა. ამ სახით აღიარების გამო მცირეწლოვანი ან ნაყოფი არის
რაღაც, რომლის მიმართაც ყველა შეიძლება მოვალე იყოს შეასრუ-
ლოს ის, რის შესრულებაც სამართლის სუბიექტების მიმართ ვვაღე-
ბა ყველას ხოლო თვით ეს რაღაც შეუძლებელია აღიარებულ იქნეს
როგორც შემსრულებელი იურიდიული ღირებულებითი აქტებისა.

თუ ჩვენ სამართალს მხოლოდ დავუპირისპირებთ სუბიექტი განსა-
კუთრებული მნიშვნელობით, ეს კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ ყველა-
ფერი, რაც პიროვნებას არ წარმოადგენს, ჩვენ აუცილებლად უფლებ-
რივ სიცარიელეში უნდა გადაგვეტანა. სრულბ-თაც არა! იმიტომ, რომ
ჩვენ ზოგიერთ რასმე პერსონალური ღირსება ავკყარებთ, ეს რამე სრუ-
ლებითაც უფლებრივი სტიქიიდან არ გამოგვთავსავს. ჩვენ აღვნიშნეთ
მხოლოდ ის, რომ სამართლის ნორმას სუბიექტი შეუძლია იგულისხ-
მოს მართლოდენ განსაკუთრებული მნიშვნელობით. რა თქმა უნდა,

შეიძლება გვითხრან, რომ თუ ასეთი კონსტრუქცია მივიღეთ, მაშინ უნდა შეიცვალოს მთელი სისტემა რეალური ურთიერთობისაო, მაგრამ ეს ნაჩქარევი დასკვნა იქნება. ჩვენი შეხედულების თანახმად, მთელი სისტემა უფლებრივი ცხოვრებისა შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, როგორც ურთიერთობა სუბიექტებისა ჩვენ მიერ აღებული მნიშვნელობით. ე. ი. სუბიექტები მხოლოდ ნორმების განმანორციელებელნი არიან და როგორც განმანორციელებელნი, ისინი ერთგვარ ურთიერთობაში იმყოფებიან. მაგრამ, ამას გარდა, ეს სუბიექტები ერთგვარ ურთიერთდამოკიდებულებაში არიან იმ სხვა ღირებულებათა მიმართ, რაც ნორმის მიერ აღიარებულია. ასე რომ, მთელი სისტემა უფლებრივი ცხოვრებისა შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, როგორც ურთიერთობა სუბიექტთა შორის. ურთიერთობა აქ არის მხოლოდ შედეგი ნორმატიული სისტემის განმანორციელებისა და ამ ნორმატიულ სისტემაში, როგორც ვთქვით; გვაქვს ნორმები, რომლის მიერ ღირებულებად არის ცნობილი ის, რაც შეიძლება პიროვნებად გახდეს.

მართლაც, რომ ავიღოთ სახელმწიფო, ის ხომ, უპირველეს ყოვლისა, ერთი განსაკუთრებული შინაარსის ნორმების სისტემას ნიშნავს. რა შეუძლია სახელმწიფოს იგულისხმოს თავის ნამდვილ სუბიექტებად? ჩვენ ვიცით, რომ, მაგალითად, რაიმე ერთეულის სუბიექტად ყოფნა იმავე დროს აუცილებლად ამ ერთეულის წევრობას ნიშნავს. ჩვენ არ შეგვიძლია ჩვენი თავი რაიმე ორგანიზაციისა, კორპორაციის ან ინსტიტუტის სუბიექტად წარმოვიდგინოთ, თუ არ როგორც ამ ინსტიტუტის წევრი. რას ნიშნავს ეს წევრობა? რა თქმა უნდა, ყველაზე ნაკლებად ფიზიკურ ადამიანობას, როგორც ფიზიოლოგიურ-ბიოლოგიურ-პარტიკულარულ მოვლენას. წევრობა ან სუბიექტობა აუცილებლად მთლიანობისადმი მიკუთვნებას გულისხმობს. აქ დაძლეულია პარტიკულარიზმი ადამიანისა, ვინაიდან მთლიანობისადმი მიკუთვნებით ის სძლევს თავის განცალკევებას, ანუ, უფრო სწორად რომ ვთქვათ, თავის პარტიკულარულ ყოფას. მაგრამ რას ნიშნავს მთლიანობის წევრად. ან მთლიანობის მიერ ნაგულისხმევ სუბიექტად ყოფნა, თუ არა იმას, რომ ჩემი არსებით მე რაღაც სხვას ვახორციელებ. ე. ი., რას ნიშნავს ეს, თუ არა იმას, რომ მე ფუნქცია ვარ და, როგორც ფუნქცია, ყოველთვის განსაკუთრებული შესაძლო ღირებულებითი აქტების ცენტრი ვარ. აქედან თავისთავად ნათელია, რომ რაიმე კორპორაციაში, ან ინსტიტუტში იმდენად, რამდენადაც თავს მის წევრად ვთვლი, მე განვიცდი არა ჩემს ბიოლოგიურ-ფიზიოლოგიურ შესაძლებლობას, არამედ მხოლოდ იმ შესაძლებლობას, რომლითაც მე ამ კორპორაციის ან მთლიანობის ძირითად იდეას ნაწილობრივ პარტიკულარულად ვახორციელებ. აი ამიტომაც ჩვენ ვამბობთ, რომ ყოველ ინსტიტუტში, სულ ერთია, როგორიც უნდა იყოს მისი ბუნება, თუ ეს

ინსტიტუტი გულისხმობს სუბიექტებს, წევრებს. ეს სუბიექტები აუცილებლად იგულისხმებიან, როგორც ინსტიტუტის ძირითადი იდეის განმახორციელებელი. ამ მხრით თუ სახელმწიფოს ავიღებ. როგორც სამართლის სისტემას. ცხადია, რომ ამ სამართლის სისტემას შეუძლია თავის წევრებად, სუბიექტებად მხოლოდ თავისი განმახორციელებელი იგულისხმოს. ჩვენაირად ეს სისტემა სუბიექტებს, რომლებიც ამ შემთხვევაში წევრებია ამ სისტემისა. ვერ გადავხედავ. მაგრამ, როგორც ვთქვით, სახელმწიფო, უპირველეს ყოვლისა, სამართლის სისტემას ნიშნავს და თუ ეს სისტემა ვისმე წევრად ან თავის სუბიექტად გულისხმობს. თვით ეს სუბიექტი ამ სისტემისათვის შეიძლება არსებობდეს მხოლოდ როგორც სისტემის განმახორციელებელი. ჩვენ აქაც უნდა გავიმეოროთ, რომ ასეთ შეხედულებას შეუძლია დაბადოს ერთგვარი გაუგებრობა. რაკი ჩვენ სახელმწიფოს მიერ ნაგულისხმევ სუბიექტად მხოლოდ სისტემის, ნორმების განმახორციელებელს ვგულისხმობთ, ეს კიდევ სრულებით იმას არ ნიშნავს, რომ ამ უფლებრივ სისტემას არ ჰქონდეს აღიარებული, ან არ შეეძლოს აღიაროს ის, რაც არააღიარებულს წარმოადგენს. ჩვენ ნათელვყავით, რომ ნაყოფიერი ემპირიონალური მდგომარეობაში პიროვნება არ არის. მაშასადამე. ის არც სუბიექტია. მაგრამ ეს კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ ამ ემპირიონალურ ბუნებრივ უფლებრივ სიციარიელეში მიმდინარეობდეს. ეს ემპირიონალური სამართლის მიერ აღიარებული ღირებულებაა და სამართლის ნორმის მთელი რიგის განხორციელებით ჩვენ ამ ღირებულებისათვის ემოქმედებთ. ჩვენ კიდევ უნდა მოვიყვანოთ ერთი მოსახრება, რომელსაც შეიძლება უადრესი მნიშვნელობა ჰქონდეს უფლებრივი სახელმწიფოს დასაბუთებისათვის.

თუ ვაღიარებთ, რომ რისამე სუბიექტს ყოველთვის თან სდევს განცდა წევრობისა, ცხადია, რომ თვით ეს სუბიექტი თავის თავს ყოველთვის ფუნქციად გრძნობს. ფუნქციად თავის წარმოდგენა კი მთლიანობის ლოგიკურად აღიარებას ნიშნავს, ვინაიდან შეუძლებელია ჩვენი თავი ფუნქციად წარმოვიდგინოთ, თუ წინდაწინვე ლოგიკურად არ ვაღიარებთ იმას, რისთვისაც მე ფუნქციონალურად ვხორციელები. წევრობის განცდაში, იმისდამიუხედავად — არის ეს წევრობა ნებაყოფლობითი, თუ ჩემი ნებისყოფის წინააღმდეგ, მე ყოველთვის ვაღიარებ იმას. რის წევრიც ვარ და როგორც წინ ვასაც უნდა ვგრძნობდეთ იმის მხრით, რის წევრადაც ჩვენი თავი გვაქვს წარმოდგენილი, არასოდეს ამ წინევას არ განვიცდით. როგორც უბრალო მექანიკური ძალის წინევას, ვინაიდან წმინდა ძალის წინევის განცდაში ყოველთვის არის ლოგიკური უარყოფა ამ ძალისა, ხოლო როდესაც მთლიანობის წინევას განვიცდით, ის უბრალო ძალად არასოდეს არ მიგვაჩნია, რად-

განაც ჩემი წევრობის იდეაში მთლიანობა თავიდანვე ლოგიკურად არის აღიარებული.

როგორც ვიცი, სამართლის სუბიექტად აღიარებენ არა მარტო ადამიანს, რომელშიც პიროვნებას გულისხმობენ, არამედ ზმირად ასეთ სუბიექტად მიაჩნდათ კოლექტივიც. რა სახით შეიძლება კოლექტივი აღიარებულ იქნეს სამართლის სუბიექტად, თუ სუბიექტი, როგორც ვთქვით, ნიშნავს x -ს უფლებრივი აღიარებისას და x -ს ღირებულებითი აქტებისას, რომ კოლექტივი შეიძლება იყოს x ღირებულებითი აქტებისა, ეს ადვილად წარმოსადგენია, მაგრამ რა სახით და მნიშვნელობით შეუძლიან კოლექტივს სუბიექტისათვის დამახასიათებელი პირველი მომენტის დაკმაყოფილება? ჩვენ ვიცი, რომ ზოგიერთი ცდილობს კოლექტივში განსაკუთრებული თავისებური, ემპირიული, რეალური ნებისყოფის აღმოჩენას. ფიზიკური პიროვნება ადამიანი: ადამიანის ერთ-ერთ დამახასიათებელ მომენტს კი ნებისყოფა წარმოადგენს და რადგანაც იურიდიული პირი და ფიზიკური პიროვნება სამართლის სუბიექტები არიან, ამიტომ როგორც ერთს, ისე მეორეს ერთი და იგივე ნიშნები უნდა ახასიათებდეს. ასე მსჯელობს ზოგიერთი. ჩვენ აქ არ შევჩერდებით იმაზე, თუ რამდენად დამახასიათებელია ემპირიული ნებისყოფა სამართლის სუბიექტისათვის. გარკვეული პასუხი ამ კითხვაზე ჩვენ შეგვიძლია ვნახოთ ჩვეულებრივ სახელმძღვანელოებში. ჩვენ მხოლოდ ორი მომენტი გვსურს აქ აღვნიშნოთ: 1) თუ იურიდიული პირისათვის დამახასიათებელია ერთი ნებისყოფა, როგორ შედგება ეს ნებისყოფა და 2) თუ მივიღებთ, რომ ნებისყოფა საფუძველია იურიდიული პირისა, შეუძლია თუ არა იურიდიულ პირს იარსებოს როგორც ინსტიტუტმა. რა თქმა უნდა, ძნელია ყველა იმ მოსაზრების მოყვანა, რასაც ეს საკითხები მოითხოვს და ჩვენ იძულებული ვართ დავკმაყოფილდეთ მხოლოდ უმთავრესის აღნიშვნით. ჩვენ ვიცი, რომ ზოგიერთები იურიდიული პირის ბუნების შესასწავლად მამართავენ მასიურ ფსიქოლოგიას. უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენ ვერ წარმოგვიდგენია ვერც ერთი. მეთოდი, რომელიც ისე ვარგისი იყოს იურიდიული პიროვნების განსამარტავად, როგორც ზემოაღნიშნული მეთოდი. ჩვენ აქ არ ვეხებით საერთოდ იმ საკითხს, თუ რამდენად გამოსადეგია ფსიქოლოგიური მეთოდი რაიმე იურიდიული მოვლენისა და ინსტიტუტის გასაგებად. ვისაც ეს საკითხი აინტერესებს, მას მივუთითებთ კ ე ლ ზ ე ნ ი ს ა და ჰ უ ს ე რ ლ ი ს შ შვენიერ მონოგრაფიებზე, რომლებშიც სრულიად ნათლად არის ნაჩვენები უვარგისობა ფსიქოლოგიური მეთოდისა იურიდიული ფენომენების შესასწავლად. არის კიდევ ერთი მომენტი, რომლის მიხედვითაც ჩვენ არავითარ შემთხვევაში არ შეგვიძლია იურიდიული პირის ბუნება მასიური ფსიქოლოგიის დახმარებით შევისწავლოთ, ვინაიდან, როგორც ამას

დაეინახავთ, იურიდიული პირი და მასა სულ სხვადასხვა ბუნების მოვლენას წარმოადგენენ. რას ვხედავთ ჩვენ მასაში და რას ვხედავთ საზოგადოებაში, კოლექტივში, რომელიც ჩვეულებრივად იურიდიული პირის სუბსტრატად უნდა ჩაითვალოს? ყოველი მასისათვის დამახასიათებელი მომენტი სწორედ ნებისყოფათა იდენტობაში მდგომარეობს. როგორც პიპნოზის დროს ჩვენ არ შეგვიძლია ვილაპარაკოთ პიპნოტოზორისა და მედიუმის ერთმანეთისაგან განსხვავებულ ნებისყოფაზე, რადგანაც ბოლოს და ბოლოს იქ მხოლოდ ერთი ნებისყოფაა, სწორედ ასევე მასაში არის პარალიტეტი ნებისყოფათა, ან უფრო სწორედ რომ ვთქვათ. ნებისყოფათა იმგვარი იდენტობა, რომ მასის არც ერთ წევრს არ შეუძლია თავისი „მე“ სხვის „მე“-ს დაუპირისპიროს. მასაში შესაძლებლობა „ჩემისა“ „და სხვისის“ დაპირისპირებისა სრულიად მოსპობილია. არცერთ მომენტში, არცერთ ეტაპში, არცერთ აქტში ასეთი დაპირისპირება შესაძლებელი არ არის. აქ არის ერთი მოქმედება — თავისებური კოორდინაცია მასიური მოქმედებისა და სრული იდენტობა ნებისყოფათა. ჩვენ ვერ წარმოვიდგენია მასა (რომელიც სულ სხვას ნიშნავს, ვიდრე საზოგადოებრიობა), რომელშიც ვისმე შეუძლოს სხვისი ნებისყოფის წნევის განცდა, ვინაიდან სხვისი ნებისყოფის წნევის განცდის ფენომენალი „სხვაა“. ხშირად, მაგალითად, ჰგონიათ, რომ ხელმწიფება-მორჩილება თითქოს სწორედ იმას ნიშნავდეს, რომ ერთ განსაკუთრებულ პირობებში ხელმწიფების სუბიექტს შეუძლიან თავისი ნებისყოფა მორჩილების სუბიექტის ნებისყოფად აქციოს. ეს არის ერთ-ერთი უდიდესი შეცდომა, რომელიც ჩვენ ფრიალ ხშირად გვხვდება. ხელმწიფება-მორჩილება აუცილებლად გულისხმობს „მე“-ს და სხვას, ე. ი. ყოველთვის დაპირისპირებულია ჩემი და სხვისი ნებისყოფა და რომ ასეთი დაპირისპირება არ იყოს, ხელმწიფება-მორჩილებას ყოველგვარი მნიშვნელობა დაეკარგება. თუ ჩვენ დავუშვით, რომ ნებისყოფა არის დამახასიათებელი მომენტი იურიდიული პირისათვის, განა სულ უბრალო ანალიზი არ დაგვანახვებს, რომ საზოგადოებაში ან ინსტიტუტში პაროვნება სულ სხვა სახით და მნიშვნელობით არის მოცემული, ვიდრე მასაში?

ინსტიტუტში ჩვენ ყოველთვის მრავალგვარ წნევას განვიცდით, განვიცდით წნევას თვით ჩვენი ფუნქციისას და აგრეთვე სხვა ფუნქციის განმახორციელებლისას, ასე რომ, ყოველთვის ამას ვგარძნობთ, როგორც ინსტიტუტის წნევას, როგორც ერთი ანტრეპრიზას, ერთი სამართლის სისტემის წნევას. ეს ასეა, განა შეგვიძლიან ჩვენ ყველა ისეთი წნევის სხვაგვარად, თუ არ „ჩემი“-სა და „სხვის“-ის დაპირისპირებით, თუ არ მუდმივი განცდით ჩემი და სხვისი ნებისყოფის სხვადასხვაობისა? როგორც ვხედავთ, ინსტიტუტში, იურიდიულ პირში, ე. ი. ყველგან, სადაც ჩვენ შეგნებულად თანაგარსებობთ, როგორც წევრები, თვით წევ-

რობის განცდას თან ახლავს იდეა, აზრი ვილაციის შესახებ, რომელიც „სხვა“ არის, ვიდრე „მე“. ამგვარად, ცხადია, რომ ამ სფეროში ჩვენ არ შეგვიძლია შევიქვათ იმ არგუმენტებით, რასაც აძლუბა მასის ფსიქოლოგიის მეცნიერება. მაშ, რრგორ უნდა გვესმოდეს ჩვენ ის „ნებისყოფა“, რომელიც თითქოს მოცემულია ყოველ ინსტიტუტში და რომელიც თითქოს ბატონობს ინდივიდუალურ ნებისყოფაზე? რადგანაც ასე იხელმწიფება და წნევას განიცდის ყოველი წევრი ამა თუ იმ ინსტიტუტისა, ამიტომ აუცილებლად მიაჩნიათ თვით ეს წნევა სხვისი და თავისი ნებისყოფის დაპირისპირებაზე დაამყარონ. მართალია, ყოველ ინსტიტუტში ადგილი აქვს დაპირისპირებას, — „ჩემი“ და „სხვისი“, მაგრამ განა ეს დაპირისპირება შესაძლებელია მხოლოდ ორი სხვადასხვა ნებისყოფის დაპირისპირების ნიადაგზე? ჩვენ ხშირად განვიცდით მიზნისა, ამოცანისა, მთლიანობისა, ფუნქციისა, დანიშნულებიან, სამართლის ნორმისა და სხვ. წნევას, მაგრამ ამ მიზანს, ფუნქციას, დანიშნულებას, მთლიანობას თუ სამართლის ნორმას ჩვენ ფაქტიკას ვუპირისპირებთ, როგორც „რალაციას“ ჩვენგან განსხვავებულს, და ამ რალაციში სრულებითაც არ ვგულისხმობთ ნებისყოფის არსებობას. მაგრამ თუ ჩვენ დავუშვით, რომ იურიდიული პირისათვის, ინსტიტუტისათვის ნებისყოფა ისეთვე დამახასიათებელი მომენტია, როგორიც ადამიანისათვის, მაშინ ჩვენ რ უ ს ო ს ტერმინოლოგია უნდა მივიღოთ და ვალიაროთ, რომ ინსტიტუტის, იურიდიული პირის ნებისყოფა შეიძლება ან *volonté générale*, ან „*volonté des tous*“ იყოს, მაგრამ *volonté générale*-ის გამოყენება ამ შემთხვევაში სრულიად შეუძლებელია ვინაიდან როგორც რ უ ს ო ს საუკუთესო ინტერპრეტატორებმა კ ა ნ ტ მ ა, ფ ი ხ ტ ე მ და მათ შემდეგ სამართლის ფილოსოფოსმა რუდოლფ შ ტ ა მ ლ ე რ მ ა ნათელყვეს, რუსოს „*volonté générale*“-ს არაფერი საერთო არა აქვს ემპირიულ, ფსიქოლოგიურ ნებრყოფასთან, ეს არას მხოლოდ აპრიორული სახელმძღვანელო პრინციპი, რომლითაც უნდა იხელმძღვანელოს ყოველმა კანონმდებელმა და ვინც შეეცდება, როგორც, მაგალითად ტ რ ი პ ე ლ ი, როდესაც ის საერთაშორისო სამართლის ობიექტივიტეტის დამტკიცებას ცდილობდა *volonté générale*-ი (როგორც ნამდვილი ნებისყოფა) და ინდივიდუალური ნებისყოფა ერთმანეთს დაუპირისპიროს, როგორც ორი ბუნებით ერთნაირი, ხოლო სიძლიერით განსხვავებული მოვლენა, ის ვერაფრითარ შედეგს ვერ მიაღწევს, ვინაიდან *volonté générale* არის აპრიორული, სახელმძღვანელო პრინციპი, ნორმა, რომელსაც ემპირიულ ნებისყოფასთან საერთო არაფერი აქვს. მაშასადამე, თუ ამ *volonté générale*-ს ნამდვილ ნებისყოფად ვერ ვაღიარებთ, მაშინ გამოდის, რომ იურიდიული პირისათვის (თუ მისთვის ნებისყოფა ძირითად მომენტად მივიჩნით) ასეთ ნებისყოფად შეიძლება მხოლოდ იყოს „*volonté des tous*“. მაგრამ რას ნიშ-

ნავს ინსტიტუტისათვის ასეთი მომენტის დაშვება? საკმარისია ელ-
როთ, რომ „volonté des tous“ არის ძირითადი მომენტი ყოველი იუ-
რიდიული ინსტიტუტისა, რომ მაშინვე დაეინახოთ, თუ რა სუსტ პოზი-
ციასზე დგანან ისინი, ვინც ამ თვალსაზრისს იზიარებენ. მართლაც რა
არის თავისთავად „volonté des tous“, თუ არა ინსტიტუტის წევრების
ინდივიდუალურ ნებისყოფათა ჯამი? ე. ი. იმისთვის, რომ ჩვენ წევ-
რების ნებისყოფათა ჯამზე ვილაპარაკოთ, ცხადია, რომ რაღაც, რო-
გორც ინსტიტუტი, მთლიანობა, წინასწარ უნდა იქნეს მოცემული.
რადგანაც ჩვენი წევრობა ერთ მთლიანობას ან ინსტიტუტს გულის-
ხმობს. მაშასადამე, რომ ჩვენ ვილაპარაკოთ ინსტიტუტის წევრების
ნებისყოფაზე, თვითარსებობა ინსტიტუტისა, რომელიც აღნიშნავს —
ვის ნებისყოფათა ჯამი შეადგენს „volonté des tous“, ესე იგი ინსტი-
ტუტი — უნდა იქნეს ნაგულისხმევი ამ volonté des tous ჩამოყა-
ლობამდე. აქედან ცხადია, რომ „volonté des tous“ თვით ინსტიტუ-
ტისათვის დამახასიათებელი ვერ იქნება, რადგანაც როგორც დავი-
ნახეთ, „volonté des tous“ წინასწარ არსებულად გულისხმობს თვით
ინსტიტუტს ანუ სამართლის ნორმათა სისტემას. რა თქმა უნდა შეიძ-
ლება გვითხრან, რომ „volonté des tous“-ში გულისხმობენ ინსტიტუ-
ტის დამფუძნებელთა ნებისყოფას. მაგრამ ესეც უნდა უარყუთ. ვი-
ნაიდან იმას, რაც ჭმნის ისტორიულად ამა თუ იმ ინსტიტუტს, თუ
ინსტიტუტის ბუნების დამახასიათებლად ჩვენ ვერ ჩავთვლით. შეიძ-
ლება იურიდიული ინსტიტუტი იყოს შედეგი ერთგვარი შეთანხმე-
ბისა, ხელშეკრულებისა, მაგრამ შეთანხმება, ხელშეკრულება სულ სხვა
არის, ვიდრე ის ინსტიტუტი, რომელიც ამ შეთანხმებისა, ან ხელშე-
კრულების ნიადაგზე აღმოცენდა. შეიძლება ინსტიტუტის წარმოშო-
ბი მიზეზები ადამიანთა უბრალო კაპრიზი იყოს, მაგრამ როდესაც ინს-
ტიტუტი წარმოიშვა, აქ უკვე ზულ რაღაც ახალი რამ დაიბადა, და ამ
ინსტიტუტში დამაარსებელთა შორის შექმნილი დამოკიდებულება,
სულ სხვა ბუნების და მნიშვნელობისაა, ვიდრე ის დამოკიდებულება,
რაც ინსტიტუტის წარმოშობამდე დამფუძნებელთა შორის არსებობ-
და. ინსტიტუტი უნდა იქნეს აღებული, როგორც სავსებით დამთავრე-
ბული მთლიანობა, როგორც ერთგვარი შინაარსის სამართლის სის-
ტემა, და თუ მკვლევარს სურს ინსტიტუტში შექმნილი ურთიერთობის
შესწავლა, მისი თვალს ინსტიტუტის საზღვრებს არ უნდა სცილდებო-
დეს. საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ იურიდიული მოვლენის ნების-
ყოფით განმარტება იურიდიული მოვლენის უარყოფას უნდა ნიშნავ-
დეს. ჩვენ ვერავითარ მოვლენას, ინსტიტუტს იურიდიულ ინსტიტუ-
ტად ვერ ჩავთვლით, თუ თვით ეს ინსტიტუტი განსაკუთრებულ ნი-

რმათა სისტემას არ წარმოადგენს. ინსტიტუტი ჩვენ იმატომ მიგვაჩნია იურიდიულ ინსტიტუტად, რომ ამ ინსტიტუტში თვით სამართლის მონაარსს ვხედავთ. აი, თუ იურიდიული ინსტიტუტისათვის გადაწყვეტ მომენტად ჩვენ ნებისყოფას ვაღიარებთ, ინსტიტუტი დაკარგავს ამ სავალდებულო ხასიათს, რომლითაც ის ჩვენ, როგორც წევრებს, ყოველთვის გვევლინება. ცხადია, რომ ნებისყოფა იურიდიული ნორმის, თუ იურიდიული ინსტიტუტის საფუძვლად ან ძირითად მომენტად ექრ იქნება აღიარებული. ნებისყოფაში მოცემულ ილემენტთა წყობაში და თვით ნებისყოფის აქტის მიმდინარეობაში არ იკვეთება იღა მოვალეობისა, და ამიტომაც, თუ ნებისყოფას ინსტიტუტის, სამართლის სისტემის საძირკველად ვაღიარებთ, ჩვენთვის სავსებით გაუგებარი იქნება — საიდან ლებულობს ინსტიტუტი იმთავითვე სავალდებულო ბუნებას. რომლითაც ის ჩვენ, როგორც წევრებს, ყოველ წუთში გვევლინება — კ რ ა ბ ე ს, კ ე ლ ზ ე ნ ი ს, ზ ა ნ დ ე რ ი ს ა და მ ე რ კ ლ ი ს თეორიების მიხედვით ჩვენ შეგვიძლიან ვთქვათ: ან სამართალი და იურიდიული ინსტიტუტი, ანდა ნებისყოფა — სულ ერთია, ვისი ნებისყოფაც უნდა იყოს ეს. ჩვენ კარგად ვიცით, თუ რა შედეგებამდე მივიდნენ ს პ ი ნ ო ზ ა და ჰ ე გ ე ლ ი იმით, რომ სახელმწიფო ნებისყოფა მათ სამართლის წყაროდ აღიარეს; მათ უარყვეს საერთაშორისო სამართალი, ხოლო აქედან საერთოდ სამართლის უარყოფამდე ერთი ნაბიჯია. ს პ ი ნ ო ზ ა ს ა და ჰ ე გ ე ლ ი ს შემდეგ არაერთხელ უტლიათ ნებისყოფა იურიდიული მოვლენების საფუძვლად გამოეცხადებინათ და ს პ ი ნ ო ზ ა — ჰ ე გ ე ლ ი ს კონცეფციიდან გამომდინარე შედეგების თავიდან ააცილებლად სხვადასხვა ზომებისათვის მიუმართავთ, მაგრამ თუ მათ მიუღიათ სხვა დასკვნები, მხოლოდ აუარებელი შინაგანი წინააღმდეგობის საშუალებით.

ყველა, ვინც კი სამართლის სახელმწიფოებრივი თეორიის ძირითად საფუძვლებს ლოგიკურად განავითარებს, უნდა მივიდეს იმ დასკვნამდე, რა დასკვნამდეც მივიდნენ ს პ ი ნ ო ზ ა და ჰ ე გ ე ლ ი. ჩვენ რ უ ს ო ს ტერმინოლოგია ვიხმარეთ და ვთქვით, რომ ინსტიტუტში ნაგულისხმევი ნებისყოფა შეიძლება წარმოდგენილი იქნეს ან როგორც *volonté générale* ან როგორც „*volonté des teus*“. ჩვენ განზრახ ვიხმარეთ რ უ ს ო ს უს ტერმინები, ვინაიდან მხოლოდ ამ ორი სახით შეიძლება ვიგულისხმოთ იურიდიული პირის ნებისყოფა. მართალია, არის სხვადასხვა ცდა იურიდიული ნებისყოფის განმარტებისა და დასაბუთებისა, მაგალითად, ლაპარაკობენ ნებისყოფათა კოორდინაციაზე, ნებისყოფათა პარალიტეტზე და სხვა, მაგრამ ყოველი ასეთი განმარტება უბრალო ფრაზეოლოგიას არ ტცილდება და სულ ზერელე დაკვირვებაც კი ნათლად გვიჩვენებს რომ ყველა ესენი ბოლოს და ბოლოს „*volonté générale*“, ან „*volonté des teus*“ გულისხმობენ. როდესაც

სხვადასხვა ზომას მიმართავენ იმისათვის, რომ ეპიკრიულ ნებისყოფათა დაკავშირებით, მათი შეთანხმებოთ, მიიღონ „volonté générale“-ის სწორედ იმის მომასწავებელია, როგორც ვთქვით, რომ „volonté générale“-ის ბუნება ნათლად არა აქვთ წარმოდგენილი და ჰგონიათ, რომ ნებისყოფათა ერთმანეთზე ამა თუ იმ სახით გადაბმა საშუალებას მოგვცემს მივიღოთ რეალური ეპიკრიული, ფსიქიკური „volonté générale“...

სწორედ ის, რაც ჩვენ ნებისყოფაზე ვთქვით, შეგვიძლიან გავიგეორროთ იმ თეორიების მიმართ, რომლებიც იურიდიულ პირს და ინსტიტუტს მიზნის საშუალებით განმარტავენ. უნდა აღვნიშნოთ, რომ ყველა ამ თეორიას აქვს ერთი უდიდესი მეთოდოლოგიური შეცდომა, რომელზეც უსათუოდ უნდა მივუთითოთ. რა სახითაც უნდა იყოს აღებული, ინსტიტუტის მიზანი, იმისდა მიუხედავად, თუ როგორ არის აღწერილი ისტორია ამ მიზნის ჩამოყალიბებისა, მისი აღიარება იურიდიული პირის ბუნების ერთ-ერთ მთავარ და ძირითად მომენტად, ცნებათა არევაზეა დამოკიდებული. თუ, მაგალითად, ვინმე რაიმე მიზნით ქმნის იურიდიულ პირს, ეს ხომ თავისთავად ცხადია, რომ ის, რასაც ქმნიან, სულ სხვა არის, ვიდრე ის, რისთვისაც ამ რაღაცას ქმნიან. სხვა არის იურიდიული პირი და სხვა არის ის მიზანი, რომლითაც ხელმძღვანელობენ ამ იურიდიული პირის დამაარსებელი სუბიექტები. ამიტომ ჩვენ არავითარ შემთხვევაში არ შეგვიძლიან იურიდიული პირის, ინსტიტუტის ცნებაში შევიტანოთ ის მომენტები, თუნდაც მიზნები, რომლებიც ამ იურიდიული პირის შექმნის მიზეზებად მიგვაჩნია.

არის კიდევ ერთი მოსაზრება: თუ მიზანი, ე. ი. ის მიზნები, რომელნიც წინ უსწრებენ იურიდიული პირის ჩამოყალიბებას, დამახასიათებელი მომენტია იურიდიული პირისა, მაშინ თავისთავად აშკარაა, რომ აქ ერთგვარ *circulus vitiosus* აქვს ადგილი. ესე იგი იურიდიული პირი უფრო ადრე არის მოცემული, ვიდრე მისი დამახასიათებელი ძირითადი მომენტები — მიზანი. მართლაც, წარმოვიდგინოთ, რომ მიზანი, რომელიც ქმნის ინსტიტუტს, არის დამახასიათებელი თვით იურიდიული პირისათვის. თქმა იმისა, რომ „მიზანი ქმნის“, ნიშნავს იმას, რომ როდესაც მიზანი ყალიბდება, ჩვენ არ ვიცით, რა არის იურიდიული პირი. მიზნები სხვადასხვაგვარია და რომ ამ მიზანთა კატეგორიაში მხოლოდ ერთი რომელიმე გამოვანახოთ და ის იურიდიულ პირისათვის დამახასიათებლად ვაღიაროთ, ამისათვის წინასწარ უნდა იქნეს მოცემული ცნება იურიდიული პირისა, ე. ი. ხელთ უნდა გვქონდეს იურიდიული პირის ჩამოყალიბებული იურიდიული შინაარსი. ამიტომ თუ ჩვენ ყოველთვის მიზანზე ადრე უნდა ვიკულისხმოთ ის რაღაც, რითაც შეგვიძლია მიზანს მივადწიოთ, ცხადია, რომ იურიდიული პირის ცნებაში, როგორც დამთავრებულ შინაარსში, ჩვენ არ შე-

გვიძლია არავითარი ახალი ელემენტების, ამ შემთხვევაში მიზნის შეტანა. ჩვენ თავისუფლად შეგვიძლია ვაღიაროთ, რომ ამა თუ იმ მიზნის მისაღწევად აუცილებელია იურიდიული პირის ან ინსტიტუტის არსებობა. თუ ასე დავსვამთ საკითხს, ესეც იმის მაჩვენებელი იქნება, რომ რაღაც, რასაც ჩვენ იურიდიულ პირს ან ინსტიტუტს ვეძახით, ამ მიზნის დამოუკიდებლად გვაქვს წარმოდგენილი და ამიტომაც მეთოდოლოგიურად თვით საკითხი იურიდიული პირისა ან ინსტიტუტის შესახებ მიზნის დამოუკიდებლად უნდა იქნეს შესწავლილი. როგორც ვხედავთ, მიზნები, რომლითაც ხელმძღვანელობენ იურიდიული პირის დაარსებისათვის, ე. ი. მთელი სისტემა მიზნებისა, რაც წინ უსწრებს იურიდიული პირის ჩამოყალიბებას, არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება იქნეს აღიარებული იურიდიული პირის ბუნების დამახასიათებელ მომენტად. ეს უნდა გვკონდეს ყოველთვის მხედველობაში, როდესაც გვსურს იურიდიული პირის ცნებაში შევიტანოთ მსჯელობა იმ მიზნის შესახებ, რომელიც ისტორიულად წინ უსწრებს იურიდიული პირის შექმნას.

მეორე მხრივ, უფრო ყალბ ნიადაგზე დგანან ისინი, ვინც იურიდიული პირის შინაარსის დამახასიათებელ მომენტად თვლიან იმ მიზნებს, რასაც თვით იურიდიული პირი ისახავს. ასეთი დებულების სისუსტე თავისთავად ნათელია. თუ ჩვენ რომელიმე მიზანზე ვლაპარაკობთ, როგორც იურიდიული პირის მიზანზე, ცხადია, რომ არის რაღაც, რასაც ჩვენ იურიდიულ პირს ვეძახით, რომელიც მიზანს ისახავს. ესე იგი, ერთია იურიდიული პირი და სულ სხვაა მისი მიზანი, თუნდაც წყარო ამ მიზნისა თვით ეს იურიდიული პირი იყოს. როგორც არა შეგვიძლია ვთქვათ, რომ სუბიექტი და ის მიზანი, რომელსაც ის ისახავს, ერთი და იგივეაო, სწორედ ისევე არ შეგვიძლია იურიდიული პირის შინაარსი მისი მიზნებით განვმარტოთ. როგორც ვხედავთ, ამ შემთხვევაშიც მიზნები გულისხმობენ იურიდიული პირის არსებობას, და ამიტომ ამ უკანასკნელის ბუნება შესწავლილ უნდა იქნეს იმ მიზნებისაგან დამოუკიდებლად, რასაც ეს იურიდიული პირი ისახავს. ეს მოკლე ანალიზი გვიჩვენებს, რომ იურიდიული პირი, როგორც გარკვეული შინაარსი, ყოველთვის მოთავსებულია ორ მიზანთა სისტემას შორის: ერთია მიზანთა ის სისტემა, რომელიც მას წინ უსწრებს, მეორეა ის სისტემა, რომელიც მას მოსდევს. არც ერთი და არც მეორე იურიდიული პირის ბუნების დასაბამებულად არ გამოდგება. მესამე სისტემა მიზნებისა კი ჩვენ ვერ წარმოგვიდგენია. ზემონათქვამიდან თავისთავად ცხადია, ყველა ის თეორია, რომელიც ცდილობს, იურიდიული პირის ბუნებას საფუძვლად დაუდოს „ნებისყოფათა ერთიანობა“ ან „მიზანთა ერთიანობა“, უვარგის თეორიად უნდა მივიჩნიოთ.

მაგრამ როგორ უნდა წარმოვიდგინოთ იურიდიული პირის არსე-

ბობა? შეიძლება თუ არა იურიდიული პირი იყოს სხვა რამ, თუ არ ნორმათა სისტემა? აი ის მეთოდოლოგიური კითხვა, რომელაც თავისთავად იზიარებდა. ჩვენ ვიცით, რომ უფლებრივი აზროვნება, ეს ერთა აქტია. აქტი არა ამ სიტყვის ტრადიციული მნიშვნელობით, არამედ როგორც ერთგვარი Bewußtseinserleb. როგორც ერთგვარი cogitatio. წუფლია ამ უფლებრივ აზროვნებას, ჰქონდეს მიპართება სხვა რამისაკენ, თუ არა სამართლისაკენ, უფლებრივი ნორმისაკენ. არავითარ შემთხვევაში. უფლებრივი აზროვნებით მხოლოდ სამართალი შეიძლება იქნეს გაგებული. უფლებრივი აზროვნების ინტენციონალური საგანი მხოლოდ სამართალს ნორმა შეიძლება იყოს. ეს უდავო დებულებაა, და ვეკვობთ, რომ ამ დებულების საწინააღმდეგოდ, შეიძლებოდეს რაიმე მოსაზრების მოყვანა. აქედან თავისთავად ნათელია, რომ თუ იურიდიული პირი იურიდიული აზროვნების საგანია, ის მხოლოდ სამართლის ნორმათა სისტემას უნდა ნიშნავდეს. ამ მხრივ კე ლ ზ ე ნ ი ს დებულება მეთოდოლოგიურად სწორია. მაგრამ თუ კე ლ ზ ე ნ ი ამბობს, რომ იურიდიული პირი არის ნორმათა ერთი გაპაროვნებული სისტემა, თავისთავად იზიარებდა კითხვა, თუ რა ხასიათისაა ის ნორმათა სისტემა, რომელიც სხვა ნორმებთან ერთად პოზიტიური სამართლის სისტემას ქმნის და რომელსაც ჩვენ იურიდიულ პირად ვთვლით? იურიდიული პირი ჩვენი აზრით, უნდა ნიშნავდეს იმ ნორმათა ერთ სისტემას, რომელშიც მოცემულია ერთი ანტიკრიზისი. სახელმწიფო, კორპორაცია, რაიმე საზოგადოება იმდენად, რამდენადაც ჩვენ მათ იურიდიულ პირად ვაღიარებთ და ამით მათ იურიდიული აზროვნების სავანად ვთვლით, აუცილებლად ნორმათა ერთ განსაკუთრებულ სისტემას წარმოადგენს, ხოლო ამ ნორმათა განხორციელების შესაძლებლობა ამ სახელმწიფოს, კორპორაციისა და საზოგადოების წევრად გვხვს. ასე რომ, იურიდიული პირი უფლებათუარაირან სუბიექტს კი არ წარმოადგენს, არამედ ის არის თვით ნაწილი პოზიტიური სამართლისა, რომელიც, როგორც ყოველი სამართლის ნორმა, გულისხმობს განმხორციელებლებს, ანუ ქმედებათუარაირან სუბიექტებს. მაგრამ ბევრს შეუძლია სრულიად სამართლიანად იკითხოს: თუ ასეთია იურიდიული პირის ბუნება, როგორ შეიძლება ჩვენ მის მიმართ ვალდებულები ვიყოთ, ანდა როგორ შეგვიძლია ჩვენ ასეთი იურიდიული პირის სახელით ვიმოქმედოთ? შეცდომაა სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ტრადიციულმა შეხედულებამ იცის მხოლოდ პერსონალური ღირებულება და მხედველობაში არ იღებს, რომ პერსონალურ ღირებულებათა გარდა არის ღირებულებათა მთელი სისტემა, რომელშიც სხვადასხვა ღირებულებითი მომენტი იერარქიულ დამოკიდებულებაში იმყოფება. ღირებულებითი მომენტი, — ეს არის ყოველი სამართლის ფუნდამენტური მომენტი. „უნდა იყოს“ იმიტომ, რომ, ის, რაც უნდა

იყოს, ღირებულებითა მომენტს წარმოადგენს. მაგრამ ასეთ ღირებულებით მომენტად სამართლის ნორმა მართო პიროვნებას კი არ აღიარებს. არამედ მრავალ სხვადასხვა ხასიათის ღირებულებასაც. ყოველი ნორმის განხორციელება აუცილებლად წარმოადგენს ამ ღირებულებითი მომენტის განხორციელებას, და რადგანაც თვით სამართლის ნორმა არის მიზანი, ცხადია, რომ ასეთი ნორმის განხორციელება იმ ღირებულების სახელით წარმოებს, რომელიც სამართლის ნორმაში იმანენტურად მოცემულ მიზანს თან ახლავს. განა აქედან ცხადი არ არის, რომ ვინმესათვის მოქმედება ან სხვისი სახელით მოქმედება სრულებითაც არ მოითხოვს, რომ ის, რის სახელითაც ვმოქმედებთ, ან ის, ვისთვისაც ვმოქმედებთ, აუცილებლად პიროვნებად იქნეს ცნობილი? ვიცით, რომ შვეიცარიის კონსტიტუციის 25-ე მუხლის პირველი შენაშვნა სასაკლავოს პატრონს ავალებს, რომ პირუტყვი დაკვლის წინ გაბრუებულ იქნეს. აქ თითქოს პირუტყვებისთვის მოქმედებენ, მაგრამ ეს მოქმედება პირუტყვებისადმი მხოლოდ სპეციფიკური შინაარსის ნორმის განხორციელების შედეგია.

1926 წელს ერთმა მდიდარმა ინგლისელმა თავის ძაღლებს დაუტოვა 75 ათასი გირვანქა სტერლინგი. რა თქმა უნდა, ძაღლს არც ერთი კანონმდებლობა არ თვლის სამართლის სუბიექტად, და ამიტომ ის ვერც მემკვიდრე იქნება, მაგრამ სხვების საშუალებით, რომელთაც აქვთ უფლება გარდაცვალებული მდიდარი ინგლისელის სახელით იმოქმედონ, ფული ძაღლებს მოხმარდება, ე. ი. ეს მდიდარი ინგლისელი და მის მიერ დასახელებული პირები, ბოლოს და ბოლოს, პოზიტიური სამართლის ზოგიერთი ნორმის განხორციელებით ძაღლებისათვის მოქმედებენ. საჭიროა აქ ძაღლები სამართლის სუბიექტად ვცნოთ მხოლოდ იმიტომ, რომ ზოგიერთი მოქმედება აქ ძაღლებისათვის წარმოებს? სრულებითაც არა!

ჩვეულებრივად ჰგონიათ, რომ მოვალეობის შესრულება ჩვენ მხოლოდ ადამიანის, ან უფრო სწორად რომ ვთქვათ, სამართლის სუბიექტის მიმართ შეგვიძლია. ამიტომ ფიქრობენ, რომ ის, რის მიმართაც ჩვენ ნორმის ძალით ვალდებული ვართ, აუცილებლად პიროვნება უნდა იყოს. ამით აიხსნება ის გარემოებაც, რომ ხშირად მიმართავენ სხვადასხვა ხელოვნურ საშუალებას, აწარმოებენ ერთგვარ სტილიზაციას მხოლოდ იმიტომ, რომ პიროვნებად წარმოიდგინონ რაღაც, რასაც ნამდვილ პიროვნებასთან საერთო არაფერი აქვს. პიროვნება, როგორც ვთქვით, სამართლის მიერ ყოველთვის იგულისხმება; როგორც სუბიექტი შესაძლო ღირებულებითი აქტებშია. მაშასადამე, პიროვნება უპირველეს ყოვლისა, ნიშნავს ნორმის განმახორციელებელს. პიროვნება არის რაღაც, რასაც შეუძლია ღირებულებითი აქტების მოხდენა. თუ პიროვნება ასეთი მნიშვნელობით არ ვიგულისხმებთ, ის საყვე-

ბით მოსწყდება სამართალს. ჩვენ თავის დროზე აღვნიშნეთ, რომ სამართლის სუბიექტის ცნება აუცილებლად გულისხმობს ქმედებაუნარიანობის მომენტს. თუ მას ასეთი მომენტი არ ახასიათებს. ის არც სამართლის სუბიექტი შეიძლება იყოს. ამიტომაც მცდარად უნდა ჩაითვალოს ის შეხედულება, რომლის მიხედვითაც, რაღაც ქმედებაუნარიანობას მოკლებული მაინც სამართლის სუბიექტია. მაგრამ თუ მას სამართლის სუბიექტად ვერ ჩავთვლით, თავისთავად იბადება კითხვა. როგორი ურთიერთობაა შესაძლებელი იმასთან, რაც სამართლის სუბიექტად მიჩნეული ვერ იქნება? ვიმეორებთ, გაუგებრობა ამ საკითხში მდგომარეობს, ერთის მხრით იმაში, რომ ჰგონიათ, თითქმის სამართალი მხოლოდ ერთ ღირებულებას, სახელდობრ პერსონალურ ღირებულებას ცნობდეს და, მეორე მხრით კი იმაში, რომ ფიქრობენ — თუ ქმედებაუნარიანი სუბიექტი ვისიმე ან რისიმე სახელით მოქმედებს. — ის, ვისი სახელითაც იგი მოქმედებს, აუცილებლად სამართლის სუბიექტად უნდა იყოს აღიარებული. სამართლის ნორმამ იცის არა მარტო პერსონალური ღირებულება, არამედ მას შეუძლია, მაგალითად, ღირებულებად აღიაროს კულტურა, შეუძლია იცისროს რაიმე იდეოლოგიისა ან რელიგიური დოგმატის მფარველობა, შეუძლია ეროვნება ან კლასი აღიაროს ერთადერთ ღირებულებად და სხვა. განა ეს იმას ნიშნავს, რომ ყველა აღნიშნული ღირებულება აუცილებლად პერსონალური თვისების ღირებულებაა? განა ეს იმას ნიშნავს, რომ სამართლის ნორმას არ შეუძლია ამ ღირებულებათა მიმართ რაიმე დაგვეავლოს, ისე თუ ეს კულტი, დოგმატი, იდეოლოგია გაპიროვნებული არ იქნა? ნუთუ არ შეიძლება ამ კულტის, დოგმატის, იდეოლოგიის სახელით მოქმედება თუ ეს იდეოლოგია, კულტი, დოგმატი ან სხვა რამ სამართლის სუბიექტად არ წარმოვიდგინეთ?

იმის მიმართ, რაც სამართლის მიერ ღირებულებად არის აღიარებული, ჩვენ შეიძლება თვით ნორმის მიერ ვიყოთ ვალდებული, იმისა და მიუხედავად, თუ რა ხასიათისა და მნიშვნელობისაა სამართლის მიერ აღიარებული ღირებულება — პერსონალური, თუ არაპერსონალური. თითოეულ ასეთ შემთხვევაში იმ ნორმის განხორციელებით, რომელიც გვავალებს, — ჩვენ იმის სახელით ვმოქმედებთ, რაც სამართლის ნორმის მიერ ღირებულებად არის აღიარებული, სწორედ იმავე წესით, რა წესითაც ჩვენ ჩვენთვის და ჩვენის სახელით ვმოქმედებთ (აქაც იურიდიულ ნორმებს ვახორციელებთ), სწორედ იმავე წესით შეიძლება სამართლის ნორმამ დაგვეავლოს — სხვისი სახელით ვიმოქმედოთ.

სამართლის ნორმების განხორციელებით ხან ჩვენთვის და ხან ჩვენი სახელით ვმოქმედებთ ხან კი სხვისთვის და სხვისი სახელით, ასე რომ, ის, ვისი სახელითაც ვმოქმედებთ, შეიძლება არც იყოს სამართ-

ლის სუბიექტი. სხვისი სახელით მოქმედება სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ ეს სხვა აუცილებლად პიროვნება უნდა იყოს. კულტურა, დოგმატი, იდეოლოგია, იმდენად, რამდენადაც იაინი სამართლის მიერ ღირებულებად არიან აღიარებული, ერთგვარ ამოცანად იქცევა. რაღვანაც ეს კულტურა, იდეოლოგია და სხვა, როგორც ღირებულებითი მომენტი, სამართლის ნორმის შინაარსში შედის, ამიტომ, რამდენადაც ნამდვილი სუბიექტი ამ ნორმებს ახორციელებს, იმდენად ნორმების განხორციელებით ახორციელებს იმ ანტრეპრიზას, რომელიც შეიძლება დოგმატი, კულტურა, იდეოლოგია, ან კიდევ სხვა რამ იყოს. მაშასადამე, მოქმედებს სამართლის სუბიექტი თავისთვის, თუ სხვისთვის, თავისი სახელით, თუ სხვისი სახელით, ის ყოველთვის ნორმებს ახორციელებს. რა თქმა უნდა, ჩვენ რომ გვწამდეს მითი ბუნებრივი სამართლისა, ანდა სამართლისა — die mit uns geboren ist, მაშინ თავისთავად მთელი ჩვენი თეორიის კონსტრუქციობა სხვანაირი უნდა ყოფილიყო. მაგრამ თუ უდავოა, ერთის მხრით, ის, რომ უფლებრივი ცხოვრებისა და უფლებრივი სფეროს ელემენტები არიან მხოლოდ პოზიტიური სამართალი, უფლებრივი სუბიექტები და განხორციელება ამ სუბიექტების მიერ ამ პოზიტიური სამართლისა და, მეორე მხრით, იურისპრუდენციის საგანი მხოლოდ სამართალი შეიძლება იყოს, — სხვა დასკვნის მიღება თუ არა იმ დასკვნისა, რაც ჩვენ მივიღეთ, ყოველად შეუძლებელია. განა ზემოთქმულიდან ცხადი არ არის, რომ იმდენად, რამდენადაც ესა თუ ის ანტრეპრიზა ერთ ნორმათა სისტემაშია მოცემული, ამ ნორმათა სისტემის ანტრეპრიზას შეუძლია იგულისხმოს მხოლოდ პიროვნებანი, როგორც ქმედებანარსიანი სუბიექტები? ამგვარად მოქმედი იურიდიული პირი, ჩვენი კონსტრუქციის თანახმად, არის ერთი სპეციფიკური შინაარსის ნორმათა სისტემის განხორციელება ნამდვილი სამართლის სუბიექტების მიერ.

„იურიდიული პირის“ წარმომადგენელი, ადმინისტრაცია, მმართველობა და სხვ. იურიდიული პირის ნებისყოფას კი არ ახორციელებს, არამედ მას სპეციფიკური შინაარსის ნორმის განხორციელება, რაც იმ ფორმათა კომპლექსში შედის, რომელშიც მოცემულთა ერთი ანტრეპრიზა, ქმნის წარმომადგენლად, მმართველად, ადმინისტრაციად, გამგობად და სხვ.

ეს, რა თქმა უნდა, სრულებითაც იმას არ ნიშნავს, რომ ყველაფერი, რაც ამ სუბიექტების მიერ ხორციელდება, ამ ნორმის განხორციელებისათვის ხორციელდებოდეს სრულებითაც არა! აქ უპირველეს ყოვლისა, ხორციელდება ერთი ანტრეპრიზა და ამიტომაც იმ შემთხვევაში, როდესაც სამართლის სუბიექტს შეუძლია ნორმა თავისთვის, და თავისი სახელით განახორციელოს, ის ანტრეპრიზის, ე. ი. სხვისი სახელით მოქმედებს.

გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად უნდა აღენიშნოთ, რომ ანტრეპრიზა შეიძლება აღიარებულ იქნეს, მაგრამ ის შეიძლება არ ხორციელდებოდეს, ისე როგორც ხშირად არ ხორციელდება ნორმა. ისე, როგორც უოველ ნორმას შეუძლია თავის ფაქტიურ განმახორციელებელს მომავალში გულისხმობდეს; სწორედ ასევე ანტრეპრიზას, რომელიც ნორმათა კომპლექსში გვაქვს მოცემული (მოპაეალი), შეიძლება ფაქტიური განმახორციელებელი აკლდეს, ამას მნიშვნელობა არა აქვს. საქმე ის არის, რომ თუ ამ ნორმებმა განხორციელება იწყო, განმახორციელებელი უსათუოდ ანტრეპრიზის სახელით მოქმედი იქნება.

ერთი წიგნის მეთოდოლოგიისათვის*

ფრიად საინტერესოა ი. სურგულაძის ნაშრომის „ხელისუფლება და სამართალი“ ** მეთოდოლოგიური ნაწილის განხილვა. ჩვენ გვინდა მოკლედ აღვნიშნოთ. თუ რაში მდგომარეობს ამ მეთოდოლოგიას თავისებურება. ასეთი ანალიზი მით უფრო საჭიროდ მიგვაჩნია, რომ ერთადერთი იურიდიული მონოგრაფია ჩვენი უნივერსიტეტის მოღვაწისა, სამწუხაროდ, დაწერილია მკითხველი საზოგადოების დიდი ნაწილისათვის მიუწვდომელ ენაზე (გერმანულ ენაზე).

ჩვენ არ ვაპირებთ, ჩვენი აზრი გამოეთქვათ ხელისუფლებისა და სამართლის პრობლემის შესახებ. არც ის გვაქვს მიზნად, რომ მკითხველს გავაცნოთ სამართლის სხვადასხვა თეორეტიკოსის შეხედულება ამ საგანზე, ჩვენ გვინდა მხოლოდ აღვნიშნოთ — რა შედეგის მიღება შეგვიძლია ჩვენ, თუ ავტორის მონოგრაფიის ძირითად დებულებებს ლოგიკურად განვაკვირებთ. მოკლედ, ჩვენი მიზანია პატივცემული ავტორის მეთოდოლოგიის იმანენტური კრიტიკა.

რაში მდგომარეობს ავტორის მეთოდი? რა და რა დებულებაა მის სისტემაში აღიარებული ძირითად დებულებად?

მონოგრაფიის შესავალში ავტორი აღნიშნავს, თუ რა უმწეოა მდგომარეობაშია სამართლის მეცნიერება, რომელსაც აზრთა სხვადასხვაობა და მეთოდების ბრძოლა ახასიათებს, და გამოკვლევის მე-2 გვერდზე ამბობს:

შემდეგში ჩვენ შევეცდებით გამოვარკვიოთ, რომ ის მოვლენები, რომელთაც სახელმწიფოში, როგორც მთლიანობაში, ვხვდებით, არსებითად ონტოლოგიური ხასიათის შინაგან სხვადასხვაობას ააშკარავენს. სახელმწიფო, როგორც ერთი სოციალ ფორმათაგანი და სახელმწიფო, როგორც განსაზღვრული სისტემა სამართლებრივი მოწესრიგებისა (აქ ეს სისტემა გვესმის არა მოწესრიგების პროცესის აზრით, არამედ, როგორც უკვე არსებული სამართლებრივი მთლიანობა) წარმოადგენს არა რელატიური სხვაობის უბრალო სახელწოდებას ერთსა და იმავე ონტოლოგიურ რიგში, არამედ ყოფის sein-ის) ძირითადი კატეგორიების სხვადასხვაობის დასახელებას.

შემდეგ ავტორი იძლევა სოციოლოგიური თეორიის მოკლე ანალიზს და აღნიშნავს:

ჩვენ შორსა ვართ იმ აზრისაგან, რომ ამ მეცნიერული კონსტრუქციების პნიშვნლობა და ფასი შევამციროთ. ყოველივე ექვს გარეშეა, რომ სო-

* მნათობი, 1928, № 3.

** იხ. სურგულაძე: Gewalt und Recht ტფილისის უნივერ. გამოცემა.

ციალური მოვლენები სახელმწიფოს ცხოვრების შინაარსს ქმნიან. ამ აზრით, სახელმწიფო წარმოადგენს რთულ სოციალურ ფენომენს და ამ მხრივ ის ბუნებისმეტყველების მეთოდით უნდა იქნეს შესწავლილი. მაგრამ სოციალურ პროცესთა ქაში, რომელთაც ადგილი აქვს სახელმწიფოში, სწავებით ვერ ამოწურავს სახელმწიფოს შინაარსს.

ესე იგი ავტორს სურს თქვას, რომ სახელმწიფო გვევლინება როგორც სოციალური ფენომენის, ისე სამართლებრივი ინსტიტუტის სახით:

სახელმწიფო ამ მეორე მნიშვნელობით არ შეიძლება შეიწავლილ იქნეს ბუნებისმეტყველების „მეთოდის საშუალებით“ (გვ. მე-2).

საემარისია დავუშვათ, — ამბობს ავტორი, — რომ სახელმწიფო, როგორც სამართლებრივი ინსტიტუტი შეიძლება შესწავლილ იქნეს ბუნებისმეტყველების მეთოდით, რომ სახელმწიფო სამართლის მეცნიერებამ დაკარგოს ყოველივე მნიშვნელობა და აგრეთვე უფლებაც არსებობსა.

იმ თეორიების წინააღმდეგ, რომლებიც სახელმწიფოში ბუნებრივი პროცესების გარდა ვერაფერს ხედავენ, უნდა ითქვას, რომ არც ერთი მათგანი ნაშანი, რომელიც სახელმწიფოს სამართლებრივ მხარეს ახასიათებს, არ შეიძლება განხილული იქნეს ამ თეორიებით.

და ამით აიხსნება ისიც რომ ყოველთვის, როდესაც ამ ბუნებისმეტყველების მეთოდის (რომელსაც ალბათ სოციოლოგიასაც აკუთვნებენ ავტორი) წარმომადგენლები პირისპირ ხედებიან სამართლის საკითხებს, ცდილობენ, ან გვერდი აუხვიონ მათ, ანდა, თუ მათ დაძლევას შეუდგებიან. ააშკარავენ თავის სრულ უძლეობას.

ყოველ ექვს გარეშეა, რომ სამართალ-დებულებათა ქაში (die Summe der Rechtsätze), რომლისგანაც იქმნება სამართლებრივი მოწყობის სისტემა წარმოადგენს არა ფანტომს, არამედ სპეციფიკურ სრულყოფილს, რაც უშუალოდ მოცემულია ჩვენი შემეცნებისათვის. და ეს სრულყოფილ უნდა გამოიყვლიოს სახელმწიფო სამართლის მეცნიერებამ (გვ. 6.).

აქ ავტორი სავესებით გარკვეულად ამბობს, რომ სახელმწიფო სამართლის მეცნიერების საგანი სამართალია (ან ნორმათა სისტემა), რაც თავისი ბუნებით სავესებით განსხვავდება იმ საგნობრივი შინაარსისაგან, რომელიც შესწავლილ უნდა იქნეს სოციოლოგიის საშუალებით.

მხოლოდ ამ განსხვავების სრულ შეგნებას შეუძლია დაასაბუთოს სახელმწიფო სამართლისმეცნიერების დამოუკიდებლობა (გვ. მე-6).

სახელმწიფო სამართლის მეცნიერებას, ისე როგორც ყოველ იურიდიულ დისციპლინას, აქვს თავისი საგანი, რომელიც არ შეგვიძლია სოციალურიდან გამოვიყვანოთ, ამბობს ავტორი, და დასძენს:

აქედან ისიც ცხადია, რომ მეთოდი, რომელიც აქ უნდა იქნეს გამოყენებული, არსებითად უნდა განსხვავდებოდეს ბუნებისმეტყველების მე-
თოდებისაგან, ვინაიდან ექვს გარეშეა, რომ მეთოდოლოგიის სხვადასხვა-
ობა შეიძლება მხოლოდ გამოსაკვლევ მოვლენათა საგნობრივი შინაარსის
სხვადასხვაობაზე იქნეს დამყარებული (გვ. 6—7).

აი ამ მოსაზრებით ავტორისათვის მიუღებელია კელზენის მეთოდი,
შეუღებელია ელინეკიც, რომლის თეორიის თანახმად ერთი და იგივე
სახელმწიფო შეიძლება შესწავლილ იქნეს სხვადასხვა თვალსაზრისით.
თვალსაზრისი და მეთოდი კი არ ქმნის ავტორის აზრით საგნის თვის-
ებურებას; ერთ სახელმწიფოში მოცემულია ორი სხვადასხვა ბუნე-
ბის შინაარსი, რომელთა სხვადასხვაობაც ქმნის თვალსაზრისთა, მეთოდ-
თა და მეცნიერებათა სხვადასხვაობას. უარყოფს რა ფორმალურ-ლო-
გიკურ მიდგომას სახელმწიფოსადმი, ავტორი ამბობს:

ჩვენ შეგვიძლია სავსებით დავასაბუთოთ, რომ განხილვის თვალსაზრის-
(Rechtachtungswaise-სი) ფორმალურ-ლოგიკური მომენტები არ არის
აღებული მეცნიერებათა სხვადასხვაობის საფუძველი, არამედ საგნის ობიექ-
ტურად არსებული სხვადასხვაობა (გვ. მე-11).

თუ სახელმწიფოში ორი სხვადასხვა ბუნების შინაარსია, რომელ
შინაარსს მიეკუთვნება ხელისუფლება? ამ კითხვაზე ავტორი იძლევა
სავსებით გარკვეულ პასუხს:

როგორც აღვნიშნეთ, ამბობს ავტორი, სახელმწიფოს სოციალური მხარე
ნიშნავს საზოგადოებრივი ცხოვრების ერთ ფორმას. თუ ზომელთან ერ-
თად მივიღებთ, რომ Über—und Unterordnung არის სახეობანი, რომელ-
თაგან საზოგადოება წარმოსდგება... ჩვენ შეგვიძლია წინააღმდეგობა Gegen-
satz სახელმწიფოს სოციალურ და სამართლებრივ შინაარსთა შორის გა-
მოვხატოთ ხელისუფლებისა და სამართლის ცნებაში. რათა სწორად იქნეს
გაგებული ის ურთიერთობა მათ შორის, რომლის საშუალებითაც იქმნება
კონკრეტული ცხოვრება სახელმწიფოსი, როგორც მთლიანობისა (გვ.
14—15)!

ამგვარად, ხელისუფლება გადატანილია სოციოლოგიის საგნობრივ
შინაარსში, ე. ი. იმ სფეროში, სადაც, ჩვენი ავტორის მეთოდის თა-

¹ ძნელი არ არის იმის დამტკიცება, რომ „ის ერთი ფორმა საზოგადოებრივი
ცხოვრებისა“, რომელზეც ავტორი ლაპარაკობს, და ის „Über-und-Unter-
ordnung“, რომელზეც გ. ზომელი მიუთითებს, სამართლისაგან და
მოუკიდებელ სფეროს კი არ წარმოადგენენ, არამედ ეს ცნებანი ნორ-
მას, სამართალს გულისხმობენ. მართლაც, რას ნიშნავს სახელმწიფო რო-
გორც ერთი ფორმა საზოგადოებრივი ცხოვრებისა? რა კრიტერიუმის მი-
ხედვით ქმნის ერთი ფორმა საზოგადოებრივი ცხოვრებისა სახელმწიფოს
სოციალურ მხარეს? საკმარისი იყო ასე დაეხევათ საკითხი და ნათელი
გახდებოდა, რომ „ის ერთი ფორმა საზოგადოებრივი ცხოვრებისა“ ბო-
ლოს და ბოლოს არის სამართლით მოწესრიგებული მთლიანობა.

ნახმად, არ შეგვიძლია ვეძიოთ სახელმწიფო სამართლის მეცნიერების, საგნობრივი შინაარსისათვის დამახასიათებელი ელემენტები, ანუ სამართალი.

ზემო აღნიშნული ციტატების ძირითადი აზრი მონოგრაფიაში ხშირად მეორდება, ალბათ იმ მიზნით, რომ ავტორის დებულებათა შეთვისება მკითხველისათვის გაადვილებული ყოფილიყო, მაგრამ ყველა შესაფერისი ადგილის მოყვანა ჩვენ ზედმეტად მიგვაჩნია, რადგანაც ავტორის მეთოდოლოგიის გასაგებად ჩვენი ამონაწერებიც საკმარისია. მართლაც, მონოგრაფიის იმ ადგილებიდან, რაც ჩვენ აქ მოვიყვანეთ, ცხადი და უდავოა, რომ:

1) სახელმწიფო თავისთავად ერთი საგანია (ერთი მთლიანობა).

2) სახელმწიფო შეიცავს ორ, ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ და სრულიად განსხვავებულ შინაარსს — სამართლებრივს და სოციალურს;

3) საგნობრივი შინაარსის ამ ონტოლოგიურ განსხვავებაზეა დამყარებული სახელმწიფო სამართლის მეცნიერებისა და სოციოლოგიის განსხვავებაც;

4) სოციალური და სამართლებრივი, როგორც დამოუკიდებელი საგნობრივი შინაარსი ორი დამოუკიდებელი მეცნიერებისა, ერთმანეთს უპირისპირდება;

5) სახელმწიფო სამართლის მეცნიერების საგნობრივი შინაარსი სპეციფიკური სინამდვილეა, რომელიც სამართალდებულებათაგან (Rechtsätze) იქმნება, ანუ რაც იგივეა, სახელმწიფო სამართლის მეცნიერების საგანი სამართალია;

6) წინააღმდეგობა, დაპირისპირება სახელმწიფოს სოციალურ და სამართლებრივ შინაარსს შორის შეიძლება ხელისუფლების და სამართლის ცნებით გამოიხატოს;

7) სოციალურის (რომელშიც ავტორი ათავსებს ხელისუფლებას) და სამართლებრივის ურთიერთობით იქმნება სახელმწიფოს, როგორც მთლიანობის, ცხოვრება.

აი ავტორის ყველა ძირითადი დებულება. მათი ანალიზის საშუალებით ჩვენ შევეცდებით ნათელვყოთ, თუ რა დასკვნების მიღება შეიძლება ავტორის მეთოდოლოგიიდან.

ავტორი აღიარებს, რომ სახელმწიფო სამართლის მეცნიერება მხოლოდ სახელმწიფოს ერთ მხარეს იკვლევს. მაშასადამე, იურიდიტი ან, ვთქვათ, სახელმწიფო სამართლის თეორეტიკოსი, რომელიც ავტორის მსჯელობას უნაკლოდ ცნობს, ყოველთვის უნდა გამოდიოდეს იმ ძირითადი დებულებიდან, რომ აი, თითქოს არსებობს ერთგვარი მთლიანობა — სახელმწიფო. და მხოლოდ ერთი მხარე ამ სახელმწიფოსი შეიძლება იყოს იურიდიული cogitatio-ს საგნად. მაგრამ განა შესაძლებ

ბელია, რომ სახელმწიფოს, რომელიც იურიდიული გაგების საგნად არის აღიარებული, ჰქონდეს ისეთი მხარე, რაც იურისპრუდენციის მწიფავლის საგანს არ წარმოადგენს? განა სახელმწიფო სამართლის მეცნიერებას, რომელიც მხოლოდ სამართლის სისტემას იკვლევს, შეუძლია წარმოიდგინოს ისეთი სახელმწიფო, რომლის ბუნებაც მთლიანად ამოწურული არ იყოს უფლებრივი აზრით და შინაარსით?

აი, ის კითხვები, რომელნიც წამოიჭრებოდა იმის წინაშე, ვინც სახელმწიფო სამართლის მეცნიერების საგნად სამართალს აღიარებს.

ავტორის იმ თეზისის თანახმად, რომელიც ამბობს, რომ სახელმწიფო სამართლის მეცნიერების საგანი სამართალია, ორი რამ უდავოდ უნდა ჩავთვალოთ:

1) იურისტს არ შეუძლია მოსწყდეს თავის ინტენციონალურ საგანს, ე. ი. სამართალს და 2) იურისტმა თავისი მსჯელობიდან უნდა განდევნოს ყოველივე ის, რაც სამართალს არ წარმოადგენს. სწორედ ამ შემთხვევაშია შესაძლებელი „Einstellung“-ი, რომელიც ჰუსერლმა აზრით, არის მეთოდოლოგიური ხერხი, რის საშუალებითაც წარმოებს ამა თუ იმ საგანზე მთელი შემეცნებითი გულისყურის მიპყრობა: აი, თუ ჩვენ ამ ძირითად აზრს შევითვისებთ, მაშინ ნათელი გახდება, რომ სოციალური რამ, იმ აზრით, როგორც ეს ავტორებს ეპარს, არ შეიძლება განხილულ იქნეს სამართლის თვალსაზრისით, და მეორეს მხრით, არც სამართალი შეიძლება შესწავლილ იქნეს იმ მეცნიერების საშუალებით, რომლის საგნობრივ შინაარსსაც სოციალურ ურთიერთობათა ის სამყარო წარმოადგენს, რაც მოცემულია სამართლისაგან დამოუკიდებლად, ე. ი. სამართლის მეცნიერების საგნობრივ შინაარსისაგან დამოუკიდებლად. სხვანაირად რომ ვთქვათ, სამართლის თვალსაზრისით შეიძლება განხილულ იქნეს სამართალი, ან ის, რაც სამართლის განხორციელებას წარმოადგენს (ე. ი. ძველ სამართალს).^{*} ამიტომ ის, ვინც სახელმწიფოს სამართლოვან მხარეს იკვლევს, ერთხელ და სამუდამოდ უნდა მოშორდეს იმ აზრს, რომ არასამართლოვანში სამართლის გავრცელება ეძიოს, რადგანაც წარმოუდგენელია სამართალი შევსებულ იქნეს იმით, რაც სამართალი არ არის. ამგვარად, ვერც ის, ვინც „სამართლოვან მხარეს“ მეთოდოლოგიურად უდგება, და ვერც ის, ვინც სახელმწიფოს სოციალურ შინაარსს იხილავს, ვერავითარ შემთხვევაში, თუ, რასაკვირველია, იგი ავტორის მეთოდს არ უღალატებს, ვერ წარმოიდგენს სახელმწიფოს როგორც ორი სხვადასხვა საგნობრივი შინაარსის გაერთიანებას, ე. ი. სამართლის ვერტიკალიზაციას იმასთან, რაც სამართალს არ შეიცავს. აქედან მხოლოდ

* რადგან განხორციელება — რამის (ამ შემთხვევაში ნორმის) განხორციელებას ნიშნავს.

ერთი დასკვნის მიღება შეიძლება: სახელმწიფო — როგორც მთლიანობა და, მაშასადამე, სახელმწიფო — როგორც საგანი, ვერ შეიწავლება, ვერც სოციოლოგიით და ვერც იურისპრუდენციით, რადგანაც ავტორის მეთოდის თანახმად იურისპრუდენციის საგანს მხოლოდ სამართალი წარმოადგენს, ხოლო სოციოლოგიის საგნობრივ შინაარსს კი — ის სოციალური სფერო, რომელსაც ავტორმა სამართლოვანი ახრი და შინაარსი საბოლოოდ გამოაცალა. იურისპრუდენციას — სამართალი, სოციოლოგიას — სოციალური. აქ არის უცნობი მთლიანობას ნაწილები და არა თვით მთლიანობა, ე. ი. სახელმწიფო. ვიმეორებთ, რომ ეს არის ერთადერთი შესაძლებელი დასკვნა, რაც ავტორის მეთოდოლოგიიდან გამომდინარეობს, რადგანაც ავტორის მეთოდის თანახმად, იურისტს არ შეუძლია იმას იკვლევდეს, რაც სახელმწიფო სამართლის მეცნიერების საგნობრივ შინაარსს, ე. ი. ნორმათა სისტემას აღემატება და, მეორე მხრით, სოციოლოგს (რადგანაც ეა მეთოდს ნიშნავს) არ შეუძლია სოციალურ სფეროს გასცილდეს. მართლაც „ხელისუფლება და სამართალი“-ს ავტორის თეორიის თანახმად სახელმწიფო იმ საგნობრივ შინაარსზედაც მეტია, რომელიც სახელმწიფო სამართლის მეცნიერებისათვის არის გამოყოფილი, და იმ შინაარსზედაც მეტი, რომლის შესწავლასაც ავტორი მხოლოდ სოციოლოგიას აკისრებს, რადგანაც სახელმწიფო სოციოლოგიისა და სახელმწიფო სამართლის მეცნიერების საგნობრივ შინაარსთა ჯამს წარმოადგენს, რომ სახელმწიფო იგივე იყოს, რაც სახელმწიფო სამართლის მეცნიერების ან სოციოლოგიის საგნობრივი შინაარსია, მაშინ მთლიანად დაირღვეოდა ავტორის თეორია იმ ორი ონტოლოგიური რიგის შესახებ, რომელთა დაპირისპირებაზეც დამყარებულია „ხელისუფლება და სამართალი“-ს გამოკვლევის მთელი სისტემა, ხოლო რაკი სახელმწიფო სამართლის მეცნიერების საგნობრივი შინაარსი სახელმწიფოს შინაარსს ვერ ამოწურავს, თავისთავად ცხადია, რომ სახელმწიფო როგორც ასეთი, სახელმწიფო სამართლის მეცნიერების საგანს აღარ წარმოადგენს, თუ, რასაკვირველია, ერთი მეცნიერების, ამ შემთხვევაში — სახელმწიფო სამართლის მეცნიერების, საგნობრივ შინაარსს მეორე მეცნიერების, ე. ი. სოციოლოგიის საგნობრივი შინაარსი ვერ შეივსებს (რაც ჩვენი ავტორისავე თვალსაზრისით დაუშვებლად უნდა ჩაითვალოს). აქედან ამჟამად, რომ იურისტს, რომელიც იკვლევს მხოლოდ ნორმათა სისტემას, როგორც ისეთ რასმეს, რაც სამართლის შემეცნებით სავსებით ვერ დაიძლევა, არ ძალუძს იფიქროს, რომ იგი თითქოს სახელმწიფოს იკვლევს, და, მეორეს მხრით, ვერც სოციოლოგი, რომელიც ისეთ რასმეს იხილავს, რასაც სახელმწიფო სამართლის მეცნიერების საგნობრივ შინაარსთან არაფერი საერთო არა აქვს,

ვერ იტყვის, რომ იგი სახელმწიფოს შესწავლას აწარმოებდეს. ამ შემთხვევაში მითითება იმაზე, რომ სახელმწიფო სამართლის მეცნიერება თითქოს მხოლოდ სახელმწიფოს ზამართლებრივ მხარეს იკვლევს, და სოციოლოგია კი მხოლოდ სოციალურ მხარეს, ვერ გადააჩინებს ჩვენი ავტორის ძირითად დებულებებს, რადგანაც თვით ავტორის მეთოდის თანახმად, შეუძლებელია ნორმათა სისტემა, ე. ი. სამართლის მეცნიერების საგნობრივი შინაარსი წარმოვიდგინოთ იმ ერთი მთლიანობის ცალკე მხარედ, რომლის აზრიც სამართლის შინაარსით საესეებით ვერ ამოიწურება. იურისტს, რომელიც თავის საგნობრივ შინაარსზე, ე. ი. სამართალზეა მიჯაჭვული, არ შეუძლიან წარმოიდგინოს თავისი საგანი იმის ნაწილად ან ცალკე მხარედ, რაც ერთგვაროვანი არ არის იურიდიული აზროვნების ინტენციონალურ საგანთან, ხოლო ყოველივე ერთგვაროვანი იქნება იგივე, რაც უკვე მოცემულია სამართლის შემავგებელ აქტში.

მე დასაშვებად მიმაჩნია, რომ სახელმწიფო სამართლის მეცნიერების საგნობრივი შინაარსი სამართლის კონკრეტული სისტემიდან შეიძლება იქცეს უნივერსალური სამართლის სისტემად Weltstaat-ად, იმ აზრით, როგორც ეს ესმის ქრისტ. ვოლფს, კრაბეს და კელზენს, მაგრამ არც ერთი ნაწილი სამართლის ამ ასტემაშია არ შეიძლება დაკავშირებული იყოს (მეთოდოლოგიურად) იმასთან, რაც სამართალს არ წარმოადგენს; ამიტომ ნორმათა სისტემასაც, ე. ი. სახელმწიფო სამართლის მეცნიერების საგნობრივ შინაარსს, არ შეგვიძლია შევხედოთ როგორც მთლიანობის ისეთ მხარეს, რომლის შინაარსი საესებით არ ამოიწურება სამართლებრივი აზრით. მას, ვინც მტკიცედ შეითვისა სახელმწიფო სამართლის მეცნიერების, როგორც თეორიული მეცნიერების, ამოცანა და მის გამოსავალ წერტილად თელის სამართალს, რომელზეც დაფუძნებულია ამ თეორიული მეცნიერების მნიშვნელობა (Geltung), არ შეუძლია სხვანაირად იმსჯელოს. სწორედ ამიტომ იურისტს, რამდენადაც იგი თავისი საგნის, ე. ი. სამართლის ფარგლებს არ უნდა სცილდებოდეს, არ შეიძლება სამართლოვანი ეჩვენოს არა-სამართლოვანის ერთ მხარედ და, მაშასადამე, სახელმწიფო სამართლის მეცნიერების საგნობრივი შინაარსიც არ შეიძლება მიიღოს ისეთი მთლიანობის ნაწილად, რაც სამართლის ან ნორმათა სისტემის იგივეობას არ წარმოადგენს. ამის გამო იურისტს, რომელმაც შეითვისა ეს თეზისი, რომ სახელმწიფო სამართლის მეცნიერების საგნობრივი შინაარსი ნორმათა სისტემაა, არ ძალუძს თავისი მეცნიერების საგნობრივი შინაარსი ისეთი მთლიანობის ცალკე მხარედ დასახოს, რომელსაც აქვს სამართლის მეცნიერების საგნობრივ შინაარსისაგან სრულიად დაშორებული მხარეები, მაგრამ რაკი შეუძლებელია (მეთოდოლოგიურად), რომ იურისპრუდენციის — საერთოდ და კერძოდ — სა-

ხელმწიფო სამართლის მეცნიერების საგნობრივი შინაარსი მივიღოთ როგორც ნაწილი ან ცალკე მხარე იმისა, რომლის სხვა ნაწილებიც სამართალს ან სამართლის განხორციელებას არ წარმოადგენენ, და სახელმწიფო კი, ჩვენი ავტორის თეორიის თანახმად, არ არის თანაბარი სამართლისა, რომელიც სახელმწიფო სამართლის მეცნიერების ერთადერთი საგნობრივი შინაარსია, თავისთავად ცხადია, რომ სახელმწიფოც, როგორც ასეთი, (როგორც მთლიანობა, ე. ი. როგორც საგანი) არ შეიძლება სახელმწიფო სამართლის მეცნიერების საგანს წარმოადგენდეს. თუ ვიტყვი, რომ სახელმწიფო სამართლის მეცნიერება სამართალს ან ნორმათა სისტემას სწავლობს, მაშინ ისიც უნდა მივიღოთ, რომ სახელმწიფო სამართლის მეცნიერების საგნობრივი შინაარსი იგივეა, რაც სახელმწიფო: წინააღმდეგ შემთხვევაში მოხდება ის, რაც ნამდვილად მოხდა: სახელმწიფო სამართლის მეცნიერებას აღარ ექნებოდა თავისი საგანი, ე. ი. სახელმწიფო. ვინც აღიარებს, რომ სახელმწიფო სამართლის მეცნიერების საგანი, სამართალი ან ნორმათა სისტემა, მან აუცილებლად უნდა ცნოს სახელმწიფო (როგორც მთლიანობა) როგორც სამართლოვანი მსჯელობის მატერია, როგორც სიმბოლო სამართლის ობიექტებისა. Symbol der Rechtsgegenstände, მან უნდა ცნოს სახელმწიფო როგორც „Noema“ der Noesis des Rechtssurteile¹, „ხოლო თუ გავაკეთებთ ამ ერთადერთ დასკვნას იმ თეზისიდან, რომლის თანახმადაც სახელმწიფო სამართლის მეცნიერების საგნობრივ შინაარსს სამართალი ან ნორმათა სისტემა წარმოადგენს, დაირღვეოდა ჩვენი ავტორის თეორია იმ ონტოლოგიური რიგის (სოციალური და სამართლისა) შესახებ, ან სხვანაირად: რომ ავტორმა განავითაროს ის აზრი, რაც მის თეზისში იმალება, მაშინ მისი თეორია დაკარგავდა თავის ძირითად ბაზას.

ჩვენ არ ვამტყიცებთ, რომ რაიმე ნაწილის შესწავლათ შეუძლებელი იყოს მთლიანობის შინაარსის გამორკვევა; ჩვენ შორსა ვართ ასეთი აზრისაგან. ჩვენ მხოლოდ იმას თქმა გვინდა, რომ მთლიანობის გაცემა ნაწილის მეშვეობით მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, როცა ნაწილები განსაზღვრულ ერთიანობაში ან ერთმანეთის შემავსებელ (Ergänzungsbedürftig) ურთიერთობაში არიან წარმოდგენილი. ვაგრამ, თუ კი ჩვენ ავტორს გავყვებით და სახელმწიფოს ვადიარებთ როგორც მთლიანობას (საგანს), როგორც ორი სხვადასხვა, ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი ონტოლოგიური რიგის გაერთიანებას და თანაც ვცნობთ, რომ თითოეულ ამ რიგს თავისი ცალკე მეცნიერება აქვს, მაშინ თავისთავად ცხადი

¹ სწორედ ასე მოიქცნენ ბილენგი, აფოლტერი, კრაბე, კელზენი, ბერკლი. ვენკლი და სხვები.

იქნება, რომ ამ მეცნიერებათა საგნობრივი შინაარსი მოცემულია როგორც სრულიად დამთავრებული შინაარსი, და არა როგორც შევსების მომთხოვნი (Ergänzungsbedürftig), და, მაშასადამე, შეუძლებელია ამ ორი მეცნიერების საგნობრივი შინაარსი ერთი განსაზღვრული მთლიანობის ნაწილად ან ცალკე მხარედ წარმოვიდგინოთ. იურისტს რომ შეეძლოს იმის დაშვება, რომ მისი კვლევის საგანი მოითხოვს შევსებას (Ergänzungsbedürftig), ე. ი. რომ სამართალი თავის თავად დამოუკიდებელი არ არის და რომ იგი შეივსება იმით, რაც სამართალს არ წარმოადგენს, მაშინ კიდევ შესაძლებელი იქნებოდა გველაპარაკა იმის შესახებ, რომ სამართალი რაღაც მთლიანობის ნაწილია, თუმცა ესეც შეეცდომა იქნებოდა. მაგრამ საქმე ის არის, რომ სამართალსა და სოციალურს ჩვენი ავტორი უყურებს როგორც ორ სრულიად დამოუკიდებელ საგანს; ავტორის სისტემაში ისინი ორ პარალელურ ხაზს წარმოადგენენ, რადგანაც მათ შორის გაწყვეტილია ლოგიკური კავშირი და ისეა გაწყვეტილი, რომ აღარც სამართალს აქვს დასაყრდნობი ფუძე სოციალურში და აღარც სოციალურს სამართალში. რაკი სამართალი და სოციალური ასე დამოუკიდებელი არიან ერთმანეთისაგან, ცხადია რომ ჩვენ არ შეგვიძლია წარმოვიდგინოთ ისინი რაღაც მთლიანობის ცალკე მხარეებად, ან ნაწილებად; რადგანაც ნაწილად ყოფნა ნიშნავს Ergänzungsbedürftig-ად ყოფნას, ხოლო სამართალი და სოციალური ავტორის სოციალურ გამოკვლევებაში არაღებობენ როგორც ორი საგანი ორი დამოუკიდებელი მეცნიერებისა.

რა დასკვნა შეიძლება მივიღოთ აქედან? მხოლოდ ერთი: რაკი სახელმწიფო სამართლის მეცნიერების საგნობრივი შინაარსი 1) არ შეიძლება ჩავთვალოთ მთლიანობის ცალკე მხარედ, 2) რაკი ეს საგნობრივი შინაარსი იგივე არ არის, რაც სახელმწიფო და 3) რაკი იგი წარმოადგენს არა ნორმათა განსაზღვრულ სისტემას, არამედ საერთოდ ნორმებს, — თავისთავად ცხადია, რომ სახელმწიფო სამართლის მეცნიერება, ჩვენი ავტორის მეთოდის თანახმად, არის არა მეცნიერება სახელმწიფოზე, არამედ უბრალო მოძღვრება სამართლისა და ნორმების შესახებ, და თანაც ისეთი მოძღვრება, რომელიც თავის საგნად ვერაასოდეს სახელმწიფოს ვერ ჩათვლის. მაგრამ თუ ამ დასკვნის წინააღმდეგ გვიბასუხებენ, რომ სახელმწიფო სამართლის მეცნიერება (რომელიც შეზღუდულია თავის საგნობრივი შინაარსით, ე. ი. სამართლით), სწავლობს რა „სამართლებრივ მხარეს“, ნამდვილად იკვლევს იმ ფენომენს, რომელსაც სახელმწიფო ეწოდება, და პოციოლოგია, სწავლობს რა მხოლოდ სოციალურს (სადაც სამართლის მსგავსი არაფერია), იკვლევს იმავე სახელმწიფოს, მაშინ პირველ შემთხვევაში სახელმწიფოს მთელი შინაარსი აუცილებლად გაივსება სამართლის შინაარსით, ე. ი. სამართალსა და სახელმწიფოს შორის თანასწორობის ნიშანი და-

იმის, ხოლო მეორე შემთხვევაში (ე. ი. სოციოლოგიური მიდგომის დროს), სახელმწიფოს შინაარსი ამოიწურება იმ სოციალურ სფეროთა, სადაც ჩვენს ავტორს არ შეუძლია სახელმწიფო სამართლის მეცნიერების საგნობრივი შინაარსისათვის დამახასიათებელი ელემენტები მონახოს. ამგვარად, თუ პირველ დასკვნას უარყოფით და ვიტყვი, რომ სახელმწიფო სამართლის მეცნიერება სწავლობს რა „სახელმწიფოს ერთ ნაწილს“ ამით იკვლევს თვით სახელმწიფოს და სოციოლოგიაც, რომელიც მხოლოდ „სოციალურ მხარეს“ სწავლობს, იმავე სახელმწიფოს იკვლევს, — მაშინ შეგვიძლია ვაღიაროთ, რომ ერთი სახელმწიფოს ნაცვლად ჩვენს ავტორს მხედველობაში აქვს ორი სახელმწიფო. რომელთაგან ერთი საეხებით ამოიწურება სამართლის შინაარსით, ხოლო მეორე ისეთია, რომელშიც არაფერი სამართლებრივი არ არის. მაგრამ თუ „სოციალურისა და სამართლის შინაარსთა ურთიერთობა, — როგორც ჩვენი ავტორი ამბობს, — შეიძლება გამოიხატოს ხელისუფლებისა და სამართლის ცნებაში“ (ე. ი. ხელისუფლება სოციოლოგიის საგნობრივი შინაარსის სფეროა), აშკარა ხდება, რომ ის სახელმწიფო, რომელიც სახელმწიფო სამართლის მეცნიერების საგანს წარმოადგენს, იქნება უხელისუფლებო სახელმწიფო, მაგრამ სახელმწიფო სამართლებრივი; ხოლო ის სახელმწიფო, რომელიც სოციოლოგიას რჩება, იქნება სახელმწიფო ხელისუფლებით, მაგრამ ისეთი სახელმწიფო, რომელშიც სამართლის ნაახიცი ვერ მოიპოვება.

მართლაც, საკმარისია ვაღიაროთ, რომ სახელმწიფო სამართლის მეცნიერების საგნობრივ შინაარსს ნორმათა ბისტემა წარმოადგენს, და ჩვენ მაშინვე შევნიშნავთ, რომ სახელმწიფო შინაარსს გამოეცლება ყოველივე ის, რაც კი სამართალს შეადგენს. რა სახით შეუძლია სამართლის თეორეტიკოსს, რომელმაც შეითვისა ჩვენი ავტორის თეზისი, რომ სახელმწიფო სამართლის მეცნიერების კვლევის საგანი სამართალია, წარმოუდგინოს სახელმწიფოს „სოციალური რეალობა“? განა მას შეუძლია სახელმწიფოს „სოციალურ რეალობას“ მიაკუთვნოს ის, რასაც სამართალთან კავშირი არა აქვს? ჩვენ გვგონია, რომ არა, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ იძულებული ვიქნებით ვაღიაროთ, რომ სახელმწიფო სამართლის მეცნიერება თავის საგნად მართლ სამართალს კი არ თვლის, არამედ იმასაც, რაც სამართალი არ არის. ხოლო ასეთი შევსება ერთი მეცნიერების საგნობრივი შინაარსისა, მეორე მეცნიერების საგნობრივი შინაარსით უარყოფილია თვით ავტორის მიერ. აქედან ცხადია, რომ ის, ვინც სახელმწიფოს მიუდგება როგორც იურისტი, მან სახელმწიფოდან უნდა განდევნოს ის მეორე ონტოლოგიური რიგი, რომელიც, ჩვენი ავტორის აზრით, სოციოლოგიის კვლევის საგანია. იმავე წესით, ის ვინც სახელმწიფოს სოციალურ შინაარსს მიუდგება, მან სახელმწიფოს უნდა გამოაცალოს ის შინაარსი,

რომელიც სახელმწიფო სამართლის მეცნიერების საგნობრივ შინაარსად არის აღიარებული.

მეორე საკითხს ამ შექმნევაში არ შეეხებოთ. შევჩერდეთ პირველზე და ვნახოთ — შეუძლია თუ არა იურისტს, რომელმაც ავტორის თეზისი მიიღო (რომლის თანახმადაც სახელმწიფო სამართლის მეცნიერების საგანი სამართალია), აღიაროს, რომ სახელმწიფოში არის ისეთი შინაარსი, რასაც არაფერი საერთო არა აქვს სახელმწიფო სამართლის მეცნიერების საგნობრივ შინაარსთან.

„სოციალური — ამბობს ავტორი — უსათუოდ სახელმწიფოს შინაარსს შეადგენს“, მაგრამ თუ ის ამ „სოციალურს“ მიუდგება რიგობრივ იურისტს, რომელი კრიტერიუმის ძალით შეძლებს იგი ეს „სოციალური“ მიაკუთვნოს სახელმწიფოს როგორც იურიდიული აზროვნების მატერიალს? ჩვენი აზრით, ორი აზრი ამ საკითხის შესახებ არ შეიძლება იყოს. თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ იურისტს შეუძლია მხოლოდ სამართალზე იმპერატორს, სრულიად უეჭველი იქნება, რომ სახელმწიფო სამართლის მეცნიერების საგნობრივ შინაარსს იგი მიაკუთვნებს მხოლოდ სამართალს და იმას, რაც სამართლის განხორციელებას წარმოადგენს. მხოლოდ სამართლის ეს განხორციელება ან განსაკუთრებული ნორმების სისტემის Wirkung-ი შეუძლია იურისტს აღიაროს სახელმწიფოს სოციალურ რეალობად. როგორც ვხედავთ, თუ ჩვენ სწორად შევითვისებთ იმ თეზისს, რომ სახელმწიფო სამართლის მეცნიერების საგნობრივი შინაარსი მხოლოდ სამართალია, აღარ დარჩება ადგილი იმ შინაარსისათვის, რომელსაც ჩვენი ავტორი სოციოლოგის საგნად თვლის. შევეუდგებით თუ არა იმ თეზისის აზრის განვითარებას, რომლის თანახმადაც სახელმწიფო სამართლის მეცნიერების საგნობრივ შინაარსს ნორმების სისტემა წარმოადგენს, — „სოციალური მზარე“ მაშინვე თავისთავად მოსწყდება სახელმწიფოს.

არ არის მართებული, ვინც ამ თეზისის აზრს შეითვისებს, დაიწყოს მტკიცება — თითქოს სახელმწიფოს შინაარსს შეიძლება მიეკუთვნოს ყველაფერი, რაც სახელმწიფოს ტერიტორიაზე ხდება, ან ყველაფერი, რაც შეეხება იმ მოსახლეობას, რომელზედაც ამა თუ იმ სამართლის ძალა ვრცელდება. ამის აღიარება ხომ იმას ნიშნავს, თითქოს იურისტს სამართლის კრიტერიუმის გარდა შეეძლოს კიდევ იხელმძღვანელოს არასამართლებრივი კრიტერიუმით. მაშასადამე, იურისტს არ შეუძლია სახელმწიფოს შინაარსს მიაკუთვნოს სოციალურ ურთიერთობათა ყველა ფორმა, არამედ, მხოლოდ ის ფორმები, რაც მოცემულია სამართალში, ე. ი. წარმოადგენს იმ სამართლის განხორციელებას. რომელიც სახელმწიფო სამართლის მეცნიერების საგნობრივ შინაარსად არის აღიარებული. მაგრამ თუნდაც დავუშვათ, რომ სახელ-

მწიფოს შინაარსს შეადგენს არა სოციალურ ურთიერთობათა განსაზღვრული ფორმები, არამედ საერთოდ სოციალური, ამ შემთხვევაშიც შემდეგი დებულება უნდა გავწიაროთ: იმისათვის, რომ საერთოდ სოციალური ვაღიაროთ, როგორც ნაწილი სახელმწიფოსი, რომელსაც სამართლებრივი მხარეც აქვს, საჭიროა მთლად სოციალურა განხილულ იქნეს სამართლის თვალსაზრისით. ექვს გარეშეა, რომ როდესაც იურისტს აქვს მხოლოდ სამართლებრივი მხარე სახელმწიფოსი და ეძებს მის მეორე მხარეს — სოციალურს, ამ უკანასკნელს იგი იკვლევს მხოლოდ სახელმწიფოს სამართლებრივი თვალსაზრისით; წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ვერ პოუვებს იმას, რაც აკლია. რომ იცოდე, რა გაკლია, უნდა იცოდე, რა გაქვს. სხვანაირად რომ ვთქვათ: იმ სოციალურის მოსაპოვებლად, რომელიც სამართალთან ერთად სახელმწიფოს შეადგენს, იურისტს შეუძლია მხოლოდ სამართლის კრიტერიუმით იხელმძღვანელოს. მაგრამ განა წარმოსადგენია, რომ სამართლს კრიტერიუმით სხვა რამ მოინახოს, თუ არა სამართალი? არა მგონია, ამიტომ ის სფერო, რომელიც, ავტორის აზრით, სახელმწიფოს სოციალური მხარეა, ან სრულიად უნდა მოსწყდეს სახელმწიფოს, ანდა ეს სოციალური მხარე უნდა წარმოვიდგინოთ, როგორც სამართალი. ან როგორც განხორციელება სამართლისა. მხოლოდ ამ აზრით შეუძლიან იურისტს მიიღოს სახელმწიფოს „სოციალური მხარე“. როგორც ვხედავთ, სოციალური მხარე ან არ არის „მხარე“, ანდა ის არსებობს, სხვა არა არის რა, თუ არა სამართლებრივი მხარე სახელმწიფოსი. უფრო სწორად: ეს სოციალური მხარე არის განხორციელება სახელმწიფოს „სამართლებრივი მხარისა“, აღსრულება (Befolgung) ნორმათა იმ სისტემისა, რომელიც სახელმწიფო სამართლის მეცნიერების საპრობრივ შინაარსს წარმოადგენს.

ჩვენი აზრით, ეს მცირე შენიშვნები სრულიად საკმარისია, რათა დავრწმუნდეთ, რომ იურისტს, რომელმაც სამართალი სახელმწიფო სამართლის მეცნიერების საგნად აღიარა, არ შეუძლია სახელმწიფოში აღმოაჩინოს ისეთი რამ, რაც სამართალს ან სამართლის განხორციელებას არ წარმოადგენს.

ამგვარად, ზემოაღნიშნულის მიხედვით, ჩვენ უნდა ვაღიაროთ, რომ ავტორის მეთოდის თანახმად, სახელმწიფო საერთოდ არ არის არც სახელმწიფო სამართლის მეცნიერების საგანი და არც სოციოლოგიის საგანი, ანდა უნდა დავუშვათ, რომ არსებობს არა ერთი, არამედ ორი სახელმწიფო, რომელთაგან ერთი ამოიწურება სამართლის შინაარსით, ხოლო მეორე სრულიად არ შეიცავს რაიმე სამართლებრივის (ე. ი. ერთი საგნის მაგიერ ორი სხვადასხვა შინაარსის საგანი).

ამ დასკვნების გაბათილება შეუძლებელია, შეუძლებელია იმიტომ, რომ მთელი თავისი სისტემა ავტორმა ააგო იმეთ ორ თეზისზე, რომ

მელნიც ერთიგვორეს ძირიან-ფესვიანად უარყოფენ. მართლაც, განა შესაძლებელია ის თეზისი, რომლის მიხედვითაც სახელმწიფო სამართლის მეცნიერება ნორმათა სისტემას იკვლევს, შევეუთანხმოთ მეორე თეზისს. რომელიც ვგუებუნება, რომ სახელმწიფოში ორი სხვადასხვა მეცნიარული დაციპლინის ორი საგნობრივი შინაარსია?

მაგრამ ვნახოთ, რა წინააღმდეგობანი გამომდინარეობენ კიდევ ავტორის გამოკვლევის ძირითადი დებულებებიდან.

ავტორი ამბობს, სახელმწიფო სამართლის მეცნიერება იკვლევს სპეციფიკურ სინამდვილეს, რომელსაც ქმნის სამართალდებულებანი (Rechtsätze). ე. ი. იკვლევს სამართლის სისტემას, მაგრამ რა არის ეს განსაკუთრებული სპეციფიკური სინამდვილე, რომელზეც ავტორი ლაპარაკობს? არის ის სპეციფიკური, და მაშასადამე განსაზღვრულიც, იმ აზრით, რომ ეს სისტემა ნორმებია, თავისი სპეციფიკური შინაარსით, განსხვავდება ყველა სხვა სისტემისაგან, თუ მას უჭირავს რაღაც განსაკუთრებული ადგილი სამართლის ერთ ზოგად სისტემაში?

ავტორს რომ ეს თეზისი განევეითარებინა, იგი იძულებული იქნებოდა უარი ეთქვა ზოგიერთ ფრიად არსებით დებულებაზე. თუ ავტორს არ სურდა, რომ მისი მეცნიერება სახელმწიფო სამართლისა ყოფილყო ხან სისხლის სამართლის, ხან სამოქალაქო სამართლის, ხან საფინანსო სამართლის, ხან კიდევ სხვა რომელიმე სამართლის მეცნიერება (რადგანაც სამართალს ეს მეცნიერებანიც იკვლევენ), მას სამართლის საერთო სისტემა უნდა წარმოედგინა, როგორც მთელი რიგი საფეხურებისა (Rechtsstufen), რომელთაგან ერთი სახელმწიფო სამართლის მეცნიერების საგანს შეადგენს. ვინც სახელმწიფო სამართლის მეცნიერების საგნად, აშკარად თუ ფარულად, მხოლოდ ნორმათა სისტემას თვლის და, ამავე დროს, აღიარებს სხვადასხვა იურიდიულ მეცნიერებათა (სიხლის სამართლის, სამოქალაქო სამართლის და სხვ. და სხვ.) არსებობას, მან სამართლის სისტემაში უნდა დაინახოს სამართლის ის საფეხურები, რომელზედაც მერკლი ლაპარაკობს. მაგრამ ვინ, ან რა აწყობს სამართლის ამ საფეხურებს, თუ არა სახელმწიფო?

Es Sind bestimmte Staatsfunktionen, das heißt Gesetzgebungsfunktion, der Verordnungsfunktion, der Verordnungsgewalt, die Verfügungskompetenz, die Justizhoheit des Staates u. s. w. um die einzelnen Rechtsstufen zu gruppieren, ამბობს ჰაინრიხი.*

ამგვარად, იმისათვის, რომ სამართლის სისტემაში თავისებური საფეხურიანობა შეექმნათ და ამით სახელმწიფო სამართლის მეცნიერებას „განსაზღვრული საფეხური“ მიეკუთვნოთ, საჭიროა ორიენტაცია

*Heinrich, Zur Theorie der Rechtskraft.

სახელმწიფო აქტის ორიენტაცია (Staatsact) იდეაზე და, მაშასადამე, საპირთა ვალიაროი, ამ აქტების მატარებელიც, ე. ი. სახელმწიფო იურიდიულ პირად უნდა ჩავთვალოთ. აბა ვინმემ სინჯოს ამ ორიენტაციის გარეშე დაასაბუთოს არსებობა ნორმათა რაღაც განსაზღვრული სისტემისა, რომელსაც სახელმწიფოს სამართლის მეცნიერება უნდა იკვლევდეს! თუ პატივცემული ავტორი ფიქრობდა, რომ სახელმწიფო სამართლის მეცნიერების საგნობრივი შინაარსი ნორმათა ერთგვარი განსაზღვრული სისტემაა, მას სახელმწიფო აუცილებლად იურიდიულ პირად უნდა ელიარებინა. უამისოდ პირველ დებულებასაც აზრი ეკარგება. ტყუილად ხომ არ აღნიშნავენ, რომ მერკლის თეორია სამართლის ძალისა და სამართლის საფუძვლიანობის შესახებ ცოცხლობს და ირღვევა იმ ცნებათა თანხმად, რომლის თანახმადაც სახელმწიფო იურიდიული პირია, ხოლო მერკლის თეორიის ბედი უნდა გაიზიაროს ყველა თეორიამ, რომელიც სახელმწიფო სამართლის მეცნიერების საგნად „ნორმათა განსაზღვრულ სისტემას“ აღიარებს. თუ ჩვეუკვირჯვებით ავტორის თეზისის აზრს იმის შესახებ, რომ სახელმწიფო სამართლის მეცნიერება „იკვლევს სამართალდებულებათაგან შექმნილ ახალ სინამდვილეს“, აღმოჩნდება, რომ ამ თეზისში მოცემულია იდეა სახელმწიფოსი, როგორც იურიდიული პირისა, ან როგორც rechtsinhaltliche Tatbestand, რადგანაც ვიმეორებთ, თუ ჩვენ არ მივიღებთ სახელმწიფო, როგორც იურიდიული პირი, შეუძლებელი იქნება დაპარაკი იმის შექახებ, რომ სახელმწიფო სამართლის მეცნიერება ნორმათა განსაზღვრულ სისტემას იკვლევს.

მაგრამ რა აზრით იქნება ასეთი დასკვნა მიუღებელი ჩვენი ავტორის თეორიისათვის? თუ იმის შესახებ, რომ სახელმწიფო სამართლის მეცნიერება იკვლევს ნორმათა სისტემას, როგორც ვნახეთ. თავისთავად იძლევა დასკვნას, რომ სახელმწიფო სამართლის მეცნიერება სწავლობს არა მარტო სახელმწიფოს ერთ მხარეს, არამედ მთელს სახელმწიფოს როგორც rechtsinhaltliche Tatbestand-ს, მაშასადამე. ავტორს არაფერი დარჩენია იმის მეტი, რომ სახელმწიფოს შინაარსიდან განდევნოს ყველაფერი, რაც სამართალი არ არის და აგრეთვე ყოველივე ის, რაც არ წარმოადგენს ნორმათა იმ სისტემის განხორციელებას. რომელიც სახელმწიფო სამართლის მეცნიერების საგნობრივ შინაარსს შეადგენს. ამგვარად, ავტორის დებულებას, რომ სახელმწიფო ორი სხვადასხვა მეცნიერების (სახელმწიფო სამართლის და სოციოლოგიის) ორი საგნობრივი შინაარსისაგან შედგება, არღვევს ავტორისვე მეორე დებულება, რომლის თანახმადაც სახელმწიფო სამართლის მეცნიერება იკვლევს ნორმათა სისტემას; სხვანაირად შეუძლებელია, რადგანაც ამ უკანასკნელ დებულებაში იმალება იდეა სახელმწიფოსი, როგორც იურიდიული პირისა, ე. ი. იმალება

ცნება ისეთი სახელმწიფოსი, რომლის შინაარსიც სავსებით ამოიწურება სამართლით, ვინაიდან იურიდიული პირის შინაარსში ჩვენ ვერ შევიტანთ სამართლისათვის რაიმე უცხო შინაარსს. მაგრამ თუ დაუშვებთ, რომ თეზისი — სახელმწიფოში ორი სხვადასხვა მეცნიერების საგნობრივი შინაარსის არსებობის შესახებ სრულიადაც არ ეწინააღმდეგება თეზისს, რომელშიც ჩამარხულია იდეა სახელმწიფოსა, როგორც იურიდიული პირისა; მაშინ კიდევ უფრო დაუშვებელ დასკვნას მივიღებთ. აი რატომ:

ავტორის დებულებათა მიხედვით არ შეიძლება იმის უარყოფა, რომ იურიდიული პირის ბუნება მთლიანად სამართლის შინაარსითა და მნიშვნელობით უნდა ამოიწუროს. სამართლის სუბიექტის იდეა ავტორმა გაათავისუფლა ყოველივე იმისაგან, რაც სამართალს არ წარმოადგენს. რაღა საფუძველი იქნება იმისთვის, რომ მისი იურიდიული პირი სხვაგვარად იქნეს გაშუქებული? მაგრამ თუ იურიდიული პირი ჩვენ საერთოდ, და კერძოდ, ავტორის თეორიის თანახმადაც ისეთ მოვლენად უნდა მივიჩნიოთ, რომელიც სავსებით სამართლის შინაარსით ამოიწურება. მაშინ როგორ უნდა ჩამოყალიბდეს ჩვენი ავტორის თეორიით სახელმწიფო, როგორც იურიდიული პირი? თუ მხედველობაში მივიღებთ ავტორის თეორიას, რომლის მიხედვითაც სახელმწიფო, ორი შინაარსისაგან — სამართლისა და სოციალური შინაარსისაგან შედგება, ცხადია, რომ მხოლოდ სამართლებრივი მხარე ამ სახელმწიფოსი შეიძლება განსახიერებულ იქნეს სახელმწიფოს როგორც იურიდიული პირის ცნებაში, რადგანაც ვიმეორებთ, იურიდიული პირის შინაარსს შეიძლება მიეკუთვნოს მხოლოდ ის, რაც სამართალს წარმოადგენს.

ამგვარად, ჩვენ ვხედავთ, თუ რა დასკვნამდე მივყავართ ასეთ მეტოდს: ერთი და იგივე სახელმწიფო ერთი თავისი ნაწილით გვევლინება, როგორც იურიდიული პირი, მეორე ნაწილით კი — იგი ასეთ პირს არ წარმოადგენს. იურიდიული პირი, რომელიც, ავტორის აზრითაც სრულიად მთლიანი უნდა იყოს თავისი შინაგანი სამართლებრივი ბუნებით, წარმოადგენს ისეთ სხეულს, რომლის ერთი ნახევარი სამართალია, ხოლო მეორე ნახევარს არაფერი საერთო სამართალთან არა აქვს. აი, ასეთ არაბუნებრივი სახის სახელმწიფოს შობს დასახელებული მეთოდოლოგია. განა ამ იურიდიულ პირს, რომელიც მთლად სამართლის შინაარსშია მოქცეული, შეუძლია ატაროს რაღაც ნაძალადევად მიკერებული კლდი, რომელშიც არაფერი სამართლებრივი არ არის? განა ამგვარად არ ჩანს, რომ ჩვენი ავტორის თეორიამ იურიდიულ პირს მოსდო მძიმე ტვირთი, რომლისგანაც იგი უნდა განთავისუფლდეს, რათა თავისი ბუნებისთვის დამახასიათებელი მთლიანობა და ჩამოსხმული მოყვანილობა შეინარჩუნოს?

უნდა აღვნიშნოთ აგრეთვე, რომ ზემოაღნიშნული დებულების თანახმად შეუძლებელია თვით პრობლემაც, ხელისუფლების და სამართლის ურთიერთობისა. არის ეს მონოგრაფია პასუხი ავტორის მიერ წაპოყენებული საკითხისა? ვფიქრობთ, რომ არა. მართალია, მთელს მონოგრაფიაში მხოლოდ ორი თეზისი ეხება ხელისუფლების ცნებას. მაგრამ ეს საკმარისია იმისთვის. რომ წარმოვიდგინოთ თუ რას უნდა გულისხმობდეს ავტორი ხელისუფლების ცნებაში. ამ ორი თეზისის ანალიზი ნათლად დაგვანახებებს რომ შეუძლებელია თვით იმ პრობლემის დასმა, რომელსაც ავტორი თავის გამოკვლევას უძღვნის!

პირველი თეზისის შინაარსი ასეთია: სახელმწიფოს სოციალური და სამართლებრივი შინაარსის დაპირისპირება შეიძლება გამოიხატოს ხელისუფლებისა და სამართლის ცნებით (ე. ი. სამართალსა და ხელისუფლებას ავტორი უპირისპირებს ერთმანეთს ისე, როგორც სოციალურს და სამართლებრივს). მეორე თეზისის შინაარსი კი მდგომარეობს შემდეგში: ხელისუფლებისა და სამართლის ურთიერთობა მდებარეობს ქმნის სახელმწიფოს სამართლებრივ ცხოვრებას, ანუ სამართლებრივ წესრიგს, რომ თავის ადგილას, ე. ი. იქ. სადაც პირველად ვხვდებით „იმ ახალ სინამდვილეს“, რომელსაც ნორმათა სისტემა წარმოადგენს და რომელიც სახელმწიფო სამართლის მეცნიერების საგანია, ავტორს დაესვა, კითხვა, თუ რაში მდგომარეობს კავშირი ამ ახალ სინამდვილესა და ხელისუფლებას შორის. ვფიქრობთ. სულ სხვანაირი იქნებოდა ავტორის აზრთა წყობა. შესაძლებელია კი დაისვა საერთოდ საკითხი ხელისუფლებისა და სამართლის შესახებ, როდესაც თვით ცნება ხელისუფლებისა ავტორის მეთოდოლოგიის თანახმად უარყოფილია? ავტორის მეთოდით კავშირი სამართალსა და ხელისუფლებას შორის საბოლოოდ გაწყვეტილია. მათ შეუძლიათ მხოლოდ ერთმანეთის უარყოფა. მას შემდეგ. რაც ავტორმა ხელისუფლება სამართლის სიცარიელეში გადაიტანა, გაუგებარია, რა კავშირი უნდა იყოს ამ ხელისუფლებასა და სახელმწიფოს სამართლებრივ მხარეს შორის. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ყოველი ასეთი ცდა უნაყოფო იქნებოდა. ამას, ალბათ, გრძნობდა თვით ავტორიც. შესაძლებელია, ამიტომ უფრო მოხერხებულად მიაჩნდა ავტორს მონოგრაფიის პირველ ნაწილში სამართალზე ხელისუფლებისაგან დამოუკიდებლად ლაპარაკი, ხოლო ხელისუფლების შესახებ კი მონოგრაფიის მეორე გამოუქვეყნებელ ნაწილში. მაგრამ როდისღა გვეტყვის რასმე ავტორი თვით ხელისუფლებისა და სამართლის პრობლემის შესახებ? იქნებ იმავე მეორე ნაწილში, ან მესამესა თუ მეოთხეში? ვფიქრობთ, რომ გამოკვლევის იმ ნაწილს, სადაც ხელისუფლებისა და სამართლის პრობ-

ლემა ერთმანეთზე გადაბმული იქნება, სამწუხაროდ, ჩვენ ვერ ვიხილავთ. ვერ ვიხილავთ იმიტომ, რომ თვით მეთოდი ავტორისა ამბობს: ვერ ვიხილავთ, ვინაიდან გამოკვლევის ის მეორე ნაწილიც, რომელშიაც განმარტებული უნდა იყოს ხელისუფლებას ბუნება; შესაძლებელია შეიცავდეს განმარტებას მხოლოდ ძალის შესახებ.

მართლაც, რის მიხედვით შეგვიძლია ჩვენ სახელმწიფოს ტერიტორიაზე მოქმედ ყველა ძალთა შორის მხოლოდ ერთი, გამოვეყოთ როგორც სახელმწიფო ხელისუფლება? რა კრიტერიუმით უნდა ვიხელმძღვანელოთ ამ შემთხვევაში? ფიქრობთ, რომ თუ ეს ძალები ჩვენ ავიღეთ სამართლისაგან დამოუკიდებლად, ვეღარ შევძლებთ ყველა ძალთა შორის გამოვიცნოთ ერთი, როგორც სახელმწიფო ხელისუფლება. ჩვენ ვერ ვპოვებთ მას, თუ არ ვიხელმძღვანელებთ სამართლის კრიტერიუმით; თუ არ ამ კრიტერიუმით, ვერ მოვძებნით ძალას, რომელსაც, როგორც ხელისუფლებას, გადავბამდით იმ სახელმწიფოს, რომელიც უფლებრივია ერთ თავის ნაწილში მაინც (როგორც ავტორი ფიქრობს).

ხელისუფლება — ეს თავისებური თვისებაა ძალისა. ის, თუ გნებავთ, სამართლით მოწესრიგებული ძალაა და ამით განსხვავდება ის სხვა დანარჩენი ძალებისაგან. ამიტომაც, როდესაც ჩვენ ხელისუფლებას ვთიშავთ სამართლისაგან, ხელისუფლება კარგავს იმ ერთადერთ სპეციფიკურ თვისებას, რომლითაც ის უბრალო ძალისაგან განსხვავდება. სამართლისაგან დამოუკიდებლად ხელისუფლება, როგორც უსახო ძალა, ჩაიძირება ძალთა მრავალ სახეობაში. საჭიროა ძალა ამა თუ იმ სახით მიუახლოედეს სამართალს, რათა ის განსხვავებულ იქნეს უბრალო ძალმომრეობისაგან. მაგრამ რა ნიშნავს ძალის მიახლოება ან გადაბმა სამართალთან, თუ არა ძალის დამორჩილებას სამართლისათვის? და აი დამორჩილებაში პირველად მკლავნდება ჩვენი აზრით, იდეა ხელისუფლებისა. ძალის დამოკიდებულება სამართალთან თვით ამ ძალას ახალი ამოცანის წინაშე აყენებს. ეს ამოცანა არის — სამართლის განხორციელება. ამიტომაც, სამართლის მიერ მოწესრიგებული შესაძლებლობა სამართლის განხორციელებისა, იქნება ხელისუფლება. სხვანაირად რომ ვთქვათ, იმდენად, რამდენადაც ჩვენ ვაზროვნებთ არა სამართალს, არამედ შესაძლებლობას, ანუ შანსს მისი განხორციელებისას, ჩვენ შეგვიძლია ვილაპარაკოთ ხელისუფლებაზე და შინაარსთა ამ ღრმა განსხვავებაზეა დამყარებული აგრეთვე განსხვავება ხელისუფლებისა და ძალის განცდისა. სამართლის სფეროში ძალის წნევის განცდაში, ყოველთვის არის მოცემული მომენტური მისი ლოგიკური უარყოფისა. ხელისუფლების განცდაში კი ამ მომენტს, ლოგიკური და არა ფსიქიკური უარყოფისა, ვერ ვპოულობთ, ვი-

ნაიდან ხელისუფლება ჩვენ მიერ ყოველთვის წარმოდგენილია როგორც განხორციელება ლოგიკურად აღიარებული ნორმისა.*

ძალა სამართლისადმი დაპირისპირებაში ორი მნიშვნელობით შეგვიძლია წარმოვიდგინოთ: ძალა, რომელიც წინ უსწრებს სამართალს და ძალა, რომელიც სამართლებრივ სტიქიაში მოქმედებს. ის ძალა, რომელსაც სამართლებრივ სფეროში ვსვდებით, შეგვიძლია ჩავთვალოთ მხოლოდ როგორც უარყოფა სამართლისა, ე. ი. როგორც ძალმომრეობა, ვინაიდან, ვიმეორებთ, სამართლებრივ აქტოსფეროში შესაძლებელია მხოლოდ სამართალი და ის, რაც სამართლის განხორციელებაა.

გამოკვლევის ავტორი კი ხელისუფლებას სახელმწიფოში ხედავს, იმ სახელმწიფოში, სადაც სოციალური და სამართლებრივი დამოუკიდებლად არის მოცემული, რადგან თითოეული მათგანი აღიარებულია, როგორც ორი დამოუკიდებელი მეცნიერების საგანი. ხელისუფლება კი გადატანილია სწორედ იმ სოციალურში, სადაც სამართლებრივი სრულებათ არ ჩანს, როგორ გამოიყურება ეს სოციალური, როდესაც მას ვკვრეტთ იმ სამართლებრივი შინაარსის თვალსაზრისით, რომელთანაც ერთად ეს სოციალური ქმნის ერთ სახელმწიფოს. ცხადია, რომ ყოველი ძალის მოქმედება, რასაც ადგილი ექნება ამ სამართლებრივ სფეროს გარეთ, არ შეიძლება სამართლის განხორციელებად ჩათვალოს და ამიტომაც ის შეგვიძლია წარმოვიდგინოთ მხოლოდ როგორც ძალმომრეობა. თუ დავფუძვით, რომ ამ ძალის მოქმედება სამართლის განხორციელებაა, მაშინ მთელი ეს სფერო აუცილებლად შეერთდის სამართლებრივს და ამ შემთხვევაში კი ეყარება მნიშვნელობა იმ თეზისს, რომელშიაც სამართლებრივი და სოციალური დამოუკიდებლად არიან მოცემულნი.

მაშასადამე, საკმარისია ხელისუფლება მოსწყდეს სამართალს, რომ ის უბრალო ძალად იქცევა, ხოლო რამდენადაც ამ ძალად ქცეულ ხელისუფლებას სამართალს ეუპირისპირებთ, ის სამართლის უარყოფას,

* ნორმის შეცნობის აქტში ნორმა ლოგიკურად აღიარებულია. მაშასადამე, ლოგიკურად აღიარებულია აუცილებლობაც მისი განხორციელებისა. ამას გარდა, აღნიშნულ უნდა იქნეს გათვალისწინებული, რომელიც ფსიქიკურსა და ლოგიკურ აღიარებას შორის არსებობს. ფსიქიკურ აღიარებას არც შეიძლება ჰქონდეს ადგილი ხელისუფლება-მორჩილების აქტში, რადგან ხელმწიფება-მორჩილების განცდას შედეგად თანსდევს ჩემი და სხვისი ნებისყოფის დაპირისპირების მომენტო. სხვისი ნებისყოფა რომ ჩემი ნებისყოფა იყოს, ამ სხვასა და ჩემს შორის შეუძლებელი იქნებოდა ხელმწიფება-მორჩილება. იმავე წესით, როგორც შეუძლებელია ხელმწიფება-მორჩილებაზე ლაპარაკი პიპსტოპიისა და მედიუმს შორის, რადგანაც აქ საქმე გვაქვს არა ორ ნებისყოფასთან, არამედ ერთთან. ამიტომ ყველა ის თეორია, რომელიც ხელისუფლებას განმარტავს როგორც საშუალებას ერთი ნებისყოფის მეორე ნებისყოფად ქცევისა, შემცდარ თეორიად უნდა ჩათვალოს.

ანუ ძალმომრეობას ნიშნავს. ჩვენმა ავტორმა კი ორივე ოპერაცია მოახდინა: ჭერ მოსწყვიტა ხელისუფლება სამართალს, იმით რომ ეს ხელისუფლება სამართლებრივ სიცარიელეში გადაიტანა, ხოლო სოციალურისა და სამართლებრივის დაპირისპირებით მან ძალად ქცეული ხელისუფლება სამართალს დაუპირისპირა, რითაც ხელისუფლება უბრალო ძალმომრეობად გახადა.

როგორც ვხედავთ, ავტორის მეთოდოლოგიის თანახმად შეუძლებელია დაისვას თვით პრობლემა ხელისუფლებისა და სამართლის — რადგან ხელისუფლება ავტორის კონსტრუქციით, შეიძლება მხოლოდ ძალმომრეობას ნიშნავდეს. მაგრამ, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ავტორი ფიქრობს, რომ სამართლებრივისა და სოციალურის (რომელშიც ავტორი ხელისუფლებასაც გულისხმობს) ურთიერთობით იქმნება კონკრეტული ცხოვრება სახელმწიფოსი, როგორც მთლიანობისა. მაგრამ როგორ ხდება, რომ ეს ურთიერთობა სამართალსა და იმას შორის, რაც სამართლის უარყოფაა, ქმნის სახელმწიფოს კონკრეტულ ცხოვრებას (რომელიც ალბათ უფლებრივ წესრიგსაც გულისხმობს), ანუ ერთ მთლიანობას? ვფიქრობთ, რომ ეს ძნელი გასაგებია.*

* დაიბეჭდა დისკუსიის წესით. რ ე დ.

სამართლის ფსიქოლოგიური თეორიის აპრიორულ-ემპირიური საფუძვლები

სამართლის ფსიქოლოგიური თეორიის მარქს-სტუდ-ლენინური კრიტიკისათვის აუცილებელია ფსიქოლოგიური თეორიის საფუძვლების სწორი გაგება.

სამართლის ფსიქოლოგიური თეორიის განსაღვა მით უფრო საკიროა, რომ იურისტთა მთელი გენერაცია ჩვენი საუკუნის დასაწყისში ამ თეორიის საფუძვლებზე აღიზარდა.

სამართლის ფსიქოლოგიურ თეორიას მრავალი განშტოება აქვს. ჩვენ შევიჩრდებით მხოლოდ ყველაზე უფრო თანმიმდევრულ ფსიქოლოგიურ თეორიაზე პროფ. პეტრაჟიციის სამართლის ფილოსოფიაზე, და ამ უკანასკნელის ანალიზით შევეცდებით ნათლევყოთ, თუ რამდენად დაშორებულია ფსიქოლოგიური თეორიები სამართლისა და სახელმწიფოს იმ ნამდვილ ბუნებას, რომელიც ერთხელ და სამუდამოდ დადგენილია ერთადერთ ჭეშმარიტ მარქს-სტუდ-ლენინური მოძღვრების მიერ სამართლისა და სახელმწიფოს შესახებ. ამ ანალიზიდან ნათელი იქნება, რომ თუ მარქს-ლენინის მოძღვრების თანახმად სამართლისა და სახელმწიფოს შესწავლა კლასთა ბრძოლის გარეშე შეუძლებელია, „რადგან სახელმწიფო არის ერთი კლასის პერორებზე ბატონობის მანქანა“ (ლენინი), სამართლის ფსიქოლოგიური თეორიების წარმომადგენლები იმ საკითხებს, რომლებიც სამართლისა და სახელმწიფოს წარმოშობას შეეხებიან, აძევებენ მათ შესწავლა ხამდვილი სფეროდან და „სწყვეტენ“ იქ, სადაც ელიმინირებულია ყოველივე წინააღმდეგობა და კლასთა ბრძოლა. ამიტომ, თუ ვინმეს სურს სახელმწიფოს წარმოშობის ნამდვილი ისტორიის ნაკვალ დაწეროს ყალბი ისტორია, მას ამისთვის შეუძლია ამ სამართლის ფსიქოლოგიურ თეორიას მიმართოს.

კლასთა ბრძოლისაგან ხელოვნურად განთავისუფლებულ სფეროში სამართალი ბუნებრივად კარგავს თავის ნამდვილ შინაარსს. აქ უკვე ყველას შეუძლია „სამართლის და სახელმწიფოს“ შესახებ. გემოვნებისამებრ, ფანტასტიკური სურათი დაგვიხატოს, რომელიც, მართალია, იქნება ყალბი, მაგრამ გამოსადეგი კლასობრივი ბრძოლის მისაჩქმალავად.

ლეგენდარული სურათების შემქმნელთა შორის კი სამართლის ფსიქოლოგიური თეორიის წარმომადგენლებსაც უკანასკნელი ადგილი არ უჭირავთ, ამათ მოძღვრებაშიც სამართალი და სახელმწიფო ისეთ ფუნქციონირებას მოცემული, რომ ვინც კი ამ სურათს დაუჯერებს, ეს სამართალი და სახელმწიფო, როგორც რაღაც აბსოლუტური ღირებულება, უნდა შეიცნოს, ხოლო ამ სამართლის შესრულების აუცილებლობა კი უნდა განიცადოს როგორც რაღაც აბსოლუტური ღირებულების შიგნითან წინეა.

უმზიწოდ არაფერი ხდება და ფსიქოლოგიური თეორიების წარმომადგენლებსაც ასეთი თეორიების შექმნის დროს, როგორც ქვემოთ ვნახავთ, ერთი მიზანი ამოძრავებდა—ბურჟუაზიული სახელმწიფოს ეთიკურად გამართლება და ბურჟუაზიული სახელმწიფოს როგორც საერთო ხალხური სახელმწიფოს დასაბუთება.

პროფ. პეტრაჟიციის სამართლის ფილოსოფიის ამ მხრივ განხილვა მით უფრო საჭიროა, რომ არსებულ ბურჟუაზიულ თეორიათა შორის არც ერთი ისე არ „ამტკიცებს“ ბურჟუაზიული სამართლის და სახელმწიფოს „ეთიკურ აუცილებლობას“ და „ბუნებრიობას“, როგორც ის, ვინაიდან სამართლის და სახელმწიფოს დასაწყისს პროფ. პეტრაჟიკო თითქოს საკუთარ კანონზომიერების მქონე ბუნებაში, ემოციურ ფსიქიკაში ხედავს. ასეთი ხერხის საშუალებით პროფ. პეტრაჟიკი ცდილობს მოგვაჩვენოს, რომ ბურჟუაზიულ სახელმწიფოს ფესვები ისეთ სიღრმეში აქვს გადგმული, რომ ამ სახელმწიფოს არსებობა არაფრით არ შეიძლება დამოკიდებულ იქნეს იმ სუბიექტთა სურვილებზე, რომლების ფსიქიკასაც, პეტრაჟიციის აზრით, ემყარება ეს სახელმწიფო. ერთი სიტყვით, ამ გზით პროფ. პეტრაჟიკი ცდილობდა სუბიექტურში ობიექტური შინაარსის გახსნას. ცდილობდა სახელმწიფოს ბუნებრივი აუცილებლობა მის მიერ ნაგულისხმევ ამ სახელმწიფოს შემქმნელ სუბიექტებისათვის დაესაბუთებინა.

როგორც ნამდვილი ემოციონალიზმის წარმომადგენლისთვის, პროფ. პეტრაჟიციისათვისაც, მხოლოდ ის, რაც საკუთარი კანონზომიერების მქონე ემოციონალური ფსიქიკის ქმნილებად ითვლება, ბუნებრივადაც მკვიდრია. მხოლოდ ასეთ რამეში, ემოციონალისტების აზრით, სუბიექტიც ისე თავდავიწყებამდნეა ჩაძირული, რომ ის თურმე ვეღარ ამჩნევს იმ განსხვავებულობას, რომელიც არსებობს განცდილსა და საკუთარ თავს შორის. ემოციონალისტების ფილოსოფიის თანახმად, სუბიექტი მხოლოდ ამ გზით, როგორც ისინი ამბობენ, „გამომკვლავებულ ღირებულებას“ როგორც საკუთარი შინაარსის აუცილებელ მომენტს შეიცნობს. ესე იგი, მათ მიერ იგულისხმება, რომ მხოლოდ ასეთ შემთხვევაშია სუბიექტი თავის თავთან სრულ თანხმობაში.

და საგულისხმო აქ სწორედ ის არის, რომ ემოციონალისტების თა-

ნახვად, ის, რაც თითქოს მათ ემოციურ ფსიქიკაში თავისთავად გაიხსნა და გამოქვდავდა, მით უფრო სრულყოფილია და, როგორც ისინი ამბობენ, მათ უფრო სრული სიცხადით მოცემულია, რაც უფრო მას თვით სუბიექტი რაიმე სხვა პრინციპის მიხედვით უარყოფს, რადგან ისინი ფიქრობენ, რომ ყოველ ისეთ შემთხვევაში ის, რაც საკუთარი კანონზომიერების მქონე ემოციურ ფსიქიკაში ჩაიკვეთა, უფრო ნათლად ჩანს თვით სუბიექტისათვის. პროფ. პეტრაჟიციუს აზრით, ყოველი წინააღმდეგობა, რომელსაც ემოციური ფსიქიკა ელობება, კი არ ასულტებს უკანასკნელს, არამედ, პირიქით, თურმე აძლიერებს და უფრო ააშკარავებს მას იმ „ღირებულებაში“, რომლის უარყოფაც სურთ. და სწორედ ამიტომ როდია შემთხვევითი ის გარემოება, რომ პროფ. პეტრაჟიციუს სამართლის ფილოსოფიის თანახმად, ამ ემოციური ფსიქიკის გაღაზიანება („Дразнение“) ამ ფსიქიკაში ნაგულისხმევ რაღაც მნიშვნელობათა შესწავლის საუკეთესო ხერხად ითვლება.

ამის გამო პროფ. პეტრაჟიციუს სამართლის ფილოსოფიის თავისებურებას ის ქმნის, რომ მის მიერ ერთხელ და სამუდამოდ დადგენილად ითვლება: რომ სახელმწიფო, ამ სახით შეგარძნობილი, რაღაც ღირებულებათა გამოვლინებაა და რომ აქვე დროს სახელმწიფოსა და სამართლის ცვალებადობა მხოლოდ ამ ემოციური ფსიქიკის თვითმოდრაობისა და თვითგანვითარების შედეგია.

ამგვარად, აქ მთავარია ის, რომ ემოციური ფსიქიკა პროფ. პეტრაჟიციუმ აბსოლუტურად დამოუკიდებელ კანონზომიერებაში დასახა და ამ გზით თვით სახელმწიფოც როგორც ამ ემოციურ ფსიქიკაში თითქოს თავისთავად გამოქვდავებულ ღირებულებათა „გარეყოფნა“ წარმოადგინა. პრობლემის ასეთი ორიენტაციით, პროფ. პეტრაჟიციუს სახელმწიფოს ობიექტურობა თვით სუბიექტისათვის უდავო რაღაცად უნდა გამხდარიყო. ასეთი ხერხის საშუალებით (საკუთარი კანონზომიერების მქონე ფსიქიკის „აღმოჩენით“) პროფ. პეტრაჟიციუმ თითქოს თვით სუბიექტში „დაამკვიდრა“ ცენტრი, რომლის თვისება და მოქმედება სუბიექტისაგან იმდენადვე დამოუკიდებლად იგულისხმებოდა, რამდენადვე დამოუკიდებელია მისგან მისი სხეულის რომელიმე ორგანოს თვისება და მნიშვნელობა.

ცხადია, რომ ამ მომენტიდან სამართლისა და სახელმწიფოს ისტორიის დასაწყისად, პეტრაჟიციუს სამართლის ფილოსოფიის თანახმად, დამოუკიდებელი კანონზომიერების მქონე ემოციური ფსიქიკა იგულისხმებოდა ისე, რომ უკვე აქ, დასაწყისშივე დაშვებული იყო შეცდომა, რომელიც ერთხელ და სამუდამოდ შეუძლებელს გახდიდა ამ მოძღვრების თუნდაც ერთი რომელიმე ნაწილის შერიგებას მარქსისტულ-ლენინურ მოძღვრებასთან სახელმწიფოსა და სამართლის შესახებ.

პროფ. პეტრაჟიციუსის სამართლის ფილოსოფია კი თავისთავად სათანადოდ ვერასოდეს ვერ იქნება გაგებული, თუ პროფ. პეტრაჟიციუსის ემოციური თეორიის ნამდვილი ემოციონალიზმი განთავისუფლებული არ იქნა იმ ინტელექტუალური და ნატურალისტური მომენტებისაგან, რომლებიც პროფ. პეტრაჟიციუსის ფილოსოფიაში უექველად შემთხვევითია. ეს მომენტებია სწორედ ის, რაც ვერ ეგუება სახელმწიფოსა და სამართლის იმ ბუნებრივ აუცილებლობას, რომლის დამტკიცებაც პროფ. პეტრაჟიციუსის სამართლის ფილოსოფიის ძირითად მიზანს წარმოადგენს.

განსხვავება პეტრაჟიციუსის თეორიასა და სხვა ბურჟუაზიულ თეორიებს შორის, რომლებიც სამართლის დასაწყისად, მაგალითად, სუბიექტის რომელიმე ერთ თვისებას /ნებას, ინტელექტს და სხვ./ აღიარებენ, იმაში მდგომარეობს, რომ თუ პეტრაჟიციუსის სამართლის ფილოსოფიის მიხედვით, აღნიშნულ გარემოებათა საფუძველზე ბურჟუაზიული სახელმწიფო დღეს (წინათ კი ალბათ სხვა სახელმწიფო) როგორც რაღაც ბუნებრივი, ყველამ უნდა მიიჩნიოს სამაგიეროდ პირველი თეორიების საფუძველზე იგულისხმება, რომ სუბიექტი ამ სახელმწიფოს როგორც რაღაც ხელოვნურ ქმნილებას ითვისებს. ისე, როგორც მაგალითად, ასეთად ითვისებდნენ სახელმწიფოს, ეგრეთ წოდებული „ხელშეკრულების თეორიის“ წარმომადგენლები.

პროფ. პეტრაჟიციუსის სამართლის ფილოსოფიის შესახებ ბევრია დაწერილი, რადგან დიდი ხნის განმავლობაში ის ლიბერალური ინტელიგენციის მიერ ნამდვილ პოლიტიკურ სიბრძნის წიგნად ითვლებოდა. ამაში რუსეთის ლიბერალური ბურჟუაზია ნახულობდა ყველაფერს, რაც მას განსაკუთრებით აინტერესებდა. ნახულობდა როგორც დებულებებს (პეტრაჟიციუსის ინტუიტიურ სამართლის თეორიის სახით) ბურჟუაზიულ რუსეთში ფეოდალური ინსტიტუტების ნაშთების კრიტიკისათვის. აგრეთვე უამრავ დებულებას, რომლის საფუძველზე შესაძლებელი იყო ბურჟუაზიული სახელმწიფოსა და სამართლის სრული ბუნებრიობისა და აბსოლუტურ-ეთიკური აუცილებლობის „დასაბუთება“.

ამ მხრივ სამართლიანად ძველი რუსეთის ბურჟუაზიულ თეორეტკოსთა შორის არცერთს არ მიუპყრია ისეთი ყურადღება, როგორიც პროფ. პეტრაჟიციუსი და არც ერთი თეორია ისეთ, ერთსა და იმავე დროს მხურვალე სჯა-ბაასის, ქებისა და გინების საგნად არ გამხდარა, როგორც მისი თეორია. პროფ. პეტრაჟიციუსის ფსიქოლოგიური თეორიის აღმუშავების მიერ /ივანოვი, მიხაილოვი/ ეს თეორია ცხადდებოდა როგორც სამართლის მეცნიერების დაგვირგვინება, რომლის არც ერთი დებულების სისწორეში არ შეიძლებოდა ეკვი შეტანილიყო. მათი აზრით, კანტის-

იმ ღებულებას, „რომ იურისტები ღლესაც ეძებენ სამართლის ცნებას“-ო ამ თეორიის შემდეგ იწინაშეწელობა ეკარგებოდა, რადგან რკელისხმებოდა, რომ პეტრაჟიციკიმ ნახა სწორედ ის, რასაც, უიპვდოლ რამდენიმე საუკუნის განმავლობაში ბურჟუაზიული იურისტები ეძებდნენ. ზოგიერთნი, მართალია, უფრო თავდაპირილად ეგებებოდნენ ამ ახალ თეორიას, მაგრამ მათზე ნაკლებ არ აღნიშნავდნენ იმ როლს, რომელიც თითქოს შეასრულა პროფ. პეტრაჟიციკის სამართლის ფილოსოფიამ სავრთო ბურჟუაზიულ სამართლის მეცნიერების განვითარების საქმეში. სხვები კი მიუთითებდნენ იმაზე, რომ ფსიქოლოგიური თეორიის საფუძვლებზე შეუძლებელია სამართლისა და სახელმწიფოს ობიექტური რეალობის დასაბუთება (კოსტიაკოვსკი), ან იმაზე, რომ პეტრაჟიციკის თეორიის მიერ სწორად არ არის დადგენილი განსხვავება სამართლისა და ზნეობას შორის (ტრუბეცკოი) ანდა კიდევ იმაზე, რომ პეტრაჟიციკის მიერ ნაგულისხმევი ემოციები არ არიან პარველადნი (ორჟანეცკი), და სხვა და სხვ. მაგრამ იმაზე, რომ პროფ. პეტრაჟიციკის სამართლის ფილოსოფიას საფუძვლად უდევს ერთი ყველასთან გაიგივება და, აქედან, თვით პეტრაჟიციკისათვის შეუძინებლად. მისი სოციალური ფილოსოფია, რუსოს მიერ ნაგულისხმევ სოციალურ თანხმობაში იწყება; რომ პროფ. პეტრაჟიციკის თეორიის მიერ სამართლის შემბორკავი ძალა თითქოს ემოციურ ფსიქიკაში თავისთავად გამომჟღავნებულ ღირებულების მოტივაციურ ძალად იგულისხმება, და რომ ამ თეორიის მიხედვით სახელმწიფო და სამართალი როგორც სუბიექტის ამ „ღირებულებებთან“ ინტიმურ კავშირში ყოფნის შედეგი განიხილება, — არაფერი ყოფილა აღნიშნული. ისევე, როგორც სრულებით შეუძინებლად ჩაიარა ამ ფილოსოფიის ნათესაობაში თანამედროვე ფენომენოლოგიური ფილოსოფიის წარმომადგენლების მოძღვრებასთან.

II

პროფ. პეტრაჟიციკის სამართლის ფილოსოფია ვერ იქნა სათანადოდ შეფასებული ბურჟუაზიული კრიტიკის მიერ იმიტომაც, რომ ამ კრიტიკამ იმ ნატურალიზმის და ინტელექტუალიზმის სამოსში, რომელიც გახვეულია ეს თეორია, ვერ გაარჩია მისი დამახასიათებელი ემოციონალიზმის ის ბირთვი, რომელიც პეტრაჟიციკის სამართლის ფილოსოფიას განსაკუთრებულ მეტაფიზიკურ ხასიათს აძლევდა. ამ კრიტიკამ ვერ შეამჩნია, რომ პეტრაჟიციკი ნამდვილი ემოციური აბრიორიზმის წარმომადგენელია და რომ მისი თეორია ფენომენოლოგისტების — შაქს შელერისა და ჰილდებრანდის ფილოსოფიის მონათესავეა.

ბურჟუაზიული კრიტიკა პროფ. პეტრაჟიციკის თეორიას ყოველთვის აჩვენებდა კანტის ინტელექტუალური აპრიორიზმის სიმალღებებიდან ისე, თითქოს ბურჟუაზიულმა ფილოსოფიამ არ იცოდა სხვა, ასე ვთქვათ, უფრო მეტაფიზიკური აპრიორიზმი, — ემოციური აპრიორიზმი, რომლის წარმომადგენლად სულ უკანასკნელ პერიოდში მაქს შელერის და ჰილდებრანდის ფილოსოფია იყო.

როგორც ვიცი, პროფ. პეტრაჟიციკის ემოციონალიზმის ძირითად საფუძველს წარმოადგენს ის მეტაფიზიკური დებულება, თითქოს არსებობენ რაღაც პირველადი განცდები, რომელშიც თავიდანვე და თავისთავად, ყველაფრისაგან დამოუკიდებლად, მკლავნდებიან ისეთი ობიექტური ხასიათის „ღირებულებანი“, რომლებიც შეიძლება მხოლოდ, როგორც პეტრაჟიციკი ამბობს, ადეკვატურად (ფენომენოლოგისტები კი იტყვოდნენ ფენომენოლოგიურად) იყო ათვისებული.

ეს განცდები პეტრაჟიციკის აზრით, არის არა განცდა უკვე თავისთავად ამ განცდებზე უფრო ადრე არსებულის, არამედ თვით ეს განცდები პირველადვე თავის თავშივე ხსნიან გარკვეულ ობიექტურ მნიშვნელობებს, რომლებიც დამოუკიდებელი ჰერეტის საგნად უნდა იყოს მიჩნეული. ამ განცდების მიღმა კი პეტრაჟიციკის სამართლის ფილოსოფიის მიხედვით, უნუგემო, თავბრულდამსხმელი სიკარიელე იგულისხმება.

მართალია, პროფ. პეტრაჟიციკიმ თავისი სამართლის ფილოსოფია ვერ გაშალა ამ ემოციური აპრიორიზმის საფუძველზე იმ თანმიმდევრობით, როგორც ამ აპრიორიზმის საფუძველები ითხოვდა, მაგრამ ეს აიხსნება მხოლოდ იმით, რომ პროფ. პეტრაჟიციკის სამართლის ფილოსოფია მოკლებული იყო საშუალებებს, მონახა სათანადო გამოთქმები იმისთვის, რასაც ის გულისხმობდა დღევანდელი ფენომენოლოგისტების ფილოსოფიის მიხედვით უკვე ნათელი ხდება, თუ რას გულისხმობდა მთელ რიგ შემთხვევაში ამ ფილოსოფიის მონათესავე პეტრაჟიციკის სამართლის ფილოსოფია. მაგ., პროფ. პეტრაჟიციკის სამართლის ფილოსოფიის თვალსაზრისით, სამართლებრივ და ზნეობრივ განცდათა შორის ის განსხვავებაა, რომ ერთში, ეგრეთწოდებულ სამართლებრივ-ემოციონალურ განცდებში, პროფ. პეტრაჟიციკის აზრით, გვაქვს თითქოს ისეთი ობიექტური შინაარსი, რომელშიც სუბიექტი განიცდის, რომ მოვალეა შეასრულოს გარკვეული მოქმედება; ხოლო მორეს (მაგალითად, კრედიტორს) აწერს უფლებას, მოსთხოვოს მას ამ მოქმედების შესრულება. ზნეობრივ ემოციებს კი ახასიათებს, პროფ. პეტრაჟიციკის ფილოსოფიის თანახმად, მხოლოდ წმინდა იმპერატიული ბუნება. ესე იგი თვით განმცდელი ყველაფრისაგან დამოუკიდებლად თითქოს თავისთავად შეიცნობს, რომ ვალდებულია შეასრულოს გარკვეული მოვალეობა. „ისეთ მოვალეობებს, რომლებიც

შეიცნობა როგორც თავისუფალი მეორის მიმართ, რომლის მიხედვით სხვას არაფერი არ ერგება მოვალეთა მხრივ. ჩვენ, — ამბობს პროფ. პეტრაჟიცი. — ვუწოდებთ ზნეობრივ მოვალეობას, იმ მოვალეობას კი, რომელიც, როგორც არათავისუფალი, შეიცნობა სხვის მიმართ, შეიცნობა როგორც სხვაზე მიმაგრებულად, პროფ. პეტრაჟიცი თვლის „იმპერატიულ ატრიბუტულ განცდად“.¹

მაგრამ ეს იმპერატიული ბუნება, რომელზედაც პროფ. პეტრაჟიცი ლაპარაკობს, ისე კი არ უნდა იქნეს წარმოდგენილი, თითქოს ერთი სუბიექტი განიცდის მოვალეობას, შეასრულოს გარკვეული მოვალეობა, რადგან სათანადო პრეტენზიის მატარებელი მეორე სუბიექტია, არამედ ორივე, ესე იგი, როგორც იმპერატივი, ისე ატრიბუტუივი, ერთსა და იმავე სუბიექტში იგულისხმება. ორივეს მათ პროფ. პეტრაჟიცი ყოველთვის ერთი სუბიექტის ემოციურ განცდაში ხედავს. „სამართლის ბუნება, — წერს პროფ. პეტრაჟიცი. — არ იცვლება იმის გამო, წარმოებს თუ არა რაიმე ინდივიდუუმთა შორის ან სხვა ინდივიდუუმთა ფსიქიკაში, ან საერთოდ იმის გამო, არსებობენ სხვა ინდივიდუუმები თუ არა. ისეთი იმპერატიული ატრიბუტული განცდები და მათი ფრაქციები, ნორმები და სხვა — რომელიც ექნებოდა ისეთ ინდივიდუუმს, ყოველ ადამიანთა საზოგადოებრივი ურთიერთობის გარეშე რომ იქნებოდა, მაგალითად, ასეთ ადამიანს, რომელიც ცხოვრობს მთელი ქვეყნიერებისგან განცალკევებულ კუნძულზე, ან რომელიც ერთადერთი არსებაა მთელს დედამიწაზე, ან მოხვდა მარსზე, სავსებით შეფარდებულ იქნება დადგენილ სამართლის ცნებასთან“ (იქვე). როგორც ვხედავთ, პროფ. პეტრაჟიციის თეორიის თანახმად, სამართლის პირველად დასაწყისად სუბიექტი თავისთავად იგულისხმება, რომელიც როგორც აბსოლუტური დასაწყისი, ამავე დროს, პროფ. პეტრაჟიციის მიერ იგულისხმებოდა, რომ აბსოლუტურად თავისუფალიცაა. რობინზონიად, რომლის შესახებ მარქსი ლაპარაკობს, ამ თეორიის დასაყრდენი დებულებაა; ცხადია, რომ ასეთ საფუძველზე პროფ. პეტრაჟიციის სუბიექტის მოქმედების განმსაზღვრელ გარემოებად დასახელებულ

¹ «Существование и действие в нашей психике непосредственных сочетаний акционных представлений и отвергающих или одобряющих соответственное поведение, репульсивных или апульсивных, эмоций, проявляется между прочим в форме суждений, отвергающих или одобряющих соответствующее поведение, не как средство для известной цели, а само по себе, напр. «ложь постыдна» «не следует лгать» «следует говорить правду и т. п.» (Петражицкий, Теория права, т. I, ст. 21). და სწორედ „ამიტომაც ადამიანები, რომლებიც პრინციპულად გაურბიან სიკრულს, განიცდიან სათანადო მოვალეობას უდესტინატორებოდ, იმაზე ჩაუფიქრებლად, აყენებს სიკრულს ვინმეს ზიანს თუ არა, არ ჩადიან ამას მაშინაც, როდესაც ნათლად ხედავენ, რომ ზიანს არავის აყენებს“.

ემოციურ განცდებში თითქოს თავისთავად გამომქლავნებული „ღირებულებანი“ უნდა შიანდეს, და სხვა არაფერი. წინააღმდეგ შემთხვევაში, პროფ. პეტრაჟიციუს მიერ ნაგულისხმევი სუბიექტის თავისუფლებაც (როგორც აბსოლუტური დასაწყისი), სავსებით უარყოფილი იქნებოდა.

არ უნდა დავივიწყოთ, რომ სწორედ ამ აბსოლუტურად თავისუფალი სუბიექტის წყალობით პეტრაჟიციუს სამართლის ფილოსოფიიდან სამულდამოდ ელიმინირებულია ყოველი გარეგნული იძულებითი ზომენტი, რომლისთვის შესაძლებელი იქნებოდა სუბიექტის მოქმედების გარედან განსაზღვრა. ყოველ შინაარსს გაცლილი სუბიექტი, სუბიექტი, რომელშიც როგორც შელერის, ჰილდებრანდის სუბიექტის გვარად, მხოლოდ როგორც ღირებულებითი შესაძლებელი აქტების „მატარებელი“ სუბიექტი იგულისხმება, წარმოადგენს პროფ. პეტრაჟიციუს სამართლის ფილოსოფიის გამოსავალ წერტილს. ამ თითქოს თავის თავის განმსაზღვრელ სუბიექტს აქეთ და იქით, პეტრაჟიციუს სამართლის ფილოსოფიის ძირითადი საფუძვლების მიხედვით, დგას ყოველ მნიშვნელობას გაცლილი სამყარო; აქედან პეტრაჟიციუს სამართლის ფილოსოფია ვერაფერს ვერ გამოიყენებს თავის სამართლის და სახელმწიფოს ბუნების გასაგებად.

ასეთ პირობებში საჭირო აღარ არის იმის მტკიცება, რომ, რათა პეტრაჟიციუს სუბიექტი უმოქმედობაში ლოგიკურად არ დაიღუპოს, მის მამოძრავებელ მოტივაციურ ძალებად თითქოს ემოციურ განცდებში თავის თავად გამომქლავნებული ღირებულებანი უნდა ყოფილაყო პროფ. პეტრაჟიციუს მიერ ნაგულისხმევი.

ამის გარეშე პროფ. პეტრაჟიციუს სამართლის ფილოსოფიას ხელოვნური გამოსავალი არა აქვს.

მაგრამ თუ პროფ. პეტრაჟიციუს სამართლის ფილოსოფიის მიერ თავიდანვე იგულისხმება, რომ მხოლოდ ასეთი „ღირებულებანი“ უნდა ჩაითვალოს სუბიექტის პრაქტიკული მოქმედების საფუძვლად, მაშინ ბუნებრივად იმავე ფილოსოფიის მიხედვით ასეთი ზღაპრული ღირებულების სხვადასხვანაირი ხარისხის მოტივაციური ძალაც უნდა განისაზღვრებოდეს ამ ღირებულებათა შეგრძნების სიღრმით და, მაშასადამე, განსხვავებაც „უფლებრივ და ზნეობრივ „ღირებულებათა“ შორის, რომელზეც ლაპარაკობენ, ამ „ღირებულებათა“ სხვადასხვა შეგრძნების სიღრმეზე უნდა დაემყარებინათ.

საკითხის ასეთი დაყენების საშუალებით კიდევ ერთხელ ნათელი ხდება, თუ რაოდენად უახლოვდება პეტრაჟიციუს სამართლის ფილოსოფია ჰილდებრანდის იმ ეთიკის ფილოსოფიას, რომლის აზრით, არსებობენ „ისეთი ღირებულებანი, რომლებიც მხოლოდ პერიფერიულად შეიცილობიან“ და არსებობენ ღირებულებანი, რომელსაც სუბი-

ექტი თითქოს თავდავიწყებამდე განცდის. პირველი, პილდებრანდის აზრით. არის სამართლის, ხოლო მეორე კი — ზნეობრივი მოვლენების საფუძველი.

სავსებით ანალოგიურ რამეს ვხედავთ პროფ. პეტრაჟიციუსის სამართლის ფილოსოფიაში; აქაც უდავოდ ის იგულისხმება, რომ ეგრეთ წოდებულ ზნეობრივ ემოციებში თითქოს „გამომჟღავნებული ღირებულებანი“ თავისთავად ისე ღრმად არის სუბიექტის მიერ განცდილი, რომ ისინი თითქოს ყველაფრისაგან დამოუკიდებლად ხდებიან სუბიექტის პრაქტიკული მოქმედების მიზნად /აქედან, ზნეობრივი ემოციების წმინდა იმპერატორული ხასიათი/, ხოლო, როდესაც პროფ. პეტრაჟიკო უფლებრივ მოვლენებზე ლაპარაკობს, გულისხმობს, რომ მის ეგრეთ წოდებულ უფლებრივ ემოციებში თითქოს თავისთავად გამომჟღავნებული ღირებულება აღარ არის სუბიექტის მიერ ისე ღრმად შეგრძნობილი, რომ მათ შეეძლოთ დაუხმარებლად სუბიექტის პრაქტიკული მოქმედების საბაზი გახდნენ. ამიტომ თვით ამ განცდის შინაარსში პეტრაჟიციუსის შეყავს ახალი მომენტი — „სხვა, რომელსაც სუბიექტი აწერს უფლებას, მოითხოვს მისგან იმის შესრულებას, რასაც „ცოცხალი“ ადამიანი ემოციური განცდა აპართლებს“. პეტრაჟიციუსის ეს სამართლებრივი ემოციების შინაარსის ახალი მომენტი თითქოს ხელოვნურად ამღიერებს ამ განცდაში მოცემულ ღირებულებას იმ ხარისხამდე, რომელიც საკმარისია, რომ ეს ღირებულება პრაქტიკული მოქმედების საფუძველი გახდეს. ეს არის პროფ. პეტრაჟიციუსის სამართლის ფილოსოფიის ძირითადი აზრი და ამის გარეშე ეს ფილოსოფია ვერასოდეს ვერ იქნება გაგებული ისე, როგორც საჭიროა. როგორც უნდა იყოს გარეგნული განსხვავება პროფ. პეტრაჟიციუსის ზნეობასა და სამართალს შორის, საერთო მათ მაინც თურმე აქვთ: ორივე შემთხვევაში ერთნაირად იგულისხმება, რომ სუბიექტის მიერ თითქოს განცდილი რაღაც „ღირებულება“ პრაქტიკული მოქმედების საფუძველად ხდება არა რაღაც სუბიექტის გარეთ არსებულ გარემოებათა ზემოქმედების სამუშაოებით, არამედ ამავე სუბიექტის მათთან რაღაც ინტიმური ღრმა დამოკიდებულების გზით. ხოლო იმ განსხვავებით, რომ ერთ შემთხვევაში თითქოს ემოციურად განცდილი რაღაც „ღირებულება“ სუბიექტის მიერ ისე ღრმად შეგრძნობილად ითვლება, რომ ღირებულებაც სუბიექტის პრაქტიკული მოქმედების საკმარის საფუძველად იგულისხმება; ხოლო მეორე შემთხვევაში იგულისხმება, რომ რაღაც „ღირებულება“ ისე ზერელედ, პერიფერიულად არის შეგრძნობილი, რომ თავისთავად ის პრაქტიკული მოქმედების საფუძველად ვერ გაქმნდება, თუ რაიმე ახალი გარემოებით არ იქნა გაძლიერებული. ასეთი გარემოების როლს პეტრაჟიციუსის სამართლებრივი განცდების

სფეროში ასრულებს ის, რომ აქვე თავიდანვე ნაგულისხმევია „სხვა“, როპელსაც მიწერილი აქვს იმის მოთხოვნის უფლება, რასაც სუბიექტი ვერ შეასრულებდა — მხოლოდ ამ „ძირითადი ღირებულებით“ რომ ყოფილიყო მიტოვებული.

ამრიგად, ვხედავთ, რომ პროფ. პეტრაეიციკის სამართლის ფილოსოფიის თანახმად სახელმწიფო და სამართალი სუბიექტის გარეშე მოქმედი ძალების შედეგს კი არ წარმოადგენს, არამედ იგულისხმება, რომ ისინი შედეგია იმ ინტიმური კავშირისა, რომელშიც სუბიექტი ყველაფრისგან და ყველასგან დამოუკიდებლად თითქოს მის ემოციურ განცდებში რაღაც თავისთავად გამოძვლავნებულ ღირებულებასთან იმყოფება. ამიტომ, თუ, ყველა ინტელექტუალისტის მიერ, როგორც იყვნენ. მაგალითად, ეგრეთ წოდებული „ხელშეკრულების თეორიის“ წარმომადგენლები, სახელმწიფო ხელოვნურად შექმნილ იმ ფენომენად იყო მიჩნეული, რომლისგან ლოგიკურად სუბიექტს ყოველ წუთს შეეძლო თავი დაეღწია, პროფ. პეტრაეიციკის მიერ ნაგულისხმევი ბურჟუაზიული სახელმწიფოს ფესვები თურმე ისეთ განცდებშია ჩაშვებული, ისეთ საკუთარ კანონზომიერების მქონე ბუნების გამოვლინებად არის მიჩნეული, რომ სუბიექტს სურვილისამებრ არასოდეს არ შეუძლია მას თავი დააღწიოს.

ცხადია, ასეთი ფილოსოფიის საფუძველზე, სახელმწიფოს როგორც ეთიკური, ისე ბუნებრივი აუცილებლობა თვით ამ სუბიექტის მიერ უნდა იგულისხმებოდეს.

ეს არის პროფ. პეტრაეიციკის სამართლის ფილოსოფიის პოლიტიკური რომანტიკა. ის, რაც ვთქვით, წარმოადგენს მთელი მოძღვრების ლაიტმოტივს, რომელიც პროფ. პეტრაეიციკის ყოველ დიდ და პატარა დებულებაში ყოველთვის მოცემულია.

აქედან გამომდინარე, პროფ. პეტრაეიციკის სამართლის ფილოსოფიის თანახმად ყოველთვის იგულისხმება, რომ:

1. სახელმწიფოს არსებობა დამოკიდებული არ არის სუბიექტის სურვილებზე, თუმცა თვით ეს სუბიექტი სახელმწიფოს დასაწყისად იგულისხმება, რადგან საბოლოო ანგარიშში სახელმწიფოს წყაროდ სუბიექტში არსებული, საკუთარი კანონზომიერების მქონე თვისება /ემოციები/ იგულისხმება;

2. ამ ბუნების /ემოციების/ მოქმედება ყოველთვის იმაში გამოიხატება, რომ ის თითქოს ყველაფრისგან დამოუკიდებლად, თავისთავად და თავისთავად თავში ამყლავნებს რაღაც ღირებულებებს;

3. ბუნება აბსოლუტურად იზოლირებულია, რადგან ის, როგორც სახელმწიფოს და სამართლის დასაწყისი, არაფრით არ შეიძლება გარედან ისაზღვრებოდეს და მიზეზობრივად რაიმე ზემოქმედებას განიცდიდეს;

4. თავ-სთავად გამოქვეყნებულ ღირებულებასთან სუბიექტი იმ ინტემერ კავშირში იმყოფება, რაც თითქოს სახელმწიფოს ქმნის.

პროფ. პეტრაჟიციმ მშვენიერად იცის, თუ რას ნიშნავს რაიმე გარემოების სამართლის წყაროდ დასახვა, და იღებს რა სპეციფიკური ხასიათის ემოციურ განცდებს სამართლისა და სახელმწიფოს წყაროს მნიშვნელობით, თავის სამართლის ფილოსოფიას ამ ემოციების უშუალო დადგენით იწყებს. ესე იგი ამ ემოციებს კი არ ასახულებს, არამედ მას პეტრაჟიციკი თითქოს როგორც თავისთავად მოცემულს მხოლოდ აღწერს, რადგან /დასაწყისად/ პროფ. პეტრაჟიციკისაც ის მაჩინია, რაც თვით აპირობებს რამეს, მაგრამ თავის მხრივ განპირობებული არ შეიძლება იყოს. პეტრაჟიციკის თანხმად, სამართლის წყარო თვით არის დასაწყისი, მაგრამ თვითონ კი არ შეიძლება რაიმე იწყებოდეს და რისგანვე იყოს დამოკიდებული. ამიტომ პროფ. პეტრაჟიციკი თავის ემოციურ ფსიქიკას, როგორც მის მიერ ნაგულისხმევე ყველაფრის დასაწყისს, როგორც თავისთავად მოცემულობას, ფენომენოლოგიური /ადეკვატური/ ათვისების საგნად გულისხმობს.

ამ აბსოლუტურ დასაწყის საფუძველზე, რომელსაც აბსოლუტური თავისუფლებაც ახასიათებს, ჩვენ წმინდა ლაიბნიციანებურ კონცეფციას ვღებულობთ. როგორც ღვთაების განუსაზღვრელობის დაშვების საფუძველზე ლაიბნიცი უნდა ელიარებინა, რომ ჩვენი სამყარო არის არა ერთადერთი, არამედ ერთ-ერთი შესაძლებელი სამყარო, აგრეთვე აბსოლუტურად თავისუფალი სუბიექტის მიხედვით, რომელიც საფუძვლად უდევს პროფ. პეტრაჟიციკის სამართლის ფილოსოფიას, ყოველ არსებულ სახელმწიფოს შესახებ უნდა ითქვას, რომ თავიდანვე ის შეიძლება არ ყოფილიყო, ან შეიძლება ყოფილიყო, მაგრამ სხვა სახით და მნიშვნელობითაც, ვიდრე არის. იგულისხმება, რომ ყველაფერა ეს თავიდან თითქოს თავისთავის განმსაზღვრელ ემოციებზე იყო დამოკიდებული ისე, რომ პროფ. პეტრაჟიციკის სამართლის ფილოსოფიის მიხედვით სახელმწიფოს აუცილებლობის დასაბუთება ყოველად შეუძლებელია, თუმცა ამ ფსიქიკით უკვე შექმნილი სახელმწიფო იმ სახით არის პეტრაჟიციკის მიერ მოცემული, რომ მის შემქმნელ სუბიექტს /როგორც პეტრაჟიციკი გულისხმობს/ ამ სახელმწიფოს გარეშე და დამოუკიდებლად ჩხვევ არ უნდა შეეძლოს თავის წარმოდგენა, როგორც მისთვის შეუძლებელია საკუთარი ბუნების გარეშე თავის წარმოდგენა.

მეორე მხრივ ეს ფსიქიკა, როგორც ყველაფრის დასაწყისი — როგორც ყოველ შინაარსს გაცლილი შესაძლებლობა უნდა ჩაითვალოს, რადგან ყოველი მასში მოცემული, პეტრაჟიციკის მიერ ნაგულისხმევი შინაარსი, უკვე როგორც მისი გამოვლინება, ესე იგი როგორც სამართალი უნდა ითვლებოდეს; პეტრაჟიციკის აზრით, წყარო კი ყოველთვისაა,

ვიღრე ის, რაც მის მიერ შეიქმნება. ისე რომ, აქ აბსოლუტურად წმინდა და ყოველ კონკრეტულ შინაარსს გაცლილი და თვითგანმსაზღვრელი რაღაც ემოციური შესაძლებლობა სამართლის და სახელმწიფოს დასაწყისად იგულისხმება. აქ საბოლოოდ პროფ. პეტრაჟიციუსის სახელმწიფოც არარაობაში იწყება.

ჩვენ ვხედავთ, თუ რა უფსკრული დევს ამ ფანტასტიკური სამართლის ფილოსოფიასა და მარქსისტულ-ლენინურ მოძღვრებას შორის, ვხედავთ, რომ პირველის არც ერთი დებულება არ შეიძლება შერიგებულ იქნეს მეორე მოძღვრების დებულებასთან. და ამიტომ რაღაც სავსებით გაუგებარ გარემოებად უნდა ჩაითვალოს ის, რომ პროფ. რეისნერი მარქსიზმის „შეკერებას“ პეტრაჟიციუსის ამ ფსიქოლოგიური თეორიის საშუალებით ცდილობდა.

ამისდა მიუხედავად, პროფ. პეტრაჟიციუსის სამართლის ფილოსოფია არსებითად სოლოფსისტური ფილოსოფიაა. პროფ. პეტრაჟიციუსის ი სუბიექტის გარეშე, რომელზეც ზემოთ გვქონდა ლაპარაკი, არ არსებობს არაფერი ისეთი რამ, რასაც ობიექტური მნიშვნელობა და ღირსება არაფერი ისეთი რამ, რასაც ობიექტური მნიშვნელობა და ღირსება მხოლოდ სუბიექტს დააქვს თან. აქ მხოლოდ ეს სუბიექტი ჰყენს თურმე თავის ირგვლივ ღირებულებათა მნიშვნელობებს ემოციური განცდების პროექციების სახით. ისე კი ამ სუბიექტის გარეშე სრული სიცარიელე იგულისხმება. თუ ამ სიცარიელეში რაიმე ანათებს — ანათებს არა საკუთარი სინათლით და მნიშვნელობით, არამედ მათზე სუბიექტის მიერ თავიდანვე თურმე მინათებული სხივებით.

პროფ. პეტრაჟიციუსის გარეგნული სამყარო მდიდარია მხოლოდ იმდენად, რამდენადაც მასში სუბიექტი დგას, და ეს უკანასკნელი მას იმ ლანდებით ამჭრდროვებს, რომლებიც, პროფ. პეტრაჟიციუსის სიტყვებით რომ ვინხმართ, თურმე ემოციური განცდების პროექციებს წარმოადგენენ.

ასეთი უკიდურესი სოლიფსიზმის საფუძველზე პეტრაჟიციუსის სუბიექტი ყოველ წუთს იმ ბუნებრივ მდგომარეობაში იგულისხმება, რომლიდანაც დაიწყეს ლოგიკურად თავისი „ისტორია“ რუსოს იმ სუბიექტებმა, რომლებიც თითქოს ხელშეკრულების დადებით სახელმწიფოებრივი კოსმოსის ელემენტები გახდნენ. რადგან ყოველ ღირებულებას გაცლილი სამყარო პეტრაჟიციუსის სამართლის ფილოსოფიაში ბოლოს და ბოლოს იმასვე ნიშნავს, რასაც რუსოს ფილოსოფიაში ნიშნავს „ბუნებრივი მდგომარეობა“.

„სახელმწიფო და საერთოდ საზოგადოებრივი ხელისუფლება, — ამბობს პროფ. პეტრაჟიციუსი, — არის საერთოდ არა რაღაც რეალური, არამედ არის ემოციური პროექცია, არის ძირითადი სახე გარკვეულ პირების მიერ განცდილი უფლებებისა“. პეტრაჟიციუსის სუბიექტები, ისევე, რო-

გორც რუსოს სუბიექტებო, სახელმწიფოს აბსოლუტურ სოციალურ იწყებენ.

თავისთავად ცხადია, რომ ასეთ ცარულ გარემოცვაში, პეტრა-ვიციის მთელი სახელმწიფო თავდაპირველად როგორც სუბიექტების თვითგანსაზღვრის შედეგად უნდა წარმოედგინა.

და რომელი დარკიც უნდა ავიღოთ, ყველაფერი პეტრაიციის ფი-ლოსოფიაში ამ თვითგანსაზღვრელ ინდივიდუუმს ეყრდნობა და ამის-გან იწყებს არსებობას. აიღეთ თუნდაც საკუთრების ინსტიტუტი, ესეც ხომ პროფ. პეტრაიციის მიერ როგორც სუბიექტის თვითგანსაზღვრის შედეგი იგულისხმება. აქ საკუთრება მხოლოდ სახელწოდებაა სუბ-ექ-ტის გარკვეულ სახის თვითგანსაზღვრულობის. საკუთრება, ანუ პეტრაიციი, არის ფსიქიკურ-ემოციური ინტელექტუალური მოვლენა და არსებობს მხოლოდ იმის ფსიქიკაში, ვინც სხვას აწერს საკუთრების უფლებას. ვინც აწერს სხვას საკუთრების უფლებას, ის თვლის თავის თავს ვალდებულად, ამ სხვისაგან მოითმინოს ყოველი მოპყრობა ნე-თისადმი, ხოლო, თავის მხრივ, თავი შეიკავოს ამ ნევთზე ყოველგვარი ზემოქმედებისაგან“. ყველაფერი ეს, პეტრაიციის აზრით, შედეგია ევრეთ წოდებული იმპერატიულ-ატრიბუტული განცდების. საკუთრება ამ ინტერპრეტაციის თანახმად; უსათუოდ, როგორც გარკვეული მნიშვნელობის თვითგანსაზღვრა წარმოედგინება. ნუ მივიღებთ თუნ-დაც ერთი წუთით მხედველობაში თვითგანსაზღვრელ თავისუფალ სუ-ბიექტს — დავუშვათ, თუნდაც ერთი წუთით, რომ რომელიმე სამართ-ლებრივი ფენომენი, პეტრაიციის ფილოსოფიის თანახმად. შეიძლება დასაბუთებულ იქნეს ამ თვითგანსაზღვრულ სუბიექტებისაგან დამოუ-კიდებლად, და პეტრაიციის მთელი სამართლის ფილოსოფია უპალვე დაიშლება. არაფერს გარედან, პეტრაიციის სამართლის ფილოსოფიის თანახმად, არ შეუძლია სუბიექტი რაიმე სოციალური მნიშვნელობით განსაზღვროს; აბსოლუტური ერთეული აქ ყოველთვის საკმარისად არის მიჩნეული სამართლის და სახელმწიფოს ბუნების გასაგებად. ყოველი სამართლებრივი და ეთიკური მნიშვნელობით, პროფ. პეტრაიციის სა-მართლის ფილოსოფიის თანახმად. სუბიექტი როგორც აბსოლუტური ერთეული თვით ისაზღვრება და სახელმწიფოც, პროფ. პეტრაიციის თანახმად, საბოლოო ანგარიშში სუბიექტის თვითგანსაზღვრის უბრა-ლო სახელწოდებაა. ხოლო ამ ფილოსოფიის თანახმად იგულისხმება, რომ თვით ეს თვითგანსაზღვრა უკვე აღნიშნულ რაღაც ემოციურად განცდილი ღირებულებების საფუძველზე უნდა წარმოებდეს. თუ დავუკ-ვირდებით. ძნელი არ იქნება იმაში დარწმუნება, რომ სახელმწიფოს სა-ფუძვლად ამ შემთხვევაში თვითგანსაზღვრელი სუბიექტები იგულის-ხმება, როგორც ჩანს, თავიდანვე აქ რაღაც ღირებულებათა თანმთხვევა-

ცაა დაშვებული. წინააღმდეგ შემთხვევაში პეტრაჟიციის სამართლის ფილოსოფიის მიერ სახელმწიფო და ერთეული სუბიექტი აბსოლუტურად ერთმანეთში გაიგივებულ უნდა იქნეს. ასე რომ, იგივეობა, ანუ თვითგანსაზღვრული სუბიექტების აბსოლუტური თანხმობა პეტრაჟიციის სახელმწიფოს სულ უკანასკნელი დასაყრდნობი საფუძველია. ერთეულის და ყველას აბსოლუტური იდენტობა არის აქ ყველაფრის საბაბი. ოღონდ თუ რუსოს მიერ ნაგულისხმევ თანხმობას სუბიექტთა რაღაც ანგარიში უდევს საფუძველად (რადგან რუსოს სუბიექტებმა ჯერ აწონ-დაწონეს და მერე სახელმწიფოს არსებობას მისცეს უპირატესობა), პეტრაჟიციის მიერ ნაგულისხმევი თანხმობა სრული და აბსოლუტური თანხმობის გამოხატეულია. რადგან აქ თანხმობა თითქოს გამოხატავს ამ რაღაც „ღირებულებათა“ თანმთხვევას, რომლის შესახებ პროფ. პეტრაჟიცი მოგვითხრობს.

ამრიგად: 1. იმ აბსოლუტური თავისუფალი სუბიექტის საფუძველზე, რომელიც პროფ. პეტრაჟიციის სამართლის ფილოსოფიის აბსოლუტურ დასაწყისად იგულისხმება, და რომლის გარეშე, როგორც აღნიშნული იყო, არაფერი სოციალურ არეში არ არსებობს — სახელმწიფო, სამართალი, საკუთრება და საერთოდ ყველაფერი, სუბიექტის თავისუფალი თვითგანსაზღვრის შედეგად უნდა ჩაითვალოს;

2. რამდენადაც პროფ. პეტრაჟიციის მიერ ამის საფუძველზე ერთხელ და სამუდამოდ უარყოფილია სუბიექტის /როგორც დასაწყისის/ გარედან განსაზღვრულობის შესაძლებლობა და ამდენად, სახელმწიფო ერთ სუბიექტთან არ შეიძლება გაიგივებულ იქნეს, იმდენად თავიდანვე ნაგულისხმევი, რომ ამ სახელმწიფოს საბოლოო საფუძველი თვითგანსაზღვრულ სუბიექტთა თანხმობაა. მათი სრული იდენტიტეტია;

3. ეს თანხმობა კი, რომელიც აქ ცალკე მნიშვნელობებში თითქოს თავისთავად გამოქვეყნებულ „ღირებულებათა“ შემთხვევით თანმთხვევას ნიშნავს, იგულისხმება, რომ ყოველთვის ეთიკურად უფრო სრულყოფილია, ვიდრე ყოველი ხელშეკრულება და თანხმობა, რომლის საფუძველადაც ანგარიშიანობას გულისხმობენ.

მას შემდეგ, რაც პროფ. პეტრაჟიციმ სამართლისა და სახელმწიფოს დასაწყისი სუბიექტში მოაქცია, მის წინაშე უნდა დასმულიყო საკითხი იმის შესახებ, თუ თვით სუბიექტის მიერ შექმნილი სამართალი იმავე სუბიექტისათვის ყველაფრისგან დამოუკიდებლად რამდენად შეიძლება სავალდებულო იყოს. და ეს საკითხი პროფ. პეტრაჟიციმ თავისებურად იმით „გადაჭრა“, რომ ეს სამართალი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საკუთარი კანონზომიერების მქონე ემოციების შედეგად აღიარა. ამ ემოციების საფუძველზე იგულისხმება, რომ სუბიექტი გარედან არ ისა-

ღერება. თავიდანვე დაშვებული იყო, რომ ემოციური განცდებით სუბიექტი შიგნიდან თვით ისაღვრება დანიშნულებისამებრ (მესაკუთრის, მფლობელის და სხვ), რაც სუბიექტს ყოველთვის ერთადერთ შესაძლებელ და ამავე დროს გამართლებულ დანიშნულებად უნდა მიაჩნდეს. ამ ფილოსოფიის თანახმად სამართლის შესრულების აუცილებლობაც სუბიექტს გარეჯან კი არ ევლინება, არამედ იგულისხმება. რომ ასეთ აუცილებლობას სუბიექტს საკუთარ კანონზოპიერების ექონე ემოციურ განცდებში უქმნიან; უფრო სწორად, პროფ. პეტრაჟიციუსის თავისებურ „ღირებულების ფილოსოფიით“ იგულისხმება, რომ ერთადერთ გამართლებულ რაღაც მისწრაფებულებას /ამასთან, ეს აუცილებლობის სახით წარმოიდგინება/ ქმნის რაღაც „ღირებულებანი“. რომლებიც, პროფ. პეტრაჟიციუსის თანახმად, თითქოს სამართლებრივ ემოციურ განცდებში თავისთავად აშკარაა.

„ხანდახან რომ ვფიქრობთ ცხოვრების სხვადასხვა შემთხვევებზე, თუ როგორ მოვიქცეთ, ან რა გადაწყვეიტით, — ამბობს პროფ. პეტრაჟიციუსი, — ვგრძნობთ, რომ ამა თუ იმ მოქმედების არჩევაში ჩვენ სრულებით თავისუფალნი ვართ. წავიდე თუ არა სასეირნოდ, ვიყიდო წიგნი ან ამა თუ იმ მაღაზიაში, დავსახლდე ან თუ იმ ქუჩაზე, — ეს ყველაფერი თავისუფალი დამოკიდებულება იქნება, თუ რა შეჩვენება მე სასიამოვნოდ, მოხერხებულად, სასარგებლოდ და სხვა. სხვა შემთხვევაში კი, პირიქით, ვგრძნობთ, რომ ჩვენი ნება შებოროტია, ვგრძნობთ, რომ ჩვენ ვალდებული ვართ მოვიქცეთ გარკვეულად /მაგალითად, არ დავფაროთ და ვაცნობოთ სიმართლე ან თუ იმ ფაქტის შესახებ/, ან თავი შევკავოთ ან თუ იმ მოქმედებასაგან (მაგალითად, ყალბი ცნობების მიწოდებისგან) ისე, რომ ჩვენ არც კი გვზღვდა მსჯელობა იმის შესახებ მოგვიტანს თუ არა ასეთი მოქმედება ან თავის შეკავება რაიმე სარგებლობას, გამოადგება თუ არა ის სიამოვნების წყაროდ, თუ მოგვეჯობს უსიამოვნებას. ასეთ შემთხვევაში თითქოს რაღაც „შინაგანი“ ხმა ავტორიტეტულად მიგვიითთებს და საზღვრავს ჩვენს მოქმედებას: „ჩვენი სინდისი“ გვიბრძანებს, „შევასრულოთ ესა თუ ის მოქმედება“. ეს შინაგანი ხმა კი, პეტრაჟიციუსის თანახმად, არის თურმე არსებითად სამართლებრივი იმპერატიული-ატრიბუტული ემოციური განცდების შინაგანი ხმა.

საიდანაც არ უნდა მიუვდგეთ საკითხს, პეტრაჟიციუსის სამართლის ფილოსოფიის თანახმად, სამართლის შესრულება უნდა განიხილებოდეს, როგორც თავისუფალი სუბიექტის თვითგანსაზღვრა, ვინაიდან, როგორც ვთქვით, აქ იგულისხმება, რომ სუბიექტის განსაზღვრას შემსრულებლის როლში აწარმოებს თითქოს მასშვივ თავისთავად გამოძღვენებული რაღაც ღირებულებითი მომენტი. ამასთან დაკავშირებით

კი უნდა იგულისხმებოდეს, რომ სუბიექტი ყოველ სამართლებსამებრ მოქცევის დროს თავის თავთან სრულ თანხმობაშია.

რა თქმა უნდა, ყველაფერი ეს სრულებითაც არ გამოირიცხავს იმას, რომ, პეტრაჟიციკის სამართლის თეორიის თანახმად, სუბიექტს შეიძლება სურდეს იაეთი რამ, რაც სამართალს ეწინააღმდეგება. მაგრამ აღნიშნული თეორიის თვალსაზრისით ამ გარემოებას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს.

არ უნდა დავივიწყოთ, რომ პროფ. პეტრაჟიციკის სუბიექტი მხოლოდ ერთ სამართლებრივ კანონზომიერებაში კი არა, არამედ დაახლოებით იმდენში იგულისხმება, რამდენიცაა. პეტრაჟიციკის აზრით, სუბიექტში თვისებანი, რომლებიც სხვა დამოუკიდებელი კანონზომიერების დასაწყისად ითვლება /მაგალითად, ესთეტიკური, რელიგიური და სხვ./, ასე რომ, პეტრაჟიციკის სუბიექტი რამდენიმე კანონზომიერებაში არის გამართული, ამიტომაც ფილოსოფიის თანახმად, სავსებით ბუნებრივად უნდა იყოს მიჩნეული კოლიზია სხვადასხვა კანონზომიერების მქონე თვისებებს შორის. თუ ერთ-ერთი რომელიმე კანონზომიერებით სუბიექტი თითქოს კიდევაც ამხედრებულია საკუთარი კანონზომიერების მქონე სამართლებრივი ემოციების წინააღმდეგ, ამ თეორიის მიხედვით, ამას მნიშვნელობა არა აქვს. იგულისხმება, რომ სუბიექტი თავისთავთან სრულ თანხმობაში მხოლოდ მაშინ იქნება, როდესაც იმ „მნიშვნელობას /ვალის გადაშლელის, მესაკუთრის, მფლობელის და სხვ./ შეასრულებს, რომელშიც ის თითქოს განსაზღვრულია სამართლებრივ-ემოციურ განცდებში თავისთავად გამომჟღავნებული „ღირებულებით“ /ღირებულება აქ იხმარება როგორც სუბიექტის დადებითი ხასიათის განცდა/.

როგორც ვხედავთ, ყოველ დაბრკოლებათა მიუხედავად, სუბიექტმა სამართლის შესრულების აუცილებლობა როგორც საკუთარი ბუნების მოთხოვნა ისე უნდა შეიცნოს, ხოლო ყოველი მისი შეუსრულებლობა ისე უნდა განიცადოს როგორც შინაგანი, ღრმა ტრაგედია.

მნელი არ არის იმის შემჩნევა, რომ ასეთ თეორიულ და ფსიქოლოგიურ საფუძველზე, ბურჟუაზიული სამართლის იძულებითი ხასიათი ყოველმა სუბიექტმა, როგორც საკუთარი ბუნების წნევა, ისე უნდა შეიცნოს. ასეთი ფილოსოფიის თანახმად სამართალს აღარ უნდა შეეძლოს არავის წყენა, მის მიერ მიყენებული ტყვილი კი საკუთარი „სინდისის“ ბოლმად უნდა ჩაითვალოს. აქედან იგულისხმებოდა ისიც, რომ რაც უფრო მტკივნეულად ჩაივლიდა საკუთარი თავის დაძლევა სამართლის შესრულებისათვის, მით უფრო იზრდებოდა პიროვნება ეთიკურ მნიშვნელობაში. ნათესაობა ამ ფილოსოფიისა დოსტოევსკის ტანჯვის ფილოსოფიასთან უდავოდ უნდა მივიჩნიოთ.

საკითხს თუ ზერელედ შევხედავთ, შეიძლება ვინმეს კიდევ ეჩვენოს, რომ კონსტიტუციის ახალ პროექტში აქა-იქ მოცემულია დებულებანი, რომელთა მსგავსს თითქოს ბურჟუაზიულ კონსტიტუციებშიც ვხვდებით, მაგალითად, ფარული, პირდაპირი, თანასწორი არჩევნებს შესახებ ლაპარაკია როგორც ჩვენთან, ისე იმათთანაც; სიტყვის, კრებებისა და ბეჭდვის თავისუფლების შესახებ ლაპარაკობს როგორც ჩვენი ახალი კონსტიტუციის პროექტი, ისე იმათი კონსტიტუციებიც, მოსამართლის დამოუკიდებლობაზე ლაპარაკია აქაც და იქაც; მაგრამ, მიუხედავად ამისა, მათ შორის საერთო მანც არაფერია. ჩვენს პირობებში, ჩვენს სინამდვილეში ყველა ეს პრინციპი სულ ახალ მნიშვნელობას იღებს. სიტყვის თავისუფლება. რომელზეც ჩვენი კონსტიტუციის პროექტი ლაპარაკობს, სხვას ნიშნავს, ვიდრე ბურჟუაზიული კონსტიტუციებით აღიარებული სიტყვის თავისუფლება; დებულება მოსამართლეთა დამოუკიდებლობის შესახებ ჩვენთან სულ სხვა რამეს გამოხატავს, ვიდრე იგივე პრინციპი ბურჟუაზიულ ქვეყნებში, თუნდაც იმით, რომ ყოველი პრინციპი, რომელიც ჩვენი კონსტიტუციის პროექტით არაღ აღიარებულია, რეალური პრინციპია. ყოველი თავისუფლება, რომელიც მის მიერ აღიარებულია. ნამდვილი თავისუფლების გამომხატველია და ყოველი დებულება, რომელიც მოსამართლის დამოუკიდებლობაზე ლაპარაკობს, მოსამართლის რეალურ დამოუკიდებლობას გულისხმობს. მაშინ, როდესაც ბურჟუაზიული კონსტიტუციის ყოველი პარაგრაფი როგორც მარქსი აღნიშნავს, „შეიცავს თავის თავში საკუთარ წინააღმდეგობას, საკუთარ ზემო და ქვემო პალატას: თავისუფლებას — ზოგად ფრაზაში და ამ თავისუფლების გაუქმებას — შენიშვნაში“¹.

კონსტიტუციურ აქტებს შორის მხოლოდ ზოგიერთი იყო ისეთი, რომელიც კაცობრიობის განვითარების სხვა საფეხურებზეც დაფიქვებას არასდროს მისცემია. ასეთი იყო, მაგალითად, ინგლისის 1215 წლის თავისუფლების დიდი ქარტია, 1879 წლის Habeas Corpus Act-ი, 1689 წლის ბილი უფლებების შესახებ, საფრანგეთის 1789 წლის მოქალაქეთა უფლება-მოვალეობათა დიდი დეკლარაცია.

¹ К. Маркс, Избранные произведения, т. II, стр. 257.

სასამართლოს ორგანიზაციის საკითხს ჩვენი ახალი კონსტიტუციის პროექტი უთმობს მთელ IX თავს. ამ პროექტის 112-ე მუხლი აღნიშნავს, რომ მოსამართლეები დამოუკიდებელნი არიან და მხოლოდ კანონს ემორჩილებიან. ანალოგიურ დებულებას ჩვენ ვხვდებით თ-თქმის ყველა თანამედროვე და XIX საუკუნის კონსტიტუციებში. მაგალითად, ამავეს იმეორებს ავსტრიის ძველი კონსტიტუციის მე-6 მუხლი, ბავარიის კონსტიტუციის მე-3, ბელგიის მე-100, საბერძნეთის 88-ე, დანიის მე-7, ესპანეთის მე-8, იტალიის ძველი კონსტიტუციის 69-ე, სერბიის 176-ე მუხლი. ინგლისში ეს დებულება პირველად აღიარებულ იქნა ჯერ კიდევ 1701 წელს. გერმანიაში ეს პრინციპი მთელი XIX საუკუნის განმავლობაში არაერთხელ ყოფილა აღიარებული როგორც საიმპერიო, ისე პარტიკულარული კანონმდებლობის მიერ. 1919 წლის ვაიმარის კონსტიტუცია აღნიშნავდა, რომ სასამართლოს ხელისუფლება განხორციელებულ იქნება მხოლოდ კანონისადმი დამორჩილებული მოსამართლეების მიერ, და ამ პრინციპის გარანტიისათვის ამავე კონსტიტუციის 104-ე მუხლი ადგენდა, რომ „მოსამართლე ინიშნება მთელი მისი სიცოცხლის განმავლობაში, წინააღმდეგ მისი სურვილისა, ის შეიძლება მოხსნილი ან სხვა ადგილზე გადაყვანილ იქნეს მხოლოდ გადაწყვეტილების ძალით. საფრანგეთის მოსამართლეთა დამოუკიდებლობაზე, კერძოდ, ლაპარაკობდა 1790 წლის კანონი, 1814 წლის რესტავრაციის ქარტია, 1830 წლის მონარქიული და 1848 წლის კონსტიტუციები. ის შეტანილია 1870 წლის 21 მაისის კონსტიტუციაში, ხოლო 1875 წლის კონსტიტუციაში მის შესახებ აღარ არის ლაპარაკი. მიუხედავად ამისა, როგორც ცნობილია, პრეხცეპები მაინც რჩება საფრანგეთის საჯარო სამართლის ძირითად პრინციპად. მოსამართლეთა დამოუკიდებლობაზე და შეუცვლელობაზე ლაპარაკობდა 1864 წ. რუსეთის სასამართლოს წესდებაც. ასეთია ბურჟუაზიული კანონმდებლობა. ამასვე იმეორებს მათი თეორიაც. ბურჟუაზიულ მეცნიერებაში არ არსებობს აზრთა სხვადასხვაობა იმის შესახებ, რომ კონსტიტუციებით აღნიშნული მოსამართლის დამოუკიდებლობა გარანტიანა იმისა, რომ მოსამართლე მხოლოდ „ყველას ინტერესების ერთნაირად დამცველი“ კანონის მსახური იქნება.

სანამ მოსამართლისათვის აღიარებული არ იქნება შეუცვლელობა, მოსამართლის მიუდგომლობაში არ შეიძლება დარწმუნებული ვიყოთ. იმისათვის, რომ ეს არიდებულ იქნეს, არსებობს ერთი საშუალება—კერძოდ, მოსამართლეთა შეუცვლელობა—ამბობს ვოსკოვსკი. შეუცვლელობის პრინციპი, კარსონეს აზრით, „აძლევს მოსამართლეს გაბედულებას, წინ აღუდგეს თხოვნას და მუქარას, საიდანაც არ უნდა მოდიოდნენ ისინი, ის მას აძლევს გაბედულებას, ყური უგდოს მხოლოდ თავის სინ-

დას და დასაჯოს ყოველი დამნაშავე, რა მალალი თანამდებობისაც არ უნდა იყოს უკანასკნელი“. „შეუცვლელია აუცილებელია მოსამართლესათვის როგორც გარანტია, ის აუცილებელია მმართველობის ღირსებისათვის და კანონის სიწმინდისათვის“, — წერდა სიმონი. შეუცვლელის გარეშე, — ამბობდა ჟიულ ფაბრი — „მოსამართლე არ არის მოსამართლე. ის სამინისტროს აგენტია“. „მე არ მინდა, პათეტიკურად აღწინავედ გამბედა, მოსამართლედ მყავდეს ისეთი ადამიანი, რომელიც შეიძლება მოხსნილ იქნეს თვითნებურად, იარაღი იქნება მთავრობის ხელში; ვერ გაბედავს სხვა გადაწყვეტილებას მიღებას გარდა ისეთისა, რომელიც მთავრობის მიერ იქნება ნაკარნახევი. ასეთი მოსამართლეები ჩემში ზიზღს და პროტესტებს გამოიწვევდნენ“. კანონები, — ამბობს ლუაზო, — მუნჯი მოსამართლენი არიან, ხოლო მოსამართლენი, რომლებიც მოლაპარაკე კანონები არიან, უნდა იყვნენ შეუდრეკელი, რათა მათთან ერთად თვით სახელმწიფო შეურყეველი იყოს“. დამოუკიდებელი სასამართლოს შექმნა წარმოადგენს აბსოლუტური მონარქიის ერთ-ერთ უღადეს საქმეს“, — წერდა ჩიჩერინი თავის „სახელმწიფო მეცნიერების კურსში“ რუსეთის სასამართლოს შესახებ.

ბევრი ამგვარი და კიდევ უფრო პათეტიკური განცხადებების მოყვანა შეიძლებოდა ბურჟუაზიული მეცნიერებიდან, მაგრამ ესეც საკმაოა. ძნელი არ არის იმის აღნიშვნა, რომ ყველა ამ სიტყვაში ერთი ლაიტმოტივი იმის, ერთი და იგივე იგულისხმება: 1) მოსამართლეთა შეუცვლელი პრინციპი იცავს მოსამართლეს ხელისუფლებისაგან; რომლის მიერაც ის დანიშნულია; 2) მხოლოდ ამ ხელისუფლებისაგან დამოუკიდებელ მოსამართლეს შეუძლია იმ კანონს მსახური იყოს, რომელიც თითქოს მიუდგომელია (ესე იგი, ზეკლასობრივად); 3) მხოლოდ ამ ხელისუფლებისაგან დამოუკიდებლობაში შეიძლება მოქმედებდეს მოსამართლე თავისი სინდისის მიხედვით, რომელიც საყოველთაო სინდისის გამომხატველად იგულისხმება. ნათელია, რომ ყველაფერი ეს ერთ ყალბ დებულებაზეა აგებული. დამოუკიდებელი მოსამართლე კლასობრივ საზოგადოებაში ცარიელი ფიქციაა. ხოლო საყოველთაო სინდისი, რომელიც თითქოს ყველას სინდისის გამომხატველია, არაფრის შემცველი ცნებაა, როგორც, მაგალითად, რუსოს „საერთო ნება“, იურისტთა ისტორიული სკოლის „საერთო შეგნება“ და ჰეგელის „საერთო სული“. კლასობრივ საზოგადოებაში მოსამართლე ყოველთვის თავისი კლასის სინდისის გამომხატველი იყო და იქნება. სხვანაირად ეს არც შეიძლება რომ ყოფილიყო. „როგორ შეიძლება ეს სხვანაირად იყოს, — წერდა ფ. ენგელსი, — როდესაც მომრიგებელი მოსამართლენი, ისევე, როგორც ნაფიცო მსაჯულნი, თვითონ არიან მდიდრები, თვითონ არიან არჩეული საშუალო კლასიდან. ამიტომ ისინი ყო-

ველთვის არიან მიკერძობული თავიანთდაგვარ პიროვნებისადმი, ღარიბებისათვის კი დაბადებით შეურიგებელ მტრებად გამოდიან“. რომ ეს ასეა, რომ ეს ყოველთვის ასე ყოფილა, ამაში სულ ადვილად შეიძლება დავრწმუნდეთ.

III

სამართლის რომელი ელემენტარული სახელმძღვანელოც უნდა ავიღოთ, ყველგან ვნახავთ მითითებას, რომ შეუძლებელია კანონმდებლობამ შექმნას ისეთი კოდექსი, რომელიც განვითარების ყველა ეტაპზე ერთნაირად გამოსადეგი იყოს. ამასთან დაკავშირებით, თვით კოდექსების შევსების საქმე განსაკუთრებული ყურადღებებს საგანს წარმოადგენდა.

ჩვეულებრივად კოდექსების შევსება წარმოდგენილი ჰქონდათ ორი გზით: ერთი — საკანონმდებლო ორგანოები, ხოლო მეორე — სასამართლოების საშუალებით. მაგრამ იმისდა მიხედვით, თუ რა პირობები იყო შექმნილი, საკითხი, თუ რომელ ამ ორ გზას მისცემოდა უპირატესობა, ბურჟუაზიული სამართლის ფილოსოფიის მიერ სხვადასხვანაირად წყდებოდა. ზოგიერთ შემთხვევაში მართებულად იყო მიჩნეული მხოლოდ საკანონმდებლო გზა და მაშინ შეუძლებლად თვლიდნენ სასამართლოებზე ასეთი ფუნქციების დაკისრებას. ხან კი ამაში არავითარ უხერხულებას აღარ ხედავდნენ და მოსამართლესაც ისეთ დავალებასაც აძლევდნენ. ყველაფერი დამოკიდებული იყო არსებულ პოლიტიკურ ვითარებაზე, იმაზე, თუ რა ინტერესები ამოძრავებდა ბურჟუაზიულ კლასს. ერთი სიტყვით, ცნობდნენ მოსამართლეს მხოლოდ „კანონების ბაგეებად“ (*la bouche qui prononce le paroles de la loi*), როგორც მონტესკიე ამბობდა. მისი როლი არსებული კანონის უბრალო განმარტებელ ტექნიკოსის როლამდე დაყავთ თუ, პირიქით, მას თავისუფალი მოღვაწეობის შესაძლებლობას. აძლევდნენ და აქ, მას როგორც ნამდვილ შემოქმედს იყვანდნენ, — ყველაფერი ეს იყო არა უბრალო გემოვნების, არამედ პოლიტიკური განწყობის საკითხი.

მაგალითად, როგორც ვიცით, დიდი ხნის განმავლობაში ბურჟუაზიული სამართლის ფილოსოფიაში და თეორიაში გაბატონებული იყო „ხელისუფლების დანაწილების თეორია“, რომელიც წამოაყენა მონტესკიემ; იგი ეძებდა კომპრომისს, ერთი მხრივ, იმ აზნაურთა წოდებას, რომელსაც ფეხქვეშ ნიადაგი ეცლებოდა, ხოლო, მეორე მხრივ, კი ბურჟუაზიულ კლასს შორის, რომელიც დღითი დღე მაგრდებოდა. ერთ დროს ეს თეორია გახლდათ ლაიტმოტივი როგორც თეორიის, ისე საკანონმდებლო პრაქტიკისა; ეს გახლდათ „კემშარიტება“, რომლის შესახებ არ კა-

მათობდნენ. ეს იყო პრინციპი, რომლის სწორ განხორციელებას უნდა უზრუნველყო ყველას თვალში სახელმწიფოს სწორი ორგანიზაცია. ამ პერიოდში ვინმეს რომ წამოეყენებინა დებულება, რომ საკანონმდებლო ორგანობთან ერთად კანონმდებლობითი ფუნქციით უნდა იყოს აღკვერული მოსამართლე, ეს ყველას მიერ ერთნაირად როგორც უცნაური აზრი იქნებოდა მიჩნეული.

მაგრამ ისტორიის ეს ფურცელიც დაიხურა. ნელ-ნელა ბურჟუაზიული სამართლის თეორიამ და პრაქტიკამ ამ ნაწილში დატოვეს მონტესკიეს ფილოსოფიის საფუძველი და გადავიდნენ საკითხის ახალ ორიენტაციაზე. და თუ ერთ დროს რალაც დანაშაულად მიაჩნდათ იმ დებულებას წამოყენება, რომელიც მოსამართლეს აძლევდა კანონის შევსების უფლებას, დღეს ბურჟუაზიულ კლასს ამაზე უფრო ბუნებრივ რამედ არაფერი მიაჩნია. ახლა უკვე ამ ნაწილში მონტესკიეს დებულებას დავუკუდ ტონად შეიძლება ჩაითვალოს, ყოველ შემთხვევაში ასეთი რამის ანაკრონიზმად ჩათვლა არავის დაენანება. იე რ ი ნ გ ი ამბობდა, რტერესი ცვლის ლოგოსო და ალბათ ამიტომაც ბურჟუაზიული სამართლის ფილოსოფია და პრაქტიკა ამ ნაწილში უკვე კარგა ხანია სხვა ნიშნის ქვეშ ვითარდება, და დღეს ჩვენ ვეღარ დავსახელებთ ვერც ერთ შემთხვევას, რომ მოსამართლეს იმ როლით საზღვრავდნენ, რომელსაც ითხოვდა მონტესკიეს „ხელისუფლებას განაწილების“ თეორია. ახლა ბურჟუაზიულ კლასს მოსამართლე კანონის უბრალო განმამარტებლის როლიდან თითქოს ნამდვილი შემოქმედის როლამდე აყავს.

ასეთი ცვლადობა ისტორიაში შემთხვევით არ ხდება. ეს არ იყო უმნიშვნელო გარემოება, რომელიც უმნიშვნელო მიზეზების გამო მოხდა, ეს გახლავთ არსებითად ბურჟუაზიული კლასის მთელი მსოფლმხედველობის იმ ძვრის შედეგი, რომელიც ახალმა პირობებმა და ვითარებამ გამოიწვია. თუ ვინმეს სურს ამ გარემოებას დეტალი უწოდოს, ყოველ შემთხვევაში ეს დეტალი მხოლოდ დიდი პოლიტიკურ-ეკონომიკური ცვლილების ფონზე იყო შესაძლებელი.

მაგრამ რა მოხდა ისეთი, რომ ბურჟუაზიულმა მეცნიერებამ ფილოსოფიამ და პრაქტიკამ ამ ნაწილში დატოვა თავისი ძველი საფუძველი და გადავიდა ახალზე? რა მოხდა ისეთი, რომ ყველამ ერთნაირად ზურგი შეუბრუნეს ამ ერთ დროს მათ მიერ ქვეშაობილად აღიარებულ დოგმას (თუმცა ზუსტად მას არასდროს არ იცავდნენ)?

ყველაფერი ეს უკანასკნელ პერიოდში გაშლილი ამბების შედეგია. მონტესკიეს თეორიის ამ ნაწილის დავიწყება დიდი მნიშვნელობის ფაქტორებითაა გამოწვეული. ეს იმავე დროს სულისკვეთების შედეგად უნდა მივიჩნიოთ, როგორც იყო, მაგალითად, სხვა დროს და სხვა პირობებში მ ა კ ი ა ვ ე ლ ი ს, რ უ ს ო ს, კ ა ნ ტ ი ს, დ ე მ ე ს ტ რ ა ს, ბ ო ნ ა ლ დ ი ს ა და სხვ. დავიწყება და ამათ ადგილზე ახალი ფიგურების დასმა.

თათოვეულის განდიდება სათანადო ეპოქაში, და შემდეგ კი დაიწყება ხომ მთელი ეპოქის დახასიათებას წარმოადგენდა. ეს სახელები ხომ თეო-ისტორიის ეტაპების თავისებური სახელწოდებაც არის. ყოველი ეს სახელი ხომ დროსთან შეფარდებული პოლიტიკური ბრძოლის სახელწოდებასაც წარმოადგენს! და როგორც თითოეული აქ დასახელებული პირის ჯერ განდიდება და მერმე დაჩრდილვა დიდი პოლიტიკური მნიშვნელობის გარემოებათა შედეგი იყო, აგრეთვე ის, რაც მოხდა მონტესკიეს მიმართაც, უქველად ახსნილ უნდა იქნეს თავისებური პოლიტიკურ-ეკონომიკური სიტუაციით.

ბურჟუაზიამ ამ ნაწილში უმტყუნა მონტესკიეს იმიტომ, რომ ეს თეორია მისთვის უკვე ხელსაყრელი აღარ იყო. იმ ბრძოლაში, რომელსაც ბურჟუაზიული კლასი ამ პერიოდში აწარმოებდა მუშათა კლასის წინააღმდეგ, ის აღარ ვარგოდა. ის მას ხელს უშლიდა. ახალ პირობებში ბურჟუაზიას ახალი იდეოლოგიური იარაღი სჭირდებოდა. ამ პერიოდში ბურჟუაზიულ კლასს აღარ შეაჩნია მიზანშეწონილად, რომ საკანონმდებლო მუშაობა მხოლოდ საკანონმდებლო ორგანოების მონოპოლიად იყოს აღიარებული, რადგან ამ ორგანოების მუშაობა ყველას მხედველობის წინაშე მიმდინარეობს და მისი მუშაობა ადვილად შეიძლება შეფასებულ იქნეს მუშათა კლასის ნამდვილი წარმომადგენლების მიერ, რომლებიც აღარ დაერიდებიან, ყველა „პატარა“ საკითხი მთელი ბურჟუაზიული კანონმდებლობის ძირითადი საფუძვლების კრიტიკად გადააქციონ. აქ ისინი მოახერხებენ ყოველი ამ „პატარა საკითხის“ გამოყენებას დიდ გარემოებათა გამოსამყლავნებლად. ეს კი არაა სასურველი. ამის გამო ბურჟუაზიულ კლასს აღარ უნდა, რომ ყოველ „წვრილმანს“ მიაყენოს რეფლექტორი, რომლის სხივებში გამომყლავნდება მთელი ის ღრმა წინააღმდეგობა, რაც ამ „წვრილმანების“ უკან იმალება. ბურჟუაზიულ კლასს ახლა სხვა რამ სურს: გამწვავებული კლასთა ბრძოლის პირობებში მას უნდა, რომ არსებული სამართლის შევსება შეუქმნევლად მიმდინარეობდეს, რომ არსებითად დიდი საკითხები პატარა დიაპაზონის აპარატში წყდებოდეს; და ყველა დასახელებული უხერხულობის თავიდან არიდება ბურჟუაზიულმა კლასმა ორი საშუალებით წარმოიღვინა:

1) კაუჩუკისებური ნორმების შექმნით, ესე იგი ისეთი ნორმების ჩამოყალიბებით, რომელიც მოსამართლეს შესაძლებლობას მისცემს, ერთი ნორმით მოავგაროს საკითხების მთელი რიგი. და

2) მოსამართლისადმი კანონმდებლობითი ფუნქციების დაკისრებით, როგორც ამას თანამედროვე კოდექსები შვრებიან. ორივე აქ დასახელებული გზა არის ის, რომელიც შესაძლებლად ხდის საკითხების ახალ პირობებთან შეფარდებით მოგვარებას საკანონმდებლო ორგანოების ჩაურევლად.

შორს რომ არ წავიდეთ, ავიღოთ მაგალითისათვის შვეიცარიის და გერმანიის სამოქალაქო სამართლის კოდექსები. ორივე ერთნაირად დატვირთულია აღნიშნული მოქნილი, კაუჩუკოვანი ნორმებით, ხელშეკრულება, ამბობს, მაგალითად, გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, უნდა იქნეს განმარტებული „როგორც ამას ბრუნვის ზნეობა ითხოვს“ (მუხ. 157) ან „ხომ არ ეწინააღმდეგება ურთიერთობა კეთილ ზნეობას“ (მუხ. 138). ზოგჯერ კოდექსი მოითხოვს მოსამართლესაგან გადაწყვეტის საკითხი „წესრიგისამებრ“, ზოგჯერ „ბრუნვისათვის საჭირო მზრუნველობის თანახმად“, მაგრამ თუ რა უნდა იქნეს ნაგულისხმევი ამ ზოგად-სიტყვების „კეთილ ზნეობის“, „წესრიგისამებრ“ და სხვა ანდავარი ცნებებით, ამის შესახებ აღნიშნული კოდექსები არაფერს ამბობენ. ამ ცნებათა წინაარსით ავსება ყოველთვის მოსამართლის მოსაზრებაზე არის დამოკიდებული. რას შეიტანს მასში და რას გამოიტანს იქიდან — ეს ყველაფერი მხოლოდ მასზე არის დამოკიდებული. სწორედ ამიტომაც ამ ზოგად დებულებათა მიხედვით მოსამართლეს ყოველ ახალ გარემოებათა განხილვის დროს თავისუფალი მანევრირების შესაძლებლობა აქვს. ასეთი ზოგადი დებულების საშუალებით მას სრული შესაძლებლობა აქვს, ყოველდღიურ პრაქტიკაში სხვადასხვა გარემოების მიმართ ერთი და იმავე კანონით თავისი კლასის სხვადასხვაანაირი სოციალური დაკვეთა შეასრულოს.

მაგალითისათვის არ იქნება ზედმეტი ერთი გარემოების მოგონება, რომელიც სავესებით ნათელყოფს, თუ რა დაკვეთის შესრულება შეუძლია მოსამართლეს ასეთ საზღვრებგახსნილ ცნებათა და დებულებათა საშუალებით. როგორც ვიცით, ფაშისტური გერმანიის ხელისუფლებამ, რამდენიმე ხნის წინათ, გამოსცა სამარცხვინო კანონი, რომელიც ბათილობის ჩიდიტ კრძალავდა ქორწინებას „წმინდა სისხლის გერმანელებსა და ებრაელებს შორის“. მაგრამ აღსანიშნავი აქ ის არის, რომ ფაშისტების გაბატონების შემდეგ ფაშისტური სასამართლოები, ამ კანონის გამოკეპამდე 1901 წელს სამოქმედოდ შემოღებულ სამოქალაქო კოდექსის მიხედვით უკვე შეუდგენ ამ პოლიტიკის გატარებას და პრაქტიკაში ბათილებდნენ ასეთ ქორწინებას. როგორ ახერხებენ ასეთ საქმეს? როგორც ვიცით, გერმანიის სამოქალაქო სამართლის კოდექსის 1333-ე მუხლის თანახმად ქორწინება შეიძლება გაბათილებულ იქნეს, უკეთუ ერთმა მეუღლემ ქორწინების დროს დაუშვა შეცდომა პიროვნების შესახებ, ანდა არ იცოდა არაფერი მეორე მეუღლეს ისეთი თვისების შესახებ, რომელიც მას რომ სცოდნოდა, თავს შეიკავებდა ქორწინებიდან.

აქ, როგორც ვხედავთ, ლაპარაკია ქორწინების გაბათილების შესახებ, როდესაც ის მომხდარია შეცდომით. ამ მუხლით იგულისხმებოდა, რომ ქორწინების გაბათილება შეიძლებოდა, მაგალითად, როდესაც შეცდომას ჰქონდა ადგილი თვით პიროვნების შესახებ. მაგალითად,

მოქალაქე ფიქრობდა, რომ ეუღლება A-ს, მაგრამ ტყუილების მსგავსების გამო ხდება ისე, რომ A-ს ნაცვლად ირთავდა მის დას. ან იგულისხმება, რომ დაშვებული იყო ქორწინების დროს შეცდომა, რომელიც გამოიხატება. მაგალითად, იმაშიაც, რომ მეუღლეებმა არ იცოდნენ არაფერი ასეთი თვისებების შესახებ, რომელიც მათ რომ შეუღლების დროს სცოდნოდნათ, ისინი არ დაქორწინდებოდნენ. თუ ავიღებთ ამ მუხლის შესახებ შექმნილ პრაქტიკას, ყველგან იგულისხმება, რომ აქ ყურადღება ექცევა ფსიქიკურ ან ფიზიკურ ნაკლს, რომელიც შეუძლებლად ხდის ცოლქმრულ ურთიერთობას. ამ საკითხის შესახებ დიდი ლიტერატურა არსებობს, წერდნენ ამის გამო ნოღდე რი . ბირკე გრადენვიცი, ზედელმაიერი და სხვები. არსებობს მრავალი კომენტარი და არსად არცერთ შემთხვევაში ეს მუხლი სხვა მნიშვნელობით ბოლო დრომდე არ ყოფილა განმარტებული. ამ კოდექსის შემდგენლებისთვის და აქ დასახელებული ავტორებისათვის რომ თავის დროზე ვინმეს ეთქვა, ეს მუხლი გამოდგება ებრაელების სადევნელ იარაღად და მის საფუძველზე შესაძლებელი გახდება მეუღლეების გაშორება მხოლოდ იმიტომ, რომ ერთი მეუღლეთაგანი ებრაელიაო, ეს უაღრესად საკვირველ ამბად იქნებოდა მიჩნეული.

მაგრამ ბუჩუყუაზიული კლასის ერთგულმა მოსამართლეებმა თავისი კლასის ახალი დაკვეთა მიიღეს. სასამართლოები, ებრაელთა დევნის იარაღად უნდა გადაქცეულიყვნენ, და მოსამართლეებს მოაგონდათ ამ მუხლის არსებობა; რადგან ამ მუხლში არ იყო კონკრეტულად განმარტებული, თუ რა უნდა ჩაითვალოს „შეცდომად“, მათ ქორწინების გამაბათილებელ შეცდომად ცნეს ისეთი რამ, რაც მხოლოდ ფაშისტებს შეიძლება მოსვლოდათ აზრად. ფაშისტური ხელისუფლების ერთგულმა მოსამართლეებმა აღიარეს, რომ თავის დროზე არიყვს რომ სცოდნოდა, თუ რას ნიშნავს ებრაელის სისხლის მქონესთან შეუღლება, ის არასოდეს არ ჩაიდენდა ასეთ შეცდომას და არ შეეუღლებოდა ასეთ პირსო. მოსამართლეებმა ამ საფუძველზე შესაძლებლად ცნეს აღნიშნული 1333-ე მუხლის ძალით ქორწინების გაბათილება.

ბევრი მაგალითის მოყვანა შეიძლება გერმანიის და შვეიცარიის პრაქტიკიდან იმის საილუსტრაციოდ, თუ კოდექსში არსებულ ასეთ ზოგადი გამოთქმების თავისებური განმარტებებით როგორ ახორციელებდნენ ბუჩუყუაზიული მოსამართლენი თავისი კლასის სოციალურ დაკვეთას იმაზე უფრო ადრე, სანამ მოსამართლეები ამა თუ იმ დაკვეთას მიიღებდნენ პირდაპირ კანონის სახით. მაგრამ რაც აქ უკვე ვთქვით, ჩვენი მიზნისათვის სრულებით საკმარისია.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ზოგიერთ შემთხვევაში, სახელდობრ მაშინ, როდესაც ეს შემთხვევა გათვალისწინებული არ არის კოდექსის

შიერ, მოსამართლეს უფლება ეძლევა, გამოვიდეს ნამდვილი კანონმდებლის როლში და მოაგვაზოს ეს ახალი შემთხვევა ისე, როგორც მას მოაგვარებდა კანონმდებელი რომ ყოფილიყო (შვეიცარიის კოდექსი, 1 მუს.). ყველა ასეთი შემთხვევის ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა. აქ ერთი საკითხია მხოლოდ ჩვენთვის საინტერესო — სარგებლობს ასეთ შემთხვევაში ყველა მოსამართლე აბსოლუტური თავისუფლებით. თუ მისი შემოქმედებისათვის თავიდანვე ჩამოყალიბებულია პრინციპები, რომლითაც მან ყველა ამ შემთხვევაში უნდა ისარგებლოს?

ბურჟუაზიულ ქვეყნებში მოსამართლის დანიშვნის არსებული წესებით სავსებით უზრუნველყოფილია ბურჟუაზიული სასამართლოს ბურჟუაზიული შემადგენლობა. ამ წესებით უკვე უზრუნველყოფილია ის გარემოება, რომ მოსამართლის „შემოქმედება“ შეფარდებული იქნება თავისი კლასის ინტერესებთან; მაგრამ ბურჟუაზიული სამართლის ფილოსოფია და თეორია ყოველ შემთხვევისათვის მაინც ავალებს მოსამართლეთ იმ გარკვეული პრინციპებით ხელმძღვანელობას, რომლებიც უზრუნველყოფენ ისეთ სასამართლო პრაქტიკის შექმნას, რომელიც სავსებით შეფარდებული იქნება თავისი კლასის ინტერესებთან.

ბურჟუაზიული მეცნიერება სავსეა ასეთი სახელმძღვანელო პრინციპებით. არ არსებობს ცოტად თუ ბევრად ცნობილი ბურჟუაზიული სამართლის თეორეტიკოსი. რომელიც ამ საკითხის მოგვარებისათვის თავის რეცეპტს არ იძლეოდეს. ზოგი ფიქრობს, რომ მოსამართლემ ყველა ასეთ შემთხვევაში უნდა იხელმძღვანელოს „სოციალური სოლიდარობის პრინციპით“, ზოგი საჭიროდ თვლის, ურჩიოს მოსამართლეს, იხელმძღვანელოს „საერთო უფლებბრივი შეგნებით“. ზოგიც „სიყვარულით“ და სხვები კიდევ სხვა რაიმე რჩევა-დარიგებას იძლევიან. მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ ეს რჩევა-დარიგებანი, კრიტიკრიუმები და პრინციპები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან, რადგან არსებითად ისინი სხვადასხვა საგანზე ლაპარაკობენ — მაგალითად ერთნი სოციალურ სოლიდარიზმზე, ხოლო მეორენი სიყვარულზე და „საერთო უფლებბრივი შეგნებაზე“, მათ მაინც ერთი რამ საერთო აქვთ: ყველას მიზნად აქვს დასახული, რომ ყოველი ახალი საკითხის გადაჭრის დროს საკითხი არ იქნეს გაღრმავებული იმ ზომამდე, სადაც თავისთავად ნათელი გახდება ამ ბურჟუაზიულ საზოგადოებისათვის დამახასიათებელი შინაგანი წინააღმდეგობა, რომლის შედეგად თვით ახლად გასარჩევი გარემოება უნდა ჩაითვალოს. როგორიც არ უნდა იყოს სხვაობა, ერთი სურვილი მაინც ყველას ამოძრავებს: უთანხმოების უკან არ დაგვანახონ მისი წარმოშობის ნამდვილი პირობები და თითოეული უთანხმოება წარმოგიდგინონ როგორც უბრალო, ადვილად ასაცილებელი შემთხვევა. იხელმძღვანელებენ დიუგის და პეტრაჟიციკის აღნიშნული პრინციპებით თუ შტამლეჩის „სამართლიანი სამართლით“, კან-

ტ ა რ ვ ი ჩ ი ს მიერ დასახელებულ „საერთო უფლებბრივი შეგნებით“, უ ა ნ ე ს „Natur du chose“-ით თუ ს ა ლ ე ი ლ ი ს „ინტერესი აწონდაწონით“, ჩვენ ერთსა და იმავეს ვხედავთ. ყოველი ეს პრინციპი ერთი-და იმავე შინაგანი განწყობილების შედეგია. ყველანი სხვადასხვა გზით, სხვადასხვა სიტუაციებით ერთი მიზნის მიღწევას ლაშობენ. ყველანი ერთნაირად ცდილობენ, რომ საკუთხი არ იქნეს შეტანილი პერსპექტივაში, სადაც ნაცვლად იმ ყალბი სურათისა, რომელსაც ისინი იძლევიან თავიანთი სახელმწიფოს შესახებ, შეიძლება გამომჟღავნდეს მისი ნამდვილი შემზარავი სახე, ბუნება და დანიშნულება. მოსამართლის ის თავისუფლება, რომელზეც ზემოთ იყო ლაპარაკი, აქ სრულებითაც არ უნდა ნიშნავდეს მოსამართლის თვითნებობას. თავისუფლება, რომელიც იქ არის ნაგულისხმევი, გამოსახავს მხოლოდ მოსამართლის დამოუკიდებლობას კანონისაგან (რადგან კანონი ამ შემთხვევაში არ არსებობს). მაგრამ არავითარ შემთხვევაში ეს არ ნიშნავს დამოუკიდებლობას საკუთარი კლასის ინტერესებისაგან. თავისი კლასის ინტერესი აქ მოსამართლის ძირითადი პრინციპია. თავისუფლება, რომელზედაც აქ არის ლაპარაკი, ნიშნავს იმას, რომ მოსამართლეს შეუძლია ამ თავისი კლასის ინტერესების მიხედვით ახალი შემთხვევისათვის ახალი სამართალი დაადგინოს. სხვანაირ თავისუფლებას ბურჟუაზიული კლასი ვერც შეურიგდება და სხვანაირი თავისუფლებით სარგებლობა არც ბურჟუაზიულ მოსამართლეს სურს. მაგალითად, დიუგის თანახმად, ყოველ ასეთ შემთხვევაში მოსამართლემ უნდა იხელმძღვანელოს სოციალური სოლიდარიზმით.

როგორც ვიცი, ეს დიუგის სოციალური სოლიდარიზმი ბურჟუაზიულ საზოგადოებაში არსებულ ძალთა განწყობილების იმ დაკანონებას წარმოადგენს, რომელიც შეუძლებლად ხდის ამ ძალთა განწყობილების შეცვლის გამართლებას, რადგან თვით ეს ძალთა განწყობილება ამ სოციალური სოლიდარიზმის საფუძველზე იგულისხმება. ეს სოციალური სოლიდარიზმი „ასაზრდოებს მხოლოდ სიახლოვეს“, და ამიტომაც როგორც ღრმად არ უნდა გვეჩვენებოდეს განხეთქილება ამ საზოგადოებრივ ჯგუფებს შორის, ეს განხეთქილება, დიუგის სოციალური ფილოსოფიის თანახმად, უნდა იქნეს განმარტებული როგორც პერიფერიული, შემთხვევითი გარემოება, რომელიც არ გამოიმდინარეობს ამ ბურჟუაზიული საზოგადოების ბუნებიდან.

ზედმეტია იქ იმის მტკიცება, რომ აღნიშნული „სოციალური სოლიდარიზმის“ პრინციპის საფუძველზე ყოველი მოსამართლე, რომელიც ამ პრინციპით იხელმძღვანელებს ახალი დავის გადაჭრის დროს, ერთხელაც ვერ შეეხება ბურჟუაზიული საზოგადოების და სახელმწიფოს ძირითად საფუძველებს, ერთხელაც ამ უთანხმოებას ვერ ჩათვლის ამ საფუძველების გამოვლინებად და ბუნებრივად ყოველთვის გადაჭრის ისე,

რომ ბურჟუაზიული საზოგადოების ძირითადი პრინციპების სამართლებრივ ნობაში არავის ეჭვი არ უნდა შეეპაროს.

რადგან ასეთი ფილოსოფიის თანახმად კონკრეტული უთანხმოების მიზეზები აქ კონკრეტული შემთხვევის საზღვრებში იგულისხმება, ამიტომ ყოველი ამ კონკრეტული უთანხმოების მნიშვნელობა მხოლოდ უთანხმოებაში მონაწილე პირების დაინტერესებულობით ისაზღვრება.

რაც ჩვენ აქ ვთქვით დიუგის შესახებ; შეგვძლია ვთქვათ პროფ. პეტრაჟიციუს იმ სახელმძღვანელო პრინციპის საწინააღმდეგოდ, რომლის სარგებლობას ის ურჩევს მონაპართლებს; ამაში არაფერია გასაკვირველი, ვინაიდან პროფ. პეტრაჟიციუსის სამართლის ფილოსოფიაც თავისი ღრმა ფესვებით იკვებება იმავე პრინციპებით, რომლებზეც აგებულია დიუგის მთელი სამართლის ფილოსოფია: როგორც ერთის, ისე მეორის საზოგადოების ფილოსოფიის დასაწყისი თანხმობაში იგულისხმება.

ბუნებრივია, რომ ასეთ თეორიულ საფუძვლებზე, ისე როგორც ზემოთ დასახელებული დიუგის სოციალური ფილოსოფიის საფუძვლებზე, არცერთი უთანხმოება არ შეიძლება განხილულ იქნეს როგორც საზოგადოების საფუძვლების შედეგი. არცერთი უარყოფითი გარემოება, როგორც უკვე აღნიშნული იყო, აქ არ შეიძლება ჩაითვალოს ამ საფუძვლების გამოვლინებად. ყველაფერი, რაც ქმნის განსხვავებას და იწვევს განსეთქილებას, ამ ფილოსოფიის მიხედვით, გამოითქმულ უნდა იქნეს საზოგადოების და სახელმწიფოს შემქმნელი ფაქტორებიდან, ისე, რომ, ბუნებრივად, ამ თეორიის საფუძველზე, მართლდება მხოლოდ ის. რაც აახლოებს ადამიანებს. და რადგან ამ სიახლოვის მაქსიმალურ გამოვლინებად სიყვარულია მიჩნეული, ამიტომ პროფ. პეტრაჟიციუსს ვერ მხოლოდ „სიყვარული“ უნდა ყოფილიყო აღიარებული იმ კრიტერიუმად, რომლითაც მოსამართლეს უნდა ეხელმძღვანელა ყოველი იმ ახალი დავის განხილვის დროს, რომელიც გათვალისწინებული არ იქნებოდა არსებული კოდექსების მიერ. მოსამართლეს ასეთი შემთხვევის დროს უნდა ემსჯელა ისე, თითქოს მოდავენი არსებითად ღრმა რაღაც ეთოსით არიან ერთმანეთთან გადაბმული საზოგადოებაში, უთანხმოება მათ შორის კი არის რაღაც შემთხვევითი, პერიფერიული, ადვილად ასარიდებელი, დროებითი, არანორმალური მოვლენა.

დიუგის და პეტრაჟიციუსის სამართლის ფილოსოფიის მიერ ყველაფერი არის გამართული, სურათი ისეთ ფერებშია წარმოდგენილი, რომ ყოველი უთანხმოება განხილულ უნდა იქნეს როგორც „მთლიანობიდან განდგომა“ და პირიქით, ყოველი შეთანხმება აღნიშნული კრიტერიუმის საფუძველზე, როგორც ამ მთლიანობასთან ისევ შედუღება. აქ ყოველი უთანხმოება განხილდება მხოლოდ როგორც პარტიკულარული ყოფის შედეგი, რადგან ეს უქანასკნელი სწორედ იმ „სოლიდარუზმის“

და „სიყვარულის“ უარყოფაა, რომელზეც ამ ფილოსოფოსების აზრით თვით მთლიანობა დგას. და რომელთანაც ყოველ უთანხმოებისდა მიუხედავად, სუბიექტი მაინც რაღაც „გაუცნობიერებელ ეთოსით“ დაახლოებულად იგულისხმება“. ასე რომ, შეთანხმებით აქ თურმე ისპობა პარტაკულარული, ეგოისტური მოტივებით განპირობებული ყოფა, და სუბიექტი უბრუნდება იმ „მთლიანობას“, სადაც ის თითქოს ხელახლა, როგორც საერთოს ნაწილი, თავის სრულ მნიშვნელობას იღებს.

აღნიშნული ფილოსოფიის საფუძველზე, სულ ადვილად შეიძლება დამტკიცებულ იქნეს, რომ ყოველი უთანხმოება უსათუოდ ერთგვარი დანაშაულია მხოლოდ იმ აზრით, რომ, რაც უფრო იგულისხმება ეს „უთანხმოება“ სოციალურ სოლიდარიზმისაგან“ და „სიყვარულისაგან“ დაშორებულად, მით უფრო მეტია მისი დანაშაულებითი მნიშვნელობა.

ზოგის თანახმად მოსამართლემ „საერთო უფლებრივი შეგნების“ მოთხოვნით უნდა იხელმძღვანელოს. ეს თითქოს თავისთავად საეცებით მარტივი დებულებაა, უამრავ კემპარიტებათა მიჩქაღვის და ნამდვილ წინააღმდეგობათა ხელოვნურად „მოხსნის“ შედეგია. უპირველესად ყოვლისა ეს დებულება საერთო „უფლებრივი შეგნების“ შესახებ არის იმ ღრმა იდენტიფიკაციის შედეგი, რომელიც ხელოვნურად „სძლევს“ სხვადასხვაობას და თავის „მრავლობას“ კონკრეტულ მთლიანობად აცხადებს. ამ იდენტიფიკაციის საფუძველზე ერთი კლასის ნება საყოველთაო ნებად ცხადდება და ამ შემთხვევაში ნაწილი ნების ხელოვნურად საყოველთაოობამდე აყვანით ეს ერთი ნება თითქოს ერთნაირად მართლდება ყველასთვის ისე, როგორც დიუგის სოციალური სოლიდარიზმი, პეტრაჟიკის და გ. ზიმელიის ფსიქიკური ტოლქმედი. გირკეს ორგანიზმი. ეს „საერთო უფლებრივი შეგნება“ რაღაც ლეგენდარული მთლიანობის გამომხატველი უნდა იყოს. მთლიანობა, რომელსაც ისინი გულისხმობენ, რა თქმა უნდა, წინააღმდეგობათა მთლიანობას კი არ წარმოადგენს, არამედ „მთლიანობა“ აქ იგივეობის გამომხატველად იგულისხმება. აქ ყოველი ერთეული მთლიანობას ნიშნავს, რადგან ეს ერთეული აქ ის ტიპური ერთეულია, რომელიც ყოველ და ყველა სხვა ცალკეულს, როგორც თავის თავის საეცებით თანაბარს შეიცავს. ასეთ საფუძველზე, რა თქმა უნდა, ყოველი ყველასათვის კანონმდებელი ხდება. ყოველთვის იგულისხმება, რომ ერთის მიერ სხვისათვის დაწესებული სწორედ ის არის, რომელიც ყველა სხვის მიერაც დაწესებული იქნებოდა, თუ ის კანონმდებელი ყოფილიყო. აი ასეთ ღრმა, ყოველი განსხვავების წამშლელი იდენტიფიკაციის სიღრმიდან მზღის ამბავი ამ „საერთო უფლებრივ შეგნების შესახებ“. ამ დებულებაში გადადუღებულად იგულისხმება ყოველი წინააღმდეგობა, რომელიც დამახასიათებელია ბურჟუაზიული საზოგადოებისათვის და გაშლილია

სურათი სოციალური სამართლის შესახებ. აქ აღარ ჩანს უველათერი ის, რაც უნდა ჩანდეს. ბურჟუაზიული საზოგადოებიდან გატანილი უველათერი, რაც მას განსაკუთრებით ახასიათებს.

აღვილად დავრწმუნდებოდით, რომ ასეთი პრინციპების საფუძველზე მოსამართლის მუშაობის სტილი იგივე უნდა იყოს. რაც ორ ზემოთ დასახელებულ შემთხვევაშია, მაგრამ უკვე იმ განსხვავებით, რომ აქ ნაგულისხმევია: ყოველი სოციალური უთანხმოების, დავის. კონფლიქტის მთელი მნიშვნელობის ამოწურვა. მოხსნა, უკვე დამოკიდებულია ბურჟუაზიული მოსამართლის უფლებრივ შეგნებისგანო. თუ პირველ ორ შემთხვევაში (დიუგისთან, პეტრაეიციუსთან) ყოველი კონფლიქტის სოციალური მნიშვნელობა იფარგლებოდა მხოლოდ კონფლიქტში მონაწილეთა ინტერესებით და მისი სრული მოხსნა დამოკიდებულად იგულისხმებოდა ამ მხარეთა შეთანხმებისაგან. ახლა ამ კონფლიქტის მნიშვნელობა ისაზღვრება ბურჟუაზიული მოსამართლის შეგნებით. და მისი აბსოლუტური დამთავრება დამოკიდებულია მოსამართლის ამ შეგნებაზე.

როგორც ზემოთ დასახელებულ ორ შემთხვევაში, ისე აქაც მოსამართლე გამოდის სოციალური მამულის როლში და ყოველი უთანხმოების ისტორიას თავიდან ბოლომდე თითქოს მხოლოდ ის უღებს ბოლოს.

მოსამართლის მნიშვნელობის ამ როლით განსაზღვრა განსაკუთრებით ნათელია ფრანგი იურისტის სალეილის ნაწერებში, რომლის თანახმად მოსამართლე ახალი კონფლიქტების მოგვარების დროს უნდა ხელმძღვანელობდეს „ინტერესთა აწონ-დაწონით“. ამ დებულების თანახმად ყოველი ახალ უთანხმოების გადაჭრის დროს მოსამართლემ უნდა მიიღოს მხედველობაში დაპირისპირებული ინტერესები და მათ შორის ღირსეულს მისცეს უპირატესობა.

როგორც ზემოთ განხილულ შემთხვევაში, აქაც უთანხმოების „სოციალური მნიშვნელობა“ არ შორდება დავაში მონაწილეთა კერძო პირების ინტერესებს. „კერძო ინტერესები“ არის ის, რაზეც ეყრდნობა ამ დავის უთანხმოების სრული „სოციალური წონა“. და ამიტომაც თვით ამ კონფლიქტის მთელი ბუნება და შინაარსი დამოკიდებული უნდა იყოს თვით ამ კერძო პირების ურთიერთგანწყობილებაზე. იგულისხმება, რომ ყოველი დავა მთელი თავისი მნიშვნელობით უმტკივნეულოდ შეიძლება ლიკვიდირებულ იქნეს ამ კერძო პირთა შეთანხმებით. რადგან აქ, საბოლოო ანგარიშში, ყოველი ასეთი უთანხმოების წარმომშობი მიზეზები მხოლოდ თანასწორ პირთა კაპრიზის შედეგად არის ნაგულისხმევი; ამიტომაც ამ უთანხმოების სრული აღმოფხვრა ყველა მას წარმომშობ პირობებითურთ შესაძლებელია მოსამართლის მიერ ამ

პირთა შორის ჩამოგდებული თანხმობის შემწეობით. აქაც მოსამართლის სოციალური მამულის როლი ცხადია. ამ თეორიისათვის რამ დაგვეჭერებინა, თვით კლასთა ბრძოლაც მთელი მისი წარმომშობი შედეგებითურთ, ისევე როგორც მისი კლასთა ბრძოლის შემქმნელი მიზეზებით, შეიძლება სავსებით მოსამართლის კამერაში დამთავრებულიყო.

უამრავი სხვა თეორიის და კრიტერიუმის განხილვა შეიძლება, მაგრამ ესეც საკმარისია. რადგან მათი განხილვა ახალს არაფერს მოგვცემდა. თითოეული ამ კრიტერიუმის შესახებ სიტყვა-სიტყვით შეგვიძლია გავიხეოროთ ის, რაც ზემოთ ითქვა: თითოეული ისე არის გაკეთებული, რომ მათი დახმარებით ყოვლად შეუძლებელია ბურჟუაზიულ საზოგადოებაში უთანხმოების წარმომშობ ნამდვილ მიზეზებამდე დაველად. რეფლექტორი ამ „თეორიებისა“ „ანათებს“ მხოლოდ გარკვეულ სიღრმემდე; არასოდეს ის ადამიანის მხედველობაში არ ამწყვდევს უთანხმოების წარმომშობ ნამდვილ გარემოებას. არასოდეს მისი „სხივი“ არ იჭრება იმ სიღრმეში, სადაც შეიძლება დანახულ იქნეს ბურჟუაზიული საზოგადოებისათვის დამახასიათებელი უსამართლობანი, რომლებიც კვებავენ იმ ახალ უთანხმოებასაც, რომელთა გარჩევა ხშირად მოსამართლეებს უხდებათ.

IV

და აი, მოსამართლის თავისებური დანიშვნის წესებისა და ასეთი კრიტერიუმების წყალობით ხდებოდა,—მოუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი კოდექსი თითქმის ნახევარი საუკუნეა რაც სამოქმედოდ არის შემოღებული და ამ ხნის განმავლობაში ათასობით და ათიათასობით ბურჟუაზიული მოსამართლის მიერ განხილული ყოფილა საკითხები დაქირაავების, გაფიცვების, ლოკაუტების, დამქირაავებლის მიერ საშუალოდის დარღვევის, ზარალის ანაზღაურების შესახებ და სხვა,—რომ არ ყოფილა შემთხვევა თავის სინდისზე მიტოვებულ ბურჟუაზიულ მოსამართლეს გამოეტანოს გადაწყვეტილება, რომელიც ბურჟუაზიული კლასისათვის არსებითად მიუღებელი ყოფილიყო. ამ სფეროშიც არა თუ მოფიქრებულად, განზრახ, არამედ შემთხვევითაც კი ბურჟუაზიულ მოსამართლეს არ წამოსცდენია სიტყვა, რომელიც ბურჟუაზიული საზოგადოებისათვის დამახასიათებელ უსამართლობის თუნდაც ერთ პატარა მხარეს გაამხელდა. არ ყოფილა შემთხვევა, რომ მისი ჩადენილ უსამართლობა, ბურჟუაზიულ საზოგადოებას არ გამოდგომოდა, ვერ დაასახელებენ ვერცერთ შემთხვევას, რომ ამ ბურჟუაზიული სასამართლოდან სხვა კლასის წარმომადგენელი წასულიყო იმ რწმენით, რომ ეს სასამართლო არამიუღდგომელი, ყველასათვის თანასწორი სასამართლოა

სამართლის კლასობრივი ხასიათი, რომელიც ამ მოსამართლეებმა უნდა დაიცვან, მათი დანიშვნის წესები, რომელნიც შეუძლებლად ხდიან, მოსამართლის სკამზე სხვა ვინმე იჯდეს თუ არა ბურჟუაზიული კლასის წარმომადგენელი, დასახელებული კრიტერიუმები, რომლებითაც მოსამართლემ სამართლის შეფასების დროს უნდა იხელმძღვანელოს, ათანაირი სხვადასხვა საშუალებანი, რომლებიც ხელისუფლებას გააჩნია მოსამართლეებზე ზემოქმედებისათვის და მათი ენთუზიაზმის ყოველთვის ერთი მიმართულებით გაღვივებისათვის—ყველაფერი ეს ქმნიდა და ქმნის იმას, რომ ბურჟუაზიული მოსამართლეებისათვის შეუძლებელია სინდისის მიხედვით სხვანაირად მუშაობა, თუ არა ისე, როგორც აქვს ითხოვს მისი წარმომშობი კლასის ინტერესები.

რომ ბურჟუაზიულ კლასს მართლაც არა სურს ჰყავდეს თავისი კლასის სინდისისაგან დამოუკიდებელი სინდისის მქონე მოსამართლე, საუკეთესოდ გვიჩვენებს ბურჟუაზიულ ქვეყნებში არსებული მოსამართლის დანიშვნისა და არჩევის წესები. ვინ არ იცის, რომ ამ უყანაყენელთა გამო მშრომელი კლასის წარმომადგენლისათვის მოსამართლის სკამი ისევე მიუწვდომელია, როგორც მაგალითად, რომის პაპის სკამი არა კათოლიკეთათვის. ამიტომაც არ ყოფილა შემთხვევა, რომ ბურჟუაზიული სასამართლოს პოლიტიკა ერთხელაც დარღვეულიყოს მოსამართლის სკამზე მჯდომი პირის მიერ.

ამ პოლიტიკის წინააღმდეგ ხშირად ბევრი რამ თქმულა ბრალდებულთა სკამიდან, მაგრამ მოსამართლის სკამიდან კი არასოდეს. ბურჟუაზიულ ქვეყნებში მოსამართლეები „შეუცვლელი“ და „დამოუკიდებელი“ არიან, სანამ თავიანთი ხელისუფლების დაკვეთას კარგად ატარებენ. არც ყოფილა შემთხვევა, რომ თავი გადაერჩინოს მოსამართლეს, რომელიც გაბატონებულ ხელისუფლებას არ მოსწონება. მოსამართლის შეუცვლელობის და დამოუკიდებლობის პრინციპს ბურჟუაზიული კლასის წარმომადგენლები აზვიადებდნენ, აღიღებდნენ და როგორც ერთ-ერთ წმიდათაწმინდა პრინციპს ამკვიდრებდნენ. სანამ ეს პრინციპი მათთვისვე იყო სასარგებლო, სანამ ისინი ერთგული მოსამართლეების ჯილდოს ხასიათს ატარებდნენ, მაგრამ რა წუთშიც ამ ერთგულებაში ეჭვი იჭნებოდა შეტანილი, ეს პრინციპი დავიწყებას ეძლეოდა. ამ შემთხვევაში აღნიშნული პრინციპები არა თუ რაიმეს ხელს უშლიდა, არამედ არასასურველ მოსამართლეთა დაცემის სისწრაფეს ზრდიდა.

ვინ ჩამოთვლის ყველა იმ შემთხვევას, როდესაც ბურჟუაზიულ ხელისუფლებას ამ პრინციპის წინააღმდეგ უმოქმედია? ვინ ჩამოთვლის ყველა იმ შემთხვევას, რომლებიც ნათელყოფენ, რომ ხელისუფლების მიერ მოსამართლეთა შეუცვლელობა აღიარებული ყოფილა მხოლოდ დროებითი, როგორც ჯილდო აბსოლუტური ერთგულებისათვის. მაგალი-

თად, 1807 წელს ნაპოლეონმა გამოაცხადა, რომ შეუცვლელია ხუთი წლის შემდეგ ებოძება მხოლოდ იმ დანიშნულ მოსამართლეებს, რომლებსაც მისი უდდესობა ცნობს ღირსეულადო. 1814 წლის რესტორაციის ქარტიით შეუცვლელია პრინციპი აღდგენილი იყო მხოლოდ მეფის მიერ დანიშნული მოსამართლეებისთვის, რომლებიც მონარქისადმი ერთგულებას დაამტკიცებდნენ. 1830 და 1848 წლების კონსტიტუციებმა ხელახლა აღიარეს მოსამართლეთა შეუცვლელია და დამოუკიდებლობა, მაგრამ როდესაც ლუი ნაპოლეონის დიქტატურის დროს საჭიროებამ მოიტანა, ეს პრინციპი ხელახლა დარღვეულ იქნა. „შეუცვლელია პრინციპმა ადგილი უნდა დაუთმოს რეალური ვითარების ძალას“, წერდა იმდროინდელი იუსტიციის მინისტრი. 1852 წლის კონსტიტუცია ამ მოსაზრებით მოსამართლეთა შეუცვლელია შესახებ არაფერს ამბობდა. 1870 წლის კონსტიტუციაში კი ხელახლა იყო აღიარებული, ხოლო 1875 წლის კონსტიტუციამ, მართალია, ის აღარ გაიმეორა, მაგრამ ეს პრინციპი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მაინც საჭარო სამართლის პრინციპად რჩებოდა. ამიტომ, როდესაც 1883 წელს მთავრობას დასჭირდა ამ პრინციპის მოქმედების სამი თვით შეჩერება, რათა გადაყენებული ყოფილიყვნენ მოსამართლეები, რომლებიც მთავრობის აზრით რესპუბლიკისადმი სანდო ერთგულებას ვერ იჩენდნენ ამის შესახებ მოუხრიდებლად მან სპეციალური კანონი გამოსცა.

ასე ექცეოდა ბურჟუაზიული ხელისუფლება მოსამართლეთა შეუცვლელია პრინციპს. ფაშისტური ხელისუფლების ერთ-ერთი პირველი ნაბიჯთაგანაც ყოველთვის ძველი მოსამართლეების მასობრივი გადაყენება და მათ ადგილას „კეთილსაიმედო“ ფაშისტების დანიშვნა იყო.

ინგლისის მეფის ვილჰელმ III-ის 1700 წლის დადგენილება იმის შესახებ, რომ მოსამართლეები არ შეიძლება გადაყენებულ იქნენ თანამდებობიდან, „სანამ ისინი კარგად იქცევიან“, იგულისხმებოდა, მანამ ისინი თავისი კლასის დაკვეთას კარგად ასრულებდნენ, ყოველთვის ტარდებოდა სხვა მეფეებისა და ბურჟუაზიული მთავრობების მიერ.

ცხადია, ლაპარაკი იმაზე, რომ ბურჟუაზიულ ქვეყნებში მოსამართლე დამოუკიდებელია, სრულებით ზედმეტია. დამოუკიდებლობა, რომელზედაც ბურჟუაზიული კონსტიტუციები ლაპარაკობენ, არსებითად ნიშნავს აბსოლუტურ დამოკიდებულებას ბურჟუაზიულ კლასისაგან და აბსოლუტურ დამოუკიდებლობას მეორე კლასისაგან. ეს უკანასკნელი დამოუკიდებლობა რეალურად გამოხატავს მხოლოდ მშრომელი კლასის ინტერესებისაგან დამოუკიდებლობას.

მოსამართლედ ვერ იმუშავენ ის, ვინც ყველაფერი იცის, გარდა სამართლისა, ისე, როგორც ვერ იმუშავენ ის, ვინც სამართლის შესახებ თითქოს ყველაფერი იცის, სანამ მას არ დაეკითხებიან, თუ როგორ უნ-

და მოწესრიგდეს ჩვენი სამართლის მიხედვით ის პატარა სკოლები, რომლებითაც ყოველდღიურ ცხოვრებაში დღე-ღამე დაინტერესებული ცოცხალი ადამიანები. ვისაც ჩვენი სინამდვილის დაცვა სურს. ის კარგად უნდა იცნობდეს ჩვენს სამართალს; ის მტკიცედ უნდა იყოს დამოკიდებული ჩვენს კანონებზე და რაც უფრო კარგად გვექნება შეზღუდული ეს კანონები, რომლებიც ჩვენი საზოგადოების მიღწევების გამოშვებული და ამავე დროს თვით ამ მიღწევების დაცვის საშუალებანიც არიან, მით უფრო დამოკიდებული ვიქნებით მათგან. ვინაიდან მით უფრო კარგად გვექნება შეთვისებული ჩვენი კანონების მნიშვნელობა და სიდიადე.

ამიტომ კონსტიტუციის პროექტის დასახელებული მუხლი უპირველეს ყოვლისა გულისხმობს ჩვენი კანონმდებლობის ღრმა და ყოველმხრივ შესწავლას, გულისხმობს სპეციალური იურიდიული ცოდნით აღჭურვილ კადრებს, რომლებიც ამ კანონების ნამდვილი გამტარებლები იქნებოდნენ.

მაგრამ, რა თქმა უნდა, ცოდნა, რომელზეც აქ ვლაპარაკობთ, არაერთარ შენობებში არ ნიშნავს კანონების მშრალ დოგმატიკურ ცოდნას. ყოველი კანონის მნიშვნელობა, ხშირად იმაზე მეტიცაა. რაც კოდექსში წერია, ხოლო ხშირად პირიქით, იმაზე ნაკლებიცაა, რაც ტექსტში აღნიშნული. და მოსამართლე ამას კანონიდან, მაგრამ მის იქითაც უნდა ხედავდეს. ამიტომ ჩვენი მოსამართლე პოლიტიკაში უნდა ერკვეოდეს, რადგან მხოლოდ ეს აძლევს მოსამართლეს შესაძლებლობას, დაინახოს გუშინდელი კანონის დღევანდელი მნიშვნელობა. მხოლოდ პოლიტიკის საფუძველზე შეუძლია მას შეიცნოს არსებული კანონის დღევანდელი სიზახვილის ხარისხი.

ჩვენს სამოქალაქო კოდექსში, მაგალითად, ბევრია ისეთი მუხლი რომლებითაც სარგებლობა დღეს უკვე აღარ შეიძლება, თუმცა ისინი ოფიციალურად აღნიშნული არ არიან. ამხ. კრილენკო სრულიად რუსეთის ცაქის IV სესიაზე სამართლიანად აღნიშნავდა, „რომ სამოქალაქო კოდექსი ჩვენში 60 %-ით არ მეტყველებს და ამ ნაწილში სამოქალაქო კოდექსი მკვდარი კანონია“. დღესაც, მაგალითად, ოფიციალურად გაუქმებული არ არის მიწის კოდექსი, რომელიც კერძო ინდივიდუალურ მიწათმფლობელობაზეა აგებული და რომელიც სამოქმედოდ 1922 წელს იყო შემოღებული.

სად დღეს ხაზი მკვდარსა და ცოცხალს შორის, რომელი მუხლი მართლაც მეტყველებს და რომელი „დუმს“, რას ნიშნავს დღეს ესა თუ ის კანონი — ყველაფერი ამის გაგება მხოლოდ პოლიტიკის ცოდნის საფუძველზეა შესაძლებელი.

ახალი კონსტიტუციის პროექტის 109-ე მუხლი აღნიშნავს, რომ „მოსამართლეები არჩეული იქნებიან რაიონის მოსახლეობის მიერ საპი

წლის ვადით საყოველთაო, პირდაპირი და ფარული არჩევნების უფლებას საფუძველზე“. მოსამართლეთა არჩევნების სისტემას ითვალისწინებენ ზოგიერთი ბურჟუაზიული სახელმწიფოების კონსტიტუციებიც. ასე, მაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატებში მოსამართლეებს ირჩევენ 30 შტატში. შვეიცარიაში ექვს კანტონში მოსახლეობის მიერ აირჩევიან ყველა საფეხურის მოსამართლეები, ხოლო ათში კი დაბალი საფეხურისა. საფრანგეთში მოსამართლეთა არჩევის სისტემა შემოღებული იყო 1790 წელს, ამის შემდეგ ის რამდენჯერმე იყო გაუქმებული და ისევ შემოღებული. 1800 წლიდან ეს სისტემა საფრანგეთში გაუქმებულია. მოსამართლეთა არჩევნების სისტემა არა ყველას აღტაცებს იწვევდა. თვით ბურჟუაზიული მეცნიერები, რომლებიც მოსამართლეთა დანიშვნის სისტემას უპირატესობას აძლევენ, სხვადასხვანაირად ხასიათებდნენ მოსამართლეთა არჩევნების სისტემას. ზოგნი მართებულნი იმაზე, რომ მოსახლეობა თავის კანდიდატებს შეიძლება იცნობდეს, მხოლოდ ზერელედ. ზოგი იმაზე, რომ მოსამართლეთა არჩევნები ყოველთვის დაკავშირებულია სხვადასხვა პოლიტიკურ პარტიათა ბრძოლასთან და ზოგიც იმაზე, რომ ეს პარტიები შეუსაბამოა ეგრეთწოდებული მოსამართლეთა შეუცვლელობის პრინციპთან. „მოსამართლე რომელიც არჩეული იქნება თავისი პოლიტიკური შეგობობათ, ამაჯერ უფრო მიკერძოებული და საშიში იქნება, ვიდრე დანიშნული მოსამართლე“ — წერდა ვაისერი. ბრაისის თანახმად, „შტატებში არჩეული მოსამართლეები არასოდეს არ ყოფილან ცნობილი არც თავისი ნიჭით, არც თავისი ცოდნით“. არჩევნები აქ, — წერს ის, — „ყოველთვის წარმოადგენდა ფარულ შეთანხმებას პოლიტიკურ პარტიათა ხელმძღვანელთა შორის“. პიკო და თელრიხის თანახმად ამ გზით „მოსამართლის თანამდებობაზე მიდიოხენ უმეტეს შემთხვევაში საეჭვო ზნეობის მქონე პირები“. ლაბულიე კი კარეკატურულად აღნიშნავდა: „ადამიანი, რომელიც ზრუნავს იმისათვის, რომ არჩეულა იქნეს მოსამართლედ, იძულებულია, ისე მოიქცეს, როგორც ის, ვისაც სურს, რომ დეპუტატად იყოს არჩეული. მას დასჭირდება ხან ერთთან, ხან მეორესთან მოლაპარაკება. დასჭირდება მათი ბავშვების და ლეკვების ამზის გამოკითხვა, საერთოდ იძულებული იქნება, მიმართოს ისეთ ხერხებს, რომელიც დასაშვებია დეპუტატებისათვის და არაერთარ შემთხვევაში მოსამართლისათვის“.

აღნიშნულია შემთხვევები, როდესაც ბოროტმოქმედთა ორგანიზაციას აუღია ხელში არჩევნების საქმე და მოსამართლეთა თანამდებობაზე დაუსვამთ პირები, რომლებიც გულგრილად უყურებდნენ მათი ამრჩევლების მიერ ჩადენილ ბოროტმოქმედებებს. მაგალითად, აღწერილია ერთი შტატის მაგალითი, სადაც რკინიგზის ორი კომპანია აწარმოებს ერთმანეთში ბრძოლას სასამართლოს გადაწყვეტილებით, ამ

კომპანიებს ხელში ჰკავთ მოსამართლეები, რომლებიც ამახინებენ თავიანთ როლს და რომლებიც „მართლმსაჯულებას“ აქცევენ თავიანთ „არჩევნების საშუალებად“. ალბათ ყველაფერი ეს ჰქონდა მხედველობაში ჯონ სტიუარტ მილს, როდესაც ის თავის ცნობილ წიგნში „წარმომადგენლობის შესახებ“ წერდა: მოსამართლეთა პერიოდიული არჩევნები ხალხის მიერ წარმომადგენს უსაშინელეს შეცდომას, რომელიც ოდესმე ჩადენილი ყოფილა დემოკრატიის მიმართ.

რა თქმა უნდა, არც ერთი ეს დებულება, არც ერთი აქ თქმული სიტყვა და მოსაზრება არ შეიძლება გამეორებული იყოს ჩვენი ახალი კონსტიტუციის პროექტით გათვალისწინებული მოსამართლეთა არჩევნების სისტემის მიმართ.

მოსამართლეთა არჩევნების სისტემა აქაც მართლაცდა გააძევა „შესანიშნავ მათრახად მოსახლეობის ხელში ცუდად მომუშავე ხელისუფლების ორგანოების მიმართ“, ამ შემთხვევაში ცუდად მომუშავე მოსამართლეების მიმართ.

ამიტომ თუ მოსამართლეთა არჩევნების სისტემა კაპიტალისტურ ქვეყნებში უნუგეშო სურათს იძლევა, ჩვენთან პირიქით, ის ხელს შეუწყობს ჩვენი მოსამართლის კულტურული დონის ზრდას, უფრო მკიდრო კავშირში დაიჭერს მათ ჩვენი კანონებისაგან, კიდევ უფრო გააძლიერებს მათში ცოცხალი ადამიანებისადმი მზრუნველობის სურვილს. თუ ეს სისტემა ბურჟუაზიულ ქვეყნებში ჰეშმარიტი დემოკრატიზმის უარყოფას ნიშნავს, ჩვენთან ის პირიქით ნამდვილი დემოკრატიზმის გამომბატველი იქნება.

ბურჟუაზიულ მეცნიერებას შეუძლია ჯ. სტ. მილის სიტყვებით გვიპასუხოს, რომ ხალხი უნარს მოკლებულია, სწორად შეაფასოს ის სპეციალური ცოდნა და თვისებები, რომელნიც საჭიროა მოსამართლეს თანამდებობის დაკავებისათვის. მაგრამ არ უნდა დაივიწყონ, რომ ხალხი, რომელიც მხედველობაში ჰყავდათ, მაგალითად, XVI, XVII, XVIII საუკუნეების ხალხის სუვერენიტეტის თეორიების წარმომადგენლებს, ან ხალხი რომელზეც საფრანგეთის დიდი რევოლუციის წინ მონტესკიე და მის შემდეგ სეისი და მამლე „ზრუნავდენ“ და ამათზე უფრო გვიან კი ლაპარაკობდნენ მესტრი, ბონალდი, ტენი, ლაბულიე და ბრაისი, რომლებიც ხალხის მიმართ არ იზიარებდნენ ე. ე. რუსოს აღტაცებებს, — განსხვავდება იმ თავისუფალი ხალხისაგან, რომელმაც საკუთარი ხელით შექმნა კაცობრიობის ისტორიის საუკეთესო გვერდები.

ცხადია, რომ ასეთი ხალხი შეძლებს იმის გაგებას, თუ ვინ ასრულებს კარგად კანონში გამოხატულ მის ნებას. შეძლებს მადლობა უთხრას მათ, ვინც ყოველდღიური მუშაობით იცავს ცოცხალი ადამიანების იმ ღირსებას, რომლის შეგნებით თვით ეს ხალხი ახალ თვისებასაც წარმომადგენს.

ჩვენი ხალხი არა თუ მოკლებულია მოსამართლისათვის საჭირო სპეციალური ცოდნისა და თვისების შეფასების იმ უნარს, რომელზეც ჯონ სტიუარტ მილი ლაპარაკობდა, არამც თუ აქვს, როგორც მონტესკიე ამბობდა, მხოლოდ წარმომადგენლების არჩევის უნარი, ხოლო თვით კი უნარს მოკლებულია, უშუალო მონაწილეობა მიიღოს სახელმწიფოს მმართველობაში, არამედ ჩვენმა ხალხმა მიაღწია იმ კულტურული სიმწიფის დონეს, რომ ყველა ეს შესაძლებლობა მას ერთიანად ახასიათებს.

၃၅၆၅၆၀၀

წერილები ივანე ჯავახიშვილისადმი

ივ. წ. 1989 ფრაიბურგი 30/IX

ღრმად პატივცემულო ბატონო ივანე!

რამდენიმე ხნის წინათ მივიღე თქვენი წერილი. უურადღებისათვის გიძღვნიათ უღრმეს მადლობას. ხელწერილი, რომლითაც უნივერსიტეტისაგან ფულის მიღებას ვადასტურებ, ჩვენს წარმომადგენლობას მივაწვდინე, რომელსაც დარწმუნებული ვარ, მიღებისთანავე უნივერსიტეტს გადმოუგზავნიდა. ამას გარდა, კერძოდ პროფ. ან. რაზმაძესაც ვთხოვე ეცნა-ბა თქვენთვის ჩემ მიერ ფულის მიღება. ფული 150 გირვანქა სტერლინგი თანახმად თქვენი მოწერილობისა, მე და ალ. ჭანელიძემ, რომელიც ამჟამად ფრაიბურგში იმყოფებოდა გავიყავით.

ჩამოსვლისთანავე პირადად თქვენ სახელზე ერთი წერილი გამოვაგზავნე, იმ წერილში მოკლედ აღვნიშნე, თუ როგორი უნდა ყოფილიყო ჩემი მუშაობის გეგმა, ვინაიდან პირობებთან კარგად არ ვიყავი გაცნობილი და უფრო ვრცელი ცნობების მოწვევს ვერ მოვახერხე. ჩამოვედი თუ არა, მუშაობას მაშინვე შევუდექი. გერმანული ენა მაქაც ციცოლი, მაგრამ სამი თვე დაახლოვებით მაინც დამჭირდა დეფექტების შესავსებად და ენის იმდენად შესასწავლად, რომ მეცნიერული წიგნების კითხვა თავისუფლად შემძლებოდა. ხუთი თვე იქნება მას შემდეგ, რაც განუწყვეტლივ იურიდიულ ლიტერატურას ვეცნობი. მასალა, რომლის გაცნობა აუცილებელ საჭიროდ მიმაჩნია, მეტისმეტად დიდია და რამდენიმე თვის მუშაითი მუშაობა კიდევ არის საჭირო, რომ მისი დაძლევა შევძლო. ეს იქნება იმ მინიმუმის მიღწევა, რომლის შემდეგაც ჩემი აკადემიური მუშაობა შემიძლიან შემდეგ ფაზაში გადავიტანო. რომელშიც დროის უმთავრესი ნაწილი, შევძლებ, შრომის მზადებას მოვანდობო, რომელიც დარწმუნებული ვარ, დაბრუნებისთვის საერთო სახით გექნება შემუშავებული.

ცხოვრების პირობებზე ჭერჭერობით არავითარი საყვედური არ ითქმის. პირადად მე ფრაიბურგით კმაყოფილი ვარ, ვინაიდან ამ ქალაქში სასაბოლოოდ ბადენში/ სიძვირე არ არის ისე შემაწუხებელი, როგორც სხვა გერმანიის ქალაქებში. უნივერსიტეტის მიერ გამოგზავნილები ჭერჭერობით ბერლინში დაბინავდნენ. ყველანი კარგად არიან. ალ. ჭანელიძემ ფრაიბურგში ორი თვე გაატარა. ენას სწავლობდა. გუშინ

ბერლინს გაემგზავრა, სადაც დაჰყოფს ორ კვირას და ამის შემდეგ ისევ პარიზს წავა. ქოიავს უნდოდა ფრაიბურგში ჩამოსვლა, მაგრამ აქ უბინაობის გამო შემოსვლისათვის საჭიროა ბადენის მთავრობის სპეციალური ნებართვა. ამ წლის დამლევს დაწერილებით მოხსენებას მოგაწვდიდა. გისურვებთ კარგად ყოფნას

ღრმა პატივისცემით გ. ნ ა ნ ე ი შ ვ ი ლ ი

ივ. წ. 2088 ბერლინი. 25/III.

ღრმად პატივცემულ ბატონო ივანე!

გწერთ ამ წერილს და არა ვარ დაწმუნებული, რომ ეს წერილი თქვენამდ მოაღწევს. ვინცობაა, თუ ბედმა არ გვიბტყუნა და წერილმა თქვენამდე მოაღწია, უმორჩილესად გთხოვთ, გერმანიის წარმომადგენლის რაუშერის ან და გერმანიის კონსულის ანდერსის დახმარებით პასუხი მოგვაწვდინოთ. გუშინ ყველა ჩვენ უნივერსიტეტის მიერ გამოგზავნილებს გვქონდა მსჯელობა იმის შესახებ თუ როგორ უნდა ვიმოქმედოთ. მატერიალური ჩვენი მდგომარეობა პირდაპირ უმწუოა. ანდენ ხანს პირადად ჩემი მდგომარეობა ბევრად უკეთესი იყო, ვიდრე დანარჩენებთან, ვინაიდან მე სტიპენდიას მთავრობისგანაც ვღებულობდი, მაგრამ რამდენიმე დღის წინათ ჩვენმა საელჩომ მიიღო აკ. ჩხენკელის განკარგულება, რომლის ძალით ყველა სტიპენდიები გაუქმებულად ითვლება. ის ფული, რომელიც თქვენ აკ. ჩხენკელის ხელით ინებეთ კადმოგვზავნათ, ჯერამც არ მიგვიღია, ამ დღეებში მივიღებთ. ამ ფულით შევიძლია ორი თვე ვიარსებოთ მხოლოდ. ამის შემდეგ არ ვიცი რა უნდა ვქნათ. ესლა ჩვენ გვინდა ვიცოდეთ თუ როგორ უყურებთ თქვენ ჩვენ მდგომარეობას. სანამ თქვენ განკარგულებას არ მივიღებთ. ჩვენ არ ვიცით, თუ როგორ უნდა ვიმოქმედოთ. თუ თქვენ საჭიროდ დაინახავთ, მაშინ ჩვენ დავბრუნდებით. ამ წერილს გწერთ ყველას მინდობილობით. ძალიან მადლობელი ვიქნებით თუ მოკლედ მაინც გვაცნობებთ, თუ როგორი პირობებია ჩვენში. ველით თქვენ პასუხს. ვინაიდან ამ უკანასკნელით ჩვენ უნდა ვიხელმძღვანელოთ. მიიღეთ უალრესი ჩვენი მადლობა. ყველასი მინდობილობა.

გ. ნ ა ნ ე ი შ ვ ი ლ ი

P. S. თებერვლის შუა რიცხვებში ვრცელი მოხსენება გადმოგიგზავნეთ. არ ვიცი, მიიღეთ თუ არა.

თქვენი გ. ნ ა ნ ე ი შ ვ ი ლ ი

ღრმად პატივცემულო ბ-ნო ივანე!

ერთი კვირის წინათ მოგწერეთ ბარათი, რომელშიდაც მქონდა გა-
მოთქმული სურვილი საქართველოში დაბრუნებისა. დარწმუნებული
ვარ. ეს ჩემი წერილი მიღებული გექნებათ. ესლა ვჩქარობ დამატებით
გაცნობით, რომ თხოვნა პასპორტის შესახებ უკვე აღეძარი და უნდა ვი-
ფიქროთ, რომ ორ სამ თვეში მას მივიღებ. ლევან ლოლობერიძის ხელით
კი სტავლა-განათლებლ-ს კომისიის სახელზე ვგზავნი განცხადებას იმის
შესახებ, რომ მსურს სამშობლოში დაბრუნება და უნივერსიტეტში მოღ-
ვაწეობა. ამასთან ერთად ვსთხოვ მათ ვიზის და აგრეთვე საგზაო ფულის
გადმოგზავნას. ვფიქრობ, რომ უნივერსიტეტის მხრივდაც, რომ იყოს
გაკეთებული ერთგვარი განცხადება იმის შესახებ, რომ ჩემი დაბრუნე-
ბა სასურველია, ეს ვიზის გამოგზავნის საქმეს დააჩქარებს.

პირდაპირ მრცხვენია ღრმად პატივცემულო ბ-ნო ივანე, რომ ვაწუ-
ხებთ. მაგრამ რა ვქნა. იმედია შეწუხებას მაპატიებთ. მე კი მთელ ჩემი
ძალდონით შევეცდები თქვენი ნდობის გამართლებას და იმ-ს დამტკი-
ცებას; რომ თქვენი ყურადღება ჩემს მიმართ ტყუილა არ იყო.

თქვენი პასუხის მოლოდინში დავრჩები თქვენი

ღრმად პატივისმცემელი გ. ნ ა ნ ე ი შ ვ ი ლ ი

ღრმად პატივცემულო ბატონო ივანე!

ამა თვის 15 მივიღე თქვენი დაზღვეული წერილი. ვერ აღვიწერთ რა
მღელვარებით მოველოდი მას. ამ 6 წლის განმავლობაში სულ რამოდე-
ნიმე ბედნიერი წუთები მახსოვს და ეს უკანასკნელები კი უმთავრესად
თქვენი წერილებით ყოფილა გამოწვეული.

მე ვფიქრობ, რომ ორ-სამ თვეში პასპორტს და ვიზას მივიღებ საპ-
კოთა საკონსულოდან. ამა წლის 20 ნოემბრის თარიღით მივიღე უწყება
იმის შესახებ, რომ ჩემი შუამდგომლობა ვიზის და პასპორტის შესახებ
მოსკოვში არის გადაგზავნილი. მოსკოვიდან კი ყველა ჩემი ქალაქებზე
თბილისის იქნება გადმოგზავნილი. ასეთია წესი.

ლევან ლოლობერიძემ, რომელიც მე სამშობლოში დაბრუნების წინა
დღით ვინახულე, დამპირდა, ადგილობრივ ყოველგვარი დახმარების გა-
წევა. მართალია, ამის შემდეგ თითქმის ორმა თვემ გაიარა და მე არავი-
თარი პასუხი თბილისიდან არ მიმიღია, მაგრამ მე მაინც დარწმუნებული
ვარ, რომ დადებითი პასუხი სადაც არის მოვა.

რაც შეეხება იმ მონათესავე საგანს, რომლის შესახებ თქვენ მეკითხებით, ძნელია, სანამ არ ვიცი, თუ რა საგნები არ არის ამოშლილი სოციალურ-ეკონომიური საგნების სიიდან, რაიმე გარკვეული პასუხის შემოთვლა. ამ წერილთან ერთად ვუგზავნი ბარათს ბ. შალვა ნუცუბიძეს, რომელსაც ვსთხოვ საჭირო ცნობების შემოთვლას. თუ მისგან პასუხი მივიღე, მაშინ მეც მოვახერხებ გარკვეული პასუხის შემოთვლას. საერთოდ კი უნდა აღვნიშნო, რომ ჩემი საგანი, რომელიც სამართლის წმინდა ფილოსოფიისაგან და სოციალურ-პოლიტიკური დოქტრინების ისტორიისაგან შესდგება, ორგანიულად გადაბმულია სახელმწიფოს სამართალთან და საერთაშორისო სამართლის, საერთო თეორიულ ნაწილთან.

მას შემდეგ რაც იურიპრუდენცია და ფილოსოფია ხანგრძლივი გაყრის შემდეგ კვლავ დაუახლოვდნენ ერთმანეთს, შეუძლებელია იქნებინო ერთ რომელიმე ამ საგანთა შორის ძირითად საგნად აირჩევს, იმავე გაღრმავებულ ყურადღებით, რომლითაც ის მიპყრობილია თავის ძირითად საგანზე, არ მოეპყრას ორ დანარჩენს. შემთხვევითი როდია, რომ საუკეთესო, ახალი მოაზრებები საერთაშორისო სამართლის ბუნების შესახებ სამართლის ფილოსოფოსებს ეკუთვნის.

პირადად მე ამ წლის განმავლობაში ვმუშაობდი ამ სამ საგანზე. საერთაშორისო სამართლიდან დამუშავებული მაქვს ფრიად მნიშვნელოვანი საკითხი საერთაშორისო სამართლის Primal-ის შესახებ. რომელსაც როგორც კი ამოვძეკრები ამ მდგომარეობიდან, რომელშიდაც ამ ეამად ვიმყოფები, აუცილებლად გამოვცემ. ჩემ სპეციალურ დარგიდან კი დაწერილი მაქვს რიგი წერილებისა, და აგრეთვე ერთი დიდი შრომა ეროვნული საკითხის შესახებ. რომლის გამოცემას ბ-ნ ზურაბის წინასიტყვიანობით კიდევ შარშან ვაპირებდი, მაგრამ უფულობამ აქაც ვანძრახვაზე ხელი ამადებინა. დარწმუნებული ვარ, რომ მანდ სულ სხვა პირობებში ვიქნები, და ბევრ ჩემს გულისწადილს უფრო ადვილათ განვახორციელებ.

ჯერ-ჯერობით, ღრმად პატივცემულო ბ-ნო ივანე მხოლოდ შექდეგი პასუხის გაცემა შემიძლია. რა თქმა უნდა, თუ რომ საშუალება მომეცემოდა ჩემს დარგში, ესე იგი სამართლის წმინდა ფილოსოფიის და სოციალურ-პოლიტიკური დოქტრინების სფეროში, მუშაობა ყველაფერს ემჭობინებოდა. მაგრამ თუ როგორც ბრძანებთ, ეს საგანი ამოშლილია სოციალურ-ეკონომიური საგნების სიიდან მაშინ სიამოვნებით და გაბედულად ვიკისრებდი მუშაობას ორ ზემო დასახელებულ საგანში (თუ, რა თქმა უნდა, ეს საგნებიც ამოშლილი არ არის.).

რა თქმა უნდა, სხვა პირობებში რომ ვიყო შეიძლებოდა დაცდა, სანამ ჩემს საგანს დაადგენდნენ. მაგრამ ჩემს მდგომარეობაში დაცდა ძნოლოდ გაცდენას ნიშნავს. პირველ წერილში გწერდით, რომ ისეთ მდგო-

ძარეობაში ვიმყოფები, რომ ძნელია, თითქმის შეუძლებელია. ფიქრს კი სისტემატურ მეცნიერული მუშაობის შესახებ. ბევრი რამ საყურადღებო რამის გადათვალისწინება ნაციონალურ ბიბლიოთეკაში მესაქიროება, მაგრამ ვერ ვპოულობ თავისუფალ დროს იქ შესარბენად.

მე სრულებითაც არ მინდა თქვენ იფიქროთ, რომ მხოლოდ გაქირვებამ და უკიდურესმა მდგომარეობამ მამბრუნებინა პირი სამშობლო კინივერსიტეტისაკენ. ჩემი პირი და გული ყოველთვის მისკენ იყო მიმართული და გრძნობა იმისა, რომ როდესმე მეც თქვენთან ვიქნებოდი. ბევრი რამის ატანას მიაღვივებდა. ბევრ რამეზედ, რაც ჩემ მატერიალურ მდგომარეობას საგრძნობლათ გამოაკეთებდა მიუთქვამს უარი მხოლოდ იმისთვის, რომ არ დამეყარა უფლება სამშობლოში დაბრუნებისა და მანდ კი სამშობლოს უნივერსიტეტში მოღვაწეობისა. მე მინდა, რომ თქვენ, განსაკუთრებით თქვენ, ღრმად პატივცემულო ბ-ნი ივანე, ამ ჩემ გულწრფელობაში და ჩემ პატიოსანურად მოვალეობის შეგნებაში არავითარი ეჭვი არ გქონდეთ.

მიიღეთ ჩემი გულითადი სალამი.

თქვენი ღრმად პატივისმცემელი.

გ. ნ ა ნ ე ი შ ვ ი ლ ი

/შემდეგ წერია მისამართი/.

P. S. აგერ ორი წელიწადი იქნება; რაც ბ-ნი ზურაბ ავალიშვილი ძველ საქართველოს პოლიტიკურ ისტორიის სფეროში მუშაობს. ბევრი რამ მას ქართულად უკვე დაწერილიც აქვს. ამას წინათ წამიკითხა მან ორი თავისი ხელთნაწერი. ერთი მათ შორის შეეხება თამარ მეფის ხანას და ჯვაროსანთა ომს. ეს მისი წერილი ემყარება სულ ახლად მის მიერ პირველად აღმოჩენილ საბუთ-წერილზე ერთ გულგატეხილი რაინდისა საფრანგეთის ერთ არქივებისკოპოსის მიმართ. პირადად მე გადათვალისწინებია შრომები ჯვაროსანთა ომების შესახებ, კიდევ ორი თავის წინათ ფრანგულ ენაზე წავეკითხე სულ ახლად გამოქვეყნებული მონოგრაფია ამ საკითხის შესახებ, მაგრამ არსად ერთი სიტყვიცაა კი საქართველო ნახსენები არ არის. ბ-ნი ზურაბის წერილიდან კი ამკარა ღებდა, თუ რა რიგად იმედი დახმარებისა საქართველოს მხრივ აღვივებდა ჯვაროსანთა პათოსს, იმ უამად უკვე მკრთალს და შესუსტებულს. კარგი იქნებოდა, რომ ეს მისი მიმოხილვანი დაბეჭდილიყო თბილისში ამ ჩვენ ისტორიულ მეცნიერების ცენტრში. იქნებ თქვენ შესაძლოდ მიიჩნიოთ მათი მოთავსება უნივერსიტეტის კრებულში. ამ შემთხვევაში ხელთნაწერების გამოგზავნა, ვფიქრობ რომ მოხერხდება.

თქვენი ღრმად პატივისმცემელი.

გ. ნ ა ნ ე ი შ ვ ი ლ ი

ღრმად პატივცემულო ბ-ნო ივანე!

აგერ ერთ წელწადზე მეტია, ვცდილობ გამეცნო თქვენთვის ჩემი მდგომარეობა. ვის არ ვსთხოვე, ვის არ დავაბარე, მაგრამ როგორც სჩანს, არავის არ ჩრებოდა დრო ჩემი თხოვნის შესასრულებლად. ვადავწყვიტე პირადათ თქვენ მოგმართოთ. იმედი მაქვს, ყურადღებით მოისმენთ ჩემს თხოვნას, და პირველ შემთხვევისთანავე ამა თუ იმ პასუხს გამცემთ.

უკანასკნელად თქვენი წერილი მივიღე 1 იანვარს 1924 წ. ამ წერილიდან სჩანდა, რომ ჩემთვისაც მოინახებოდა სამუშაო ქართულ უნივერსიტეტში. ამ თქვენი წერილის შემდეგ მე გადავღვი ნაბიჯები ვიზის საშოვნათ. ახლობელ პირთ მიემართე თხოვნით მოეგვარებინათ ეს საქმე. რამდენადაც მე ვიცი ზოგიერთი ზომა მანდ კიდევ იყო მიღებული. მაგრამ კავშირი ამ ხალხთან უეცრად შესწყდა და ჩემი დაბრუნებას საკითხი გაყრულ წერტილზე შესდგა. ყველაფერ ამის შემდეგ, განვლო ორმა წლიწადმა, პირადად ჩემს ცხოვრებაში ბევრი რამ შეიცვალა ამ ხნის განმავლობაში. მანდ დავკარგე ადამიანი, დედა-ჩემი, რომელიც ჩემთვის არაფრის დამხმარებელი არ იყო და სწორედ ამ ადამიანის სიკვდილის შემდეგ მანდ აღარ მეგულებოდა, და ესლაც არ მეგულება ადამიანი, რომელიც გულმოდგინედ იზრუნებდა სამშობლოში ჩემი დაბრუნების შესახებ. ეს მდგომარეობა მაიძულებს პირადად თქვენ მოგმართოთ, რადგან ვიცი თუ როგორ ახლოს გულთან ღებულობთ თქვენ ყველა მათ მდგომარეობას, ვისი სურვილი ყოველთვის, მხოლოდ იმაში მდგომარეობდა, რომ სამშობლო მეცნიერებისათვის საჭირო გამხდარიყო. ჩემი ერთად ერთი სურვილი იყო საქართველოს უნივერსიტეტში მუშაობა. ეს იყო სწორედ ის, რაც ჩემს ცხოვრებას მიზანს და შინაარსს ანიჭებდა. ასეთ სურვილს ქონდა შეფარდებული თავისებური გეგმა მისი განხორციელებისა. მას შემდეგ რაც მექნებოდა პასუხი უნივერსიტეტისა იმის შესახებ, რომ სამშობლო მეცნიერებისათვის მეც ზედმეტი არ ვიქნებოდი, აქ შევეუბნებოდი დაბრუნების საკითხის მოგვარებას.

მე არ მინდა ვილაპარაკო იმ მდგომარეობაზე, რომელშიდაც ამჟამად ვიმყოფები. დაახლოებით მაინც გეცოდინებათ. გეცოდინებათ აგრეთვე ისეც, რომ ასეთ პირობებში ფიქრიც ზედმეტია სისტემატურ მეცნიერულ მუშაობის შესახებ. თუ მე ყოველთვის მქონდა გადაწყვეტილი დაბრუნება, ეხლა პირდაპირ მოუთმენლად მოველი დღეს სამშობლოში გამობრუნებას.

დამავალეთ კიდევ ერთხელ და უკანასკნელად და შემატყობინეთ, რა დახმარების გაწევა შეუძლია ამ საქმეში უნივერსიტეტს. წამოსასვ-

ლელად მესაქიროება ვიზა და გზის ფული. პასპორტს აქ ავიღებ, თუ ვინის და გზის ფულის საკითხი უნივერსიტეტისათვის ადვილად მოსაგვარებელია, მაშინ გთხოვთ იქონიოთ მხედველობაში ისიც, რომ მე მაქვს შექნილი კარგი ბიბლიოთეკაც, რომლის გადმოსაგზავნადაც ეროვნული თანხა არის საჭირო.

მე მინდა იცოდეთ, ღრმად პატივცემულო ბ-ნო ივანე, რომ მთელი იმ ხნის განმავლობაში, რომელიც მე ევროპაში ვარ, პოლიტიკურ ცხოვრებაში არავითარი მონაწილეობა არ მიმიღია. მთელი ჩემი ინტერესები მხოლოდ ჩემი საგნის გარშემო ტრიალებდნენ. ამასთან ერთად მე ერთი წუთითაც არ მიგრძენია კავშირის დაკარგვა უნივერსიტეტთან, რაც ცოტად აუ ბევრად მიაღვივებდა ამ ჩემი მდგომარეობის ატანას. მიუხედავად იმისა, რომ მატერიალური ჩემი მდგომარეობა მეტის მეტი ცუდი იყო. მე მაინც არ გაეწყვიტე კავშირი მეცნიერებასთან. რაღაცას მაინც ვაკეთებდი ამ უკანასკნელი წლინახევრის განმავლობაში და თუ დროზე შედიოდა დაბრუნება, ამ დროსაც დაკარგულად ვერ ჩავსვლი. მხოლოდ ასეთი ტვირთი ქარხანაში მუშაობაც და ბიბლიოთეკებშიც, ვგრძნობ მომავალში ჩემთვის აუტანელი იქნება, და ამიტომაც გთხოვთ დამეხმაროთ გამოვიდე ამ მდგომარეობიდან, რათა სხვებთან ერთად შევძლო საქმეობლო მეცნიერებისათვის სამსახური.

მიიღეთ ჩემი მხურვალე-გულითადი სალამი.

ღრმად პატივისცემით თქვენი გ. ნ ა ნ ე ი შ ვ ი ლ ი

ა. ჯ. 2087 პარიზი, I 24. 5.

ღრმად პატივცემულო ბ-ნო ივანე.

25 დეკემბერს მივიღე თქვენი ბარათი. თქვენ დაახლოებითაც კი ვერ წარმოიდგენთ თუ რა სიხარული მოვიხილა თქვენმა წერილმა ჩემს გულს. 25 დეკემბერი ნამდვილი დღესასწაული იყო ჩემთვის. დიდი, სულ დიდი ხანია ამრიგად არაფერს გავუხარებდვარ. მიიღეთ ჩემი უღრმესი გულითადი მადლობა ყურადღებისათვის.

მე დარწმუნებული ვიყავი, რომ პირველმა ჩემმა წერილმა თქვენამდ ვერ მოაღწია, და ამიტომაც სამი კვირის წინათ მეორე დაზღვეული წერილი გამოგიგზავნეთ, რომელშიაც დაახლოებით იმავეს გწერდით, რასაც პირველ წერილში. იყავით ბ-ნო ივანე ღრმად დარწმუნებული იმაში, რომ მე ისე კარგად მაქვს შეგნებული ჩემი მოვალეობა, და იმდენად ძლიერია ჩემში სურვილი თქვენი ნდობის გამართლებისა, რომ ვფიქრობ, ვერაფერი ვერ შეასუსტებს ჩემს ენერჯიას. მხოლოდ ის მიკლავდა ვულს, რომ ხანდისხან ზედმეტად მიმაჩნდა ჩემი თავი, და თქვენი წერი-

ლის შემდეგ ისევ ვიგრძენი ნიადაგი ფეხქვეშ, ისევ აღიძრა ჩემში იმედები, ისევ გადამეშალა თვალწინ პერსპექტივა. განა წარმოვიდგენდი, რომ ერთი წერილი შესძლებდა ჩემი სულიერი სიმშვიდის აღდგენას!

თქვენ სხვათა შორის იწერებოდით იმ ცვლილებების შესახებ, რომელიც შეტანილია იურიდიული ფაკულტეტის პროგრამაში, მაგრამ თუ რაში გამოიხატება ეს ცვლილება სამწუხაროდ არაფერი ვიცი. უნდა ვიგულისხმოთ, რომ ზოგიერთი საგანი სავსებით ამომლილია პრაგმატიკიდან, თუ თვით საგნის ხასიათი არის დროის და პირობის მიხედვით შეცვლილი? ზ. ავალიშვილი და მე ხშირად ვხვდებით აქ ერთმანეთს და სხვადასხვა სამეცნიერო კითხვებზე და უმთავრესად კი იურიდიული ფაკულტეტის შესახებ გვაქვს სჯა-ბაასი. რამდენადაც მე შემძლო გამომერკვია ამ ხანგრძლივი მუსაიფიდან, მას ძალიან უნდა საქართველოში დაბრუნება და ქართულ უნივერსიტეტში მუშაობა. მაგრამ ვინაიდან მას არავითარი მოწვევის ბარათი ქართულ უნივერსიტეტიდან არ მიუღია, ამიტომაც ის, ზურაბ ავალიშვილი, ვერ ბედავს რაიმე რეალური ნაბიჯის გადადგმას. მას რომ ამდაგვარი მიწვევის ბარათი მოუვიდოდეს, და აგრეთვე ცნობა იმის შესახებ, თუ რა საგნები არის შეტანილი იურიდიულ ფაკულტეტის პროგრამაში, მაშინ ის შეძლებდა სათანადო კურსების მომზადებას. ზურაბმა სთხოვა ბონ მუსხელიშვილს /მათემატიკოსს/ ყველაფერი, რაც კი იურიდიულ ფაკულტეტს შეეხებოდა ადგილობრივ გამოერკვია და მოეწერა, მაგრამ მუსხელიშვილისაგან მას ჭერჭერობით არავითარი პასუხი არ მიუღია. შესაძლებელია, ბნმა მუსხელიშვილმა კიდევ მოაწერა და წერილი გზაში დაიკარგა, რადგან მე ისეთი შთაბეჭდილება მივიღე, რომ ზ. ავალიშვილი სიამოვნებით დაბრუნდებოდა ქართულ უნივერსიტეტში სამოღვაწეოდ, თუ მას მიწვევის ბარათი ქართულ უნივერსიტეტიდან და საქართველოში შემოსასვლელად სათანადო ნებართვა მოუვიდოდა. მე ჩემს მოვალეობად მივიჩნიე, ყველაფერი ეს თქვენთვის მეცნობა.

ამას წინათ გადმომცეს, „ჩვენი მეცნიერების“ 2—3, 4—5 №№-ს ვერ წარმოადგენთ, რა სინარულით და განუწყვეტელი სიამოვნებით ვკითხულობდი მათ. ამჟამად, რომ მანდ რაღაც დიდი მეცნიერული საქმე კეთდება. ჩვენი მორალური ატმოსფეროს განახლება მხოლოდ მანდედან შემოებრილი ცოცხალი სულით სწარმოებს, და ყველაფერი ის, რაც ქართული მეცნიერების გამოფხიზლებას მოწმობს, აქ სულით დაკეპულთ ერთგვარ იმედებს ანიჭებს. კიდევ ერთხელ გთხოვთ მიიღოთ ჩემი უღრმესი მადლობა ყურადღებისათვის. გისურვებთ კარგად ყოფნას.

თქვენი ღრმად პატივისმცემელი გ. ნ ა ნ ე ი შ ვ ი ლ ი

იმ ჩვენი დებულების შესახებ, რომელიც აღნიშნავს, „რომ პოზიტიური სამართალი შემთხვევითია“ რეცენზიის ავტორი ამბობს „განა ამის შემდეგ შეიძლება ითქვას, რომ თითქოს ის კონცეფცია სამართლისა, რომელიც სარეცენზიო ნაშრომში არის მოცემული, ისტორიულობით ხასიათდებოდეს. ავტორი ამის მტკიცებასაც შეეცდება, მას ეყოფა უტიფრობა მოაყვანოს მიაი წიგნის ზემოთ მოყვანილი ამონაწერებიდან შემდეგი. „ამიტომ პოზიტიური სამართალი ყოველთვის შემთხვევითია“. ჩვენი აზრით კი ძნელია, ადამიანმა მისცეს სამართალს უფრო არაისტორიული დახასიათება, როგორც ამ სიტყვებშია მოცემული. ნუთუ ავტორს არ ესმის, რომ ისტორიულობა შემთხვევითობას კი არ ნიშნავს. არამედ იმას, რომ ესა თუ ის მოვლენა ისტორიულ კანონზომიერებაში არის „აქსოვილი“. რა უნდა ვსთქვა ამ ციტატის შესახებ? რა უნდა ვსთქვა, როდესაც ბედმა მარჯუნა ისეთი კრიტიკოსი, რომლისთვის მარქსისთან ძირითადი დებულებანიც კი უცნობი ყოფილა? ცოტა ოდნავ გარკვეულ მარქსისტისათვის კი ნათელია, რომ რეცენზიის ავტორს უფრო კარვად რომ ჰქონდეს შეთვისებული მეცნიერული მარქსიზმი, არ ჯყოდა ამას. რასაც ის ამ ციტატაში ამბობს. ჩვენ კრიტიკოსს დაახლოვებითაც კი არ სცოდნა, თუ რა სახით და მნ-შენელობით დგას მეცნიერულ მარქსიზმში პრობლემა „შემთხვევის“ შესახებ. მან არ იცის, რომ თანამედროვე მარქსისტული მეცნიერებას მიერ „შემთხვევითობა“ განიხილება არა როგორც სუბიექტური კატეგორია, არამედ როგორც რეალური კატეგორია. მან არც ის იცის, რომ მარქსისტული მსოფლმხედველობას თანახმად შემთხვევითობა უმნიშვნელობას არ ნიშნავს და რომ შემთხვევითობა მეცნიერული მარქსიზმის თანახმად სრულებით არ უარყოფს ისტორიულ კანონზომიერებას. აი სწორედ მისთვის, რომ ამდენ რასმეს არ იცნობს ჩვენი კრიტიკოსი, მას გონია, რომ „შემთხვევითობა“ ისტორიულ კატეგორიების უარყოფაა, მაგრამ ვნახოთ, როგორ დგას ნამდვილ მარქსისტულ ლიტერატურაში საკითხი „შემთხვევითობის“ შესახებ. „რადგანაც ვიცოდით, — ამბობს დებორინი, — რომ ჩემს წერილს წაიკითხავდნენ ხალხებ მომზადდებულნი „კრიტიკოსებიც“ მე განემარტე იქ, რომ შემთ-

1 პირველი ხუთი გვერდი აქლია არქივის მასალებში არსებულ ამ პასუხს (რედ)

ხვევითობა, რა თქმა უნდა, არ უნდა გავიგოთ, როგორც უმიზნობა. რომ უმიზნო მოვლენები არ არსებობს, რომ „ორგანიული“ ფორმების ცვალებადობის შემთხვევითი ხასიათი არა თუ არ უარყოფს აუცილებლობას, არამედ გულისხმობს მას, რომ შემთხვევითობა წარმოადგენს აუცილებლობის კერძო სპეციალურ ფორმას“, ან, როგორც ენგელსი აზრობს, „შემთხვევითობა არის ფორმა აუცილებლობის გამომჟღავნებისა“ /ხაზი ავტორისა/.

პლენანოვის აზრით, „Смерть Мирабо вызвана была определенными законосообразными процессами; по отношению к общему ходу развития Франции физические процессы, об'ективные и необходимые, вызывавшие смерть Мирабо, являются случайными, но, с другой стороны, эта случайность повлияла на дальнейший ход революции и вошло в число причин, обусловивших её собой“.

რეცენზიის ავტორი დაახლოვებითაც რომ იცნობდეს მარქსის, ენგელსის, ლენინის და პლენანოვის ნაშრომებს, მას ბევრი რამ ახალა და საინტერესო ეცოდინებოდა. მას ეცოდინებოდა, რომ აქ დასახელებული ავტორის მოძღვრების თანახმად არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება იმის თქმა, რომ „შემთხვევითობა“ ისტორიული კანონიერების უარყოფას ნიშნავს. პირდაპირ სირცხვილია, რომ ადამიანი, რომელიც მარქსიზმის დებულებასაც კი არ იცნობს, მარქსიზმის სახელათ გმობს ჩვენს ნაშრომში იმას, რაც მარქსიზმის თვალსაზრისით გამართლებულია. „История— амбობს მარქსი.— носила бы очень мистический характер, если бы случайности не играли в ней никакой роли“. ენგელსი კი აღნიშნავს: „Фаталистическая необходимость может повести к предопределению“ (Архив Маркса и Энгельса).

„როგორც ხედავთ, რეცენზენტს რომ სცოდნოდა, თუ როგორ ღვას მეცნიერულ მარქსიზმში პრობლემა შემთხვევითობის შესახებ, არ იტყოდა, რომ შემთხვევითობა ისტორიული კანონზომიერების უარყოფას ნიშნავს.“

Каждый знает, — ამბობს დებორინი, — что „случайность“ не означает „беспричинности“. Это азбука, об этом можно было бы не говорить, но, зная уровень наших противников, я нарочно в своей работе подчеркиваю неоднократно: „Случайность не означает беспричинности“.

ან ავიღოთ კიდევ მარქსის ერთი ციტატა, რომლიდანაც ნათელი იქნება, თუ რა კარგად, მეცნიერულად მომზადებულ მოწინააღმდეგესთან გვაქვს საქმე.

„Случайности входят составной частью в общий ход развития, уравниваясь с другими случайностями“, — ამბობს მარქსი.

„In allem Endlichen ist ein Element des Zufälligen“ ამბობს ჰეგელი.

აქედან ცხადია ისიც, რომ ყოველ პროცესში, რომელსაც ჩვენ ვსწავლობთ, არის შემთხვევითი ელემენტიც /დებორინი/. თუ ვინმე ჩვენი ნაშრომის იმ გვერდებს წაიკითხავს. სადაც ჩვენ სამართლის მეცნიერების საგანს, სამართალს, როგორც შემთხვევასაც ვიხილავთ, დააწყობისა, თუ რამდენად არ ეწინააღმდეგება ჩვენი დებულება მეცნიერულ მარქსიზმს. მკითხველი იმ ციტატებრიდან. რომელიც მოგიყვანეთ. ადვილად დაინახავდა, რომ „შემთხვევითობა „მეცნიერული მარქსიზმის მიხედვით სრულებით არ ნიშნავს ისტორიული კანონზომიერების უარყოფას და იმას კი, რასაც ფანცხავა მოგვითხრობს „შემთხვევითობაზე“ და „ისტორიულ კანონზომიერებაზე“, არაფერი საერთო არა აქვს მეცნიერულ მარქსიზმთან. სწორედ ასეთ „მეცნიერულად“ მოაზროვნე მარქსისტს. როგორც არის ფანცხავა. შეუძლია უთხრას მეცნიერულმა მარქსიზმმა: „გვაშორე თქვენისთანა მეგობრებისაგან, მტრებს თერთნაც გაუფსოვრდებით“. თუ ჩვენ ვამბობთ, რომ პოზიტიური „სამართალი შექმნეველია“ — ეს სრულებითაც არ ნიშნავს იმას, თითქოს არსებულა პოზიტიური სამართლის ნორმა უმიზეზოა, ან იმას, რომ პოზიტიური სამართლის ნორმის შექმნას ადამიანის უბრალო კაპრიზი უდევს საფუძვლად. ან დაბოლოს იმას, რომ პოზიტიური სამართლის შექმნას ადგილზელობას რაიმე ობიექტური პირობები არ საზღვრავდეს. ამ გარემოებას ჩვენ მრავალჯერ ვიმეორებთ ჩვენს წიგნში და ვიმეორებთ მოუწყობდებლად, რადგან ვიცოდით — იმის აღიარება, რომ პოზიტიური სამართალი ერთ-ერთი შესაძლო სამართლის სპეციფიკური შემთხვევაა. სრულებით არ უარყოფს ამ სამართლის ისტორიულობას. მაგრამ ავტორს ეს ვერ გაუგია. და ის კი, რაც მისთვის გაუგებარია, მას ჰგონია, რომ „კონტრასტანდაა“. მაგრამ ვიმსჯელოთ ლოგიკურად და ვიკითხოთ. რა გვირდა ჩვენ ეტყვათ იმით, რომ „პოზიტიური სამართალი შემთხვევითია“. ჩვენ გვინდოდა გვეთქვა და კიდევ ვთქვათ, რომ ის სამართალი. რომელიც ერთ პერიოდში მოქმედებს, არ არის მუდმივი სამართალი. რომ პირობები, რომელმაც დღევანდელი სამართალი წარმოშვეს, მუდმივი პირობები არ არის, ე. ი. შეიძლება ეს პირობები შეიცვალოს და ამ შეცვლასთან ერთად შეიცვლება თვით სამართლის ნორმებიც. ჩვენ ვამბობთ. რომ სამართალი, რომელიც დღეს მოქმედებს, არ არის ერთადერთი შესაძლებელი სამართალი. შეგვიძლია ჩვენი ყოველი ეტაპი სამართლის საერთო ევოლუციისა განვიხილოთ სხვაფერად თუ არა. როგორც ერთ-ერთი სპეციფიკური ფორმა შესაძლო სამართლისა? როგორ შეგვიძლია საერთო სამართლის ევოლუცია წარმოვიდგინოთ, თუ ჩვენ ამ ევოლუციის ყოველ ეტაპი არ ვიაზრეთ, როგორც ერთ-ერთი შესაძლო სამართლის გან-

ხორციელება? და ბოლოს, რას ნიშნავს შესაძლებელი სამართლის გან-
 ხორციელება, თუ არა იმას, რომ არსებული სამართალი ერთ-ერთი შე-
 საძლებელი სამართალი კი არ არის, არამედ შესაძლებელი სამართლის
 ერთ-ერთი სპეციფიკური შემთხვევაა. აი რა დაპირისპირებაში აღკვეცი-
 ცანით ჩვენ სამართლის შემთხვევითი ხასიათი და საკვირველია, რომ ეს
 გარემოება სრულებით ვერ შენიშნა ჩვენმა რეცენზენტმა. შრომამო ნათ-
 ლად არის ნათქვამი, რომ ვინაიდან ყოველ არსებულ სამართლის აღვი-
 ლას შეგვიძლია ვიპოვოთ სხვა სამართალით, ე. ი. ყოველ არსებულ
 სამართლის შესახებ ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ იგი არის, მაგრამ შე-
 იძლება არც ყოფილიყო, ან ყოფილიყო სხვანაირი სახით, თუ გარემოე-
 ბანი სხვანაირი იქნებოდა, თავის თავად ცხადია, და ამის უარყოფა არა-
 ვის ძალუძს, რომ არსებული სამართალი აუცილებელია იმდენად, რამ-
 დენად ის ობიექტიური პირობების მიერ გამოწვეულია, ხოლო იმდენად
 კი, რამდენად ამ არსებულ ნორმას ჩვენ მუდმივ აბსოლუტურ ნორმად
 არ ვაღიარებთ, და მის ადგილას აზროვნებით შეგვიძლია სხვა ნორმა
 წარმოვიდგინოთ, რა თქმა უნდა, არსებული ნორმა განხილულ უნდა
 იქნეს, როგორც ერთ-ერთი სპეციფიკური შემთხვევა შესაძლო სამართ-
 ლისა. აი ორი სულ სხვადასხვა მომენტები, ორი სულ სხვადასხვანაირი
 დებულებები, რომელიც აუცილებლად უნდა იქნეს ნათლად შეთვსი-
 ბული, რომ გასაგები გახდეს ის ჩვენი დებულება, რომელიც აღიარებს,
 რომ პოზიტიური სამართალი არის ერთ-ერთი სახე შესაძლო სამართლი-
 სა. მაგრამ სამწუხაროდ ჩვენი რეცენზენტი აქაც ვერ გრძნობს პრობლე-
 მას, აქაც ვერ ხედავს იმას, რაც ნათლად არის განსხვავებული. რა გამოვა
 იმ შემთხვევაში, თუ ჩვენ სამართლის ნორმა არ ვაღიარებთ შესაძლებელ
 სამართლის ერთ-ერთ სპეციფიკურ შემთხვევად? გამოვა ის, რასაც ჩვე-
 ნი რეცენზენტი სრულებით ვერ გრძნობს. თუ ჩვენ ვაღიარებთ, რომ
 არსებული სამართალი, რომელიც უდავოდ არსებულ ეკონომიურ ურთი-
 ერთობათა ხაყოფია, ერთადერთი სამართალია, მაშინ ჩვენ ხომ ასეც
 უნდა ვთქვათ, რომ საერთოდ და საყოველთაოდ შეუძლებელია სხვა სა-
 მართალი, გარდა იმისა, რომელიც ამჟამად არსებობს. ე. ი. წარმოუდ-
 გენელი ხდება საერთოდ სხვა სამართლის არსებობა, თუნდაც სახვა-
 ლიოდ გარდა იმ სამართლისა, რომელიც დღეს არსებობს. მაშ, როგორც
 ვხედავთ, ჩვენი დებულებანი კი არ უარყოფენ სამართლის ისტორიუ-
 ლობას, არამედ სამართლის ისტორიულობას უარყოფს ჩვენი რეცენ-
 ზენტი. ვინაიდან ვიმეორებ, თქმა იმისა, რომ არსებული სამართალი არ
 არის ერთი მხრით სპეციფიკური შემთხვევა შესაძლო სამართლისა ნიშ-
 ნავს იმის აღიარებას, რომ არსებული სამართალი ერთადერთი შესაძ-
 ლო სამართალია, რომ სხვა სამართალი შეუძლებელია. იმის თქმა კი,
 რომ არსებული სამართალი ერთადერთი შესაძლო სამართალია, ეს ნიშ-

ნავს პერსპექტივის მოსპობას და იქ, კი, სადაც არ არის პერსპექტივა. არ არის ისტორია. და შეუძლებელია ისტორიული მეცნიერება. მაგრამ ჩემს რეცენზენტს ჩვენ სხვა რასმეზღვდაც მივუთითებთ. ჩვენ დავანახებთ მას, რომ საკმარისია მისი დარიგება მივიღოთ, და ისეთ კონსერვატიზმში გადავვარდებით, რომ არამც თუ შესაძლებელი გახდება, ეგრეთ წოდებულს. სამართლის რევოლუციონურა შემოქმედება, არამედ საერთოდ ყოველივე სამართლებრივი შემოქმედება. მნიშვნელობა და აზრი უნდა დაიცავდეს. ვთქვათ, რომ არსებული სამართალი, რომელიც — როგორც ჩვენ ვამბობთ, ეკონომიკური ურთიერთობის მიხედვით აუცილებელია, განხილული იყოს როგორც შესაძლო სამართლის ერთ-ერთი სპეციფიკური შემთხვევა. ამ შემთხვევაში ხომ არსებული სამართალი ჩვენ სამუდამოდ აუცილებელ ნორმად უნდა ვაღიაროთ უდავოდ! რადგან, თუ ვიტყვით, რომ არსებული ნორმა აუცილებელი ნორმაა და ეს ნორმა კი იმავე დროს არ შეიძლება ნააზრვეი იქნეს, როგორც ერთ-ერთი სპეციფიკური შემთხვევა შესაძლო სამართლისა, მაშინ არსებული ნორმა, ხომ მხოლოდ ერთადერთი საყოველთაო აუცილებელი და შესაძლებელი ნორმაა. შეგვიძლია ჩვენ ასეთ პირობებში არსებული ნორმა ვიანაზრვნოთ: სტეფრივ, თუ არა როგორც მუდმივი და უცვლელი ნორმა? არაერთარ შემთხვევაში! ვინაიდან ცვალებადობა სწორედ ვულისხმობს, რომ ის, რაც არის, არ არის ის მუდმივობა, რომელიც არ შეიძლება სხვანაირად იყოს. ნუთუ ჩემმა რეცენზენტმა არ იცის, რომ ყოველ საკანონმდებლო ორგანოს არსებობის გამართლება სწორედ იმაშია, რომ ანსებულ სამართალი, რომელიც არსებული პირობების მიხედვით აუცილებელია, იმავე დროს ერთ-ერთი სპეციფიკური შემთხვევაა შესაძლებელი სამართლისა? რას ნიშნავს, რომ სამართალი „ზედნაშენია“? აუცილებლად იმას, რასაც რეცენზიის ავტორი ამბობს. სახელდობრ იმას, რომ „სამართალი არის სოციალური ფენომენი, რომ ის მუდამ ფუნქციონალურ დამოკიდებულებაში იმყოფება საწარმოო ძალთა განვითარებაში“. ე. ი. სამართალი ცვალებადია; ე. ი. დღევანდელი სამართალი არ არის ერთადერთი შესაძლო სამართალი. ე. ი. დღეს კიდევ ერთი სამართალი გვაქვს. ხვალ იმისდა მიხედვით, თუ რა ხასიათის იქნება საწარმოო ძალთა დამოკიდებულება, სხვა სამართალიც გვექნება. მაშასადამე, თუ ესნაი. ავტორს ეს, რასაც წერს, მაშინ მისთვისაც ნათელი უნდა იყოს ისიც. თუ რა დაუწერია. იმ ციტატებიდან, რომელიც მოვიყვანეთ, ნათელია, რომ ჩვენი რეცენზენტის აზრითაც დღევანდელი სამართალი არ არის ერთადერთი ის შესაძლებელი სამართალი, რომელიც ჩვენ შეგვიძლია საერთოდ ვიანაზრვნოთ. მაგრამ თუ ის არ არის ერთადერთი შესაძლებელი სამართალი, მაშ რაღაა იგი, თუ არა ერთ-ერთი სპეციფიკური შემთხვევა შესაძლო სამართლისა. როგორც ვხედავთ, თუ უარვყავით, რომ არსებული სამართალი არ არის ერთ-ერთი სპეციფიკური შემთხვე-

ვა შესაძლო სამართლისა, მაშინ ჩვენ დღეს არსებულ სამართალზე დღესვე უნდა ვთქვათ, რომ ის არის ერთადერთი შესაძლო ზედნაშენი, ე. ი. უნდა ვთქვათ, რომ ხვალ შეუძლებელია სხვა ზედნაშენი, ე. ი. სვლინდელი შესაძლო საწარმოო ძალთა დამოკიდებულება ჩვენ უნდა ვიზაროვნოთ ისეთ დამოკიდებულებად, რომელთაც სამართლებრივი ზედნაშენი აღარ ექნება. ალბათ ახლა გრძნობს ჩვენი რეცენზენტი, რომ საკითხი არ დგას ისე მარტივად, როგორც ეს მას ჰგონია. ყოველგვარი გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად ერთხელ და სამუდამოდ დაიმახსოვროს რეცენზენტის ავტორმა ის, რაც ჩვენს ნაშრომში ცოტაოდნავ გარკვეული მკითხველისთვის ნათელია, სახელდობრ ის, რომ ყოველი სამართლის ნორმა არსებული პირობების მიხედვით აუცილებელია, ხოლო ეს გარემოება სრულებითაც არ უარყოფს იმას, რომ არსებული სამართალი არის იმავე დროს ერთ-ერთი სპეციფიკური შემთხვევაც შესაძლო სამართლისა. ჩვენ ყოველი არსებული მდგომარეობის შესახებ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ის არის დღეს, მაგრამ შეიძლება ხვალ არც იყოს, ამიტომ ჩვენ უღვანდელ მიცემულ სამართლებრივ ზედნაშენს ვაზროვნობთ არა როგორც შესაძლო ზედნაშენობის ერთ სახეს, ამ მხრით, რა თქმა უნდა, პოლიტიკური სამართალი უნდა იყოს განხილული, როგორც ერთადერთი სპეციფიკური შემთხვევა შესაძლო სამართლისა.

თუ ავტორი დაუკვირდებოდა ჩვენს დებულებას ხელისუფლებას შესახებ, მას არ შეიძლება არ დაენახა ის, რომ თუ ჩვენი ხელისუფლება ძალადობს, ის ძალადობს, მაგრამ, მხოლოდ მაშინ, როდესაც ვინმე მისვე მიერ შექმნილ სამართლის ნორმას არ ასრულებს. თავისთავად ნათელია, რომ ჩვენი დებულება, რომელიც ამბობს, „რომ ხელისუფლება გვაიძულებს იმის შესრულებას, რაც ლოგიკურად ჩვენ მიერ აღიარებულია, ხოლო ჯერ კიდევ ჩვენი სურვლები საჯანს არ წარმოადგენს“. ნიშნავს იმას, რომ ხელისუფლება უნდა ძალადობდეს მხოლოდ სამართლის განხორციელების მიზნით. აი, ამიტომაც სახელმწიფოში ხელისუფლება ძალმომრეობა კი არ არის, არამედ მოწესრიგებული, სამართლისთვის მსახური ძალაა. თუ ჩვენ ძალის ნაგიერ ხელისუფლება ვიზმართ, ეს კიდევ იმას არ ნიშნავდა, რომ ჩვენი ხელისუფლება პლატონურად განწყობილი რამ იყოს. სრულებითაც არა! და ამ ჩვენ დებულებას ცოტა დაკვირვებით რომ მოპყრობოდა რეცენზენტი, მას არ შეეძლო არ დაენახა ის, რაც მასში ნათლად არის გამოთქმული. მაგრამ რით არის გამოწვეული ყველაფერი ის, „ბრწყინვალე“ არგუმენტაცია, რომელსაც ვერა შეუბრალებლად გვიშენს ავტორი?

ძალა, რომელზედაც ლაპარაკობს ჩვენი რეცენზენტი, რა თქმა უნდა, კანონის დამოუკიდებლად ძალადობს რევოლუციის დროს, ე. ი. გარდამავალ პერიოდში, მაგრამ, როდესაც ამ რევოლუციაში ერთი კლასი,

ვთქვათ პროლეტარიატი, იმარჯვებს — მაშინ უკვე პროლეტარული სა-
ელმწიფოც იქმნება, ე. ი. იქმნება უკვე მოწესრიგებული ძალადობა.
რას ნიშნავს ეს, მოწესრიგებული ძალადობა? რით განსხვავდება ის
სხვა არა მოწესრიგებულ ძალადობისაგან? ცხადია, ერთი რამით. სა-
ხელდობრ: რომ პირველი ძალა კანონის დამოუკიდებლად ძალადობს,
ხოლო მეორე ძალა კი „ძალადობს“ მოწესრიგებულად. მაგრამ მოწეს-
რიგებული ძალადობა ხომ ძალაა, რომელიც წესის, კანონის მიხედვით
მოქმედებს? აი რა ელემენტარული რამ არ ესმის ჩვენს რევოლუციურებს.

„Ваше право есть только возведенная в закон воля вашего класса“,
ნათქვამია კომუნისტურ მანიფესტში. მაშ როგორ ფიქრობს ჩვენი რე-
ვოლუციური პროლეტარულ სახელმწიფოში, პროლეტარიატის ნებისყოფა
კანონში გაქოთქმული არ არის სავალდებულო ხელისუფლებასათვის?
მე მგონია, საწინააღმდეგო დებულებას ვერ დაიცავს ჩვენი კრიტიკოსი.
მაშ, რაღაც გაუგებრობას აქვს ადგილი, როდესაც ავტორი ეკამათება იმ
ჩვენს დებულებას, რომელიც სრულებით გარკვეულად აღნიშნავს. რომ
სახელმწიფოს არსებობის პერიოდში ხელისუფლება არის მოწესრიგე-
ბული ძალადობა, ე. ი. კანონის მიხედვით მოქმედი ძალა, ან ხელისუფ-
ლება. სხვანაირად ჩვენი დებულების გაგება შეუძლებელია, რადგან
ხელისუფლება მხოლოდ სახელმწიფოშია შესაძლებელი, იქ კი, სადაც
არის სახელმწიფო — ადგილი აქვს ერთი კლასის მეორეზე მოწესრიგე-
ბულ ძალადობას და ეს კი შესაძლებელია, როდესაც ძალმომრეობა ხე-
ლისუფლებად იქცევა — ე. ი. ძალა იქცევა კანონის სახელით მოქმედ
ძალად. მაგრამ ყველაფერ ამაში სამწუხაროდ ვერ ერკვევა ჩვენი რე-
ვოლუციური. მას რაღაც ამოუკითხავს და ვერ გაუგია, თუ რა პერიოდს შეეხე-
ბა კანონისაგან დამოუკიდებელი ძალადობა, რომელზედაც მოგვიბი-
რობს რევოლუციური.

რევოლუციის ავტორს მცდარად მიაჩნია იმის აღიარება, რომ ყოველ
ნორმაში ღირებულებითი მომენტი აუცილებელია. ეს მსჯელობა,
ამბობს რევოლუციის ავტორი, ყალბი და მიუღებელია, ვინაიდან იმ გარ-
ემოებიდან, რომ გაბატონებული კლასი სავალდებულოდ თვლის მას. რა-
საც დადებთად აფასებს ერთის მხრით შორეულადაც არ გამომდინარე-
ობს, რომ თვით ნორმაში შეტანილი იყოს ღირებულების მომენტი. ხო-
ლო მეორე მხრით კი ამ დებულებიდან აუცილებელია დასკვნა, რომ ეს
შეფასება ან ღირებულება რელატიური, ისტორიულია და არააბსოლუ-
ტურია, ე. ი. იანეთი, რომლის შესახებაც ჩვენ სწორედ უნდა ვთქვათ,
რომ ის „მოხდა“, „წარმოიშვა“, ზოგი რამ ამ დებულების შესახებ უკვე
ზემოთ აღვნიშნეთ, მაგრამ საჭიროდ მიგვაჩნია ახალ მომენტზე მივუთო-
ოთ. ამ დებულებაში ყველაფერი აბნეულია. მართალია, ის, რომ ღი-
რებულება, რომელიც სამართლის ნორმაშია ჩერარსობრივი ობიექტის

სახით არის მოცემული, რელატიურია, ამას ხომ ჩვენ აღვნიშნავთ ჩვენს დაუბეჭდელ წერილში, რომელსაც ავტორი ეკამათება. იქ ხომ სრული გარკვეულობით არის აღნიშნული, რომ თვით ეს ღირებულებითი მონენტის შინაარსი ცვალებადია, — ე. ი. ერთ შემთხვევაში სამართლის ნორმა ღირებულ ურთიერთობად ერთ ურთიერთობას აღიარებს, ხოლო მეორე შემთხვევაში კი მეორეს. მაშ, როგორც ვხედავთ, ჩვენ სრულე-ბით არ გვითქვამს, რომ ის ღირებულების შინაარსი, რომელიც ნორმა-შია, არ არის რელატიური. მხოლოდ აქედან სრულებითაც არ გამომდინარეობს ის, რომ საერთოდ ნორმაში ამ მომენტების არსებობა რელა-ტიური იყოს... ე. ი. ეს მომენტი ნორმაში შეიძლება იყოს, მაგრამ შეიძლება არც იყოს. მაშ, როგორც ვხედავთ, რალაც ვერ გაუგია რეცენ-ზიის ავტორს. მაგალითად, ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ კონკრეტული რეალობის დამოკიდებულება ჭმნის ჯაჭვს. რა თქმა უნდა, ერთ შემთხვე-ვაში ეს რგოლები შეიძლება სხვადასხვანაირი იყოს, მაგრამ აქედან განა ის გამომდინარეობს, რომ საერთოდ ჯაჭვისათვის რგოლთა დამოკიდებუ-ლება შემთხვევითია? განა იმიტომ, რომ ერთ შემთხვევაში ჯაჭვის რგო-ლები ერთი სახის იყოს, მეორე შემთხვევაში — მეორე, მესამე კი მესამე სახისა. გამომდინარეობს, რომ თვით ამ რგოლების მოცემულობა იქ, სა-დაც ჯაჭვს ვიპოვებთ, შემთხვევითია? თუ ჩვენ ვამბობთ, რომ ყოველ ნორმაში სავალდებულოდ არის აღიარებული ის, რაც ღირებულებად არის აღიარებული, როგორც ვხედავთ, სრულებით არ გამომდინარეობს, რომ თვით ეს კონკრეტული ღირებულება რელატიური არ არის. სამწუ-ხაროა, რომ ასეთი ელემენტარული რამ რეცენზენტისათვის გაუგებარია. ჩვენ ვიტყვიტ მეტს. კეშმარიტების შინაარსი ჩვენ შეგვიძლია რელატ-ურად ვაღიაროთ. მაგრამ თვით კეშმარიტების ცნებას ჩვენ რომ რელა-ტიურად ვერ ვაღიარებთ, ე. ი. რომ არ შეგვიძლიან ვთქვათ, რომ არის კეშმარიტება, მაგრამ ის შეიძლება სხვანაირიც იყოს, ე. ი. არ იყოს კეშ-მარიტება თუ საწინააღმდეგო დაუშვებით, მაშინ ხომ თავიდანვე უნდა ვგულისხმობდეთ, რომ კეშმარიტება არაა კეშმარიტება, ე. ი. უნდა და-ვუშვათ. რომ ის სიყალბეა. სარეცენზიო შრომის ავტორი კი ერთ ნამდ-ვილ მარჯ-ისტს ვერ დამისახელებს, რომელსაც აქვს ნათქვამი, რომ სწო-რედ იმიტომ, რომ კეშმარიტებად ისტორიულად სხვადასხვა რამე ყოფი-ლა აღიარებული, ამიტომაც თვით კეშმარიტება შეიძლება სხვა რამით ხასიათდებოდეს, თუ არა იმით, რითაც ხასიათდება ყოველივე კეშმა-რი-ტება. სწორედ აგრეთვე ისტორიულად, რა თქმა უნდა, სამართლის ნორ-მას ღირებულებად სხვადასხვა რამ მიუჩნევია, მაგრამ ჩვენ ვერ მოვიყ-ვანთ ვერც ერთ შემთხვევას, რომ სამართლის ნორმაში სხვა რამ ყოფი-ლიყო აღიარებული სავალდებულოდ თუ არა ის, რაც ღირებულებად

ყოფილა აღიარებული. ე. ი. ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ის ღირებუ-
ლება, რომელიც დღევანდელ ნორმაში არის მოცემული, შემარჯუნი-
და რეკლამურიცა, მაგრამ იმისა მისევე, რომ არ შეგვიძლია ვთქვათ,
რომ ეს უველ სამართლის ნორმისათვის არ არის დამახასიათებელი ღირ-
ებულებისათვის მომენტი? თუ ეს ნაკლები, მაშინ ხომ ისიც უნდა ვთქვათ,
რომ ღირებულებითი მომენტი არის სამართლის ნორმაში, მაგრამ ის იქ
შეიძლება არც იყოს. ე. ი. უნდა ვთქვათ, რომ შესაძლებელია ნორმა,
რომელიც სავალდებულოდ აღიარებს ისეთ რამეს, რაც იმის მიერ, ვის
მიერაც ნორმაა შექმნილი უარყოფთადაც ფასდება. ჩვენ უნდა ვთქვათ, რომ
ხელის შეწყობა რეცენსენტს, რისთვისაც მოიყვანა ერთი შემთხვევა იმის
დასაბუთებლად, რომ ნორმას შეუძლია სავალდებულოდ აღიაროს,
რაც ღირებულებად არ ყოფილა მიჩნეული რეცენსენტი ამისთვის. „რომ
განაგრძობული კლასი სავალდებულოდ ხდის იმას, რასაც დადებს თავი
დასაბუთებს,“ მაგრამ აქედან „სრულებითაც არ გამოდინარობს, რომ თვით
ნორმაში შეტანილი უნდა იყოს ღირებულების მომენტი“. ვისგან რა ვ-
ლად ვთქვამთ სახელად იმისა, ვინ ვინც იქნება ამის მიხედვით, რომ
თუ ჩვენ სავალდებულოდ ვთვლით იმას, რასაც ვთვლით, რომ იმის
მაშინ ხომ თავისთავად ცხადია, რომ რაც დადებითად ფასდება, არ
დასაბუთდება ნორმაში, როგორც სავალდებულო ობიექტი, შედის. განა შესაძ-
ლებელია სხვა აზრის დაცვა? ამითაც შეგვიძლია დავკმაყოფილდეთ. სად-
ღაც ვა ვილაციასგან რაღაც ჩვენს-რეცენსენტს ცუდად გაუგია და შეუ-
თქმებია.

მაგრამ მთელი მსჯელობა ჩვენი კრიტიკოსისა იმისა აღმოკენებ-
და, რომ მას ჰგონია, მარქსიზმი ყველაფრის რელატივიზმს აღიარებს.
მან არ იცის, რომ მარქსიზმი არ უარყოფს არც ობიექტურ კეშმარტებას
და არც აბსოლუტურ კეშმარტებას. მაგრამ რა უნდა ვთქვათ სარეცენ-
სიო სპროზის ავტორს, როდესაც მან ისიც კი არ იცის, რომ მარქსიზმი
უარყოფითად უყურებს კეშმარტების რელატივიზმურად დახასიათ-
ებას.

რა გასაკვირველია, ჩვენ ურომას არ იცნობდეს რეცენსენტი, როდესაც,
როგორც ირკვევა, ლენინის მოძღვრებასაც კი არ იცნობს იგი. მარ-
თლაცდა, რისთვისაც გმობს ლენინი ბოგდანოვის რელატივისტურ მოძღ-
ვრებას. გმობს მისთვის, რომ ბოგდანოვი უარყოფს ობიექტური კეშმარ-
ტების შესაძლებლობას.

„ნაგალითად, ბოგდანოვი თანახმაა მარქსის თეორია ფულის მიმოქ-
ცევის შესახებ ობიექტურ კეშმარტებად ცნოს მხოლოდ „ჩვენი დრო-
ისთვის“, და „დოგმატიზმად“ თვლის იმ აზრს, რომ ამ თეორია შეიძლე-
ბა „ისტორიულ ობიექტური“ კეშმარტება მიეწეროს /„ემპირიომო-
ნიზმი“, წიგნი III, გვ. VIII/. ესეც არეგ-დარევაა. არავითარ გარემოებას

წომავალში არ შეუძლია შესცვალოს ამ თეორიის შესაბამისობა პრ. კტიკასთან იმავე უბრალო მიზეზის გამო, რომლის მიხედვით მარადიულა კეშმარიტება, რომ ნაპოლეონი გარდაიცვალა 1821 წლის 5 მაისს.¹

„ამრიგად, ადამიანის აზროვნებას თავისი ბუნებით შეუძლია მოგვეცეს და კიდევ გვაძლევს აბსოლუტურ კეშმარიტებას, რომელიც სდგება შეფარდებით კეშმარიტებათა ჯამისაგან.“²

„მარქსისა და ენგელსის მატერიალისტური დიალექტიკა უეჭველად შეიცავს რელატივიზმს. მაგრამ რელატივიზმი კი არ არის, ე. ი. აღიარებს ყველა ჩვენი ცოდნის შეფარდებითობას არა ობიექტური კეშმარიტების უარყოფის აზრით, არამედ იმ აზრით, რომ ისტორიულად პირობითია ჩვენი ცოდნის საზღვრების მიახლოება ამ კეშმარიტებასთან.“³

როგორც ვხედავთ, ჩვენმა კრიტიკოსმა არ იცის ეს და მთელი მისი მარქსისტული მსჯელობა აგებულია მარქსიზმის და რელატივიზმის გაიგივებაზე. მე სხვას აღარ ვიტყვი რამეს, თუნდაც ბევრი რამის თქვა კიდევ შეიძლებოდა. ისიც, რაც ვთქვით, საქმარისია იმის გასაგებად, თუ რამდენად მეცნიერული და სამართლიანია ფანცხავას ის რეცენზია, რომელიც მოთავსებულია ჟურნალ „მნათობის“ უკანასკნელ ნომერში.

დისკუსიის განაღებამდე

НАНЕЙШВИЛИ. Я не буду говорить, что я марксист и что некоторые замечания тов. Гегенава были неправильны, но я все-таки считаю своим долгом, поскольку реально ставится сейчас задача рассмотреть мою работу с точки зрения марксизма — помочь ему в этом деле. Я лично понимаю, что несмотря на то, что мою работу докладчик читал и штудировал, все же некоторые основные вопросы, которые в моей работе имеют доминирующее значение, им не уяснены и должным образом не усвоены. Во-первых, я должен спросить тов. Гегенава, что собственно говоря, он понимает под понятием «действительность» и «недействительность». Получается курьезная вещь, так как, когда я говорю о недействительном смысле права, получается, что я, якобы, имею в виду «ничто», а когда говорю о действительном праве, то нечто реальное. Выходит так что очевидно в течение целых 17-ти лет, занимаясь вопросами философии права, я изучал «ничто». Но, не в этом суть дела, тов. Гегенава, а в другом. Дело в том, что когда я беру понятие «действительность» или «недействительность», то нужно выяс-

¹ ვ. ი. ლენინი. მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი. თბილისი, 1938. გვ. 172.

² იქვე, გვ. 162.

³ იქვე, გვ. 155.

⁴ Против идеализма в правовой мысли Советской Грузии, стр. 38—42.

шить, что я понимаю под этими терминами. Что означает утверждение, что общий смысл права является недействительным смыслом права? Это значит, что общий смысл права не является чем-то будирующим действительность. Это значит, что он не активен сам по себе, а потому его нельзя считать началом бытия. И этим моментом идея, в нашем понимании, отличается от идеи, понимаемой Платоном и Гегелем.

Если бы тов. Гегенава потрудился поглубже выкинуть в суть моих тезисов, то он должен был бы понять, что у меня недействительный смысл права обозначает общий смысл, или общее понятие права. И вот, если мы с одной стороны возьмем общий смысл права, а с другой — реальное позитивное право, то разница между действительным и недействительным смыслом права будет примерно, такая же, как разница между общим и частным. Тов. Гегенава подтвердит, что когда я говорю о действительном смысле, то я подразумеваю, что «действительностью» может быть конкретное. Говоря же, что общий смысл права есть действительный смысл права, этим я утверждаю, что он не является чем-то конкретным. Таким образом, как видите, действительное и недействительное противопоставляются как частное общему. Я думаю, что такое противопоставление недействительности и действительности может быть принято и вами. Теперь спрашивается, имеется ли у Маркса противопоставление общего частному? Конечно! Тов. Талахадзе утверждает, что марксизм — это более дедуктивный, чем индуктивный метод. Значит, марксизм допускает противопоставление общего частному. А если это так, то беря понятие «действительность» как конкретное, а «недействительность», как общее, мы не делаем большого греха, ибо, как мы выяснили, и марксизм допускает противопоставление общего частному. Таким образом, на основании лишь факта наличия в моей работе общего смысла права нельзя упрекать меня в том, что я совершаю грех, против которого необходимо выступать. Для чего мне нужен был этот общий смысл? Если тов. Талахадзе подчеркнул, что марксизм — дедуктивный метод, так согласитесь с тем, что и моя мысль вполне правильна (С места: Неправильно!) Я говорю, между прочим, что без этого общего смысла права ни в коем случае нельзя мыслить вариации права, т. е. исторического развития права.

Таким образом, вопрос не в происхождении права. Ведь в этом вопросе мы с вами согласны. Вопрос стоит чисто диалектически, так как, собственно говоря, это частное относится к общему, т. е. как «действительность», в моем понимании, относится к «недействительности». И вот, если мы так подойдем к вопросу, то вы согласитесь, что диалектическое противопоставление общего частному может быть противопоставленным смысловым, логическим.

Если же мы утверждаем, что отношение между конкретным и частным есть отношение смысловое, то я спрашиваю вас, тов.

Гегенава, имею ли я право конкретное рассматривать (логический) как конкретность общего? (Гегенава: Имеете). Так что если я в своей работе утверждал, что позитивное право надо рассматривать как действительный смысл недействительного права, то в этом нет никакого конуитета. (С места: Из абстрактной вы выводите конкретное). Ясно, что и с точки зрения марксизма конкретное является конкретностью общего. Только потому, что Маркс дает нам понятие и представление о том, что такое общее право, только поэтому мы имеем возможность говорить об историческом развитии права.

Пойдем дальше. Никто не станет отрицать, что право является надстройкой. Не надо, однако, забывать, что в этом смысле «надстройка» есть выражение фигуральное: потому что из понятия «базис» еще нельзя получить картины надстройки. Например: дом строится, фундамент заложен, но какая получится постройка вы не знаете; поэтому: когда мы говорим о праве, как о надстройке, то надо расшифровать: надо понять, какой смысл вкладывается в эту надстройку. И вот: когда мы говорим о позитивном праве, не касаясь вопроса о возникновении самого права, то полагаем, что в самом позитивном праве присутствует смысл этого права: так как, если исключить из позитивного права смысл права, то получится бессмыслица, которую мы не будем знать, куда приткнуть. (Талахадзе: Если смысл исключить, конечно, получится бессмыслица!). И тов. Талахадзе согласен со мной, что если из права выкинуть смысл, то получится бессмыслица.

А если вы это признаете, тов. Талахадзе, то не будете отрицать и того, что позитивное право представляет конкретность смысла: так как если бы в позитивном праве не было конкретности смысла, то мы обрекли бы его на вечное право (Талахадзе: Тут вы пришли к боженьке). В боженьку мы не верим и никогда в науке мы к боженьке не прибегали.

Меня спрашивают — как возникает общий смысл права? Я говорю исключительно о логических взаимоотношениях. И прошу тов. Талахадзе усвоить это раз и навсегда. Вопрос о диалектических отношениях (общего и частного) не есть вопрос генезиса права. Пойдем дальше. У меня возникает вопрос по адресу тов. Гегенава, который выставил против меня тяжкое обвинение. Вы помните, я говорил, что конкретное право и есть конкретность общего, т. е. позитивное право есть действительный смысл права. В этом тов. Гегенава усматривает опустошение действительности. Оттого, что я конкретное (частное) противопоставлял общему, оттого, что я говорил, что конкретное позитивное право есть разновидность реальной действительности, разве этим самым я опустошил действительность? Откуда, почему? Ведь Энгельс говорил, что, кушая яблоко, я знаю, что это есть вид фрукта. Если тов. Гегенава прав, то получится такая картина, что этот факт противопоставления

яблока общему, т. е. яблока фруктам, реально уничтожает понятие яблока. Вы представляете, как это ужасно! Пужно бояться и усвоить, что речь идет, собственно говоря, о логических взаимоотношениях. Вы меня спрашиваете -- число, дату, день возникновения этой общей мысли; я знаю, что стремитесь к этому вопросу, но вся суть в том, что если вы обращаетесь ко мне с вопросом, откуда возникает этот общий смысл -- то почему же с этим вопросом не обратиться к Марксу? А если марксизм универсальная система и там есть противопоставление общего частному, то не может быть, чтобы не было объяснений и этому. (С места: Сначала необходимо определить общее и противопоставить частному). В данном отношении я этих вопросов не касаюсь, потому что я утверждаю, что по Марксу допускается противопоставление частного общему, и в этой универсальной системе, в этом универсальном магазине не может быть, чтобы не было соответствующих объяснений. Я же могу этого вопроса не касаться потому -- что коллеги подтвердят --, что в первой части работа моя чисто логического характера, а не характера исторического. Кроме этого я говорил, что есть факты, которые приводят к созданию права -- говорил, что есть нормативные факты, т. е. которые сами по себе обладают свойством обязывать. Не иснимаю, где тут опустошение действительности? У вас в тезисах: между прочим, сказано, что будто оттого, что я нормативный факт оторвал от источника права, я этим самым признал, что нормативные факты являются действительностью смысла права -- (читает) объясняя: позитивное право действительностью смысла права -- автор обосновывает нормативность фактов не на источнике нормативного права, а на том обстоятельстве, что эти факты, независимо от источников и норм позитивного права, сами по себе -- одним лишь фактом своего существования, являются действительностью смысла права».

Вот этот абзац и убеждает меня, что вы, будучи весьма внимательны к моей работе, за что я очень признателен, не заметили одного обстоятельства -- а именно того -- что как раз вся моя работа направлена к тому, чтобы доказать, что нормативный факт не является действительностью смысла права. Я приложил все свои старания к тому, чтобы нормативный факт оторвать от источника права, потому что признать нормативный факт действительностью смысла права -- это значит признать, что и нормативный факт является правом. Вся моя работа в таком случае потеряла бы свой смысл, а потому ваш тезис не может быть признан правильным.

В сущности говоря, в отношении тов. Гегенава у меня других возражений нет. Мне хотелось бы сказать еще несколько слов по поводу одного маленького выпада или скорее -- намёка на политический выпад с указанием на то, что у меня отсутствует нормативный факт и что я уплыл от советского строи

и советского режима. (Гегенава. Лично вас мы не имеем в виду). Тогда это возражение отпадает. Вот, собственно говоря, что я хотел сказать и, повторяю, не хочу вводить в заблуждение тов. Гегенава, работа моя не марксистская и я с удовольствием пришел сюда, чтобы выслушать марксистскую критику. Но я хотел бы, чтобы возражения были по существу, так как тов. Гегенава ставит своей задачей нас поучать, а основное для этого условие — это выяснить смысл того, что критикуется. НАНЕЙШВИЛИ.* Я хотел сказать несколько слов по поводу обьяснений товарища Лисовского относительно базиса и надстройки. Прошлый раз я указал, что выражение «надстройка» есть выражение фигуральное, этим я хотел выразить мысль, что «надстройки» бывают разные, и одно лишь выражение «надстройка» не предрешает еще вопроса о содержании этой «надстройки».

Поэтому, товарищи, когда говорят о надстройке, то нужно выплкнуть в смысл и содержание самой надстройки, а не довольствоваться только заявлением, что право есть надстройка. Я говорил также, что на основании фундамента нельзя еще судить о том, какое будет воздвигнуто здание. Правда, план дает картину будущего здания, но согласитесь, что, во-первых — план не всегда осуществляется. а во-вторых — в самом процессе строительства не исключается возможность отклонения от плана. Говоря иначе — план дает только картину о доме, который должен быть выстроен, но ведь план не создает абсолютную гарантию к тому, что строящийся дом будет именно тем домом, который предусматривается планом. Это все касается заявления тов. Лисовского о том, что якобы по фундаменту можно точно судить о характере будущего дома. И мне кажется, что пример, приведенный т. Лисовским, не бьет в цель. Кроме этого, если дом заранее и предусмотрен планом, то аналогичного положения нельзя выставлять относительно права. Ведь нет же у нас плана, которым предусматривалось бы то конкретное позитивное право, которое может возникнуть в будущем лишь в процессе развития базиса. (Лисовский: Базис распределяет). Я согласен, но ведь базис предопределяет не только правовую надстройку. А затем, можете ли вы только на основании базиса, не имея надстройки, иметь точное представление о последней?

Если вы будете утверждать, что базис дает всегда представление об одном-единственном, возможном праве, тогда я скажу, что каждый проект выражает единственно возможное и необходимое право.

А разве это так, разве до создания позитивного права у нас не бывает представлений о бесконечном множестве мысленно возможных прав? Кто работает над составлением проектов за-

* Против идеализма... стр. 65—69.

концов, знает, что тот проект закона, который он создаст, может подвергнуться исправлениям. Ведь бывают же ошибки в законодательной работе. Значит, тот проект права, который мы составляем, не всегда является проектом об единственно реальном, возможном праве. Поэтому я говорю, что если план постройки предусматривает будущее здание, то такого плана, предусматривающего характер того позитивного права, которое должно возникнуть в будущем, у нас не может быть. Относительно этого можно спорить, ибо это очень сложный вопрос.

Я хочу сказать несколько слов и по поводу выступления тов. Талахадзе. Я не говорил прошлый раз, что я пришел учиться у вас и я не ошибся, потому что сегодня я убедился, что у нас нечему учиться. Мы утверждали, что вы не читали книгу, потому что слишком уважали вас и были в полной уверенности, что прочитав книгу, вы бы поняли ее. Сегодня я определенно убедился, что вы хотя и читали книгу, но не поняли ее. Разрешите сказать, в каком смысле я употребил слово «случается». Если вы читали мою книгу, то вы должны были видеть, что позитивное право у меня детерминировано экономическим условием. Если же я говорю, что право «случается», то этим я выражаю смысл отношения конкретного права к общему смыслу права, т. е. то право, которое у нас есть, не является единственно возможным правом. Оно, будучи рассматриваемо с точки зрения базиса, является необходимостью, а с точки зрения понятия права является одним из возможных прав; поэтому я и сказал, что оно случайно в отношении самого смысла, а не в отношении базиса. (С места: Он так и понял вас). Нет не понял. (Талахадзе. А это слово «случается» — все же ваше слово?). Позвольте, я разъясню. Если конкретное право в отношении смысла права или в отношении общего понятия права не рассматривать как нечто случившееся, то согласитесь с тем, что, с точки зрения общего понятия права данное позитивное право я должен рассматривать как единственно возможное, т. е. вечное право, — другого логического выхода нет.

Что касается логического признания, то я должен заявить, что когда я в первый раз слышал тов. Талахадзе в здании Суда, то им было заявлено, что якобы «логическое признание» в моей работе означает не что иное, как право. Сегодня же он заявил, что «логическое признание» — есть «действительность». На самом деле потрудились ли вы выкинуть в тот смысл, который имеет «логическое признание»? Ведь это есть чистый акт — (отношение субъекта к объекту). Например, когда я вижу некоторые объекты, я их воспринимаю, усваиваю. Точно также, когда воспринято право в моем сознании, это право дано в

той структуре, которая является характерной вообще для права. Иначе я не могу мыслить права. Право всегда преподносится моему сознанию с одинаковым значением. Таким образом, логический акт признания представляет собой отношение к тому или иному воспринятому объекту. Поэтому и позитивное право преподносится нам через логический акт признания. Иначе и не может быть. Через этот акт и позитивное право предстает моему сознанию как нечто обязательное. Иначе это отношение к этому позитивному праву немислимо. Мои коллеги, которые прочли мой труд более внимательно, подтверждают, что я противопоставляю мое понятие логического признания — понятию Бирлингговского психологического признания. Я знал, что, основываясь на этом Бирлингговском психологическом признании, ни в коем случае нельзя построить объективной обязательности всего позитивного права, ибо если все зависит от психологии, то я могу признать или же не признать существующее право. Для того, чтобы не было этого субъективизма, я вместо «психологического признания», тов. Талахадзе, говорю о «логическом признании», желая этим сказать, что отклонение от позитивного права невозможно, что позитивное право для меня обязательно и в том случае, когда я психологически не расположен выполнить это право.

Вот, между прочим, какой смысл я вкладываю в понятие признания. Если вы читали мой труд, то, верно, вспомните, что я говорю и о том, что каждый акт, который мы осмысливаем, содержит в себе что-то. Я утверждал, что в любви что-то любит-ся, а в ненависти — что-то ненавидится. Позитивное право мне дано с категорической необходимостью и я должен усвоить и признать его, если я не сумасшедший. (Талахадзе: Значит революция сумасшедшая, т. к. она восстает против этого права?) Я этого не говорил, тов. Талахадзе, я говорю, что советское право для меня обязательно, а если вы хотите это принисать мне, то это ваше дело, но все равно меня это не утешит. Кроме того, было сказано, будто бы я утверждаю, что смысл действует. Выходит, что у меня какой-то сумасшедший смысл. Ничего подобного! Утверждаю — абсолютно ничего похожего! Я говорю, что если мне дана норма позитивного права, то объект, который дан в самой норме, для меня обязателен, как самодовлеющий объект, или объект нормы мне предписано выполнить. Я говорю, что в этом смысле он, объект, довлеет к тому, чтобы быть выполненным. В этом смысле я и говорил, что это содержание нормы само по себе довлеет. Поэтому этот объект и действует, базис же гарантирует шанс выполнения. Я говорю, что этот долженствующий объект мною должен быть выполнен. То, что имеется в нормах и то, что предписывается нормами, мною должно быть выполнено. Другого смысла, тов. Талахадзе, я в это не вкладываю.

Вас удивило, тов. Талахадзе, когда я сказал, что право и факт представляют собой две разновидности одной и той же действительности. Что я хотел этим сказать? Неужели вы думаете, что я хотел право оторвать от реальности и перенести в небесные сферы? Ничего подобного! Я хотел сказать, что у нас, в мире действительности, в мире конкретностей, мы находим и право, и явления природы как нечто конкретно-индивидуальное, историческое. Я хотел сказать только одно, что именно в самой этой действительности не может быть, чтобы явления естественной природы и права (как идеология) могли бы действовать совершенно одинаково. Поэтому я говорю, что они два разных вида одной и той же действительности. Говорил я это или нет? Человек, знающий философию, согласится, что когда мы говорим о фактическом ряде, так действие этого фактического ряда тем и отличается от действия правового, что первый вводит нас в «дурную бесконечность»; право же, как идеология, как нечто определенное базисом, проходит через нас, действует опять на нас (определяет наши отношения) и таким образом опять возвращается к базису, поэтому оно (право) не переходит в «дурную бесконечность», в какую переходит фактический мир. Вот что я хотел сказать, вот какую разницу в их действиях мы хотели отметить. И вот это значит, что право и факт — две разновидности одной и той же действительности. Неужели вы, тов. Талахадзе, будете отрицать, что если мы не будем различать право и факт, как две разновидности одной и той же действительности, так у нас или базис должен перейти в право, или право должно непременно слиться с базисом (аплодисменты). Другого выхода нет и это положение надо усвоить. Мы вовсе не утверждаем, тов. Талахадзе, что право, действуя как одна из разновидностей действительности, действует оторванно от базиса. Мы не сумасшедшие, мы говорим, что право в историческом отношении детерминировано базисом, оно создается, никто из нас не отрицал и не сможет отрицать, что это право действует вполне определенно до тех пор, пока существует тот самый базис, который определил эту правовую надстройку. Пока этот базис существует — право действует так же, как действуют явления физического мира. Возьмем дальше следующее ваше утверждение. Вы все время говорили о Кельзене, но ведь вы не знаете Кельзена, не знаете, что относительно происхождения самого права у Кельзена имеется труд „Wesen der Demokratie“, где он признает, что право, безусловно, является результатом классовой борьбы.

Если вы не верите, то я вам завтра же эту брошюру перешлю. Этим я хочу сказать, что вы меня обвинили в таких вещах, что я прямо не знаю, о чем с вами говорить, так как все то, что вы вычитали из моей книги, там не написано. Вы, правда, остроумный человек и вызвали улыбку аудитории, но улыбка недостаточна: книгу надо понять, а вы моей книги

მე ვერაფერს ვიპოვე (Талахадзе: Я цитировал из нее). Цитировать еще недостаточно, цитировать может всякий, кто знает грамоту, но этого недостаточно, чтобы разбираться в более или менее сложных вещах. Я хочу вам сказать только одно: хотите нас гнать из института, пожалуйста — уйдем.

Хотите, чтобы мы сотрудничали с вами, чтобы мы бывали у вас с тем, чтобы установить какой-то, modus vivendi, так дайте нам возможность слушать наши фразы и критику наших фраз, а не тех фраз, которые вы нам приписываете, потому что таким способом можно легко разделаться не только с Напейшвили, но и с Кантом, Гегелем и даже с самим Марксом: ибо если вы будете критиковать Маркса не на основании того, что им написано, а по тому содержанию, какое вы в него вкладываете, так, согласитесь, что Маркса в вашем изложении легко будет разбить.

შალვა ნუცუბიძე

ბ. ნანიშვილის წიგნი — „სამართლის ნამდვილობა და ცდა ნორმატიული ფაქტების დასაბუთების“ — რეცენზია

ავტორი ისახავს მიზნად გაარკვიოს ნორმატიული ფაქტების ბუნება. აქედან აღდგალი დასაძახია, საით მიდის ავტორის ინტერესი: მან უნდა გაარკვიოს ერთი მხრივ ფაქტების სამყარო და შეარჩიოს მათში ის ჯგუფი, რომელიც ფაქტის ნორმატიულად გახდომის ანუ დახასიათების მიზნად შეიქმნა, ხოლო მეორე მხრივ უნდა შეიკვრას ნორმატიულის სუბიექტი და მისი ფაქტთან დაკავშირების ის სპეციფიკაცია აღმოაჩინოს. რომელიც ნორმათა ერთ ნაკადს გამოყოფს და ასეთი შეერთებისათვის განამზადებს. შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, რომ ამით საკითხი ჩვეულებრივ პრობლემას ემსახურებოდა — ნორმისა და ფაქტის შეერთების შესახებ. პრობლემა ნორმატიული ფაქტებისა ნორმისა და ფაქტის დაახლოების ნიადაგზე კი არაა წამოჭრილი, არამედ აზრთა იმ კონტექსტში, სადაც „ნორმატიობა ზოგიერთი ფაქტების ობიექტურ თვისებად უნდა იქნეს აღიარებული“ (გვ. 102).

მართალია, ავტორს ესაქიროება სამართლის ნამდვილობის გარკვევა. მაგრამ ამას მხოლოდ სამსახურებრივი დანიშნულება აქვს მთავარი მიზნის — ნორმატიულ ფაქტების ბუნების ნათელსაყოფად. კიდევ მეტი — ავტორი ეძებს სამართლის იდეის ადგილს და პოზიტიური სამართლის პრობლემას ამ იდეის გააზრებაში ან სამართალშემოქმედების ხაზით ამ იდეის მოქმედ სამართალში შემოსვლას იკვლევს, რათა მივიდეს ნორმის განხორციელების ამოცანის წამოჭრამდე. აქ მას ნამდვილობის სახეობე-

ზღუდავს აინტერესებს. რომელთაგან ერთი მიზეზშედგებობრივ რიგად გაიშლება და შედეგი ვალუბული არ იქნება მიზეზის აზრის განსახიერებას წარმოადგენდეს, ხოლო მეორე რიგი აუცილებლად თავიდან შეთვისებული აზრის განხორციელების პრეტენზიით გამოვა და ამ განხორციელების შესაძლებლობის შანსების პრობლემას დააყენებს. ამრიგად, საქართლის იდეისა /სამართლებრივი აზრის/ და მისი გარეალიზების პრობლემა — ეს დიდი და კარდინალურა საკითხი დოკმატურ-ფორმალისტურ იურისპრუდენციისა ერთი სხვათა შორის მოცემული პრობლემაა მთელს ნაშრომში და, როგორც იტყვა, ემსახურება მხოლოდ ერთი კომპონენტითაგანი დადგინებას სამართლის ნამდვილობისა ანუ პოზიტიურ სამართლის ნაირობისა.

ავტორის მიზნებისათვის — გაარკვიოს ნორმატიული ფაქტების ბუნება და ისიც იმ ნიშნით, რომ ისინი, როგორც ობიექტური, თვითარსისა საქართლის წყაროსაგან დამოუკიდებელი და გარეშე შესაძლებელ ნორმატიულ ფაქტებისა წარმოიდგინოს, არ აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა, თუ როგორ გადაწყდება მისთვის საკითხები სამართლის აზრის გარეალიზების ანუ, „სამართლის ნამდვილობის“ შესახებ. ეს რომ ასეა, თუნდაც იქიდან ჩანს, რომ არც სამართლის და არც ფაქტის ნამდვილობა ნორმატიული ფაქტის პრობლემის დაყენების არე არ არკვევს. მთელი 33—35 გვერდის მანძილზე წარმოებულ დისტინქციები და განმარტებანი ძალიან საინტერესო და საგულისხმეოა არა მარტო სპეციალიზირდიულის, არამედ საერთო ფილოსოფიურის თვალსაზრისითაც, მაგრამ ავტორის პრობლემატიკა მას არ საქუროებს.

ავტორი გარკვეულად ამბობს, რომ „ნორმატიული ფაქტების პრობლემა“ სწორედ იმას გულისხმობს, რომ ნორმატიულად მოქმედი ფაქტი საქართალს არ წარმოადგენს“ /გვ. 53/. ეს შემთხვევითი განცხადება არაა გამოკვლევის მთელი აზრი იმის დამტკიცებაშია სწორედ, რომ არა თუ არ წარმოადგენს ნორმატიული ფაქტი სამართალს, არამედ სამართლისა და ნორმატიული ფაქტების ერთი მეორესთან არავითარ კავშირში მოყვანა არ შეიძლება. აქ შესაძლებელია თეორიულად ორი შემთხვევა: ა) ან ნორმატიული ფაქტი ორიენტაციამნილია სამართალზე, ან ბ) სამართალი „გამოიყენებს“, ან როგორღაც (ეს როგორღაც რთული სიტუაციის ან მეცნიერულ-იურიდიულ გარემოებათა საქმეა) ემყარება ნორმატიულ ფაქტებს. ორივე შემთხვევა გამორიცხულია ავტორისათვის. პირველ შემთხვევაში ნორმატიული ფაქტის პრობლემა მოიხსნება, რადგან დასასრულს ნორმატიული ფაქტები სამართალში გაითქვიფება, მეორე შემთხვევაში უკვე განსახიერებული სამართალი წინსვლისა და სამართალშემოქმედების უნარს დაკარგავს.

აქედან იპაღება საკითხი: რად სჭირდება ავტორს სინამდვილის და ნამდვილობის პრობლემის გამორკვევა. სამართლებრივი აზრის განსაზღვრების მანებრის კვლევა-ძიება. საზოგადოდ მთელი ის პრობლემატიკა, რომელიც ლოგოურ-ფორმალისტური გზით, ნ ე ლ ს ო ნ ი ს თქმ. რომ ვიხმართ, „უსამართლო სამართლის მეცნიერებით“ ათავენს, ხოლო ფსიქოლოგიურ-ემპირისტული გზით აღიარებისა და ინდივიდუალ განცდებით ათავენს. ამ კონტექსტში არულიად შემთხვევითად გამოიყურება აგრეთვე ცდა პეტრაეიციის ფსიქოლოგიის რეაბილიტაციისა /უნდა აღინიშნოს, რომ თვით ნორმატიული ფაქტების გაგებაში ავტორი პეტრაეიციის არ ეთანხმება და ამ დებულებას შესანიშნავი და მოწოდებული არგუმენტაციით ამტკიცებს/.

მთავარი გამართლება, რომელიც შეიძლება ავტორის საპარტახელოდ ითქვას, ამ შემთხვევაში მდგომარეობა აითქოს იპაში, რომ მას ესაძერძება პოზიტიური სამართლის გარკვევა, რადგან მან იცის, რომ „პოზიტიური სამართალი არის ის, რაც აბუნებრივებს სამართლის იდეას“ (34). უნდა ითქვას, რომ თავისთავად აღებულო არც ესაა ავტორისთვის ათავარი. მას აინტერესებს იმის დადგინება, რომ პოზიტიური სამართალი — პირობადადებული სამართალია. რაშია ეს პირობები?

ავტორი აქ სრულიად გარკვეულად მარქსისტულ თვალსაზრისზე დგას. ის ამბობს: „ეს პირობები რეალური პირობებია... და მათი საპარტახე იმ სამართლის წყაროზეა დამოკიდებული, რომელიც თავიდან ბოლომდე ეკონომიური ფაქტურა ურთიერთობის გაყდინის ქვეშ იმყოფება“. რა სურს ავტორს ამით ნათლელს? ის ამზადებს ნიდეაგს იმ ფაქტებზე გადასასველად, რომლებიც სამართალი არ არიან. მაგრამ მანაც მარქსისტულობას წარმოადგენს. სწავნარად რომ გავყვათ, ავტორის თქმურ აქვს საქმე ფაქტებთან: ერთხელ, როდესაც ეს ფაქტები სამართალში შეხებაში მოდიან და თუნდაც სამართლის ფორმად არ იქცევიან და ეგრე იქცევიან. მაგრამ სამართლის „გაპარტახეობებს“ ამირობადებენ. მართალია; ათ ეს ფაქტია სამართალი, ან სამართლებრივი ფაქტი. მაგრამ მას არც ნორმის პრეტენზია გააჩნია. და სწორედ ამ პრეტენზიით ხანათდება ფაქტების მეორე კატეგორია. — ნორმატიული ფაქტები.

ცხადია, თუ ნორმატიული ფაქტი მართლა ფაქტია, მისი სხვაგვარად მონახეაც შეიძლებოდა. ფაქტს არ უნდა გამოყვანა, მას ჩვენებაც ეყოლა და ლოგიკურად აკრძალულია იმაზე დიდი ხერხის ხმარება, რაც საძიარო საპარტახე ეფექტის მისაღწევად. ავტორი არ გაუბრის ფენომენოლოგიურ მეთოდოლოგიას და მას შეეძლო, თუ ის თავს ფაქტების ნიდე. ვზე გრძნობდა, მათი ჩვენებით დაეწყო გამოკვლევა, ფილოსოფიურად წყენი წააგებდა, რადგან ავტორი იშვიათი გონებამახვილობით და სწავლის ცოდნით არკვევს ნამდვილობის რიგებს და გაპარტახეობის გრადაციებს, მაგ-

რამ ზოგებდა წიგნის პროზაულმატიკა სოციალდემში. ჩვენი აზრით, ავტორის, როგორც მწერლის გამოუცდელი ხელოვნება უნდა მიეწეროს, რაც იქიდანაც გამომდინარეობს, რომ 120 გვერდიან წიგნს არც თავები და არც პარაგრაფებში გააჩნია. მართალია, ავტორი თვითონ ვაჭრბის, ძირითადი ამსებლს დამწვლებას და დამძიმებას ვა ამ მანხით ზელს იღებს ზოგიერთი საკითხებში. შესახებ და იქ, რეალურის ნიყეანსზე და მათში გასაოქმევე შეხედულებათა ხილვასე, მაგრამ ეს უფრო გარეგნულა მხარეთა ნაკლები, რომელსაც ჩვენ მივეუთითებთ — მისი საკეთარი აზრის დალაგებას ესე-ბა

ჩვენ მიერ საკითხის დაყენება იქიდანაც პოულობს თავის გამართლებას, რომ თუ ავტორისავე აზრს მივიღებთ და ზოგიერთ ფაქტებს, როგორც მათ ობიექტურ ნიშნებს, მივაწერთ ნორმატიულობას, ამით სავალდებულო ხდება, რომ ეს თვისება, ე. ი. ნორმატიულობა არსადან არ უნდა გამოიყვანებოდეს. ამ ნიადაგზეა ავტორს რომ ესაქროება ყველა იმპატიან ბრძოლა, რომლებიც ნორმატიულ ფაქტებს ან სამართლისადმი ორიენტაციის ნიადაგზე აშუქებენ ანდა მათ თვლიან შესაძლებელი ნორმატიული ფაქტების ერთ-ერთ სახეობად. ავტორი ყოველივე ორ აზროვნების ვარეშე აცხადებს: „რაკი ნორმატიობას ფაქტების ობიექტურ თვისებად ვაღიარებთ. ამით უკვე შეუძლებელი ხდება ფაქტების ნორმატიულობა რისამე შედეგად ჩავთვალოთ“ /გვ. 101/. თუ ასეა და ეს გარკვეულადაა ნათქვამი — მაშინ კიდევ უფრო ცხადია, რომ სამართლის ნამდვილობა ისე, როგორც ყველაფერი, რაც სამართლის დადგინებულ ე. ი. პოზიტიურ სახეს ეხება, არაფერ ზეუალა ნისგან დასაუქიდებს. ეს ნორმატიული ფაქტების მისაღებად დასახსიათებლად.

ასეთივეა მეორე ნიშანი, რომელიც ნორმატიულ ფაქტებს ახსიათებს, რომ „ისინი დგანან ჩვენ წინაშე ისე, როგორც არსებობენ“ (ibid.). პოზ-ტიური სამართლის ბუნების ხანგრძლივი კვლევა და მასში იმ თვისების აღნიშვნა, რომელიც შემთხვევითობაში მდგომარეობს, შესაძლოა გამოხეცნებულ იქნეს მხოლოდ შედარების და რელაციის მიზნით და არც მეტი, არც ნაკლები, თუ ნორმატიული ფაქტი ის ობიექტური ვითარებაა, რომლის ბუნებაში იშლება ჩვენი მიმართების განაწილება — ვთქვათ იმავე უფლებამოვალეობის სახით — ისიც ხომ ცხადია, რომ თანახმად პარობისა. ეს განაწილება და მთლიანად მთელი ის მიმართება, რომელშიც უკუიფინება ნორმატიულ ფაქტის ბუნება, „არავითარ გარემოებაზე დამოკიდებული არ არის“. ნორმატიულ ფაქტს არ შეუძლია სხვანაირად იყოს, თუ არა ისე, როგორც ის არის, მხოლოდ ეს უკანასკნელია ის ობიექტური მოვლენა, რომლის შეცვლა არაფერს არ შეუძლია, მაშინაც კი, როდესაც პოზიტიური სამართალი ნორმატიულ ფაქტთან შეხებაში მო-

დის და თავის დამოკიდებულებას ნეგაციით განსაზღვრავს, ე. ი. აქემებს უფლება-მოვალეობის ნორმატიული ფაქტით გამოხატულ ფორმას. თვით შინაგანი აგებულება და მასთან მთელი აზრი ნორმატიულ ფაქტისა, ავტორის აზრით, „არ წარმოადგება ჩვენთვის, როგორც გუქნებულის“, (გვ. 112).

ამით მეტად განსაზღვრულია მნიშვნელობა იმ განსხვავების. რომელსაც ამყარებს ავტორი პოზიტიურ სამართალსა და ნორმატიულ ფაქტებს შორის. საკითხი ეხება ე. წ. „უფლებრივ შემოქმედებას“. მართალია, რომ უფლებრივი შემოქმედება შესაძლებელია სამართლის გასაგნებაშიც. რადგან ის პროცესს წარმოადგენს. თანახმად პირობის სამართლის აზრი /იდეა/ როგორღაც უნდა დაუახლოვდეს სინამდვილეს. მასში გაშლილია და ეს არის აზრი სამართლისა ანუ უკეთესი იქნებოდა გვეთქვა — აზრი სამართლად ყოფნისა (Rechtsein განსხვავებით Sein Rechtes-საგან) — დარჩება იმ აუცილებელ პირობად, რომელიც ფუნქციონეროლოგიურად იმ არეს მოხაზავს, სადაც სამართალზე და არა, ვთქვათ, ბოტანიკაზეა ლაპარაკი. ცხადია, რომ მის იქეთ იშლება ის მრავალსახიანობა, რომელიც უფლებრივი „მოქმედებაა“ ფართო მნიშვნელობით, რომლის ახსნა კელზენის „Stufentheorie“-თათ შეუძლებელი აღმოჩნდა. და რომელსაც ესაჭიროება მეცნიერული-იურიდიული მომენტება. ყველაფერი ეს შეიძლება მართლაც ასეა, მაგრამ ნორმატიული ფაქტისათვის ამას მხოლოდ განმსაზღვრელი მნიშვნელობა აქვს და მეტა-აზრად, რაც თუნდაც იქიდანაც ჩანს. რომ ნორმატიული ფაქტი უფრო ადრინდელი გარემოებაა, ვიდრე მთელი ეს პროცესი უფლებრივი შემოქმედებისა.

ავტორი აღნიშნავს სრულიად გარკვეულად, რომ „ნორმატიული ფაქტები დროში მოქმედი ყოველი სამართლის მიმართ ყოველთვის უფრო ადრინდელია“ (გვ. 104), კიდევ მეტი — ნორმატიული ფაქტები შეიძლება ისეთ სფეროში წარმოვიდგინოთ, რომელსაც პოზიტიური სამართალი სრულიად არ ეხება.

ამით ირკვევა, რომ „სამართლის ნამდვილობა და ნორმატიული ფაქტები“ არ არიან იმ დამოკიდებულებაში, რომ მათი ერთი გამოკვლევის საგნად მიღება საჭირო იყოს, უდიდესი, რაც შეიძლება მიღწეულ იქნეს ამ ორი მომენტის შეფარდებით, არის დეფინიციები, განმარტებანი, რომელსაც მომეტებულად ლიმიტატიური, ე. ი. განფენილობის მაჩვენებელი მნიშვნელობა აქვს. ამდენად შეიძლება ითქვას, რომ თხზულება წარმოადგენს ორი ნაკადის ისეთ გარდი-გარდმოერთებას, რომლის იქვითაც თითოეული ნაკადი მაინც თავის გზაზე მიდის.

ასიდან განსაზღვრულია იმ მივიღებთ. რომ წიგნში ორი საკითხი, ორი თემა და თითოეული მათგანის შეფასებას შევუძლებით, უნდა გვი

ეთქვას, რომ თითოეული მათგანი, ე. ი. როგორც სამართლის ნამდვლობის პრობლემა, ისე ნორმატიული ფაქტების საკითხი იშვიათი გონებამკვილობით, დაკვირვებით არის შესრულებული. თავისი აზრების მიმდინარეობას ავტორი არ ამძიმებს სხვა შეხედულებათა ციტაციით და მიმართავს ამ უკანასკნელს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მისი ვებულების ნათელყოფა აუცილებლყოფს სხვათა შეხედულების გაკრიტიკებას. ამდენად ციტატა უმეტეს შემთხვევაში საპოლემიკო მიზნითაა მოყვანილი.

ავტორის მიერ წარმოებული დასტანციები სინამდვილის და ფაქტის ცნებისა სავსეა ფილოსოფიურ გამჭრიახობით. ჩვენს დროში, როდესაც, როგორც ამას აღნიშნავს უდიდესი სამართლიან თეორეტიკოსი ჩვენი დროისა — კელზენი — ფილოსოფია და იურისპრუდენცია კვლავ დაუანლოვდნენ ერთმეორეს — ღირსშესანიშნავი მოვლენაა ჩვენი იურიდიული აზროვნებისათვის ისეთი ნაშრომი, რომელიც იურიდიული მსჯელობის გვერდით არა მარტო ახერხებს ფილოსოფიური საკითხების ადეკვატურ გაგებას და დაყენებას, არამედ მთელ მათ მამოძრავებელ ძარღვს სწვდება იშვიათი ინტუიციით.

გარდა რიგის ერთმიმართების თვალსაზრისით გაშლილი დამოკიდებულებისა, რომლებსაც ამყარებს ავტორი სამართალსა და ფაქტს შორის იგი იღებს ამავე საკითხს სხვა განაერთიაც მათი არსებობის თვალსაზრისით (Sein als Existenz ფილოსოფიური ტერმინოლოგიით). აქ უკვე აქვე მარტო მოქმედებაში კი აღარაა, არამედ იმაში, სად და როგორ დაილექება ეს მოქმედება. და აი ამ თვალსაზრისით ავტორი განსაზღვრავს რა რიგს: ერთი, რომლის შესახებ შეიძლება ვთქვათ, რომ Sein და Existenz ერთმეორეს ხედება, მეორე, როცა ეს არაა, მაგრამ შესაძლებლობაშია. ავტორი ამბობს: „ბოზიტიური სამართალი არის ნამდვილობა ის უფლებრივი აზრის, რომლის შესახებაც არასოდეს არ შეგიძლია ვთქვათ, რომ იგი მოხდა“ /გვ. 21/. აქ იშლება, მასასადამე ნამდვილობის ორი სახე, რომელთაგან ერთი მომხდარია და ისტორიას წარმოადგენს. მეორე მოსახდენია და განსახორციელებლად განმზადებულ ფენომენს წაშნავს. აი სწორედ აქ ისმება საკითხი ამ განხორციელების შესაძლებლობის მანსების შესახებ, რომელიც შეიძლება თავის და რიგად იყოს „მთელი რიგი გარემოებათა“ /გვ. 28/.

კიდევ ქვემოთ ავტორი შემდეგნაირად განმარტავს სამართლის ნამდვილობას: „სამართალი, როგორც განსაკუთრებული სახის ნამდვილობა წინააღმდეგ ფაქტებისა, ქმედების განსაკუთრებული უნარით ხასიათდება. სახელდობრ, მას აქვს მუდმივი პრეტენზია განხორციელებისა და ამავე დროს, იგი მიზეზობრივად არაა დაკავშირებული იმ შესაძლებლობასთან, რომლითაც ის ხორციელდება“ /გვ. 33/.

აქ ბევრია უდავო, რომ სამართლის ქმედება სხვანაირია, რომ სამართალი, როგორც სამართლად მყოფი (Rechtsein) მიზეზობრივად არაა დამოკ. დებულები სხვა და სხვა. მოუხედავად ამისა ეკითხება: „სხვანაირია, რომ სამართალს აქვს მუდმივი პრეტენზია განხორციელებისა? მრავალი ადგილიდან ნათლად ჩანს, რომ სამართალი ისწრაფვის განხორციელებისაკენ, ე. ი. სინამდვილისაკენ. გამოდის თითქოს, რომ სამართალი აქტიურია, ინიციატივიანი. მოქმედი — ხოლო სინამდვილე პასიური. უნიციტატივო, უმოქმედო. მართალია, ამ პასიუობის შესახებად ჩაერთვის სუბიექტი „როგორც შექმნილ ღირებულებათა აქტების მატარებელი“. მაგრამ ხომ ნათელია, რომ სამართალი სუბიექტისათვის მართო არ არსებობს. არამედ ის მთელია კომპლექსისათვის, რომელშიც სუბიექტები, ობიექტები, მიმართებანი და სხვა შედიან და უფლებრივი ცხოვრების მთლიანობას ქმნიან. ამიტომაცაა, რომ იმთავითვე განქიზღულია ყოველივე სახეობა სამართლის თეორიისა, რომელიც სუბიექტის სფეროთი განსაზღვრავს სამართლის ნამდვილობას — სულ ერთია, იქნება ეს აღიარების თეორია, თუ სხვა რაიმე ფსიქოლოგიური ცდა სამართლის ფილოსოფიისა.

ამ ეთ დასკვნას ავტორი ვერ მიიღებს. მან იცის, რომ სამართალს დასაყრდენი წერტილი ესაჭიროება, იცის, რომ ეს დასაყრდენი საზოგადოებრივი ეკონომიკაა. იცის ის, რომ ეს „თავიდან ბოლომდე ეკონომიკური ფაქტორი ურთიერთობის გაყვანის ქვეშ იმყოფება“ /გვ. 35/. ავტორი კატეგორიულად აცხადებს: „მარქსისტული ფორმულა — რომ „სამართალი ზედნაშენია, შეიცავს ღრმა კეშმარტებას: ამ დებულებას ამართლებს ყველა დროთა და ყველა ხალხის უფლებრივი ცხოვრების ისტორია“ (გვ. 19). აქედან ნათელი უნდა იყოს რომ „სინამდვილის პრეტენზია“ თვით სინამდვილესაც უნდა ეკუთვნოდეს, ე. ი. არა მართო სამართალი უნდა მოდიოდეს სინამდვილისკენ, არამედ სინამდვილეც უნდა ისწრაფოდეს სამართლისაკენ.

სინამდვილეში ასეთ შემთხვევაში ორნაირი ფაქტები გაიშლებოდა: ა/ ისეთი ფაქტები, რომლებიც ყოველთვის არ საჭიროებენ უფლებრივ მოწესრიგებას. ე. ი. შეხებას პოზიტიურ სამართალთან და ბ/ ისეთები, რომლებიც საჭიროებენ აუცილებლად უფლებრივ მოწესრიგებას. საკითხის ასეთი დაყენების დროს შესაძლებელი იყო ავტორის ყველა თემის ძალაში დატოვება, მხოლოდ თხზულება მოიგებდა როგორც ლოგიკურად, ისე იურიდიულადაც. ავტორი თვითონვე გრძნობს, რომ ნორმის პრეტენზია განხორციელებისადმი არ კმარა, მას შეუძლებლად მიიჩნია, რომ „რალაც მოვლენა თავისი ობიექტური თვისებების მიხედვით მთლიანობით არ იყოს დანიშნული სამართლის დასაყრდენობად“, მან იცის, რომ სამართალი მიმართულია „ისეთი მოვლენისადმი, რაც თავისი ობი-

ექტური თვისების მთლიანობით თავიდანვე დანიშნულია იყოს სამართლის შემსრულებელი“ /გვ. 57/. ასეთი დანიშნულება ხომ არ ნიშნავს დანიშნულებას საერთოდ? რა თქმა უნდა — არა. აქ საქმე განხორციელებას ეხება და ეს უკანასკნელი მხოლოდ კონკრეტული შეიძლება იყოს. ეს მშვენივრად ესმის ავტორს და ის ლაპარაკობს სამართალზე. „რომელიც განსაზღვრულ მიზანს ემსახურება“ /გვ. 57/. ასეთი პრესტიჟილობის თეორია თითქოს არა აქვს ავტორს მხედველობაში. მოვლენა რომელიც დანიშნულია ნორმის განსახორციელებლად, უთუოდ საჭიროებს ამ ნორმას და სწორედ აქაა სინამდვილის სწრაფვა ნორმისადმი. უეჭველია, რომ სოციალურობის მთელი კომპლექსი მოითხოვს მოწესრიგებას; კიდევ მეტი, — იგი შეიძლება გაჩნდეს მოწესრიგების პოტენციის დართვით. აქ არის მომენტები, რომლებიც საუთუთაა ობიექტური თვისებით შემცველია ერთგვარი წესრიგის, რომელაც პოზიტიური სამართლის გარეშე იარსებებს. მათ გვერდით არის მომენტები, რომლებიც მხოლოდ ამ მოწესრიგებაში შეიძლება არსებობდნენ.

ამდენად ყოველ სოციალურ ფაქტსა და ნორმატიულ ფაქტებს შორის მხოლოდ ხარისხობრივი და არა პრინციპული განსხვავება უნდა იყოს. ამიტომაცაა, რომ პოზიტიური სამართალი ნორმატიული ფაქტების ან უარყოფის ან მიღების მიმართებაშია. ეს არ შეიძლება სხვა ფაქტების მიმართ, რადგან მათში არაა მოცემული ის დამთავრებული ნორმატიული აზრი, რომელიც კიდევ შეესებას არ საჭიროებდეს. რათა ეს აზრი მიღწეულ იქნეს. ვფიქრობთ, ამ მიმართულებით წასვლას ავტორის ნააზრევი მოიგებდა თანმიმდევრობაშიც და არსებითადაც.

ავტორმა იცის, რომ ყოველი ნორმა შესაძლო ფაქტიურ ურთიერთობათა განსაზღვრულ ერთიანობას გულისხმობს, და იკითხავს: „რალა უნდა მიუმატოს ამ შემთხვევაში სამართალმა ფაქტიურს“? /გვ. 58,9/. უმატებს იმას, რაც ფაქტიურმა მოწესრიგებას ესაჭიროება ე. ი. ნორმატიული ფაქტისადმი ან კო, ან არა ყოველი სხვა ფაქტისადმი ნორმის აზრამდე მიყვანა. ასეთი უნდა იყოს დასკვნა.

ასეთია ჩვენი მოსაზრებანი წიგნის საფუძვლების შესახებ; რაც შეეხება საპოლემიკო ნაწილს და საზოგადოდ წიგნის მეცნიერულ არქიტექტონიკას — აქ ზოგი რამ სადავოა. ასეთია აღიარებისა და ნებისყოფის ურთიერთობა, ცდა ემოციონალური თეორიის (პეტრაეიციის) აპრიორისტული ინტერპრეტაციისა და სხვა და სხვა. ფაქტუალტისათვის წარმოსადგენი რეცენზია არმიგვანია საჭიროდ, დაეამბოთ ამ მეორეხარისხოვან გარემოებათა კრიტიკით — ამას ყველას დისპუტზე მოვახსენებთ.

ჩვენი აზრით, ავტორი აღწევს თავის მიზანს — სამართლის ნამდვილობისა და ნორმატიული ფაქტების გარკვევაა და დასაბუთებას. რო-

გორ გაიშლება მისი ცდა, რა რეალურ შედეგს მისცემს მეცნიერებას, ეს მომავლის საქმეა, ხოლო ის, რაც შეადგენს დისერტაციის მიზანს — საკითხის ცოდნის, პრობლემის გრძნობის და მეცნიერული აზროვნების უნარს, ის ამას ბრწყინვალედ აღწევს. გ. ნანეიშვილის წიგნი უნდა ჩაითვალოს ღირსშესანიშნავ მოვლენად ჩვენს სამეცნიერო აზროვნებაში საერთოდ და იურიდიულ აზროვნებაში კერძოდ.

შრომას ეთვლი სრულიად დამაკმაყოფილებლად დისერტაციად მისაღებად და მაქვს პატივი მოვახსენო ფაკულტეტს, რომ ავტორი დაშვებულ უნდა იქნეს საჭარო დისპუტზე სამეცნიერო ხარისხის მისაღებად.

პროფ. შალვა ნუცუბიძე

ქ. ტფილისი, 8—VI—29 წ.

მ. გოგიბერიძე :

რედაქცია პროფ. გ. ნანეიშვილის ნაშრომზე — „ემოციონალური აპრიორიზმი და სხვ“
აპრიორიზმი და სოციალური თანხმობის იდეა ბურჟუაზიულ საზოგადოების ფილოსოფიაში“.

პროფ. ნანეიშვილის საინტერესო გამოკვლევა „ემოციონალური აპრიორიზმი და სხვ“. ჩემი აზრით ორ ძირითად ამოცანას ისახავს; ერთის მხრივ დაასაბუთოს, რომ პეტრაჟიციის სამართლის ფილოსოფიას და მარქსისტულ მსოფლმხედველობას შორის არსებობს პირდაპირი და შეურიგებელი წინააღმდეგობა, პეტრაჟიციი არ ცნობს არც ერთ მარქსისტულ პრეზუმციას: სამართლის ისტორიულობა, მისი ეკონომიკური სტრუქტურის ნორმირების ნიადაგზე წარმოშობა, კლასობრივი საფუძვლები და სხვ. ამიტომ უაზრობადაა გამოცხადებული ყოველივე ცდა პეტრაჟიციის თეორიის და მარქსიზმის მორიგებისა. ამასთან დაკავშირებით მთელს ნაშრომში ის იდეოლოგიური ხაზია გატარებული; რომ პეტრაჟიციი გვეკლინება, როგორც ბურჟუაზიული სამართლის ნორმების მარადიულ-ადამიანურ ნორმებად დამასაბუთებლის როლში და რომ მისი ფილოსოფია ამ შეხედულებას ატარებს ისეთი თანამიმდევრობით და ბურჟუაზიული კლასობრივი თვალსაზრისით, რომლის თანაბარს მეორეს ამგვარს იშვიათად თუ სადმე ვნახავთ, ე. ი. პეტრაჟიციის სამართლის აპრიორული ნორმატიკა ყოველნაირ მარადიულობას კატეგორიულად ცნებაში გამოწყობის მიუხედავად ბურჟუაზიულ კლასობრივი სამართლის ნორმირება და მათთანადამე მარქსიზმის დაუძინებელი მტერია. მეორე მხრივ პროფ. ნანეიშვილს მიზნად აქვს დასახული მოგ-

ვცეს სავსებით ახალი, თავისებური და ორიგინალური ინტერპრეტაცია პეტრაჟიციის, სამართლის ფილოსოფიური დოგმისა. და ჩემი ცოდნით მან ეს სავსებით გაამართლა და მოგვეცა პირველი ცდასამართლის ფილოსოფიის ლიტერატურაში პეტრაჟიციის თეორიის სავსებით ახალი ინტერპრეტაციის ნიშნუში. ამით მან გასაგები გახალა ბევრი რამ, რაც პეტრაჟიციის ბნელად და გაუგებრად მიაჩნდა. პეტრაჟიციის თეორიის ასეთი მონათესაობით ფენომენოლოგიურ იდეალიზმთან საინტერესო სიტყვაა თქმული თვით ფენომენოლოგების იდეალისტური მსოფლმხედველობის განვითარებისა და გავლენის თვალსაზრისით.

ავტორი აჩვენებს, რომ მეოცე საუკუნის პირველ ათეულ წლებამდე ბურჟუაზიულ ფილოსოფიაში ჩვეულებრივად ხსენებული მეთოდოლოგიური საზომი ინტელექტუალური აპრიორიზმი (კანტიანელობა და მისი ნიადაგი) და სუბიექტივიზმი (ემპირიზმის ყველა განშტოება), აქ საზოგადოდ არ გამოდგება, რომ პეტრაჟიციი სავსებით დამოუკიდებლად პუსერლის სკოლიდან ამოდის ამ სკოლისათვის დამახასიათებელ მეთოდოლოგიურ პრეზუმციებამდე, რომ ის ფენომენოლოგიური იდეალიზმის ინტუიციონიზმის ნიადაგზე წამოჭრილი ღირებულების თეორია, /მ. შელერი და სხვ./ პეტრაჟიციისათვის შელერის ცოდნის გარეშე ნათელი გამხდარა და ამ თვალსაზრისის ავტორი უწოდებს „ემოციონალურ აპრიორიზმს“. მაშ, აქ ემოციონალური აპრიორიზმის გამიჯვნა მომხდარა სუბიექტივისტური ემოციონალიზმიდან და ნანეიშვილი ნათლად აჩვენებს, რომ პეტრაჟიციი არ არის სუბიექტივისტი ემპირიზმის თვალსაზრისით. ჩემთვის ძალიან საინტერესოა, რომ ამ ადგილზე პროფ. ნანეიშვილი პეტრაჟიციის თეორიას უეცრად სოლიფსიზმს უწოდებს. შეიძლება ვინმემ, ვინც ფენომენოლოგიურ იდეალიზმს ზერელედ იცნობს, აქ გაეკვირვება გამოთქვას და სოლიფსიზმი და აპრიორიზმი /თუ გინდ ემოციონალური/ ვერ მოარიგოს, მაგრამ პროფ. ნანეიშვილის ანალიზი სწორედ აქ აღწევს სრულს სიმწიფესა და სიღრმეს. პუსერლს თავის უკანასკნელ წიგნში „ფორმალური და ტრანსცენდენტალური ლოგიკა“ სწორედ მთელი ყურადღება იმისკენ აქვს მიპყრობილი, რომ აპრიორული ინტუიციონიზმი ფენომენოლოგიური იდეალიზმისა—სოლიფსიზმად რომ გამოაცხადოს, ეს (პუსერლი) უკიდურესი და ურეაქციონერესი იდეალისტი იდეალისტთა შორის ფიქრობს, ფილოსოფიამ ბევრი

იწვალა და ძხოლოდ მისი, ჰუსერლის სახით, შიდალწია იმ 'შეძევებამდე, რომ ფილოსოფიის სინდისი სოლიფსიზმია. ამიტომ ვფიქრობ მე, რომ სამართლის თეორიის უკიდურესი იდეალისტური დასაბუთება პეტრაჟიციის მიერ პროფ. ნანეიშვილმა სავესებით სწორად სოლიფსიზმის მეთოდოლოგიად გაიგო და დაახასიათა. რასაკვირველია, ის, რაც ჰუსერლის სკოლისათვის რეფლექსიის შედეგი იყო, პეტრაჟიციისათვის, შემთხვევა და ბედნიერი ინტუიციია, წინააღმდეგ შემთხვევაში გაუგებარი იქნებოდა, თუ რატომ პეტრაჟიცი ვერ მიხვდა, რომ მისი იდეალისტური თეორია აპრიორულ კონსტრუქციას შეიცავდა სახელმწიფოსთვის ნეგატიური წევრი-სუბიექტის ლოგიკური გაბათილებისთვის პროფ. ნანეიშვილის დალაგებით (იხ. IV) პეტრაჟიციის თეორიის თანახმად, სუბიექტი, რომელიც წინააღმდეგია არსებულ სახელმწიფოსი და მას (ე. ი. სახელმწიფოს და მის ინსტიტუტებს) არ განიცდის როგორც ემოციონალურ აპრიორობას, ზედმეტი ბარგია სახელმწიფოსათვის, ასეთს სუბიექტს პეტრაჟიციის სახელმწიფოში ადგილი არ აქვს და არც მის აპრიორულ ემოციებში. ჰუსერლისათვის კი უცნობია ასეთი უარისთქმა რეალური ფაქტორის მიმართ, ჰუსერლი ასეთი უხერხულობის მოსაგვარებლად შეცდომის ცნობიერების ფენომენოლოგიას ეწევა, ე. ი. მის აპრიორულ ცნებებში ნეგატიური და პოზიტიური თანასწორი ლოგიკური უფლებით არის წარმოდგენილი. ჰუსერლის სკოლის ნიადაგზე გაჩენილ ღირებულებათა ეთიკაში ეს მომენტი დიდ როლს თამაშობს. იგი ბოროტების ფაქტის ლოგიკური დასაბუთების ოპერატორია, იგი საშუალებაა, რათა ლოგიკურ სფეროში, ყოველ შემთხვევაში, იდეალიზმმა თვალი არ დახუჭოს ფაქტის წინააღმდეგ.

ძალიან აზრმახვილია რეისნერის სამართლის თეორიული ვარჯიშობის კრიტიკა, მაგრამ არ შემძლია დავეთანხმო პროფ. ნანეიშვილს, რუსოსა და პეტრაჟიციის თეორიების ზედმეტ გაიგივებაში. აქ ნათესაობა იდეალისტურ საფენელში უნდა ვეძიოთ და არა კონსტრუქციის ლოგიკურ დასაბუთებაში, რუსოს განყენებული სუბიექტები, რომელთა ხელშეკრულება სახელმწიფოა, ფორმალური ლოგიკური აბსტრაქციის შედეგია, იგი რუსომ პირდაპირ გადმოწერა ინგლისელებიდან, შეჰმატა მას მხოლოდ ფრანგული ლიტერატურული გრაცია, ამიტომ მეთოდოლოგიურად რუსო შექანციზმის და ნომინალისტური ლოგიკური ფორმალიზმის ნიადაგზე დგას. ხოლო თუ პეტრაჟიციის სამართლის ფილოსოფია ჰუსერლის სკოლის იდეალისტურ კონსტრუქციებს ენათესავება, მაშინ საქმე გაცილებით უფრო რთულ და ლოგიკურად უფრო ღრმა, თუმცა სავესებით იდეალისტურ, ნაშენთან გვაქვს. რუსოსათვის სახელმწიფოს და ხელშეკრულების საფუძველი სუბიექტში კი არ არის, არამედ სუბიექტის გარეთ არის. გატანილი და წარმოადგენს ფიქციონალურ ურთიერ-

თობას სუბიექტებს შორის /ამიტომბა მისი მეთოდოლოგია მექანიკურ-
რი/, ხოლო ემოციონალური აპრიორიზმის, გინდა ინტუიტური აპრიო-
რიზმის თვალსაზრისით, ნორმა არის სუბიექტს შიგნით და ეს „შიგნით“
ღირებულება ურთიერთობად იქცევა იმიტომ, რომ იგივეობის მეტაფი-
ზიკა ერთი სუბიექტის „შიგნითა“ ღირებულებას საყოველთაო სუბიექ-
ტურ ღირებულებად აქცევს, ე. ი. ის, რაც არის ერთ სუბიექტში, აპრიო-
რული პირობაა არსებობის, თუკი სუბიექტმა ამ გარემოებაში მონაწი-
ლეობა უნდა ზიილოს. ამიტომ ამ ფილოსოფიას სრულიად არ სჭირდება
ის, რაც გარეთ არის მოთავსებული, რაც ურთიერთობაა აბსტრაქტულ
ერთეულებს შორის.

მ. გ. ო. გ. ი. ბ. ე. რ. ი. ძ. ე.
1936 წ. 21/IV.

ი. ბოჭორიშვილი

რ ა მ ა ნ ა ზ ი ა

პროფ. გ. ნანეიშვილის შრომა — „ბურჟუაზიული სახელმწიფოსა და
სამართლის ეთიკური დაძაბუთება ბურჟუაზიული სამართლის ფილოსო-
ფიაში“ — ღირსშესანიშნავია მრავალი მხრით.

ავტორი იხილავს ბურჟუაზიული სამართლისა და სახელმწიფოს შე-
სახებ არსებულ ტიპურ იდეალისტურ შეხედულებებს. პროფ. ნანეიშვი-
ლი თვით იღგა რა ამ იდეალისტურ პოზიციებზე, წარმოდგენილი შრომა
ყურადღებას იპყრობს იმ მხრით, რომ ავტორი სრულიად ახალ, ე. ი. მარ-
ქსისტულ-ლენინური პოზიციებიდან აკრიტიკებს ბურჟუაზიული სამართ-
ლის კონცეფციას. იდეალისტურ შეხედულებათა სიყალბე იმდენად ნათ-
ლად აქვს ავტორს წარმოდგენილი, რომ ის მოცემული კრიტიკის დროს,
რაც შეიძლება ითქვას; არ განიცდის რაიმე ტკივილებს. ამ უკანასკნელთ
კი ძალიან ხშირად ვამჩნევთ იმათ ნაწერებში, რომელთაც მოახერხეს
იდეოლოგიური განიარაღება, მაგრამ გული კიდევ შესტკივთ იმაზე, რა-
ზედაც ხელი აიღეს. გულწრფელობასთან ერთად მარქსისტული დიალექ-
ტიკის ნამდვილი დაუფლებაა საჭირო იმისათვის, რომ ეს ტკივილები არ
იგრძნო. დიალექტიკური მატერიალიზმის უპირატესობაში დარწმუნებაც
სხვაგვარად არ იქნება სრული.

პროფ. ნანეიშვილის შრომაში მრავალი მეტად საინტერესო და აქტუ-
ალური საკითხია დაყენებული — განსაკუთრებით როდესაც ავტორი
სხვადასხვა სკოლის /ნორმატივისტებისა და ფსიქოლოგისტების/ მეთა-
ურთა შეხედულებებში ეძებს ერთ საერთო ძირს, რომლითაც შიშვლდე-

ბა ნილაბქვეშ ამოფარებული მათი საერთო პოლიტიკურ-იდეოლოგიური სახე. ასევე მნიშვნელოვანია იდეალისტ ავტორთა, მართლად „ზღაპრების“ კრიტიკა, როდესაც ისინი ცდილობენ, სამართალი წარმოგვიდგინონ იძულებითი მომენტის გარეშე. საინტერესოდ აქვს ჩვენს ავტორს დახასიათებული ის პროცესი, რომლითაც ბურჟუაზიის იდეოლოგიები ახდენენ ემპირიული სუბიექტის აბსტრაქციას და აქედან საერთო სამართლებრივი ნორმების დადგენას. ამ საკითხთან დაკავშირებით არის განხილული საკითხი სამართლის წყაროს შესახებ. ავტორის მიერ აქეთივე ცენტრის გადატანა საკითხის სწორად გაგების მაჩვენებელია. თემას საკმაოდ აქტუალური ხასიათი აქვს მიცემული ავტორის მიერ იმითაც, რომ ის საკითხებს იხილავს თანამედროვე ფაშისტურ სახელმწიფოთა და სამართლის პრაქტიკასთან დაკავშირებით. ხაზგასმულია ავტორის მარტივი და გასაგები ენა. ის, ამ მხრით, სრულიად განსხვავდება ავტორისავე პირველი შრომებისაგან.

კიდევ შეიძლება შრომის მრავალ დადებით მხარეზე მიგვეთითებინა.

ავტორმა საპიროა მიაქციოს ყურადღება შემდეგ გარემოებას:

1. ბურჟუაზიული თეორიების კრიტიკის დროს საპიროა მეტი კონკრეტული მასალა იმავე ავტორების შრომებიდან. განსაკუთრებით ეს ითქმის პეტრაეიცის შესახებ;

2. პეტრაეიცის შეხედულებათა განხილვის დროს, გაკერით მანც, აუცილებელია იმ ეკლექტიკოსების დახასიათება, რომლებიც ცდილობდნენ პეტრაეიცის პოზიციების შეგუებას მარქსიზმთან;

3. ვინაიდან შრომაში სახელმწიფოსა და სამართლის საკითხებთან დაკავშირებით არის განხილული სუბიექტის პრობლემა და კრიტიკაც ამ უკანასკნელის ჰეგელიანური გაგების წინააღმდეგაა მიმართული, ამიტომ აუცილებელია ფართოდ იქნეს გამოყენებული სპეციალურად მარქსი-ენგელსის თხზულებებიდან პირველი ტომი, სადაც ვრცლად არის მოცემული ჰეგელის სამართლისა და სახელმწიფოს თეორიის გამანადგურებელი კრიტიკა;

4. ავტორს ვერ დავეთანხმებით, როდესაც ის ნეოკანტიანელების შეხედულებას აიგივებს ჰეგელის შეხედულებასთან. არა თუ ორი სხვადასხვა კანონზომიერების აღიარება, არამედ ჰეგელმა საბოლოო ანგარიშში ამ კანონზომიერებათა მთლიანობაც კი ვერ შეინარჩუნა და გააიგივა ისინი /სუბიექტი და ობიექტი/. ამავე დროს ჰეგელის დახასიათებინათვის მთავარი თვითმოდრაობაზე მითითება კი არ არის, არამედ ის, თუ როგორ წარმოებს ეს მოძრაობა. ლოცენკო უსათუოდ ცდება, როდესაც მან, თავის დროზე, სურგულაძე და ნანეიშვილი დაახასიათა როგორც ჰეგელიანელები;

РЕЦЕНЗИЯ

НА ДИССЕРТАЦИЮ «ДЕЙСТВИТЕЛЬНОСТЬ ПРАВА И ОПЫТ ОБОСНОВАНИЯ НОРМАТИВНЫХ ФАКТОВ», ПРЕДСТАВЛЕННУЮ Г. А. НАИЕЙШВИЛИ НА СОИСКАНИЕ УЧЕНОЙ СТЕПЕНИ ДОКТОРА ПРАВА

Представлена проф. Л. Н. Андроникашвили

Основная мысль диссертации Г. А. Наиейшвили далеко не исчерпывается теми тезисами, в которых заключены основные выводы по теме. Необходимо хотя бы кратко изложить содержание для более полной оценки достоинств представленного исследования.

I

1. Диссертация представляет единое целое: в первой части исследуется вопрос, при каком соотношении факта и должного могли бы получить надлежащее объяснение нормативные факты; вторая часть посвящена вопросу о том, существуют ли такие факты, каков их состав, каково их отношение к позитивному праву, находятся ли они внутри позитивного права или вне его пределов, каковы свойства фактов и, что самое главное, откуда берут они свою обязательную или связующую силу.

2. Первый вопрос решен автором в том смысле, что факт и право (должное) противостоят друг другу не как действительное чему-то недействительному, а лишь в том смысле, что факт, как действительность, есть нечто сбывшееся, историческое а действительность права, как должного, оценивается аналогично истине математических положений, о которых мы говорим *sie gelten* (они значат). момент же единства противоположностей, сбывающегося и того, что имеет значимость, по-видимому, автор видит в том, что право, как должное, имеет «претензию» на осуществление. (Выражение, нужно сказать, не вполне ясное, так как претензия — то же, что притязание, т. е. менее чем возможность, и не подчеркивает того, что оно. *Anlage* — предрасположение, а меньше его в сфере мыслимого. действительного представить невозможно).

Но право и реализуется. Тогда оно становится сбывшимся, историческим. Становление происходит в виде норм, в виде

фактического осуществления должного нормы. С момента становления до полной реализации право позитивно. Как норма, право представляет действительность смысла, как осуществление — оно есть воплощение претензии осуществления.

Помимо осуществления претензии, помимо становления смысла, помимо действительности в виде вечных *Geltungen*, автор отмечает еще наличие идей, которые он уже не подводит под категорию действительности.

Вывод этой части исследования весьма значим: бывшее существует, но оно могло и не быть, оно лишь один из видов (*species*) возможности. Точно так же и право, которое стало историческим, могло и не быть таковым. На месте каждого бывшего могло быть (не только отвлеченно, но и конкретно, объективно) мыслимо нечто иное, отличное от бывшего.

Но право противопоставляется бывшему как действительность правового смысла (стр. 33, тез. 2), и оно «причинно не связано с возможностью, благодаря которой оно осуществляется». В единстве противоположностей (в понятии действительности факта и должного) и в противопоставлении бывшего (всегда причинного ряда) и смысла (всегда логического закона) автор видит существование нормативного факта вне сферы положительного права.

3. Для доказательства своих положений автору предстоит трудная борьба с представителями различных теорий иных воззрений.

Первый его антипод — это Кельзен. Невозможность абсолютного противопоставления факта и должного, противопоставления, делающего немыслимым базу нормативных фактов, обязывает автора вступить в полемику с учением Кельзена, признающего между должным и сущим, по словам автора, не только контраст, но и «индифферентность». Poleмика автора интересна, и в ней он побеждает. По мнению автора, у Кельзена должно растворено в норме, с нормой отождествлено все право, а с правом и само государство и т. д. (стр. 40). Поэтому Кельзен не может объяснить многообразия правовых положений. Их понятия нормы трудно дедуцировать многообразие норм и невозможно вовсе объяснить их ступенчатость. Если же при объяснении творческого акта призвать на помощь государство, терпя лишается базы.

Не менее интересна и успешна полемика автора с Файхингером (*Vaihinger*). Защитник нормативных фактов должен был столкнуться с теорией, превращающей все правовое в систему фикций. Творцом этой теории является Файхингер. Но «право отнюдь не продукт фантазии или каприза», «оно — сила обстоятельств, стоящих выше нас», утверждает автор, противопоставляя эти положения тезисам Файхингера о видимости

или плюэзорности правовых феноменов (стр. 60). Далее автор продолжает: «По-нашему мнению, в любви дана схема нашего отношения к тому, что мы любим, а в переживании нужды при экономически страдных условиях отражается содержание нашего возможного отношения к объекту, к которому толкает нужда. Представление о возможном отношении без сомнения есть продолжение нашего фактического предстояния» (стр. 60). Нет необходимости комментировать эти строки, глубина и достоверность их очевидны.

Существование нормативных фактов, — продолжает автор, — впервые признал Еллинек, но объяснил их нормативность не их свойствами, а принципами, стоящими вне их. Георг Еллинек, правильно поставивший вопрос о нормативных фактах, не сумел правильно его решить (стр. 73). Глубокая критика понятия источника права, данная Петражицким, его понимание необходимости нормативных фактов для науки не избавили названного философа права от ошибок, обусловленных общей психологической позицией. Беда в том, что проф. Петражицкий такой же плюэзорист, как и Файхингер. Считая право лишь проекцией, Петражицкий лишен возможности признать ту истину, что нормативность есть свойство самих фактов. Психологизм, в частности его эмоционализм, — причина того, почему проф. Петражицкий смешивает понятие источника права с понятием нормативных фактов. А это различные вещи. Вывод: психологизм не может обосновать проблему нормативных фактов.

В части исследования, посвященной проф. Петражицкому, заслуживает внимания оригинальная и верная по существу мысль автора о том, что трактовку феноменов сознания права проф. Петражицкий даст через феноменологический анализ школы философа Гуссерля и *Gefühlslarior*-истов Шелера и др.

На стр. 81 приводится цитата из труда Петражицкого, в которой говорится: «Существуют некоторые, более ни к чему не сводимые и, следовательно, первичные эмоциональные акты, которые являются основанием того, что по воззрению людей именуется правом; такими первичными и далее несводимыми эмоциональными актами представляются атрибутивно-императивные переживания». «Ложь постыдная». «надо говорить правду» и т. п. — эти суждения, согласно проф. Петражицкому, имеют значимость не потому, что представляются нам выгодными, и не потому, что адресатом или destinatorem является человек, а потому, что в них выражена ценность сама по себе».

Эти и другие высказанные в трудах проф. Петражицкого положения дают автору диссертации основание утверждать, что теория Петражицкого родственна теориям целого ряда блестящих представителей феноменологии. Переживания, о которых говорит Петражицкий, не переживания по поводу права, в чем

его неправильно обвиняет И. А. Ильин, а переживания самого права.

Отрицательная оценка дана диссертантом учению проф. Крабе. Г. А. Нанейшвили не оспаривает тезиса, что нет источников, а есть только один источник — а именно — действительное чувство права или правосознание, но он категорически возражает против отождествления источника и нормы, а также против вывода нормативности из правосознания, а не из свойств самого факта, который сознанием лишь познается (стр. 91).

4. Расчленив таким образом почву, автор приступает к самой конструкции нормативных фактов.

Выводы могут быть сделаны следующие.

Существуют ли нормативные факты? Да, существуют, их бытие показано А. Рейнахом (стр. 93). Но как они возможны — вот тема диссертации. Признание положительным правом недействительности договора, обещания, учредительного акта отнюдь не в силах изменить «закономерность и питательную связь, которая у нас имеется с этими актами» (стр. 93). Позитивное право, прелятствующее их исполнению, не может уничтожить переживания нашей связанности. Эта связанность дана нам а priori. Нормативность есть объективное свойство самих фактов (стр. 99). Она существовала до позитивного права и от него не зависит, как и сами факты. Факты эти не случайны (стр. 100), поэтому они не только возможные, возможные виды (species), категории возможности. Они только таковы, какова суть, они были и будут таковыми (стр. 101). Нормативные факты поэтому не обязаны креации (стр. 101). Они и не дедуцированы. Нормативность их вытекает не из нравственных норм, не из общих принципов (стр. 102). Обязательность конкретного договора выводится не из общего принципа *Res a servanda sunt*, а из свойства самих фактов и их смысла.

С другой стороны, и позитивное право не опирается на нормативные факты (стр. 110). Об отношении нормативных фактов и позитивного права сбывшегося, такого, какое оно есть, но могущего быть иным, автор говорит следующее: «Нам кажется, что здесь может быть дан только один ответ: существует сфера фактов, создающих право при помощи источников права, и существуют нормативные факты, наличествующие независимо от источников и создающие такой строй мысли, что логическая зависимость от него (строая мысли) определяет нас в том же смысле, в каком определяет нас логическая зависимость от норм позитивного права» (стр. 112).

5. В заключение считаю нужным отметить следующие места в диссертации.

Стр. 12—строки, посвященные «логическому признанию нормы», базирующемуся на том, что в психологическом акте признания или непризнания нормы она стоит перед нашим сознанием как необходимость. Она всегда остается логически призн-

пленной нормой, независимо от того признаем ли мы ее психически или отрицаем.

Далее, строки, относящиеся к дедукции понятия субъекта. В должном не дано отношение к эмоциональному, психо-физиологическому. Норма всегда является целью осуществления, возможность последнего предполагает средство. В самой цели всегда мыслится и возможность осуществления. Поэтому в норме предполагается средство. Для осуществления нормы должен быть дан носитель ценностных актов. Таким носителем является субъект. В норме дан субъект. Но на стр. 27 «другой субъект» оказывается «шансом осуществления права». А на стр. 64 субъект признан «меднумом» по отношению к норме.

Заслуживают внимания также рассуждения о шансах осуществления права (стр. 27 и след.).

При оценке представленной диссертации следует отметить: важность и актуальность темы, обширность исследуемого материала, научность метода и важность выводов, самостоятельность разработки.

Актуальность и важность темы ясны. Международные договоры, акты революционного творчества ждут своей дальнейшей разработки и углубления. Было и будет интересным объяснение связующей силы договоров, заключаемых между государствами, когда над ними нет ни писаной, ни обычной нормы. Еще сложнее объяснить обязывающую силу революционных юридических актов и юридических актов обществ, не признанных внутри государства.

Не случайно поэтому в учебниках теории права в последнее время отводится место и учению о нормативных фактах.

Есть ли факты, обязательные сами по себе, без наличия закона или обычая или иных титулов, и если они существуют, то в чем их обязательная сила? Такова тема диссертации — и нельзя отказать ей ни в значительности, ни в научном характере.

Вопрос о нормативных фактах автором прослежен с момента зарождения (Георг Еллинек) до настоящего времени. Изучена и привлечена литература догматиков школы Еллинека, Лабанда, неокантианцев Кельзена и Файхингера, психологистов многих направлений, материалистов и, наконец, труды феноменологистов, посвященные изучению этих фактов. Использованная литература в основном относится к эпохе после 90-ых годов, но она обширна по объему и богата по содержанию.

Для разрешения поставленных вопросов требовалось не только знание автором фактов права, но и глубокая философская подготовка. При решении вопросов, возникающих по теме, автор пользуется феноменологическим методом, что говорит о значительном научном достоинстве диссертации.

Выводы в некоторой части совпадают с мнением Рейнаха, в некоторой они даже противопоставляются.

Оценивая выводы диссертации с точки зрения новизны и научности, нужно сказать следующее:

Поскольку автор ссылается на труд Рейнаха, как на сочинение, выявившее наличие в праве нормативных фактов, труд Г. А. Нанейшвили нельзя рассматривать вне зависимости от труда Рейнаха. Но поскольку тема диссертации Г. А. Нанейшвили — действительность права — вопрос, которого Рейнах не касается, поэтому выводы Нанейшвили должны быть признаны его личными и новыми, основанными, как было отмечено, на признанном в философии феноменологическом методе.

Ценность научного исследования Нанейшвили в том, что его диссертация — это опыт построения нормативных фактов.

Что касается оригинальности его труда, то поскольку сам автор ссылается на труд Рейнаха как на доказательство бытия нормативных фактов, нельзя конечно, говорить о полной независимости его исследования от труда Рейнаха.

Но влияние Рейнаха незначительно, поскольку содержание рассматриваемых вопросов различно. Если труд Рейнаха посвящен главным образом эвристическим изысканиям и описаниям «социальных актов»; анализу обещания, притязания, обязанности, приказа, просьбы, делегации, собственности, владения, пользования, распоряжения, отказа, приобретения, отчуждения, поручения представительства и других относительных и абсолютных отношений, характеристике априорного и позитивного права, то труд Г. А. Нанейшвили посвящен выяснению условий построения нормативных фактов, свойство которых — порождать нормативность, а также исследованию отношения бытия и должного, сущего и возможного, должного и возможности, субъекта, шансов реализации права, источников нормативных фактов, их психологической трактовки, априорности нормативных фактов.

Несмотря на высказывание автора, что непосредственно Рейнах указал ему на наличие нормативных фактов, сама книга Г. А. Нанейшвили доказывает, что с их существованием впервые познакомил автора не кто иной, как Петражицкий (стоит вспомнить вышеприведенную страницу 81).

Это — ключ к пониманию генезиса труда Г. А. Нанейшвили: вначале он был adeptом психологизма, который сумел преодолеть, изучая труды Петражицкого, опираясь на гениальную интуицию, которая должна была самого Петражицкого вывести за пределы психологизма. Преодоление психологизма привело Нанейшвили к теории феноменологии права, тождество с положениями которой он не раз отмечал в своем исследовании.

Книга Нанейшвили — продукт личного научного переживания, поэтому аргументации его, направленные против своего учителя, столь глубоки и убедительны. Нужно сказать, что аргументации Г. А. Нанейшвили намного интереснее наивных рассуждений Рейнаха, вроде того, например, что представления

относительно не столь долговременны, как сами юридические отношения между лицами, и что поэтому психологизм права если не прямо, то косвенно может привести к выводу об эмпирической реальности юридических отношений, но не к отрицанию психологизма в праве. Факт замкнутости треугольников и протяженности их в эмпирической действительности не доказываются и не опровергаются психологизмом в математике.

Личный момент придает исследованию особенность и организованность, и если часть его выводов и совпадает с положениями Рейнаха, то это скорее потому, что оба автора принадлежат к одной и той же школе.

Насколько правильны и приемлемы выводы?

В первой части о действительности права нам не ясны окончательные выводы автора. По нашему мнению, они объясняются неправильностью исходных позиций. Такое выражение, как «факт и право суть два вида действительности» (стр. 114), дает основание думать, что автор использует понятие действительности как родовое понятие, по отношению к которому факт и право, факт и должное — суть лишь виды. С нашей точки зрения это неправильно: действительность есть категория, и притом модальности. Право же может пройти стадии еще не сбывшегося, сбывшегося и быть необходимым.

Если действительность берется как показание значимости, *Geltung*, то тогда ясно, почему идея должна быть признана недействительной. Идея также *gilt*, значит, также действительна (*wirkt*), создает, как и правовое суждение.

Эта ошибка автора порождает и другое неправильное утверждение: что идея имеет отношение к позитивному праву, но не к нормативным фактам.

Для автора этой рецензии неприемлемо утверждение о случайности сбывшегося, о том, что оно могло и не быть и на месте его могло сбыться другое. Здесь принимается субъективная трактовка возможности вместо объективной, сформулированной Кантом: «возможно то, что согласно с формальными условиями опыта». Несбывшееся, очевидно, не соответствовало формальным условиям опыта, а потому и не могло быть.

В отдельных местах книги при цитации Hartmann-а автор рассуждает именно так (стр. 20), но, в общем, Г. А. Напейшвилл остается верным принципу, что сбывшееся могло и не сбыться.

Не касаясь вопроса о «логическом признании» и о субъекте права, я останавливаюсь на следующих моментах в учении о нормативных фактах.

Основное разногласие с автором — это непризнание нами тезиса о том, что нормативные факты не заимствуют своей обязательной силы ни из положений нравственности, ни из общих принципов, а сила инволюируется самими фактами и заключена в них.

Но автор не доказал и не смог бы доказать своего тезиса.

Ссылка на свидетельство сознания, на то, что в случае признания договора недействительным «не уничтожается закономерность и интимная связь с актом», не может считаться решающей. Если бы такое чувство и было, в нем было бы больше эмпиризма от привычки и в меньшей мере — от раскрытия истины.

Нельзя считать ни закономерным, ни обязательным договор *cum fraude legis*, преступный сговор соучастников, договоры фиктивные, и шутки ради. Стороне должно быть предоставлено право расторжения сделок по ошибке, принуждению, вследствие обмана. Эти акты всегда незаконны, и никто не может иметь с ними интимную связь, ни стороны, ни, тем более, судья — в случаях договоров с неправо- и недееспособными, а также с целью преступной эксплуатации.

Факты, резервация, шутка, ошибка, обман, принуждение и т. п. обнаруживают, что воля не была свободна, истинна и правдива. Если нормативный факт априорен и, как априорный, логичен — а вследствие логичности обязательен, то спрашивается: в чем логичность признания акта с несвободной, неистинной, неправдивой, недействительной волей, выразившейся в договоре.

Логично как раз обратное — непризнание таких актов логичными и обязывающими.

Априорное учение о праве, если бы такое могло существовать, должно было бы включить в себя логическое основание действительности и недействительности эмпирически заключенных договоров.

Ведь и сам Рейнах говорил об «*schle*» и «*unschle*» актов обещания, приказа и бесчисленного ряда других актов. Он только не заметил, что, введя эти понятия, берет их нормативную силу из общих основ этики и логики и оттуда сообщает силу самим конкретным фактам.

Иначе и быть не может. Действительность и недействительность — категории модальности. Познание оценивает при их посредстве и использует их тогда, когда есть соответствующие условия. Договор действителен, если воля, его создавшая, обладает атрибутами истины, правдивости и свободы.

Здесь уместна цитата из сочинений Спинозы, констатирующая бытие субъекта: „*per attributum inteligo id, quod intellectus de substantia percipit tanquam quisdem essentiam constituens*“.

С другой стороны, логика служит истине, морали, правде. Свобода же есть единственное условие, когда логика достигает истины, моральные действия реализуют правду. Неудивительно, что там, где у воли нет атрибутов свободы, истинности и правдивости, там и воплощение ее в договор не может быть

признано ни логичным, ни нравственным, ни, следовательно, и правовым.

Тезису автора — нормативные факты не заимствуют силы ни из нравственности, ни из общих принципов, я противопоставляю антитезис: именно — только общие принципы и начала нравственности могли бы обосновать обязательную силу нормативных фактов.

В представленной диссертации есть места, которые сами по себе должны быть отмечены как содержательные, богатые и развитые с научной глубиной и критическим талантом, например, части учения, посвященные теориям Кельзена и других. Рассуждение, отнесенное к Петражицкому, не может не быть признано оригинальным и имеет непреходящее значение.

По поводу другой части наших возражений автор может сказать, если он кратко коснулся юридических фактов, то это потому, что объем, диктуемый темой в данном труде, ему не позволил сделать иначе, но тема о юридических фактах стоит у него на очереди.

Принимая все это во внимание, я должен признать, что представленный Г. А. Нанейшвили труд является весьма ценным вкладом в науку и потому автору должно быть предоставлено право защиты для получения докторской степени.

Профессор кафедры уголовного
права и процесса (соц.-эконо-
мический факультет)
Л. Н. Андроникашвили

კათილი საჯიო მარჯაველი

საქალაქობის ბატონობის დროსაც კი, როცა მთელ საზოგადოებაში უზომო შიში ისადგურებს, მაინც არსებობენ ადამიანები. რომლებიც არ უწყევენ ანგარიშს კონიუნქტურას, არ ღალატობენ სინდისით ნაკარნახევ გზას, თუმცა კარგად მოეხსენებათ — ეს გზა ხიფათიანია და შეიძლება ტრაგიკულად დასრულდეს. ალბათ, ასეთი ადამიანები რომ არა, კაცობრიობა დიდი ხანია ზნეობრივად გადაგვარდებოდა.

ამ გზით იარა გიორგი (ზოზო) ნანეიშვილმა — ქართული ჰუმანიტარული კულტურის ბრწყინვალე წარმომადგენელმა, შესანიშნავმა მეცნიერმა, ჰუმანიტარული ინტელიგენტმა, რომლის სახელიც, სამწუხაროდ, ერთ ხანს აღარც კი იხსენიებოდა.

ის დაიბადა ქუთაისში 1894 წელს, საზოგადო მოღვაწის, პუბლიცისტის ალექსანდრე ნანეიშვილის ოჯახში. 1912 წელს გაემგზავრა პეტერ-

ბურგში. აქ, უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე სწავლისას უსმენდა იმეამინდელი რუსეთის ყველაზე გამოჩენილ ლექტორებს. უნივერსიტეტის დამთავრებას შემდეგ ერთხანს იქვე განაგრძობდა საპეცნიერო მოღვაწეობას.

თბილისის უნივერსიტეტის დაარსებისთანავე გიორგი ნანეიშვილი სამშობლოსაკენ გამოეშურა. მშობლიური უნივერსიტეტის კედლებში მოღვაწეობასა ბატონმა ზოზომ მიიპყრო ყურადღება თავისი დართო ერუდიციით. იშვიათი ნიჭიერებით, საქმისადმი ერთგულებით, სწორედ ამიტომ უნივერსიტეტის პროფესორთა შაბკომ ქართველი მეცნიერი საზღვარგარეთ მიაგონა. გერმანიასა და საფრანგეთში იგი უსმენდა სამართლისმცოდნეობისა და ფილოსოფიის სახელმწიფოებრივ წარმომადგენლებს — საკმარისია დავასახელოთ ედმუნდ ჰუსერლისა და რუდოლფ შტამლერის სახელები.

ძნელ პირობებში უხდებოდა ცხოვრება ახალგაზრდა მეცნიერს უზომო გაკვირვების მიუხედავად, იგი წერდა ივანე ჯავახიშვილს. „...უცვით, ბ-ნო ივანე, ღრმად დარწმუნებული იმაში, რომ ისე კარგად მაქვს შეგნებულ იქნა მოვალეობა და იმდენად ძლიერია ჩემში სურვილი თქვენს ნდობის გამართლებისა, რომ ვფიქრობ, ვერაფერი შეასუსტებს ჩემს ენერგიას“. მოვიყვანთ კიდევ ერთ ადგილს ივანე ჯავახიშვილისაჟამი მიწერილი სხვა წერილიდან: „ჩემი ერთადერთი სურვილი იყო საქართველოს უნივერსიტეტში მიუშაობა. ეს იყო სწორედ ის, რაც ჩემს ცხოვრებას მიზანს და შინაარსს ანიჭებდა“ (მკითხველს შეუძლია ამ წერილებს გაეცნოს პროფ. ს. ჯორბენაძის წიგნში „ცხოვრება და ღვაწლი ივანე ჯავახიშვილისა“, თბ., 1984 წ. გვ. 326).

1926 წელს გიორგი ნანეიშვილი თბილისის უნივერსიტეტს უბრუნდება და იწყებს სისხლსავე მეცნიერულ და პედაგოგიურ მოღვაწეობას. 1929 წელს ქართულ ენაზე გამოქვეყნდა მისი ფუნდამენტური შრომა „სამართლის ნამდვილობა და ცდა ნორმატიული ფაქტების დასაბუთებისა“, რომლის რუსული თარგმანიც ახლახან გამოსცა უნივერსიტეტის გამომცემლობამ.

ბუნებრივია, თბილისის უნივერსიტეტში მოღვაწე სწავლული იტრისტების ამოცანა იყო არა მარტო სწავლება იურიდიული მეცნიერების დარგებისა, არამედ სამართალმცოდნეობის, პრობლემათა კვლევა და დარბაზებიც. ბატონ გიორგის — ფილოსოფიურად ღრმად განსწავლულ ადამიანს — კარგად ესმოდა, რომ ნებისმიერი მეცნიერების დაფუძნება, პირველათავე შედეგების გააზრება-განმტკიცება უშუალოდ დააკვირებული ფილოსოფიისთან, არა მარტო შეუძლებელია ფილოსოფიის ვარკვეში, არამედ თავისი არსებით ფილოსოფიურია. სწორედ ამიტომ მან სამეცნიერო სარბიელად სამართლის ფილოსოფია აირჩია და თავისი შრო-

მაც ფილოსოფიის ამ ურთულესი დარგის საკვირბოროტო პრობლემების კვლევას უძღვნა.

ბატონი გიორგის საოცრად ღრმა და საინტერესო გამოკვლევებს გაცნობისას, პირველ ყოვლისა, ყურადღებას აპყრობს ასეთი ფაქტი: ამ შრომაში თავისებურად გამოვლინდა ის ტენდენცია, რომელიც წამყვანი და გაბატონებული იყო ქართული ფილოსოფიური აზრის განვითარების უკლებლივ ყველა საფეხურზე.

ქართული ფილოსოფიური აზროვნების მდიდარი ისტორია მრავალ ერთმანეთისაგან განსხვავებულ ნაკადს შეიცავს. მაკრამ. ველიქოვსკი ამ რთულსა და მრავალმხრივ პროცესში ადვილად ამოიკნობდა ერთი ძირეული, გაბატონებული ხაზი: ესაა — ბრძოლა რელატივიზმთან. სკეპტიციზმთან, პოზიტივისტურ-ემპირისტულ მსოფლმხედველობასთან ფილოსოფიის ყველა სფეროში — ონტოლოგია იქნება ეს თუ გნოსეოლოგია, ეთიკა თუ ესთეტიკა, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, — ესაა ბრძოლა აბსოლუტურისა და რელატივისტურის. ქართულმა ფილოსოფიურმა აზროვნებამ ხათლად გააცნობიერა ის ფაქტი, რომ უარის თქმა აბსოლუტურზე, როგორც გადსაკაცობრიო ღირებულებათა აბსოლუტური, მარადიული, ეამშეუვალე ძირების აღიარებაზე, ნიშნავს ყოველგვარი ორიენტირებას დაკარგვას აზროვნებაშიც. ზნეობრივ სფეროსა და მხატვრულ შემოქმედებაშიც. აბსოლუტურის დამკვიდრების შესანიშნავ მაგალითებს გვაძლევს პეტრე იბერი, ათონელები, ეფრემ მცირე, პეტრიწი, რუსთაველი. გურამიშვილი, სულხან-საბა, სოლომონ დოდაშვილი, გაბრიელ ჭეჭოძე, ბარათაშვილი, ილია ვაჟა და განა ჩვენ დროში ამ ტენდენციის ძალზე ცხად გამოვლენა არ იყო შალვა ნუცუბიძის „ალეთოლოგიური რელიგიზმი“. დ. უზნაძის, ს. დანელიას, მ. გოგიბერიძის, კ. ბაქრაძის, ა. ბოკორიშვილის, ს. წერეთლის, ლ. გოციელის და სხვათ ბრძოლა სუბიექტივიზმის, რელატივიზმის, ცალმხრივი ემპირიზმის, ფსიქოლოგიზმის წინააღმდეგ. აბსოლუტურის დაფუძნებისათვის ფილოსოფიის სხვადასხვა დარგებში.

გ. ნანეიშვილის წიგნი შესანიშნავად აგრძელებს აბსოლუტურისათვის ბრძოლის ამ ხაზს, თანაც იმ სფეროში, რომელიც მანამდე არ იყო დამუშავებული ქართული ფილოსოფიური აზრის მიერ — სამართლის ფილოსოფიის სფეროში.

რელატივიზმისა და სუბიექტივიზმისაგან გამოიჯნის მიზნით ბატონი კიორგი, პუსერლის ფენომენოლოგიური მოძღვრების მოღწევათა გამოყენებით, მკვეთრად ასხვავებს ერთმანეთისაგან ფაქტსა და სამართლის იდეას, ფაქტის ნამდვილობასა და იდეის ნამდვილობას. ხშირად ხდება ასე: რადგან მათემატიკური ან ლოგიკური დებულებები ჩვენი ფსიქიკური აქტების — დროში მიმდინარე ფაქტების — შინაარსებად გადაიქცევა ხოლმე, ე. ი. გაიაზრება ამ ფსიქიკური აქტების საშუალებით, ჩვენ

შეცდომით მივიჩნევთ, რომ მათში გამოხატული შინაარსებიც ფაქტობრივ-ფსიქიკურია. სინამდვილეში რიცხვებს შორის ურთიერთობებია არ არის ფაქტობრივ-ფსიქიკური, არც ცნებებს ან დებულებებს შორის ლოგიკური კავშირებია ასეთი. მათემატიკური ან ლოგიკური კანონზომიერებების — საერთოდ არაფსიქიკურის — დაყვანა ფაქტობრივ-ფსიქიკურზე შედეგად იძლევა სუბიექტივიზმის თავისებურ სახეს — ფსიკოლოგიზმს. ეს კარგად აჩვენა ჰუსერლმა.

გ. ნანეიშვილი ფიქრობს, რომ ანალოგიურ შეცდომას ვხვდებით ჩვენ სამართლის სფეროშიც. არსებობს „პოზიტიური სამართალი“ — თავისი არსებით კონკრეტულ-ისტორიული, გარკვეულ დროს წარმოშობილი „მომხდარი“ და ამ აზრით ფაქტობრივი. მაგრამ არსებობს აგრეთვე სამართლის იდეა, რომლის დროში წარმოშობაზეც ლაპარაკი უაზროა: ის ისევე არ „მომხდარა“, როგორც არც ერთ გარკვეულ დროს არ „მომხდარა“ ის ვითარება, რომ $2 \times 2 = 4$. გ. ნანეიშვილი საკვებით მართებულად ასხვავებს ერთმანეთისგან ფაქტობრივი სინამდვილის ელემენტების ურთიერთობებსა და სამართლის იდეის ელემენტთა ურთიერთობებს, დახვეწილი ანალიზის საშუალებით აჩვენებს, რომ სამართლის იდეის სფეროში არსებული ურთიერთობების აღრევა ფაქტობრივ ურთიერთობებთან დაუშვებელია. აქაც შეიძლება სამართალი პირწმინდად დაყვანილ იქნეს ფაქტობრივ სინამდვილეზე და ამას მოჰყვეს შედეგად სრული რელატივიზმი. სწორედ ამიტომ მიჩნავს ის ერთმანეთისგან სამართლის იდეასა და ფაქტს. ფაქტი „ხდება“, ის დროში არსებულია, გარკვეულ დროში წარმოიშობა და გარკვეულ დროს ისპობა. სამართლის იდეა, თვითონ სამართლიანობა, არ არის ასეთი. ეს ორი სხვადასხვა ონტოლოგიურად ერთმანეთისგან ძალზე განსხვავებული სფეროა.

მაგრამ ეს განსხვავება, გ. ნანეიშვილის აზრით, არ ნიშნავს იმას, რომ იდეა და ფაქტი აბსოლუტურად მოწყვეტილია ერთმანეთს. სამართლის იდეას აქვს პრეტენზია განხორციელებისა და შესაბამის სოციალურ ვითარებებში ის გასაგნდება ფაქტობრივ მასალაში, „ხორცს ისხამს“ პოზიტიურ სამართალში, რომელიც შესაძლებელი სამართლის სპეციფიკური შემთხვევაა. პრობლემის ამგვარად გააზრების შუქზე გ. ნანეიშვილი გვთავაზობს სამართლისმცოდნეობის ერთ-ერთი ურთულესი და სადავო პრობლემის — ნორმატიული ფაქტების არსებობის საკითხის — ორიგინალურ გადაწყვეტას.

შეიძლება წიგნში წამოყენებულმა ზოგიერთმა ძირეულმა დებულებამ დავა გამოიწვიოს, მაგრამ ერთი რამ ცხადია: ეს თხზულება ჭეშმარიტად შემოქმედი ადამიანის ქმნილებაა. ავტორი, როგორც ფილოსოფიური კვლევის ჭეშმარიტი ოსტატი, ეძებს და პოულობს იმ მთავარ სიძნელებებს, რომლებიც დგას სამართლის ფილოსოფიის წინაშე და რომლებ-

ზეც, სამწუხაროდ, ჩვენში ძალზე ცოტა, იწერება. ბატონი გიორგის შრომა ამ ძირეული საძნელებების — თავად სამართლის ფენომენის არსიდან ამოზრდილი პრობლემების — გადაწყვეტის ერთ-ერთი ბრწყინვალე ცდაა. მახვილი და საფუძვლიანია ავტორის კრიტიკული ანალიზი — წიგნში დამაჯერებლადაა ნაჩვენები წინააღმდეგობანი კანტის, კელზენის, ფიჰანგერის, ელინეკის, პეტრაეიკის მოძღვრებებში, საკვირველია მისი ფილოსოფიური განსწავლულობა — ის იცნობს თავისი დროის ყველა წამყვანი ფილოსოფოსის თხზულებას და კიდევ ერთი: წიგნი დაწერილია ისეთი გზებით, საქმის ისეთი სიყვარულით, რომ შეუძლებელია მის მკითხველს არ გაუჩნდეს სურვილი სამართლის ფილოსოფიის პრობლემებზე ჩაფიქრებისა. ამიტომ გვგონია, რომ ბატონ გიორგის შრომის გამოსვლა გამოაცოცხლებს კვლევას სამართლის ფილოსოფიის დარგში.

1930 წელს ამ თხზულების საფუძველზე გ. ნანეიშვილმა ბრწყინვალედ დაიცვა სადოქტორო დისერტაცია. 1931 წელს ის სათავეში ჩაუდგა საოქალაქო სამართლის კათედრას. წინ იყო ამაღლი გეგმები, ახალი მიზნები. საუბედუროდ, გ. ნანეიშვილს არ დასჯალდა მათი ხორკუშესხმა: ქართულ სამართალმცოდნეობის ერთ-ერთმა ბურჯმა უნივერსიტეტის საინჟინერო და მშენებლობაში გაიზიარა ბედი თავისი კოლეგებისა: ვახტანგ კოტეტიშვილის, ბიძინა რამიშვილის, გრიგოლ წერეთლის და სხვათა და სხვათა.

გიორგი ნანეიშვილი უბრუნდება თავის ერს. მისი წიგნის გამოსვლა ამ კეთილი საქმის კიდევ ერთი მაუწყებელია. გვსურს უდიდესი მადლობა უეცრათ იმათ, ვინც მოამზადა და გამოსცა ქართველი მეცნიერის გამოკვლევა — მთარგმნელებს, სარედაქციო კოლეგიის წევრებს. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობის მუშაკებს. ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ უახლოეს მომავალში გ. ნანეიშვილის შესანიშნავ შრომებს, რომლებაც კარგა ხანია ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად იქცნენ, მშობლიურ ენაზე დასტამბულსაც იხილავს ქართველი მკითხველი.

ნ ი კ ო ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე . თ ა მ ა ზ ბ უ ა ჩ ი ძ ე

გაზ., „ლიტერატურული საქართველო“, 18 დეკემბერი 1987 წ.

ДЕЙСТВИТЕЛЬНОСТЬ ПРАВА И ОПЫТ ОБОСНОВАНИЯ НОРМАТИВНЫХ АКТОВ

Издание книги безвременно ушедшего из жизни Г. А. Нанейшвили — светлая примета нынешнего времени — времени обновлений, крупных перемен в нашей жизни. И не только

потому, что торжествует историческая правда — воскрешена яркая страница становления марксистской правовой мысли в Грузии. Но потому еще, что издана работа, отличающаяся такими своеобразными, не принятыми сейчас языком, стилем мышления, способом подачи материала, что еще несколько лет тому назад это вряд ли было осуществимо. Действительно: ряд положений книги, словесных оборотов, формулировок (таких, как «вечная идея права», «действительность правовой идеи», «свойственная праву «претензия осуществления», «нормативность факта») легко могли послужить основой — что и случилось в прошлом — для беспардонно жестких, однозначно негативных ее оценок.

Между тем труд Г. А. Нанейшвили базируется на положениях материалистической диалектики: «Марксистская формула о том, что право—явление надстроечное, содержит глубокую истину; это положение доказывается историей правовой жизни всех времен и народов» (с. 25). Приведенные и некоторые другие аналогичные формулировки и словесные обороты — не уступка идеалистическим трактовкам, а попытка выразить быть может и не всегда удачно, специфику права, имманентно присущие качественные особенности, изначально характерные для этого феномена.

С точки зрения общих науковедческих характеристик книга Г. А. Нанейшвили — одна из первых в советском правоведении попыток обоснования своеобразного варианта философии права, попыток вскрыть глубинную внутреннюю диалектику правовых явлений. Насколько такой вариант, не исключая других подходов в философии права, конструктивен, свидетельствует то, что ряд положений, сформулированных автором четыре десятилетия назад (!), находится на уровне современных передовых научных взглядов, иные выводы и иные рассуждаются в качестве поисковых.

Прежде всего — это положение о праве как особом виде действительности, выступающем как действительность правовой идеи (с. 28, 35, 36 и др.). Приходится только сожалеть, что в проводившейся в свое время дискуссии об объективном и субъективном праве данное положение не было в поле зрения. Г. А. Нанейшвили убедительно показал, что право — не просто идея, феномен общественного сознания, а особая действительность идеи, имеющая реальное существование, выступающая как реальный факт. При этом в книге верно выявляются и обосновываются специфические черты права, его нормативность. Затрагивая психологическую сторону феномена права, автор отмечает: «...именно в том, что мы что-то представляем как должное, даже когда не хотим этого, заключается нормативная сила права» (с. 35). Глубоко верно и то, что в праве заключена постоянная «претензия» на осуществление, факти-

ческую реализацию. Указанное положение согласуется с современными представлениями о праве как регуляторе общественных отношений, дополняет их существенно новым моментом.

Автор развивает взгляды, близкие к современным представлениям о ценности права, правовых ценностях. Примечательно, что Г. А. Нанейшвили связывает правовые ценности с деятельностью — важнейшей категорией современного понимания социальной действительности. «...Норма права связана с субъектом лишь как с носителем возможных ценностно-значимых актов. Не мир искусственных единичи, а мир жизнедеятельных субъектов, мир, который состоит из живых людей — способных совершать ценностные акты, есть тот мир, к которому обращена норма права, или, точнее, долженствующий объект нормы права» (с. 30).

Научно значимы положения о так называемых нормативных фактах, которые автор подчеркнуто отграничивает от позитивного права; его нормативности (с. 59, 63, 87 и др.) Во вступительной статье Б. В. Саванели феномен нормативного факта интерпретируется главным образом через современные представления об автономном регулировании и регулятивной силе договора (с. 11—12). В принципе это верно. Но все же думается, соображения Г. А. Нанейшвили имеют более глубокий смысл, перекликаются с развиваемыми ныне в правовой науке взглядами об общесоциальном (непосредственно социальном) праве. По мысли автора, определенные реальные факты, существующие вне и независимо от позитивного права, могут обладать непосредственно регулятивной деятельностью. «имеют способность создавать комплекс таких суждений, логическая связь с которыми определяет наше состояние правомочно и обязанного» (с. 60). В данном плане заслуживают внимания тезисы о нормативных фактах как «объективном качестве» права, их необходимости, закономерном характере по сравнению с позитивным правом, которое во многом имеет черты случайности» (с. 81). Конечно, названные положения обладали бы большей весомостью, если бы Г. А. Нанейшвили теснее показал взаимодействие нормативных фактов и позитивного права. Но и в данном виде они обладают серьезной научной ценностью.

Нет нужды специально останавливаться на спорных положениях, которые обусловлены главным образом стилистическими особенностями, фразеологической спецификой изложения. Читатель без труда заметит и, хочется верить, «пройдет мимо» этих положений, отразивших самобытность неинтеллектуальной жизни того времени и сосредоточит внимание на идеях, которые важны для развития правоведения в современную эпоху. Несомненно, он испытает удовлетворение и радость, которые всегда приносит встреча с талантом, выразившим одну из гра-

пей развития многонациональной правовой мысли нашей страны.

В книге помещены очерк о жизненном и творческом пути автора, вступительная статья, а также рецензия, которая в свое время была написана при представлении труда Г. А. Налеишвили в качестве докторской диссертации.

С. С. Алексеев
Член-корреспондент АН СССР
Ж. «Правоведение» № 3, 1988 г.

შ ი ნ ა ა რ ს ი

სამართლის ფილოსოფიის და სოციოლოგიის პრობლემები გიორგი ნანეიშვილის ნაზრევში	3
სამართლის ნამდვილობა და ცდა ნორმატიული ფაქტების დასაბუთებისა	46
§ 1. ფაქტი და სამართალი	46
§ 2. სამართლის ნორმატივისტული თეორიის კრიტიკა	75
§ 3. სამართალი და ფაქტიური ურთიერთობანი	78
§ 4. ნორმატიული ფაქტების პრობლემა	107
§ 5. ნორმატიულ ფაქტთა თეორიის დაფუძნება	131
§ 6. სამართალი და ნორმატიული ფაქტები	143
იურიდიული სუბიექტი	156
ერთი წიგნის მეთოდოლოგიისათვის	184
სამართლის ფსიქოლოგიური თეორიის აპრიორულ-ემოციური საფუძვლები	203
ახალი კონსტიტუციის პროექტი და სასამართლო დანართი	219 231

ნანსიშვილი გიორგი ალექსანდროვიჩ

ВОПРОСЫ ФИЛОСОФИИ ПРАВА

(на грузинском языке)

Издательство Тбилисского университета
Тбилиси 1992

გამომცემლობის რედაქტორი თ. გაბელია
ტექნიკური რედაქტორი ფ. ბუღალაშვილი
კორექტორი ე. წერეთელი
სბ 1750

გადაეცა წარმოებას 27.04.91 ხელმოწერილია დასაბეჭდად 20.05.92
საბეჭდი ქაღალდი 60X90¹/₁₆. პირობით ნაბეჭდი თაბახი 18,5.
ს.ალრ.-საგამომც. თაბახი 17,41.
ტირაჟი 1000 შეკეთის № 371
ღ. ს. 12 მან.

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა,
თბილისი, 380028, ი. ჯავახიშვილის პროსპექტი, 14.
Издательство Тбилисского университета,
Тбилиси, 380028, пр. И. Чавчавадзе, 14.

თბილისის უნივერსიტეტის სტამბა,
თბილისი, 380028, ი. ჯავახიშვილის პროსპექტი, 1.
Типография Тбилисского университета.
Тбилиси, 380028, пр. Чавчавадзе, 1.